

ენდრიუ ანდერსენი



საქართველო

და

საერთაშორისო შეთანხმებები




1918-1921

წლებში

საქართველო
და საერთაშორისო
შეთანხმებები

1918 - 1921

ენდრიუ ანდერსენი ასევე ავტორია წიგნისა



საქართველო
და საერთაშორისო
შეთანხმებები
1918 - 1921

ენდრიუ ანდერსენი



გამომცემლობა "მწიგნობარი"

Georgia and the International Treaties of 1918-1921

Copyright © 2019 by Andrew Andersen
All rights reserved.

No part of this book may be reproduced or transmitted in any form
without the written permission of the publisher.

თარგმანი / რედაქცია: მერი ბიწაძე
რუკები: ენდრიუ ანდერსენი და გიორგი ფარცხალაძე
გარეკანის დიზაინი: კეტი ალბერტსი და ალექსანდრ კუროვი

პირველი ქართული გამოცემა

℥ · · · · · ჯ&ს&ს
℥ მერი ბიწაძე, თარგმანი, 2020

ISBN 978-9941-485-77-0

ედვინება მამას

შინაარსი

შესავალი	1
1 სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ კავკასიაში 1918 წლის დასაწყისისთვის	5
2 ბრესტის საზავო ხელშეკრულება: ბოლშევიკების გულუხვი საჩუქარი ოტომანთა იმპერიას	43
3 ფოთის ხელშეკრულება: პირველი რესპუბლიკის პირველი კომპრომისი	115
4 ბათუმის ხელშეკრულება: ზავი ტერიტორიის სანაცვლოდ	163
5 მუდროსის დაზავება: ახალი იმედები	181
6 საქართველო და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია: „ყრუ კედლის“ გარღვევა	215
7 საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის ხელშეკრულება: კავკასიაში კოლექტიური უსაფრთხოებისთვის ბრძოლა	253
8 რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება: „გემინოდეთ დანაელებისა...“	303
9 საქართველო და სევრის ხელშეკრულება	355
10 საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურედ ცნობა: ტრიუმფი პირველი რესპუბლიკის დაცემის წინ	371
11 საქართველო და პოლონეთი: ალიანსი, რომელიც არ შედგა	375
12 მოსკოვის (16.03.1921) და ყარსის (13.10.1921) ხელშეკრულებები	391
დასკვნა	427

დამატება (ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ტექსტები)	429
მოკლე ცნობები წიგნში მოხსენებულ პიროვნებათა შესახებ	497
რუკების ნუსხა	553
შეცვლილი გეოგრაფიული დასახელებების ნუსხა	557
გამოყენებული ლიტერატურა	559

შესავალი

„ისტორიას გამარჯვებულები წერენ, ამიტომ მასში არ მოიხსენებიან დამარცხებულნი“, – წერდა XX საუკუნის დასაწყისში ანტონ დრექსლერი¹. თუ ჩავთვლით, რომ გერმანიის ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ეს გამოთქმა რამდენადმე სწორია, მაშინ არც თუ ისე გასაკვირია ის, რომ ჩვენს დროში ცოტამ თუ იცის საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ, რომელიც 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 14 მარტამდე არსებობდა და ორმა „გამარჯვებულმა“ – საბჭოთა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა გასრისეს.

1991 წელს სსრკ-ის დაშლამდეც კი ყველა დონის საბჭოთა ისტორიკოსები ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველო არც არსებობდა², სამხედრო აგრესიის შედეგად მის ანექსიას ყურადღება რომ არ მიქცეოდა. ამავე მიზეზით მითითებული პერიოდის საქართველოს ისტორიას იგნორირება უკეთდებოდა თურქეთშიც. დასავლეთში საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნებისა და სტატიების რაღაც რაოდენობა კი გამოსცეს, მაგრამ ამ კვლევების პოპულარობა ახლოს იყო ნულთან: პრაგმატულ ევროპელებსა და ჩრდილო ამერიკელებს გონივრულად არ მიაჩნდათ დროის დახარჯვა იმის შესასწავლად, რაც არ შედგა და ზერელე შეხედვით აღდგენას არ ექვემდებარებოდა.

¹ ანტონ დრექსლერი (Anton Drexler; 1884-1942) – დამაარსებელი გერმანიის მუშათა პარტიისა, რომელსაც შემდეგ გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის სახელწოდებით ჰიტლერი ჩაუდგა სათავეში.

² მათ შორის ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებიც. თუ საბჭოთა პერიოდში შეუძლებელი იყო ობიექტური მეცნიერული მოკვლევის გამოქვეყნება, არც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გამოჩენილა მომავალი თაობებისთვის „მაგიდის უჯრაში გადამალული“ არამცთუ ასეთი კვლევა, თუნდაც ბელეტრისტული ნაწარმოები. მხატვრულ ლიტერატურაში ეს პერიოდი ასახულია მხოლოდ ა. ქუთათელის ორტომიან რომანში „პირისპირ“ (კონიუნქტურის წინაშე ვალმოხდით) და აქა-იქ გაკვრით (რასაკვირველია, უარყოფით კონტექსტში) მცირე მოცულობის ნაწარმოებებში, მაგ., რ. გვეტაძის „ჭიაკოკონა“ (მთარგმ. შენიშვნა).

საქართველოს გარშემო შექმნილმა საინფორმაციო-სამეცნიერო ვაკუუმმა 1991 წლის გაზაფხულზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტში ისტორიის ნაირგვარი ფალსიფიკაციის წინაპირობები შექმნა უპირველესად „რუსული სამყაროს“ პროპაგანდის რუპორების, ასევე სხვადასხვა მიზეზით კრემლის იდეოლოგიური გავლენის ქვეშ მოქცეული დასავლეთის რიგი მკვლევარების მხრიდან. ფალსიფიკაციას ექვემდებარება არა მხოლოდ მთლიანად საქართველოს ისტორია, არამედ არაუბრალო წარსული სხვადასხვა ტერიტორიებისა, მათ შორის მათიც, რომლებიც დღეს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ჩარჩოებშია, ამავე დროს რფ-ის ჯარის მიერაა ოკუპირებული და საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. თვით საქართველოში კი ახალი ისტორიული მეცნიერება ჯერ მხოლოდ ყალიბდება და მას ხანგრძლივი გზის გავლა მოუწევს პროფესიონალიზმისა და ობიექტურობის იმ დონის მიღწევამდე, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან ნდობის კრედიტის უზრუნველყოფა შეეძლება.

ზემოთ თქმულის ძალით მოცემული წიგნის ამოცანაა, როგორც კოლეგა-ისტორიკოსებს, ასევე უფრო ფართო აუდიტორიას გააცნოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სტატუსსა და საზღვრებს არეგულირებდნენ რუსეთის იმპერიის დაცემასა და საბჭოთა კავშირის შექმნას შორის პერიოდში, ასევე ამავე პერიოდში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე, მთლიანად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის და კერძოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონის გარემოზე სხვადასხვა სიდიდით გავლენის მომხდენი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები. წიგნში ასევე მოცემულია მოკლე ექსკურსები მასში გაანალიზებული საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებისა და დადების მომენტში სადავოდ მყოფი რიგი ტერიტორიების ისტორიასა და ეთნოგრაფიაში.

ბოლოს ბოდიში უნდა მოვუხადო ქართველ მკითხველს იმისთვის, რომ წიგნის თანმხლები რუკების ტექსტი ინგლისურიდან ქართულად არაა გადათარგმნილი. თუმცა, იმედი მაქვს, ტექსტის წაკითხვის შემდგომ მათში გარკვევა რთული არ იქნება. მით უმეტეს, რომ საბაზო ინგლისურს ფლობს თითქმის ყველა, ვინც საერთაშორისო ურთიერთობებით არის დაინტერესებული.

ასევე მინდა ვაცნობო მკითხველს, რომ 1914 წლის შემდეგ თურქეთში სამჯერ (!) გადაარქვეს სახელი ბევრ დასახლებულ ადგილს. ამიტომ დღეს რუკაზე ვერ ნახავთ ზოგიერთ ქალაქსა და სოფელს, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდნენ და ამ წიგნშია მოხსენებული. მათი სახელწოდებები ცნობილია მხოლოდ რუსული ტრანსკრიპციით შტაბის იმდროინდელ რუკებზე და რუსეთისა და სომხეთის მხრიდან მონაწილეთა მემუარებში. თურქები მაშინ არაბული ხვეული, ჩართული ხელით წერდნენ და ეს არ იძლევა ზუსტ წარმოდგენას ამ დასახელებების წარმოთქმაზე.

სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ კავკასიაში 1918 წლის დასაწყისისთვის

კავკასია და პირველი მსოფლიო ომი

1914-1918 წლებში სამხრეთ კავკასია პირველი მსოფლიო ომის ახლო აღმოსავლეთის საომარ მოქმედებათა ასპარეზი გახდა. თუმცა გადამწყვეტი საბრძოლო მოქმედებები ევროპაში მიმდინარეობდნენ, კავკასიის ფრონტი მნიშვნელოვანი იყო თურქეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთისთვის, მით უმეტეს, რომ ომის დასაწყისის წინა რამდენიმე წლის განმავლობაში მოცემულ რეგიონში რამდენიმე დიდი სახელმწიფოს³ ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობრივი ინტერესები გადაიკვეთნენ.

პანთურანიზმის⁴ (პანთიურქიზმის⁵) და პანისლამიზმის⁶ იდეოლოგიის ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა თურქი⁷

³ რაიმე თვალსაზრისით (სამხედრო, ბირთვული...) ძლიერი სახელმწიფოს აღმნიშვნელი სიტყვის (ინგ. power, გერმ. die Macht, რუს. держава) ქართულ ენაში ზუსტი შესატყვისის უქონლობის გამო ორიგინალის ტექსტის ეს სიტყვა გადმოღებული იქნება როგორც „დიდი სახელმწიფო“ ან „წამყვანი სახელმწიფო“ (მთარმგ. შენიშვნა).

⁴ თურანი – აქ: (ავესტ. Tūirīānam, ფარსი Tūrān – თურების ქვეყანა) – ავესტაში და შუა სპარსულ (ფალაურ) ლიტერატურაში მოხსენებული ისტორიული რეგიონი ცენტრალურ აზიაში, რომელიც ძველად დასახლებული იყო სკვითური და ირანული ტომებით საერთო სახელწოდებით „თურა“.

⁵ პანთიურქიზმი – თიურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებით დასახლებულ სახელმწიფოებში გავრცელებული კულტურული და პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის საფუძველში დევს ეთნიკური, კულტურული და ენობრივი ერთიანობის საფუძველზე მათი კონსოლიდაციის იდეები.

ლიდერები თავისი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრების გარეთ ფართო ექსპანსიას გეგმავდნენ. მათი მიზანი იყო მეგაიმპერიის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა ყველა თიურქულენოვან, ასევე ზოგიერთ არათიურქულენოვან ხალხებს რუსული კავკასიის, ყირიმის, შუა აზიის, ვოლგისპირეთის, ურალის, ასევე სპარსეთის⁸, ავღანეთის და ბრიტანეთის ინდოეთისა და დასავლეთ ჩინეთის (სინძიანი და განსუ) მუსლიმანებით დასახლებული ტერიტორიების შთანთქმის გზით.⁹

ქართულად ტერმინი „პანთიურქიზმი“, „თიურქული“ (უფრო სწორი იქნებოდა – პანთიურქიზმი, თიურქული) ნახმარია როგორც თურქეთის რესპუბლიკის ძირითადი, თურქული ეთნოსისა (ინგ. Turk, გერმ. Türke, რუს. турок) და მათი ენის (ინგ. Turkish, გერმ. das Türkische, რუს. турецкий) კერძო დასახელებისგან განსხვავებული აღნიშვნა; „თიურქები“ და „თიურქული ენები“ (ინგ. Turkic languages, გერმ. Turksprachen, რუს. тюркские языки) ყველა *თიურქულენოვანი* ხალხისა (ინგ. Turks, გერმ. Türkvolker, რუს. тюркские народы) და მათი ენების კრებითი დასახელებაა. თიურქული ენები – აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ფართოდ გავრცელებული მონათესავე ენების ოჯახი ალთაის პირობითი მაკროოჯახის შემადგენლობაში; ამ ენების გავრცელების სფერო განვრცობილია ჩრდილო-აღმოსავლეთში მდინარე კოლიმას აუზიდან სამხრეთ-დასავლეთში ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე; მოლაპარაკეთა საერთო რიცხვია 180 მილიონი.

⁶ რელიგიურ-პოლიტიკური გაერთიანება, რომლის საფუძველში დევს წარმოდგენები: ა) მთელი მსოფლიოს მუსლიმანთა სულიერი ერთიანობაზე სოციალური, ეროვნული ან სახელმწიფოებრივი კუთვნილებისგან დამოუკიდებლად და ბ) პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობაზე უმაღლესი სასულიერო მეთაურის (ხალიფას) ძალაუფლებით. ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში.

⁷ „ახალგაზრდა თურქები“ (თურქ. Genç Türkler, ფრ.-თურქ. Jön Türkler), ითიჰადელები – „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრებისა და მათი მომხრეების ევროპაში გავრცელებული სახელწოდება (ევროპის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულ სახელწოდებათა – „ახალგაზრდა გერმანელებისა“ და სხვათა ანალოგიით). ახალგაზრდა თურქები კონსტიტუციონალისტები იყვნენ და მიზნად სულთნის თვითმპყრობე-ლური ხელისუფლების კონსტიტუციური წყობილებით შეცვლას ისახავდნენ.

⁸ 1935 წლამდე ირანს ოფიციალურად სპარსეთი ეწოდებოდა.

⁹ W.W. Gottlieb, *Studies in Secret Diplomacy during the First World War* (London, 1957), pp. 28-29.

რუსეთს, თავის მხრივ, ხმელთაშუა ზღვაზე გასვლა აინტერესებდა შავი ზღვის სრუტეების (ბოსფორისა და დარდანელის) კონსტანტინოპოლთან ერთად მიერთების გზით¹⁰ ანდა კავკასიიდან კილიკიის სანაპირომდე ფართო „კორიდორის“ მიღების გზით თურქული სომხეთისა და აღმოსავლეთ ანატოლიის¹¹ ქრისტიანული (უმეტესწილად სომხური) მოსახლეობის სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის საბაბით.¹² მაგრამ თურქეთის წინააღმდეგ „სომხური კარტის“ გათამაშებისას რუსეთის იმპერიის მთავრობას არ სურდა 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის გამოცდილების გამეორება და „მეორე ბულგარეთის“¹³ შექმნა, ახლა უკვე ახლო აღმოსავლეთში.¹⁴ სომხეთის მთიანეთზე რუსეთის მომავალი ბატონობის საიმედო უზრუნველყოფის მიზნით სანკტ-პეტერბურგის მაღალ კაბინეტებში კონფლიქტის გადავივებას აქეზებდნენ ქრისტიან სომხებსა და თურქ მუსლიმანებს შორის, ასევე ამუშავდნენ „კაზაკების ტიგროს-ევფრატის ოლქის“¹⁵,

¹⁰ Gottlieb, p. 39.

¹¹ მცირე აზია, ანატოლია (ბერძ. ἀνατολή – (მზის) ამოსვლა, აღმოსავლეთი; სახელწოდება გაჩნდა ანტიკურ ხანაში. თურქ. Anadolu) – ნახევარკუნძული აზიის დასავლეთში, თანამედროვე თურქეთის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი; ხშირად ასე უწოდებენ თურქეთის აზიურ ნაწილს, ევროპული ნაწილისგან (რუმელია) განსხვავებით.

¹² ЦГИА – РА, фонд. I, оп. 1, д.209, с. 3-5.

¹³ E. A. Adamov, Ed., *Partition of Asian Turkey in Accordance with the Secret Documents of the Former Ministry of Foreign Affairs* (Moscow, 1924), p. 158. С. Лурье, «Я все равно паду на той... Карабах как армяно-русский культурный конфликт», *Русский журнал*, Авг. 24, 2009, стр. 9-12.

¹⁴ ბულგარეთის სახელმწიფოებრიობა 1878 წელს ადადგინეს 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად. რუსეთის იმპერიული გეგმების საწინააღმდეგოდ ბულგარეთის ახალმა სახელმწიფომ უარი თქვა რუსეთის სატელიტად გახდომაზე, რამაც აღშფოთება გამოიწვია როგორც რუსეთის პოლიტიკურ ზედა ფენებს შორის, ისე რუსულ საზოგადოებაში.

¹⁵ ოლქი (ინგ. Province, region; გერმ. Gebiet) – ზოგადად განსაზღვრული არსებითი ნიშნით (ზუნებრივი პირობები, ისტორიული ტრადიციები, ეთნიკური ან ეკონომიკური თავისებურებები) გამოყოფილი რაიმე ტერიტორიის ნაწილი. აქ: რუსეთის იმპერიაში ოლქი (область, ძვ. სლავ. областъ - ფლობა) როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნაწილი გუბერნიის ტოლმნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ქმნიდნენ მხოლოდ განაპირა ეროვნულ მხარეებში, გეოგრაფიულად დამორეზულ მხარეებში ან

რომელშიც ყუბანისა და თერგის კაზაკების, ქურთი-იეზიდებისა და კავკასიის სომხების ჩასახლება იგეგმებოდა, ორგანიზაციის გეგმებს.¹⁶

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში¹⁷ რუსეთის მზარდი ამბიციები შეფიქრიანებას იწვევდა დიდი ბრიტანეთის სამთავრობო წრეებში, რომლებიც ამავე დროს ასევე დაინტერესებულნი იყვნენ გერმანიის გავლენის ქვეშ სულ უფრო მოქცეული ოტომანთა იმპერიის¹⁸ დეზინტეგრაციაში. მაგრამ „დიდი თურქეთის“

კაზაკების ჯარების ტერიტორიებზე. ოლქის მმართველობა იმით განსხვავდებოდა გუბერნიისგან, რომ მის ტერიტორიაზე ყოველთვის იმყოფებოდა ჯარი და მისი უფროსი ერთდროულად სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის მეთაური იყო. 1914 წ. ამიერკავკასიის ოლქები: ბათუმის ოლქი (1878 წლიდან; ართვინისა და ბათუმის ოკრუგები), ყარსის ოლქი (1854 წლიდან; ყარსის, არტანის, კალიზმანის და ოლთისის ოკრუგები), დაღესტნის ოლქის ჩათვლით, რომელიც ტერიტორიულად ამიერკავკასიაში არ შედიოდა; ჩრდილო კავკასიაში – თერგის ოლქი, ყუბანის ოლქი.

¹⁶ А. Уткин, *Первая Мировая война* (Москва, 2000), стр. 39.

3. Авалов, *Независимость Грузии в международной политике, 1918-1921* (Париж, 1924), с. 26.

¹⁷ იშვიათი ტერმინია, ახლა ძირითადად იყენებენ ნატოს ოფიციალურ მასალებში სამსახურებრივი გამოყენებისთვის. მოიცავს როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროს ქვეყნებს, ისე შავი ზღვისპირეთის ქვეყნებსაც, რადგან შავი ზღვა გარკვეულწილად ხმელთაშუა ზღვის ყურეა. გეოგრაფიულის გარდა მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ასპექტსაც: ყველა ეს ქვეყანა ძველ დროში აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის ან ნაწილი, ან მისი გავლენის სფეროში იყო.

ახლა აქ შედიან ისეთი ქვეყნები ან რეგიონები, როგორცაა: მთლიანად ბალკანეთი, რუმინეთი, ზღვისპირა უკრაინა, რუსეთის შავი ზღვისპირეთი, მთელი კავკასია რუსული კავკასიის, საქართველოსა და სომხეთის ჩათვლით (თეორიულად აზერბაიჯანისა და დაღესტნის გამოკლებით, მაგრამ პრაქტიკულად მათაც ყოველთვის თვლიან), მთელი თურქეთი, კვიპროსი, სირია, იორდანია, ისრაელი, ლიბანი და ევვიპტე. ზოგიერთს ამ შემადგენლობანი ერაყი და ირანიც კი შეეყავს.

¹⁸ ოსმალეთის იმპერია (Osmanlı İmparatorluğu, სიტყვა „ოსმალეთი“ მომდინარეობს მმართველი ოსმანების (ოსმალეების) დინასტიის დამფუძნებლის, ოსმან I სახელიდან, რომელიც არაბული წარმოშობის სახელის სპარსული ფორმიდან „უტმან“-იდან წარმოსდგება), ოტომანთა იმპერია, ჩამოყალიბდა XV-XVI საუკუნეებში თურქების მი-

დემონტაჟი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო რუსეთის მხარდაჭერის გარეშე, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ სერიოზული ზონუსების გაცვლით იყო შესაძლებელი. და მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის მთავრობას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გერმანული სამხედრო-საზღვაო ბაზების დანახვას კონსტანტინოპოლზე რუსეთის დროშის დანახვა ერჩია.¹⁹

როცა 1914 წლის ივლის-აგვისტოში ბოლოსდაბოლოს ატყდა მსოფლიო ომი და ევროპის ველებზე ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები დაიწყო, ანტანტის დიდი სახელმწიფოები,²⁰ თურქეთის დანაწევრების მათი სურვილისა და „ოტომანთა მემკვიდრეობისთვის“ ბრძოლაში მეტოქეობის მიუხედავად, ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას ან, უკიდურეს შემთხვევაში, გერმანია – ავსტრია-უნგრეთის ალიანსთან მისი მიერთების მნიშვნელოვნად გადავადებას იმედოვნებდნენ. მაგრამ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის იმედებს, გაქცეოდნენ რამდენიმე ახალი ფრონტის გახსნას, განხორციელება არ ეწერათ და ყველა მათი დიპლომატიური უვერტიურა უშედეგო აღმოჩნდა. გერმანიის ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფმა ოტომანური თურქეთის მმართველებმა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეზე ომში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. 1914 წ. 9 აგვისტოს ოტომანთა იმპერია რუსეთის სამფლობელოებს დაესხა თავს. იმავე წლის 2 ნოემბერს სასაზღვრო შეტაკებების სერიის შემდეგ რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს და კავკასია საომარ მოქმედებათა ასპარეზად გადაიქცა.²¹

ოცთვიანი პერიოდის განმავლობაში, 1915 წლის გაზაფხულიდან დაწყებული და 1916 წლის შემოდგომით დამთავრებული, რუსეთის არმიებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ თურქული სომხეთის, ლაზისტანის (ლაზონის) და ჩრდილო ირანის ფარგლებში, დაიპყრეს ვრცელი ტერიტორიები. იმავე დროში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარები ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ

ერ აზიაში, ევროპასა და აფრიკაში დაპყრობების შედეგად. XVII ს. ბოლოდან თანდათან დაკარგა დაპყრობილი ტერიტორიები, 1918 წ. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ საბოლოოდ დაიშალა.

¹⁹ S. McMeekin, *The Russian Origins of the First World War* (London, 2011), pp. 41-76.

²⁰ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი.

²¹ А.М. Зайончковский, *Первая Мировая война* (Санкт-Петербург, 2002), стр. 299.

იპყრობდნენ ოტომანთა იმპერიის სამფლობელოებს მესოპოტამიასა და პალესტინაში. 1916 წლის ბოლოსთვის კი რუსეთის გენერალურმა შტაბმა რამდენიმე გეგმის დამუშავება დაიწყო კონსტანტინოპოლის დასაპყრობად. ეს გეგმები შეიცავდნენ დარდანელზე ბრიტანეთის ფლოტის შესაძლო შეტაკებასთან კოორდინირებულ მასირებულ საზღვაო დესანტის გადმოსხმას ბოსფორზე.²²

საიქს-პიკოს შეთანხმება

1916 წლის თებერვალ-მარტში აღმოსავლეთ თურქეთში რუსეთის სამხედრო ტრიუმფის შუქზე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობებმა ხელი მიჰყვეს ოტომანთა იმპერიის დანაწილებაზე მოლაპარაკებებს. 1915 წლის აპრილის შუა რიცხვებში გახსნილი მოლაპარაკების პროცესი 1916 წლის 16 მაისს საიდუმლო კონვენციის ხელმოწერით დასრულდა.

ამ კონვენციამ, რომელიც დღეს ცნობილია როგორც საიქს-პიკოს შეთანხმება (ზოგიერთ წყაროში – საზონოვ-საიქს-პიკოს შეთანხმება), რომლის დებულებები რამდენადმე მოდიფირებული იყო რუსეთ-ბრიტანეთის მოლაპარაკებების სერიით, რასაც ადგილი ჰქონდა 1916 წლის 31 მარტიდან 1 სექტემბრამდე, დაადასტურა რუსეთის მოთხოვნა შავი ზღვის სრუტეებზე, ასევე მის სამფლობელოებზე არა მხოლოდ ბითლისის²³, ვანისა²⁴ და ერზურუმის²⁵ ვილაიეთების,²⁶ არამედ ასევე ტრაპიზონის ვილა-

²² И.Ф. Плотников, *Александр Васильевич Колчак: жизнь и деятельность* (Ростов-на-Дону, 1998), стр. 71-74.

П.Н. Зырянов, *Адмирал Колчак, верховный правитель России* (Москва, 2012), стр.283-290.

²³ ბითლისი (თურქ.*Bitlis*, ქურთ. *Bidlîs*) – ქალაქი და რაიონი ბითლისის ილში თურქეთის აღმოსავლეთში.

²⁴ ვანი (თურქ. *Van*, ქურთ. *Wan*) – ქალაქი (ვანის ტბის აღმოსავლეთი სანაპიროს მახლობლად) და ილი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

²⁵ ერზურუმი (ერზერუმი, არზრუმი, თურქ. *Erzurum*) – ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ერზურუმის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი; ბიზანტიის მფლობელობის დროს – *თეოდოსიოპოლი*, არაბული ხალიფატის – *ყალიყალა*, XI საუკუნიდან სელჯუკების დროს თანამედროვე სახელი მიიღო. 1514 წლიდან ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაშია. ერზურუმის რაიონი არაერთგზის იყო საომარი

იეთის ნახევრისა და ულ-აზიზისა²⁷ და დიარბაყირის²⁸ ზოგიერთი ნაწილის მიერთების გარანტიას იძლეოდა. დასახელებული კონვენციის პირობით საფრანგეთი ღებულობდა სივასის²⁹ ვილაიეთს, ულ-აზიზისა და დიარბაყირის ვილაიეთების დარჩენილ ნაწილებს, ასევე კილიკიასა და ლიზანს მთლიანად. საფრანგეთს ასევე ერგებოდა გავლენის ვრცელი სფერო სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. დიპლომატიური მიმოწერის მსვლელობაში, რომელიც კონვენციის დადებას უძღოდა წინ, როგორც ბრიტანელი, ისე რუსი ოფიციალური პირები რეგიონში სომხეთის ავტონომიის სხვადასხვა ფორმებს განიხილავდნენ. ამასთან საქართველოს რაიმე

მოქმედების არენა. 1919 წლიდან ქემალისტური რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი.

²⁶ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთში; ოსმალეთის იმპერიაში XVI საუკუნის ბოლოდან 1860-იან წლებამდე ეწოდებოდა ეიალეთი (თურქ. eyalet, არაბ. „იიალა“ – მმართველობა), ჩვეულებრივად არაოფიციალურად – ფაშალიყი. 1864 წ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფის რეორგანიზაცია გააკეთეს და 1866 წლიდან ვილაიეთი (ილი, არაბ. wilāyah – მართვა) ეწოდა.

²⁷ ელაზიდი (Elâzığ) – ქალაქი და ვილაიეთი თურქეთის აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ანატოლიაში. ქალაქი ახლანდელ ადგილზე დაარსდა 1834 წ. სახელწოდებით მამურეთ-ულ-აზიზი (Mamuretül-Aziz), რაც ხალხურ გამოთქმაში გამარტივდა – ელ-აზიზი (El Aziz), XX საუკუნეში კი თანამედროვე სახელწოდება მიიღო. არის მთებში განლაგებული ძველი ქალაქის ჰარპუტის (Harput) გაგრძელება დაბლობში.

²⁸ დიარბაყირი (Diyarbakır) – ქალაქი და ილი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ტიგროსზე. ამ ძველი ქალაქის ისტორიული სახელია ამიდა ან ამედი. 640 წ. დაიპყრო ბექირის (ან ბექრის) არაბულმა ტომმა და დიარბეყირი ეწოდა. იყო ერთ-ერთი პუნქტი აბრეშუმის დიდ გზაზე. 1814 წლის ბოლოს, ქურთების ბელადის ბერდჰან-ბეის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გახდა „პროვინცია ქურთისტანის“ ცენტრი და არაოფიციალური დედაქალაქი. 1923 წ. დიარბეყირზე კონტროლი დაამყარეს ქემალისტებმა. 1937 წ. ათათურქი ადგილობრივ ქურთებთან მორიგი კონფლიქტის შემდეგ პირადად ეწვია დიარბეყირს და ქურთებისთვის პოპულარული სახელის თანახმიანი დიარბაყირით (თურქ სიტყვიდან "bakır" – სპილენძი) შეცვლის ბრძანება გასცა.

²⁹ სივასი (Sivas) – ქალაქი და ვილაიეთი თურქეთში, ცენტრალურ ანატოლიაში. ადრინდელი სახელწოდებები: დიოსპოლის (ბერძ.), სებასტია, სევასტია (ლათ. Sebastia, Sebastea, Sebasteia)

ავტონომიის საკითხი არც სიტყვიერი, არც წერილობითი მოლაპარაკების დროს საერთოდ არ დამდგარა.³⁰ შედეგად 1917 წლის გაზაფხულისთვის სრულიად რეალურად წარმოიდგინებოდა როგორც ჯერ კიდევ ოფიციალურად ოტომანთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ძირითადი ისტორიული სომხური, ისე ყველა ისტორიული ქართული მიწების რუსეთის გვირგვინის ქვეშ მალე გაერთიანება.

მაგრამ 1917 წლის დასაწყისში რუსეთში მომხდარ დიდ ძვრებთან დაკავშირებით რეგიონში სიტუაცია ძირეულად შეიცვალა. 1917 წლის მარტში იმპერია დაირღვა, მონარქია გაუქმდა, ქვეყანაში გამოცხადდა რესპუბლიკა. ამავე მომენტში კავკასიის ფრონტი სტაგნაციის ფაზაში შევიდა. სივასისა და ჰარაპუტის დაპყრობის დაგეგმილი ოპერაციები შეაჩერეს, ისევე როგორც ბოსფორზე დესანტისა და კონსტანტინოპოლის დაკავების გეგმა. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) და გენერალი იუდენიჩი, რომლებიც 1915-1916 წლებში ძღვევამოსილი სარდლები იყვნენ, პოსტიდან გადააყენეს და მათ კავკასიის არმია დატოვეს. ახალი მეთაური – გენერალი პრჟევალსკი ამაოდ ელოდა რესპუბლიკის მთავრობისგან ახალ მითითებებს, რომლებიც ვერ მიიღო. ამასთან ირანში გენერალ ბარათოვის საექსპედიციო კორპუსის ცხენოსანმა ქვედანაყოფებმა თვითნებური ევაკუაცია დაიწყეს. უმოქმედობის, ცუდი მომარაგებისა და უფროსობის რევოლუციამდელი სიტემებისა და დისციპლინის მოშლის გამო დაშლის პროცესი დაიწყო კავკასიის არმიის დანარჩენ ნაწილშიც. 1917 წლის მაისიდან კავკასიის ფრონტზე ფაქტიური დაზავება დამყარდა,³¹ 18 დეკემბერს ცეცხლის შეწყვეტაზე ერზინჯანში³² ხელმოწერილმა შეთანხმებამ კი ბოლო მოუღო ყველა საომარ მოქმედებას 1918 წლის დასაწყისამდეც.³³

³⁰ Richard Hovannissian, *Armenia on the Road to Independence 1918* (Los Angeles, 1969), pp. 59-62.

Sean McMeeke, *The Russian Origins of the First World War* (London, 2011), pp. 194-213.

Akaby Nassibian, *Britain and the Armenian Question, 1915-1923* (London, 1984), p. 55.

³¹ Зайончковский, стр.646-648.

³² ქალაქი და ერზინჯანის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი აღმოსავლეთ ანატოლიაში, თურქეთში.

³³ Kazemzadeh, pp. 82-83.

**რევოლუციური ქალის კავკასიაში და ჩრდილოეთ სპარსეთში
(ჩრდილოეთ ირანში)**

1917 წლის მარტიდან 1918 წლის თებერვლამდე პერიოდი ქალის სწრაფი გავრცელებით აღინიშნა რუსეთის მთელ იმპერიაში, აღმოსავლეთ თურქეთსა და ჩრდილოეთ სპარსეთში რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებისა და კავკასიის ჩათვლით.

**მდგომარეობა რუსეთ-თურქეთის ფრონტზე
(1917 წლის მარტი – 1918 წლის თებერვალი)**

1917 წლის ნოემბრამდე რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა ომის გაგრძელების განზრახვის შესახებ დემაგოგიური განცხადებების მიუხედავად პრაქტიკულად არანაირ ძალისხმევას არ იჩენდა ფრონტებზე სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ამავე დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების „დემოკრატიზაციის“ მცდელობებმა ისინი შემდგომ გახრწნამდე მიიყვანეს. დაუმორჩილებლობა, მასიური დეზერტირობა და, საბოლოოდ, თვითნებური ევაკუაცია და თვითდემობილიზაცია ნორმა გახდა. რუსეთ-თურქეთის ფრონტი გამონაკლისი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ იქ, დენიკინის მტკიცებით, ტრაგედიამ ნაკლებად დრამატული ფორმა მიიღო და უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე ძირითად ავსტრია-გერმანიის ფრონტზე.³⁴ რუსეთის სათავდაცვო ძალები შავი ზღვის სანაპიროზე თირებოლუდან სპარსეთის ქურთისტანში ქერმანშაჰამდე თანდათან „წაილეკნენ“ და ნოემბრის დასაწყისისთვის ფაქტიურად არსებობა შეწყვიტეს.³⁵ 7 ნოემბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და მეორე დღეს რუსეთის ახალი მთავრობის მიერ გამოქვეყნებული „ზავის შესახებ დეკრეტის“ შემდეგ რუსეთის ოფიცრების, ჯარისკაცებისა და კაზაკების მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო მზად მოკავშირეების მხარეზე თურქეთთან ომის გასაგრძელებლად „ეროვნულ ფორმირებებთან“ ერთად. ეს ფორმირებები შედგებოდნენ 21 ათასი სომეხისა და 10 ათასი ქართველისგან, რომელთა საბრძოლო მომზადება და მორალური მდგომარეობა საეჭვო იყო რუსეთის ძველი საიმპერატორო არმიის ნაწილებთან შედარებით, რომლებიც

³⁴ W.E.D. Allen, P. Muratoff, *Caucasian Battlefields* (Nashville, 1953), p. 449.

³⁵ *Op. cit.*, p. 457.

საკმაოდ წარმატებულად მოქმედებდნენ 1916 წლის ბოლომდეც კი.³⁶ ფრონტის გამაგრების მიზნით დოქტორმა აკოფ ზავრიევმა და რუსეთის სომხების სხვა ლიდერებმა მოლაპარაკებები ჩაატარეს რუსეთის დროებითი მთავრობის მინისტრ-თავმჯდომარესთან ალექსანდრ კერენსკისთან და დაარწმუნეს, ავსტრია-გერმანიის ფრონტიდან სომხური წარმოშობის რუსი ჯარისკაცები დასავლეთ სომხეთში გაეგზავნა. ნოემბრის დასაწყისში, სულ რამდენიმე დღით ადრე ბოლშევიკურ სახელმწიფო გადატრიალებამდე, დაახლოებით 35.000 სომეხმა ოფიცერმა და ჯარისკაცმა მიიღეს ბრძანება კავკასიის ფრონტზე გადადისლოცირებაზე.³⁷ თეორიულად ეს სერიოზული სამხედრო ძალა იყო, რომელიც შეიძლებოდა სრულიად საკმარისი ყოფილიყო, რომ უკუეგდოთ ოსმანთა იმპერიის მიერ რევანშის აღებისა და წინა კამპანიის დროს რუსეთის ჯარის მიერ ხელში ჩაგდებული ტერიტორიების ბრძოლით დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა. მაგრამ ზემოთ მოხსენებული სამხედრო მოსამსახურეებიდან მხოლოდ ცოტა თუ დაემორჩილა დროებითი მთავრობის მეთაურის ბრძანებას, მათგან უმეტესობამ კი, ვინც დაემორჩილა, ბაქოს იქით გაღწევა ვერ შეძლო.³⁸

კავკასიის ქრისტიანი მოსახლეობის საბედნიეროდ ფრონტის მეორე მხარეს განლაგებულ, რიცხოვნობად 50.000 ჯარისკაცსა და ოფიცრამდე შემადგენლობის თურქულ ჯარს სრული გამოფიტვისა და ცუდი მომარაგების მიზეზით 1918 წლის გაზაფხულამდე არ შეეძლო საბრძოლო მოქმედების განახლება.³⁹ მაგრამ კავკასიის ფრონტზე ჩაწყენარების პერიოდში ენვერ-ფაშას⁴⁰ ახალგაზრდა

³⁶ *Op. cit.*, pp.457-459.

³⁷ R. G. Hovannisian, *Armenia on the Road of Independence, 1918* (Berkeley, 1967), p. 81.

³⁸ *Op. cit.*

³⁹ Allen, Muratoff, pp. 437-438 and 450.

Hovannisian, p. 121.

⁴⁰ ფაშა (თურქ. paşa; ძვ.-სპ. pāti-xšāya-დან – მმართველი) – უმაღლეს წარჩინებულ სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა ტიტული ოსმალეთის იმპერიაში. XIX საუკუნის რეფორმების და რეგულარული ჯარის შექმნის შემდეგ გენერლებისა და მინისტრების საპატიო ტიტული გახდა. თურქეთის რესპუბლიკაში ტიტული შენარჩუნდა მხოლოდ გენერლებზე, 1934 წელს კი გაუქმდა. ოსმალეთის იმპერიის დაშლის (1918) შემდეგ შენარჩუნდა ეგვიპტეში (1952 წლამდე) და ერაყში (1958 წლამდე).

თურქების მთავრობა ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენათა მსვლელობას რევოლუციურ რუსეთში და თავის ჯარს შეტევაზე გადასასვლელად ამზადებდა. 1917 წ. დასასრულს კავკასიის ფრონტის ოტომანური ჯარისგან ჩამოყალიბდა მესამე არმია მეჰმედ ვეჰიბ-ფაშას⁴¹ მეთაურობით. ამ არმიის დახმარებით თურქეთის სარდლობა გეგმავდა ომის მსვლელობაში დაკარგული ტერიტორიების ბრძოლით დაბრუნებას და, შეძლებისდაგვარად, შეტევის განვითარებას რუსეთის სამფლობელოებზე კავკასიაში. ამ შეტევის წარმატების შემთხვევაში იგეგმებოდა შემდგომი ექსპანსია შუა აზიისა და ქვემო ვოლგის რაიონებში ამ თავის დასაწყისში ნახსენები პანთურანული გეგმების სარეალიზაციოდ.⁴²

კავკასიის რეგიონში ანტანტის მომხრეებს ერთგვარ ოპტიმიზმს აძლევდა ომში აშშ-ის ჩარევა, რაც 1917 წლის აპრილში მოხდა, ასევე 1917 წლის დეკემბერში ბრიტანული მცირე საექსპედიციო კორპუსის შექმნა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „დენსტერფორს“ («Dunsterforce»), მისი მეთაურის, გენერალ ლიონელ დენსტერვილის (Lionel Charles Dunsterville, 1865-1946) სახელის მიხედვით; კორპუსი განკუთვნილი იყო უკვე ბრიტანელების მიერ დაკავებული მესოპოტამიიდან სამხრეთ კავკასიაში გადაყვანისთვის ბაქოს ნავთობის საბადოების დასაცავად თურქეთის შესაძლო შემოჭრისგან.⁴³ მაგრამ ომში აშშ-ის მონაწილეობა დასავლეთის ფრონტით შემოიფარგლებოდა, დენსტერვილის ბრიტანული მცირე კორპუსი კი მეტისმეტად მცირერიცხოვანი იყო და ჯერ მეტისმეტად შორს იმყოფებოდა.

სოვეტიზაცია ან სეპარატიზმი?

(1917 წლის ნოემბერი – 1918 წლის თებერვალი)

ნოემბრის („ძველი სტილით“ – ოქტომბრის) გადატრიალების წარმატებას მოჰყვა ბოლშევიკური („საბჭოთა“) ადმინისტრაციის აღიარება ყოფილი იმპერიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე,⁴⁴

⁴¹ 1916 წ. ვეჰიბის არმია რამდენჯერმე დამარცხდა რუსეთის ჯარებთან. 1918 წ. რუსეთის ომიდან გამოსვლის შემდეგ ვეჰიბის არმია შეტევაზე გადავიდა და ყველა დაკარგული ტერიტორია დაიბრუნა.

⁴² Allen, Muratoff, p.459.

⁴³ L. C. Dunsterville, *The Adventures of Dunsterforce* (London, 1920), pp. 1-30. Allen, Muratoff, p. 483

⁴⁴ ხშირად ერთგვარი წინააღმდეგობის შემდეგ.

გერმანულ – ავსტრია-უნგრული ოკუპაციის ზონისა და რამდენიმე განაპირა რეგიონის – მათ შორის ფინეთის დიდი ნაწილის, უკრაინისა და კავკასიის გამოკლებით (იხ. რუკა 30-ე გვერდზე). შემდგომში ამ პროცესს „სოვეტიზაცია“ ეწოდა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კი ცნობილია როგორც „საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა“. კავკასიის ყოფილი სამეფისნაცვლოს [გაუქმდა 1917 წლის 4 მარტს და შეიცვალა ორგანოთი სახელწოდებით „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“, ე. წ. **ოზაკომი** (ОЗАКОМ – «Особый Закавказский Комитет»), რომელიც მხოლოდ სამხრეთ კავკასიის მმართველობაზე იყო პასუხისმგებელი] ტერიტორიაზე წარმატებული სოვეტიზაცია მოხდა ქ. პორტ-პეტროვსკში⁴⁵ (1917 წ. 2 ნოემბერი) და მის გარშემო მცირე ანკლავში; შემდეგ – აფშერონის ნახევარკუნძულზე ქ. ბაქოსა და აფშერონის ნავთობსარეწების ჩათვლით (1917 წ. 15 ნოემბერი), ასევე ქ. ნოვოროსიისკში (1917 წ. 6 დეკემბერი), საიდანაც გავრცელდა შავი ზღვის მთელ გუბერნიაზე⁴⁶ (1917 წ. 14

⁴⁵ რფ-ის დაღესტნის რესპუბლიკის დედაქალაქი მახაჩყალა; სახელი გადაერქვა 1921 წ. დაღესტნელი (ეროვნებით ავარელი) რევოლუციონერის მახაჩ (ფსევდონიმი; ნამდვილი სახელი მუჰამედ-ალი) დახადავეის პატივსაცემად.

⁴⁶ გუბერნია (ძვ. ბერძ. **κυβερνήτης**-დან ლათ. *Gubernator* – „მესაჭე“) – პეტრე I დროს რუსეთში ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და ადგილობრივი მმართველობის უმაღლესი ერთეული. გუბერნიებს მხარეების მიხედვით მართავდნენ სხვადასხვა განსაკუთრებული დაწესებით, გარდა ე. წ. „ევროპული რუსეთის“ გუბერნიებისა, რომლებიც გუბერნიების საერთო დაწესებით (Однѣе управленіе губернскае – საკანონმდებლო აქტის სახელწოდება) მართავდნენ. 1914 წ. კავკასიის (კავკასიის მხარის) შემადგენლობაში შედიოდნენ: ბაქოს, ელიზავეტპოლის (ელისავეტპოლის), ერივანის, სტავროპოლის (არ შედიოდა კავკასიის სამეფისნაცვლოში, იმართებოდა როგორც ევროპული რუსეთის გუბერნია), ტფილისის (1849 წლიდან; ახალქალაქის, ახალციხის, ზორჩალოს, გორის, დუშეთის, თელავის, თიანეთის (რუს. Тионет), სიღნაღის, ტფილისის მაზრები), ქუთაისის (1846 წლიდან; ზუგდიდის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, რაჭის, სენაკის, ქუთაისის, შორაპანის მაზრები), შავი ზღვის (ადმინისტრაციული ცენტრი – ნოვოროსიისკი) გუბერნიები.

დეკემბრისთვის).⁴⁷ 1917 წლის ნოემბრის ბოლოსთვის რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მხარდაჭერაზე განაცხადეს თვითორგანიზებულმა საბჭოებმა იმ დროისთვის ჯერ კიდევ რუსეთის ჯარის მიერ ოკუპირებულ ქალაქებში ტრაპიზონში (აღმოსავლეთ თურქეთში) და ქაზიანში (ჩრდილოეთ ირანში)

1917 წლის 28 ნოემბერს ტფილისში⁴⁸ ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი, – პოპულარობადაკარგული „ოზაკომის“ შემცვლელი, და თავის თავზე აიღო ავტონომიური კოალიციური მთავრობის, რომელსაც მთელ სამხრეთ კავკასიასა და ოტომანთა იმპერიის ოკუპირებულ მომიჯნავე მიწებზე კონტროლის პრეტენზია ჰქონდა, ფუნქცია. ეს მთავრობა ოთხი დღით ადრე შემდგარი კონფერენციის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა ადგილობრივი საბჭოების, პროფესიული კავშირების, ასევე სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების საგანგებო ერთობლივი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების რეგიონალური კომიტეტის ინიციატივით. თავისი არსებობის დასაწყისიდანვე ეს ახალი მთავრობა არ მიისწრაფოდა რუსეთისგან მთლიანად გამოყოფისკენ. მან მხოლოდ თავის თავზე აიღო დროებითი ადმინისტრაციის ფუნქციები, რომელსაც უნდა

⁴⁷ მოცემული წიგნის შეზღუდული ჩარჩოები რუსეთის ყოფილი იმპერიის ზოგიერთ რეგიონში სოვეტიზაციის წარმატებისა და მის სხვა რეგიონებში ბოლშევიზმის მიუღებლობის გამომწვევი მიზეზების დაწვრილებითი ანალიზის აქ მოცემის საშუალებას არ იძლევიან. მაგრამ გუსტავ ლებონის, რიჩარდ პაიპსისა და ნიკოლა (ნიკოლას) ვერტის ანალიტიკურ გამოკვლევებზე, ასევე ანტონ დენიკინის, ლევ ტროცკისა და აღწერილი მოვლენების სხვა კომპეტენტური მონაწილეების მემუარებზე დაყრდნობით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ რუსი ხალხის უმრავლესობის მიერ ბოლშევიზმის პასიური მიუღებლობის მიუხედავად მან პრაქტიკულად გაიმარჯვა ყველგან, სადაც მისმა ოპონენტებმა ალტერნატიულ იდეოლოგიაზე ან ადგილობრივი თვითმმართველობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებზე დაყრდნობა ვერ შეძლეს.

⁴⁸ თბილისის სახელწოდების ძველი ფორმა. ეტიმოლოგია მომდინარეობს ძველი ქართული სიტყვისაგან „ტფილი“ (თბილი). 1936 წლამდე რუსულ ენაში გამოიყენებოდა ბერძნული ლიტერატურიდან ათვისებული სახელწოდება Тифлис (რეფორმამდე Тифлісь). ქართული ენაც ამ წლამდე იყენებდა სიტყვას „ტფილისი“.

ემართა რეგიონი სრულიად რუსეთის დემოკრატიულად არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, რომლის მსვლელობაში რუსეთის მომავალი სახელმწიფოს ფორმატზე გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ.⁴⁹

აქ უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წლის შემოდგომით სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ელიტები ასევე არ გეგმავდნენ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შექმნას. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნამდე რამდენიმე კვირით ადრე ტფილისში ჩატარდა არჩევნები სომხურ და ქართულ ეროვნულ საბჭოებში, რომელთაგან არც ერთი თავისი ხალხისთვის დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას არ გეგმავდა. 1917 წლის 11-დან 25 ოქტომბრამდე ჩატარებულ სრულიად რუსეთის სომხების კონგრესზე გაბატონებულ პოლიტიკურ ძალად პარტია დამნაკცუთიუნი გამოჩნდა, იმავე წლის 19-დან 23 ნოემბრამდე ჩატარებულ ქართულ კონგრესზე წამყვანი პარტია სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) იყვნენ. თითოეულ დასახელებულ კონგრესზე, სადაც ბოლშევიკების გარდა ყველა პოლიტიკური პარტია იყო წარმოდგენილი, აირჩიეს შესაბამისი ეროვნული საბჭოები და პროგრამული რეზოლუციები მიიღეს. სომხურ ეროვნულ კონგრესზე განხილული ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციული გარდაქმნა იყო. ეს საკითხი საკმაოდ აქტუალური აღმოჩნდა რამდენიმე კვირის შემდეგ ქართულ ეროვნულ კონგრესზე საქართველოს თვითმმართველობის შესახებ მიღებული რეზოლუციის გათვალისწინებით, რამდენადაც გუბერნიების, მაზრების⁵⁰ და ოლქების ძველი იმპერიული საზღვრები საქართველოს (იხ. რუკები 15-16 გვ.), სწორედ ისე როგორც სომხეთის, ფარგლების ზუსტად განსაზღვრის საშუალებას არ იძლეოდნენ.⁵¹ ზემოთ მითითებულ პრობლემაზე

⁴⁹ Richard G. Hovannisian, *Armenia on the Road to Independence* (Los Angeles, 1969), pp. 107-108.

⁵⁰ მაზრა (რუს. уезд) – რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის პროცესში (XV-XVI სს.) ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, დაყოფილი იყო თემებად (волости), XVIII საუკუნის დასაწყისში შევიდა გუბერნიის შემადგენლობაში. სსრკ-ში მაზრებად დაყოფა შემორჩა 1930 წლამდე.

⁵¹ Hovannisian, pp. 86-90.

А.Б. Кадишев, *Интервенция и гражданская война в Закавказье* (Москва, 1960), стр. 31.

პრინციპულად სხვადასხვაგვარი მიდგომა იყო ნაჩვენები რამდენიმე თვით ადრე, ზაფხულის კონფერენციაზე პეტროგრადში, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბორის ვესელოვსკისა და ქართველი ადვოკატის ზურაბ ავალოვის თავმჯდომარეობით. სომხებმა შემოიტანეს წინადადება, შექმნილიყო დიდი სომხური პროვინცია, რომელსაც უნდა მოეცვა არა მხოლოდ ერევანის გუბერნიის ტერიტორია, არამედ ასევე ყარსის ოლქის დიდი ნაწილი, ელიზავეტპოლის⁵² გუბერნიის მთიანი ზონა და ტფილისის გუბერნიის ორი – ახალქალაქისა და ბორჩალოს – მაზრა. სომხების ალტერნატიული წინადადება მდგომარეობდა სამი-ოთხი ცალკეული სომხური პროვინციის (არარატი, შირაქი, ვანანდი და, შესაძლოა, სიუნიქი) შექმნაში, რომლებსაც ასევე მთელი ზემოთ ნაჩვენები ტერიტორია უნდა მოეცვათ.⁵³ როგორც შემდეგ თავებში ვნახავთ, დაგეგმილი სომხური პროვინციის (ან რამდენიმე პროვინციის) ტერიტორია შეესაბამებოდა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიულ პრეტენზიებს, რომლებიც, პეტროგრადისა და ტფილისის განცხადებების შემდეგ ერთ წელზე ნაკლებ დროში გაახშიანეს. აქ ასევე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პეტროგრადში კონფერენციის დროს ქართველი სოციალ-დემოკრატები არ ეწინააღმდეგებოდნენ და ეთნიკური თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე მხარსაც კი უჭერდნენ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების მომავალი სომხური პროვინციის შემადგენლობაში შესვლის იდეას. მეორე მხრივ, ქართველი სოციალ-დემოკრატები ამ გეგმის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, ამტკიცებდნენ, რომ არც ერთ სომხურ პროვინციაში არ უნდა შესულიყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მომენტში ქართლ-კახეთის სამეფოს, ასევე მეფე ერეკლე II-ისთვის იმპერატრიცა ეკატერინა დიდის მიერ შეპირებული რაიმე ქართული ისტორიული ტერიტორია.⁵⁴

⁵² განჯა (აზერბ. Gəncə; ძველ ქართულ და სომხურ მატეანეებში – *განძ*; 1804-1920 წლებში – ელიზავეტპოლი, 1920-1935 წლებში – განჯა, 1935-1989 წლებში – კიროვბადი) – აზერბაიჯანის ფართობის სიდიდით მეორე და მოსახლეობის რაოდენობით მესამე ქალაქი

⁵³ Hovannisian, pp.91-93,

Robert H. Hewsen, *Armenia: a Historical Atlas* (Chicago, 2000), p. 234.

⁵⁴ Hovannisian, p. 92.

Из истории армяно-грузинских взаимоотношений. 1918 год: пограничный конфликт; переговоры; война; соглашение (Тифлис, 1919), стр.10.

მართლაც, 1783 წლისთვის მეფე ირაკლის სამფლობელო მოიცავდა არა მხოლოდ მთელ ტფილისის გუბერნიას ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გამოკლებით, არამედ მეზობელი – ელიზავეტპოლისა და ერივანის გუბერნიების მნიშვნელოვან ნაწილს. ამავე დროს, ზოგიერთი ზემოთ დასახელებული ტერიტორიების ეთნიკური შემადგენლობის მხედველობაში მიღებით დაგვეგმილ საქართველოში მათი ჩართვის წინადადება არარეალურად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის თვალსაზრისით ძირძველი ქართული მიწები უდავოდ მოიცავდნენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ტერიტორიას, ბათუმის ოლქს, ყარსის ოლქის თითქმის ნახევარს [არტაანისა (არდაღანი) და ოლთისის (ოლთუს) ოკრუგები⁵⁵], ასევე ზაქათალის ოკრუგს.⁵⁶ 1917 წლის ზაფხულში პეტროგრადის კონფერენციაზე აქვერ შეიხ-ულისლამოვის მიერ არტიკულირებული იყო თათრების⁵⁷

M. Varandian, *Le conflit armeno-georgien et la guerre du Caucase* (Paris, 1919), p.75.

⁵⁵ ოკრუგი (ინგ. region, district; გერმ. Bezirk, Kreis; რუს. округ, дистрикт; ქართულად ხშირად თარგმნიან – „ოლქი“) – რუსეთის იმპერიაში ზოგიერთი გუბერნიისა და ოლქის შემადგენელი ნაწილი; განსაკუთრებული, გუბერნიასთან გათანაბრებული ოკრუგები – ზაქათალის ოკრუგი (1859 წლიდან; შემდგომში შევიდა აზერბაიჯანის სსრ-ში), სოხუმის (1883 წლიდან).

⁵⁶ *Из истории армяно-грузинских взаимоотношений*, с. 68.

⁵⁷ აქ და ქვემოთ გამოყენებულია XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში თანამედროვე აზერბაიჯანელების წინაპრების აღსანიშნავად მიღებული ტერმინი „თათრები“ (ავტ.).

სალაპარაკო ქართულ ენაში „თათრებს“ უწოდებდნენ ყველა მუსლიმანს ამიერკავკასიაში. ისინი, ვინც ახლა აზერბაიჯანელებად არიან ცნობილნი, 1918 წლამდე თავს უბრალოდ მუსლიმანებს უწოდებდნენ, გასაგებია, მათი ნახევარი იყვნენ: *თათები* – კავკასიელი სპარსელები, ამიერკავკასიის სპარსელები, ირანული ეთნოსი, ლაპარაკობენ ირანული ენების სამხრეთ-დასავლეთ ჯგუფის თათურ ენაზე, აზერბაიჯანელებად ახლა მათი 90% ითვლება; *თალიშები* (tolışon) – ირანული წარმოშობის ეთნოსი, მათი ენა ირანული ენების სამხრეთ-დასავლეთ ჯგუფის თათი-თალიშური დიალექტია; *ყარაფაფახები* (აზერბ. Qarapapaqlar, თურქ. Karapapaklar – სიტყვასიტყვით „შავი ფაფახები“). თურქეთში უფრო გავრცელებულია სახელწოდება „თერექემე“) – თურქეთში, ირანში,

(აზერბაიჯანელების) წინადადებაც სამხრეთ კავკასიის სხვაგვარად მოწყობის შესახებ. ისლამოვი წინადადებას აყენებდა, უარი ეთქვათ დიდ მრავალეროვნულ გუბერნიებსა და მაზრებზე და სამხრეთ კავკასია დაეყოთ წვრილ, მაგრამ მონოეთნიკურ კანტონებად – მის ზოგიერთ გუბერნიაში მხარის რთული ეთნიკური შემადგენლობისა და „ეთნიკური მონაცვლეობის“ პირობებში ყველაზე მეტად მისაღები ვარიანტის სახით. ამ გეგმის რეალიზაციის შემთხვევაში ზოგიერთი სომხური კანტონი მუსლიმანური კანტონებით გარშემორტყმული აღმოჩნდებოდა, და პირიქით – ზოგიერთი თათრული ან ქურთული კანტონი სომხური კანტონებით იქნებოდა გარშემორტყმული. მაგრამ არცერთი ზემოთ მოყვანილი გეგმა ცხოვრებაში არ განხორციელებულა არც 1917-1918 წლების ზამთარში, არც შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში, რადგან ამიერკავკასიის კომისარიატს თავისი შექმნის დღიდან პირველი თვეების განმავლობაში ბევრად უფრო დრამატული პრობლემების გადაწყვეტაზე მოუხდა კონცენტრირება.

აღწერილ პერიოდში ამიერკავკასიის კომისარიატის მსგავსი ავტონომიური ადმინისტრაციები ჩამოყალიბდნენ ჩრდილო კავკასიაშიც. მათ რიცხვში შედიოდა 1917 წლის ნოემბრის ბოლოს *ყუბანის რადას* (ყუბანის კაზაკების არჩევითი საკანონმდებლო ორგანო) გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული ანტიბოლშევიკური საოლქო მთავრობა ეკატერინოდარში (ყუბანის ოლქის დედაქალაქში), ასევე 1917 წლის 14 დეკემბერს ვლადიკავკაზში (თერგის ოლქის დედაქალაქში) ჩამოყალიბებული *თერგ-დაღესტნის დროებითი მთავრობა*. *თერგ-დაღესტნის მთავრობის* შექმნასთან ერთდროულად *ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის გაერთიანებული მთიელთა კავშირის* ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა *მთიელთა ავტონომია*, რომელიც შემდეგ ცნობილი იყო როგორც „მთიელთა პირველი რესპუბლიკა“.⁵⁸ ეს კვაზისახელმწიფოებრივი წარმონაქმნი პრეტენზიას აცხადებდა დაღესტნის

აზერბაიჯანსა და საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი ეთნოსი; *ალოლაჰები*.

⁵⁸ კოსოკის თანახმად ამ ორგანიზაციის ოფიციალური სახელწოდება იყო „ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებული ხალხების კავშირი“.

ოლქზე, ასევე თერგის ოლქის მთიელებით დასახლებულ რაიონებზე.⁵⁹

ამგვარად, ბოლშევიზმთან ოპოზიცია ყოფილი რუსული კავკასიის დაშლის დასაწყისს აღნიშნავდა. 1918 წლის 19 იანვარს სანკტ-პეტერბურგში ბოლშევიკების მიერ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დაშლა შემდეგი ნაბიჯი გახდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის გზაზე ოლქებში, რომლებმაც სოვეტიზაცია არ ცნეს. უკანასკნელი მოვლენიდან ცხრა დღის შემდეგ ეკატერინოდარში (ყუბანის ოლქი) გამოცხადდა დამოუკიდებელი ყუბანის სახალხო რესპუბლიკა, კიდევ სამი დღის შემდეგ კი ამიერკავკასიის კომისარიატმა მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის (ამიერკავკასიის დამფუძნებელი კრების), რომელსაც სამხრეთ კავკასიის პირველი კანონიერი მთავრობა უნდა ჩამოეყალიბებინა, მოწვევის შესახებ. ერთი თვეც არ იყო გასული, რომ 1918 წლის 23 თებერვალს ტფილისში ჩატარდა ამიერკავკასიის სეიმის პირველი სხდომა. რადგან სეიმის ყველა წევრი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დელეგატი იყო, რომლებიც სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის მიერ დემოკრატიულად იყვნენ არჩეულნი, ამიერკავკასიის სეიმი შეიძლება რეგიონის პირველ, რუსეთის ცენტრალური საბჭოთა მთავრობისგან ფაქტიურად დამოუკიდებელ საკანონმდებლო ორგანოდ ჩაითვალოს.

მაგრამ რუსეთის იმპერიის დაშლა არა მხოლოდ „მთავრობათა აღლუმში“, არამედ ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების, რომლებიც მონარქიის ლიკვიდაციამდე მკაცრი კონტროლის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი, გამწვავებაში გამჟღავნდა. კავკასიაში შეიარაღებული ეთნიკური შეტაკებები ჯერ კიდევ 1917 წლის მაისში დაიწყო. პირველი ასეთი შეტაკებები მოხდა თერგის ოლქში – ძირითადად ერთი მხრიდან მთიელ მუსლიმანებსა⁶⁰ და მეორე მხრივ კაზაკებს, კოლონისტებსა და ორგანიზებულ დეზერტირებს


⁵⁹ ფაქტიურად ეგრეთ წოდებული „მთის რესპუბლიკა“ უფრო *გაერთიანებული მთიელების კავშირის* ცკ-სთან ვირტუალურ წარმონაქმნი იყო „მთავრობის“ სახით, რომელსაც დაღესტანში და მთიან ჩეჩნეთში მხოლოდ რამდენიმე მცირე ანკლავზე ჰქონდა არასრული ძალაუფლება.

⁶⁰ ჩრდილოკავკასიელი ქრისტიანი მთიელები (ოსები და მონათლული ჩერქეზები) ეთნოსშორის კონფლიქტების მსვლელობაში, როგორც წესი, რუსების მხარეს იჭერდნენ.


შორის.⁶¹ 1918 წლის დასაწყისიდან ეთნიკური ძალადობა გავრცელდა სამხრეთ კავკასიაშიც. ასე, 1918 წლის იანვარში მუსლიმანთა შეიარაღებული ბანდებმა დაიწყეს თავდასხმა მულანში (ლენქორანის მაზრა ბაქოს გუბერნიის ჯევადის მაზრის მასთან მიჯრილი უბნებით) ადრე ჩასახლებულ რუს და უკრაინელ კილონისტ გლეხებზე. თვის ბოლოს ჩრდილო მულანის სლავურენოვანი მოსახლეობა ამოჟლეტილი იყო, ამავე დროს სამხრეთ მულანში კოლონისტებმა თავდაცვის ორგანიზება გააკეთეს და თავის მხრივ ცეცხლს და მახვილს მისცეს ადგილობრივი მუსლიმანური (თიურქულ- და ირანულენოვანი) დასახლებები. 1918 წლის თებერვლის ბოლოსთვის მთელი მაზრა სასტიკი სამოქალაქო ომის ასპარეზი გახდა, რასაც თან ახლდა მხეცური საქციელი ერთმანეთის მიმართ.⁶² საუბედუროდ ყველა აღწერილი მოვლენა მხოლოდ დასაწყისი იყო ტრაგედიისა, რომელმაც რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის მთელი რეგიონი მოიცვა.

⁶¹ Pshemakho Kosok, “Revolution and Sovietization in the North Caucasus”, *Caucasian Review*, 1955, No.1, pp. 47-54.

⁶² В.А. Добрынин, *Оборона Мугани, 1918-1919 : записки кавказского пограничника* (Париж, 1923), стр. 4-46 и 64.



ADMINISTRATIVE DIVISIONS OF THE SOUTH CAUCASUS 1900 - 1914



BLACK SEA PROV.

- 1 Sochi county

BAKU PROVINCE

- 1 Baku county
- 2 Geokchay county
- 3 Guba county
- 4 Jevand county
- 5 Lankaran county
- 6 Shemakha county

ELIZAVETOPOL PROV.

- 1 Elizavetopol county
- 2 Aresh county
- 3 Jabrail county
- 4 Jevanshir county
- 5 Kazakh county
- 6 Nukha county
- 7 Shusha county
- 8 Zanghezur county

TIFLIS PROV.

- 1 Tiflis county
- 2 Akhalkalak county
- 3 Akhalsikh county
- 4 Borchalo county
- 5 Dushet county
- 6 Gori county
- 7 Signakh county
- 8 Telav county
- 9 Tionet county
- Z Zakatala district

KUTAIS PROV.

- 1 Kutais county
- 2 Lechkhumi county
- 3 Ozurgety county
- 4 Racha county
- 5 Senaki county
- 6 Shorapani county
- 7 Zugdidi county
- S Sukhum district
- B Batum district
- A Artvin district

ERIVAN' PROVINCE




- 1 Erivan' county
- 2 Alexandropol county
- 3 Echmiadzin county
- 4 Nakhichevan county
- 5 Novo-Bayazet county
- 6 Sharur-Daralagyaz county
- 7 Surmalu county


KARS TERRITORY


- 1 Kars district
- 2 Ardahan district
- 3 Kaghyzman district
- 4 Oltu district


- Provincial centre over 100,000
- Other provincial centre
- County / district centre
- Mine and industrial township

GEORGIAN LANDS BEFORE INCORPORATION INTO RUSSIA (1800)

-  Border of a kingdom or an empire
-  Border of a principality or a pashalik
-  National border, as of 2018

 Historical Georgian territory lost to Ottoman and Persian empires in the 16th and 18th centuries







კავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენერალი ნიკოლაი იუდენიჩი (ზის მარჯვნევ) ოპერაციების გეგმის დამუშავების დროს (1915 წლის თებერვალი)




„რუსეთი და თურქეთი“
(1915 წლის რუსული პროპაგანდისტული პლაკატი)



ენვერ-ფაშა



თურქი გენერლები კავკასიის ფრონტზე (1915 წ. თებერვალი)



რუსული ჯავსნოსანი „პანტელეიმონი“ (ყოფილი „პოტიომკინი“) ანატოლიის სანაპიროსთან (1916)



რუსი ჯარისკაცები ხელში ჩაგდებული თურქული დროშებით (1916)




რუსი ჯარების მიერ ოკუპირებული ტრაპიზონი (1916)




ტრაპიზონელი ქრისტიანები მიესალმებიან რუსულ ჯარს
(1916 წ. აპრილი)



ლიუდმილა ზომერი (ტფილისის ლუდის ქარხანა „დიტრიხის“ ("Дитрихъ") დირექტორის ნესტორ ზომერის ქალიშვილი) კავკასიის ფრონტზე ბრძოლების მსვლელობაში მოწყალების და იყო და მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ წინა ხაზიდან დაჭრილები გამოყავდა. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის IV და III ხარისხის ჯვრებით.



რუსული ჯარები შედიან ისპაანში (1916 წ. მარტი)





ფრანსუა ჟორჟ პიკო




სერგეი საზონოვი



სერ მარკ საიქსი


Plan of Partitioning the Ottoman Empire, 1916



TERRITORIAL POSSESSIONS SET UP BY THE AGREEMENT OF SAZONOV, SYKES AND PICOT:

- 1 Montenegro
 - 2 Albania
 - 3 Dodecanese (Ital.)
 - 4 Cyprus (de facto Brit.)
 - 5 Kuwait (Brit. Protectorate)
 - 6 Bahrain (Brit. Protectorate)
- Ottoman Empire, as of June, 1914

- Russia
 - Britain
 - France
- Projected Arab state with spheres of influence
 Projected zone of international control



Map showing the Eastern Mediterranean region in September 1917, illustrating territorial control during World War I. The map includes labels for major cities, seas, and empires. A legend identifies territories under the control of Allied Powers, Central Powers, and other entities. A list of numbered territories is provided at the bottom.



იმპერატორი ნიკოლოზ II გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე



1917 წლის გერმანული კარიკატურა, გამოხატავს თებერვლის (მარტის) რევოლუციის შემდეგ რუსეთის არმიის დაშლას



ვეკიბ-ფაშა (ზის შუაში)



თურქი ჯარისკაცები-ავიამექანიკოსები
კავკასიის ფრონტზე (1917 წ.)



კავკასიის ფრონტის სარდლობა (1917 წლის ბოლო)



რუსეთის არმიის ოფიცრები კავკასიის ფრონტზე (1917)




გენერალი ლიონელ დენსტერვილი



დენსტერვილის „ბრიტანელი“ ჯარისკაცები ჰამადანში (1917 წ. ბოლო)

CENTRAL, WESTERN AND SOUTH-WESTERN POSSESSIONS OF THE FORMER RUSSIAN EMPIRE, 8.XI.1917 - 1.II.1918



1 Territory controlled by pro-Allied Armeno-Assyrian forces

ბრესტის საზავო ხელშეკრულება: ბოლშევიკების გულუხვი საჩუქარი ოტომანთა იმპერიას

საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მისწრაფება სეპარატული ზავის დადებისკენ: დიპლომატიური თამაშები და ბოლშევიკების გულუხვი საჩუქრები ცენტრალურ წამყვან სახელმწიფოებს

1917 წლის 7 ნოემბრის გადატრიალების შემდეგ პეტროგრადის ბოლშევიკები მაშინვე ცენტრალურ წამყვან სახელმწიფოებთან (ოთხმაგი კავშირის⁶³ ოთხ წევრ ქვეყანასთან) სეპარატული საზავო მოლაპარაკებების ჩატარების ინიციატივით გამოვიდნენ. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 1917 წლის 3 დეკემბერს დაიწყო გერმანიის ჯარების მიერ ოკუპირებულ ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში. 15 დეკემბერს მიიღეს გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ერთი მხრიდან საბჭოთა რუსეთსა და მეორე მხრივ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის. ამის შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ შეწყვიტა მოლაპარაკებები და პეტროგრადში დაბრუნდა, რომ ულიანოვ-ლენინის მთავრობისთვის მიღებულ შედეგებზე მოეხსენებინა. მეორე დღესვე ბოლშევიკურმა მთავრობამ გამოსცა რამდენიმე დეკრეტი, რომლებითაც პრაქტიკულად ნადგურდებოდნენ ძველი საიმპერატორო არმიისა და ფლოტის ნარჩენები, რუსეთი კი აბსოლუტურად დაუცველი ხდებოდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხრიდან შემდგომი ექსპანსიის შემთხვევაში.⁶⁴

⁶³აქ: ანტანტის ქვეყნების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი) მოწინააღმდეგე ქვეყნების გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთისა და ოტომანთა იმპერიის ბლოკი.

⁶⁴ ერთი შეხედვით ამ და სხვა მოვლენებს, საბჭოთა მთავრობის დიპლომატიურ უვერტიურებსაც, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 1917 წლის დეკემბრიდან 1918 წლის მარტამდე, არ გააჩნდათ არც ლოგიკა, არც პრაგმატული სარგებელი. მაგრამ ისინი მთლიანად ესადაგებთან

მოლაპარაკებები ერზინჯანში

ამასობაში, 1917 წლის 30 ნოემბერს კავკასიის ფრონტის სარდალმა პრჟევალსკიმ მიიღო მე-3-ე ოტომანური არმიის მეთაურის ვეჰიბ-ფაშას მიერ გამოგზავნილი და ხელმოწერილი წინადადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. და იმ დროს, სანამ საბჭოები ოთხეულის ქვეყანასთან მოლაპარაკებას ცდილობდნენ, გენერალმა ვიშინსკიმ, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა კავკასიის არმიასაც და ამიერკავკასიის კომისარიატსაც, მოლაპარაკება დაიწყო ოტომანთა სარდლობასთან ქ. ერზინჯანში. ერთკვირიანი მოლაპარაკების შედეგი იყო 1917 წლის 18 დეკემბერს ხელმოწერილი ერზინჯანის დაზავება. დაზავების შეთანხმება კერძოდ შემდეგ პირობებს შეიცავდა:

- ყველა საბრძოლო ოპერაცია უნდა შეწყდეს შუალდამით შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ;
- სპეციალურად დანიშნულმა კომისიებმა უნდა გაატარონ ზუსტი სადემარკაციო ხაზები⁶⁵, რომლების გადაკვეთაც მტრულ არმიებს ეკრძალებათ;
- აკრძალულია სამხედრო ძლიერების გაზრდა ნებისმიერი მხრიდან;
- მესოპოტამიის ფრონტიდან კავკასიისაზე ოტომანთა ჯარის გადასროლა ჩაითვლება *casus belli*-დ;
- თურქეთის მხარე ვალდებულიებად იღებს სადემარკაციო ხაზებს შორის ნეიტრალურ ზონაში ქურთების მიერ და-

ლენინის, ტროცკისა და მათი პარტიული ამხანაგების დახვეწილ და ამასთან ერთად უკიდურესად ცინიკურ, მსოფლიო ჰეგემონიის მიღწევისკენ მიმართულ სტრატეგიას. სამწუხაროდ, ამ წიგნის მცირე ფორმატი ამ სტრატეგიის დაწვრილებითი ანალიზის ჩატარების საშუალებას არ იძლევა და ამიტომ იძულებული ვართ, შემოვიფარგლოთ მხოლოდ „მშვიდობის პროცესის“, რომელიც 1917 წლის დეკემბერში ბრესტ-ლიტოვსკში ამოქმედდა და უშუალო გავლენა მოახდინა შემდგომ მოვლენებზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ძირითადი ეტაპების ჩამოთვლით.

⁶⁵ ოჯანისიანის თანახმად, შეთანხმებით განსაზღვრული სადემარკაციო ხაზები თითქმის მთლიანად ემთხვეოდნენ 1916 წლის დეკემბრის ფრონტის ხაზს.

ზავების პირობების შესრულების გარანტიას; რუსეთის ჯარის მიერ ოკუპირებულ რაიონებში სამტრო მოქმედების ჩამდენ ქურთებს უნდა მოექცნენ როგორც ჩვეულებრივ ბანდიტებს – საომარი დროის კანონის მიხედვით;

- ერთ-ერთი მხარის მიერ დაზავების შეწყვეტის შესახებ მოწინააღმდეგე მხარეს უნდა შეატყობინოს საომარი მოქმედებების განახლებიდან 14 დღე-დამით ადრე.⁶⁶

მოლაპარაკებები ბრესტ-ლიტოვსკში და დეკრეტი „თურქულ სომხეთზე“

1918 წლის 22 დეკემბერს, ერზინჯანის დაზავებიდან ოთხი დღის შემდეგ ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო მოლაპარაკებების მეორე ფაზა საბჭოებსა და წამყვან სახელმწიფოებს შორის. ამჯერად საბჭოთა დელეგაცია ყველა ოთხი წამყვანი სახელმწიფოს წარმომადგენლებს შეხვდა. ოტომანთა იმპერიის ემისრად გამოდიოდა თალაათ-ბეი⁶⁷. მოლაპარაკებების მეორე ფაზის მსვლელობაში საბჭოებმა დღის წესრიგში ჩასვეს სამხრეთ კავკასია და აღმოსავლეთ თურქეთსა (თურქული სომხეთის ნაწილი და ლაზისტანი) და ჩრდილოეთ სპარსეთში „რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების“⁶⁸ დატოვება შესთავაზეს პოლონეთში,

⁶⁶ Hovannisian, *Op.cit.*, p. 110.

Kazemzadeh, pp. 82-83.

⁶⁷ ბეგი, ბეი (თურქ. beg, bey – მბრძანებელი, მთავარი; თავდაპირველი თიურქული მნიშვნელობიდან bak – ბელადი) – ძველი თიურქული ტიტულების საერთო იერარქიაში მეორე ადგილზე იდგა ხანის შემდეგ. ოსმალეთის იმპერიაში ამ ტიტულს ფლობდნენ ასევე ზოგიერთი კატეგორიის სახელმწიფო მოხელეები, XIX საუკუნიდან კი – არმიისა და ფლოტის უფროსი ოფიცრები. ტიტული თურქეთში 1934 წელს გაუქმდა. თანამედროვე თურქეთსა და აზერბაიჯანში სიტყვა „ბეის“ პატივსაცემი პიროვნებისადმი ზრდილობიანი მიმართვის მნიშვნელობა აქვს (ევროპული მიმართვების – ბატონი, მისტერ, სინიორ და სხვ. – ანალოგი).

⁶⁸ ფრაზა „რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები“ ბრჭყალებში ჩავსვით, იმიტომ რომ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების მეორე ფაზის დასაწყისისთვის კავკასიის ფრონტის სადემარკაციო ხაზების აღმოსავლეთით რეგულარული რუსული ჯარები პრაქტიკულად აღარ იყვნენ, მათი ადგილი კი უმეტესწილად სომხურმა, ქართულმა და ნესტორიანულმა (ასურულმა) ეროვნულმა ნაწილებმა დაიკავეს. ამასთან

ლიტვაში და კურლანდიაში ყოფილი რუსული ტერიტორიებიდან გერმანიის ჯარების გაყვანის სანაცვლოდ.

მოლაპარაკებების პროცესში სამხრეთ კავკასიის რეგიონის ჩაბმას წინ უძღოდა საბჭოების მიერ საზონოვ-საიქს-პიკოს 1916 წლის შეთანხმების საჯარო გაკიცხვა და მისი გასაიდუმლოების დარღვევა თურქეთის გაყოფის გეგმებთან დაკავშირებულ სხვა ადრე გასაიდუმლოებულ დოკუმენტებთან ერთად შეთანხმების ტექსტის რუსეთისა და საერთაშორისო გაზეთებში გამოქვეყნების გზით.⁶⁹ ავტორების უმეტესობის, რომლებიც 1917 და 1923 წლებს შორის საბჭოებისა და თურქების დამოკიდებულებების თემაზე წერდნენ, იმის შესახებ ვარაუდი, რომ ლენინი და მისი პარტია თურქეთს (როგორც ოტომანურს, ისე უფრო გვიანაც – ქემალისტურს) თავის მოკავშირედ თვლიდნენ ახლო აღმოსავლეთში მსოფლიო რევოლუციის გავრცელებისთვის ბრძოლაში, ემთხვევა.

იმავე დროს, ბოლშევიკების პარტიის რიგებში ეთნიკური სომხების მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობის გათვალისწინებით საბჭოთა მთავრობას სომხურ საკითხზე გარკვეული პოზიციის დაკავება მოუხდა. 1917 წლის დეკემბერში სიტუაცია კავკასიის ფრონტზე და თურქულ სომხეთში არაერთხელ განიხილებოდა სახკომსაბჭოს („სახალხო კომისართა საბჭოს“ – როგორც მაშინ ოფიციალურად იწოდებოდა საბჭოთა მთავრობა) სესიების დროს. 1918 წლის 11 იანვარს ბოლშევიკურ გაზეთ «Правда»-ში ლენინისა და სტალინის ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი „თურქული სომხეთის შესახებ“.⁷⁰ დეკრეტში აღნიშნული იყო პირობები, რომლებსაც “თურქული სომხეთის თვითგამორკვევის“ გარანტია უნდა მიეცათ.

- „თურქული სომხეთის“ ფარგლებიდან ჯარის გამოყვანა და სომხური სახალხო მილიციის დაუყოვნებლივ შექმნა

ამიერკავკასიის დე-ფაქტო არსებული ადმინისტრაცია განხილულ მომენტში სამხრეთ კავკასიას რუსეთის ტერიტორიად თვლიდა, თან ლენინის საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებას არ სცნობდა.

⁶⁹ *Центральный государственный архив Октябрьской революции (ЦГАОР СССР)*, папка 5402, оп. 1, док. 3, с. 1.

⁷⁰ Novannisian, Op. cit., pp.99-100.

Кадишев, с. 43.

„თურქული სომხეთის“ მცხოვრებთა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

- „თურქული სომხეთის“ ფარგლებში ლტოლვილი სომხების, ასევე სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული ემიგრანტი სომხების დაუბრკოლებელი დაბრუნება;
- ომის დროს თურქეთის სიღრმეში თურქ ხელისუფალთა მიერ იძულებით გასახლებული სომხების „თურქული სომხეთის“ ფარგლებში დაუბრკოლებელი დაბრუნება;
- „თურქული სომხეთის“ დროებითი სახალხო მმართველობის შექმნა დემოკრატიულ საწყისებზე არჩეულ სომეხი ხალხის დეპუტატთა საბჭოს სახით.⁷¹

ეს სახკომსაბჭოური დეკრეტი აშკარად თვალთმაქცურია, დაწყებული პირველივე პუნქტიდან, სადაც ლაპარაკია ამ დოკუმენტის გამოქვეყნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა დელეგაციის მიერ შეპირებული რუსული ჯარის გამოყვანაზე. დეკრეტში ასევე არ არის ცნების „თურქული სომხეთი“ ზუსტი განსაზღვრა. ხომ არ იგულისხმება ამ ცნების ქვეშ ისტორიული სომხეთის ნაწილი, რომელიც ომის მსვლელობაში რუსეთის ჯარის მიერ იყო ოკუპირებული? ანდა ყბადაღებული „ექვსი ვილაიეთი“? ან, შესაძლოა, „ექვსი ვილაიეთს“ პლუს კილიკია? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთაღნიშნული დეკრეტის გამოცემის მომენტში „სომხური მილიცია“ უკვე არსებობდა სომხური კორპუსის ფორმით, რომელსაც ახლა ფრონტის ხაზი ეკავა ერზინჯანიდან ვანამდე. ქალაქ ვანში კი, რუსული საოკუპაციო ზონის ფარგლებში, უკვე დე-ფაქტო არსებობდა თურქული სომხეთის ადმინისტრაცია.

დეკრეტის ტექსტი ასევე შეიცავდა შემდეგ ფრაზას: „კავკასიის საქმეებში საგანგებო დროებით კომისარს სტეფანე შაუმიანს ევალება ყოველგვარი თანადგომა გაუწიოს „თურქული სომხეთის“ მოსახლეობას მე-2-ე და მე-4-ე პუნქტების განხორციელების საქმეში, ასევე შეუდგეს შერეული კომისიის შექმნას „თურქული სომხეთის“ ფარგლებიდან ჯარების გამოყვანის (პუნქტი 1) ვადისა და ხერხის დასადგენად“.⁷²

⁷¹ *Декреты Советской власти. Том I. 25 октября 1917 г. – 16 марта 1918 г.* (Москва, 1957), с.208.

⁷² *Там же*, с. 209.

ბედის ირონიით, შაუმიანს დაკისრებულ ზემოთხსენებულ „დავალეხას“ წმინდად დემაგოგიური ხასიათი ჰქონდა იმის გამო, რომ არც ბ-ნი შაუმიანი, არც იმ დროისთვის მხოლოდ ბაქოს ქალაქის ფარგლებით შემოსაზღვრული მისი საბჭოთა ადმინისტრაცია არც ოტომანური თურქეთის, არც ამიერკავკასიის კომისარიატის, არც აფშერონის ნახევარკუნძულის ფარგლებს იქით სომხური ორგანიზაციების მიერაც კი არ იყვნენ აღიარებული. ამგვარად, დეკრეტი „თურქული სომხეთის შესახებ“, როგორც ჩანს, გამოცემული იყო მხოლოდ და მხოლოდ „შიგა სარგებლობისთვის“, მიზნად რუსულ ბოლშევიზმში სომეხი რევოლუციონერებისა და მსოფლიო დიასპორის იმედგაცრუების პროცესის შეჩერება ჰქონდა.

ამ დროს პაუზებითა და შეფერხებებით აგრძელებდნენ მოლაპარაკებებს ბრესტ-ლიტოვსკში. საბჭოთა დელეგაცია ბოლშევიკური ხელმძღვანელობისგან მიღებული დირექტივების შესრულებით მოლაპარაკებების მაქსიმალურად გაჭიანურებას ცდილობდა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მიერ წამოყენებული პირობები რუსეთისთვის უფრო და უფრო ნაკლებ ხელსაყრელი ხდებოდნენ. 1918 წლის 4-დან 20 იანვრამდე გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ასევე აწარმოებდნენ (საკმაოდ წარმატებითაც) სეპარატულ საზავო მოლაპარაკებებს უკრაინის დელეგაციასთან, რაც 1918 წლის 22 იანვარს უკრაინის დამოუკიდებლობის დეკლარაციითა და იმავე წლის 9 თებერვალს – ცენტრალურ წამყვან სახელმწიფოებსა და უკრაინას შორის სეპარატული საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა. თუმცა ამ ხელშეკრულების დებულებები საკმაოდ მძიმე იყო, ხელშეკრულება იმავე დროს ინარჩუნებდა ყოფილი რუსეთის იმპერიის უკრაინული ტერიტორიების (ეგრეთ წოდებული „დნეპრის უკრაინის“) მთლიანობას და ახალი სახელმწიფოს თითქმის ყველა ამბიციას აკმაყოფილებდა.⁷³

ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების მსვლელობაში სამხრეთ კავკასიას ასევე ჰქონდა შესაძლებლობა, უკრაინის მაგალითს მიჰყოლოდა, როცა 1918 წლის 14 იანვარს გენერალ-ლეიტენანტმა ილია ოდიშელიძემ (ქართული კორპუსის მეთაურმა) ვეჰიბ-ფაშასგან მიიღო წერილი, რომელშიც თურქეთის მე-3-ე არმიის მეთაური ენვერ-ფაშას (ოტომანთა იმპერიის სამხედრო მინისტრის)

⁷³ Paul Robert Magocsi, *A History of Ukraine* (Toronto, 1996), pp. 476 and 483-485.

სახელით ეკითხებოდა „კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობასთან გულთბილი დამოკიდებულების დამყარების შესაძლებლობის“ შესახებ,⁷⁴ ასევე თხოვდა ნებართვას „სამართლიან ორმხრივ ზავზე მოლაპარაკების ჩასატარებლად“ ტფილისში თურქეთის დელეგაციის გამოგზავნაზე.⁷⁵ ორი დღის შემდეგ ვეჰიბმა ოდიშელიძეს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა, რომელშიც ის ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) ადმინისტრაციას ბრესტ-ლიტოვსკში ცალკე დელეგაციის გაგზავნის რეკომენდაციას აძლევდა.⁷⁶ მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატმა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა. ავალოვის, ოვანისიანისა და კვინიტაძის აზრით, ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელობამ ერთგვარი ყოყმანის შემდეგ თავისთვის დაუშვებლად მიიჩნია თურქეთთან სეპარატულ მოლაპარაკებაში ჩაბმა უკვე არარსებული რუსეთის იმპერიისა და „რუსული რევოლუციისა და დემოკრატიისადმი“ რუდინენტული ლოიალობის შეთავსების გამო.⁷⁷ რაც შეეხება ამიერკავკასიის კომისარიატის უარს ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებში თავისი წარმომადგენლების გაგზავნის მიზეზებზე, კაზემზადე ამის ახსნას იმაში ხედავს, რომ მის მიერ ციტირებული საბჭოთა სამთავრობო დოკუმენტების თანახმად ვეჰიბ-ფაშას უკანასკნელი წერილი გენერალ ოდიშელიძისადმი ადრესატამდე მხოლოდ თებერვლის შუა რიცხვებში მივიდა.⁷⁸ ნებისმიერ შემთხვევაში არ ვხედავთ მიზეზს, არ დავეთანხმეთ იეშქეს აზრს, რომლის თანახმად 1918 წლის იანვარში თურქეთის საზავო ინიციატივის მიუღებლობა

⁷⁴ Hovannisian, *Op. cit.*

Авалов, стр.30.

⁷⁵ Hovannisian, *Op. cit.*

Зураб Авалов, *Независимость Грузии в международной политике 1918-1921* (Париж, 1924), с. 30.

⁷⁶ Kazemzadeh, *Op.cit.*

Hovannisian, p. 120.

⁷⁷ Авалов, с. 31.

Hovannisian, pp.119-120.

Kazemzadeh, p. 84.

Г. И. Квинитадзе, *Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921* (Париж, 1985), с. 5.

⁷⁸ Kazemzadeh, p.84.

ამიერკავკასიის ლიდერების ფატალური შეცდომა იყო.⁷⁹ მართლაც, თუ 1918 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე ბრესტ-ლიტოვსკში თურქეთის დელეგაცია დაჟინებით მხოლოდ ომისწინანდელი საზღვრების აღდგენას ითხოვდა, საზავო მოლაპარაკებების შეჩერებისა და გერმანიის შემდგომი შეტევის შემდეგ (იხ. ქვემოთ) თურქეთის ამბიციის უფრო შორს წავიდა და ოტომანურმა მთავრობამ თავისი მოთხოვნები კიდევ ბათუმსა და ყარსზეც გაავრცელა.⁸⁰

1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებში გერმანიის მთავრობა, როგორც ჩანს, დაიღალა მოლაპარაკებების გაჭიანურების საბჭოთა პოლიტიკისგან. 1918 წლის 18 თებერვალს ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკების დელეგაციის მეთაურ ლევ ტროცკისთვის გადაცემული ულტიმატუმის შემდეგ, წამყვან სახელმწიფოებსა და უკრაინას შორის ზავის დადებიდან მალე გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა აღმოსავლეთ ფრონტზე შეტევა განაახლეს.⁸¹

ოტომანთა იმპერიას იერიში მიაქვს

1918 წლის 2 თებერვალს ოტომანთა მე-3-ე არმიის ჯარებმა დაარღვიეს ერზინჯანის დაზავება და იერიში მიიტანეს სომხურ ნაწილებზე სოფელ ჩარდახლუსთან.⁸² კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების განახლებას წინ უძღოდა სომეხ ჯარისკაცებსა და დერსიმ-ზაზას⁸³ ტომის ქურთ აჯანყებულებს შორის

⁷⁹ Gotthard Jäschke, *Der Turanismus der Jungtürken : zur osmanischen Aussenpolitik im Weltkrieg* (Leipzig, 1941).

⁸⁰ Hovannisian, p.103.

⁸¹ Erich F.W. Ludendorff, *My War Memories, 1914-1918, Vol. II* (Uckfield, 2005), pp. 556-561.

⁸² Allen, Muratoff, p. 460.

ჩარდახლუ (თანამედროვე ჩანლიბელი) – აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შამქორის რაიონში მდებარე სოფელი.

⁸³ ზაზა (zāzā) – აქ: თურქეთის აღმოსავლეთში, ტიგროსისა და ეფრატის ზემო წელში მცხოვრები ირანული ეთნოსი; ხშირად თვლიან ქურთული ეთნოსის ნაწილად, რომლისგანაც განსხვავდებიან აღმსარებლობით (ისლამის სხვა მიმდინარეობა) და სალაპარაკო ენით ზაზაკი (Zazaki, მიეკუთვნება ინდოევროპული ოჯახის ირანული ენების ჩრდილო-დასავლეთ ჯგუფს). ყველაზე თავისებური ჩრდილო ზაზა ძირითადად სახლობს ოლქ დერსიმში (ჩრდ. ზაზ. Dersim – ვერცხლის კარიბჭე), ახლანდელ თურქულ პროვინცია თუნჯელიში (Tunceli).

მუდმივი შეიარაღებული შეტაკებების (ერზინჯანსა და ერზურუმს შორის) ორი თვე, ასევე პროტესტების სერია გენერალ ვეჰიბ-ფაშას მხრიდან „მუსლიმანების მასობრივ მკვლევლობებთან“ დაკავშირებით, რასაც თითქოსდა სომეხი ჯარისკაცები ჩადიოდნენ.⁸⁴ გენერლების ლებედინსკისა და ოდიშელიძის დროულმა პასუხებმა, რომლებსაც თან ახლდა დაპირება მათი სარწმუნოებისა და ეროვნებისგან დამოუკიდებლად ოკუპირებული ტერიტორიის ყველა მცხოვრების სიცოცხლის, ღირსებისა და ქონების პატივისცემასა და დაცვაზე, ისევე, როგორც მტკიცებამ იმის შესახებ, რომ სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ყველა დამნაშავე დამტკიცებულ ბოროტმოქმედებაში სასტიკად დაისჯება, გავლენა ვერ მოახდინეს თურქი სარდლის გადაწყვეტილებაზე სამარი მოქმედების განახლების შესახებ.⁸⁵ ამის მიუხედავად, ვეჰიბ-ფაშა ეცადა საქმის ისე წარმოდგენას, თითქოს ერზინჯანის დაზავება ჯერ ისევ ძალაში რჩებოდა, თურქეთის ჯარის წინააღმდეგ სადემარკაციო ხაზის იქით კი აქტიურ ფაზაში ომის დაბრუნებას არ ნიშნავდა. ლებედინსკისადმი 1918 წლის 12 თებერვლით დათარიღებულ თავის დეპეშაში ვეჰიბი შემდეგს ამტკიცებდა:

იძულებული ვარ, წინ წავწიო ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ორი არმიის კუთვნილი სამხედრო ნაწილების ცალკეული ელემენტები, ამის მიუხედავად მინდა გაცნობოთ, რომ ეს არაა მტრული აქტი... უმორჩილესად ვთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულითადი და გულწრფელი მტკიცება მასში, რომ ჩვენთვის ერზინჯანის დროებითი დაზავების პირობები ძალაში დარჩენას აგრძელებს, გარდა სადემარკაციო ხაზის პატივისცემის შესახებ მათი პარაგრაფისა, რომელმაც უეჭველად დაკარგა ძალა რუსული ჯარის აღსრულებული ევაკუაციის გამო.⁸⁶

⁸⁴ Allen, Muratoff, p. 460.

Hovannisian, p.122.

⁸⁵ ოვანისიანის გამოკვლევების შედეგების თანახმად დაზავების მოკლე პერიოდის განმავლობაში ერზინჯანში და მის გარშემო დაილუპა დაახლოებით ორასი მუსლიმანი, მაგრამ მთლიანობაში ვეჰიბ-ფაშას მტკიცება დიდად გაზვიადებული იყო და სინამდვილეში მხოლოდ დასუსტებულ მტერზე თავდასხმის საბაზი გახდა.

⁸⁶ Hovannisian, p.123.

იმავე დღეს ოტომანთა მე-3-ე არმიამ გენერალ ვეჰიბ-ფაშას სარდლობით შეტევა დაიწყო ერზინჯანისა და ტრაპიზონის მიმართულებით.

თურქების თებერვლის შეტევის დაწყებისას სომხური კორპუსის ნაწილები, რომელთა რიცხვი 21 ათას მებრძოლს არ აღემატებოდა, გენერალ ნაზარბეკოვის საერთო სარდლობით ძირითადად კონცენტრირებული იყო: ქ. ერზინჯანში და მის გარშემო (დაახლოებით 4000 ჯარისკაცი და ოფიცერი ექვსი საარტილერიო ქვემეხით პოლკოვნიკ ნიკოლაი მორელის მეთაურობით); ქ. ერზურუმთან (3500 ჯარისკაცი და ოფიცერი ოცდარვა საარტილერიო ქვემეხით გენერალ ანდრანიკის მეთაურობით), ქალაქების ყალეს, ჰინისყალას⁸⁷, ქოფისა და ვანის გარშემო, ასევე ერევანსა და ალექსანდროპოლში⁸⁸, სადაც გადაწყვეტილი იყო განსაზღვრული სამხედრო ძალის დაკავება პროთურქული ბანდების შემოტევის შემთხვევისთვის ტერიტორიიდან, რომელმაც შემდეგ აზერბაიჯანი შეადგინა.⁸⁹ სომხური კორპუსის დისლოკაციის ჩრდილოეთით განლაგებული იყო გენერალ ვასილ გაბაშვილის ათიათასიანი ქართული კორპუსი, რომლის ძალები გაფანტული იყო ქალაქებს – ტრაპიზონს, არდასას, გუმუშჰანეს⁹⁰, ბათუმს, ახალციხესა და ქუთაისს შორის.⁹¹ გენერლებს ევგენი ლებედინსკისა და ილია ოდიშელიძეს დაქვემდებარებული ზემოთ

⁸⁷ ჰინის (თურ. *Hınıs*, სომხ. *ჰნუს*) – ქალაქი და რაიონი ერზურუმის პროვინციაში.

⁸⁸ გიუმრი (ზოგიერთ ადრინდელ წყაროში – გუმრი, 1837 წლიდან – ალექსანდროპოლი, 1924-1990 წლებში – ლენინაკანი) – სომხეთის სიდიდით მეორე ქალაქი.

⁸⁹ Allen, Muratoff, pp. 458-459 and 460-461.

Novannisian, p.121.

Кадишев, стр. 43-48.

⁹⁰ გუმუშჰანე (Gümüşhane; თურქ. Gümüş – ვერცხლი, ფარსი „ჰანე“ – სახლი), არგირუპოლის (ბერძ. – ვერცხლის ქალაქი) — ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, შავი ზღვის რეგიონში, პონტოს მთების სამხრეთ ფერდობზე, გუმუშჰანეს პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. გუმუშჰანეს პროვინცია არ მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ხოლო თავად ქალაქი გუმუშჰანე ოთხივე მხრიდან მთებითაა შემოფარგლული.

⁹¹ Allen, Muratoff, p. 462.

Кадишев, стр. 48-49.

დასახლებული ყველა შეიარაღებული ძალა საკმარისი არ იყო, წარმატებით დაეცვა ფარდობითად დიდი ოკუპირებული ტერიტორია განუვითარებელი ინფრასტრუქტურითა და კავშირისა და მომარაგების არასაიმედო ხაზებით, რომლებსაც მუსლიმანი დივერსანტები (უპირატესად ქურთები) რეგულარულად ჭრიდნენ. აღწერილი რთული გარემოება ფრონტზე კიდევ იმითაც ღრმავდებოდა, რომ ქართული და სომხური ნაწილების მანევრირება შეუძლებელი იყო თურქული სომხეთისა და ლაზის-ტანის პანიკაში ჩავარდნილი ქრისტიანული მოსახლეობის ნაშთების ოტომანთა ჯარებისა და ადგილობრივი მუსლიმანების მიერ მათი გარდაუვალი გაჟლეტისგან დაცვის აუცილებლობით.

აღენისა და მურატოვის აზრით ვეჰიბ-ფაშას მე-3-ე ოტომანური არმია, რომელიც განლაგებული იყო სადემარკაციო ხაზის გასწვრივ შავი ზღვის სანაპიროზე ქალაქ თირებოლუსა და მდინარე ყარასუზე⁹² სოფელ ქემაჰს⁹³ შორის, 1918 წლის თებერვლის დასაწყისისთვის საკმაოდ ძლიერი იყო იმისთვის, რომ გაეტეხა როგორც სომხური, ისე ქართული ნაწილების წინააღმდეგობა. თავის შემადგენლობაში 45.000-დან 50.000-მდე პირადი შემადგენლობით, ირეგულარული კავალერიის ჩათვლით, ასევე 160 საარტილერიო ქვემეხით ამ არმიას შეეძლო ამიერკავკასიის ჯარების წინაშე ორჯერ მეტი უპირატესობით დაეტრახა.⁹⁴ ამის გარდა, სამხრეთ კავკასიის დამცველებს (ქართველებსა და სომხებს) მარცხენა ფლანგიდან ემუქრებოდა ოტომანური არმიის მდინარე ევფრატსა და სპარსეთის საზღვარს შორის დისლოცირებული მე-4-ე კავკასიური კორპუსი ალი-იჰსან-ფაშას მეთაურობით, მათ ზურგში კი თანდათანობით ღვივდებოდა მუსლიმანური მოსახლეობის მასიური აჯანყება არა მხოლოდ თურქულ სომხეთსა

⁹² ყარასუ (თურქ. Karasu – შავი წყალი) – შუა აზიის, კავკასიის, ყირიმი-სა და ევრაზიის ყველა რეგიონში, სადაც თურქული ხალხების რამდენადმე მნიშვნელოვანი ყოფნა შეინიშნებოდა, ტოპონიმიკაში გავრცელებული სახელწოდება. აქ: მდინარე თურქეთის აღმოსავლეთში, ევფრატის ერთ-ერთი, მარჯვენა შემადგენელი (დასავლეთ ევფრატი, ზემო წელში – ყარასუ-ნეჰრი).

⁹³ ქემაჰი (Kemah) – აქ: დასახლება და რაიონი თურქეთის ერზინჯანის ვილაიეთში, მდინარე ევფრატის ნაპირზე. პირველ მსოფლიო ომში, 1915 წლის ზაფხულში, ამ ადგილებამდე მიადწიეს რუსეთის კავკასიის არმიის ჯარებმა.

⁹⁴ Allen, Muratoff, p. 460.

და ლაზისტანში, არამედ რუსეთის ტერიტორიის ყოფილ ტერიტორიებზე – ყარსისა და ბათუმის ოლქებში, ასევე ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში.⁹⁵ მეორე მხრივ, ოვანისიანისა და კადიშევის აზრით, ოტომანური ჯარის ზემოთ მოხსენებული უპირატესობა ქართველებსა და სომხებზე შეიძლებოდა ადვილად განულებულიყო საბრძოლო და სხვა სამხედრო მასალების, ფორმის ტანსაცმლის, და ფეხსაცმლისაგ კი, მწვავე ნაკლებობით თურქების ძლიერი დასუსტების გამო. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ცუდი ინფრასტრუქტურისა და კვების პროდუქტის მწარმოებელი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის, რომელიც ან გაანადგურეს, ან გაყარეს ომით გაჩანაგებული რეგიონიდან, არყოფნის გამო თურქული არმია შიმშილის პერსპექტივას შეეჯახა. მაგრამ ძალიან მალე თურქებისთვის მისაწვდომი გახდა ომის წარმატებით საწარმოებლად საჭირო ყველა აუცილებელი მასალა და სურსათი, რაც საკმარისზე მეტი რაოდენობით ინახებოდა არარსებობაში დანთქმული რუსული კავკასიური არმიის საწყობებში ერზურუმში, ყარსში და სხვა ადგილებში და უკანდახეულმა ქართველებმა და სომხებმა უბრალოდ მიატოვეს.⁹⁶

ერზინჯანის დაცემა

ოტომანური ჯარების უეცარი შეტევა ჩარდახლუზე თურქების მიერ ბრძოლით დასავლეთ სომხეთის დაბრუნების ოპერაციის დასაწყისი გახდა. მნიშვნელოვანწილად მოვლენათა ასეთი შემობრუნება პროვოცირებული იყო 1918 წლის იანვარში ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების მსვლელობაში ტროცკის მიერ წარმოთქმული „ცნობილი“ ლოზუნგით – „არც ომი, არც ზავი“.⁹⁷ 1918 წლის 13 თებერვალს ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებები შეწყვიტეს. იმავე დღის საღამოს კი ქალაქი ერზინჯანი თითქმის მთლიანად ბლოკირებული აღმოჩნდა, მისი დამცველები კი ქემასისა და ჩარდახლუს მიმართულებებიდან მოწინააღმდეგის 1-ლი კავკასიური კორპუსის შეტევის მოლოდინში იყვნენ. თურქებს გენერალი ქაზიმ ყარაბეჯირი მეთაურობდა. შექმნილ ვითარებაში

⁹⁵ Allen, Muratoff, pp. 463-464.

Кадишев, стр. 44, 48 и 51.

Hovannisian, p. 135 and 158.

⁹⁶ Hovannisian, p. 124, 135-137.

Кадишев, стр.48.

⁹⁷ Hovannisian, p. 123.

მორელმა ერზინჯანიდან უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო და 14-დან 18 თებერვლამდე პერიოდში მისთვის მინდობილი ჯარი მამახათუნის⁹⁸ მიმართულებით წაიყვანა. ჯარის კოლონებს თან ახლდა ათასობით ლტოლვილი მასობრივი განადგურებისგან თავის გადასარჩენად. უკანდახევას, საეჭვოა, რომ ორგანიზებული ეწოდოს, რადგანაც სომხურმა ნაწილებმა დაყარეს ყველა საარტილერიო ქვემეხი და ტყვიამფრქვევევიც კი, ლტოლვილების ნახევარი კი ან გზაში დაიღუპა, ან ძლიერად მოიყინა.⁹⁹ ოთხი დღის შემდეგ თურქებმა მამახათუნიც დაიკავეს.

დენსტერვილის საექსპედიციო კორპუსის პირველი თავგადასავლები

ერზინჯანის დაცემიდან სამი დღის შემდეგ გენერალ დენსტერვილის მცირე საექსპედიციო კორპუსმა („დენსტერფორსმა“) კასპიის სანაპიროზე სპარსეთის ნავსადგურ ენზელის¹⁰⁰ მიაღწია, ზღვით ბაქოში გადასვლისა და ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ ამიერკავკასიის (ქართულ-სომხური) ჯარების საბრძოლო მოქმედებების მხარდაჭერის გადაწყვეტილებით. ამ ფორმირების შემადგენლობაში შედიოდა 65 ბრიტანელი, ავსტრალიელი, ახალზელანდიელი, სამხრეთ აფრიკელი და კანადელი სამხედრო მოსამსახურე რამდენიმე ჯავშანავტომობილით, ასევე კონტრაქტით დაქირავებული დაახლოებით სამი ასეული რუსი ოფიცერი, ფელდფებელი და კაზაკი გენერალ ნიკოლაი ბარათოვის „სპეციალური დამრტყმელი ჯგუფიდან“. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ კორპუსი მეტისმეტად მცირე იყო, რათა სერიოზული გავლენა მოეხდინა ძალთა თანაფარდობაზე და შეეცვალა კავკასიის ახალი კამპანიის მსვლელობა, რაც ამკარად თურქების სასარგებლოდ ეწყობოდა. ამის მიუხედავად, თვით თავისი არსებობის ფაქტით ის

⁹⁸ ახლანდელი თერჯანი (Tercan) – ქალაქი და რაიონი ერზინჯანის პროვინციაში.

⁹⁹ Allen, Muratoff, p. 461.

Hovannisian, p. 123.

Кадишев, с. 44.

¹⁰⁰ ახლანდელი ბენდერ-ენზელი (1925-1980 წლებში – ფეჰლევე) – ქალაქი ირანის ჩრდილოეთში გილანის პროვინციაში, შაჰრესტან ენზელის ადმინისტრაციული ცენტრი. ირანის უდიდესი ნავსადგური კასპიის ზღვის სანაპიროზე.

შეიძლება მორალური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ფაქტორი გამხდარიყო იმ ქართველებისა და სომხებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ მზად იყვნენ ანტანტის მხარეზე ოტომანთა იმპერიასთან საბრძოლველად. მაგრამ ენზელიში მოსვლისას ბრიტანული მცირე რაზმი მაშინვე დაბლოკეს, რადგან ქალაქის ტერიტორიასა და ნავსადგურს რუსეთის ბოლშევიკები და სპარსი რევოლუციონერ-ჯენგელიელები¹⁰¹ აკონტროლებდნენ. პროკომუნისტურად და პროთურქულად განწყობილ სამ-ხუთ ათას მებრძოლთან დაპირისპირება დენსტერვილს ფიზიკურად არ შეეძლო და ამიტომ ჰამადანში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, სადაც მისი კორპუსი იძულებული იყო, კიდევ სამი თვის განმავლობაში დარჩენილიყო.¹⁰² იმავდროულად მორელის დამარცხებული სომხური ჯარი უკანდახევას აგრძელებდა, ახლა უკვე ერზურუმის მხარეს. აშკალაში¹⁰³ მათ შეუერთდნენ ლტოლვილები ბაიბურთიდან¹⁰⁴ და მცირე სომხური რაზმი, რომელიც ადრე ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილის გარნიზონს შეადგენდა. 25 თებერვლისთვის სომხები მზად იყვნენ ერზურუმის დასავლეთით ილიჯაში¹⁰⁵ გამაგრებული პოზიციის შესანარჩუნებლად. ამავე დროს მე-3-ე ოტომანური არმიის მე-2-ე

¹⁰¹ ჯენგელიელები, ჯანგელიელები (ტყის ძმები; ფარსიზე «gangel» – ტყე) – ანტისამთავრობო პარტიზანული მოძრაობის მონაწილეები გილანში (სპარსეთი) 1912-1921 წლებში. ჯენგელიელების მოძრაობა დამარცხდა, მაგრამ გააძლიერა თიურქული წარმოშობის მმართველი ყაჯარების დინასტიის (1795-1925) კრიზისი და მალე შაჰის მთავრობის მარცხი გამოიწვია.

¹⁰² Lionel Dunsterville, *The Adventures of Dunsterforce* (London, 1920), pp. 10, 14-15, 29, 38-50.

Timothy C. Winegard, “Dunsterforce: A Case Study of Coalition Warfare in the Middle East, 1918-1919”, *Canadian Army Journal*, Vol.8.3. Fall / 2005, p.103.

¹⁰³ აშკალა – სოფელი საქართველოში, წალკის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1700 მ სიმაღლეზე. წალკიდან დაშორებულია 27 კილომეტრით. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოხსენიებულია ზემო აშკალას სახელწოდებით.

¹⁰⁴ ბაიბურთი – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, შავი ზღვის რეგიონში, ბაიბურთის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი.

¹⁰⁵ 2008 წლიდან ქალაქი აზიზე ერზურუმის ილში თურქეთში

კორპუსმა იაყუბ შევქი-ფაშას მეთაურობით შეტევა დაიწყო ტრაპიზონზე, არდასაზე და გუმუშჰანეზე პონტოელი ბერძნების ადგილობრივი მოსახლეობის მოლაშქრეებით გაძლიერებული გაბაევის ქართული კორპუსის ქვედანაყოფების წინააღმდეგ.¹⁰⁶

„უკრაინული ეროვნული არმიის“ ევაკუაცია ტრაპიზონიდან

კავკასიის ფრონტის შავიზღვისპირა უბანზე თურქების ახალი შეტევის დაწყებისას ქართული ჯარისა და პონტოელი ბერძნების ლაშქრის გარდა იმყოფებოდა ოფიციალურად „უკრაინელებად“ განცხადებული რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურე. ესენი იყვნენ რუსეთის ყოფილი საიმპერატორო არმიის ჯარისკაცები, რომლებიც თავის დროზე მობილიზებული იყვნენ გუბერნიებში უკრაინულენოვანი მოსახლეობით და 1918 წლის იანვრისთვის რეორგანიზებული ეგრეთ წოდებულ „უკრაინულ ეროვნულ არმიად“ ტრაპიზონში მყოფი „ანატოლიის უკრაინული სამხედრო საბჭოს“ მიერ. ამ ორგანოს სათავეში ჩაუდგა უკრაინის ახალშექმნილი მთავრობის (უკრაინის ცენტრალური რადას) სპეციალური, ტრაპიზონში ჯავსნოსან „Вояк“-ზე ჩამოსული კომისარი ნიკოლაი სვიდერსკი. ამ უკრაინულ ჯარს თურქებთან შებრძოლება არ უნდოდათ და ოდესაში ეტაპობრივი ევაკუაციის პროცესში იმყოფებოდნენ, რის შესახებაც ოტომანურ მთავრობას შეტყობინება ჰქონდა. 1918 წლის 25 თებერვალს ქალაქები თირებოლუ და ტრაპიზონი თურქებმა დაიკავეს, 24 საათის შემდეგ კი თურქული დროშა გუმუშჰანეზეც აფრიალდა.

ქართველების უკანდახევა

1918 წლის თებერვალ-მარტში ლაზისტანიდან ქართული კორპუსის უკანდახევა თითქმის წინააღმდეგობის გარეშე მიმდინარეობდა, იმ დროს, როცა პონტოელ ბერძენთა მოლაშქრეების ნაწილმა მთებში დაიხია, რომ უკანასკნელ მეომრამდე ეწარმოებინა პარტიზანული ბრძოლა.¹⁰⁷ აქ არ შეიძლება არ წამოიჭრას კითხვა:

¹⁰⁶ Allen, Muratoff, p. 461.

Hovannisian, p.122.

¹⁰⁷ პონტოელი ბერძნების რამდენიმე რაზმი კიდევ 1922 წლის ბოლომდე აგრძელებდა პარტიზანულ ბრძოლას პონტოს (პარიადრიის) მთებში (ჩრდილო ანატოლიის მთები), ამაო იმედით, რომ საიდანმე დახმარება მოვიდოდა. მაგრამ დახმარება არა და არ მოვიდა.

რატომ არ უნდოდათ ქართველებს ნაჩვენებ პერიოდში თურქებთან ბრძოლა? ოვანისიანის აზრით,¹⁰⁸ ქართული სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ იყო დარწმუნებული სომხებთან უპირობო თანამშრომლობის მიზანშეწონილობაში, მნიშვნელოვანწილად გერმანული და თურქული აგენტურების ძირგამომთხრელი მოქმედების წყალობით. გერმანიისა და თურქეთის აგენტები საიდუმლოდ ხვდებოდნენ ქართველ ლიდერებს, ომის მსვლელობაში მომხდარ საბრძოლო მოქმედებებს აწოდებდნენ როგორც მხოლოდ და მხოლოდ სომხეთ-თურქეთის ომს, არწმუნებდნენ მათ, თავი შეეკავებინათ ყოველგვარი მონაწილეობისგან და გულუხვ დაპირებებს იძლეოდნენ ცენტრალური წამყვანი სახელმწიფოების გამარჯვების შემთხვევაში.¹⁰⁹ ამავე დროს აშშ-ის კონსული ტფილისში ფ. უილოუბი სმიტი დაჟინებით უწევდა რეკომენდაციას თავის მთავრობას, დაერწმუნებინა კავკასიის ქრისტიანები „მყარ მხარდაჭერაში მოკავშირე დიდი სახელმწიფოების მხრიდან“, დარწმუნებული იყო, რომ ამით ოტომანთა შემოსევის საწინააღმდეგოდ ქართველებისა და სომხების ეფექტური გაერთიანება შეიძლებოდა. მაგრამ სმიტის ეს და სხვა იდეები უარყოფილი იქნა რუსეთში აშშ-ის ელჩის დევიდ რ. ფრენსისის მიერ, რომელიც ჩაურევლობის სტრატეგიას მისდევდა იმაში, რაც მას „რუსეთის შიგა საქმეებად“ წარმოედგინა.¹¹⁰ ზემოთ ნათქვამს შეიძლება დავამატოს, რომ ქართველი ნაციონალისტ-ინტელექტუალების მცირე რიცხვისგან განსხვავებით ტრაპიზონის, არდასას და გუმუშჰანეს რაიონებში დისლოცირებული ქართველი ჯარისკაცების უმრავლესობა შორს იყო იმ აზრისგან, რომ ლაზისტანი საქართველოს ნაწილად ჩაეთვალიათ, და ვერ ხედავდნენ, ამ უცხო, შორეულ მხარეში რისთვის უნდა ებრძოლათ. ქართული ჯარის მორალური სულისკვეთება კიდევ უფრო მოშალა მათ მიმართ ადგილობრივ ლაზ მცხოვრებთა მტრულმა დამოკიდებულებამ, რომლებიც, ქართველებთან ენობრივი მონათესაობის მიუხედავად, ოტომანთა იმპერიისადმი აქტიურ ერთგულებას ინარჩუნებდნენ. ლაზების ამ განწყობის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ

¹⁰⁸ მოცემულ საკითხში ოვანისიანის აზრი ემყარება ტფილისში აშშ-ის ყოფილი კონსულის ფ. უილოუბი-სმიტის ქაღალდების ინტენსიურ შესწავლას.

¹⁰⁹ Hovannisian, p. 117.

¹¹⁰ *Op.cit.*, pp. 117-118.

ქრისტიანობის მიმდევარი ქართველებისგან განსხვავებით ლაზები, რომლის წინაპრებს XV საუკუნის დასასრულს ისლამი მიაღებინეს, თურქებს თავიანთ ერთმორწმუნეებად თვლიდნენ. ყოველ შემთხვევაში ქართული კორპუსის ჯარები აგრძელებდნენ აღმოსავლეთისკენ უკანდახევას, მხოლოდ ეპიზოდურ არიერგარდულ ბრძოლებს აწარმოებდნენ და მარტის შუა რიცხვებში, თურქებისგან დევნილნი, ომის წინანდელ რუსეთ-თურქეთის საზღვართან მივიდნენ.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და მისი შედეგები სამხრეთ კავკასიისთვის; მოლაპარაკებათა ჩაშლა ტრაპიზონში

1918 წლის 23 თებერვალს ბოლშევიკების ლიდერებმა პეტროგრადში ბერლინიდან მიიღეს ტელეგრამა, რომელიც გერმანელების უკანასკნელ ულტიმატუმს შეიცავდა. ზავზე გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ახალი პირობები ბევრად უფრო ხისტი აღმოჩნდნენ, ვიდრე ბოლშევიკებს შეეძლოთ ევარაუდათ, და საბჭოთა რუსეთს გადაწყვეტილების მისაღებად 48 საათი ეძლეოდა. ამ დროის ნახევარზე მეტი დაჭირდა ბოლშევიკების ლიდერს ვლადიმირ ლენინს, რომ მისი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, შემდეგ კი საბჭოთა მთავრობა¹¹¹ ზავის ახალი პირობების მიღებისა და ცენტრალურ წამყვან სახელმწიფოებთან საზავო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ბრესტ-ლიტოვსკში ახალი დელეგაციის გაგზავნის აუცილებლობაში დაერწმუნებინა. მაგრამ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ელიტები შეეცადნენ, ლენინზე უფრო სწრაფად ემოქმედათ. იმავე 23 თებერვლის საღამოს ტფილისში მოიწვიეს ამიერკავკასიის სეიმი რეგიონული საკანონმდებლო ორგანოსა და ეფექტური ადმინისტრაციის შექმნის მიზნით. ამ ადმინისტრაციას უნდა დაეცვა წესრიგი სამხრეთ კავკასიაში, ასევე გაეტარებინა გადაუდებელი რეფორმები რუსეთის დედაქალაქში ლეგიტიმური მთავრობის არარსებობის დროს.¹¹² სეიმი შედგებოდა დეპუტატებისგან, რომლებიც 1918 წლის 19

¹¹¹ უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, „საბჭოთა მთავრობად“ აქ იგულისხმება ეგრეთ წოდებული ВЦИК (Всероссийский Центральный Исполнительный комитет) – სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც აღწერილ მომენტში რსფსრ-ის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანო იყო.

¹¹² Hovannisian, 124.

იანვარს ბოლშევიკების მიერ დაშლილ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში იყვნენ არჩეულნი სამხრეთ კავკასიისგან (იხ. ზემოთ). სეიმის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი პოლიტიკური ორიენტაციების 112 დეპუტატი:

სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები)	33
მუსლიმანური ბლოკი (მუსავატელები, ითიჰადელები და გუმეტელები)	44
დაშნაკები	27
ესერები	5
კადეტები (კონსტიტუციონალ-დემოკრატები)	1
ქართველი ნაციონალ-დემოკრატები	1
ქართველი ფედერალისტები	1 ¹¹³

ამიერკავკასიის სეიმის პირველ სესიაზე განხილული ერთ-ერთი პირველი საკითხი იყო საზავო წინადადებათა პაკეტი, რომლებიც კვლავ შექმნილ საკანონმდებლო ორგანოს დელეგატებს უმოკლეს ვადაში უნდა გადაეცათ თურქებისთვის. ასეთი აჩქარების მიზეზი, როგორც ჩანს, ზემოთ ხსენებული გერმანული ულტიმატუმის შინაარსში მდგომარეობდა. სხვა პირობების გარდა ეს ულტიმატუმი შეიცავდა ყარსისა და ბათუმის¹¹⁴ ოლქების ოტომანთა იმპერიისთვის დაუყოვნებლივი გადაცემის მოთხოვნას. იმის მხედველობაში მიღებით, რომ ამიერკავკასიის შეიარაღებული ფორმირებები ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ აღნიშნულ ოლქებს, ისევე როგორც დასავლეთ (თურქული) სომხეთის მნიშვნელოვან ნაწილს, სამხრეთ კავკასიის ლიდერებს თურქებთან მნიშვნელოვნად უკეთეს პირობებზე სეპარატული ზავის იმედი ჰქონდათ, ისინი ვარაუდობდნენ, მიჰყოლოდნენ უკრაინის მთავრობის მაგალითს, რომელმაც ცენტრალურ წამყვან სახელმწიფოებთან სეპარატულ საზავო ხელშეკრულებას ჯერ კიდევ 1918 წლის 9 თებერვალს მოაწერა ხელი. უფრო ადრე, ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების განახლებიდან მალე, ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც თავისი უფლებამოსილება

¹¹³ *Op.cit.*, p. 126.

¹¹⁴ თურქულ ლიტერატურაში ეს ორი ოლქი ხშირად აღნიშნულია როგორც „სამი სანჯაყი“. **სანჯაყი** (სიტყვასიტყვით – „დროშა“) ოსმალეთის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. რამდენიმე სანჯაყი ქმნიდა პროვინციას ანუ ვილაიეთს.

სეიმის მოწვევის შემდეგ მაშინვე მოიხსნა, განიხილავდა ოსმანთა იმპერიასთან თუნდაც პრელიმინარული მოლაპარაკებების¹¹⁵ შესაძლებლობას. ჯერ კიდევ 23 თებერვლამდე შედგა ტელეგრამების განსაზღვრული მიმოცვლა, კონსტანტინოპოლმა და ტფილისმა კიდევ მოილაპარაკეს წინასწარი საზავო კონფერენციის მოწვევაზე ტრაპიზონში¹¹⁶ მაგრამ ახლა, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა ოტომანთა იმპერიას უკვე თითქმის მისცა სამხრეთ კავკასიის ნაწილი, ტფილისში რაც შეიძლება სწრაფად ზავის დადებას ჩქარობდნენ.

მოლაპარაკებები ტრაპიზონში

2 მარტს ამიერკავკასიის დელეგაცია აკაკი ჩხენკელის (სეიმის პრეზიდენტი) მეთაურობით მზად იყო თურქეთის ჯარებისგან უკვე დაკავებულ ტრაპიზონში გასამგზავრებლად. ზავის ძირითადი პირობები, რომლებსაც ამიერკავკასიის დელეგაცია სთავაზობდა, შემდეგ პუნქტებამდე იყო დაყვანილი:

1. რუსეთ-თურქეთის ომისწინანდელი საზღვრების აღდგენა.
2. თურქული სომხეთისთვის ავტონომიის მინიჭება ოტომანთა იმპერიის ჩარჩოებში.¹¹⁷

მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკიდან მიღებულ ტელეგრამასთან დაკავშირებით ტრაპიზონში გამგზავრების გადადება მოუხდათ. ლევ კარახანის (საზავო მოლაპარაკებებზე ახალი საბჭოთა დელეგაციის ოთხი წევრიდან ერთ-ერთის) ხელმოწერილი ეს ტელეგრამა შეიცავდა ბოლშევიკების მზადყოფნის დადასტურებას თურქებისთვის ყარსის, არტანისა და ბათუმის გადაცემაზე, რამაც სამხრეთ კავკასიის ლიდერების აღშფოთება გამოიწვია, ამ

¹¹⁵ პრელიმინარული [ლათ. prae – წინა, liminaris ზედს. limen-დან (ზღვარი)] (დიპლ.) – წინასწარი. პრელიმინარული საზავო მოლაპარაკება – წინასწარი შეთანხმება, რომელშიც მეომარი მხარეები აღგენენ მომავალი საზავო მოლაპარაკების ძირითად პირობებს. პ. ს. მ. განსაზღვრავს ომის შეწყვეტის პირობებს, მათ შორის ახალ საზღვრებსა და ტერიტორიულ ცვლილებებს.

¹¹⁶ Allen, Muratoff, p. 460.
Hovannisian, p. 128-129.

¹¹⁷ Hovannisian, p. 130.

Кадишев, с. 45.

ტელეგრამის გაგზავნიდან 24 საათიც კი არ იყო გასული, რომ გიორგი ჩიჩერინმა (ესეც ბრესტში ბოლშევიკების დელეგაციის წევრი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მომავალი სახალხო კომისარი) ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულების IV მუხლი ადასტურებდა თურქეთისთვის აღმოსავლეთ ანატოლიის (დასავლეთ სომხეთის) დაბრუნებას და რუსეთისგან უარს ყარსისა და ბათუმის ოლქებზე, ანუ როგორც ოფიციალურ ტექსტში იყო დასახელებული, – «*округов Ардагана, Карса и Батума*». თუ რეგიონში ძალების ბალანსს მივიღებთ მხედველობაში, ეს მუხლი ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოტომანთა იმპერიაში ფაქტიურად გადაცემასა და კავკასიაში 1877 წლის საზღვრების აღდგენას ნიშნავდა. სეიმის დეპუტატებს რამდენიმე დღე დაჭირდათ ამ კატასტროფით გამოწვეული შოკის დასაძლევად, რის შემდეგაც სეიმმა ბოლშევიკებისგან ხელმოწერილი ხელშეკრულება ბათილად გამოაცხადა, ამის შესახებ ტელეგრამებით აცნობა ევროპის ყველა მთავრობას და, ბოლოს, დელეგაცია გაგზავნა თურქეთში.¹¹⁸

ამიერკავკასიის დელეგატებმა ტრაპიზონს მხოლოდ 1918 წლის 8 მარტს მიაღწიეს გემ „King Karl“-ით. ამ მომენტისთვის ქალაქი უკვე ოტომანთა მე-3-ე არმიის მე-2-ე კორპუსს ჰქონდა დაკავებული. დელეგატებს კონსტანტინოპოლიდან მოლაპარაკებაში მათი თურქი პარტნიორების მოსვლამდე ნაპირზე გადასვლის ნება არ მისცეს. თურქი პარტნიორები კი ჰუსეინ რაუფ ორზაის (ოტომანთა ფლოტის შტაბის უფროსის) მეთაურობით არ ჩქარობდნენ. ამიერკავკასიის დელეგატები მათ ტრაპიზონის ნავსადგურში გემზე ელოდნენ, ამ დროისთვის კი თურქეთის დივიზიები შეტევას აგრძელებდნენ დასავლეთ სომხეთში.

10 მარტს, ტრაპიზონის კონფერენციის გახსნის წინ, ვეჰიბ-ფაშამ ტელეგრაფით შეატყობინა ლეზედინსკის მოთხოვნა 1877 წლის საზღვრებს იქით ამიერკავკასიის ყველა ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.¹¹⁹ ამ ტელეგრამით ოტომანური სარდლობა არაორაზროვნად აქარაგმებდა, რომ რადგანაც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება ხელმოწერილია, ომი დამთავრებულია და თურქეთს უფლება აქვს დაიკავოს მისთვის ხელშეკრულებით

¹¹⁸ *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии* (Тифлис, 1919) стр. 85-86.

¹¹⁹ Hovannisian, p. 132.

დაწესებული ტერიტორიები. ზემოთ ნათქვამის შუქზე ცხადი იყო, რომ ოტომანური ექსპანსიისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის ნებისმიერი მცდელობა განიხილებოდა როგორც ბანდიტიზმი და აღიკვეთებოდა შესაბამისად. ორი დღით გვიან ოსმალთა დელეგაცია რაუფ-ბეის მეთაურობით ბოლოს მოვიდა ტრაპიზონში და 14 მარტს გაიხსნა პრელიმინარული კონფერენცია. მისი დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ კი ყველა დელეგატს აცნობეს ერზურუმთან თურქების გადამწყვეტი გამარჯვების შესახებ (იხ. ქვემოთ). 20 მარტს მოლაპარაკება მთლად ჩიხში შევიდა, იმიტომ რომ თურქულმა მხარემ გააკეთა შემდეგი განაცხადი:

1. რადგანაც ამიერკავკასიის სეიმს არ გამოუცხადებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ოტომანთა იმპერიის მთავრობას, რომელსაც ტრაპიზონში რაუფ-ბეი წარმოადგენს, არ შეეძლო განეხილა ამიერკავკასია სხვაგვარად, თუ არა როგორც რუსეთის ინტეგრალური ნაწილი, რომელიც ვალდებულია უპირობოდ დაემორჩილოს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს.¹²⁰
2. ეგრეთ წოდებული „თურქული სომხეთის“ ნაწილი არავითარ გარემოებაში არ შეიძლება იყოს კონფერენციაზე განხილვის ობიექტი, რადგან ეს ოტომანთა იმპერიის შინაგან საქმეებში ჩარევის მცდელობა იქნებოდა.

ზემოთ თქმულს რაუფ-ბეიმ დაამატა, რომ „ბრწყინვალე პორტა“¹²¹ მოხარული იქნება, მიესალმოს ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) დამოუკიდებლობას იმ პირობით, თუ სეიმი დაიცავს ახალი სახელმწიფოს შექმნისთვის აუცილებელ ყველა

¹²⁰ Kazemzadeh, p. 95.

¹²¹ პორტა (ოტომანური პორტა, ბრწყინვალე პორტა, მაღალი პორტა, ასე უწოდეს სტამბოლის ცენტრში დიდი ვეზირის ეზოში შემავალი ჭიშკრის მიხედვით. ტერმინი გაჩნდა ფრ. Porte-სა და იტ. Porta-სგან, რაც თურქული „მაღალი კარიბჭის“ კალკაა) – დიპლომატიის ისტორიაში და საერთაშორისო დამოუკიდებულებებში ოსმალეთის იმპერიის მთავრობის მიღებული სახელწოდება. მაღალი პორტა თურქი მოხელეების ენაზე თურქეთის სულთნის რეზიდენციას, ასევე თურქეთის მთავრობის ადგილსამყოფელს ნიშნავს. სახელწოდებას XV საუკუნიდან იყენებენ.

პროცედურას და მოთხოვნას, ასევე ამიერკავკასიისგან ყარსისა და ბათუმის ოლქებზე უარის თქმის პირობით. ამის საპასუხოდ ჩხენკელმა მოლაპაკების პროცესში შესვენება მოითხოვა იმისთვის, რომ მისი მეთაურობის ქვეშ მყოფი დელეგაციის ნაწილს შეძლებოდა ტფილისში დაბრუნება კონსულტაციების ჩასატარებლად. რაუფ-ბეი დაეთანხმა შესვენებაზე და მეორე დღეს თერთმეტი ამიერკავკასიელი დეპუტატისგან სამი ტრაპიზონიდან ტფილისს გაემგზავრა.¹²² ამ დროს ოტომანთა მე-3-ე არმია შეტევას აგრძელებდა ძველი საზღვრის მიმართულებით.

ბრძოლის გაგრძელება დასავლეთ სომხეთისთვის

იმ დროს, როცა დიპლომატიური მისიის წევრები თბილისიდან თავის ოსმან პარტნიორებს ელოდნენ ტრაპიზონის ყურეში გემ „King Karl“-ზე, ერზურუმის მიდამოებში ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გამაგრებული ქალაქის სომეხი დამცველები პრაქტიკულად ყველა მხრიდან თურქების კომბინირებული იერიშის პირისპირ იდგნენ. წინიდან მათზე იერიში მიჰქონდა კავკასიის 1-ლი კორპუსის მე-5-ე¹²³ და 11-ე დივიზიების ნაწილებით გაძლიერებულ 36-ე დივიზიის ორ პოლკს, ორივე ფლანგზე სომხების წინააღმდეგ იდგნენ საერთო რაოდენობით 3000 მხედრისგან შემდგარი ქურთების ბანდები, რომლებსაც შეუწყვეტლივ იერიშები მიჰქონდათ ჩრდილოეთის ჭაობების მხრიდან და სამხრეთით – მდინარე თექედერეს მხრიდან.¹²⁴ ილიჯასა და ერზურუმის გარშემო 15 დღე-ღამის განუწყვეტელი ბრძოლების შემდეგ ქალაქის ყველა დამცველის მეთაურმა გენერალმა ანდრანიკმა უკანდახვევის ბრძანება გასცა. ასე განმეორდა ერზინჯანის ტრაგედია ერზურუმში. ოვანისიანის, კადიშევისა და რამდენიმე სხვა მკვლევარის აზრით, ყველა ზემოთ აღწერილი სირთულეების მიუხედავად სომხებს წმინდად თეორიულად მაინც ჰქონდათ შესაძლებლობა, გამაგრებულიყვნენ ერზურუმის გარშემო კარგად გამაგრებულ პოზიციებზე და თუ ისინი მოახერხებდნენ

¹²² Hovannisian, pp.138-141.

Кадишев, стр. 45-46.

¹²³ მე-5-ე დივიზიის ზოგიერთი ნაწილი ბაიბურთში გაიგზავნა.

¹²⁴ Allen, Muratoff, pp. 462-463.

Hovannisian, pp. 134-136.

Кадишев, стр. 47-48.

ერზურუმის დაცვას, შემტევი თურქები ამ რაიონში რამდენიმე თვით შეიბოჭებოდნენ, სამხრეთ კავკასიის ფარგლებში შემდგომი შეტევის განვითარების ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე. უფრო მეტიც, პრაქტიკულად ყველა სამხედრო ისტორიკოსი, რომლებიც ამ ეპიზოდს სწავლობდნენ, თანმხედებიან იმაში, რომ ერზურუმი დაეცა ანდრანიკისა და მისი გარემოცვის სხვა სომეხი საველე მეთაურების, რომლებიც მშვენივრად ფლობდნენ პარტიზანული ომის ტაქტიკას, მაგრამ სრულიად უუნარონი აღმოჩნდნენ პოზიციური თავდაცვის მათი თანამედროვე სტრატეგიის ორგანიზაციისთვის, შეცდომებისა და ანგარიშში გადაცდენის გამო. ერზურუმის ჩაბარებაზე ანდრანიკის გადაწყვეტილება მიღებული იყო 1918 წლის 11 მარტს. მეორე დღეს სომხურმა ნაწილებმა უკან დაიხიეს ყარაურღანის¹²⁵ გავლით ყარსის მიმართულებით, თურქები კი ერზურუმის სიმაგრეში შევიდნენ. ერზურუმში ოსმანთა ჯარმა „მემკვიდრეობად მიიღო“ საბრძოლო მასალის უზარმაზარი მარაგი და დაახლოებით 400 (!) საარტილერიო ქვემეხი, რომლებიც სომხებმა არამცთუ ვერ გამოიყენეს, წყობიდანაც კი არ გამოიყვანეს.

12 მარტს ნაზარბეკოვმა ჰინისყალასა და ქოფიდან უკანდახევის ბრძანება გასცა. სომეხთა მსროლელი მე-2-ე პოლკის ნაწილებმა პასინღერისკენ (ჰასანყალა) დაიხიეს, სადაც მათ შეუერთდნენ ანდრანიკის ჯარის ნარჩენები, ქალაქ ყარაქიოსეს¹²⁶ სომეხ მოხალისეთა ნაწილებმა კი დაიწყეს ქოფიდან უკადახევა ალაშქერთის¹²⁷ მხარეს მალაზქერთისა და თუთაქის გავლით.¹²⁸ 23 მარტს თურქული 12-ე დივიზიის ნაწილებმა დაიკავეს მალაზქერთი,¹²⁹ თვის ბოლოს კი 36-ე დივიზიის ჯარმა რუსეთ-თურქეთის

¹²⁵ რუსეთის იმპერიის ყარსის ოლქის სასაზღვრო სოფელი.

¹²⁶ 1920-იან წლებამდე – ყარაქილისა (თურქულად „შავი ეკლესია“), 1920-იან წლებიდან 1946 წლამდე – ყარაქიოსე (ქურთ. *Qerekose*), ახლანდელი აღრი (Ağrı) – ქალაქი აღმოსავლეთ თურქეთში, აღრის ილის ცენტრი, დასახლებულია უმეტესად ქურთებით. XVI საუკუნიდან თურქეთის შემადგენლობაშია.

¹²⁷ თანამედროვე *ელემქირთი* (ქურთ. ზედიკანი, ძვ. სომხ. ვაღარშაქერტი) – ძველი ქალაქი თურქეთის აღმოსავლეთში, აღრის ილში.

¹²⁸ Allen, Muratoff, p. 463.

Hovannisian, p. 137.

¹²⁹ E. J. Erickson, *Ordered to Die: A History of the Ottoman Army in the first World War* (Westpoint/London, 2001) p.195.

ომისწინანდელ საზღვარს მიაღწია ყარაურღანისა და ნარიმანის¹³⁰ ახლოს.

დღეს ალბათ გაზვიადება არ იქნება თქმა, რომ მთელი დასავლეთ სომხეთისთვის ბრძოლაში ერზურუმის დაცემა გადამწყვეტ სტრატეგიულ დამარცხებას ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ აპრილის დასაწყისისთვის სომხური ჯარის განსაზღვრული რაოდენობა ჯერ ქალაქების ვანის, ყარაქიოსესა და ბაიზეთის¹³¹ რაიონში იმყოფებოდა, მათ უკვე აღარ შეეძლოთ მდგომარეობის გადარჩენა და მათი უკანდახევა მხოლოდ დროის საკითხი იყო. ამასობაში თურქული ჯარი და ქურთების ირეგულარული მხედრობის (ბაშიბუზუკები) რაზმები სომხეთის პლატოზე ძლევამოსილი მარშით მიიწვედნენ წინ და მხარის ქრისტიანული მოსახლეობის ნარჩენების, რომლებმაც ევაკუაცია ვერ მოასწრეს, ფიზიკური განადგურების გზით „სომხური პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას“ ამთავრებდნენ. თავის მხრივ უკანდახეული სომხური ჯარები ასევე ხშირად მხეცურად ექცეოდნენ მათ გზაზე მოხვედრილ მუსლიმანურ მოსახლეობას, რაც მხოლოდ აღვივებდა ურთიერთ სიძულვილსა და გააფთრებას.¹³²

ამ დროს კი ტფილისში, ხანგრძლივი და უნაყოფო პაექრობის შემდეგ, სეიმის დეკრეტებმა ვერ იქნა და ვერ მიაღწიეს თანხმობას: ვერც რუსეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში, ვერც ოტომანთა იმპერიასთან საზავო შეთანხმებისთვის საფუძვლად ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების მიღების თუ არ მიღების საკითხში. სეიმმა მხოლოდ ჩხენკელი აღჭურვა თურქებთან კონფლიქტის „ღირსეულად დარეგულირების“ მიღწევის „ყველა აუცილებელი ზომის“ მიღების რწმუნებით.¹³³ 29 მარტს ამიერკავკასიის დელეგატების ნაწილი ტფილისიდან დაბრუნდა და ჩხენკელს სეიმის გადაწყვეტილებაზე შეატყობინა. ჩხენკელმა თავის მხრივ თხოვა თურქებს, მიეცათ მისთვის დამატებითი დრო მოლაპარაკების ახალი სტრატეგიის შე-

¹³⁰ აქ: მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ამჟამად მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე.

¹³¹ ბაიაზეთი – თანამედროვე დოღუბაიაზითი (*Doğubayazıt*), 1934 წლამდე – ბაიაზით (*Bayazıt*); ქურთულად – ბაზიდ (*Bazîd*) სომხურად – არშაკავან. 1920 წლამდე შედიოდა ერზურუმის ვილაიეთში, შემდეგ – აღრის ილში.

¹³² Hovannisian, p. 135.

¹³³ Hovannisian, p. 142.

მუშავეებისა და შესაძლო დათმობებზე დელეგაციის წევრებს შორის კონსენსუსის მიღწევისთვის და ეს თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა.¹³⁴ ამასთან ოტომანური სარდლობა არ აპირებდა შეტევის შეჩერებას მთელ ფრონტზე, არამედ, პირიქით, გეგმავდა უმოკლეს ვადაში დაეკავებინა ყველა ტერიტორია, რომელიც, მისი აზრით, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებით თურქეთს გადაეცა. თურქეთის ფრონტის მეორე მხარეს კი ჯერ კიდევ ფორმალურად რუსული კავკასია ზრდადი სიჩქარით მიექანებოდა სამოქალაქო ომისკენ.

კავკასიაში რუსეთის სამფლობელოების შემდგომი დაშლა

თეორიულად სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია) ფლობდა როგორც მნიშვნელოვან რესურსებს, ისე ოტომანური აგრესიის წარმატებით მოგერიების შემძლე გაწვრთნილი და ბრძოლაში გამოწრთობილი ჯარისკაცების საკმაო რაოდენობას. პრაქტიკაში კი ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, იმის გამო, რომ ადგილობრივი საზოგადოება ღრმად იყო გათიშული სოციალური, იდეოლოგიური, ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით.

ამბოხებები და ეროვნებათაშორისი შეჯახებები ბაქოს გუბერნიასა და ჩრდილო კავკასიაში

1918 წლის იანვრიდან დაწყებული, სამხრეთ კავკასიის ბაქოს გუბერნია, ასევე ჩრდილო კავკასიის დაღესტნისა და თერგის ოლქები¹³⁵ პროტომანური ამბოხებების არენა გახდნენ, რასაც თან ახლდნენ თავდასხმები ქრისტიანულ მოსახლეობაზე. 1918 წლის იანვრიდან აპრილამდე მულანს¹³⁶ (ჯევადისა და ლენქორანის მაზრებს) უსასტიკესი რელიგიური ომი აჩანაგებდა. შედეგად ჯევადის მაზრის დიდი ნაწილი აღმოჩნდა შეიარაღებული მუსლიმანების ხელში, რომლებმაც ჯიჰადი გამოუცხადეს ყველა ადგილობრივ ქრისტიანს, ლენქორანის მაზრას კი ჯევადის მაზრის მცირე ნაწილთან ერთად (ეგრეთ წოდებული „რუსული მულანი“) სტაბილურად ამაგრებდნენ ადგილობრივი რუსი მოლაშქრეები

¹³⁴ Allen, Muratoff, p. 463.
Novannisian, pp. 149-150.
Кадишев, с.48.

¹³⁵ თერგის ოლქში ეს ეხება მხოლოდ მთიან ჩეჩენეთს.

¹³⁶ მულანი (აზერბ. Muğan, სომხ. წყაროებით – მოვაკანი) – ისტორიული ოლქი ყარაბაღის აღმოსავლეთით კასპიის ზღვის სანაპირომდე.

ორი გამოცდილი ოფიცრის – შტაბს-კაპიტან ვასილი დობრინინისა და პორუჩიკ ბორის ხოშევის მეთაურობით. „რუსული მულანის“ დამცველები თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდნენ ჩრდილოეთ (ჯევადის) მიმართულებით, ამავე დროს ასევე წარმატებით იგერიებდნენ დასავლეთიდან მომთაბარე შაჰსევენების¹³⁷ იერიშებს, რომლებიც შეუერთდნენ ჯიჰადს და სპარსეთის ტერიტორიიდან ლენქორანის მაზრაში შეჭრას შეეცადნენ.¹³⁸

ეროვნებათშორისი შეტაკებები ელიზავეტპოლის გუბერნიაში

დროის აღწერილ მომენტში ერევანისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებსაც მოედო ეროვნებათშორისი დამაბულობა სომხებსა და თათრებს შორის. ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბრის ბოლოს მუსლიმანურმა საბჭომ ქალაქ ელიზავეტპოლში მიიღო გადაწყვეტილება თათრების შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ. მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხს აგებდნენ კავკასიის თვითლიკვიდირებული რუსული არმიის საწყობების დაცვაზე, ცდილობდნენ, არ დაეშვათ მუსლიმანების შეიარაღება და იარაღისა და საბრძოლო მასალის მოთხოვნაზე უარით პასუხობდნენ.¹³⁹ ასეთი პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი იყო შამქორის¹⁴⁰ სადგურზე ელიზავეტპოლის გუ-

¹³⁷ შაჰსევენები (აზერბ. Şahsevən – შაჰის ერთგულნი) – თიურქულენოვანი ხალხი ან აზერბაიჯანელების ეთნოგრაფიული ჯგუფი. მომთაბარეთა ეს ჯგუფი მოსახლეობს ირანის ჩრდილო-დასავლეთში და აზერბაიჯანის ჯებრაილის სტეპში არაქსის სამხრეთით. ლაპარაკობენ აზერბაიჯანულ ენაზე, აღსარება – შიიტური მოძღვრების ისლამი.

¹³⁸ Добрынин, *Op.cit.*

¹³⁹ უმეტეს შემთხვევაში კომისარიატის ეს წარმომადგენლები ეროვნებით რუსები, ქართველები ან სომხები იყვნენ, რომლებიც მუსლიმანებს არ ენდობოდნენ და მოიერიშე თურქებისადმი სიმპატიით განწყობილ „მეხუთე კოლონად“ თვლიდნენ.

¹⁴⁰ **შამქორი** (აზერ. Şamkir; ძველი სახელწოდება შამქური და შამჯირი) – ქალაქი აზერბაიჯანში, შამქორის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. ცნობილია იქ მომხდარი ბრძოლებით: *შამქორის* (ქართული წყაროებით – შანქორი) *ბრძოლა* (დაახლ. 1010-1011 წლებში) – დაპირისპირება საქართველოს სამეფოსა (მეფე ბაგრატ III) და განძის საამიროს (ამირა ფადლონი) ლაშქარს შორის. *შამქორის ბრძოლა* (1195 წ. 1 ივნისს) – საქართველოს სახელმწიფო ლაშქრის ბრძოლა ირანის აზერბაიჯანის ათაბეგის აბუ-ბაქრის წინააღმდეგ. *შამქორის ბრძოლა* (1826 წ. 3

ბერნიის შეიარაღებული მუსლიმანების თავდასხმა ეშელონზე, რომელსაც ყოფილი 219-ე პოლკის ჯარისკაცები გადაჰყავდა. შემდგომში 1918 წლის 22 იანვარს მომხდარი ინციდენტი ცნობილი გახდა როგორც „შამქორის ხოცვა-ჟლეტა“¹⁴¹ ამ შეტაკების შედეგად მოკლული იყო რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასამდე რუსი ჯარისკაცი, თავდამსხმელებმა კი ხელში ჩაიგდეს 15 ათასი შაშხანა, 70 ტყვიამფრქვევი, 20 საარტილერიო ქვემეხი, ასევე ვაზნების, ჭურვებისა და ფორმის ტანსაცმლის დიდი რაოდენობა.¹⁴² იმავდროულად აღდამისა და ევლახის რაიონებში ადგილი ჰქონდა რუსული გარნიზონებისა და ცალკეული ევაკუირებული ნაწილების სტიქიური განიარაღების შემთხვევებს, რომლის დროსაც ხანდახან მკვლელობები ხდებოდა.

ელიზავეტპოლის გუბერნიაში ადგილობრივი თათრები ასევე რეგულარულად ბლოკავდნენ ბაქო-ტფილისის რკინიგზას, სომხური ჯარების ტრანსპორტირების ხელისშემშლის მიზნით. შედეგად დასავლეთის ფრონტიდან კავკასიაში გადაგზავნილი სომხური ეროვნების ოფიცრებისა და ჯარისკაცების უმეტესობა ბაქოში ჩარჩა (იხ. ზემოთ). მთელი გუბერნია, ისე როგორც მისი ცენტრი, ორ ზონად – მუსლიმანურად და ქრისტიანულად (სომ-

(15) სექტემბერი) – ერთ-ერთი დიდი ბრძოლა ირანის არმიასა და რუსეთის ჯარებს შორის რუსეთ-ირანის ომის (1926-1828 წწ.) დროს.

¹⁴¹ კაზემზადეს მიერ მოყვანილი მონაცემებით, შამქორის ოპერაცია რუსეთის ჯარისკაცების, რომლებმაც ფრონტი მიატოვეს, განიარაღებისთვის ჩატარდა ქართული ეროვნული საბჭოს მეთაურის, გამოჩენილი ქართველი მენშევიკის, შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის პირადი მითითებით. მაგრამ სამთავრობო რაზმი ძალიან მცირე და გამოუცდელი იყო არცთუ ცუდად ორგანიზებული და შეიარაღებული თავხედი და აგრესიული დეზერტირების, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენდნენ ყველა ტერიტორიისთვის, სადაც გაივლიდნენ, რამდენიმე ეშელონის განიარაღებისთვის. შედეგად რაზმს მიუერთდა ზოგიერთი ადგილობრივი „ლიდერის“ (ბეგებისა და მოლების) მიერ პროვოცირებული ადგილობრივ თათართა ბანდა და ყველაფერი ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა (დაწვრილებით იხ. *Struggle for Transcaucasia*, p. 83). ამ ინციდენტმა აშკარად აჩვენა ამიერკავკასიის რელიგიური და ეთნიკური ნიშნებით ჭრელი მოსახლეობის ინტერესების შეუთავსებლობა.

¹⁴² Hovannisian, p. 115.

Кадишев, с. 36.

ხები, რუსები და გერმანელი კოლონისტები) გაყოფილი აღმოჩნდა, ქალაქებში ნუხასა და შუშაში კი თავდაცვის სომხური ძალების ჩამოყალიბება დაიწყო.¹⁴³ 1918 წლის თებერვლის ბოლოს ელიზავეტპოლში შეიმჩნეოდა დამაბულობა მუსლიმანებსა და სომხებს შორის, რაც შეიარაღებულ შეტაკებებსა და ადამიანთა სიცოცხლის დაკარგვამდე მიდიოდა. მხოლოდ 1918 წლის 22 მარტს მოხერხდა კომპრომისის მიღწევა ორ თემს შორის ამიერკავკასიის ადმინისტრაციის ემისრის გერასიმე მახარაძის, რომელიც ამისთვის სპეციალურად მოვიდა ტფილისიდან, შუამდგომლობით.¹⁴⁴

ეთნოსშორის ომის დაწყება ერივანის გუბერნიაში

ერივანის გუბერნიაში ერზინჯანზე ოტომანთა შეტაკების შემდეგ მაშინვე ეთნოსთა შორის შეტაკებები დაიწყო. ბევრ შემთხვევაში ეს პროვოცირებული იყო ხმებით დასავლეთ სომხეთში ორივე მხრიდან ჩადენილი მხეცობების შესახებ. მუსულმანთა აჯანყებამ მოიცვა ერივანის, შარურ-დარალაგაზის¹⁴⁵ და ნახჭევანის მაზრების დიდი ნაწილი. შედეგად დაბლოკილი აღმოჩნდა ჯულფა-ერივანის რკინიგზის შტო, თურქეთის ფრონტზე გადასაყვან მატარებლებზე კი იერიში მიქონდათ და ხანდახან რელსებიდან აგდებდნენ. ამის გარდა აჯანყებულებმა დაიკავეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კვანძი რკინიგზის სადგურ ულუხანლუს¹⁴⁶ ახლოს (რამდენიმე კილომეტრში ერივანის სამხრეთით), ამზობების ზონაში იზოლირებული სომხური ანკლავები

¹⁴³ Hovannisian, p. 115.

¹⁴⁴ Hovannisian, pp. 145-146.

¹⁴⁵ მაზრა ერივანის გუბერნიაში. 1920 წ. სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შედეგად მაზრის ნაწილი აზერბაიჯანის სსრ ნახჭევანის ასსრ-ში, დანარჩენი ნაწილი კი, რომელსაც დარალაგაზის მაზრა (ახლანდელ დროში სომხეთის ადმინისტრაციული დაყოფით ცოტად თუ ბევრად შეესაბამება ვაიოც-ძორის ოლქს ცენტრით ეხეგნადორი) უწოდეს, სომხეთის სსრ-ის შემადგენლობაში შევიდა. რუსეთის იმპერიაში სოფელი შარური მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი იყო და ბაშ-ნორაშენი (სომხ. „ახალი სოფელი“) ეწოდებოდა 1964 წ. 6 მაისს „ნორაშენიდან“ „ილიჩევსკი“ გადაარქვეს; 1981 წ. ქალაქის სტატუსი მიიღო; 1991 წ. დაუბრუნეს ადგილმდებარეობის ისტორიული სახელი „შარური“ (აზერ. Şarur).

¹⁴⁶ 1950 წლიდან – მასისი, რკინიგზის დიდი საკვანძო სატვირთო სადგური.

ალყაში აღმოჩნდნენ.¹⁴⁷ იმავდროულად 1917 წლის დეკემბერში ერივანში ჩამოყალიბებულმა სომხურმა საგუბერნიო საბჭომ საგუბერნიო და ადგილობრივი ადმინისტრაციის არმენიზაცია დაიწყო.

1918 წლის გაზაფხულისთვის წინა წლის იანვრის დასაწყისში სრულიად რუსეთის სომხური ეროვნული საბჭოს მიერ ერივანში დელეგატად გაგზავნილი არამ მანუკიანი (ვანის ამბოხების გმირი) ერივანის გუბერნიის მნიშვნელოვან ნაწილზე ნახევრად დამოუკიდებელი დიქტატორი გახდა და ტფილისიდან მიღებული ინსტრუქციების თანახმად ჯარის მობილიზაცია დაიწყო.¹⁴⁸ ილდირში¹⁴⁹ და ნახჭევანში ორგანიზაცია გაუკეთეს თავდაცვის სომხურ რაზმებს. 5 მარტისთვის სომხურ-მუსლიმანური შეტაკებების შედეგად დანაკარგები უკვე ასობით მოკლულით განიზომებოდა და შეიარაღებულმა ძალმომრეობამ მთელი გუბერნია მოიცვა. რიჩარდ ოვანისიანი ასე აღწერს სიტუაციას ქალაქ ერივანის რაიონში 1918 წლის მარტში:

შეიარაღებული ბანდების განუწყვეტელი იერიშების გამო რკინიგზის გასწვრივ პრაქტიკულად არცერთი დეპო არ ფუნქციონირებდა. ერთ რაიონში სომხები თათრებს ადანაშაულებდნენ ძალმომრეობაში, იმავე დროს მეორეში მუსლიმანები დასტიროდნენ შეუზღუდავად სომხების ხელით დაცემულ თავიანთ უდანაშაულო ძმებს. ქურთები თავის მხრივ ძარცვას ეწეოდნენ, ამტკიცებდნენ, რომ ეს აუცილებელია მათ გადასარჩენად...¹⁵⁰

7 მარტს სომხურმა ნაწილებმა გენერალ მოვსეს სილიკოვის, არამ მანუკიანისა და საველე მეთაურის დროს (დრასტამატ კანაიანის) მეთაურობით ერივანის, შარურ-დარალაგეზისა და ნახჭევანის მაზრებში მუსლიმან ამბოხებულებზე შეტევა დაიწყო. ულუხანლუსთან ამბოხებულთა ძირითადი ძალები დამარცხდნენ და რკინიგზის ვაკისის გასწვრივ ტერიტორიის ზოლი „დაწყნარდა“. რკინიგზის კავშირი ფრონტთან აღდგა, სოფელი ულუხანლუ კი დაანგრიეს, როგორც ამბოხში გარეული ათობით სხვა

¹⁴⁷ Hovannisian, p. 143.

¹⁴⁸ Hovannisian, *op.cit.*

¹⁴⁹ ილდირი – ქალაქი აღმოსავლეთ თურქეთში, ილდირის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი.

¹⁵⁰ Hovannisian, p. 144.

მუსლიმანური სოფელი. ამ სოფლების მოსახლეობა თავიანთი სახლებიდან გაყარეს. იმავდროულად სევანის ტბის სანაპიროს გასწვრივ (ნოვობაიაზეტსა¹⁵¹ და ელენოვკას¹⁵²) შორის) სომეხმა ჯარისკაცებმა და მოლაშქრეებმა კიდევ ექვსი მუსლიმანური სოფელი მისცეს ცეცხლსა და მახვილს სომხურ ბადრაგაზე უეცარი თავდასხმისთვის შურისძიებით.¹⁵³

მუსლიმანების აჯანყება არტაანსა და ახალციხეში

1918 წლის მარტის დასაწყისში მუსლიმანების კიდევ ერთი აჯანყება დაიწყო ყარსის ოლქის არტაანის ოკრუგში ქართული თავდაცვითი პოზიციების ზურგში, ასევე მომიჯნავე – ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ტერიტორიაზე. ორივე ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიული და ეთნიკური თვალსაზრისით ერთი მთლიანს წარმოადგენს,¹⁵⁴

¹⁵¹ ახლანდელი გავარი – ქალაქი სომხეთში, გედარქუნიქის ოლქის დედაქალაქი. მდებარეობს მდინარე გავარაგეტზე. 1830 წ. ქალაქ ბაიაზეთიდან გადმოსახლებულმა სომეხებმა ამ სახელწოდების სოფელს ნორ-ბაიაზეთი უწოდეს. 1850 წ. ერივანის გუბერნიის ჩამოყალიბებისას სოფელი (რუსულ დოკუმენტებში – კავარი) მაზრის ქალაქად გადააქციეს და *ნოვობაიაზეტი* უწოდეს. 1936 წ. ქალაქს ნორ-ბაიაზეთი ეწოდა, 1959 წ. – კამო, 1996 წ. ძველი სახელი დაუბრუნეს.

¹⁵² ქალაქ სევანის სახელწოდება 1935 წლამდე. ქალაქი რაზდანის სათავეში 1842 წ. დააარსეს რუსმა ახალმოსახლე მალაკუნებმა როგორც დაბა ელენოვკა. სახელი ეწოდა ელენას – ნიკოლოზ I-ის ძმის ცოლის პატივსაცემად.

¹⁵³ Hovannisian, p.144.

¹⁵⁴ 1266 და 1590 წლებს შორის პერიოდში ყარსის ოლქის არტაანისა და ოლთისის ოკრუგები ტფილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებთან ერთად შეადგენდნენ ისტორიულ ქართულ სამთავროს სამცხე-საათაბაგოს, შემდგომში დაპყრობილს ოტომანთა იმპერიის მიერ, რომლის შემადგენლობაში „გურჯისტანის ვილაიეთად“ რეორგანიზაცია გაუკეთეს, ასევე ცნობილი იყო როგორც „თურქული საქართველო“. ორასზე მეტი წლის თურქული უღლის განმავლობაში ეს მხარე მთლიანად ისლამიზებული და ნაწილობრივ თურქი და ქურთი მომთაბარეებით დასახლებული გახდა. 1829 წელს ადრიანოპოლის ზავით რუსეთის მიერ ორი მომავალი მაზრის (ახალციხისა და ახალქალაქის) ტერიტორიის ანექსია და 1829 და 1918 წლებს შორის თურქეთიდან სომეხი და ბერძენი ლტოლვილების მიერ ნაწილობრივი კოლონი-

ადგილობრივმა მუსლიმანებმა ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბრის ბოლოს მსხვილი მემამულეების¹⁵⁵ ხელმძღვანელობით თვითშეიარაღება და აჯანყებისთვის დაუფარავად მზადება დაიწყო. 1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ეთნოსშორის შეიარაღებულ შეტაკებებს ერთი მხრივ მუსლიმანებს, მეორე მხრივ სომხებსა და ქართველებს შორის ადგილი ჰქონდათ ორივე ზემოთ დასახელებულ ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე მეზობელ ახალქალაქის მაზრაში. მაგრამ მასიური აჯანყება 6 მარტს დაიწყო სოფელ აწყურთან ქართულ სამხედრო ბადრაგაზე მუსლიმანების იერიშით. 19 მარტისთვის ქურთების, თათრებისა და თურქების შეიარაღებულმა ბანდებმა ალყაში მოაქციეს ქალაქები მერდენიკი

ზება მოხდა. არტანისა და ოლთისის ოკრუგები რუსეთს მიუერთდნენ 1878 წლის სან-სტეფანოსა და ბერლინის მოლაპარაკებების პირობების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ორი მაზრისა და 2 ოკრუგის მუსლიმან მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს ქართული წარმოშობა ჰქონდა, მათი უმეტესობა მიეჩვია, თავი თურქად ჩაეთვალა და რუსეთის შემადგენლობაში ათწლეულების ყოფნის შემდეგაც კი პრაქტიკულად თითქმის უკლებლად ყველა ლოიალური იყო ოტომანთა იმპერიის მიმართ. ოვანისიანისა და რიგი მკვლევარების აზრით ამ ადამიანთა ასეთი განწყობა მდგომარეობდა მათ მიერ ისლამური რელიგიის აღმსარებლობაში, რაც მათთვის ეთნიკურ წარმოშობაზე ბევრად მნიშვნელოვანი იყო.

¹⁵⁵ “სწორედ მესხი ფეოდალების ჩამომავლები, პანთურქისტებად აღზრდილი ომარ ფაიყ-ყიფიანი – აწყურის ბეგი, ახმედ პეპინოვი (პეპინაშვილი), ზია-ბეგ აბაშიძე სოფელ თოკიდან, სერვერ-ბეგ ათაბაგ ქობლიანელი (ჯაყელი), ალი-ბეგ ავალიშვილი სოფ. ოშორიდან ჩაუდგნენ სათავეში ანტიქართულ გამოსვლებს 1918-1919 წლებში. საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ მათ შექმნეს „სამხრეთ კავკასიის მუსლიმთა ხელისუფლება“ სერვერ-ბეგის თავმჯდომარეობით. ამ სეპარატისტულმა წარმონაქმნმა თურქეთის ხელისუფლების წაქეზებითა და მითითებით 1918-1919 წლებში მესხეთში მძიმე სისხლისმღვრელი შეტაკებები მოაწყო მუსლიმ და ქრისტიან მოსახლეობას შორის. თავდაპირველად სერვერ-ბეგის ჯარებმა დაამარცხეს ქართული ჯარის ნაწილები, რომლებმაც ბორჯომისკენ დაიხიეს. 1919 წ. ქართულმა ჯარმა გენერალ კვინიტაძის სარდლობით ახალციხე და ახალქალაქი გაათავისუფლა“. (უჩა ბლუაშვილი, მესხეთის სახელოვანი შვილები, თბილისი, 2008. გვ. 18)

და არტაანი.¹⁵⁶ სამაზრო ქალაქი ახალციხე ეთნოსებს შორის და რელიგიებს შორის ნამდვილი ომის შუაგულ ცენტრში აღმოჩნდა. ძალმომრეობის ესკალაციის გამო ადგილობრივმა ქრისტიანებმაც აიღეს იარაღი და 1918 წლის მარტის შუა რიცხვებში ქალაქებში ახალციხესა და ახალქალაქში ჩამოაყალიბეს თავდაცვის ორი სომხური ბატალიონი და ქართული ეროვნული გვარდიის ერთი ბატალიონი.¹⁵⁷

ეთნოსშორის ხოცვა-ჟლეტა ბაქოში

1918 წლის მარტის ბოლო ბოლშევიკების კონტროლს დაქვემდებარებულ ქალაქ ბაქოზე ეთნოსშორისი ძალმომრეობით აღინიშნა. 24 მარტს კასპიის ფლოტილიის რუსი მეზღვაურები შეეცადნენ, განეიარაღებინათ მუსლიმანური „ველური დივიზიის“ ნაწილები, რომლებიც გენერალ-მაიორ ხალილ-ბეგ თალიშხანოვის მეთაურობით მულანში ზღვით გადასვლას აპირებდნენ, რომ შეერთებოდნენ ჯიჰადს, რომელსაც იქ მათი ერთმორწმუნენი რუსი კოლონისტებიც წინააღმდეგ აწარმოებდნენ (იხ. ზემოთ).¹⁵⁸ რამდენიმე დღის შემდეგ კონფლიქტში ადგილობრივი წითელგვარდიელები, ასევე ქალაქში დაბინავებული სომეხი ჯარისკაცები ჩაერთნენ. მთელი ქალაქი ბრძოლის ველად გადაიქცა ტყვიამფრქვევებისა და მძიმე არტილერიის გამოყენებით, რომლითაც სამხედრო გემებიდან მუსლიმანურ კვარტალებს ცეცხლი დაუშინეს. ეს ეროვნებებსა და აღმსარებლებს შორის ომი აპრილის დასაწყისამდე გაგრძელდა და, რიჩარდ ოვანისიანის თანახმად, თან მოჰყვა ბოლშევიკურ „სახურავქვეშ“ სრულიად სხვადასხვაგვარი და თითქოსდა ერთმანეთთან შეუსაბამო ძალების ალიანსის ჩამოყალიბება. ფაქტიურად აღწერილ მომენტში და აღწერილ ადგილზე ცნება „ბოლშევიზმი“ რუსეთის ასოციაციას იწვევდა, სიტყვა „ისლამი“ კი სიტყვა „თურქეთის“ სინონიმი იყო.¹⁵⁹ 31 მარტს ბოლშევიკმა კომისარმა შაუმიანმა ჩამოაყალიბა „რევოლუციის დაცვის კომიტეტი“. ამ კომიტეტმა ქალაქის ყველა მუსლიმანს გაუგზავნა ულტიმატუმი იარაღის დაუყოვნებლივ დაყრის

¹⁵⁶ Hovannissian, p. 145.

¹⁵⁷ Артюш Саносян, *Самооборона в ахалцихском и ахалкалакском уездах в 1918* (Ереван, 1992), стр. 4-29.

¹⁵⁸ Добрынин, стр. 13-14.

¹⁵⁹ Hovannissian, pp. 81 and 148-149.

მოთხოვნით, რის შემდეგაც ორი დღის განმავლობაში შეწყდა სისხლისღვრა და რაღაც წესრიგის მსგავსი აღდგა. მიუხედავად ამისა, ალბათ გაზვიადებული არ იქნება თქმა, რომ „მარტის მოვლენებმა“ ბაქოში, რომლის შედეგადაც ათასობით ადამიანი (ძირითადად მუსლიმანები) გამოეთხოვა სიცოცხლეს, არსებითად შეარყია ისედაც მყიფე ბალანსი კოსმოპოლიტურ და კოლონიურ ქალაქში ეთნოსებსა და რელიგიებს შორის. ამ მოვლენებმა ასევე გაამყარეს თათრებისა და სამხრეთ კავკასიის სხვა მუსლიმანთა უმრავლესობის რწმენა იმაში, რომ მხოლოდ თურქეთს ძალუძს მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვა.¹⁶⁰ ნათქვამს შეიძლება დაემატოს, რომ საკითხის მკვლევარებს შორის აქამდე აზრთა სხვადასხვაობაა, თუ ვის ეკისრება დანაშაული ბაქოს მარტის ხოცვა-ჟლეტასა და მასთან დაკავშირებულ დანაკარგებში. მაგრამ თითქმის ყველა თანხმდება, რომ „მარტის მოვლენების“ შედეგი შაუმიანისა და სხვა ბაქოელი ბოლშევიკების ხელში ძალაუფლების კონსოლიდაცია იყო. ეს მოვლენები ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ რეგიონებში ბოლშევიკური რეჟიმის, რომელიც ცნობილია, როგორც „ბაქოს კომუნა“, ექსპანსიის დასაწყისი გახდნენ.

ბაქოელი ბოლშევიკების ექსპანსია და ბრძოლა პეტროვსკისთვის

აფშერონის ნახევარკუნძულის ფარგლებს გარეთ ბაქოელი ბოლშევიკების ექსპანსია დაიწყო 1918 წლის 8 აპრილს, როცა „ველური დივიზიის“ ნაწილები შეეცადნენ ქალაქის დაკავებას იმამ ნაჯმუდინ გოცოელის 1500 მიმდევარის დახმარებით, რომლებიც დაღესტნიდან თავიანთი ერთმორწმუნე მუსლიმანების დასახმარებლად ჩამოვიდნენ.¹⁶¹ კურდალანთან ორდღიანი ბრძოლების შედეგად შაუმიანის რუსულ-სომხურმა წითელმა ჯარმა დაამარცხა მუსლიმანები. ამის შემდეგ წითლებმა (ძირითადად თურქესტანის რუსული 36-ე პოლკის ჯარისკაცებმა და სომხეთის ეროვნული საბჭოს მებრძოლებმა) შეტევა გაშალეს დასავლეთით, – ელიზავეტპოლის მიმართულებით, და ჩრდილოეთით, – დაღესტნის ოლქში. დაღესტნის მიმართულება სასიცოცხლოდ

¹⁶⁰ Hovannisian, p. 149.

Kazemzadeh, pp. 69-77.

¹⁶¹ Кадишев, с.91.

R.G. Suny, *The Baku Commune 1917-1918* (Princeton, 1972), p.263.

მნიშვნელოვანი იყო, რადგან ბოლშევიკების კონტროლს დაქვემდებარებაში მყოფ ცენტრალურ რუსეთთან ბაქოს შემაერთებული ყველა სატრანსპორტო კომუნიკაცია და კავშირის ხაზი ზღვისპირა დაღესტანზე გადიოდა.¹⁶²

ბაქოდან ბოლშევიკების შეტევის დაწყების დროს დაღესტნის დიდი ნაწილი ზემო ჩეჩნეთთან და ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრასთან ერთად ნაჯმუდინ გოცოელის (რომელიც დაღესტნისა და ჩეჩნეთის იმამად აირჩიეს), შეიხ უზუნ-ჰაჯის, ალი კლიჩ ჰასაევის კარგად შეიარაღებული, პროთურქულად განწყობილი მომხრეების ხელში იყო. ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დამლამდე ოტომანთა იმპერიიდან წამოსული პანთურანული პროპაგანდა გამოძახილს პოულობდა დაღესტნელებისა და ჩეჩნების უმრავლესობას შორის, რომლებიც რუსებს „ურჯულო დამპყრობლებად“ თვლიდნენ.¹⁶³ მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელთა უმრავლესობა თიურქული წარმოშობის არ იყო და, ამგვარად საექვოა, თეორიულად ჩაითვლებოდნენ თუ არა „თურანელებად“, დაღესტნისა და ჩეჩნეთის ხალხები სიმპათიით იყვნენ განწყობილი ოტომანთა იმპერიისა და ახალგაზრდა თურქებისადმი მათთან რელიგიური ერთიანობის ძალით.¹⁶⁴ რუსეთის კავკასიური არმიის დაშლა დასავლეთ სომხეთში თურქების სამხედრო წარმატებებთან შერწყმით ნებისმიერი რუსული ძალაუფლების წინააღმდეგ მასიური აჯანყების სიგნალი გახდა. 1918 წლის მარტის შუა რიცხვებში, როცა საბჭოთა (ბოლშევიკური) რეჟიმი დამყარდა ყუბანსა და თერგის ოლქის დიდ ნაწილში, ბოლშევიკებმა ზემო ჩეჩნეთსა და დაღესტანში

¹⁶² ტრადიციულად დაღესტანი იყოფა ორ სუბრეგიონად – მთიანი და ზღვისპირა. XX საუკუნის დასაწყისში მთიანი დაღესტანი, რომელსაც ოლქის დაახლოებით 70% ეკავა, სამ ათეულზე მეტ ენაზე მოლაპარაკე და პოლიტიკური და სამხედრო აზრით მთელ დაღესტანზე გაბატონებული მეომარი კლანებით იყო დასახლებული. თავის მხრივ ზღვისპირა დაღესტანი ოლქის ეკონომიკაში დომინირებდა და დასახლებული იყო უპირატესად თიურქულენოვანი ხალხით ორი პატარა ქალაქის – პორტ-პეტროვსკისა და დერბენტის გამოკლებით, სადაც რუსული, სომხური და უფრო ნაკლებად გერმანული მოსახლეობა იყო.

¹⁶³ რუსეთის იმპერიამ დაღესტნისა და ჩეჩნეთის სრული დამორჩილება მხოლოდ 1860 წლისთვის შეძლო, ამასთან მხოლოდ თითქმის სამასწლიანი ომის შემდეგ.

¹⁶⁴ Allen, Muratoff, p. 501.

განმტკიცება ვერ შეძლეს (რუსულენოვანი სანავსადგურო ქალაქ პეტროვსკის გამოკლებით). მარტის ბოლოსთვის ჰასაევმა მაინც აიღო პორტ-პეტროვსკი მხოლოდ 500 მეზრძოლით, რომელთა უმრავლესობა „ველური დივიზიის“ დაღესტნის პოლკის ვეტერანები იყვნენ. ამან ბაქო დანარჩენ ბოლშევიკურ რუსეთს მთლიანად მოწყვიტა.¹⁶⁵ მაგრამ კურდალანთან თათრებისა და დაღესტნელების დამარცხებამ გადატეხა ომის მსვლელობა. შემდგომი ორი კვირის განმავლობაში წითლებმა აიღეს აჯი-ქაბული, მარაზა და დივიჩი ბაქოს მაზრის დასავლეთით. იმავდროულად ორმა სადესანტო რაზმმა (ერთმა ბაქოდან, მეორემ ასტრახანიდან) დაიწყეს შეტევა პორტ-პეტროვსკზე და 24 აპრილისთვის ქალაქი კვლავ ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა. ორი დღით გვიან თურქესტანის ყოფილი 36-ე პოლკის რუსმა წითელარმიელებმა მარშით გაიარეს ყუბა და დაიკავეს დერბენტი. ამ ოპერაციის შედეგად ზღვისპირა დაღესტნის დიდი ნაწილი ბაქოს საბჭოს დაქვემდებარებაში აღმოჩნდა და პრაქტიკულად აღდგა სახმელეთო მიმოსვლა საბჭოთა რუსეთის ძირითად ტერიტორიასთან.¹⁶⁶ აპრილის დასაწყისში წითელი დესანტი ბაქოდან მულანშიც გადავიდა, სადაც პორუჩიკ ხოშევის მეთაურობით რუსი და მულანელი მოლაშქრეების დახმარებით ადგილობრივი მუსლიმანური ბანდები გაანადგურეს. ამგვარად ქალაქ ლენქორანის გარშემო გაჩნდა კიდევ ერთი საბჭოთა ანკლავი, თუმცა ლენქორანის მაზრის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ რჩებოდა მულანის ანტიბოლშევიკური ლაშქრის ხელში, რომლის შტაბი პრიშიბში¹⁶⁷ იყო განლაგებული.¹⁶⁸ 25 აპრილს, პორტ-პეტროვსკსა და დერბენტში წითელი ჯარის ორ გამარჯვებას შორის, შაუმიანმა ბაქოში ჩამოაყალიბა პირველი ბოლშევიკური მთავრობა (სახკომსაბჭო) და თავისი თავი მის თავმჯდომარედ დანიშნა. სახ-

¹⁶⁵ Allen, Muratoff, p. 506.

Кадишев, с. 91.

¹⁶⁶ Allen, Muratoff, p. 507.

Кадишев, стр. 91-93.

¹⁶⁷ 1992 წლიდან ქალაქი გიოითეფე (აზერბ. Goytapa – ლურჯი გორაკი) აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯალილაბადის რაიონში. იყო რუს მოსახლეთა მიერ 1840 წელს დაარსებული სოფელი. 1967 წ. მიიღო ქალაქის სტატუსი.

¹⁶⁸ Добрынин, стр. 9-16 и 46.

Кадишев, с. 92.

კომსაბჭომ გამოაცხადა საბჭოთა რუსეთს თავისი დაქვემდებარებისა და ამიერკავკასიის სეიმის არცნობის შესახებ, ასევე პრეტენზია წამოაყენა მთელი სამხრეთ კავკასიის მართვაზე.¹⁶⁹

ბაქოში და მის გარშემო ბოლშევიკების გამარჯვებებმა პანიკა გამოიწვიეს ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატებს შორის, რომლებიც ამ მოვლენებს ტფილისზე კომბინირებული საბჭოთა შეტევის დასაწყისად თვლიდნენ.¹⁷⁰ ნოე რამიშვილის გამოსვლაში განმარტებული ეს აზრი 1918 წლის გაზაფხულზე სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში – ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ასევე სოხუმის ოკრუგში მომხდარი მოვლენების სერიით დამტკიცდა. ეს მოვლენები მოიცავდნენ:

- პრობოლშევიკურ აჯანჯებას 8 მარტს ლეჩხუმის მაზრაში;
- პრობოლშევიკურ აჯანჯებას 12-28 მარტს გორის მაზრის ცხინვალის უბანში;
- პრობოლშევიკურ აჯანჯებას 16-20 თებერვალს ქალაქ სოხუმში;
- აფხაზეთში (სოხუმის ოკრუგში) სოჭის წითელი გვარდიის 11 მარტს დაწყებულ შეჭრას ნიკოლაი პოიარკოს მეთაურობით.

ზემოთ დასახელებული აჯანჯებები ქართული კორპუსის ნაწილებმა და ამიერკავკასიის სეიმისა და ქართული ეროვნული საბჭოსადმი ლოიალურმა სხვა ჯარებმა ჩაახშვეს. მაგრამ ჩრდილოდასავლეთიდან პოიარკოს წითელგვარდიელების შეტევა საკმაოდ წარმატებული იყო. 11 მარტს წითლებმა აიღეს გუდაუთა, 8 აპრილს კი სოხუმში შევიდნენ. ამიერკავკასიის სეიმს დაქვემდებარებულმა სოხუმის სახალხო რეგიონის რაზმებმა სოფელ გულრიფშისკენ დაიხიეს. ტფილისში კი მუსლიმანმა დეპუტატებმა ბაქოზე შეტევისთვის ყველა არსებული სამხედრო ძალის დაუყოვნებლივ გაგზავნა მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სეიმის ბოიკოტით იმუქრებოდნენ. მაგრამ სეიმს არ ჰქონდა აღმოსავლეთის მიმართულებით ასეთ შეტევაზე სანქციის გაცემის შესაძლებლობა, რადგანაც მის განკარგულებაში არსებული ყველა

¹⁶⁹ Кадишев, стр. 94-96.

Kazemzadeh, pp. 76-78.

¹⁷⁰ Kazemzadeh, p.97.

შეიარაღებული ძალა სამხრეთ-დასავლეთიდან გამალებით შემოტეული თურქების წინააღმდეგ იყო კონცენტრირებული.

ბოლშევიკების სამხედრო წარმატებები 1918 წლის გაზაფხულზე ხანმოკლე აღმოჩნდა. ბაქოს სახკომსაბჭოს განკარგულებაში არსებული რესურსები შეზღუდული იყო, „მატერიკულ“ საბჭოთა რუსეთს კი წითელი ბაქოელებისთვის რაიმე არსებითი დახმარების მიცემის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ეს დაკავშირებული იყო ყუბანში მძიმე საომარ სიტუაციასთან, სადაც გენერლების ლავრ კორნილოვისა და მიხაილ ალექსეევის სარდლობით გაიშალა 1918 წ. იანვრის დასაწყისში დონის სამხედრო ოლქში აჯანყების შედეგად ჩამოყალიბებული მოხალისეთა ანტიბოლშევიკური არმიის პირველი ყუბანის (ცნობილია ასევე როგორც „ყინულოვანი“) ლაშქრობა. თებერვლის ბოლოს მოხალისეთა არმია შევიდა ყუბანის ოლქის ფარგლებში, სადაც მას ამბოხებული ყუბანელი კაზაკები და სხვა ანტიბოლშევიკი ამბოხებულები შეუერთდნენ. საბჭოების არმია ივან სოროკინის, ალექსეი ავტონომოვისა და რუდოლფ სივერსის მეთაურობით რიცხოზრვიად ექვსჯერ აღემატებოდა მოხალისეთა არმიას. მიუხედავად ამისა, 3200 მოხალისე და რამდენიმე ათასი კაზაკი 1918 წლის მთელი გაზაფხულის განმავლობაში წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოების ძალაუფლებას სრული განადგურებით იმუქრებოდა.¹⁷¹

მდგომარეობა ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში

1918 წლის ადრე გაზაფხულზე ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში ქაოსი დაიწყო. ეს კავკასიის ფრონტის სპარსული სექტორის რუსული ჯარის ევაკუაციის ცუდი ორგანიზაციით, დენსტერვილის საექსპედიციო კორპუსის მანევრებით (იხ. ზემოთ), ასევე სხვადასხვაგვარი პარტიზანების (როგორც პროთურქული, ისე ანტატის მხარდამჭერი) ოპერაციებით იყო განპირობებული. დროის აღწერილ მომენტში სპარსეთს ფაქტიურად არ ჰყავდა

¹⁷¹ А. Деникин, *Ocherki russkoj smuty (The Russian Turmoil)*, Vol.II-III (Москва, 2006), p. 226.

Р. Гуль, *Конь рыжий* (Москва, 2007), стр.265.

А. Трушнович, *Воспоминания корниловца: 1914-1934* (Франкфурт, 2004), стр. 82-84.

თავისი ეროვნული არმია, ესე იგი არ არსებობდა არავითარი მოწესრიგებული ძალა, რომელსაც ამ ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების გაკონტროლება და მის ტერიტორიაზე ელემენტარული წესრიგის დაცვა შეეძლო.¹⁷²

რეგიონში ოტომანთა იმპერიის ყველაზე ძლიერი მოკავშირეები ჯენგელიელთა რაზმები იყვნენ. ჯენგელიელები მირზა-ქურჩუკ-ხანის მეთაურობით ქალაქებს რეშთსა და ყაზვინს შორის ტყეებში მოქმედებდნენ. თურქების სხვა მოკავშირეები იყვნენ შაჰსევენთა მომთაბარე ტომები, რომლებმაც ლენქორანის მაზრაში საზღვრის გადალახვით რუსულ დასახლებებზე თავდასხმა დაიწყეს. ჯენგელიელთა რაზმებსა და სხვა პროთურქულ ბანდებს თავის შემადგენლობაში ინსტრუქტორებად და მრჩევლებად ხშირად ჰყავდათ ოსმალი, გერმანელი და ავსტრია-უნგრელი კადრის ოფიცრები. ეს ოფიცრები სპარსეთში თავიანთი სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ იყვნენ გამოგზავნილნი და კოორდინაციასაც ისინი უწევდნენ.

ანტანტის (რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის) ყველაზე ერთგული სპარსელი მოკავშირეები ადგილობრივი სომხები და ასურელები იყვნენ. მათ კონტროლქვეშ იყო საკმაოდ დიდი ანკლავი ქალაქ ურმიას გარშემო ამავე სახელის ტბასა და სპარსეთისა და თურქეთის გამყოფ ქედს შორის.¹⁷³

რუსეთის იმპერიის დაშლისა და ამის შემდეგ დასავლეთ სომხეთზე ოტომანთა კონტროლის აღდგენის გამო ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში თურქების ახალი შეჭრა გარდაუვალი ჩანდა. და ესეც 1918 წლის ზაფხულში დაიწყო.

¹⁷² Dunsterville, pp. 11-155.

David Nicolle, Raffaele Ruggeri, *The Ottoman Army 1914-18* (Oxford, 1994), pp.40-42.

¹⁷³ Добрынин, стр. 16-27.

Dunsterville, pp. 14-188.

Ronald Sempill Stafford, *The Tragedy of the Assyrians* (Piscataway, 2006), pp. 26-28.

W.A. Wigram, *Our Smallest Ally* (New York, 1920), pp.35-42.

ოსმალთა ჯარის მიერ ომისწინანდელი საზღვრის გადალახვა და ახალი ომის გამოცხადება

1918 წლის აპრილის პირველი კვირის განმავლობაში ოსმალთა მე-3-ე არმიის თურქულმა ჯარმა გადალახა რუსეთის ომისწინანდელი საზღვარი, შეიჭრა ბათუმისა და ყარსის ოლქებში და სწრაფად აიღო ოლთისი, მერდენევი, ბარდუსი¹⁷⁴, ყარაურღანი და ყარაქურთი¹⁷⁵ ამავე დროს ტრაპიზონში გაიხსნა გაჭიანურებული საზავო კონფერენციის დამამთავრებელი პლენარული სხდომა. წინა რამდენიმე დღის განმავლობაში ამიერკავკასიის დელეგაციის წევრები ცდილობდნენ ერთმანეთთან იმ დათმობების ნუსხის შეთანხმებას, რომელთა შეთავაზებასაც თურქებისთვის აპირებდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების ალტერნატივად. აკაკი ჩხენკელი და სხვა ქართველები დაგეგმილი ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში მთელი ბათუმის ოლქის შენარჩუნების მომხრე იყვნენ. მათ ასევე უნდოდათ ყარსის ოლქის არტანის ოკრუგის ნახევრის დაკავებაც, მაგრამ მზად იყვნენ, დაეთმოთ მთელი კალიზმანის ოკრუგი და ყარსის ოკრუგის ნახევარი. სომეხი დელეგატები, ჰოვანეს კაჩაზუნისა და ალექსანდრე ხატისოვის (ხატისიანის) ჩათვლით, ასეთი დათმობის წინააღმდეგი იყვნენ. მათი აზრით კალიზმანის ოკრუგი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგი. თავის მხრივ თათრები, რომელთა პოზიცია ხალილ-ბეგ ხასმაშელოვმა გაახშიანა, მოითხოვდნენ, უპირობოდ გადაეცათ თურქების მიერ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების შესაბამისად მოთხოვნილი მთელი ტერიტორია, გარდა ბათუმის ნავსადგურისა და ნავთობჩამომსხმელი ტერმინალისა, რომელიც ბაქოს ევროპასთან აკავშირებდა. თათარი დელეგატები ასევე ხაზს უსვამდნენ, რომ ამიერკავკასიის მუსლიმანები არავითარ შემთხვევაში არ იბრძოლებენ თავიანთი თურქი ძმების წინააღმდეგ.¹⁷⁶ ბოლოს მიღწეული იქნა რაღაც კონსენსუსის მაგვარი და ტრაპიზონის კონფერენციის 5 აპრილს შემდგარ დასკვნით სესიაზე ჩხენკელმა თურქებს შესთავაზა ბათუმისა და ყარსის

¹⁷⁴ ბარდუსი – სოფელი ყარსის ოლქის ოლთისის ოკრუგში, მდინარე ბარდუსჩაის ღრმა ხეობაში.

¹⁷⁵ Hovannisian, p. 151.

Allen, Muratoff, 463.

¹⁷⁶ Hovannisian, pp. 149-150.

ოლქების ნაწილი, იმავდროულად მოხსნა მოთხოვნა აღმოსავლეთ სომხეთისთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. 6 აპრილს კონსტანტინოპოლთან მოკლე კონსულტაციის შემდეგ ოსმალთა დელეგაციამ მოითხოვა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების ყველა პირობის სრული მიღება და ამიერკავკასიელებს საბოლოო პასუხის მოსაფიქრებლად 48 საათი მისცა. თურქების მხრიდან ასეთი რეაქცია ალბათ მოულოდნელი იქნებოდა. ამიტომ ჩხენკელიც, კაჩაზუნციც შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ დანარჩენი სამხრეთ კავკასიის გადასარჩენად ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების პირობები უნდა მიეღოთ.¹⁷⁷ მაგრამ შექმნილ სიტუაციაზე მთავრობას ტფილისში თავისი თვალსაზრისი ჰქონდა. მან ტელეგრაფით ბრძანება გაუგზავნა ჩხენკელს, შეეთავაზებინა თურქებისთვის დამატებითი დათმობები, მაგრამ უნდა ეცადა მათ მიერ მოთხოვნილი ტერიტორიების თუნდაც ნაწილის შენარჩუნება, ასევე დაჟინებით მოეთხოვა ლტოლვილთა რეპატრაცია.

სანამ ამიერკავკასიის მთავრობა დროის გაჭიანურებას ცდილობდა, თურქების ჯარი აგრძელებდა შეტევის განვითარებას. ყარსის მიმართულებით სამი თურქული დივიზია (მე-9-ე, მე-10-ე, 36-ე) მოძრაობდა ქალაქ სარიყამიშისკენ, რომელსაც იცავდა 13000 სომეხი გენერალ ნაზარბეკოვის მეთაურობით.¹⁷⁸ თურქებმა შეტევა ვერიშანზე შემოვლით განახორციელეს. იქ თურქების გზაზე იდგა 2000 ქვეით მოხალისეთა ბრიგადა პოლკოვნიკ მორელის მეთაურობით. სარიყამიშის გარშემო ორი დღის ბრძოლის შემდეგ 5 და 6 აპრილს ნაზარბეკოვის ცამეტმა ბატალიონმა ნოვოსელიმისკენ დაიხია, მორელის მოხალისეებმაც დატოვეს ვერიშანი.¹⁷⁹ 10 აპრილისთვის სომხების თავდაცვის ხაზი, რომელზედაც ყარსის მისადგომებს 8500 ჯარისკაცი და ოფიცერი იცავდა, ნოვოსელიმის გავლით ენგიჯადან¹⁸⁰ თიგნისამდე¹⁸¹ გადიოდა. სომხების მარჯვენა ფლანგზე ადგილობრივი მუსლიმანების ირეგულარული

¹⁷⁷ Hovannisian, *op.cit.*

¹⁷⁸ ნაზარბეკოვის ჯარი შეიცავდა ალექსანდროპოლიდან გადაგზავნილ მე-3-ე და მე-7-ე პოლკებს.

¹⁷⁹ Allen, Muratoff, p. 464.

Кадиишев, с. 48.

¹⁸⁰ სოფელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შარურის რაიონში.

¹⁸¹ ახლანდელი ქალკანყალე – სოფელი დასავლეთ სომხეთის პროვინცია აირარატში (ახლა თურქეთშია).

რაზმებით გაძლიერებული მე-5-ე და მე-10-ე ოტომანური დივიზიების ნაწილები ოლთისის ოკრუგის გავლით მარშით მიდიოდნენ არტანის მიმართულებით.

შავი ზღვის მიმართულებით ოსმალთა მე-3-ე არმიის 37-ე კავკასიური დივიზიის ნაწილები, გაძლიერებული ლაზი მოხალისეებითა და აჭარელი ამბოხებულებით, ბათუმს მიუახლოვდნენ. იქ ისინი ქართული კორპუსის ნაწილების შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ამ დროს, 8 აპრილიდან 11 აპრილამდე ჯერ კიდევ ტრაპიზონში მყოფი ჩხენკელი ტფილისთან დეპეშების გაცვლა-გამოცვლით იყო დაკავებული. ის ცდილობდა მთავრობისა და მენშევიკების პარტიის ხელმძღვანელობის დარწმუნებას, დაეთმოთ ბათუმის ოლქი, რომ საქართველოს თუნდაც ნაწილი ოსმალთა გარდაუვალი შემოსევისგან გადაერჩინათ. მაგრამ მისმა არგუმენტებმა გავლენა ვერ მოახდინეს. ამასობაში ვეკიბ-ფაშამ მოითხოვა, რომ ქართველებს დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და ჩაებარებინათ ბათუმის სიმაგრე ნავსადგურთან ერთად არა უგვიანეს 13 აპრილისა. ის ასევე მოითხოვდა ქართველების მიერ მთელი ბათუმის ოლქის დაუყოვნებლივ დატოვებას. 13 აპრილს ჩხენკელი ტელეგრაფით დაუკავშირდა გენერალ გედევანოვს (ქართული გარნიზონის უფროსს ბათუმში) და ქალაქის ჩაბარების რეკომენდაცია მისცა. ბედის ირონიით იმავე დღეს ევგენი გეგეჭკორმა (ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ) დაარწმუნა სეიმი იმაში, რომ კარგად გამაგრებულ ბათუმს და მის დამცველებს თურქების იერიშის მოგერიების სრული შესაძლებლობა აქვთ.¹⁸² 14 აპრილის დილამდე გაგრძელებული მრავალსაათიანი და უაღრესად ემოციური დებატების შემდეგ სეიმის ყველა დეპუტატმა, მუსავატისტების, გუმეტისტებისა და უპარტიო მუსლიმანთა გარდა ერთხმად გადაწყვიტეს ოსმალთა ულტიმატუმზე უარის თქმა და ომის გაგრძელება. 18 აპრილს სეიმმა საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. მან ასევე ტრაპიზონში ამიერკავკასიის დელეგაციას ტელეგრაფით გაუზიარა ბრძანება, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ ტფილისში „იმის გამო, რომ საზავო შეთანხმება საზღვრების საკითხზე... მიღწეული არ არის“.¹⁸³ ფაქტიურად ეს ომის

¹⁸² Кадишев, стр. 48-49.

Allen, Muratoff, 464-465.

Hovannisian, pp. 152-153.

¹⁸³ Hovannisian, pp. 153-156.

გამოცხადებას ნიშნავდა. ამგვარად 1918 წლის 14 აპრილისთვის ამერიკავკასიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობა, მაგრამ საომარ მდგომარეობაში იყო ოსმალთა იმპერიასთან.

უკანასკნელი ტერიტორიების დაკარგვა დასავლეთ სომხეთში

თუმცა 1918 წლის მარტში ერზურუმის დაცემის შემდეგ დასავლეთ სომხეთის დიდი ნაწილი დაკარგული იყო (იხ. ზემოთ), სომხური ჯარის გარკვეული რაოდენობა თითქმის აპრილის პირველი კვირის ბოლომდე ჯერ კიდევ ინარჩუნებდა კონტროლს ქალაქებზე ბაიაზეთზე, ყარაქიოსზე და ვანზე. ოტომანთა იმპერიისთვის ნახევრადდამოუკიდებელი სამხრეთ კავკასიის წინააღმდეგობის გაწევის მცდელობების სრული კრახის ფონზე სომხური ნაწილები ორი დღის ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდნენ, ვანი დაეტოვებინათ. 7 აპრილს მათ ორ კოლონად დაიხიეს ორი განსხვავებული მიმართულებით – ჩრდილოეთით (ბაიაზეთისკენ) და დასავლეთით (სპარსეთის საზღვრისკენ). სომხურ ჯარებთან ერთად ქალაქი დატოვა სომხური ეროვნების ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილმა სამოქალაქო მოსახლეობამ.¹⁸⁴ სომხების უკან დახევის სამი დღის შემდეგ ვანში თურქები – კავკასიის მე-4-ე კორპუსის მე-5-ე დივიზია და მე-12-ე დივიზიის ნაწილები შევიდნენ.¹⁸⁵ იმავდროულად მე-12-ე დივიზიის სხვა ნაწილები მალაზკერტიდან თუთაქის გავლით ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ ალაშქრეთის დაბლობისკენ. 18 აპრილს მათ დაიკავეს ყარაქიოსე, აიძულეს ყარაქიოსესა და ჰინისყალას მოხალისეები, უკანდახევა დაეწყოთ ალექსანდროპოლის მიმართულებით.¹⁸⁶

ქალაქ ვანში თურქული ჯარი გადაჯგუფდა, რის შემდეგაც მე-5-ე დივიზიის ნაწილებმა დაიწყეს შელწევა ჩრდილო-აღმოსავლეთ სპსრსეთში, მოძრაობდნენ ორ კოლონად, – კოტურის ქედისკენ და

Allen, Muratoff, p. 465.

¹⁸⁴ ის სომხები, რომლებმაც ნებაყოფლობით გადაწყვიტეს ქალაქ ვანში დარჩენა ან ევაკუაცია ვერ მოასწრეს, უკლებლივ ყველა ამოწყვიტეს ოსმალმა ასკერებმა და ქურთმა ბაშიბუზუკებმა.

¹⁸⁵ Allen, Muratoff, pp. 463.

Novannisian, p.136.

¹⁸⁶ Кадишев, с. 51.

Allen, Muratoff, p. 464.

ურმიისკენ ბაშყალეს¹⁸⁷ გავლით. იმავდროულად მე-12-ე დივიზიის ქალაქ ვანში განლაგებულმა ნაწილებმა ბაიაზეთის მხარეს გადაადგილება დაიწყეს. 14 აპრილს დაიკავეს ბაიაზეთი და გააგრძელეს გადაადგილება დიადინისა¹⁸⁸ და ილდირის მხარეს.¹⁸⁹

ბათუმის დაცემა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და ყარსის დაკარგვა

ბათუმის დაცემა

ამიერკავკასიის სეიმის მიერ ოსმალთა ულტიმატუმზე უარის თქმის რამდენიმე საათის შემდეგ ბათუმის გარშემო საომარი მოქმედებები დაიწყო. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან 37-ე თურქული დივიზიის ძალებით (3000-დან 4000-მდე ოფიცერი და ჯარისკაცი ლაზი მოლაშქრეების ჩათვლით, ექვსი ქვემეხით)¹⁹⁰ და აჭარელი მოხალისეებით (ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა, მაგრამ სავარაუდოდ არა უმეტეს 1000 კაცისა) ბლოკირებულ, სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით გამაგრებულ ბათუმს იცავდა გარნიზონი რიცხობრივად 10.000-დან 12.000-მდე ოფიცრითა და ჯარისკაცით, სიმაგრეში სამოცდაათი საარტილერიო ქვემეხით და ველზე ოცდაათი ქვემეხით.¹⁹¹ ზემოთმოყვანილი ციფრების შემხედვარეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ თურქებსა და ადგილობრივ მუსლიმან ამბოხებულებს ბათუმის ქართველი დამცველების დამლევის ოდნავი შანსიც კი არ ჰქონდათ. მაგრამ რეალური სიტუაცია ქართველებისთვის სულაც არ იყო სასიკეთო. ქართველი ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთება უკიდურესად დაბალი იყო, მნიშვნელოვანწილად ცუდი ორგანიზაციის, მეთაურობის არაპოპულარობის, დისციპლინის უქონლობის, პაციფისტური განწყობილებისა და მთავრობის მხრიდან

¹⁸⁷ ბაშყალე (თურქ. Başkale, სომხ. ადამაკერტი) ქალაქი და რაიონი მდინარე მეჯ ზავის (ევფრატის მარცხენა შენაკადი) ნაპირზე, თურქეთის აღმოსავლეთში ვანის ილში.

¹⁸⁸ ქალაქი აღრის ილში თურქეთში.

¹⁸⁹ Allen, Muratoff, p.470.

Erickson, p. 196.

¹⁹⁰ Кадишев, с.49.

Квинитадзе, с. 29.

¹⁹¹ Кадишев, с.49.

Квинитадзе, стр. 28-29.

ერთმანეთის საწინააღმდეგო ინსტრუქციების გამო. მაგალითად, 9 აპრილს, ერთ-ერთმა ქართულმა შენაერთმა ტფილისიდან მიღებული მითითებით დატოვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიცია სოფელ ერგეს ახლო მთის წვერზე, საიდანაც გარემოზე გაბატონება შეიძლებოდა. 14 აპრილს მიიღეს ახალი ბრძანება – დაებრუნებინათ დატოვებული პოზიცია, მაგრამ მთის წვერის ხელახლა დაბრუნება წარუმატებლად დამთავრდა. საბოლოო ჯამში იერიშების სერიის შემდეგ 1918 წლის 15 აპრილს ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქი და ნავსადგური, აიყვანეს 3.600 ტყვე სიმაგრის კომენდანტის ჩათვლით. გენერალ კვინიტაძის მოგონებებიდან ორგანიზებული წინააღმდეგობის მცდელობები ქართული ჯარის მხოლოდ რამდენიმე მცირე რაზმს ჰქონდა. ასე მაგალითად, კაპიტან შავგულიძის მეთაურობით ანარიას ფორტის დამცველი 50 ჯარისკაცი ბოლომდე იბრძოდა, სანამ ტყვიამ ფორტის ცოცხლად დარჩენილი უკანასკნელი დამცველი არ მოცელა. ბათუმის დაცემის შემდეგ ქართული გარნიზონის ნარჩენებმა სოფელ მუხაესტატესა და ჩრდილო აჭარაში წმ. ნიკოლოზის ფორტისკენ დაიხიეს.¹⁹²

ქართული დაცვის მარცხენა ფლანგზე ოსმალთა დივიზიის მე-5-ე და მე-10-ე ნაწილებმა, გაძლიერებულებმა მრავალრიცხოვანი მუსლიმანი ამბოხებულებით, მარშით გაიარეს მერდენეკიდან არტანის ოკრუგზე (ქართული ეროვნული საბჭო ამ ოკრუგს საქართველოს ნაწილად თვლიდა, მაგრამ ქართულმა ჯარებმა ის უბრძოლველად დატოვეს) და 19 აპრილისთვის ქალაქ ახალციხეს მიაღწიეს. შეტაკებების სერიების შემდეგ ადგილობრივი ქართველი და სომეხი მოლაშქრეებით გაძლიერებული ქართული კორპუსის ნაწილები, გენერალ აბელ მაყაშვილის (აველ მაკაევის) მეთაურობით, ქალაქის ფარგლებში ალყაშემორტყმული აღ-მოჩნდნენ. თურქები კი უფრო იქით აწყურის მხარეს წავიდნენ, სადაც ტფილისიდან და გორიდან მოსულ ქართულ მაშველ ჯართან (მე-3-ე დივიზიის ნაწილებთან) შემხვედრ ბრძოლაში ჩაებნენ. იმავე დღეს აბასთუმანელმა ამოხებულმა მუსლიმანებმა ზეკარის

¹⁹² Allen, Muratoff, p. 465-466.

Кадишев, с. 50.

Квинитадзе, стр. 27-29.

უღელტეხილი დაიკავეს, ამით გახსნეს გზა ქუთაისის გუბერნიაში თურქული სარდლობის მიერ დაგეგმილი შეჭრისთვის.¹⁹³

ნოვოსელიმის დაცემა და ალექსანდროპოლის კონფერენცია

19 აპრილს ოსმალთა მე-9-ე, მე-10-ე და 36-ე დივიზიის ნაწილებმა ნოვოსელიმის ახლოს სომხების პოზიციებზე შეტაკებები დაიწყეს, მე-11-ე დივიზია ერზერუმის რაიონში რეზერვად დატოვეს. ნოვოსელიმის დამცველი სომხური ჯარის (დაახლოებით 9.000 ქვეითი) რაოდენობა მოწინააღმდეგის სამი დივიზიის (18.000 ქვეითი, ცხენოსანი ბაშბუზუკების ჩათვლელად, რომელთა ქვეითი რაოდენობა ცნობილი არაა), რომლებსაც არტილერიაშიც მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ, შეტევის მოსაგერიებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. მთელი დღე-ღამის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ სომხებმა ყარსის მიმართულებით დაიხიეს. ბედის ირონიით გენერალმა ლებედინსკიმ (ამიერკავკასიის ყველა ჯარის მთავარსარდალი), გენერალმა ნაზარბეკოვმა და პოლკოვნიკმა შარდინიმ (საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაური) ბრძოლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მოინახულეს ნოვოსელიმის პოზიციები და უაღრესად ოპტიმისტური დასკვნები გააკეთეს ფრონტზე მდგომარეობის შესახებ. იმავე დღის ბოლოს მათ თავიანთი აზრი გაუზიარეს სომხების ეროვნულ ასამბლეას ალექსანდროპოლში და ასამბლეის წევრებს საბოლოო გამარჯვებამდე ომის გაგრძელებისთვის ხმის მიცემის რეკომენდაცია ურჩიეს. ზუსტად ამ დროს თურქები გამარჯვებული მარშით შედიოდნენ ნოვოსელიმში.¹⁹⁴ ამის მიუხედავად სომხური კორპუსის სარდლობას, ნაზარბეკოვის ჩათვლით, სჯეროდა, რომ ყარსი არ ჩაბარდებოდა.¹⁹⁵ ამ რწმენას

¹⁹³ გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი 1917-1925; გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1990, გვ. 31.

Кадишев, с. 51.

Квиниатадзе, р. 37.

Саносян, *цит. мр.*

¹⁹⁴ Allen, Muratoff, p. 465.

Kazemzadeh, p. 103.

¹⁹⁵ ლებედინსკისა და სომეხი გენერლებისგან განსხვავებით ქართველი გენერალი გიორგი კვინიტაძე, პირიქით, დარწმუნებული იყო, რომ ყარსს დაკარგავდნენ ისე, როგორც ბათუმი დაკარგეს, შესანიშნავი სიმაგრეებისა და მრავალრიცხოვანი კარგად შეიარაღებული გარნიზონის

იზიარებდნენ სომეხი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სპეციალური კონფერენციის, რომელიც ალექსანდროპოლში 20-21 აპრილს ჩატარდა, დელეგატების უმრავლესობაც. კონფერენციის მსვლელობაში კაჩაზნუნი და მისი მომხრეების მცირე ჯგუფი შეეცადნენ, დელეგატები (რომლებიც უკვე ისე იქცეოდნენ, როგორც სომხეთის თვითგამოცხადებული ჩრდილოვანი მთავრობა) ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების გადაუდებლად მიღებაში დაერწმუნებინათ. კაჩაზნუნი ვარაუდობდა, რომ ეს ნაკლები ბოროტება იქნებოდა რესურსებისა და, ფაქტიურად, რეალური არმიის არარსებობის პირობების ძალით გარდაუვალ დამარცხებამდე ბრძოლასთან შედარებით.¹⁹⁶ მაგრამ სომეხი ხალხის ყველა სამხედრო და თითქმის ყველა სამოქალაქო ლიდერმა ოსმალთა მოთხოვნების მიღების იდეა კატეგორიულად უარყო.¹⁹⁷

ყარსის სიმაგრე თავდაცვისთვის ემზადება

1918 წლის აპრილის მესამე კვირის ბოლოს თურქული ავან-გარდები ყარსთან მივიდნენ. ამ მომენტისთვის სომხურ ჯარებს სამოვათიდან ბოზყალესა და ვლადიყარსის¹⁹⁸ გავლით კანიკო-იმდე ხაზის გასწვრივ საკმაოდ მომგებიანი პოზიციები ეკავათ. თვით ქალაქი ყარსიც კარგად იყო გამაგრებული და მისი 6.000 დამცველის განლაგება საერთო რაოდენობით 12.000 ქვეითისა და ცხენოსნის რეგულარული თურქული ჯარისა და ადგილობრივი მუსლიმანი ამბოხებულის კომბინირებული ძალების იერიშების გამძლევის რეალურ შესაძლებლობას იძლეოდა.¹⁹⁹ ოსმალთა სარდლობა ამას შესანიშნავად ხვდებოდა და სისხლისღვრის თავის არიდების მცდელობა წამოიწყო, – ამიერკავკასიის მთავრობას

მიუხედავად კვინიტაძის აზრით ამიერკავკასიის ჯარების უმრავლესობის დაბალი მორალური სულისკვეთება გამორიცხავდა ოსმალთა შემოსევისთვის საკადრისი პასუხის გაცემის შესაძლებლობას.

¹⁹⁶ კადიშევის გამოკვლევების თანახმად 1918 წლის 14-დან 22 აპრილამდე ამიერკავკასიის სეიმმა საყოველთაო მობილიზაციის მცდელობა წამოიწყო, რაც მარცხით დამთავრდა.

¹⁹⁷ Hovannisian, p. 159.

¹⁹⁸ ვლადიყარსი – ახლანდელი კუმბეთლი, მოლოკანების ყოფილი სოფელი ყარსთან.

¹⁹⁹ Allen, Muratoff, p. 466.

Кадишев, с. 53.

ახალი „საზავო წინადადებით“ მიმართა. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, ეს მცდელობა სავსებით გამოუვიდათ.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადებულია

1918 წლის 22 აპრილს, სამოვათ-კინიკიოს ხაზზე ყარსისთვის ბრძოლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩხენკელმა ვეჰიბ-ფაშასგან ტელეგრამა მიიღო მოლაპარაკებების განახლების წინადადებით. ამიერკავკასიის ლიდერებს ამ წინადადების მიღება უნდოდათ, მაგრამ ვისი სახელით უნდა გამოსულიყვნენ? ცხადი იყო, რომ ოსმალთა იმპერია ოფიციალური სტატუსის არმქონე მთავრობასთან არავითარ საზავო შეთანხმებას ხელს არ მოაწერდა. მაგრამ ომის გაგრძელებას 1877 წლის საზღვრის ფარგლებს გარეთ თურქეთის შემდგომი ექსპანსიის გამოწვევა შეეძლო. სწორედ რომ ვთქვათ, ეს უკვე აღსრულებული ფაქტი იყო, რადგან აპრილის მესამე კვირის ბოლოს ოტომანთა ჯარებმა და პროთურქულმა აჯანყებულებმა უკვე დაიკავეს ტფილისის გუბერნიის თითქმის მთელი ახალციხის მაზრა. მათ ქუთაისის გუბერნიაშიც შეაღწიეს ბათუმისა და აბასთუმნის მხრიდან, ისევე როგორც ერივანის გუბერნიაში – ბაიაზეთის მხრიდან. ყველაფერი ზემოთქმული ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას მოითხოვდა. სწორედ ეს საკითხი წამოაყენეს დღის წესრიგში სეიმში, ვეჰიბ-ფაშას წინადადების მიღების შემდეგ მაშინვე.

ცხარე დებატების რამდენიმე საათის შემდეგ სეიმის დეპუტატების უმრავლესობა შეთანხმდა იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობა აუცილებელია და 22 აპრილის საღამოს გამოცხადდა „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა“. ახალი სახელმწიფოს დაბადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მისი მთავრობის ჩამოყალიბებამდეც კი, სულ ახლახან პრემიერ-მინისტრად დანიშნულმა აკაკი ჩხენკელმა ტელეგრაფით აცნობა ვეჰიბ-ფაშას დამოუკიდებელი ამიერკავკასიის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების დებულებების მიღებისა და ზავის პირობების განსახილველად ბათუმში დელეგაციის გაგზავნის შესახებ. ტელეგრამა ასევე შეიცავდა თხოვნას, შეეჩერებინათ ყველა

სამხედრო ოპერაცია ახალი საზავო მოლაპარაკებების დამთავრებამდე.²⁰⁰



*„ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის“
დროშა (1918 წ. 22 აპრილი – 26 მაისი)*

აქ აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის შესაძლო დამოუკიდებლობის შესახებ საკითხი სეიმში ადრეც განიხილებოდა, – 1918 წლის თებერვალსა და მარტში, ასევე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) პარტიის კონფერენციაზე 20 აპრილს, – დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 48 საათით ადრე. რუსეთისგან სრული გამოყოფის იდეას ყოველთვის უარყოფდნენ როგორც სეიმის დეპუტატების უმრავლესობა, ისე კონფერენციის დელეგატებიც. 22 აპრილის სეიმის სხდომაზეც კი ძირითადი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც რეგიონის ყველაზე პოპულარულ პარტიებს წარმოადგენდნენ, ახალი სახელმწიფოს გაჩენის საკითხთან დაკავშირებით დემონსტრაციულად აჩვენებდნენ რწმენისა და ენთუზიაზმის უქონლობას.²⁰¹

ზემოთ მოყვანილი ფაქტები საშუალებას გვამლევვენ, ვივარაუდოთ, რომ აღწერილ დროში არც რუსული სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობას, არც მის პოლიტიკურ ელიტას არ ჰქონდათ რუსეთისგან გამოყოფის სურვილი. ეგრეთ წოდებული

²⁰⁰ Hovannisian, pp. 159-162.
Кадишев, стр. 51-52.

Kazemzadeh, pp. 103-106.

²⁰¹ Hovannisian, pp.158-159.
Kazemzadeh, pp.103-104.

„ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა“²⁰² სასოწარკვეთილების მომენტში რეგიონის თუნდაც ნაწილის თურქების გამაჩანაგებელი შემოსევისგან დაცვის მცდელობის დროს დაიბადა. ეს მდგომარეობაც ხსნის ხუთ კვირაზე ნაკლებ არსებული ახალი სახელმწიფოს დღემოკლეობას.

დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტისთვის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ახალი მთავრობა გარკვეულწილად აკონტროლებდა შემდეგ ტერიტორიებს: ტფილისის გუბერნიას ახალციხის მაზრის დიდი ნაწილის გამოკლებით; ქუთაისის გუბერნიას ოზურგეთის მაზრის ნაწილის გამოკლებით; მთლიანად და თითქმის მთლიანად ელიზავეტპოლისა და ერივანის გუბერნიებს; ბაქოს გუბერნიის დაახლოებით მესამედ ნაწილს, ასევე ზაქათალის ოკრუგს და სოხუმის ოკრუგის ნახევარს. სამხრეთ კავკასიაში ყველა დანარჩენი სხვა რუსული სამფლობელოები იმყოფებოდნენ ოტომანური და პროტომანური შეიარაღებული ძალების, წითელი არმიის (ბაქოს გუბერნიის 2/3, შავი ზღვის გუბერნია მთლიანად, ასევე სოხუმის ოკრუგის ნახევარი) და ანტიბოლშევიკური რუსული ლაშქრის (მულანი) ასე თუ ისე სტაბილური მეთვალყურეობის ქვეშ.

ყარსის დაცემა

ამასობაში 1918 წლის 23 აპრილის დილით თურქები ძლიერ ახლოს მივიდნენ სომხების პოზიციასთან ყარსთან და დაიწყო ან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გამაგრებული ქალაქისთვის ბრძოლა. პირველმა საათებმა წარმატება ვერ მოუტანეს ოსმალთა ჯარს და გენერალ ნაზარბეკოვს მტკიცედ ჰქონდა განზრახული გამარჯვებამდე ბრძოლა. მაგრამ იმავე დღის 14 საათზე ნაზარბეკოვმა ორი დეპეშა მიიღო: ერთი – ახალი მთავრობის პრემიერ ჩხენკელისგან, მეორე – ასევე ხელახლა დანიშნული თავდაცვის მინისტრ ოდიშელიძისგან. პირველი დეპეშა გენერალს ინფორმაციას ამცნობდა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის დაბადებაზე. მეორე შეიცავდა ბრძანებას, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა თურქების წინააღმდეგ ყველა საბრძოლო მოქმედება იმავე დღის საღამოს არაუგვიანეს 5 საათისა და ოსმალთა გენერალს იაყუბ შევქი-ფაშას

²⁰² ოვანისიანის აზრით ახალი სახელმწიფო არც დემოკრატიული იყო, არც ფედერაციული, რესპუბლიკად მოხსენებაც მხოლოდ დიდი ძალდატანებით თუ შეიძლებოდა.

(ყველა თურქული ჯარის სარდალს ყარსის რაიონში) ცეცხლის შეწყვეტაზე მოლაპარაკებოდა. ნაზარბეკოვმა დეპეშა მიიღო, როცა ალექსანდროპოლში იმყოფებოდა. ის მაშინვე შეეცადა ტფილისთან დაკავშირებას განმარტების მისაღებად, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან სატელეგრაფო ხაზი დივერსიის შედეგად იყო დაზიანებული.²⁰³

დაახლოებით საღამოს 4 საათისთვის ნაზარბეკოვმა ტფილისიდან მიღებული ბრძანება ყარსში გადააგზავნა. მისი მიღებისას ყარსის დაცვის მეთაურმა გენერალმა დეევმა პოლკოვნიკი ნიკოლაი მორელი პარლამენტიორად გაგზავნა ოტომანთა ავანგარდის მეთაურთან, პოლკოვნიკ ქაზიმ ყარაბექირთან. თავისდა გასაოცრად დეევმა გაიგო, რომ თურქ მეთაურს შეტევის შეჩერების შესახებ არავითარი ბრძანება არ მიუღია. შედეგად ყარსის გარშემო გაჩნდა სრულიად აბსურდული სიტუაცია: გამაგრებული ქალაქის დამცველები ხელფეხმეკრულნი იყვნენ ბრძოლისგან თავის არიდების ბრძანებით, იმ დროს, როცა თურქებს ასეთი ბრძანება არ ჰქონდათ. ამან მთლიანად გაანადგურა ის, რაც ჯერ კიდევ იყო დარჩენილი დეევის სომეხი ჯარისკაცების მორალური სულისკვეთებისგან და პანიკა გამოიწვია ყარსის ქრისტიან მცხოვრებთა შორის. ქალაქი განწირული იყო და გარდაუვალ ევაკუაციას ექვემდებარებოდა, პოლკოვნიკ მორელს კი სხვა არაფერი დარჩენოდა იმის გარდა, შეხვეწნოდა მოწინააღმდეგეს, ქალაქის დამცველებისთვის აზრიანი გადავადება მიეცათ, რაც ლტოლვილებს ქალაქის დატოვების, სამხედროებს კი იარაღისა და მარაგის ნაწილის გატანისა და შედარებით წესრიგიანი უკანდახევის საშუალებას მისცემდა. მაგრამ ამ უმორჩილესი თხოვნის პასუხიც უარი იყო. კადიშევის თანახმად თურქებს ყარსის რაც შეიძლება ჩქარა დაკავება ჰქონდებოდათ, იმისთვის, რომ მთლიანად მიეღოთ სიმაგრეში შენახული სამხედრო მასალის უზარმაზარი მარაგი. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ცუდად შეიარაღებული და ნახევრადმშიერი მე-3-ე არმიისთვის, რომელსაც კავკასიაში კონსტანტინოპოლის პანთურანული გეგმების რეალიზაციისთვის შეტევის გაგრძელების ბრძანება ჰქონდა. ამიტომ 24 აპრილის ადრე დილით ყარაბექირის ავანგარდები ყარსისკენ დაიძრნენ. იმავდროულად არტაანის ოკრუგიდან ამზოხებული ქურთებით გაძლიერებული სხვა თურქული ნაწილები შეეცადნენ სოფელ მაცრას (მეზრას) გავლით ჩრდილო-და-

²⁰³ Hovannisian, pp. 161-164.

სავლეთიდან შემოვლითი მანევრის წამოწყებას, რომ ყარს-ალექსანდროპოლის რკინიგზა გადაეჭრათ და ქალაქიდან უკანდახევის ძირითადი გზა დაებლოკათ. ეს გეგმა ვერ მოხერხდა, რადგან გენერალმა დევემა ყარსის სიმაგრეში განლაგებული მძიმე არტილერიიდან ყარაბეჯირის ჯარზე ცეცხლის გახსნა ბრძანა და გაჩერება აიძულა. იმავდროულად გენერალ ტერ-აკოფიანის 1-ლი დივიზიის სომხურმა ნაწილებმა მაცრასთან თურქები დაამარცხეს. ამ პატარა გამარჯვებამ ყარსის დამცველებს ათასობით სომეხ და სხვა ქრისტიან ლტოლვილებთან ერთად ქალაქიდან ასე თუ ისე ორგანიზებულად უკანდახევის საშუალება მისცა. მაგრამ სურსათის და საბრძოლო და სხვა სამხედრო მასალების ზემოთ ნახსენები უმდიდრესი მარაგი დარჩათ თურქებს, რომლებიც ქალაქში 25 აპრილს შევიდნენ.²⁰⁴

28 აპრილიდან უკანდახეულმა სომხურმა ჯარმა და ლტოლვილებმა გადაჭრეს მდინარე დასავლეთ არფაჩი (ახურიანი), რომლის იქითაც ერივანის გუბერნია იწყებოდა, იმის იმედით, რომ თურქები ამის იქით არ დაედევნებოდნენ, რადგან მთელი ტერიტორია, რომელზედაც პრეტენზია ჰქონდათ თურქებს ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დებულებებით, უკვე მის ჯარებს ჰქონდათ დაპყრობილი. შემდეგმა მოვლენებმა აჩვენეს, რამდენად მიამიტური იყო ამგვარი იმედი.

საბრძოლო მოქმედებები ოზურგეთთან და ჩოლოქის ბრძოლა

18 და 25 აპრილს შორის ბათუმის ჩრდილოეთით – ბათუმის ოკრუგის კინტრიშის თემში²⁰⁵ და ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის გურიანთას თემში ასევე მიმდინარეობდნენ აქტიური საბრძოლო მოქმედებები. ბათუმის დაცემის შემდეგ ოსმალთა

²⁰⁴ Allen, Muratoff, pp. 466-467.

Нованниан, pp. 164-166.

Кадишев, стр. 52-53.

Gabriel Korganoff, *La Participation des Arméniens à la Guerre mondiale sur le Front du Caucase 1914-1918* (Paris, 1927), pp. 137-156.

²⁰⁵ თემი (რუს. волость) – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში, მაზრის ნაწილი.

არმიის 37-ე კავკასიური დივიზიის ნაწილებმა²⁰⁶ ადგილობრივ მუსლიმან პარტიზანებთან ერთად შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ქალაქ სოხუმის მიმართულებით შეტევის გაშლის მცდელობა წამოიწყეს. მათ გზა გადაუღობეს ქუთაისელი, სამტრედიელი, შორაპნელი და მიხაილოვოელი (ხაშურელი) მოხალისეებით გაძლიერებულმა ქართული კორპუსის ნარჩენებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის (მაზნიევის) მეთაურობით. მოხალისეები დასავლეთ საქართველოდან ქართული კორპუსის რეგულარული ნაწილებისგან, რომლებსაც დისციპლინის უქონლობა და მეთაურების უპატივცემულობა ახასიათებდათ, კონტრასტულად განსხვავდებოდნენ მაღალი საბრძოლო სულისკვეთებით, რაც წარმატების გასაღები იყო შექმნილ გარემოებაში.

მუხაესტატესა და ქობულეთიდან ჩრდილოეთით უკანდახევის შემდეგ ქართველებმა შემხვედრი ბრძოლა გაუმართეს თურქებს სოფელ შემოქმედთან და მდინარე ჩოლოქზე წმ. ნიკოლოზის ფორტის ახლოს. ჩოლოქის ბრძოლა ორ დღეს გრძელდებოდა (20-21 აპრილს) და ოსმალთა ჯარის დამარცხებით დამთავრდა. ბრძოლის მსვლელობაში თურქებმა მარტო მოკლულებით 1500 კაცი დაკარგეს და ყოველ შემთხვევაში იძულებული გახდნენ, უარი ეთქვათ სანაპიროს გასწვრივ შემდგომ შეტევაზე. შემოქმედთან ბრძოლა ქართველებისთვის ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. მისი დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ქართველები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ და ბრძოლის ველი დაეტოვებინათ მოწინააღმდეგისთვის, რომელმაც დღის ბოლოს ოზურგეთი – ისტორიული პროვინცია გურიის დედაქალაქი დაიკავა. 23 აპრილს ბრძოლა გაგრძელდა. შედეგად მაზნიაშვილის ჯარმა ვაშნართან დაამარცხა თურქები და ოზურგეთზე კონტრშეტევა დაიწყო. მაგრამ იმავე დღის ბოლოს იძულებული იყო ტფილისიდან მიღებული ბრძანების შესაბამისად შეეჩერებინა ყველა საბრძოლო მოქმედება: 23 აპრილს გენერალმა მაზნიაშვილმა ორი ზუსტად ისეთი დეპეშა მიიღო ჩხენკელისა და ოდიშელიძისგან, როგორც გენერალმა ნაზარბეკოვმა ყარსის ფრონტზე.²⁰⁷

²⁰⁶ კადიშევის მონაცემების თანახმად ბათუმის დაპყრობის შემდეგ თურქებმა მაშინვე გაატარეს რუსეთის ყოფილ ქვეშევრდომთა ნაწილობრივი მობილიზაცია 19 წლის ასაკიდან.

²⁰⁷ Кадишев, стр.50-51.
Квиниатадзе, с. 37.

განგაში ტფილისში და ბათუმის კონფერენციის გახსნა

ყარსის მოულოდნელი დაკარგვა შოკი იყო მთელი სომხური მოსახლეობისთვის სამხრეთ კავკასიაში. პანიკით მოცული ერივანის გუბერნია იძულებული იყო, მიეღო ათასობით დევნილი და დამარცხებული არმიის ჯარისკაცი, რომლებიც ყარსის ოლქიდან მდინარე ახურიაზე გადმოსვლით შეუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ. ახალმა ამბავმა იმის შესახებ, რომ ჩხენკელმა რუსული სომხეთის მნიშვნელობით მეორე ქალაქის უზრდოლველად დატოვების ბრძანება გასცა, მასობრივი პროტესტი გამოიწვია ტფილისში, რომელიც სომხური ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო. აღშფოთებული სომხების გროვა პროტესტის ნიშნად გამოვიდა ახლადგამოცხადებული ამიერკავკასიის რესპუბლიკის დედაქალაქის ქუჩებში ჩხენკელის გადაყენების მოთხოვნითა და ღალატში მისი დადანაშაულებით. სომეხი პოლიტიკური ლიდერები, კაჩაზუნისა და ხატისოვის ჩათვლით, ქუჩის პროტესტის მონაწილეებზე არანაკლებ იყვნენ აღშფოთებულნი. მათ უარი განაცხადეს თანამდებობის მიღებაზე მინისტრთა კაბინეტში, თუ ჩხენკელი არ გადადგებოდა. სომეხი ლიდერების მოთხოვნას მნიშვნელოვანწილად მხარი დაუჭირეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა და ამიერკავკასიის ახალ მთავრობაში სეროზული კრიზისი გამოიწვიეს. საბოლოო ანგარიშით, კრიზისის გადალახვა მოხერხდა, როცა ქართველმა ლიდერებმა ჟორდანიამ, გეგეჭკორმა, რამიშვილმა და წერეთელმა პრემიერის პოსტი კაჩაზუნის შესთავაზეს. მაგრამ სომხებს არ შეეძლოთ ამ კომპრომისზე წასვლა, რამდენადაც ყველასთვის ცხადი იყო, რომ თუ კაჩაზუნნი დაინიშნებოდა მთავრობის მეთაურად, თათრები და სხვა მუსლიმანები დაუყოვნებლივ გავიდოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობიდან, თურქები კი ნებისმიერ მოლაპარაკებაზე უარს იტყოდნენ. ფაქტიურად ეს თურქების მიერ მთელი კავკასიის დაპყრობასა და მისი სომხური მოსახლეობის მთლიანად ამოჟღეტას ნიშნავდა. ბოლოს, 26 აპრილის დილით, ჩხენკელისგან განსაზღვრული გარანტიების მიღების შემდეგ, პოლიტიკური

მაზნიაშვილი, მოგონებანი 1917-1925; გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1990, გვ. 22-49.

ლიდერები დათანხმდნენ, ერთად ემუშავათ და საძულველი პრემიერ-მინისტრის გადადგომის მოთხოვნა მოეხსნათ.²⁰⁸

ყარსის ჩაბარების დროიდან დღემდე ბევრ სომეხს, რუს და საბჭოთა ისტორიკოსს აქვს ყველა საშინელებაში, რაც 1918 წელს ყოფილ რუსულ სომხეთსა და მის ხალხს დაატყდა თავს, მთლიანად ქართული პოლიტიკური ელიტის და კერძოდ აკაკი ჩხენკელის დადანაშაულების ტენდენცია. პირველი მსოფლიო ომის დასასრულს სამხრეთ კავკასიის წინაშე დამდგარი პრობლემებისადმი მსგავსი მიდგომა გამარტივებული და არც თუ ობიექტურია. აქ სრულიად მართებულია ციტირება პროფესორ რიჩარდ ოვანისიანისგან, რომელმაც მოცემულ საკითხზე შემდეგი აზრი გამოთქვა:

სომეხი ისტორიკოსების მიერ გაკრიტიკებული და მტერთან მისი საიდუმლო გარიგების გამო ლალატშიც კი დადანაშაულებული აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი, მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტად რეალისტი იყო ამიერკავკასიის პოლიტიკოსებს შორის. მას მთლიანად ესმოდა ძალოვანი პოლიტიკის სიმახვილე და მომენტის მოთხოვნილებით მზად იყო მანევრირებასა და კომპრომისზე წასვლაზე...²⁰⁹

...ადვილი არაა ჩხენკელის კრიტიკისგან თავის შეკავება ტრადიციული და ნაკლებად მართებული მეთოდებისთვის, რომელთა დახმარებითაც ის თავის მიზნებს ისახავდა, მაგრამ რეტროსპექტივაში მისი ყოველი სვლის გამართლება შეიძლება შემდეგ მიზეზთა ძალით:

- 1) *პრემიერად რომ დაინიშნა, ის ვალდებული იყო, სახელმწიფოსთვის ეხელმძღვანელა, რამდენადაც არავითარი სხვა აღმასრულებელი ორგანო იმ მომენტში არ არსებობდა...*
- 2) *22 აპრილის სხდომის მსვლელობაში სეიმმა ამიერკავკასიის მთავრობას დაავალა მოლაპარაკებების განახლება...*

²⁰⁸ Hovannisian, pp. 166-168.

²⁰⁹ Hovannisian, p. 160.

- 3) ცხადი იყო, რომ მოლაპარაკებების განახლება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრების მიღებას ნიშნავდა.
- 4) სომხებმა ხმა მისცეს საზავო მოლაპარაკებების გაგრძელებას, ამით უსიტყვოდ ცნეს ყარსზე და 1877 წლის რუსეთ-თურქეთის საზღვრების იქით სხვა ტერიტორიებზე უარის თქმის გარდაუვალობა.²¹⁰

ნებისმიერ შემთხვევაში, 1918 წლის თებერვლიდან ივნისამდე გაგრძელებულმა თურქეთ-ამიერკავკასიის ომმა ნათლად აჩვენა, რომ ამიერკავკასიის მუსლიმანები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის 44% შეადგენდნენ, ასე თუ ისე მხარს უჭერდნენ ოსმალ დამპყრობლებს. მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასიის ქრისტიანებმა დარაზმვასა და არსებითი გარეშე დახმარების გარეშე საკუთარი მიწების ეფექტურ დაცვაში უუნარობის დემონსტრაცია მოახდინეს. ნათქვამის შუქზე, რეგიონის თუნდაც ნაწილის გადარჩენა ოტომანთა იმპერიის შთანთქმისგან მხოლოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიული დათმობების ზავზე გაცვლაში ხვეწნით დაყოლიებით შეიძლებოდა. ქვემოთ აღწერილმა და გაანალიზებულმა შემდგომმა მოვლენებმა ცხადად აჩვენეს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით დანაკარგი (ყარსი, არტანი და ბათუმი) მინიმალური საფასური იქნებოდა კავკასიაში ქართველი და სომეხი ხალხების განადგურებისგან გადასარჩენად.

ასე რომ მოლაპარაკების პროცესი განახლდა. 28 აპრილს ვეპიზ-ფაშამ სეიმს ინფორმაცია გაუგზავნა იმის შესახებ, რომ ოტომანთა იმპერიის მთავრობა ცნობს ამიერკავკასიის რესპუბლიკას, და რომ თურქეთის დელეგაცია ხალილ-ბეის (იუსტიციის მინისტრის და იმავდროულად საგარეო საქმეთა მინისტრის) თავმჯდომარეობით ბათუმში მოდის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით. ვეპიზი ასევე იტყობინებოდა, რომ ხალილს თან ახლავს „დელეგაცია ჩრდილო კავკასიიდან“, რომელიც ჩრდილოკავკასიელი მთიელებისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკის ტერიტორიების შეერთების შესახებ შეთანხმების მიღწევას იმედოვნებს.²¹¹ ერთი კვირით გვიან ამიერკავკასიის

²¹⁰ Hovannisian, p. 163.

²¹¹ თურქების იდეას დალესტნისა და ჩეჩნეთის ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან მიერთების შესახებ აქტიურად დაუჭირეს მხარი თათარმა

დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით ბათუმში გაემართა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ რეგიონის პოლიტიკური ცხოვრების ცნობილი და გავლენიანი რამდენიმე ლიდერი: ნიკოლოზ ნიკოლაძე, ჰოვანეს კაჩაზნუნი, ალექსანდრე ხატისოვი, მამედ-ჰასან ჰაჯინსკი, მამედ-ემინ რასულზადე, ფატალი-ხან ხოსკი. დელეგაციას თან ახლდნენ: გამოჩენილი პეტერბურგელი ადვოკატი და ისტორიკოსი ზურაბ ავალოვი, – ექსპერტად იურიდიულ საკითხებში, და ილია ოდიშელიძე – სამხედრო კონსულტანტად. კონფერენციას ასევე ეწვია სამი გერმანელი დამკვირვებელი: გერმანიის სამხედრო ატაშე თურქეთში გენერალი ოტო ფონ ლოსოვი, გერმანიის ყოფილი ვიცე-კონსული ტფილისში გრაფი ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი და ექსპერტი კავკასიის შესახებ ოტო ფონ ვეზენდონკი. გერმანელების დასწრება კონფერენციაზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართველებისა და სომხებისთვის, რამდენადაც, ავალოვის გამოთქმით, ეს „სადრუნჩედ“ («намордником») გამოდგებოდა კავკასიაზე ოტომანური ამბიციებისთვის.²¹²

1918 წლის 11 მაისს ბათუმის კონფერენციამ მუშაობა დაიწყო. კონფერენცია გახსნა ხალილ-ბეიმ, რომელმაც თავისი გამოსვლა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მილოცვითა და მოლაპარაკებებზე ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლად ჰაიდარ ბამატის (ბამატოვის) დაშვების შეთავაზებით დაიწყო.²¹³ ამ ფორმლობების დამთავრების შემდეგ ხალილმა გამოაცხადა, რომ მისი მთავრობა ვერ დაკმაყოფილდება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებით, რადგან ქართველებმა და სომხებმა არ მიიღეს ეს პირობები ტრაპიზონში და შეიარაღებული წინააღმდეგობით შეეცადნენ თურქეთის არმიის შეკავებას. ამიტომ ბა-

დეკლარაციებმა იმის გამო, რომ ამ გეგმის რეალიზაციის შემთხვევაში კავკასიის ახალი სახელმწიფო მოსახლეობის მიხედვით უპირატესად მუსლიმანური გახდებოდა. ამ მიზეზის გამო ამ გეგმას მხარი არ დაუჭირეს არც ქართველმა, არც სომეხმა პოლიტიკოსებმა.

²¹² Авалов, стр. 34-37.

Нованнисian, pp. 172-173.

Кадишев, с. 54.

Kazemzadeh, p. 109.

²¹³ ბამატის მიერ „ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე“ ხელის მოწერიდან ბათუმის კონფერენციის დაწყებამდე ერთი საათიც არ იყო გასული.

თუმისა და ყარსის იარაღის ძალით დაპყრობის კომპენსაციად ოსმალთა იმპერიას დამატებითი ტერიტორიული კომპენსაციები უნდა მიეღო. ოსმალთა ახალი მოთხოვნა 1877 წლის საზღვრის იქით ვრცელდებოდა და ახლა ტფილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს, ერივანის გუბერნიაში კი მთლიანად სურმალინის მაზრას და ნაწილობრივ ალექსანდროპოლისა და ეჩმიადინის მაზრებს მოიცავდა.²¹⁴ ამის გარდა თურქული მხარე მოითხოვდა დაუყოვნებლივ და სრულ კონტროლს ალექსანდროპოლ-ეჩმიადინ-ნახჭევან-ჯულფას რკინიგზის ხაზზე ჩრდილოეთ სპარსეთში ბრიტანელებთან საბრძოლველად ჯარების გადასროლის აუცილებლობის საბაზით, ასევე სამხრეთ კავკასიის ყველა სხვა რკინიგზებით სარგებლობის სრულ უფლებას მსოფლიო ომის დამთავრებამდე.²¹⁵

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების მიღება არა მხოლოდ უმძიმეს ტერიტორიულ დანაკარგებს, ყოფილი რუსული სომხეთის ნახევარზე მეტის ჩათვლით, არამედ ასევე ფაქტიურად ამიერკავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკის სუვერენიტეტზე ოსმალთა იმპერიის სასარგებლოდ უარის თქმასაც ნიშნავდა. ამიერკავკასიის დელეგაციამ, რომლის წევრებიც ისედაც არ ეპყრობოდნენ ერთმანეთს განსაკუთრებული ნდობით, მთლიანად დაკარგა ერთიანობა კავკასიაში თურქების ბატონობის პერსპექტივის გამო. შემდგომში აზერბაიჯანელებად წოდებული კავკასიელი თათრები თურქებს განიხილავდნენ როგორც რწმენითა და ენით თვისტომებს. ისინი ასევე ღრმად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ ოსმალთა არმია ერთადერთი რეალური ძალა იყო, რომელიც თათრებს ბოლშევიკებისგან ბაქოს გუბერნიის ბრძოლით დაბრუნებასა და, შესაძლოა, დაღესტანში თავიანთი გავლენის გავრცელებაში დახმარებას შეძლებდა. ბათუმის კონფერენციაზე

²¹⁴ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორია ნამდვილად შედიოდა ოტომანთა იმპერიის შემადგენლობაში 1590 წლიდან 1829 წლამდე, მაგრამ ამასთან ერივანის გუბერნიის ტერიტორია, რომელიც ხალილმა მოითხოვა ბათუმის კონფერენციის მსვლელობაში, არასდროს არ ეკუთვნოდა თურქებს, 1590 წლიდან 1639 წლამდე ოტომანთა ოკუპაციის მოკლე პერიოდის გამოკლებით.

²¹⁵ Allen, Muratoff, p. 467.

Hovannisian, p. 173.

Кадишев, с. 55.

Kazemzadeh, pp. 109-110.

ამიერკავკასიის მუსლიმანი დელეგატების პროტომანურ ორიენტაციას სტიმულს აძლევდა ელიზავეტპოლზე ბაქოს წითელი არმიის გაგრძელებული შეტევა, რომლის შეჩერების ძალა ადგილობრივ მუსლიმან მოლაშქრეებსა და „ველური დივიზიის“ თათრების პოლკს არ ჰქონდათ. ამ საკითხში თათრების ელიტის გეგმები მთლიანად ემთხვეოდნენ კონსტანტინოპოლის პანთურანულ პროექტს და აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის შემდგომი ალიანსისა და თანამშრომლობის დასაწყისი გახდნენ. სომეხი დელეგატები სავსებით ასახსნელ სასოწარკვეთილებას განიცდიდნენ. რაც შეეხება ქართველი დელეგატების პოზიციას, რომელსაც არცთუ ყოველთვის და არცთუ ყველაფერში იწონებდა საქართველოს საზოგადოებრივი აზრი, ის ყველაზე უკეთ ავალოვმა გამოთქვა:

ერთი სიტყვით, შეუძლებელი აღმოჩნდა საზღვრების დაცვა თურქების შემოსევისგან. მაგრამ ადვილად შეიძლებოდა დაგვეჩინებინა, რომ მტრის მიერ, მაგალითად, ბათუმის დაკავება სულაც არ შეიძლებოდა საბოლოოდ ჩათვლილიყო. ეს ომის საერთო დაბოლოებაზე იქნებოდა დამოკიდებული. თურქეთთან, მაშასადამე, არსებითად მოლაპარაკება გვიწევდა მხოლოდ ერთგვარ modus vivendi-ზე, უპირატესად ბათუმისა და ამიერკავკასიის ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფაზე. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი საქართველოში საკითხს უკიდურესი ნერვიულობით ეხებოდა; კერძოდ კი სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც ბათუმში ერთ-ერთი თავიანთი მთავარი შესავალი ჰქონდათ, ყველაზე ძნელად ეგუებოდნენ იმას, რასაც ისინი – ნაადრევად და გაზვიადებულად – საქართველოსთვის სასიკვდილო დარტყმად თვლიდნენ. მათ საერთოდ რევოლუციისა და დემოკრატიის საქმისთვის ზიანისაც ეძინოდათ ამ დანაკარგისგან.²¹⁶

შექმნილ მდგომარეობაში ქართველები და სომეხები მისწრაფოდნენ, თავიდან აეცილებინათ „ზავსა და მეგობრობაზე“ ხელშეკრულების, რომელსაც მათ დაჟინებით ახვევდა თავს ხალილბეი, პირობების უსიტყვო მიღება. ისინი დიპლომატიური გაჭიან-

²¹⁶ Авалов, с. 36.

ნურებითა და შემხვედრი წინადადებებით აყოვნებდნენ მოლაპარაკებებს, კულისებსიქითა მანევრებსაც აწყობდნენ, მოლაპარაკების პროცესში გერმანიის ერთგვარ მაკლურად ჩარევას ცდილობდნენ. მაგრამ ოსმალთა დელეგაციის წევრები ურყევენი იყვნენ თავიანთ მოთხოვნებში და არანაირ ვითარებაში კომპრომისზე წასვლა არ უნდოდათ. თურქები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა ემოქმედათ, ესმოდათ, რომ მესოპოტამიასა და სირიაში ბრიტანელებისა და ფრანგების შეტევების გამო დრო მათ წინააღმდეგ მუშაობს. შედეგად ამიერკავკასია შეიძლება მთლიანად აღმოჩენილიყო ოსმალთა იმპერიის გავლენის სფეროში, თუ არა კონფერენციაზე გენერალ ფონ ლოსოვის ყოფნა, რომელიც გერმანიის მთავრობის ინტერესების დაცვით აქტიურად ჩაება მოლაპარაკებების პროცესში.



ტროცკისა და კამენევის ჩასვლა ბრესტ-ლიტოვსკში ცენტრალურ დიდ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებაზე



ლენინი, ტროცკი, კამენევი – 1918 წლის რუსული ანტიბოლშევიკური კარიკატურები

1

Friedensvertrag
zwischen Deutschland, Oesterreich-Ungarn,
Bulgarien und der Türkei einerseits und
Rußland andererseits.

Мирный договоръ
между Германіей, Австро-Венгріей,
Болгаріей и Турціей съ одной
стороны и Россіей съ другой.

საზავო ხელშეკრულება ერთი მხრიდან გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და თურქეთს და მეორე მხრიდან რუსეთს შორის



იბრაჰიმ ჰაკი-ფაშა



იასუბ შევქი-ფაშა




მუსლიმანი ამხოხებულები კავკასიის ფრონტზე (1918 წ.). არარეგულარული კავალერიის ასეთი რაზმები პარტიზანულ ომს ეწეოდნენ ქართული და სომხური ჯარების ზურგში; ასევე მასიურად ჟლეტდნენ ქრისტიან მოსახლეობას (1918 წ.).

OTTOMAN INVASION OF THE CAUCASUS (February - March, 1918)

CONCENTRATION AND ACTION OF TROOPS:

- Ottoman
- Armenian
- Georgian
- Assyrian
- Ukrainian

MAJ. BATTLE:
 FRONT LINE:
 By 01.II
 By 30.III



Evacuation of Ukrainian troops to Odessa (I - II, 1918)

BLACK SEA

Tirebolu (Tripoli)
 Kerassund
 2nd Caucasian Corps
 Shiran
 Kelkit
 Bayburt
 Jspir
 Elements of 5th and 10th Divisions
 12.III
 Tortum
 Olty
 Garam-Vartan
 Novoselim
 Isnakhp
 Artvin
 Ardashuk
 Merdenek
 Khorezan
 Khorasan
 Kaghayzman
 Sardaatabad
 Vaharshapat
 Ashtarak
 Erivan
 Ulukhanlu
 Sadarak
 Keshishkend
 Bash
 Norashen
 Nakhichevan
 Julpha
 Ordubad

37th Caucasian Division
 Atina
 Rize (Rizunia)
 Georgian Corps
 Airdasa Pontic militia
 25.II
 Platan
 26.II
 Gyomyushkhane
 Mamakhatun (Ternan)
 1st Division
 1st Rgt.
 3d Bgd.
 1st Bgd.
 Erzinjan
 13-14.II
 Chardakli
 12.II
 Kale
 Khyngys
 3d Bgd.
 2nd Rgt.
 1st Division
 1st Rgt.
 2nd Rgt.

Natanebi
 Lanchkhuti
 Shorapan
 Ozurghehi
 Apastuman
 Atskur
 Akhalsikh
 Aspindza
 Akhalkalak
 Bogdanovika
 Shulaveri
 Alaverdi
 Zuzuna
 Jela-Oglyc
 Zarushat
 Amanli
 Karakatis
 Mastara
 Karakese
 Karakese
 Karakese volunteers
 Akhlat
 1st and 2nd Van Rgts.
 2nd Division
 5th Rgt.
 3rd Division
 3d Bgd.
 Bitlis
 Tatvan
 Mush
 4th Caucasian Corps
 Gevash

Georgian Corps
 Pontic militia
 Assyrian militia
 4th Battalion
 6th Battalion
 Salmas (Dilman)
 Urmiveh
 Sufian

BORDERS:

- National, 1918
- Provincial, 1914
- National, as per the Treaty of Brest-Litovsk (March 3, 1918) if different from above

TERRITORY UNDER OTTOMAN CONTROL:

- by February 01
- by March 30



ოსმალთა კავალერია (1918 წ.)



ოსმალთა ქვეითი ჯარი (1918 წ.)



გენერალი თომას ნაზარბუქოვი



გენერალი ილია ოდიშელიძე



ქართული ქვეითი ჯარი (1918 წ.)



ოვანეს კაჩაზუნუნი



ალექსანდრე ხატისოვი (ხატისიანი)



სომეხი მილიცია (1918 წ.)



აკაკი ჩხენკელი



რაუფ-ბეი ორზაი თურქულ ღია ბარათზე (1918 წ.)



შტაბს-კაპიტანი ვ. დობრინინი





პორუჩიკი ბ. ხოშევი



„რუსული მუღანის“ დამცველები (1918 წ. გაზაფხული)

SOUTH CAUCASUS IN THE AFTERMATH OF THE TREATY OF BREST-LITOVSK







თურქების ჯარი ბათუმში შემოდის



სასტუმრო „ბელ-ვიუ“ ბათუმში, სადაც 1918 წლის აპრილში განახლდა თურქეთისა და ამიერკავკასიის მოლაპარაკება ზავზე



ბათუმის ნავსადგური (1918 წ.)



OTTOMAN INVASION OF THE CAUCASUS (April - June, 1918)

BLACK SEA


OTTOMAN EMPIRE

THIRD ARMY

- BORDERS:**
- National, 1914
 - National, as per the Treaty of Brest-Litovsk (March 3, 1918) if different from above

FRONT LINE BY MARCH 30, 1918:

- MILITARY ACTION:**
- Ottoman
 - Armenian
 - Georgian
- MAJOR BATTLE:**
- TERRITORY UNDER OTTOMAN CONTROL:**
- by March 30
- by June 1



OTTOMAN INVASION OF THE CAUCASUS (April - June, 1918)

BLACK SEA

OTTOMAN EMPIRE

THIRD ARMY

- BORDERS:**
- National, 1914
 - National, as per the Treaty of Brest-Litovsk (March 3, 1918) if different from above

FRONT LINE BY MARCH 30, 1918:

- MILITARY ACTION:**
- Ottoman
 - Armenian
 - Georgian
- MAJOR BATTLE:**
- TERRITORY UNDER OTTOMAN CONTROL:**
- by March 30
- by June 1



OTTOMAN INVASION OF THE CAUCASUS (April - June, 1918)

BLACK SEA

OTTOMAN EMPIRE

THIRD ARMY

- BORDERS:**
- National, 1914
 - National, as per the Treaty of Brest-Litovsk (March 3, 1918) if different from above
- FRONT LINE BY MARCH 30, 1918:**
- MILITARY ACTION:**
- Ottoman
 - Armenian
 - Georgian
- MAJOR BATTLE:**
- TERRITORY UNDER OTTOMAN CONTROL:**
- by March 30
- by June 1

ფოთის ხელშეკრულება: პირველი რესპუბლიკის პირველი კომპრომისი

გერმანია თამაშში ებმება

უკვე ვიცით, რომ გერმანიის იმპერია ოთხმაგი კავშირის წარმმართველი წამყვანი სახელმწიფო იყო. ამ სტატუსის წყალობით მას საკმაო საფუძველი ჰქონდა, განეხილა თურქეთი, როგორც არათანასწორი და დაქვემდებარებული მოკავშირე. ომის დასაწყისში გერმანია აქეზებდა კონსტანტინოპოლის პანისლამურ გეგმებს, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ მათ განხორციელებას პოტენციურად შეეძლო ანტანტის წინააღმდეგ აჯანყებების პროვოცირება – სპარსეთში, ავღანეთში, ბრიტანეთის ინდოეთში, ეგვიპტეში და რუსულ თურქესტანშიც კი. მაგრამ 1918 წლის დასაწყისში ოტომანთა იმპერია რამდენჯერმე დამარცხდა ახლო აღმოსავლეთში და შედეგად თავისი პოლიტიკა მკვეთრად შეაბრუნა პანთურანიზმის მხარეს,²¹⁷ გადაწყვიტა მთელი კავკასიის დაპყრობა. თურქების ასეთი მასშტაბური ზრახვები სერიოზულად ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის ინტერესებს ბაქოს ნავთობის სარეწების რაიონში. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეჭვს გარეშეა, საკმაოდ შემფოთებული იყო ქრისტიანების მასიური მკვლელობებით, რაც თან სდევდა თურქების მიერ ქალაქების ყარსის, არტაანისა და ბათუმის დაპყრობას. აუცილებელია დაზუსტება, რომ სწორედ გერმანიამ აიძულა საბჭოთა რუსეთი, გადაეცა ჩამოთვლილი ტერიტორიები ოტომანთა იმპერიისთვის, რის ძალითაც თვით გერმანია გარკვეულწილად იზიარებდა კიდევ პასუხისმგებლობას თურქეთის მიერ ჩადენილ მხეცობებზე. მაგრამ

²¹⁷ ბაღდადის დაკარგვის შემდეგ, ასევე ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიერ ჰიჯაზში, პალესტინასა და სირიაში არაბთა ორგანიზებული ამბოხებების შემდეგ ოტომანთა პოლიტიკურ ელიტას თურქების დროშის ქვეშ მთელი ისლამური სამყაროს გაერთიანების იდეის იმედი გაუცრუვდა. ამის ნაცვლად მან არაბული სამფლობელოების დაკარგვის კომპენსაცია გადაწყვიტა რუსული სამფლობელოებით კავკასიაში და, შეძლებისდაგვარად, შუა აზიაშიც კი.

მანც გერმანიის ჩარევა ბათუმის მოლაპარაკებებში უპირველესად დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ბერლინს თავისი გეგმები ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ყოფილი სამფლობელოების თაობაზე, რაც ბაქოზე გერმანიის მყარი კონტროლის დადგენას გულისხმობდა. თავის მხრივ ასეთი კონტროლი შეიძლება დადგენილიყო მხოლოდ ბაქოდან შავი ზღვის სანაპირომდე გერმანიისთვის მისაწვდომი სტაბილური „დერეფნის“ შექმნის პირობებითა და ამ რეგიონში გერმანიის ახალი მოკავშირის გაჩენით. 1918 წლის გაზაფხულის ბოლოსთვის შექმნილ გარემოებაში ასეთი „დერეფანი“ შეიძლებოდა მხოლოდ საქართველო ყოფილიყო და მხოლოდ ქართველები, გარკვეული დათქმული პირობებით კიდევ სომხებიც შეიძლება გერმანიის იმპერიის პოტენციური რეგიონული მოკავშირეები გამხდარიყვნენ. ეს იმით აიხსნება, რომ როგორც ქართველები, ისე სომხები ტრადიციულად სიმპატიით იყვნენ განწყობილნი გერმანიისა და გერმანელების მიმართ, რომლებსაც ისინი, რაკი ქრისტიანები იყვნენ, ევროპული ცივილიზაციისა და ევროპული კულტურის ყველაზე მოწინავე წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ.²¹⁸

გერმანიის დელეგაციას ბათუმის კონფერენციაზე მეთაურობდნენ გამოცდილი დიპლომატი გრაფი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი და გერმანიის ყოფილი სამხედრო ატამე კონსტანტინოპოლში გენერალი ოტო ფონ ლოსოვი. კონფერენციის დაწყებისას გერმანელმა დიპლომატებმა პირველ რიგში ყველაფერი მოიმოქმედეს იმისთვის, რომ მოლაპარაკებებიდან გამოერიცხათ საბჭოთა რუსეთი. როგორც უკვე წინა თავში იყო ნათქვამი, საბჭოები არ ცნობდნენ არც ამიერკავკასიის სეიმს, არც ამიერკავკასიის რესპუბლიკას და უშუალოდ ოსმალთა იმპერიასთან ახალ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებას გეგმავდნენ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და განსაკუთრებით გერმანიის ელჩის გრაფ ვილჰელმ ფონ მირბახის დიპლომატიური მანევრების სერიამ სახკომსაბჭოს ხელი შეუშალა ბათუმში თავისი წარმომადგენლების გაგზავნაზე. კონფერენციაზე საბჭოელების ყოფნას მართლაც მხოლოდ სიტუაციის გართულება შეეძლო, ამასთან ვერც შეაკავებდნენ თურქებს, რადგან ბოლშევიკებს

²¹⁸ Авалов, стр. 37-38.

Нованнисян, pp. 176-179.

Кадишев, стр.58.

Kazemzadeh, p. 111.

რეგიონში არანაირი თუნდაც ცოტაოდნად მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა არ ჰყავდათ. შაჰმიანს დაქვემდებარებული წითელი ჯარი არასაკმარისად პროფესიული და მცირერიცხოვანი იყო, ოსმალთა ექსპანსია რომ შეეკავებინა, ჩრდილოეთ კავკასიაში კი რუსეთის წითელი არმიის ყველა ძალები დენიკინის მოხალისეთა ანტიკომუნისტურ არმიასა და ამბოხებულ კაზაკებთან სასტიკი ბრძოლით იყვნენ შებოჭილნი. (იხ. ზემოთ).²¹⁹

იმავედროულად გერმანიის დელეგაცია ოსმალთა ექსპანსიის 1877 წლის საზღვრის ხაზზე შეკავების სტრატეგიას მისდევდა. ყველაფერი ეს ცნობილი იყო ოტომანთა მთავრობისთვის, რომელიც ხვდებოდა, რომ დრო მიდის, და ჩქარა და გადამწყვეტად მოქმედებას ამჯობინებდა. 14 მაისის გვიან საღამოს ხალილ-ბეიმ ჩხენკელს წაუყენა ულტიმატუმი ალექსანდროპოლის (უკვე ერივანის გუბერნიაში) სწრაფად დატოვებისა და ოსმალთა ჯარისთვის ალექსანდროპოლის გავლით ჯულფაში თავისუფალი გასასვლელის მიცემის მოთხოვნით. ხალილის მტკიცებით ეს ჩრდილოეთ სპარსეთში ბრიტანეთის სამხედრო ოპერაციებთან იყო დაკავშირებული. ხალილ-ბეი აგრეთვე ჰპირდებოდა, რომ ერივანის გუბერნიის მოსახლეობა არ დაზარალდებოდა, თუ ამიერკავკასიის მთავრობა უსიტყვოდ დაემორჩილებოდა თურქების მოთხოვნებს.²²⁰ რა თქმა უნდა, 1877 წლის საზღვრების ფარგლებს გარეთ შეჭრის „დასაბუთება“ არ შეიძლებოდა სერიოზულად ყოფილიყო აღქმული, თუ აღწერილ მომენტში ჩრდილოეთ სპარსეთში ბრიტანეთის ჯარის უმნიშვნელო რაოდენობა იქნებოდა მხედველობაში მიღებული. დენსტერვილის ნამცეცა საექსპედიციო კორპუსიც კი საკმაოდ შორს იყო ჯულფადან. იმაზე რომ აღარ ვთქვათ, რომ არსებობდა სპარსეთისკენ ვანიდან კოტურის გავლით ხოისკენ²²¹ უფრო მოკლე გზა, რომელზედაც ოსმალთა მე-5-ე დივიზიის ნაწილებმა უკვე გაიარეს და სუსტი სომხურ-ასურული საფარები აღგავეს. ოსმალთა ახალი შეტევის ნამდვილი მიზანი იყო

²¹⁹ Hovannisian, p. 172.

Kazdemzadeh, *op. cit.*

²²⁰ Allen, Muratoff, p. 471.

Hovannisian, pp. 174-175.

Кадишев, стр. 56.

Kazemzadeh, p. 112.

²²¹ ხოი – ირანის პროვინციის დასავლეთ აზერბაიჯანის 14 ოლქიდან (შაჰრესტანი) ერთ-ერთი. ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ხოი.

ბაქომდე ორი „დერეფნის“ გაჭრა, ერთი – ელიზავეტპოლზე, მეორე კი – ნახჭევანზე და შუშაზე, ერთდროულად ყოფილი რუსული სომხეთის „ნარჩენების“ განადგურებით.²²² შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ თურქები არც კი გეგმავდნენ მათ მიერ მიცემული დაპირების შესრულებას, დაენდოთ ადგილობრივი სომხური მოსახლეობა.

სასტიკი რეალობის წინაშე, რაც აღმოსავლეთ ხმელთაშუა-ზღვისპირეთში შეიქმნა, სადაც თათრები და კავკასიის სხვა მუსლიმანები ღიად დადგნენ თურქეთის ძლევამოსილი არმიის მხარეზე, იზოლირებული სომხები კი სიკვდილისგან გადარჩენისთვის ბრძოლაში ჯიუტად ინარჩუნებდნენ შორეული ანტატისადმი ერთგულებას, სასოწარკვეთილებაში ქართველებმა დაცვის შესახებ თხოვნით გერმანიას მიმართეს. მაისის შუა რიცხვებში ქართულმა დელეგაციამ შულენბურგთან სეპარატული მოლაპარაკებები დაიწყო. მოლაპარაკებებს საიდუმლოდ ინახავდნენ სომეხი, თათარი და თურქი დელეგატებისგან და მათი მიზანი ამიერკავკასიის არაეფექტური ფედერაციის გაუქმება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.

ბრძოლა არარატის დაბლობის²²³, ლორესა²²⁴ და ზამზაკისთვის²²⁵

ალექსანდროპოლის დაცემა

ამასობაში 1918 წლის 15 მაისის ადრე დილით ენვერ-ფაშას ბრძანებით ოტომანთა 1-ლი არმიათა კორპუსის 36-ე, მე-11-ე და მე-

²²² Авалов, стр. 49.

²²³ არარატის დაბლობი ერევნის, ეჩმიადინისა და სურმალინის მარზების დაბლობ ნაწილებს მოიცავს.

²²⁴ ლორე – ძირძველი ქართული მხარე. საუკუნეების განმავლობაში ქართული სამეფოების შემადგენლობაში, XIX საუკუნეში კი თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში შედიოდა. ამჟამად სომხეთის პროვინცია (მარზი).

²²⁵ ზამზაკი – მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა მდინარე დეხედის სათავის მთიან ხეობას. ის სტრაბონისეული გოგარენეს და სომხური წყაროების გუგარქის ანუ ქვემო ქართლის უკიდურესი სამხრეთი თემი იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ზამზაკი ტფილისის გუბერნიის ლორის მაზრის შემადგენლობაშია. XIX საუკუნის II ნახევარში ერევანის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრის აღმოსავლეთის ნახევარი გახდა.

9-ე დივიზიების ნაწილებმა, რომლებსაც შევიქი-ფაშას მეთაურობით არმიათა მე-2-ე კორპუსის მე-10-ე და მე-5-ე დივიზიები ეხმარებოდნენ, გადაკვეთეს მდინარე დასავლეთ არფაჩი (ახურ-რიანი) და ალექსანდროპოლს მიუახლოვდნენ. რვასათიანი შეუპოვარი წინააღმდეგობის, რამაც დაახლოებით ოცი ათასი ლტოლვილის ევაკუაციის შესაძლებლობა უზრუნველყო, შემდეგ ალექსანდროპოლის სომეხმა დამცველებმა დატოვეს ქალაქი და გენერალ ნაზარბეკოვის ბრძანების თანახმად უკან დაიხიეს. ალექსანდროპოლის დაცემის შედეგად (ზუსტად ისე, როგორც ერზურუმისა და ყარსის დაცემის შედეგად) თურქებმა „მემკვიდრეობად მიიღეს“ სურსათის, საბრძოლო მასალებისა და იარაღის უზარმაზარი მარაგი, რაც უკანდახეული სომხური ჯარისთვის თავდაცვითი ომის გასაგრძელებლად სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, მაგრამ სიჩქარეში ფაქტიურად მიატოვეს.²²⁶

ამასობაში ბათუმში...

როგორც კი ოსმალთა შეტევის გაგრძელებაზე ამბავმა ბათუმს მოაღწია, ჩხენკელმა ხალილ-ბეის კატეგორიული პროტესტი გამოუცხადა, თურქების მხარე დაზავების დარღვევაში დაადანაშაულა და იმავდროულად ფონ ლოსოვს მოლაპარაკების პროცესში დაუყოვნებლივ ჩარევა სთხოვა. ამაზე პასუხად გერმანელმა გენერალმა თავისი სიმპატია გამოხატა მეზობლი სომხების მიმართ და თავის მთავრობას ინფორმაცია გაუგზავნა თურქების მიერ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ, ამით დასაწყისი დაუდო გერმანიის დიპლომატიურ ბრძოლას რუსეთის ყოფილი სამხრეთ კავკასიისთვის.²²⁷ მაგრამ სანამ დიპლომატიური ქანქარა ბერლინი – კონსტანტინოპოლი – ბათუმის სამკუთხედში ნელ-ნელა ქანაობდა, ოსმალთა ჯარი წინწაწევას განაგრძობდა ერივანის გუბერნიაში.

მდგომარეობის მოულოდნელი შეცვლა სომხური მიწის უკანასკნელ მტკაველებზე

1918 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში კავკასიაში მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ერთმნიშვნელოვნად

²²⁶ Allen, Muratoff, p. 471.

²²⁷ Hovannisian, pp. 176-177.

აჩვენეს, რომ ბათუმში ოსმალთა გახშიანებულ მოთხოვნებზე ამიერკავკასიის ქრისტიანული ხალხების ლიდერების რეაქციისგან დამოუკიდებლად არც მთავრობა კონსტანტინოპოლში, არც მე-3-ე არმიის პანთურანისტი გენერლები მათ მიერ ხელმოწერილი არცერთი ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესრულებას არ აპირებდნენ. ამის ნაცვლად ისინი მთელი კავკასიის დაპყრობისა და ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა თიურქულენოვან რეგიონებში შესაძლო შემდგომი ექსპანსიის გრანდიოზულ გეგმებს მისდევდნენ. კავკასიის ფრონტზე შეტევის ოპერაციების გასაგრძელებლად თურქ სარდლობას თავის განკარგულებაში ჰყავდა 8 ქვეითი დივიზია და კავალერიის ცალკე ბრიგადა დაახლოებით 60.000 ჯარისკაცისა და ოფიცრის საერთო რაოდენობით.²²⁸ ეს ძალები ძლივს კმაროდა დასმული ამოცანების შესასრულებლად, მაგრამ დაუძღურებული იმპერიის სამხედრო ლიდერებს ეს არ აღეგნებდათ. შვექი-ფაშამ ორი დივიზია (37-ე და მე-10-ე) ქართველების წინააღმდეგ გამოიყვანა, მე-11-ე ყარსის რაიონში რეზერვად დატოვა, მე-12-ე დივიზიის ცალკეული ნაწილები კი ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში გაგზავნა. ამგვარად ის დარჩენილი 30.000 ქვეითის რაოდენობის ოთხი დივიზიის (მე-5-ე, მე-9-ე, მე-11-ე და 36-ე) ძალებით ერივანის გუბერნიაში სომხების წინააღმდეგობის დაძლევის, რის შემდეგაც ბაქოზე შეტევის გაგრძელებას გეგმავდა.²²⁹

ოტომანთა ზემოთ აღნიშნული ძალებს უპირისპირდებოდა მხოლოდ დაახლოებით 20.000 სომეხი ქვეითი: მე-7-ე და მე-8-ე მსროლელი პოლკები, დასავლეთის სომხებისა და ლორე-ახალციხის მოლაშქრეთა 12 ბატალიონი და კიდევ რამდენიმე ნაწილი, ერივანის გუბერნიის სხვადასხვა მაზრებიდან რამდენიმე ასეული მოხალისის ჩათვლით; ჰყავდათ კიდევ კავალერიის ორი პოლკი 1000 მხედრის საერთო რაოდენობით.²³⁰

თუმცა სომხური ჯარი რიცხოვნობით ნაკლები იყო თურქულზე, ყოველთვის არ იყო კარგად შეიარაღებული, სუსტი დისციპლინითა და არასაკმარისი გამოცდილებით გამოირჩეოდა, მისი საბრძოლო სულისკვეთება საბრძოლო მოქმედებების წინა

²²⁸ Allen, Muratoff, p. 470.

Edward J. Erickson, *Order to Die: A History of the Ottoman Army in the First World War* (London, 2000), p. 202.

²²⁹ Allen-Muratoff, p. 470.

²³⁰ Allen-Muratoff, *op.cit.*

პერიოდებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. თავს ნება მივცეთ, ციტირება გავაკეთოთ რიჩარდ ოვანისიანისგან, რომელმაც შემდეგნაირად აღწერა სომეხი ჯარისკაცის მოულოდნელი „გარდაქმნა“:

მეგობრებისა და მტრების ერთნაირად გასაოცრად მოხდა რაღაც სრულიად მოულოდნელი. სომხებმა შეწყვიტეს გაქცევა, რადგან გასაქცევი აღარსად იყო. ტფილისისა და სპარსეთისკენ გზები დაბლოკილი იყო, მტერი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან უტევდათ, გუბერნიის სამხრეთ და აღმოსავლეთ მაზრებში კი თათრულ-ქურთული შეიარაღებული ბანდები დათარეშობდნენ. დამამთავრებელ ფაზაში ბრძოლის შესვლის შესაბამისად შეიცვალა როგორც დამცველთა, ისე მოსახლეობის განწყობა. პანიკამ ადგილი გამბედაობას დაუთმო. და როგორც არუთინიანმა სეიმის სხდომაზე რამდენიმე კვირით ადრე ემოციურად განაცხადა, სომხები ახლა მზად იყვნენ „იარაღით ხელში მომკვდარიყვნენ“. ჯარისკაცებიც, გლეხებიც ახლა მიპინვარედ იბრძოდნენ სამ ფრონტზე.²³¹

მართლაც, 1877 წლის საზღვრებიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით თურქები რამდენიმე ახალ პრობლემას წააწყდნენ. უპირველეს ყოვლისა, ახლა მათ ბრძოლა უხდებოდათ არცთუ ცუდად შეიარაღებულ და შედარებით ორგანიზებულ მტერთან, რომელიც უკან ვერსად დაიხევდა და დასაკარგი არაფერი ჰქონდა. მეორეც, ალექსანდროპოლის დაპყრობის შემდეგ თურქების ჯარი გაშორიშორებული აღმოჩნდა, რადგან მას სამი განშტოებული მიმართულებით შეტევა უბრძანეს:

- სამხრეთის მიმართულებით ერივანზე, სილიკოვის სარდლობით სომხების ძირითადი ძალების წინააღმდეგ;
- აღმოსავლეთის მიმართულებით, ალექსანდროპოლ-ყარაქლისის²³² რკინიგზის გასწვრივ ნაზარბეკოვის მსროლელი ორი პოლკის წინააღმდეგ.

²³¹ Hovannisian, p.192.

²³² ახლანდელი ვანაძორი, 1935 წლამდე ყარაქლისი, 1935-1993 წლებში კიროვაკანი, სიდიდით სომხეთის მესამე ქალაქი, ლორის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი.

- და ჩრდილოეთის მიმართულებით, ტფილისზე, ანდრანიკის რაზმების დასადევნებლად.

შეტევეთი ოპერაციების განვითარების შესაბამისად თურქების 36-ე და ნაწილობრივ მე-9-ე დივიზიებმა წარმატებული იერიში დაიწყეს ნაზარბეკოვის ძალების წინააღმდეგ, რომლებიც სოფელ ამამლუს²³³ წინ სანგრებში იყვნენ გამაგრებულნი. 22 მაისს დღის ბოლოს ორმოცდარვა საათიანი ბრძოლის შემდეგ სოფელი და სტრატეგიული საგზაო გზაჯვარედინი თურქების ხელში აღმოჩნდნენ. ამ გამარჯვებამ გახსნა ერივანზე ახალი იერიშის დაწყების შესაძლებლობა – მთა არაგაწის (თურქ. ალაგიოზი) შემოვლით. ამისთვის თურქებს ამამლუდან მარშით უნდა გაეელოთ სულ რაღაც დაახლოებით ასი კილომეტრი, რომ ფლანგზე მოქცეოდნენ გენერალ სილიკოვის ძირითად სომხურ ძალებს (დაახლოებით 7000 ქვეითი), რომლებიც იმ მომენტში ალექსანდროპოლიდან სამხრეთზე შემტევი მე-11-ე დივიზიის მოწოლის მოსაგერიებლად ემზადებოდნენ.²³⁴ რამდენიმე დღით გვიან ამამლუს მხრიდან ერივანზე დაწყებულმა შემოვლითმა შეტევამ კიდევ მეტად დაანაწილა ოსმალთა ძალები, რომლებიც ისედაც დასუსტებულნი იყვნენ ანდრანიკის რაზმების დასადევნებლად ტფილისის მიმართულებით მე-5-ე დივიზიის გადასროლით (დეტალები იხ. ქვემოთ).

გენერალ ანდრანიკის მანევრი

სინამდვილეში ანდრანიკის ძალები (მოხალისეთა ოთხი ბატალიონი პლუს „დამრტყმელი რაზმი“) ძალიან სუსტი იყო, რომ ტფილისზე ოსმალთა შეტევა შეეჩერებინა. მიუხედავად ამისა, მათ წარმატებით გაიყვანეს თურქების მთელი დივიზია საბრძოლო ოპერაციების დანარჩენი ზონისგან და არიერგარდული ბრძოლებით დაქანცეს. 19 მაისს მომხდარი პირველი შეტაკების

²³³ ახლანდელი ქალაქი სპიტაკი (სომხ. „თეთრი“), 1948 წლამდე ამამლუ (თურქ. „აზანოსი“, რაც შეიძლება თბილი წყაროების არსებობასთან იყო დაკავშირებული).

²³⁴ Allen-Muratoff, pp. 472-473 and 475.

Кадишев, стр. 56.

შემდეგ თურქებმა დაიკავეს გზაჯვარედინი გიული-ბულაღში²³⁵ და ანდრანიკს ყარაგაჩის უღელტეხილის გავლით სოფელ ვორონცოვკამდე²³⁶ მისდიეს. ვარაუდობდნენ, რომ აქედან სომხები ვორონცოვკადან სულ 100 კმ-ით დაშორებული ტფილისისკენ დაიხევდნენ. მაგრამ, თურქების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ანდრანიკმა სამხრეთ-აღმოსავლეთით ყარაქლისის მხარეს გაუხვია, სადაც ნაზარბეკოვის ჯარი შეუპოვრად აკავებდა ოტომანთა 36-ე და მე-9-ე დივიზიების შემოტევას. 22-23 მაისს ანდრანიკმა 48-საათიანი არიერგარდული ბრძოლა გაუმართა თურქებს სოფელ ჯელალოლისთან,²³⁷ რის შემდეგაც მისმა ჯარმა რკინიგზის სადგურ ძეჰის²³⁸ მხარეს დაიხია.²³⁹

სარდარაბადის²⁴⁰ ბრძოლა

ამასობაში ოსმალთა არმიის მე-11-ე მსროლელი დივიზია პოლკოვნიკ ჯევად-ბეის მეთაურობით ერივანს უტევედა. მე-5-ე დივიზიის ნაწილებითა და ცხენოსანი ქურთების ირეგულარული

²³⁵ ახლანდელი *ბიურაკანი* (სომხ. ბიურ – „ათი ათასი“, აკნ – „წყარო, მდინარის სათავე“) – სოფელი სომხეთში, არაგაწოტნის პროვინციაში.

²³⁶ ახლანდელი *ტაშირი* – ქალაქი სომხეთში, ლორეს პროვინციის ჩრდილო-დასავლეთით. როგორც დასახლება დააარსეს ქრისტიანმა-მალაკუნებმა და სახელი დაარქვეს გრაფ მ. ს. ვორონცოვის პატივსაცემად, რომელმაც მათ შემახას მაზრიდან ლორეში გადასახლების უფლება მისცა. 1928 წ. *რიკოვო* უწოდეს, 1937 წ. – *კალინინო*. 1961 წლიდან არის დაბა, 1983 წლიდან – ქალაქი, 1991 წ სახელი უწოდეს ლორეს პროვინციის ტერიტორიაზე მდებარე უძველესი ქართული პროვინციის სახელწოდების მიხედვით.

²³⁷ ახლანდელი *სტეფანავანი* – ქალაქი სომხეთში, ლორეს პროვინციის ცენტრში. სახელი დაარქვეს სტეფანე შაუმიანის პატივსაცემად, რომელმაც აქ 1899 წ. სომხების პირველი მარქსისტული წრე ჩამოაყალიბა.

²³⁸ სოფელი ლორეს ოლქში. ჩაუდის მდინარე დებედა, გვერდით გადის ტრასა ერევანი-თბილისი და რკინიგზა გიუმრი-თბილისი.

²³⁹ Allen-Muratoff, pp. 472-473.

²⁴⁰ სარდარაბადი 1932 წლამდე, 1932-1992 წლებში – ოქტომბერიანი, 1992 წლიდან – *არმავირი* (ანტიკური ქალაქის ეს სახელი ეწოდება ასევე პროვინციასა და სოფელს) – ქალაქი სომხეთში, მდებარეობს არარატის დაბლობზე.

რაზმებით²⁴¹ გაძლიერებული ეს არმია შევიდა ეჩმიაძინის მაზრაში და მიუახლოვდა გენერალ სილიკოვის სომხურ პოზიციებს ეჩმიაძინსა²⁴² და ერივანიდან სამ საათზე ნაკლებ სავალზე მდებარე სარდარაბადს (სარდარაპატს) შორის. აღმოსავლეთ (ყოფილი რუსული) სომხეთის უკანასკნელ მტკაველთა დამცველების ბირთვი შეადგენდა სამ პოლკს: მსროლელი მე-5-ესა და მე-6-ეს და კავალერიის მე-2-ეს. ამის გარდა სილიკოვის განკარგულებაში კიდევ იყო: ზეითუნისა²⁴³ და ერზინჯანის პოლკები, მე-4-ე მსროლელთა პოლკის ცალკეული ნაწილები, ასევე რამდენიმე რეგულარული და ირეგულარული ბატალიონი და რაზმი. უკანასკნელთა შემადგენლობაში იყვნენ გამოცდილი პარტიზანები სამხრეთ სომხეთიდან, ასევე ზანგეზურიდან²⁴⁴ და ყარაბაღიდან კვლავ მოსული მოხალისეები.²⁴⁵

21 მაისს ოსმალთა მე-11-ე დივიზიის ავანგარდი არარატის დაბლობში არაქსის რკინიგზის სადგურის მახლობლად შევიდა და იერიში მიიტანა სილიკოვის ნაწილებზე სარდარაბადთან. სომხებმა

²⁴¹ ჯვეად ბეის ჯარის საერთო რაოდენობამ 7.000-დან 8.000-მდე მეომარი შეადგინა.

²⁴² ვალარშაპატი („ვალარშის ქალაქი“) – ქალაქი სომხეთის არმავირის ოლქში, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ცენტრი. სომეხი ხალხის სასულიერო ცენტრი IV საუკუნის დასაწყისიდან 484 წლამდე და ხელახლა 1441 წლიდან. ისტორიკოს მოვსეს ხორენაცის თანახმად მეფე ვალარშ I-მა (117-138/140) დასახლება ვარდექსავანი ხელახლა ააშენა და თავისი სახელი უწოდა. ცენტრში იმ ადგილზე აშენებული საყდარია, სადაც გადმოცემის თანახმად გრიგოლ განმანათლებელს ქრისტე გამოეცხადა. ამის სამახსოვროდ ტაძარს ეჩმიაძინი („ჩამოხდა მხოლოდშობილი“) ეწოდა. 1945 წ. ქალაქსაც ასე გადაარქვეს. 1992 წ. ძველი სახელი დაუბრუნეს, მაგრამ ორივე სახელს ხმარობენ. ეჩმიაძინის მონასტერი სრულიად სომხების კათოლიკოსის რეზიდენცია, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ცენტრია.

²⁴³ ზეითუნი – წარსულში სომხური კილიკიის დიდი ქალაქი, ამჟამად სოფელი სულიმანლი (Süleymanlı, ბერძ. *ულნია*) თურქეთის კაპრამან-მარაშის ილში.

²⁴⁴ სიუნიქი, სივნიეთი – სომხეთის უკიდურეს სამხრეთით მდებარე პროვინცია (მარზი).

²⁴⁵ Alen-Muratoff, p.475.

Central State Historical Archives of Armenia, file 121.

B. E. Шамбаров, *За веру, царя и отечество* (Москва, 2003), стр. 618.

უკან დაიხიეს ხაზზე, რომელიც შეიქმნა ექმიანობის გარშემო სოფლებით – ქურდიუკლი, ზეივა²⁴⁶, ქერფალუ და ქიურახანლუ – და მასზე გამაგრდნენ.²⁴⁷

ამასობაში ოსმალთა მე-12-ე დივიზიის ნაწილებმა და ქურთმა ბაშიბუზუკებმა აღრი-დაგის²⁴⁸ უღელტეხილით სურმალინის მაზრაში შეაღწიეს და 20 მაისს ილდირში შევიდნენ, ამით ერივანის დამცველ სილიკოვის ჯარს ზურგიდან საფრთხე შეუქმნეს. სომხური კორპუსის ვანის 1-ლმა და მე-2-ე პოლკებმა უბრძოლველად დაიხიეს არაქსზე და ყარა-ყალასა და მარგარაში ხიდების წინ გამაგრდნენ. სილიკოვმა ეს ჯარი გააძლიერა კავალერიის 1-ლი პოლკის ესკადრონით, რომელმაც რაიონის პიკეტირება დაიწყო და ცხენოსან ქურთებთან შეტაკებები მოუხდა. ამის მიუხედავად ქურთების რამდენიმე რაზმი შეძლო არაქსის გადალახვა და მიღწევა ნახჭევანის კიდემდე, რომელსაც ადგილობრივი მუსლიმანი ამბოხებულები ნაწილობრივ აკონტროლებდნენ. ამასთან 21 მაისიდან 4 ივნისამდე გასაოცრად პასიურად რჩებოდა ოსმალთა მე-12-ე დივიზია, რომელმაც სურმალინის მაზრის ოკუპაცია მოახდინა, და ამით ნებით თუ უნებურად შეამსუბუქა სილიკოვის მდგომარეობა სარდარაბადთან.²⁴⁹

ერივანის დამცველებისთვის მეორე საფრთხე იყო ოსმალთა მე-9-ე მსროლელი პოლკი ესად-ფაშას²⁵⁰ მეთაურობით, რომელმაც 22 მაისს ამამლუსთან ნაზარბეკოვი დაამარცხა, რის შემდეგაც ერივანზე შეტევა დაიწყო ჩრდილოეთიდან სპიტაკის უღელტეხილის გადმოვლით (იხ. ზემოთ). ესადს წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მცირერიცხოვანი მოხალისეთა რაზმი უწევდა, რომლებსაც თურქების წინააღმდეგ არა თუ შეჩერების, დაყოვნების

²⁴⁶ რამდენიმე დასახლებული პუნქტის სახელწოდება აზერბაიჯანსა და სომხეთში. აქ: დიდი ზეივა (ახლა არატაშენი) სომხეთის არმავირის რაიონში.

²⁴⁷ Allen-Muratov, p.475.

Hovannisian, p. 172.

Шамбаров, стр.618-619.

²⁴⁸ აღრი-დაღი (Aras Güneyi Dağları) – ქედი სომხეთის მთიანეთის შუა ნაწილში თურქეთის ადმოსავლეთში; არარატი (Ağrı Dağı, სომხ. მასის) – მთა: სომხეთის მთიანეთის ყველაზე მაღალი ვულკანური მასივი.

²⁴⁹ Allen-Muratoff, pp. 475-476.

Шамбаров, стр. 619.

²⁵⁰ ვეჰიბ-ფაშას უფროსი ძმა

ძალაც არ ჰქონდათ. მოახლოებული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად სილიკოვმა ჩამოაყალიბა ტყვიამფრქვევების დიდი რაოდენობითა და ოთხი საარტილერიო ქვემეხით მომარაგებული განსაკუთრებული დამრტყმელი ჯგუფი²⁵¹ 1000 მებრძოლის ოდენობით. ამ დამრტყმელ ჯგუფს ნაბრძანები ჰქონდა მე-9-ე დივიზიის დახვედრა ვიწრო კანიონში სოფელ აბარანთან.²⁵² ჯგუფს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი პარტიზანი მეთაური დრო (დრასტამატ კანაიანი), რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა შეენარჩუნებინა ბაშ-აბარანის რაიონი ერივანიდან 60 კმ ჩრდილოეთით. ორი დღის მოგვიანებით დროს დასახმარებლად გაგზავნეს კავალერიის მე-2-ე პოლკი და რამდენიმე პარტიზანული რაზმი.²⁵³

დარჩენილი სომხური ჯარი, რომელიც ემზადებოდა ოსმალთა მე-11-ე დივიზიის გზაზე იდგა, პოლკოვნიკ დანიელ პირუმიანს გადასცეს და კონტრიერიშისთვის მომზადება უბრძანეს. ამის გარდა, სილიკოვმა გამოყო მცირე რეზერვი 800 მხედრის რაოდენობით ოთხი მსუბუქი ქვემეხით, ვიცე-პოლკოვნიკ²⁵⁴ კარაპეტ ჰასან-ფაშაიანის მეთაურობით. ეს რეზერვი განლაგდა სოფელ გაზანფარში²⁵⁵, აქედან მას შეეძლო აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინა ან დროს ჯგუფისთვის, ან პარუმიანის ჯარისთვის²⁵⁶ გარემოებთა მიხედვით.

23 მაისს პირუმიანის ჯარმა ორი კოლონით ზეივა-ქერფა-ლუდან და ქურდიუკლუდან მოულოდნელად კონტრიერიში მიიტანა თურქებზე. 24 მაისს განადგურებული მე-11-ე დივიზიის ნაწილები სარდარაბადიდან უწყსრიგოდ იხევდნენ უკან.²⁵⁷ ეს

²⁵¹ ალენისა და მურატოვის თანახმად, დროს ჯგუფი, მიუხედავად მისი მცირერიცხოვნობისა, ყველაზე გამოცდილი და დისციპლინირებული მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული.

²⁵² ახლანდელი აპარანი – ქალაქი სომხეთში. თანამედროვე სახელწოდებას აკუთვნებენ X საუკუნეს, სავარაუდოდ სომხური სიტყვიდან “აპარანკ” – სასახლე.

²⁵³ Allen-Muratoff, pp. 475-476.

Hovannisian, pp. 192-193.

Шамбаров, стр. 619.

²⁵⁴ სამხედრო წოდება, შეესაბამება ინგ. lieutenant-colonel-ს, გერმ. Oberst-leutnant-ს, რუს. подполковник-ს.

²⁵⁵ 1948 წლის 10 ოქტომბერს სოფელმა მიიღო სახელწოდება არაგაწი.

²⁵⁶ Шамбаров, стр.619.

²⁵⁷ Allen-Muratoff, pp. 474 and 476.

Hovannisian, pp.192-193.

პირველი შემთხვევა იყო 1918 წლის თებერვლის შემდეგ, როცა თურქები გააქციეს. მეორე დღეს პირუმიანის ჯარის კონტრშეტევა შენელდა სადგურ არაქსის ახლოს, სადაც მოწინააღმდეგე სადგურიდან ჩრდილო-დასავლეთით გაბატონებულ სიმაღლეებზე გამაგრდა.

ბაშ-აბარანის ოპერაცია

იმავე დღეს, 24 მაისს დროს ჯგუფი ბრძოლაში ჩაება მე-3-ე მსროლელ პოლკთან, რომელიც ესად-ფაშას მე-9-ე დივიზიის ავანგარდს შეადგენდა. 24-საათიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ესადმა შევქი-ფაშასგან უკან ამამლუსკენ დახვევის ბრძანება მიიღო 36-ე დივიზიის მხარდაჭერის მიზნით, რომელიც იმ დროს მძიმე ბრძოლას ეწეოდა, ცდილობდა ნაზარბეკოვის არმიის კონტრშეტევის შეჩერებას (იხ. ქვემოთ). 25-დან 28 მაისამდე თურქები უკან იხევდნენ, თავი რომ დაეღწიათ მათ დადევნებული დროს სომხებისგან, რომლის ჯგუფი მოხალისეთა რამდენიმე რაზმმა გაამლიერა.

29 მაისისთვის დრომ თურქებს წარმატებით დაახვეინა უკან ბაშ-აბარანიდან ჩრდილოეთით 30 კმ-ში მდებარე სპიტაკის უღელტეხილისკენ და ამამლუზე შემდეგი შეტევისთვის მოემზადა.²⁵⁸

ყარაქლისის ბრძოლა

„ამამლუს ჩანგლის“ დაკარგვის შემდეგ, 22 მაისს ნაზარბეკოვმა გადააჯგუფა თავისი ძალები ყარაქლისის გარშემო, ორი დღით გვიან წარმატებული კონტრიერიში მიიტანა 36-ე დივიზიის ნაწილებზე და მოწინააღმდეგე უკან ამამლუსკენ განდევნა. განადგურების შიშით შევქი-ფაშამ გადაწყვიტა თავისი გაფანტული ჯარის შეჯგუფება და ბაშ-აბარანიდან გამოიწვია მე-9-ე დივიზია (იხ. ზემოთ). იმავდროულად თურქების მარცხენა ფლანგზე მე-5-ე დივიზიის (იმის, რომელმაც 23 მაისს ანდრანიკის რაზმები აიძულა, სოფელი ჯალალ-ოღლი დაეტოვებინათ) ნაწილები სამხრეთით

²⁵⁸ Allen-Muratoff, pp. 474 and 476.
Hovannisian, p. 192.
Шамбаров, стр. 619.

დასახლება ბეზობდალისკენ²⁵⁹ მობრუნდნენ და ამით ნაზარბეკოვს ზურგში დარტყმით დაემუქრნენ. 26 და 28 მაისს შორის ქალაქ ყარაქლისის გარშემო მთელი რაიონი გააფთრებული ბრძოლების ზონად გადაიქცა. რიცხოზრვად ცოტად თუ ბევრად თანაბარი რაოდენობის მოწინააღმდეგესთან წარმატებით მებრძოლი სილიკოვისა და დროსგან განსხვავებით ნაზარბეკოვის ჯარი იძულებული იყო 5-ის წინააღმდეგ 3-ის თანაფარდობით ებრძოლა და ნელ-ნელა უკან იხევდა.²⁶⁰

27 მაისის დღის ბოლოს თურქებმა გატეხეს სომხების დაცვა ბეზობდალ-დარაბასის ხაზზე და ყარაქლისში შევიდნენ. დაახლოებით 20 საათის შემდეგ ნაზარბეკოვის რაზმებმა სოფლებს იაყუბლუსა და შალალის შორის მდინარე ბამბაკის გასწვრივ ახალი თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს. მათ იქ ანდრანიკის ჯგუფის ნარჩენები შეუერთდნენ. 28 მაისის საღამოსთვის თურქებმა სოფელ ვართანლუს²⁶¹ დაკავებით წარმატებული შემოვლითი მანევრი შეასრულეს და სომხებს უფრო შორს აღმოსავლეთით მთიანი უღელტეხილების გადავლით უკან დახევა აიძულეს.²⁶²

29 მაისს ნაზარბეკოვის სომხურმა რაზმები გამოვიდნენ ალექსანდროპოლ-ყაზახის შოსეზე სოფლებთან – ბოზიკენტსა²⁶³ და ნიკიტინოსთან²⁶⁴, საიდანაც მათ გუბერნიის საზღვრის გავლით

²⁵⁹ „...ბერდუჯის მთები უნდა მდ. ბერდუჯის ანუ დებედას, რომელსაც ამ ადგილას რუსები კამენკას უწოდებენ. სამხრეთით მდებარედ ვიგულისხმობთ. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ვახუშტის ბეოდუჯის მთა უნდა რუსების მეზობდალის მთებს უდრიდეს.“ (ი. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“; ციტატა მოყვანილია ნაბეჭდი ორიგინალის კორექტურული შეცდომებით. – მთარგ.)

²⁶⁰ ამასთან ნაზარბეკოვსა და შევეის არტილერიის ერთნაირი რაოდენობა ჰქონდათ, ტყვიამფრქვევების რაოდენობით კი სომხები თურქებს კიდევ სჯობნიდნენ.

²⁶¹ შაუმიანი – სოფელი სომხეთში, ლორეს პროვინციაში.

²⁶² Allen-Muratoff, pp. 472 -475.

Hovannisian, p. 192.

²⁶³ ახლანდელი მარღაოვითი (1978 წ. 25 იანვრამდე – ჰამზაჩიმანი ან ამ-ზაჩიმანი) – სოფელი ლორეს რაიონში სომხეთში

²⁶⁴ ახლანდელი ფიოლეტოვო, 1820 წ. ტამბოვის გუბერნიის გადასახლებული მაღაკუნების მიერ დაარსებული სოფელი ლორეს ოლქში, აღსთაფის ქვაბულში, მდინარე აღსთაფაზე (სომხ. აღსტევი). მოსახლეობის

უფრო შორს ელიზავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრის ქალაქ დილეჟანის მხარეს დაიხიეს. მეორე დღეს, 30 მაისს ანდრანიკის დამრტყმელი ბრიგადის ნარჩენები ნაზარბეკოვს დილეჟანში შეუერთდნენ.

ზუსტი ცნობები ყარაქლისის ბრძოლის მსვლელობაში დანაკლისის შესახებ არ გვაქვს, მაგრამ ოვანისიანის თანახმად, – „ორივე მხრიდან იყო ათასობით მოკლული და დაჭრილი“.²⁶⁵ ნებისმიერ შემთხვევაში, გენერალ ნაზარბეკოვის განკარგულებაში მყოფი სომხური ძალები 5000 დაქანცულ მებრძოლს არ აღემატებოდა. ამ ხალხს ჯერ კიდევ უნდოდა ბრძოლის ბოლომდე გაგრძელება, მაგრამ, საეჭვოა, კონტრშეტევის დაწყების უნარი ჰქონოდათ.²⁶⁶ კიდევ უფრო სკეპტიკური აზრი გამოთქვა ნაზარბეკოვის ჯარის ნარჩენებზე ქართველმა გენერალმა კვინიტაძემ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ყარაქლისის შემდეგ ნაზარბეკოვი რაიმე ბრძოლისუნარიანი ჯარის გარეშე დარჩა, მისი შტაბის ოფიცრების გამოკლებით.²⁶⁷ თუმცა ეს მტკიცება, შესაძლოა, გაზვიადებული იყო.

მეორე მხრივ, სამი ოტომანური დივიზიის დამარცხებული ნარჩენები შეკვის სარდლობით ასევე დაქანცული და დემორალიზებული იყვნენ. ამასთან მათ ემუქრებოდათ დარტყმები მარცხენა ფლანგიდან და ზურგიდან, დროსა და პირუმიანის შემტევი ჯარების მხრიდან. შექმნილ გარემოებაში ნაზარბეკოვის წინააღმდეგ თურქების არანაირ შემდგომ შეტევაზე ლაპარაკი არ შეიძლება ყოფილიყო.

მაგრამ შევექი-ფაშას ასკერებს თავიანთ დანაკარგებზე შურისძიების უნარი აღმოაჩნდათ, მოაწყვეს მაზრის მშვიდობიანი სომეხი მოსახლეობის, ვინც ევაკუაცია ვერ მოასწრო, ჟღეტა სქესისა და ასაკის განურჩევლად. მაისის ბოლოს ალექსანდროპოლის მაზრის დიდი ნაწილი ნანგრევებში ეყარა, ყარაქლისის გარშემო ათზე მეტი სოფელი კი მათ მცხოვრებთა და იქ თავშეფარებულ

უმეტესობა რუსი მალაკნებია. სომხეთის თანამედროვე მალაკნური ორი სოფლიდან ერთ-ერთი (მეორეა ლერმონტოვო). სახელი 1936 წ. გადაერქვა ბაქოს კომისრის ი. ტ. ფიოლეტოვის პატივსაცემად.

²⁶⁵ Hovannisian, p. 192.

²⁶⁶ Allen-Muratoff, p.474.

²⁶⁷ Квинитадзе, с. 37.

ლტოლვილთა დაუმარხავი გვამებით ავსებულ ჰეკატომბებად იქცა.²⁶⁸

კონტრშეტევა ალექსანდროპოლზე, დაზავება და ანდრანიკის ბრიგადის წასვლა

მაისის ბოლო დღეების განმავლობაში, როცა ნაზარბეკოვის რაზმები ყარაქლისიდან ნელ-ნელა იხევდნენ უკან, სარდარაბადის მხრიდან კონტრშეტევით მოდიოდნენ ჯარები სილიკოვისა და პირუმიანის მეთაურობით. სამი დღე-ღამის განმავლობაში, 25-დან 27 მაისამდე შეუპოვარი ბრძოლები გაიშალა რკინიგზის სადგურ არაქსის გარშემო, სადაც უკანდახეული მე-11-ე ოტომანური დივიზიის ნაწილები სომხების კონტრშეტევის შეჩერებას შეეცადნენ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე დაქანცული და დაუძღვრებული იყო, თურქები ჯიუტად ინარჩუნებდნენ სიმაღლეებს სადგურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სომხები კვლავ და კვლავ მიდიოდნენ იერიშზე, მაგრამ ყოველთვის უკუ-იქცეოდნენ. გარდატეხა დადგა 27 მაისს, როცა დროს მიერ ბაშ-აბარანის რაიონში ჩატარებულმა წარმატებულმა ოპერაციამ სილიკოვს მის მიერ სოფელ გაზანფარში წინასწარ დატოვებული რეზერვის მოქმედებაში შეეყვანის საშუალება მისცა. იმ დღეს პოდპოლკოვნიკ კარაპეტ ჰასანფაშაიანის 800 დასვენებულმა მხედარმა ოთხი მსუბუქი ქვემებით მთის უღელტეხილებზე ელვისებური მარში-გადასროლა ჩაატარა და უეცრად ზურგიდან შეუტია თურქების პოზიციებს იმ დროს, როცა პირუმიანის ძირითადმა ძალებმა კვლავ დაიწყეს წინიდან შეტევა. თურქების თავდაცვა გატყდა, მე-11-ე დივიზიის ნაწილებმა კი ბრძოლის ველზე მხოლოდ დაღუპულებად 3500 კაცზე მეტი დაკარგეს და უწესრიგოდ გაიქცნენ ჩრდილოეთ მიმართულებით, ალექსანდროპოლისკენ.²⁶⁹ 30 მაისისთვის სილიკოვის ავანგარდმა სოფლებს მასტარასა და ანის²⁷⁰ მიაღწია. ახლახანდელი გამარჯვებებით

²⁶⁸ Hovannisian, p. 192.

Шамбаров, стр. 619-620.

²⁶⁹ Allen-Muratoff, p. 476.

Шамбаров, стр. 619-620.

²⁷⁰ ანი (სომხ. და თურქ. Ani, ქართ. ანისი; თანამედროვე თურქეთში ხანდახან ოჯაქლუს უწოდებენ ახლომდებარე სოფლის სახელწოდების

შთაგონებული სომხური ჯარები, თავიანთი მეთაურის მოწოდებით „წინ, ალექსანდროპოლზე!“ მოწინააღმდეგის დევნის გაგრძელების ენთუზაზმით იყვნენ აღვსილნი.²⁷¹ დროს ჯგუფი იმავე დროს ემზადებოდა სპიტაკის უღელტეხილზე გასაღწევად, შვექი-ფაშას 36-ე და მე-5-ე დივიზიების ყარაქლისის გარშემო დაჯგუფებული ნარჩენების ალყაში მოქცევის მიზნით. თავის მხრივ ნაზარბეკოვისა და ანდრანიკის დამარცხებული, სილიკოვის მიერ ერივანიდან დილეჟანის ახლოს სოფელ სემიონოვკაში²⁷² გაგზავნილი მოხალისეთა ორი პოლკით გაძლიერებული რაზმები ასევე ემზადებოდნენ კონტრშეტევისთვის.

მაგრამ სომხების მოკლევადიანი ტრიუმფი პოლიტიკოსების მოქმედებებმა შეწყვიტეს. იმ დროს, როცა სარდარაბადის, ბაშაბარანისა და ყარაქლისის რაიონებში მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდნენ, სომეხი, ქართველი, გერმანელი და ოსმალის დიპლომატები²⁷³ თავიანთ „ბატალიებს“ აწარმოებდნენ, რომელთა შედეგი რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო. 1918 წლის მაისის უკანსკნელი კვირის ბოლოს ამიერკავკასიის ფედერაციამ თავისი არსებობა შეწყვიტა, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მის მაგალითს კი აზერბაიჯანი და სომხეთი მიყვნენ. იმავდროულად გერმანიამ ინტერვენცია დაიწყო საქართველოში და კონფლიქტში ასე თუ ისე გარეული მხარეები ბოლოსდაბოლოს მზად იყვნენ საზავო ხელშეკრულების ხელმოსაწერად. შესაბამისად, მოხდა ახალი დაზავება და ტფილისში სომხების ეროვნულმა საბჭომ ინსტრუქცია გაუგზავნა გენერალ ნაზარბეკოვს, რომელიც ჯერ კიდევ ითვლებოდა სომხური კორპუსის მეთაურად, შეეჩერებინა საბრძოლო მოქმედებები საზავო ხელშეკრულების

მიხედვით) – შუა საუკუნეების დანგრეული სომხური ქალაქი თანამედროვე თურქეთის ყარსის ილში, სომხეთის საზღვართან ახლოს.

²⁷¹ Hovannisian, p.193.

Allen-Muratoff, p.476.

²⁷² სოფელი გედარქუნიქის მარჯვში

²⁷³ ამ ნუსხიდან გამოვრიცხეთ აზერბაიჯანელი (ანუ, როგორც ისინი მაშინ იწოდებოდნენ, „თათარი“) დიპლომატები იმ მიზეზით, რომ ისინი იყვნენ ერთადერთი მხარე, რომელიც საერთოდ არანაირ „ბატალიებში“ არ მონაწილეობდა, მყარად მისდევდა ოტომანთა იმპერიასთან სრული და უპირობო თანამშრომლობის პოზიციას.

მალე ხელმოწერის კარიბჭესთან.²⁷⁴ ნაზარბეკოვმა სასწრაფოდ წერილობით უბრძანა სილიკოვსა და დროს ყველა საბრძოლო ოპერაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, რამაც იმედის გაცრუება, რომ არ ითქვას, აღშფოთება გამოიწვია როგორც სომეხ სამხედროებს, ისე ერევანის შემოგარენში სამოქალაქო მოსახლეობას შორის. გენერალ სილიკოვის სახელზე რამდენიმე თხოვნა გაიგზავნა, არ დამორჩილებოდა ნაზარბეკოვის ბრძანებას, თავის თავზე კი მის ნაცვლად მთავარსარდლის მოვალეობა აეღო და სომხურ ჯარს გაძლოდა ალექსანდროპოლის და, შეძლებისდაგვარად, ყარსის განთავისუფლებისთვის. მაგრამ გამოცდილებით გაბრძნობილმა გენერალმა თავისი უფროსობის ბრძანების შესრულება ამჯობინა, ვიდრე ის, რომ გაერისკა იმის დაკარგვა, რაც ჯერ კიდევ იყო დარჩენილი სომხეთისგან. თავისი არმიის მდგომარეობის შესახებ კარგად ინფორმირებულ სილიკოვს ესმოდა, რომ მისი ჯარისკაცები მცირერიცხოვანნი და დაქანცულები არიან, რეზერვები კი არაა, საბრძოლო მასალებიც იწურება. თურქები კი თუმცა ასევე დაქანცულები არიან, მაგრამ ამასთან მშვენივრად მარაგდებიან სომხების მიერ მათთვის დატოვებული უზარმაზარი სამხედრო საწყობებიდან და თან ჯერ კიდევ შეუძლიათ რაიმე ახალი მასშველი ძალის იმედი ჰქონდეთ;²⁷⁵ და ამიტომ, ყველაფერი ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, მძიმე და არასაიმედო ზავი მაინც ჯობს დამღუპველი ომის გაგრძელებას.

სომხური კორპუსის ერევანის გუბერნიაში სილიკოვის სარდლობით და ქალაქ დილეჟანში ნაზარბეკოვის სარდლობით დისლოცირებული ნაწილებისა და შენაერთების უმეტესობა დაემორჩილა ბრძანებებს და შეასრულა დაზავების პირობები, თუმცა ეს ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა მათ პატრიოტულ სულისკვეთებას. მაგრამ გენერალმა ანდრანიკმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო, რასაც მთლიანად დაუჭირა მხარი ძირითადად დასავლეთის სომხებისგან შედგენილმა მისმა „განსაკუთრებულმა დამრტყმელმა ბრიგადამ“. ეს ხალხი მზად არ იყო თურქებთან რამენაირი შეთანხმების მიღებისთვის, რომელიც თავისუფლებასა და სამშობლოში დაბრუნებაზე მათ ოცნებას ჯვარს დაუსვამდა. პოპულარულმა გენერალმა დაგმო როგორც ეროვნული საბჭოს, ისე

²⁷⁴ იმ მომენტისთვის ნაზარბეკოვს ფაქტიურად სომხების მთელი ძალების მთავარსარდლის თანამდებობა ეკავა.

²⁷⁵ Hovannisian, pp. 193-194.

თავისი მთავარსარდლის პოზიცია, განაცხადა, რომ მის დაქვემდებარებულ ადამიანებთან ერთად მათი კონტროლირებადი ტერიტორიებიდან მიდის მოკავშირეების მხარეზე ბრძოლის შემდგომი გაგრძელებისთვის.²⁷⁶

ბრძოლა ახალციხისა და ახალქალაქისთვის

სანამ დიპლომატები ბათუმსა და ტფილისში დებატებს აწარმოებდნენ, ერივანის გუბერნიაში კი ბრძოლები მიმდინარეობდნენ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები ეთნიკურ-რელიგიური ომის არენა გახდა.

1918 წელს ახალციხის მაზრის (საქართველოს ისტორიული პროვინციის მესხეთის ნაწილის) სოფლის ადგილების ტერიტორიაზე მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმანები შეადგენდნენ: თურქები, ქურთები და ისლამიზებული ქართველები.²⁷⁷ ქრისტიანული უმცირესობა უმეტესწილად სოფლების სვირის, მუსხის, დვირის, საკირეს, ერკოთას, ვარძიასა და თმოგვის (მართლმადიდებელი ქართველები), წყალთბილას, პამაჯისა და წყრუთის (სომხები), ასევე ვალესა და უდეს (კათოლიკები, სომეხი კათოლიკების ჩათვლით) რაიონებში ცხოვრობდნენ. ქალაქი ახალციხე, თავის მხრივ, უპირატესად ქრისტიანული იყო. მისი მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები სომხები იყვნენ, დაახლოებით 1/3 – მართლმადიდებელი ქრისტიანები ქართველების, რუსების, უკრაინელებისა და ბერძნების ჩათვლით, 1%-ზე ნაკლები – კათოლიკები (ძირითადად პოლონელები). ქალაქში ასევე ცხოვრობდა ებრაელთა მცირე რაოდენობა (მთელი მოსახლეობის დაახლოებით 10%). ამ რთულ ეთნიკურ-რელიგიურ ვითარებაში ადგილობრივმა მუსლიმანმა პარტიზანებმა, რომლებმაც 1918 წლის აპრილში მაზრის სოფლურ ადგილებზე კონტროლი აიღეს და ახალციხის ბლოკირება მოახდინეს, წვრილ-წვრილი ქრისტიანული

²⁷⁶ Allen-Muratoff, p. 476.

Hovannisian, p. 194.

²⁷⁷ ახალციხელი თურქების უმრავლესობა XX საუკუნის დასაწყისის რუსულ სტატისტიკაში „თათრების“ სახელწოდებითაა აღნიშნული. მაგრამ ამ „თათრების“ მნიშვნელოვან ნაწილს ქართული წარმოშობა ჰქონდა. XIX საუკუნის დასაწყისისთვის ამ ხალხის დიდი ნაწილი თავს თურქებად თვლიდა და ხშირად შეურაცხყოფად აღიქვამდნენ, თუ ვინმე მათ ქართულ ფესვებს შეახსენებდა.

დასახლებების ჟლეტა დაიწყეს. ამ საქმეში მათ ეხმარებოდნენ მათი შეიარაღებული ერთმორწმუნენი, რომლებიც მაზრაში მეზობელი არტანის ოკრუგიდან მოვიდნენ მე-3-ე არმიის ოსმალთა მე-5-ე და მე-10-ე დივიზიების რამდენიმე რეგულარულ ნაწილთან ერთად.²⁷⁸

შექმნილ ვითარებაში ადგილობრივმა ქრისტიანებმა (როგორც ქართველებმა, ისე სომხებმა) ერთიანობის დემონსტრაცია მოახდინეს. მათ მოლაშქრეთა რაზმებმა, ერთმანეთთან და ქართული კორპუსის რეგულარულ ნაწილებთან თავისი მოქმედებების კოორდინაციით წარმატებით შეძლეს რამდენიმე ქრისტიანული ანკლავის დაცვა. უნდა აღინიშნოს, რომ საბრძოლო გამოცდილების უქონლობის მიუხედავად ახალციხის მაზრის ქრისტიან მოლაშქრეებს მაღალი საბრძოლო სულისკვეთება ჰქონდათ და კარგად იყვნენ შეიარაღებულნი, მათ შორის ტყვიამფრქვევებითა და არტილერიით. მოლაშქრეთა რაზმებს ხშირად მეთაურობდნენ კადრის გამოცდილი ოფიცრები, რომლებიც ადრე რუსულ არმიაში მსახურობდნენ. მაზრის ქრისტიანული ანკლავების სოფლებს მხარდაჭერა ჰქონდათ ქალაქ ახალციხის ქართული გარნიზონის მხრიდანაც, რომელსაც გენერალი აბელ მაყაშვილი მეთაურობდა. ამის გარდა ახალციხიდან 50 კმ ნაკლებზე ბორჯომის ხეობაში (მეზობელ გორის მაზრაში) განლაგებული იყო მე-3-ე ქართული დივიზია გენერალ გიორგი არჯევანიძის მეთაურობით. თუმცა ეს დივიზია მკაცრ ნეიტრალიტეტს იცავდა და 1877 წლის საზღვარზე გამავალ ოსმალეთ-ამიერკავკასიის დაზავების ხაზს არ გადადიოდა. შემდგომში გენერალი გიორგი კვინიტაძე ამას არა მხოლოდ დივიზიის სისუსტით, არამედ იმითაც ხსნიდა, რომ არჯევანიძეს არ ჰქონდა სარდლობისგან მკაფიო ინსტრუქციები იმის შესახებ, უნდა ჩათვლილიყო ახალციხის მუსლიმანური ლაშქარი რეგულარულ ოტომანურ ჯარად, თუ ადგილობრივ კავკასიელ ბანდიტებად. პირველ შემთხვევაში დივიზიას არ ჰქონდა კონფლიქტში ჩარევის უფლება, ყოველ შემთხვევაში 15 მაისამდე, როცა თურქებმა ერივანის გუბერნიაში მდინარე დასავლეთ არფაჩაიზე (ახურიანზე) გადასვლით დაზავება დაარღვიეს. მეორე შემთხვევაში ქართულ სარდლობას თითქოსდა ჰქონდა მოქმედების თავისუფლება. მაგრამ აქაც არსებობდა

²⁷⁸ გენერალ კვინიტაძის მოგონებების თანახმად მოხდა ახალციხელი მუსლიმანი პარტიზანების ცალკე დივიზიად რეორგანიზება ოსმალთა არმიის 1-ლი კავკასიური კორპუსის შემადგენლობაში.

ოსმალთა ჯარის ახალი აგრესიული მოქმედებების პროვოცირების საშიშროება, რაც შეიძლება „მშვიდობიანი მუსლიმანური მოსახლეობის ქრისტიანული მხეცობისგან დაცვის“ საბაბით დაწყებულიყო. აღწერილი მდგომარეობის გამო როგორც ქართული სარდლობა, ისე გენერალი არჯევანიძე ამჯობინებდნენ, დაეცვათ დაზავების პირობები და 1877 წლის საზღვრებისქითა სამხრეთ საქართველოსთვის ბრძოლაში არ ჩარეულიყვნენ.

ამასობაში 1918 წლის მაისის პირველი ნახევრის განმავლობაში ძირითადი საბრძოლო მოქმედებები ახალციხის მაზრაში უპირატესად სოფლების – მუსხისა და წყრუთის გარშემო მიმდინარეობდნენ. 2 და 3 მაისის განმავლობაში ახალციხეში ბლოკირებული გარნიზონის ნაწილებმა მოულოდნელი გამოხდომა მოახდინეს მუსხის მიმართულებით. მუსხში მათ ადგილობრივი ქრისტიანი მოლაშქრეები (ქართველები და სომხები) შეუერთდნენ მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის გაყოლებით ჯერ კიდევ არ აოხრებული ქრისტიანული და ნაწილობრივ ქრისტიანული რამდენიმე სოფლის დაცვის ოპერაციის ჩატარების მიზნით.²⁷⁹ გენერალ მაყაშვილის პირადი ხელმძღვანელობით ჩატარებული მუსხის ოპერაცია თურქების ჯარისა და ადგილობრივი ბაშიბუზუკების განადგურებით დასრულდა. თითქმის იმავედროულად, 3 და 4 მაისს, სომეხმა მოლაშქრეებმა სოფლებიდან – წყრუთიდან და წყალთბილადან წარმატებით მოიგერიეს მათ პოზიციებზე თურქების რამდენიმე იერიში ახალციხიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ამ შეტაკებების შემდეგ მაზრის დიდ ნაწილს შეეძლო დამტკბარიყო ფარდობითი სიმშვიდითა და *Status Quo*-თი ივნისის დასაწყისამდეც კი, როცა ბოლოსდაბოლოს ზავი დაიდო.²⁸⁰

ახალქალაქის მაზრაში (საქართველოს ისტორიული პროვინციის ჯავახეთის ნაწილი) სიტუაცია მთლიანობაში უფრო სა-

²⁷⁹ 1918 წლის აპრილის ბოლოს – მაისის დასაწყისში მტკვრის მარცხენა ნაპირზე ოსმალთა ჯარმა და ადგილობრივმა ბაშიბუზუკებმა თორმეტზე მეტი ქრისტიანული სოფელი გაძარცვეს და დაწვეს. როგორც წესი, მოლაპარაკებების შემდეგ პირველად სოფლებებს განაიარაღებდნენ, განაიარაღების შემდეგ კი მაშინვე ერთიანად ხოცავდნენ ან, უკეთეს შემთხვევაში, მათი სახლებიდან აგდებდნენ და მთელ ქონებას ართმევდნენ.

²⁸⁰ Саносян, стр. 77-86.

სიკეთოც კი იყო ადგილობრივი ქრისტიანებისთვის, რომლებიც მოსახლეობის დაახლოებით 90%-ს შეადგენდნენ. მაზრის ყველაზე დიდ ქრისტიანულ თემს შეადგენდნენ სომხები (მთელი მოსახლეობის 71%), რომელთა უმრავლესობა სომხურ სამოციქულო ეკლესიას ეკუთვნოდა, კათოლიკების მცირე რაოდენობა სოფელ ალასტანში ცხოვრობდა. მაზრაში ასევე იყო მართლმადიდებელი ქართველებით (მთელი მოსახლეობის 4,2%) დასახლებული ექვსიოდე სოფელი და ქართველი კათოლიკების ორი სოფელი – ხიზაბავრა და სარო (მოსახლეობის 2%-ზე ნაკლები). მაზრის მეორე მნიშვნელოვან ქრისტიანულ თემს შეადგენდნენ ძირითადად დუხობორების სექტას მიკუთვნებული რუსი გადასახლებულები (მთელი მოსახლეობის 9%), რომლებიც ეგრეთ წოდებულ „ჯავახეთის დუხობორიაში“ ცხოვრობდნენ (თორმეტიოდე სოფელი ბოგდანოვკის თემის (ვოლოსტის) აღმოსავლეთ ნაწილში), თუმცა დუხობორები 1918 წლის ეთნიკურ-რელიგიურ კონფრონტაციაში არ მონაწილეობდნენ. ეს მოხდა ნაწილობრივ დუხობორების ტრადიციული პაციფიზმის წყალობით, ასევე იმიტომაც, რომ ოსმალთა ჯარები ეთნიკურად რუს სამოქალაქო მოსახლეობას შედარებით კარგად ექცეოდნენ, მისდევდნენ მათი სარდლობისგან მიღებულ დირექტივებს.²⁸¹ მეორე მხრივ, ადგილობრივ მუსლიმან

²⁸¹281 თანამედროვე მკითხველისთვის ალბათ ძნელია იმის გაგება, რომ აღწერილ პერიოდში ოტომანთა იმპერიის ოკუპაციის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის ბედს განსაზღვრავდა არა მხოლოდ მათი რელიგიური კუთვნილება, არამედ ეთნიკური წარმოშობაც. ასე მაგალითად, თურქების ჯარი, ადგილობრივი ბაშიბუზუკებიც კი კავკასიელ გერმანელებთან და ესტონელებთან სავსებით მეგობრულად იქცეოდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ მათი რუსული ქვეშევრდომობის მიუხედავად, ადგილობრივ გერმანელებსა და ესტონელებს მძლავრ გერმანიის იმპერიასთან მათ „ნათესაობაზე“ დაფუძნებული პრივილეგიები ჰქონდათ. რაც შეეხება რუს და სხვა სლავ კოლონისტებს, მათაც, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში, თურქები ასევე შედარებით ღირსეულად ექცეოდნენ, იმიტომ რომ ისინი რუსეთის იმპერიას წარმოადგენდნენ, რომელიც ოსმალთა სარდლობის თვალში თუმცა დესტაბილიზებული იყო რევოლუციით, მაგრამ მაინც დიდ და პოტენციურად ძლიერ ქვეყნად რჩებოდა. ამავე დროს მშვიდობიანი სომეხი და ასურელი [*ასირიელები, ასურები, სირიელები, ქალდეელები* (კათოლიკე ასირიელები) – სემიტური მოდგმის ხალხი, არამეელების შთამომავალნი. ცნობილი არიან ასევე როგორც აისორები (ეს სახელწოდება გავრცელებული იყო

მოლაშქრეებს დუხობორებზე თავდასხმის შესაძლებლობა არც ჰქონდათ, იმიტომ რომ „დუხობორია“ აგრესიულად განწყობილი მუსლიმანური სოფლებისგან ქართული და სომხური ანკლავების ჯაჭვით იყო იზოლირებული.

მუსლიმანური უმცირესობა (თიურქო-თათრები და ქურთები) ახალქალაქის მაზრაში მოსახლეობის 10%-ზე ოდნავ მეტს შეადგენდა. ადგილობრივი მუსლიმანები კონცენტრირებული იყვნენ უპირატესად მაზრის დასავლეთით მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მდებარე და ფაქტიურად მესხი მუსლიმანების ტერიტორიის ეთნიკურ გაგრძელებად წარმოდგენილ ორ ანკლავში. ზემოთდასახელებული ანკლავებიდან ყველაზე მსხვილი იყო ოკამი – ხავეთი – მირაშხანი და ხერთვისი – ნაქალაქევი (ისტორიული წუნდა).

1918 წლის მაისის დასაწყისისთვის ოკამელმა და ხერთვისელმა მუსლიმანებმა ადგილობრივი ხანებისა და ბეგების ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბეს შეიარაღებული ბანდები და თურქების რეგულარული ჯარისა და არტაანელი მუსლიმანი მოლაშქრეების მოსვლის მოლოდინში იყვნენ, რომ მაზრის დაპყრობა და მისი ქართველებისა და სომხებისგან გაწმენდა დაეწყოთ. მაზრის ქრისტიანი მოსახლეობა, თავის მხრივ, ასევე ემზადებოდა ოსმალთა შემოსევისთვის. როგორც ქართველი, ისე სომეხი მოლაშქრეები კარგად ორგანიზებული, შეიარაღებული და გაწვრთნილი იყვნენ. მათი მეთაურების მნიშვნელოვან ნაწილს ძველი რუსული არმიის გამოცდილი ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები შეადგენდნენ.²⁸² ზოგიერთ რაზმს მეთაურობდნენ ადგილობრივი მღვდლები.²⁸³

პირველი შეტაკებები ახალქალაქის მაზრის სამხრეთ-დასავლეთით დაიწყო ჯერ კიდევ აპრილში, როცა მუსლიმანური ბანდები ოკამი – ხავეთი – მირაშხანის ანკლავიდან სომხურ სოფლებს მურჯახეთსა და კარწახს დაესხნენ. თავდასხმაში ასევე მონაწილეობდნენ მუსლიმანი პარტიზანები ახალციხის მაზრიდან და არტაანის ოკრუგიდან. შეიარაღებული შეტაკებები მაისის მეორე

რუსეთის იმპერიაში და დამამცირებლად ითვლებოდა)] მოსახლეობა, როგორც წესი, უკლებლივ ყველა ნადგურდებოდა, მათი ქვეშევრდომობისა და სახელმწიფოებრივი კუთვნილების მიუხედავად (განსაკუთრებით ირანელი სომხები და ასურელები).

²⁸² Саносян, стр. 119-126.

²⁸³ Саносян, стр. 161.

დეკადის ბოლომდე გარდამავალი წარმატებებით მიმდინარეობდნენ უპირატესად სოფელ ვაჩიანიდან სოფელ მურჯახეთამდე ხაზის გაყოლებით სულდას, ოკამისა და ხავეთის გავლით.²⁸⁴ დაახლოებით იმავდროულად შეიარაღებული შეტაკებები ასევე ხდებოდნენ მდინარე მტკვრის გაყოლებით სოფლების ნაქალაქევისა და მირაშხანის ქურთ მოლაშქრეებსა და შეიარაღებულ ქრისტიანებს შორის სოფლებიდან კუმურდო (სომხები) და კილდა (ქართველები). კონფლიქტი დაიწყო კუმურდოს მცხოვრებლების მცდელობის შემდეგ, დაეცვათ მტკვრის მარცხენა ნაპირზე სოფელ ზემო-თმოგვიდან (ახალციხის მაზრაში) გამოძევებული ქართველი ლტოლვილები, და დამთავრდა ქართველი და სომეხი მოლაშქრეების გამარჯვებითა და მუსლიმანური სოფლების ნაქალაქევისა და მირაშხანის განადგურებით.²⁸⁵

მაზრის სამხრეთ-დასავლეთით საომარი მოქმედებები დაიწყო 7 მაისს, როცა სოფელ ხერთვისის შეიარაღებულმა მცხოვრებლებმა, რომლებსაც მხარს ახალციხელი მუსლიმანები უჭერდნენ, სარო – ხიზაბავრას ქართული კათოლიკური ანკლავის განადგურების მცდელობა წამოიწიეს. ალყაში მოქცეული ორი სოფლის ქართველმა დამცველებმა, რომლებსაც ორივე მხრიდან უტევდნენ, დაუყოვნებლივი დახმარება მიიღეს სომეხი მოლაშქრეების მხრივ კუმურდოსა და დილისკადან. ხუთდღიანი შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ მუსლიმანები დამარცხდნენ, ხერთვისი კი ქართველებმა და სომხებმა აიღეს.²⁸⁶

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ახალქალაქის მაზრის ქრისტიანების თავდაცვის ხელმძღვანელობამ საბრძოლო ოპერაციების მეზობელ მაზრაში გადატანისა და ალყაშემორტყმული ახალციხის განბლოკვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ მიზნის მისაღწევად ახალციხისა და ახალქალაქის დამაკავშირებელი გზის გასწვრივ სოფლების ჯაჭვის კონტროლქვეშ ადგა იყო აუცილებელი. ამ მომენტისთვის (იხ. ზემოთ) ახალციხის ქართული გარნიზონის ნაწილებმა ქართველი და სომეხი მოხალისეების რაზმებთან ერთად უკვე აიღეს კონტროლქვეშ ამ გზის ნაწილი ქალაქ ახალციხიდან სოფელ მუსხამდე, იმ დროს, როცა ახალქალაქის მაზრის დამცველები ამ გზას თავის მხრივ სოფელ ხერთვისამდე აკონტროლებდნენ. მთელი გზის დაუფლებისთვის

²⁸⁴ Саносян, стр. 134-140.

²⁸⁵ Саносян, стр. 138-139.

²⁸⁶ Саносян, стр. 158-159.


მთავარი დაბრკოლება იყო დიდი მუსლიმანური სოფელი ასპინძა, რომელშიც განლაგებული იყო თურქული არმიის რეგულარული, ათასი მუსლიმანი მოლაშქრით გაძლიერებული რაზმი, რომლებსაც ადგილობრივი ბეგები ჰაფიზ-ეფენდი და შაჰი-ალა მეთაურობდნენ. ზემოთაღნიშნული კონტინგენტის საერთო სარდლობას ახორციელებდა ჰასანბეგის სახელით ცნობილი ოსმალთა კადრის ოფიცერი. მაისის მესამე დეკადისთვის ახალქალაქის მაზრაში ვითარება უარესი მხრით შეიცვალა. 20 მაისს თურქების რეგულარული ნაწილებით გაძლიერებულმა არტაანელმა და ჩილდირელმა მუსლიმანმა მოლაშქრეებმა ახალი შეტევა დაიწყეს კარწახზე და მეორე დღის ბოლოს დაიკავეს ეს სტრატეგიულად განლაგებული სომხური სოფელი. აღმოსავლეთიდან კი მაზრას ოსმალთა რამდენიმე ქვედანაყოფის შემოსევა ემუქრებოდა. ეს ძალები თურქების მიერ მე-5-ე დივიზიის შემადგენლობიდან სპეციალურად იყვნენ გამოყოფილი ქალაქ ახალქალაქის დასაპყრობად და მეზობელ ალექსანდროპოლის მაზრაში სოფელ გიული-ბულადის რაიონში იყვნენ განლაგებულნი. შექმნილ სიტუაციაში ახალქალაქის მაზრის ქართველი და სომეხი საველე მეთაურები ასპინძის დასაპყრობად საკმარის ძალებს არ ფლობდნენ.

ამიტომ საველე მეთაური უსულ-ხეჩო დაუყოვნებლივ გაემართა ბორჯომში გენერალ არჯევანიძესთან მოსალაპარაკებლად მე-3-ე ქართული დივიზიის მხრიდან მხარდაჭერის მიღების მიზნით. გარკვეული მოფიქრებისა და ყოყმანის შემდეგ არჯევანიძე დათანხმდა სამხრეთ საქართველოში (ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში) კაპიტან ალექსიდის მეთაურობით მცირე რეგულარული რაზმის არტილერიით გაგზავნაზე იქ ქრისტიანების თავდაცვის მხადასაჭერად. თავის გადაწყვეტილებას არჯევანიძემ თან დაურთო დიპლომატიური განცხადება იმის შესახებ, რომ მე-3-ე დივიზიის ნაწილები არანაირ გარემოებაში არ შეიძლება გამოყენებული იყვნენ „რაიმე აგრესიულ მიზნებში“.²⁸⁷

23 მაისს ზემოხსენებული რაზმი ბორჯომიდან ახალქალაქის მიმართულებით დაიძრა. გზაში მათ გარემომდებარე ქართული და სომხური სოფლებიდან რამდენიმე ათასი მოლაშქრე შეუერთდა. ახალქალაქიდან ალექსიდის ჯგუფი უფრო იქით წავიდა ხერთვისის გავლით ასპინძაზე, იმ დროს კი ასპინძის მუსლიმანი დამცველების

²⁸⁷ Саносян, стр. 160.

მეთაურმა ჰასანბეგმა პრევენციული²⁸⁸ შეტევა გადაწყვიტა. სამი დღის შემდეგ, 26 მაისს ჰასანბეგის რაზმები მიუახლოვდნენ სოფელ დამალას, სადაც ხერთვისიდან მოძრავ ქართველებსა და სომხებთან ბრძოლაში ჩაებნენ. რამდენიმე საათის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ თურქები და ადგილობრივი ბაშიბუზუკები დამარცხდნენ და უწესრიგოდ, დიდი დანაკარგებით უკან დაიხიეს,²⁸⁹ ქართული ჯარი კი ქრისტიან მოლაშქრეებთან ერთად ასპინძაში შევიდა. ამრიგად, გზა ახალციხისკენ გაწმენდილი იყო.



ახალციხის დამცველთა ჯგუფი (1918 წ. მაისი)

მაგრამ მეორე დღით ალექსიძის ჯგუფმა მოულოდნელად ბორჯომის ხეობაში დაბრუნების ბრძანება მიიღო.²⁹⁰ რაკი არ გვაქვს ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, რა შეიძლება ყოფილიყო ასეთი თითქოსდა მოულოდნელი ბრძანების მიზეზი, შეიძლება გარკვეულწილი დაჯერებულობით ვივარაუდოთ, რომ ის

²⁸⁸ პრევენციული (ლათ. praevenio – ვასწრებ, ვაფრთხილებ) – მოწინააღმდეგე მხარის გამაფრთხილებელი, დამცველი, დასწრებული მოქმედება.

²⁸⁹ 1918 წლის ბოლოს სომხური გაზეთების მიერ გამოქვეყნებული და სანოსიანის მიერ ციტირებული სტატიების თანახმად, დამალასა და ასპინძასთან მუსულმანთა რაზმების პირადი შემადგენლობის დანაკარგი მოკლულებითა და დაჭრილებით 80%-ს აღწევდა.

²⁹⁰ Саносян, стр. 162.

ამიერკავკასიის, გერმანიისა და თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლების დათქმული მოლაპარაკებების შედეგი იყო. ამ მოლაპარაკებების თანახმად ორივე მაზრა, – ახალციხისაც, ახალქალაქისაც ოტომანთა იმპერიაში უნდა გადასულიყო. შესაბამისად, დაშლადი ამიერკავკასიის ფედერაციის ყველა რეგულარული ჯარი (როგორც ქართული, ისე სომხური) ახალი საზღვრის იქით დაუყოვნებლივ გაყვანას ექვემდებარებოდა.

იმ მომენტისთვის, როცა ასპინძის გარშემო ბრძოლა ჩაწყნარდა, ახალქალაქის მაზრაში სამხრეთიდან, – აქბაზინის დაბლობიდან (ყარსის ოლქის თაფაკიოის თემი) მუსლიმანი მოლაშქრეების შემოჭრა დაიწყო. თურქების არმიის ზოგიერთი ნაწილისა და ჩილდირელი მოლაშქრეების, რომლებიც კარწახის მხრიდან ერთდროულად უტევდნენ, მხარდაჭერით აქბაზინელები ქალაქ ახალქალაქის დაპყრობას შეეცადნენ. ახალქალაქისთვის გადამწყვეტი ბრძოლა 26 მაისს სოფელ ხანჩალის ახლოს გაიმართა. თითქმის თორმეტსაათიანი ბრძოლის შემდეგ სომეხმა მოხალისეებმა აქბაზინელი ბაშიბუზუკები განდევნეს მაზრის ფარგლებიდან, კარწახიდან აღმოსავლეთით კი ძალთა მყიფე წონასწორობა იყო შენარჩუნებული.

მაგრამ რამდენიმე მომდევნო დღის განმავლობაში ახალქალაქის მაზრაში საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მაისის მესამე კვირის ბოლოს, ზამბაკისთვის ბრძოლის შემდეგ (იხ. ზემოთ) გიული-ბულადის რაიონში კონცენტრირებული იყო ოსმალთა მე-5-ე დივიზიის რამდენიმე საკადრო ნაწილი. სწორედ მათ დაიწყეს მაზრაში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შეჭრა. ასეული ირეგულარული ბაშიბუზუკებით მხარდაჭერილი ამ ნაწილების ამოცანა მთელი მაზრის დაკავება და, შემდგომში დაგვარად, ტფილისზე შემდგომი შეტევის განვითარება იყო.²⁹¹

²⁹¹ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ოტომანთა იმპერიის სამხედრო ხელმძღვანელობა არც კი გეგმავდა როგორც 1918 წლის დასაწყისში ქართველ და გერმანელ დიპლომატებთან მოლაპარაკებების მსვლელობაში მიღწეული პრელიმინარული შეთანხმებების, ისე „ბრწყინვალე პორტას“ მთავრობის მიერ რამდენიმე დღით გვიან ხელმოწერილი ბათუმის ხელშეკრულებების პირობების შესრულებას. უკანასკნელმა მოვლენებმა მკაფიოდ აჩვენეს, რომ თურქეთის ჯარები არ აპირებდნენ მათი მთავრობის მიერ საბოლოოდ და შეცვლას დაუქვემდებარებლად ოფიციალურად აღიარებულ სადემარკაციო ხაზებზე შეტევის შეჩერებას. პირიქით, ისინი ტფილისზე ახალ შეტევას გეგმავდნენ. ამ შეტევას „ადგილობრი-

1918 წლის 29-30 მაისის ღამეს მე-5-ე დივიზიის ავანგარდი გიული-ბულაღის მხრიდან ახალქალაქის მაზრაში შევიდა. რამდენიმე საათის განმავლობაში ჯავახეთის დუხობორიაზე, რომლის მოსახლეობამაც ხაზგასმულად ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, მარშით გავლით მან სოფელ ბოგდანოვკას²⁹² მიაღწია. 30 მაისის დილის 4 საათზე თურქები მათ მიერ ახალქალაქის გზაზე შემხვედრი პირველი სომხური სოფლის სათხეს მცხოვრებლების შეიარაღებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. 20-საათიანი იქეთაქეთი სროლის შემდეგ სათხეს დამცველები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ მოწინააღმდეგის აშკარა უპირატესობის გამო და მათთან ერთად ჩრდილო დასავლეთით ევაკუაციაში სოფლის მთელი მოსახლეობა წავიდა.

1918 წლის მაისის უკანასკნელი დღის განმავლობაში ქრისტიანთა ლაშქრის რაზმები ცდილობდნენ ახალქალაქის მიდამოებში და სოფელ მაჭატისთან ოსმალთა შეტევის შეჩერებას, მაგრამ მათი წინააღმდეგობა გატყდა და ცოცხლად დარჩენილებმა ბაკურიანის მიმართულებით დაიხიეს. ეს ახალქალაქიდან გორისა და ბორჩალოს ორ მეზობელ მაზრაში სომხებისა და მართლმადიდებელი ქართველების მასობრივი გამოსვლის სიგნალი გახდა. შედეგად ახალქალაქის მაზრა პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე დაიკარგა. ის სომხები, რომლებმაც თავიანთ სახლებში დარჩენა გადაწყვიტეს, ოსმალმა ჯარისკაცებმა და ბაშიბუზუკებმა უკლებლივ გაჟლიტეს. ახალქალაქის ჰოლოკოსტი მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობის ორ ჯგუფს – დუხობორებსა და კათოლიკებს არ შეეხო.

ერთი კვირის შემდეგ, მნიშვნელოვნად უფრო ხელსაყრელ გარემოებაში თურქებს დაუტოვეს ქალაქი ახალციხე ამავე სახელწოდების მაზრის რამდენიმე ქრისტიანული ანკლავით. 1918 წლის 5 ივნისს, ბათუმის ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე

ვი მუსლიმანების აჯანყების“ სახე უნდა ჰქონოდა და თუ 1918 წლის ზაფხულისთვის ტფილისის მიმართულება მეორეხარისხოვანი იყო (კავკასიაში ოსმალთა ექსპანსიის მთავარი მიმართულება იყო ბაქო), საქართველოს დედაქალაქის დაპყრობის შესაძლებლობა სულაც არ იყო გამოირიცხული, ისე როგორც არ გამოირიცხებოდა „სომხური საკითხის საბოლოო გადაწყვეტა“, რაც გარდაუვალად მოჰყვებოდა თურქების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ოკუპაციას.

²⁹² 1991 წლიდან ქალაქი **ნინოწმინდა**.

დღეს (იხ. შემდეგი თავი) მაზრაში ხელისუფლების გადაცემის პირობების დასაზუსტებლად ახალციხეში თურქების სპეციალური კომისია მოვიდა. ხანმოკლე მოლაპარაკებების შემდეგ მიღწეული იქნა შეთანხმება შემდეგ პირობებზე:

- ყველა შეიარაღებულ ქრისტიანს, კადრის სამხედროებისა და მოლაშქრეების ჩათვლით, შეუძლიათ თავისუფლად დატოვონ ახალციხე იარაღითა და საბრძოლო დროშებით;
- ყველა სამოქალაქო პირს, რომელმაც დარჩენა გადაწყვიტა, მათი სიცოცხლისა და საკუთრების შენარჩუნების, ასევე ეთნიკურ-რელიგიურ ნიადაგზე დევნისგან დაცვის გარანტია ეძლევა;
- ოტომანთა ხელისუფლება არ მოითმენს რელიგიათა შორის ან ეთნოსთა შორის სიძულვილის არანაირ გამოვლინებას;
- ქალაქ ახალციხეში შენარჩუნდება ძველი სამოქალაქო ადმინისტრაცია და ხალხის მიერ არჩეული მისი ხელმძღვანელობა (უპირატესად ქრისტიანები) თავის ადგილზე რჩება.²⁹³

შემდგომი ორი დღის განმავლობაში ქართულმა გარნიზონმა ქართველ და სომეხ ლეგიონერებთან (მოლაშქრეებთან) ერთად დატოვა ახალციხე. სამხედროებთან ერთად წავიდა სამოქალაქო პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, პოლიციელების, მოხელეების, მოსწავლეებისა და ოფიცრებისა და ლეგიონერების ოჯახის წევრების ჩათვლით. 8 მაისს ქალაქში შევიდა ოსმალთა მცირე კონტინგენტი ბაქი-ბეის მეთაურობით, რომელიც ახალციხისა და მთელი მაზრის ახალ გუბერნატორად იყო დანიშნული.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხის მაზრაში თურქებმა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა შეასრულეს, მათ ევაკუაციამდე 1918 წლის დეკემბერში მაზრაში მდგომარეობა შედარებით მშვიდი იყო და იქ არანაირი ეთნიკური წმენდა არ ხდებოდა.

რასაკვირველია, საომარი მოქმედებების სამხრეთ საქართველოს (ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების) ასპარეზი ძირითადი არ იყო თურქეთ-ამიერკავკასიის 1918 წლის უცნაურ ომში. ამავე

²⁹³ Саносян, стр. 101-103.

დროს გაზვიადება არ იქნება იმის თქმა, რომ ამ რეგიონში ქრისტიან მოლაშქრეთა და ჯარების შეუპოვარმა წინააღმდეგობამ მნიშვნელოვანწილად ააცილა ტფილისის დაცემა და არსებითად შეამცირა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის.

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა

1918 წლის აპრილსა და მაისში ოსმალთა არმიები, რომლებიც, ბათუმში ამ დროს მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიაზე შეტევას აგრძელებდნენ, ქართულმა ეროვნულმა არმიამ მდინარე ჩოლოქზე ბრძოლის მსვლელობაში (1918 წ. 16-17 აპრილი), ასევე სომხურმა არმიამ და მოლაშქრეებმა სარდარაბადის (21-29 მაისი), ყარაქლისის (26-28 მაისი) და ბაშ-აბარანის (21-24 მაისი) ბრძოლებში შეაჩერეს. მაისის მეორე ნახევრის განმავლობაში, სანამ ერივანის გუბერნიაში, ბათუმის ოკრუგში და სამხრეთ საქართველოს მაზრებში მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდნენ, ბათუმისა და ფოთის კონფერენციების მსვლელობაში დიპლომატიურმა თამაშებმა ამიერკავკასიის არამყარი ფედერაციის დაშლა და მთელი რეგიონის რუკაზე დრამატული ცვლილებები მოიტანეს. ამიერკავკასიის მკვდრადშობილი სახელმწიფოს დაშლის ერთ-ერთი მიზეზი სამხრეთ კავკასიის საზოგადოების ქრისტიანულ და მუსლიმანურ ნაწილებს შორის კონსესუსის არარსებობა იყო. ქართველებს, სომხებსა და რეგიონის სხვა ქრისტიანებს სასოწარკვეთილებამდე ჭირდებოდათ ზავი, რომელიც შეაჩერებდა ოსმალთა შემოსევას, თუნდაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით საზღვარზე, სომხების შემთხვევაში კი ოკუპაციისგან თავისუფალ ყოფილი რუსული სომხეთის ნარჩენებს სრული განადგურებისგან გადაარჩენდა. იმავე დროს თათრები (აზერბაიჯანელები) და სამხრეთ კავკასიის სხვ მუსლიმანები პირიქით დაინტერესებული იყვნენ ოსმალთა არმიების შემდგომ ექსპანსიაში, რომელიც არა მხოლოდ ელიზავეტპოლის გუბერნიაში მათ პოზიციებს გაამყარებდა, არამედ მათ ბაქოელი ბოლშევიკების, სამხრეთ მულანში შეიარაღებული რუსი კოლონისტებისა და მთიან ყარაბაღსა და განძაკში²⁹⁴ სომეხი მოლაშქრეების განადგურებაშიც დაეხმარებოდა. თათრებს შემდგომი ოტომანური დაპყრობების შედეგად ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით დაღესტანში

²⁹⁴ განძაკი – აქ: ქალაქი განჯა

ტერიტორიული გამორჩენის იმედიც ჰქონდათ. 1918 წლის გაზაფხულის ბოლოსთვის ქრისტიანებისთვისაც, მუსლიმანებისთვისაც ცხადი გახდა, რომ მათი ინტერესები შეუთავსებელია და, შესაბამისად, მოქმედების საწინააღმდეგო მიმართულებებს მოითხოვენ. შედეგად ბათუმის მოლაპარაკებების აზერბაიჯანელი (თათარი) მონაწილეები დიდი ენთუზიაზმით იღებდნენ ოსმალთა წარმომადგენლების ყველა პირობას და მზად იყვნენ ითიჰადურ თურქეთთან შემდგომი სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის. მათ საწინააღმდეგოდ ქართველებსა და სომხებს, რომლებმაც იარაღის ძალით აგრესორის შეჩერება ვერ შეძლეს,²⁹⁵ მათი ეროვნული ტერიტორიების ნარჩენების უსაფრთხოების დამოკიდებულებაში გამარჯვებული მოწინააღმდეგის გარანტიების ნდობის საფუძველი არ ჰქონდათ, ოსმალთა ყველა მოთხოვნის მიღებისა და აუცილებელი შეთანხმებების დადების შემთხვევაშიც კი. ეს სასოწარკვეთილი მდგომარეობა სასოწარკვეთილ მოქმედებას მოითხოვდა და ამ პირობებში გადარჩენის ერთადერთი საშუალება მხოლოდ გარეშე ქომაგის მოძებნა შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ვის შეეძლო ასეთი ქომაგად გახდომა? დასავლეთის მოკავშირეები, რომლებზედაც დანდობას ამჯობინებდა სამხრეთ კავკასიის ყველა ქრისტიანი და, განსაკუთრებით, სომხები, ძალიან შორს იყვნენ და 1918 წლის ზაფხულის ბოლომდე რაიმე რეალური დახმარების მიცემის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. შესაბამისად, ერთადერთ გარეშე ძალად, რომელიც ისურვებდა და შეძლებდა დახმარებას, რჩებოდა მხოლოდ გერმანია.²⁹⁶

მაისის შუა რიცხვებში გერმანიისა და საქართველოს დელეგაციების წევრებს შორის ინტენსიური საიდუმლო მოლაპარაკება მიდიოდა. საქართველოს დელეგაციას მეთაურობდა საქართველოს

²⁹⁵ 1918 წლიდან ბევრი სომეხი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი სარდარაბადთან და ბაშ-აბრანთან გამარჯვებების მნიშვნელობის გაზვიადებისკენ არის მიდრეკილი. მართლაც, სომხური კორპუსის ნარჩენების საომარმა წარმატებებმა ხელი შეუწვევს არარატის ველის ასეულ ათასობით სომეხის ამოწყვეტისგან გადარჩენას, მოცემული მოვლენების მორალურ ასპექტზე რომ არ ვილაპარაკოთ. მაგრამ მაინც ამ გამარჯვებებს არ შეეძლოთ ომის საერთო მიმდინარეობაზე არსებითი გავლენა მოეხდინათ.

²⁹⁶ Авалов, *цит.тр.*, стр.43.

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას²⁹⁷ რომელიც ტფილისიდან ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდა.²⁹⁸ 22 მაისს ჟორდანიას უკან ტფილისში გაბრუნდა, რომ ეროვნულ საბჭოსთან ერთად გერმანია-საქართველოს ხელშეკრულების შავი ვარიანტი განეხილა. 24-25 მაისის ღამეს გერმანიის დელეგაცია გემ „მინა ჰორნიტ“ ბათუმიდან ფოთში ჩავიდა, წინასწარ ჩხენკელს დაბეჯითებით მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების მოწოდებით ტფილისში ტელეგრაფის სასწრაფოდ გაგზავნის რეკომენდაცია. მთელი შექმნილი სიტუაციის გამო დამოუკიდებლობის გამოცხადება იმის, რაც ტფილისის კონტროლს დაქვემდებარებული ქართული ტერიტორიებისგან კიდევ იყო დარჩენილი, ოსმალთა ოკუპაციის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება იყო. ჩხენკელმა ყურად იღო გერმანელების რჩევა და ტფილისში გაგზავნა ტელეგრაფი, რომელიც, კერძოდ, შემდეგს შეიცავდა:

„ტფილისი, გენერალ კვინიტაძეს.

*გადაეცით საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების დაყოვნება თან მოიყოლებს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანიის შუამდგომლობის მცდელობა არ მოხერხდა. რჩება ერთი: დავუპირისპიროთ თურქეთის შემოსევას დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც გერმანია უჭერს მხარს. მისი წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბურგი... უკვე მომზადებულია ხელმოწერისთვის რამდენიმე დროებითი შეთანხმება გერმანიასთან. ველი სასწრაფო შეტყობინებას აქტის შესახებ“.*²⁹⁹

²⁹⁷ 1918 წლის 24 ივლისიდან 8 ოქტომბრამდე ნოე ჟორდანიას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო, 1919 წლის 21 მარტიდან კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა.

²⁹⁸ R. G. Hovannissian, *Armenia on the Road to Independence* (Los Angeles, 1969), pp. 183-185.

²⁹⁹ Авалов, стр. 56-59.

Kazemzadeh, p.119.

1918 წლის 25 მაისს გენერალმა ფონ ლოსოვმა ხელმოსაწერად მიიღო ზემოხსენებული შეთანხმებების დასკვნითი მზატექსტები.³⁰⁰ შემდეგი დღის დილით ტფილისში შედგა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი მის მიერ როგორც „სახელმწიფოფიქცია“ დახასიათებული ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ განცხადებით გამოვიდა. დღის სამ საათამდე გაგრძელებული ხანმოკლე ემოციური დებატების შემდეგ სეიმის წევრებმა მიიღეს წერეთელის მიერ შემოთავაზებული რეზოლუცია, რომელმაც ბოლო მოუღო შეუმდგარ ფედერაციას.³⁰¹ კიდევ რამდენიმე საათის შემდეგ უკვე დაშლილი სეიმის ქართველი დეპუტატები კვლავ შეიკრიბნენ იმავე შენობაში, რომ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ და ჩამოეყალიბებინათ მისი პირველი მთავრობა. რიჩარდ ოვანისიანის თანახმად „შვიდი პუნქტისგან შედგენილმა დეკლარაციამ გამოაცხადა დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ნეიტრალიტეტს მისდევს საერთაშორისო კონფლიქტებში, მიისწრაფის ყველა მეზობელთან მეგობრული დამოკიდებულების დამყარებისკენ, იძლევა სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების გარანტიას ყველა მოქალაქისთვის და უზრუნველყოფს ყველა მასში მცხოვრები ეროვნების შეუზღუდავ განვითარებას“.³⁰²

ორი დღით გვიან იმავე შენობაში (გენერალ-გუბერნატორის სასახლეში) და იმავე ქალაქ ტფილისში მუსლიმანურმა ეროვნულმა საბჭომ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით „აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიის“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. კიდევ ორი დღის შემდეგ ემოციურ ვითარებაში სომხურმა ეროვნულმა საბჭომ თავი გამოაცხადა „სომხური მაზრების უმაღლეს და ერთადერთ ხელისუფლებად“ სიტყვის „დამოუკიდებლობა“ ყოველგვარი ხსენების გარეშე.³⁰³

ამგვარად, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. იმავე დღეს ახ-

³⁰⁰ Hovannissian, p. 184.

³⁰¹ *Ibid.*

³⁰² Hovannissian, p. 188.

³⁰³ Hovannissian, p. 191.

ლადდანიშნული პრემიერ-მინისტრი ნოე რამიშვილი მატარებლით გაემგზავრა ფოთში, სადაც მას უკვე ელოდა ფონ ლოსოვი ფოთში ბათუმიდან ჩამოსულ ახლადდანიშნულ საგარეო საქმეთა მინისტრ ჩხენკელთან, ავალოვთან და ქართული დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად.

გერმანია-საქართველოს შეთანხმების ხელმოწერა

1918 წლის 28 მაისს ქალაქ ფოთის ნავსადგურში გემ „მინა ჰორნზე“ ხელი მოაწერეს „გერმანიასა და საქართველოს შორის დამოკიდებულების რეგულირების წინასწარ შეთანხმებას“. ამ ამბავმა აუწერელ გააფთრებამდე მიიყვანა ხალილ-ბეი, რომელმაც 48 საათით ადრე ჩხენკელის სახელზე ოტომანთა ახალი ულტიმატუმი გაგზავნა. ულტიმატუმის შინაარსი შეიცავდა 14 მაისს თურქების მიერ გახშიანებული ყველა პირობის საქართველოს მიერ სამი დღის ვადაში უსიტყვოდ მიღების მოთხოვნას, ასევე ახალ მოთხოვნას თურქეთისთვის ნახჭევანის მაზრის გადაცემაზე.³⁰⁴

გერმანია-საქართველოს შეთანხმება, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ფოთის ხელშეკრულება, შეიცავდა ხუთ თავს (მუხლს). I თავის შესაბამისად საქართველო ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებს გერმანია-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის საფუძვლად. II თავის თანახმად საქართველო გერმანიის იმპერიის მთავრობას აძლევდა საქართველოს რკინიგზის გამოყენების უფლებას ჯარების გადასაცემად და სამხედრო ტექნიკის გადასატანად მსოფლიო ომის სრულდამთავრებამდე. ამ ამოცანის რეალიზაციისთვის განზრახული იყო სანავსადგურო ქალაქ ფოთში სპეციალური სარკინიგზო კომისიის შექმნა გერმანელების ხელმძღვანელობით, ასევე რკინიგზის ყველა სადგურზე გერმანული გარნიზონის ყოფნა. III და IV თავები შეიცავდნენ ინფორმაციას დიპლომატიური და საკონსულო წარდგინების შესახებ. ბოლოს, დასკვნითი თავი ითვალისწინებდა უახლოეს მომავალში ახლანდელი დათქმული შეთანხმების შეცვლას ახალი, უფრო ყველაფრის მომცველი ხელშეკრულებით.

ფოთის ხელშეკრულების ძირითადი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის გერმანიის იმპერიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის ფაქტიური აქტი, ასევე ოტომანური

³⁰⁴ Авалов, стр. 61.

თურქეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებს გარეთ გავრცელებული ნებისმიერი პრეტენზიის ბარიერი იყო.³⁰⁵

აქ მართებულია ზურაბ ავალოვის აზრის ციტირება, რომელიც ფოთის ხელშეკრულების ერთ-ერთი წამყვანი „არქიტექტორი“ იყო:

„უკანასკნელის [შეთანხმების] წყალობით მან [საქართველომ] თავი დააღწია მასზე დამუქრებული თურქული ოკუპაციის ტვირთს და არავის, გერმანიის გარდა, ამის მოცემა არ შეეძლო, ყოველ შემთხვევაში 1918 წლის გაზაფხულზე. იმავე დროს გერმანია აღმოჩნდა, და მხოლოდ მას შეეძლო მოცემულ მომენტში ამ როლის შესრულება, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნათლია. მისი წყალობით ამ საკითხმა საერთაშორისო მნიშვნელობა მიიღო.“³⁰⁶

იმავე დღეს ფოთში ხელი მოაწერეს რამდენიმე დამატებით კონვენციას, რომლებიც ეხებოდნენ საქართველოში გერმანული ვალუტის თავისუფალ მიმოქცევას, გერმანიის უფლებას საქართველოს ნავსადგურებში მდგომ ყველა გემზე, გერმანული კომპანიების დაშვებას საქართველოს ბუნებრივ რესურსებზე და რიგ სხვა ეკონომიკურ საკითხებს.³⁰⁷ ხელი მოეწერა ასევე ეთნიკური გერმანელების, ვისი წინაპრებიც საქართველოში მე-19-ე საუკუნის დასაწყისში გადმოსახლდნენ, უფლებების მარეგულირებელ განსაკუთრებულ შეთანხმებას.³⁰⁸

ხელშეკრულებისა და დამატებითი შეთანხმებებისა და კონვენციების ხელმოწერის შემდეგ ფონ ლოსოვმა მაშინვე დატოვა ფოთი „მინა ჰორნზე“ და გაემართა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ რუმინულ ნავსადგურ კონსტანცაში, რომ იქიდან უმოკლეს ვადაში ბერლინში ჩასულიყო. ამ ვოიაჟში მას თან ახლდა საქართველოს ფრიად წარმომადგენ-

³⁰⁵ Авалов, стр. 65-66.

Kazemzadeh, pp. 122-123.

³⁰⁶ Авалов, *Op. cit.*, стр. 68.

³⁰⁷ Авалов, *Op. cit.*, стр. 66-67.

R. G. Hovannissian, *Armenia on the Road to Independence* (Los Angeles, 1969), p. 189.

Kazemzadeh, *Op.cit.*, p.123

³⁰⁸ Авалов, стр. 67.

ლობითი სამთავრობო დელეგაცია, რომელშიც აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალოვი და ნიკო ნიკოლაძე შედიოდნენ. ქართული დელეგაციის გერმანიაში წასვლის მიზანი ახალი ორმხრივი ხელშეკრულების განხილვა და ხელმოწერა იყო.³⁰⁹

საქართველოდან გამგზავრების წინ ფონ ლოსოვმა ტფილისში საქართველოს მთავრობას გაუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავდა მნიშვნელოვან დაპირებას, რაც ეხებოდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის მხარდაჭერას რუსეთის იმპერიის ძველი ადმინისტრაციული ერთეულების – ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ფარგლებში, ორი სადავო ოკრუგის – სოხუმის (აფხაზეთი) და ზაქათალის (საინგილო) ჩათვლით.³¹⁰ კერძოდ, სოხუმის ოკრუგის თაობაზე გაკეთებული იყო შემდეგი დაზუსტება:

„სოხუმის ოკრუგი (გაგრის ჩათვლით)³¹¹ საქართველოს ნაწილს წარმოადგენს მანამდე, სანამ საქართველო ჩამოაყალიბებს სახელმწიფოს კავკასიის ფარგლებში. საქართველოს მონაწილეობით კავკასიის ხალხების კონფედერაციის ჩამოყალიბების შემთხვევაში კი სოხუმის ოკრუგის მოსახლეობას კავკასიის ქვეყნებს შორის მისი მდგომარეობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა უნდა მიეცეს.

სხვა სიტყვებით, აფხაზეთის მოსახლეობას ამ შემთხვევაში ექნებოდა არჩევანი საქართველოსთან შეერთებას, მთიელ ხალხთა კავშირში შესვლას ან განსაკუთრებულ სახელმწიფო-

³⁰⁹ ამ ხელშეკრულებას ხელი ვეღარ მოეწერა 1918 წლის შემოდგომაზე გერმანიის კაპიტულაციის მიზეზით.

³¹⁰ Авалов, стр. 68.

Hovannissian, p. 189.

Kazemzadeh, p. 123.

³¹¹ გაგრა ზემოთ მოყვანილ ტექსტში სრულიადაც არაა შემთხვევით წინასწარ განსაკუთრებულად შეთანხმებული. 1883 წლიდან ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგის ნაწილი პატარა ქალაქი გაგრა თავისი შემოგარენით 1903 წელს შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს მიუერთდა, რამაც ქართველი საზოგადოებრიობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ 1917 წლის 7 დეკემბერს დროებითი მთავრობის დეკრეტით ადმინისტრაციულ საზღვარს ორ სანაპირო ოკრუგს შორის კორექტირება გაუკეთდა ქუთაისის გუბერნიის სასარგებლოდ, რომლის შემადგენლობაში კვლავ შევიდა ქალაქი გაგრა. ორ ოკრუგს შორის ახალი გამოიჯვნა ახლა მდინარე მზიმთაზე გადიოდა.

კანტონად კავკასიის კონფედერაციაში მონაწილეობას შორის³¹²

ფოთში მოლაპარაკებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არა მხოლოდ ახლად გაჩენილი დამოუკიდებელი საქართველოს დაცვის საქმეში, არამედ იმის გადარჩენის საქმეში, რაც ჯერ კიდევ იყო დარჩენილი სომხეთისგან. 28 მაისს სომხეთის ორი წარმომადგენელი – ამაზასპ ოგანჯანიანი და არშაკ ზოგრაბიანი ფოთში ჩამოვიდნენ მოლაპარაკების ჩასატარებლად ფონ ლოსოვთან, რომელიც სომეხი ხალხისადმი თავისი სიმპატიით იყო ცნობილი. იმ დღეს სომხეთის ტრაგედიაზე იმსჯელეს გემ „მინა ჰორნზე“ და ფონ ლოსოვმა სრული თანხმობა გამოხატა ქართველი დელეგატებისადმი, რომლებმაც მას გერმანია-საქართველოს შეთანხმების ხელმოწერის დროს უთხრეს, რომ სომხების უფლების დაცვა არსებობაზე „ღირსების საკითხია გერმანიისთვის“.³¹³

მაგრამ ნახევრად განადგურებული სომხეთის დაცვა ადვილი ამოცანა არ იყო. როგორც რიჩარდ ოვანისიანი წერდა, „შემოსევისგან გაჩანაგებულ, ლტოლვილების უზარმაზარი რაოდენობისგან სულშეხუთულ სომხეთს, რომელსაც მოსაპოვებლად მზა არავითარი ბუნებრივი რესურსები არ გააჩნდა, არ შეეძლო თვალის დახამხამებაში მიეღო გერმანიის გარანტირებული დაცვა, მაგრამ მაინც ბერლინში რაღაცის მიღება შეიძლებოდა“.³¹⁴ როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, ეს „რაღაც“ მიიღეს: ფოთში ოგანჯანიანმა და ზოგრაბიანმა გემ „მინა ჰორნზე“ ფონ ლოსოვთან ერთად გერმანიაში გამგზავრების მიწვევა მიიღეს იმისთვის, რომ გერმანია-სომხეთის მოლაპარაკება ბერლინში გაგრძელებულიყო. იმავდროულად გენერალი ერიხ ფონ ლიუდენდორფი ენვერ-ფაშას ბომბავდა დეპეშებით, რომლებშიც მოითხოვდა, რომ ერივანის გუბერნიაში ბრძოლებით უკვე გამოფიტულ ოტომანურ არმიებს შეეწყვიტათ კავკასიაში წინ წაწევა და ჩრდილოეთ სპარსეთში ინგლისელებთან ბრძოლაზე კონცენტრირებულიყვნენ.³¹⁵

³¹² Зураб Авалов, *Независимость Грузии в международной политике 1918-1921* (Париж, 1924), с. 68-69.

³¹³ Авалов, *цит. тр.*, стр.63.

I.W. Charney, *The Widening Circle of Genocide* (New York, 1994), p. 123.

³¹⁴ Hovannissian, p. 189.

³¹⁵ Hovannissian, *Op.cit.* Ludendorff, p. 620.

ამასობაში, 1918 წლის მაისის დასასრულს – ივნისის დასაწყისში გერმანიის ჯარებმა ყირიმიდან, უკრაინიდან და სირიიდან სამხრეთ კავკასიაში შემოსვლა დაიწყეს. კავკასიის საექსპედიციო კორპუსს მეთაურობდა გენერალ-მაიორი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი. მის ხელქვეით იყო 3000 გერმანელი კადრის ოფიცერი და ჯარისკაცი ბავარიის მე-7-ე ცხენოსანი ბრიგადის, 29-ე ბავარიული ქვეითი პოლკის (მე-7-ე და მე-9-ე ეგერული ბატალიონები), მე-10-ე დამრტყმელი ბატალიონის, ტყვიამფრქვევის ერთი ბრიგადისა და 176-ე მორტირის³¹⁶ ასეულის შემადგენლობაში.³¹⁷ ამის გარდა ფონ კრესენშტაინმა შეძლო საქართველოში მყოფი ყველა გერმანელი და ავსტრიელი სამხედრო ტყვის, ასევე ტფილისიდან და რამდენიმე გერმანული სოფლიდან, როგორც იყო ელიზაბეთთალი, ტრაუბენბერგი და მარიენფელდი,³¹⁸ ადგილობრივი გერმანელების, ისე როგორც გერმანული ეროვნებისა და გერმანული წარმოშობის ყველა სხვა მამაკაცის, რომელთა მიგნებაც შეძლო, გარკვეული რაოდენობის მობილიზება და შეიარაღება.³¹⁹ მთელ ქვეყანაში თხელ ფენად განფენილი გერმანული ჯარი კონცენტრირებული იყო თურქეთ-საქართველოს ახალი საზღვრის გაყოლებით, ასევე ძირითადი სარკინიგზო კვანძებისა და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების გარშემო.

10 ივნისს სადგურ სანაინის ახლოს გერმანულ-ქართულ რაზმებსა და ოტომანთა მე-9-ე კავკასიური დივიზიის ნაწილებს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება, რომლის შედეგადაც არიდებული იქნა თურქების მიერ ყველა ხელმოწერილი მოლა-

³¹⁶ მორტირა - მოკლელულიანი საარტილერიო ქვემეხი.

³¹⁷ E. J. Erickson, *Ordered to Die: a history of the Ottoman army in the first World War* (Westport, 2000), p. 245.

³¹⁸ ელიზაბეთთალი („ელიზაბეთის ველი“), **ასურეთი** – სოფელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.

ტრაუბენბერგი („ყურძნის მთა“; 1944 წლამდე), **თამარისი** – სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში.

მარიენფელდი („მარიამის დაბლობი“) – გერმანული დასახლება სართიჭალის მახლობლად.

³¹⁹ Allen, Muratoff, p. 469.

Erickson, p. 233.

Кадишев, стр. 66.

D.M. Lang, *A Modern History of Georgia* (London, 1962), p. 207-208.

პარაკების დარღვევით ბორჩალოს მაზრის ხელში ჩაგდების წა-
მოწყობული მცდელობა. ოთხმაგი კავშირის ორ დიდ სახელმწიფოს
შორის ამ სისხლისმღვრელმა კონფლიქტმა თურქეთისთვის
ყოველგვარი მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ გერმანიის გენშტაბის
მკაცრ გაფრთხილებასთან კომბინაციაში ბოლო მოუღო
საქართველოსა და სომხეთის წინააღმდეგ ოტომანთა იმპერიის
ყველა მტრულ მოქმედებას.³²⁰

ამგვარად, გაზვიადებული არ უნდა იყოს მტკიცება, რომ 1918
წლის აპრილ-მაისში ორი ახალგაზრდა დემოკრატიის – სა-
ქართველოსა და სომხეთის მიერ მოპოვებულმა მოკრძალებულმა
სამხედრო გამარჯვებებმა გერმანიის იმპერიის მხრიდან სერი-
ოზულ დიპლომატიურ მხარდაჭერასთან შეთავსებით კავკასიას
თავიდან ააცილეს თურქების მიერ სრული ანექსია და რეგიონის
ქრისტიანი მოსახლეობა ჰოლოკოსტისგან გადაარჩინეს.³²¹



*გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი (პირველი მარცხნივ)
ქართველი და გერმანელი ოფიცრების ჯგუფთან (1918 წლის
ივნისი)*

საქართველოს არასაიმედო ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების
რუსეთის მხრიდან (როგორც „წითლების“, ისე „თეთრების“) დაცვის
მიზნით აფხაზეთში (ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგში) და

³²⁰ Allen, Muratoff, pp.477-478.

³²¹ Kazemzadeh, pp.113-115.

შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგში 1918 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე სოხუმში, ოჩამჩირეში და ადღერში დისლოცირებული იყვნენ მცირე გერმანული გარნიზონები.³²² ამ რეგიონში საქართველოს სუვერენიტეტისადმი მუდმივი მუქარის გამო სრული საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მიუხედავად გერმანელები პირდაპირი საბრძოლო შეჯახებებისგან თავშეკავებას ამჯობინებდნენ ამავე წლის ნოემბერში თავის ევაკუაციამდე.³²³ ამავე დროს, კაზემზადეს თვალსაზრისით სწორედ აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებში გერმანიის სამხედრო ყოფნის გამო ანტიბოლშევიკურმა რუსულმა მოხალისეთა არმიამ ვერ გაბედა სოჭის ოკრუგში *Status Quo*-ს დარღვევა და მხოლოდ პირველ მსოფლიო ომის ბოლოს გერმანიის კაპიტულაციისა და საქართველოდან გერმანული ჯარების სრული ევაკუაციის შემდეგ დენიკინელებმა გაბედეს აგრესიული მოქმედებების განახლება მდინარე ჩუხუკტის აღმოსავლეთით.³²⁴

1918 წლის დამატებითი ხელშეკრულება

ფოთის ხელშეკრულების ხელმოწერილი მუხლების გარდა არსებობდნენ მაღალი თანამდებობის გერმანელი დიპლომატების მიერ საქართველოსთვის მიცემული ზეპირი დაპირებები. სწორედ ამ დაპირებების შესასრულებლად გერმანიის იმპერიის მთავრობამ მნიშვნელოვანი ძალა იხმარა იმისთვის, რომ ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისთვის მიეღწია. მის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი 1918 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილი და იმავე წლის 6 სექტემბერს ბერლინში

³²² W. Allen and P. Muratoff, *Caucasian Battlefields: A History of the Wars on The Turco-Caucasian Border* (Nashville, 1999) p.477.

R. Novannisian, *Armenia on the Road to Independence 1918* (Los Angeles, 1969), pp.188-189.

Деникин, стр.238-239.

Кадишев, стр. 65-66.

³²³ კრეს ფონ კრესენშტაინი, სხვათაშორის, ახსენებდა აფხაზეთში გერმანელების საიერიშო ასეულის მონაწილეობას თურქული დესანტის განადგურების ოპერაციაში. თუმცა წინასწარ ითქვა, რომ ამ ოპერაციის მსვლელობაში გერმანელები თავიანთი ფორმალური მოკავშირეების დაოკებას უფრო სიტყვით ამჯობინებდნენ, ვიდრე იარაღის ძალით. (იხ.: Kress von Kressenstein, *Meine Mission im Kaukasus*, s. 31).

³²⁴ F. Kazemzadeh, *The Struggle for Transcaucasia* (New York, 1951), p. 236.

რატიფიცირებული რუსეთ-გერმანიის დამატებითი ხელშეკრულების მუხ. 13 გახდა. მუხ. 13 იუწყებოდა:

*რუსეთი თავის თანხმობას აცხადებს იმაზე, რომ გერმანია ცნობს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად.*³²⁵

თავისთავად იგულისხმება, რომ მოცემული ფრაზის აღქმა არ შეიძლებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის შეიძლება ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯად ჩავთვალოთ. თავის მხრივ დამატებითი ხელშეკრულების ხელმოწერით გერმანიის იმპერიამ თავის თავზე აიღო ვალდებულება, არ დაემუხაბა გუნერნიაში ოტომანთა შემდგომი ექსპანსია, რაც ზემოხსენებული ხელშეკრულების მუხ. 14-ით იყო დათქმული.³²⁶

1918 წლის 3 ოქტომბერი: ახალი ხელშეკრულება მომზადებულია, მაგრამ...

1918 წ. აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში საქართველოს დელეგაცია გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად ბერლინში მუშაობდა გერმანია-საქართველოს ახალი ხელშეკრულების ტექსტზე, რომელიც ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო ახლო დამოკიდებულების დამყარებაზე იყო მიმართული. 3 დეკემბერს დილით ხელშეკრულება მზად იყო ხელმოსაწერად, მაგრამ სწორედ ამ დღეს გერმანიის მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგა, იმპერიის გარდაუვალი კრახის გამო. რამდენიმე კვირის შემდეგ გერმანიის რევოლუციამ და მოკავშირეთა წინაშე იმპერიის კაპიტულაციამ ორმხრივი ხელშეკრულების გეგმა მთლიანად არააქტუალური გახდა.³²⁷

³²⁵ Е. Ключников и А. Сабанин, *Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях*, Т. 2 (Москва, 1926), стр. 165. *Texts of the Russian "Peace"* (Washington, 1918), p. 187.

³²⁶ А. Громько (Ред.), *История внешней политики СССР 1917-19*, Т. 1 (Москва, 1980), стр.85-89. Ключников, Сабанин, стр. 165. *Texts of the Russian "Peace"*, pp.187-188.

³²⁷ Авалов, стр. 124-128.



ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი



გენერალი ოტო ჰერმან ფონ ლოსოვი



საქართველოს დროშა (1918 წ. 26 მაისი)



აზერბაიჯანის დროშა (1918 წ. 28 მაისი)



სომხეთის დროშა (1918 წ. 01 აგვისტო)




ნოე ჟორდანია



საქართველოს გერბი (1918 წ. მაისი)

GEORGIA IN THE AFTERMATH OF THE TREATY OF POTI (28.V.1918)

- Former Russian territory assigned to Turkey as per the Treaty of Brest-Litovsk
- National border as per the Treaty of Brest-Litovsk (March 3, 1918)
- Territory of Georgia in the aftermath of the Agreement of Poti (May 28, 1918)
- Territory claimed by Georgia in the Black Sea province
- National border as of 1914
- Border of province / territory
- National border, as of 2018





გერმანული ჯარი ტფილისში (1918 წ.)



გენერალი ფრიდრიხ
კრეს ფონ კრესენშტაინი



თამარ მეფის ორდენი,
რომლითაც გერმანელ და
ქართველ სამხედროებს
აჯილდოებდნენ



გერმანული და ქართული ჯარები ლორეში (1918 წ.)



გენერალი ახელ (ბალო)
მაყაშვილი



გენერალი ანდრანიკ
ოზანიანი



გენერალი მოვსეს
სილიკოვი (სილიკიანი)



გენერალი დრო
(დრასტამატ კანაიანი)

ბათუმის ხელშეკრულება: ზავი ტერიტორიის სანაცვლოდ

ოტომანთა ულტიმატუმის მიღება

როგორც წინა თავში ნათქვამიდან ჩანს, ფოთის გერმანია-საქართველოს ხელშეკრულებას ხელი თურქების მიერ ამიერკავკასიის მთავრობისადმი წაყენებული ულტიმატუმის ვადის გასვლამდე ერთი დღე-ღამით ადრე მოაწერეს. ამის მიუხედავად ფინალური მოლაპარაკება ბათუმში ქართულ და სომხურ დელეგაციებზე ხალილ-ბეის ძლიერი ზეწოლით აღინიშნა. იმის იმედით, თუნდაც როგორღაც მაინც შეერბილებინათ ოტომანთა იმპერიის მოთხოვნები, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებმა მოაგონეს ხალილს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობა, ისევე როგორც თვით დაშლილი ფედერაცია, აღარ არსებობს. ამაზე პასუხი მოკლე და უკომპრომისო იყო. ხალილ-ბეიმ ამიერკავკასიის სამივე ახალი სახელმწიფოსგან თავისი ულტიმატუმის პირობების უსიტყვოდ შესრულება მოითხოვა და ხაზი გაუსვა, რომ მისი მთავრობის მიერ ულტიმატუმში მოცემული ყველა მოთხოვნა ძალაში რჩება, რადგან ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლას რეგიონში საერთო საომარი გარემოების რაიმე ცვლილება არ მოჰყოლია.³²⁸ მიიღეს რა მხედველობაში იმ მომენტისთვის თურქეთის სამხედრო უპირატესობა (თუმცა დამარცხებების სერიის შედეგად დაქვეითებული) და გერმანიის ჩარევის შეზღუდული შესაძლებლობები, საქართველოსა და სომხეთის დელეგაციებს მეტი აღარაფერი დარჩენოდათ, თურქების ყველა პირობის მიღებისა და ამგვარად ტერიტორიების სანაცვლოდ ზავის ყიდვის გარდა.

ხელშეკრულების ხელმოწერა

ქართველ და სომეხ წარმომადგენლებთან დასკვნითი შეხვედრების მსვლელობაში ხალილ-ბეიმ ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-

³²⁸ Hovannissian, p. 194.
Kazemzadeh, p. 125.

შეკრულების პირობებთან შესაბამისად აღდგენილი რუსეთ-თურქეთის 1877 წლის საზღვრების ფარგლებს იქით ტერიტორიებზე თურქეთის ახალი უფლებების მოთხოვნის გაჩენაში თვით ქართველები და სომხები დაადანაშაულა. ის ხაზს უსვამდა, რომ ქართველებსა და სომხებს არ უნდა შეეწყვიტათ მოლაპარაკებები ტრაპიზონში, და კიდევ უფრო ზუსტად, არ უნდა ჰქონოდათ თურქების არმიისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის მცდელობა.³²⁹ თავის მოხსენებაში ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბალკანეთისა და ჩრდილო აფრიკის დაკარგვის შემდეგ თურქეთის ინტერესების სფეროს აღმოსავლეთით – აზერბაიჯანის, დაღესტნისა და თურქესტანის (შუა აზიის) მიმართულებით გადანაცვლება მოხდა. ამის გამო ოტომანთა იმპერიისთვის აუცილებელია ტფილისისა და ერივანის გუბერნიებზე „ორი ფართო გასასვლელი“, რომლებიც თურქების არმიას კასპიის ზღვისკენ და კიდევ იქით თავისუფლად გადაადგილების საშუალებას მისცემდნენ³³⁰ საბოლოოდ 1918 წლის 4 ივნისს ხელი მოაწერეს „ხელშეკრულებას ზავსა და მეგობრობაზე“ ოტომანთა იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის, თურქეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ხალილ-ბეიმ და ვეჰიბ-ფაშამ, საქართველოს მხრიდან კი – ნოე რამიშვილმა. ილია ოდიშელიძემ და საქართველოს მთავრობის კიდევ ორმა წარმომადგენელმა.

ხელშეკრულება შედგებოდა ცამეტი მუხლისა და სამი დანართისგან. მუხ. II იძლეოდა ოტომანთა იმპერიასა და სამხრეთ კავკასიის სამ ახალ სახელმწიფოს შორის ახალი საზღვრის დეტალურ აღწერას. ახალი საზღვრის ქართულ-თურქული მონაკვეთი თითქმის 1829 წლის ადრიანოპოლის ხელშეკრულების დადებამდე არსებული რუსეთ-თურქეთის საზღვრის იდენტური იყო. თურქეთს უსზრუნდებოდა არა მხოლოდ ბათუმისა და არტაანის სანჯაყები (ბათუმის ოლქი და ორი ოკრუგი – არტაანისა და ოლთისის), არამედ ასევე ტფილისის გუბერნიის ორი მაზრა – მთლიანად ახალქალაქის და თითქმის მთლიანად ახალციხის. საქართველო ამ დროს კარგავდა თავისი ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს, მთლიანად აჭარის, ტაოს, ჯავახეთისა და მესხეთის დიდი ნაწილის ჩათვლით. თუმცა ბრესტ-

³²⁹ Kazemzadeh, *op.cit.*

³³⁰ Hovannissian, p. 195.

ლიტოვსკის ხაზის ჩრდილოეთით თურქეთ-ამიერკავკასიის ომის უკანასკნელ ბრძოლებში ქართველების რამდენიმე გამარჯვების შედეგად, ერთგვარად გერმანიის მხარდაჭერითაც საქართველომ მიიღო მოკრძალებული ტერიტორიული დათმობა ახალციხის მაზრაში: მას დაუტოვეს სოფლები აბასთუმანი და აწყური. მუხ. III-ში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის საზღვრების აღწერა ხელშეკრულების ტექსტში მოგვიანებით იქნება ჩართული. მუხ. IV შეიცავდა ორივე მხარის ვალდებულებას, არ დაემშავთ თავის ტერიტორიაზე არანაირი შეიარაღებული ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც ნებისმიერი ორივე მხარის უსაფრთხოების დამუქრებას შეძლებდნენ. მუხ. V ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში ქართულ ნავსადგურებში მყოფი რუსი სამხედრო გემების, ისე როგორც ოტომანთა იმპერიასთან ომის მდგომარეობაში მყოფი სხვა ქვეყნების სამხედრო გემების განიარაღებისა და ინტერნირების ბრძანებას იძლეოდა. მუხ. VI წინასწარ ათანხმებდა საქართველოს მუსლიმანური რელიგიური უმცირესობის უფლებებს. მუხლები VII, VIII, IX და X ფარავდნენ სხვადასხვა ეკონომიკურ, სატრანსპორტო, იურიდიულ და საკონსულო საკითხებს. მუხ. XI ამტკიცებდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ამ შემთხვევაში გამოყენებული ყველა მუხლის ნამდვილობას, რომლებიც კონფლიქტში არ იმყოფებოდნენ ახლანდელი მოლაპარაკების პირობებთან. მუხ. XII იძლეოდა ორივე მხრის ყველა ჯარის, რომლებიც მუხ. II-ით დადგენილი სადემარკაციო ხაზის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდნენ, დაუყოვნებლივი გაყვანის ბრძანებას. ბოლოს, ხელმოსაწერი ხელშეკრულების მუხ. XIII ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ მისი რატიფიკაციის შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლში უნდა ჩატარდეს. ორივე პარტიის მიერ ცალკე ხელმოწერილი სამი დანართი შეიცავდნენ რეგულაციებს ორმხრივი ვაჭრობისა და ნავიგაციის თაობაზე (დანართი I), საზღვრისპირა ზონების სპეციალურ პრივილეგიებსა და ქართველი მუსლიმანების რელიგიური ცხოვრების დეტალებს.³³¹

³³¹ Авалов, стр. 94-95;

Документы по внешней политике Закавказья и Грузии (Тифлиси, 1919), стр. 343-357;

Georgian National Historic Archive, fund 1864, inv. 2, doc. 3.

Kazemzadeh, p. 126.

მშვიდობა ტერიტორიების სანაცვლოდ

ბათუმის ხელშეკრულების პირობები საკმაოდ მძიმე იყო საქართველოსთვის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ის ოტომანთა იმპერიის მიერ იყო ხელმოწერილი, დიდი ხნის ნანატრი მშვიდობის იმედს იძლეოდა. ამის გარდა, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ხალილ-ბეის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობად თვით ეს დოკუმენტი შეიძლებოდა ჩათვლილიყო.³³² მაგრამ იმავე დღეს ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთდროულად ქართული დელეგაცია იძულებული იყო ხელი მოეწერა კიდევ „დროებით დამატებით შეთანხმებაზე“, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვნად უფრო მძიმე იყო, ვიდრე თვით ხელშეკრულება. ეს დამატებითი შეთანხმება შედგებოდა ექვსი მუხლისა და ერთი დანართისგან. მუხ. I ფაქტიურად საქართველოს შეუიარაღებელს ტოვებდა: მისი შეიარაღებული ძალები ექვემდებარებოდნენ იმ ზომამდე შეკვეცას, რომელიც ოტომანთა მთავრობას უნდა განესაზღვრა. მუხ. II მოითხოვდა საქართველოდან ოტომანთა იმპერიასთან ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ყველა სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლის გამეგებას. მუხ. III დათქვამდა საქართველოს რკინიგზაზე ფოთის ხელშეკრულების პირობების, რომელთა თანახმად ეს რკინიგზა უკვე გერმანიის განკარგულებაში იყო გადაცემული, დარღვევით თურქეთის დაშვებას. ეს მუხლი თურქეთს ასევე აძლევდა მისი ჯარის გამოყენების უფლებას საქართველოს რკინიგზის უსაფრთხოების გარანტიის მიზნით იმ შემთხვევაში, თუ საქართველო თავისი ძალებით ამის უზრუნველყოფისთვის უუნარო აღმოჩნდებოდა. მუხ. IV ოტომანთა მთავრობას თავის მოკავშირეებთან ერთად თურქეთისთვის მუხ. III-ით დაწესებული ყველა პრივილეგიის გაზიარების უფლებას აძლევდა. მუხ. V ისე როგორც დანართი, ფარავდა სხვადასხვა ასპექტებს, რაც საქართველოსა და თურქეთს შორის სამხედრო ტყვეების ურთიერთგაცვლას ეხებოდა. ბოლოს, მუხ. VI ამტკიცებდა, რომ დროებითი დამატებითი შეთანხმება, „ზავსა და მეგობრობაზე ხელშეკრულებისგან“ განსხვავებით, ხელმოწერის შემდეგ მამინვე შედიოდა ძალაში.³³³

³³² Авалов, стр. 94.

³³³ Авалов, стр. 95;

Документы по внешней политике, стр. 357-63;

იმავე დღეს იმავე ადგილზე ხელი მოეწერა მსგავს ხელშეკრულებებს ისეთივე დანართებით ოტომანთა იმპერიასა და სომხეთს შორის, ასევე ოტომანთა იმპერიასა და აზერბაიჯანს შორის. თურქეთ-სომხეთის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ოტომანთა მხრიდან ხალილ-ბეიმ და ვეჰიბ-ფაშამ, სომხეთის მხრიდან კი – ჰოვანეს კაჩაზუნიმ, ალექსანდრე ხატისოვმა და მიხეილ პაპაჯანოვმა. ეს „საზავო ხელშეკრულება“ სომხეთისთვის კიდევ უფრო მძიმე იყო, ვიდრე საქართველოსთვის. მისი პირობებით თურქეთი იღებდა ყოფილი რუსული სომხეთის მნიშვნელოვან ნაწილს ყარსის ოლქის, სურმალინის მაზრის, ნახჭევანის მაზრის დიდი ნაწილისა და ალექსანდროპოლის, ერევანის, ეჩმიადინისა და შარურ-დარალაგაზის მაზრების დასავლეთი ნაწილების ჩათვლით. გარდა ზემოთ აღნიშნული ტერიტორიული შენაძენებისა, ოტომანთა იმპერია ასევე იღებდა სრულ კონტროლს სტრატეგიულად მნიშვნელოვან რკინიგზაზე ალექსანდროპოლიდან ჯულფამდე, რაც იმპერიას ჩრდილოეთ სპარსეთის თიურქულენოვან რეგიონებთან პირდაპირ მისადგომს აძლევდა.³³⁴ სომხეთის რესპუბლიკა შეიკვცა მცირე ანკლავამდე არა უმეტეს 4000 კვ. მილის ფართობით ქალაქებს ერევანსა და ვადარშაპატს შორის და მოიცავდა ნოვობაიზეთის მაზრასა და ალექსანდროპოლის, ერევანის, ეჩმიადინისა და შარურ-დარალაგაზის მაზრების აღმოსავლეთ ნაწილებს. ამ ანკლავის მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 700.000 კაცს, 600.000 სომეხისა (მათ შორის ნახევარი ლტოლვილები იყვნენ) და 100.000 მუსლიმანის ჩათვლით.³³⁵ რაც შეეხება თურქეთ-აზერბაიჯანის ხელშეკრულებას, რომელსაც აზერბაიჯანის მხრიდან ხელი მოაწერეს მამედ ჰასან ჰაჯინსკიმ და მამედ ემინ რასულ-ზადემ, ატმოსფერო მისი ხელმოწერის გარშემო მშვენივრად გადმოსცა ფირუზ კაზემზადემ:

Kazemzadeh, pp. 126-127.

³³⁴ Авалов, стр. 96,

Kazemzadeh, p. 127.

³³⁵ Kazemzadeh, p. 144;

R. G. Hovannissian, *Armenia on the Road to Independence* (Los Angeles, 1969), pp. 195-201;

R. G. Hovannissian., *The Republic of Armenia, Vol. I: The First Year, 1918-1919*, (Berkeley, 1971), p. 37;

Кадишев, с. 95.

„ხელშეკრულებას თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის... წმინდად ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ფაქტიურად ორივე მხარე უკვე მოკავშირეები იყვნენ რაღაც დროის განმავლობაში. აზერბაიჯანს არაფერი არ დაუკარგავს, ამასთან ოტომანთა დახმარებით ბაქოს მიღების იმედი ჰქონდა. ახლა, როცა საქართველო და სომხეთი გზიდან ჩამოცილებული იყვნენ, თურქებსა და აზერბაიჯანელებს ერთობლივი ძალებით შეეძლოთ ნახტომი გაეკეთებინათ ამ ნავთობმომტანი ქალაქის მიმართულებით“.³³⁶

1918 წლის თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულება არ ცნეს არც ანტანტის ქვეყნებმა, არც გერმანიის იმპერიამ. მისი პირობები საბჭოთა რუსეთმაც უარყო. როგორც გერმანია, ისე რუსეთი ამჯობინებდნენ, დაჟინებით მოეთხოვათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მუხ. IV, რომლის შესაბამისადაც თურქეთს მხოლოდ ყარსისა და ბათუმის ოლქები ერგებოდა. უფრო მეტიც, ბათუმის ხელშეკრულება რატიფიცირებულიც არ იყო, თუმცა ეს მუხ. XIII-ით იყო დათქმული და, ამგვარად, არასდროს არ შესულა ძალაში. 1918 წლის ივნისის დასაწყისში უკვე საქართველოში მყოფმა გერმანულმა ჯარმა კი არაორაზროვნად გააკეთა სიმტკიცის დემონსტრაცია, არც ერთ ფორმაში არ დაუშვა თურქების კონტროლი საქართველოს რკინიგზაზე.³³⁷

საზავო ხელშეკრულება ხელმოწერილია, მაგრამ სადაა მშვიდობა?

ბრძოლა ზანგეზურის, ბაქოსა და ჩრდილოეთ სპარსეთისთვის

ბათუმის ხელშეკრულებამ კავკასიაში ვერ მოიტანა ვერც მშვიდობა, ვერც სტაბილურობა. თუმცა ერივანის გუბერნიაში, რომლის ნაწილიც სომხეთის რესპუბლიკა გახდა, საომარი მოქმედებები შეწყვიტეს, ომი სამხრეთ კავკასიის თითქმის ყველა სხვა ნაწილში გრძელდებოდა. არ წყდებოდა ბრძოლები ბაქოს გუბერნიაში, რომლის დიდმა ნაწილმა არ ცნო აზერბაიჯანის რესპუბლიკა. საბრძოლო მოქმედებებს ასევე აგრძელებდნენ ზანგეზურის მაზრასა და ჩრდილოეთ სპარსეთში, სადაც გენერალ ანდრანიკის, რომელმაც უარი თქვა თურქეთ-სომხეთის „საზავო“

³³⁶ Kazemzadeh, p. 127.

³³⁷ Квиниатадзе, стр. 39-40.

ხელშეკრულების ცნობაზე, სომხური რაზმები ანტანტის მხარეზე ბრძოლას აგრძელებდნენ. ზემოთ მითითებული ვითარების მხედველობაში მიღებით ოტომანთა სარდლობამ თავისი მთავრობისგან კარტ-ბლანში მიიღო კიდევ ერთი დერეფნის გაკვალვაზე აზერბაიჯანში, რომელიც ტერიტორიული ჩამოყალიბების პროცესის საწყის სტადიაში მყოფ რეგიონში ერთგვარად ვირტუალურ სახელმწიფოდ რჩებოდა. იმისთვის, რომ საბრძოლო მოქმედებების ახალი ასპარეზისკენ გასასვლელი უზრუნველყოთ, ოტომანთა სარდლობა ეს-ეს არის ხელმოწერილი საზავო მოლაპარაკების II და XII მუხლების დარღვევით დაჟინებით მოითხოვდა, რომ შეკვეცილ სომხეთსა და საქართველოს შორის განლაგებული ალექსანდროპოლის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილი თურქების ოკუპაციის ქვეშ დარჩენილიყო. იქიდან თურქების ჯარებმა წინწაწევა დაიწყეს ელიზავეტპოლის გუბერნიაში, რომელსაც აზერბაიჯანის მომავალი სახელმწიფოს საფუძვლად გახდომა მოელოდა.

ტფილისზე თურქეთის შეტევის გაგრძელება

ზემოთ აღწერილმა ახალმა თურქულმა გეგმამ, რომელსაც სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა პირადად აკონტროლებდა, უშუალო გავლენა მოახდინა არა მხოლოდ სომხეთზე, არამედ საქართველოზეც და კერძოდ ტფილისის გუბერნიაზე.³³⁸ ბათუმში თურქეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის სულ რამდენიმე დღის შემდეგ ოტომანთა სარდლობა დაჟინებით მოითხოვდა ბორჩალოს მაზრის ლორეს სექტორში მიწის დამატებითი ზოლის „თურქეთის მმართველობაში დროებით გადასვლას“. ლორეს სექტორის ნაჩვენები ნაწილი ემიჯნებოდა სტრატეგიულ შოსეს, რომელზედაც თურქების ჯარი უწყვეტ ნაკადად მიდიოდა ელიზავეტპოლის გუბერნიაში, სადაც ძლიერდებოდა პროთურქულ აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბოლშევიკებს, რომლებმაც ბაქოში ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, შორის შეიარაღებული ბრძოლის ესკალაცია. ქალაქებს ყარაქლისსა და დილეჟანს შორის ამ გზის მონაკვეთი ისე ახლოს იყო საქართველოს დაქვემდებარებულ ტფილისის გუბერნიასთან,

³³⁸ D. Fromkin, *A Peace to End All Peace: The Fall of the Ottoman Empire and the Creation of the Modern Middle East* (New York, 2010), pp. 385-386.

რომ თურქ მეთაურთა აზრით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ამ საზღვრის ჩრდილოეთით გადაწევა. ბათუმის ხელშეკრულების პირობების მორიგი დარღვევის საბაზად საქართველოს ტერიტორიიდან ვინმე სომეხი პარტიზანების, რომლებიც თურქებთან ბოლომდე ბრძოლას აპირებდნენ, შესაძლო თავდასხმების საშიშროება მოყავდათ. ამასთან ნაჩვენები „საზღვრის კორექტირება“, ლორეს სექტორის ვიწრო ზოლის თურქების მიერ ოკუპაციაც ოტომანთა სარდლობის მიერ წარმოდგენილი იყო, როგორც „განსაკუთრებულად დროებითი ზომა“.

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი საქართველოს სამთავრობო დოკუმენტიდან, რომელიც აღწერილი მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, შეიცავს იმის დაწვრილებით აღწერას, რა ხდებოდა საქართველო-სომხეთის საზღვარზე მაშინვე ბათუმის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ:

„ამასობაში თურქეთის მხრიდან საქართველოს მთავრობისადმი წარმოდგენილი იქნა 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების II მუხლის დადგენილებიგან დროებითი გადახვევის დაშვებისა და თურქეთის ჯარისთვის მდინარე კამენკაზე³³⁹ და რკინიგზის ხაზზე ხიდიდან (117 ვერსზე) სამხრეთით ქობერის გასაყარსა და სადგურ კალაგერანს³⁴⁰ შორის ბორჩალოს მაზრის ნაწილის დროებით დაკავების მოთხოვნა. ეს ღონისძიება თურქების სარდლობისთვის საჭირო იყო მათ მიერ წამოწყებული ყარაქლის-დილეჯან-ყაზახის შოსეზე ჯარების გადაადგილების გამო, ამ გადაადგილების შეუფერხებელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თურქების სარდლობის დაჟინებულ თხოვნას მხარი დაუჭირა გერმანიის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა ტფილისში და საქართველოს მთავრობა ამის დაკმაყოფილების აუცილებლობისა და ტფილისის გუბერნიის მთელი ტერიტორიებისა და სადგურ შალალის

³³⁹ **ძორაგეტი** (სომხ. „ხეობის მდინარე“) – მდინარე ჩრდილოეთ სომხეთში, ლორეს პროვინციაში.

³⁴⁰ სოფელი **ძორაგიული** (1978 წლამდე – **კალაგერანი**) მდებარეობს მდინარეების დებედასა და ძორაგეტის შესართავთან. სოფელში არის თბილისი-გიუმრის ხაზის რკინიგზის სადგური *თუმანიანი*.

იქით გვირავის შუაგულამდე რკინიგზის ხაზზე თავისი უფლების განცხადების დათმობის წინაშე დააყენეს. მას ზემოთ მითითებული ტერიტორიის თურქეთის მხრიდან დროებით ფაქტიურ მფლობელობაზე დათანხმება მოუწია.

ამ მედიებლობის საბაზით აღძრული მთელი რიგი სამხედრო მოქმედებების და თურქების სარდლობასთან მოლაპარაკებების შედეგად თურქების ჯარს მიეცა კამენკას მარჯვენა ნაპირზე ხაზის, კერძოდ სოფლების: ნოვოპოკროვკას³⁴¹, ჯელალ-ოღლის, ნიკოლაევკას,³⁴² გერგერის,³⁴³ ვართანლურის, კურთანის, დარ-ქენდის, და უფრო იქით ქობერისა და კლაგერანის სადგურებს შორის მანძილის შუაში ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის ალექსანდროპოლის შტოს 117-ე ვერსის ხიდიდან სოფლებამდე მარცამდე და ლორუტამდე ხაზის დაკავების უფლება. ამ ხაზის იქით მხარის თურქების ოკუპაციისგან დაცვა მოხერხდა და თურქების შეჭრისგან მისი დაფარვის მიზნით ის ქართველმა სამხედრო რაზმებმა დაიკავეს, რომელთა განლაგების პუნქტები იყო სოფლები ვორონცოვკა, ალექსანდროვკა,³⁴⁴ აიდარბეგი, მღართი, ქობერის გასაყარი, ქარინჯი და წათერი.³⁴⁵

ზემოთ მოყვანილ ციტატაში „მთელი რიგი სამხედრო მოქმედებების“ ქვეშ იგულისხმება თურქების ჯართან, რომელიც მოლაპარაკების მიუხედავად ყარაქლისის მხრიდან, ჩრდილოეთით, ტფილისის მიმართულებით შეტევას აგრძელებდა, ქართული და მათი მხარდამჭერი გერმანელი სამხედრო ნაწილების შეტაკებები, რასაც 1918 წლის ივნისში ჰქონდა ადგილი. ამ შეტაკებების შედეგად თურქები მდინარე კამენკაზე და წითელ ხიდთან შეაჩერეს.

³⁴¹ ახლანდელი ურასარი (სომხეთის გასაბჭოების შემდეგ – კუბიშივეო) – დაარსეს რუსებმა (არა მალაკუნებმა) XIX საუკუნეში.

³⁴² ახლანდელი ამრაკიცი (სომხეთის გასაბჭოების შემდეგ – კიროვი) – დაარსეს უკრაინელმა კაზაკებმა XIX საუკუნეში.

³⁴³ ახლანდელი პუშკინო.

³⁴⁴ სომხეთის გასაბჭოების შემდეგ – მაქსიმ გორკი, 1939 წლიდან სოფელი ბოვამორი.

³⁴⁵ *Из истории армяно-грузинских взаимоотношений*, стр.12-13.



წითელ ხიდთან ბრძოლაში დაღუპული გერმანელი ჯარისკაცების დასაფლავება

უფრო მეტიც, ამ შეტაკებებმა მძაფრი, თუმცა ხანმოკლე კონფლიქტი გამოიწვიეს პირველ მსოფლიო ომში უკვე დასუსტებულ მოკავშირეებს – კაიზერის გერმანიასა და ოტომანთა იმპერიას შორის.³⁴⁶ დოკუმენტში მითითებული სადემარკაციო ხაზი კი საქართველოს ფაქტიური საზღვარი გახდა ბათუმის ხელშეკრულების ხელმოწერასა და 1918 წლის ბოლოს ოტომანთა იმპერიის კაპიტულაციას შორის. თანაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს 1918 წლის გვიან შემოდგომამდე სომხეთთან უშუალო საზღვარი არ ჰქონდა, რადგან სადემარკაციო ხაზის სამხრეთით თურქების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია მდებარეობდა.

თურქების ინტერვენცია აფხაზეთში

ოტომანთა იმპერიის მხრიდან საზავო ხელშეკრულების სხვა დარღვევა მოხდა 27 ივნისს, როცა თურქების მცირე საექსპედიციო კორპუსი პოლკოვნიკ ჯამალბეგ მარსანის (მარშანის) მეთაურობით

³⁴⁶ Kazemzadeh, p. 155;
Квиниатадзе, стр. 39-40.

გადმოსხდა მდინარე კოდორის შესართავთან სოფელ ცქურგილის ახლოს აფხაზეთში (უფრო ზუსტად, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგში). ამ სადესანტო ოპერაციის დასრულებისას კოდორის ქვემო წელი ოკუპირებული აღმოჩნდა 1000 ქვეითის რაოდენობის თურქების კადრის ჯარის მიერ ოთხჯერ მეტი რაოდენობის პოტენციური მემზობეების შეიარაღებისთვის საკმარისი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტვირთით.³⁴⁷ ეს ოპერაცია ჩატარდა გენერალ ვეჰიბ ფაშას (რომელიც იმ დროს ოსმალთა არმიის აღმოსავლეთ ჯგუფს სარდლობდა) ბრძანებით, რაც კონსტანტინოპოლიდან იყო სანქცირებული.³⁴⁸ აფხაზეთში ამ დესანტის შემოჭრის ფორმალური საბაზი იყო საბჭოს რამდენიმე წევრის (ალექსანდრე შერვაშიძის,³⁴⁹ ტატაშ მარშანას, მეჯიტ ბაღაფშის, ომარ ემუხვარისა და ზოგიერთი მსხვილი მიწათმფლობელი თურქოფილის) მხრიდან ოტომანთა სარდლობის მისამართზე შესული მრავალჯერადი თხოვნა.³⁵⁰ შემდეგი დღის ბოლოს თურქული დესანტის მცდელობა, დაეკავებინათ აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი, ქართულმა გარნიზონმა მოიგერია.³⁵¹ შედეგად მარსანის დესანტის ნაწილმა კოდორის უბნის სიღრმეში დაიხია, იმ დროს კი მისი ძირითადი ძალები ზღვაში გავიდნენ და მთელი ივლისის განმავლობაში გადმოსხმის რამდენიმე მცდელობა ჰქონდათ პარტიზანული მოძრაობის გაშლის მცდელობით

³⁴⁷ Кадишев, стр. 68;

Кавказское слово, 5 октября 1918, Нр. 188.

³⁴⁸ F. Kress von Kressenstein, *Meine Mission im Kaukasus* (Berlin, 1943), ss. 18-19.

³⁴⁹ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის აზრით (გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი. გვ. 70) თავად ალექსანდრე შერვაშიძის მიმართვა თურქებისადმი პროვოცირებული იყო შეურაცხმყოფელი საქციელით მისი მისამართით ვალიკო ჯუღელის მხრიდან, რომლის განკარგულებაში 1918 წ. 9 მაისს თავადი თავისი რაზმით ბოლშევიკებთან ერთობლივად საბრძოლველად მოვიდა. ჯუღელმა განაცხადა, რომ „ქართულ დემოკრატიას არ ჭირდება აფხაზი ფეოდალები“, რის შემდეგაც შერვაშიძე თავის რაზმთან ერთად წავიდა. ეს თვით ჯუღელმა დაადასტურა თავის მოგონებებში (Джугели, Владимиръ. Тяжѣлый крѣсть: записки народогвардейца, Тифлисъ, 1920, с. 11)

³⁵⁰ *Грузия*, 7 сентября, 1918 г.

³⁵¹ Центральный гос. архив Абхазии, фонд И-39, оп.1, док.6, стр.7.

კოდორისა და სამურზაყანოს თემებში, სადაც სიმშვიდე იმავე წლის სექტემბრის შუა რიცხვებამდე დაირღვა.³⁵²

აქ სასურველია ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარის მიერ აღწერილი მოვლენების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის მოხსენიება. ასე, ზოგიერთ აფხაზ ისტორიკოსს (ბლაჟბა, ლაკობა) ზემოთ აღწერილი დესანტი წარმოუდგენიათ, როგორც „აფხაზთა ჯარის გადმოსხმა“ ან „მთიელთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოპერაცია“. ეს მიდგომა არასწორად წარმოიდგინება შემდეგ მიზეზთა ძალით:

- თვითადიარებული „მთიელთა მთავრობა“ თავს საქართველოს მოკავშირედ თვლიდა, სარგებლობდა მისი დახმარებითა და მხარდაჭერით. ეს აზრს უკარგავდა ნებისმიერ „მთიურ-ქართულ“ სამხედრო კონფრონტაციას.
- „მთის მთავრობას“ შავი ზღვის აუზში არ ჰყავდა და არც შეეძლო ჰყოლოდა შეიარაღებული ძალების არანაირი მსგავსება. პატარა რაზმები „მთიელთა რესპუბლიკის“ (არსებითად არავითარ რესპუბლიკას რომ არ წარმოადგენდა) დროშით მხოლოდ ჩეჩნეთისა და მთიანი დაღესტნის ნაწილში მოქმედებდნენ. ჩეჩნეთის დასავლეთით, ინგუშეთიდან დაწყებული, „მთიელთა მთავრობას“ არავინ არ ცნობდა.
- თუმცა ზოგიერთი მონაცემებით ცქურგილთან გადმოსხმული თურქული დესანტის პირადი შემადგენლობა ნაწილობრივ აფხაზი მუჰაჯირების³⁵³ შთამომავლებისგან იყო

³⁵² В. Джугели, *Тяжёлый крест* (Тифлис, 1920), стр. 65.

³⁵³ მუჰაჯირები [არაბ. – „გადასახლებულები“, არაბული სიტყვიდან „ჰიჯრა“ – „გადასახლება“. სანამ წინასწარმეტყველი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მედინელ მუსლიმანებს „ანსარებს“ („დამხმარენი“) უწოდებდნენ, მექადან გადასახლებულებს – „მუჰაჯირებს“. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ტერმინი ყველა გადასახლებულ მუსლიმანზე გავრცელდა (ნებისმიერი ქვეყნიდან)]. *მუჰაჯირობა* – მუსლიმანების მასობრივი გადასახლება მუსლიმანურ ქვეყანაში არამუსლიმანური ქვეყნიდან, სადაც მუსლიმანები უმცირესობაში არიან ან ასე მოხდა საომარი მოქმედების გამო (მაგ., მუსლიმანური ტერიტორიის ანექსია ქრისტიანული სახელმწიფოს მიერ) და არ სურთ რელიგიური უმცირესობის მდგომარეობას შეეგუონ. ოსმალეთის იმპერიაში კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის გადასახლებამ განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო

დაკომპლექტებული, თვითონ პოლკოვნიკი მარშანი კი თურქეთის აფხაზური დიასპორიდან იყო გამოსული (მისი წინაპრების გვარი მარშანია იყო), ეს ადამიანები ოტომანთა იმპერიის სამხედრო მოსამსახურენი იყვნენ, ატარებდნენ თურქულ ფორმას და არავითარი ოფიციალური დამოკიდებულება არ ჰქონდათ არც აფხაზეთთან, არც საერთოდ კავკასიასთან. შეიძლება დავუმატოთ, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ოტომანთა იმპერიის ოფიცერთა კორპუსი დაკომპლექტებული იყო ათასობით ადამიანით, რომლებსაც ალბანური, ჩერქეზული, ბოსნიური და პომაკური³⁵⁴ წარმომობა ჰქონდათ, ბევრმა მათგანმა გენერლის წოდებაც მიიღო. მაგრამ ეს ნებას არ გვაძლევს, მათ ხელქვეით თურქულ ჯარს ალბანური, ჩერქეზული ან პომაკური ვუწოდოთ.

ოტომანთა სარდლობა ნამდვილად შეეცადა კოდორის დესანტის „პირად ინიციატივად“ წარმოდგენას. გოტჰარდ იემშეკს გამოკვლევების შედეგების თანახმად პოლკოვნიკმა მარშანმა პირადად ოტომანთა მე-3-ე არმიის სარდლის ესათ ფაშასგან მიიღო სოხუმის ოკრუგის დაკავების ბრძანება.³⁵⁵ ეს ოპერაცია უნდა ჩატარებულიყო დესანტისა და შეიარაღებული ადგილობრივი აფხაზი მცხოვრებლების, რომელთა პროთურქულ ორიენტაციაში თავადმა შერვაშიძემ თურქების სარდლობა დაარწმუნა, ძალებით. აქ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ ოტომანთა იმპერიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 4 ივლისს ხელი მოეწერა ბათუმის საზავო ხელშეკრულებას, თურქებს უარი არ უთქვამთ შემდგომ ექსპანსიაზე, სარგებლობდნენ იმით, რომ ბათუმის ხელშეკრულების ტექსტში გარდა საქართველო-თურქეთის ახალი საზღვრისა, „შეკვეცილი“ საქართველოს არანაირი საზღვარი არ იყო აღნიშნული. ეს შავი ზღვიდან თურქეთის ექსპანსიის საშუალებას იძლეოდა. ამას გარდა თურქეთის სარდლობის ამოჩემებული მე-

კავკასიის ომის (1817-1864) უკანასკნელ წლებში და მის დამთავრების-თანავე 1865 წლიდან.

³⁵⁴ პომაკები – ყოფაში მიღებული მუსლიმან ბულგარელთა ძველი სახელწოდება, მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

³⁵⁵ G. Jäschke, “Der Turanismus der Jungtürken. Zur osmanischen Aussenpolitik im Weltkriege,” *Die Welt des Islams*, XXIII (bk 1-2, 1941), s.38.

თოდიკა იყო, სადემარკაციო ხაზის იქით მათი ჯარის წინწაწევა წარმოედგინათ, როგორც „ადგილობრივი ამბოხებული მუსლიმანების მოქმედება“ და თუმცა სოხუმის მიმართულემა ოტომანთა არმიის აღმოსავლეთის ჯგუფის სარდლობის თვალსაზრისით მეორეხარისხოვანი იყო (პრიორიტეტული იყო ბაქოს მიმართულემა), აფხაზეთის დაუფლების მცდელობა მათ მოიწონეს. მაგრამ აფხაზეთის რაიონის, რომელშიც მარსანის (მარშანის) რაზმები პარტიზანული ბრძოლის წარმართვას ცდილობდნენ, მოსახლეობამ თურქულ დესანტს მხარი არ დაუჭირა.


აფხაზეთში თურქების ინტერვენციის მთელი პერიოდის განმავლობაში გერმანელთა სარდლობამ მრავალჯერ გამოხატა აღშფოთებული პროტესტი ბრესტისა და ბათუმის ხელშეკრულებების შეუწყნარებელ დარღვევასთან დაკავშირებით. ამის საპასუხოდ ოფიციალური თურქეთი, სწორედ აფხაზეთში ინტერვენციის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი ენვერ-ფაშა, რომელსაც იმ დროს სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა, ცდილობდა, ცქურგილში დესანტი წარედგინა როგორც „აფხაზური“ ან „მთის“ კერძო ექსპედიცია.³⁵⁶


„სამუდამო საზღვრები არ არსებობენ“

თუ ამ თავში გადმოცემულ ყველა ფაქტს მხედველობაში მივიღებთ, ძნელია, არ დავეთანხმოთ ავალოვს, რომელიც ბათუმის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდანვე მას დროებითად, საქართველოზე ძალით თავსმოხვეულად თვლიდა და ევროპაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად ყოფნის დროს ერთი წუთით არ წყვეტდა მისი გაუქმებისთვის ბრძოლას.³⁵⁷ ოტომანთა იმპერიის სამხედრო დამარცხებებმა და 1918 წლის 30 ოქტომბერს მისმა კაპიტულაციამ ხაზი გადაუსვეს თურქების სამხედრო ძალის ქვეშ დადებულ ბათუმის „ხელშეკრულებას ზავსა და მეგობრობაზე“.


³⁵⁶ J. Pomiankowski, *Der Zusammenbruch des Ottomanischen Reiches* (Wien, 1928), s. 373.

³⁵⁷ Авалов, стр. 96-100.





SOUTH CAUCASUS IN THE AFTERMATH OF THE TREATY OF BATUM (4. VI. 1918)





საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა
(1918 წ. ივნისი)



ხალილ-ბეი

მუდროსის დაზავება: ახალი იმედები

თურქეთი ომიდან გამოსვლის გზებს ეძებს

1918 წლის შემოდგომით ოტომანთა იმპერია ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ თურქული არმიები ძლევამოსილად მიაბიჯებდნენ კავკასიაში, მაგრამ მეორე მხრივ გამალებით უარესდებოდა, გარდაუვალი კატასტროფის ნიშნებს იღებდა ოპერატიული ვითარება მესოპოტამიასა და სირიაში. ოტომანთა ჯარები უკან იხევდნენ, ანტანტის ძალები კი ნელა, მაგრამ დარწმუნებით მიიწევდნენ ალექსანდრეთს (ჰალეპი) და ნავთობმატარებელი მოსულისკენ. ბალკანეთშიც უკიდურესად საგანგაშო მდგომარეობა იყო: ბულგარეთი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიასთან თურქეთის მაკავშირებელი საიმედო რგოლი იყო, ასევე სრული კრახისა და კაპიტულაციის მიჯნაზე აღმოჩნდა. მოვლენების ასეთი მობრუნებისას აღმოსავლეთ თრაკია³⁵⁸ და კონსტანტინოპოლი ღია აღმოჩნდა ანტანტის ქვეყნების ჯარების შემოჭრისთვის. ოტომანთა პორტის დიდი ვეზირი თალაათ-ფაშა 1918 წ. სექტემბერში ბერლინსა და სოფიაში თავისი მოგზაურობების შედეგების მიხედვით დარწმუნდა, რომ ოთხმაგი კავშირის სახელმწიფოებს ომის მოგება არ შეუძლიათ. ანტანტის ქვეყნებთან სეპარატულ ზავზე გერმანიის ახალი მთავრობის მოლაპარაკებების დაწყებისა და ბალკანეთში ბულგარეთის არმიის დაშლის გამო ოტომანთა იმპერიას სხვა არაფერი დარჩენოდა, თვითონაც ომიდან გამოსვლის გზების ძიების გარდა. თავისი ქვეყნისთვის მომავალი ზავის უფრო ხელსაყრელ პირობებზე მოლაპარაკების შესაძლებლობა რომ მიეცათ, 1918 წლის 13 ოქტომბერს თალაათი და ენვერი თანამდებობიდან გადადგნენ. ორი დღის შემდეგ ახალმა დიდმა

³⁵⁸ ისტორიული და გეოგრაფიული ოლქი ბალკანეთის აღმოსავლეთით. ახლა 1923 წ. ლოზანას საზავო ხელშეკრულებით გაყოფილია სამ სახელმწიფოს შორის: ბულგარეთი (ჩრდილოეთ თრაკია), საბერძნეთი (ისტორიულად ცნობილი დასავლეთ თრაკია) და თურქეთი, რომელსაც ერგო აღმოსავლეთ თრაკია კონსტანტინოპოლთან ერთად.

ვეზირმა იზეთ-ფაშამ ზავის დადებაზე მიმართული აქტიური მუშაობა დაიწყო.³⁵⁹

რამდენიმე დღის განმავლობაში ოტომანთა ახალმა მთავრობამ მოკავშირე დიდ სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის დაშლაზე მიმართული რამდენიმე დიპლომატიური დემარში გაატარა. ეს დემარშები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდნენ, რადგან მათი შედეგი თურქეთის ომისშემდგომ მომავალზე საკითხებში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერებს შორის ურთიერთ უნდობლობის, მეტოქეობისა და გაუგებრობის ატმოსფეროს შექმნა იყო. 20 ოქტომბერს სარფიანი მომენტის გამოყენებით იზეთ-ფაშამ ბრიტანეთის სამეფო ფლოტით დაკავებულ ეგეოსის ზღვაში გაგზავნა თურქების ტყვეობაში მყოფი ინგლისელი გენერალი ჩარლზ ტაუნსენდი, ბრიტანეთის სარდლობასთან კონტაქტის დამყარებისა და ლონდონში მეფის მთავრობისთვის ოტომანთა საზავო წინადადებების გადაცემის მიზნით.³⁶⁰

1918 წლის 30 ოქტომბერს მოხდა ოტომანური თურქეთის ოფიციალური კაპიტულაცია. თვით კაპიტულაციის აქტი საბერძნეთის კუნძულ ლემნოსის მუდროსის ნავსადგურში მდგომ სამხედრო გემ „აგამემნონზე“ ჩატარდა. იმავე დღეს „აგამემნონზე“ ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც მუდროსის დაზავება. გამარჯვებულების მხრიდან მას ხელი მოაწერა ბრიტანელმა ადმირალმა სომერსეტ არტურ კალტორპმა³⁶¹, ომის წამგები თურქეთის მხრიდან კი – ოტომანთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა ჰუსეინ რაუფ-ბეიმ.

საქართველოს ახალი იმედები და ახალი იმედგაცრუება

არ არის საჭირო იმის თქმა, რომ ცნობას ოტომანურ იმპერიასა და მოკავშირეებს შორის ზავის დადებაზე, რაც ფაქტიურად თურქეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაზავება იყო, ქართული და სომხური საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით შეხვდა. მაგრამ სამხრეთ კავკასიის ორი ქრისტიანული რესპუბლიკის

³⁵⁹ Fromkin, pp. 398-399.

³⁶⁰ Fromkin, pp. 394-400.

³⁶¹ იმ დროს ადმირალი სერ სომერსეტ კალტორპი ხმელთაშუაზღვის-პირეთში დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი და ოტომანთა იმპერიაში ბრიტანეთის კომისარი იყო.

კომპეტენტური პოლიტიკოსები გაწბილებული იყვნენ მისი ზოგიერთი პირობით. ისინი თავისთავად ნაგულისხმევად ელოდნენ, რომ ოტომანური იმპერიის კაპიტულაცია ამიერკავკასიიდან თურქების ჯარების დაუყოვნებლივ და სრულ გაყვანას გამოიწვევდა, უკიდურეს შემთხვევაში 1814 წლის რუსეთ-თურქეთის საზღვრის ფარგლებს გარეთ, იმის მხედველობაში მიღებით, რომ არცერთი მოკავშირე წამყვანი სახელმწიფო არ ცნობდა არც ბრესტ-ლიტოვსკის, არც ბათუმის ხელშეკრულებებს. მართლაც, ბრიტანელების თავდაპირველი გეგმის თანახმად თურქეთის ჯარები კავკასიასა და ჩრდილოეთ სპარსეთში უნდა გაეყვანათ ომისწინანდელ საზღვრებს იქით, იმავდროულად გაეწმინდათ კილიკია, ასევე 30 ოქტომბრისთვის – მოკავშირეების მიერ ჯერ კიდევ დაუკავებელი ტერიტორიები მესოპოტამიასა და სირიაში. მაგრამ ბრიტანეთის მთავრობამ და სამხედრო სარდლობამ რამდენადმე შეცვალეს გეგმები, და აი რატომ. თურქების დელეგაციის „გამემნონზე“ მოსვლის რამდენიმე დღით ადრე ლონდონში მიიღეს გენერალ ტაუნსენდის ტელეგრამა, სადაც საზავო მოლაპარაკებისთვის თურქების წინასწარი პირობები იყო გადმოცემული. რაუფ-ბეის მიერ მოწონებული ეს პირობები ფაქტიურად თითქმის მთლიანად დაამუშავა თვით ტაუნსენდმა, რომელიც თურქების ტყვეობაში 29 თვე ყოფნის შემდეგ ყველასთვის სრულიად მოულოდნელად დაჯერებულ თურქოფილად იქცა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი თავის გზავნილში გენერალი ტაუნსენდი ცდილობდა თავისი მთავრობის დარწმუნებას, არა მხოლოდ ხელუხებლად დაეტოვებინა ახლო აღმოსავლეთში ოტომანთა ომისწინანდელი ყველა სამფლობელო, არამედ ეცნო ყოფილ რუსეთის კავკასიაში თურქეთის შენაძენიც. ტაუნსენდის ტელეგრამა ასევე შეიცავდა მტკიცებას, რომ ამ პირობების მიღებაზე მოკავშირეების უარის შემთხვევაში ოტომანთა იმპერია ომს გააგრძელებს.³⁶² აქ უნდა დაემატოს, რომ ტაუნსენდის მიერ შემუშავებული პირობები ოტომანთა მთავრობის ყველაზე სანუკვარ იმედებს აღემატებოდნენ. ასე, რიგი მკვლევარების მონაცემებით თურქეთის კაპიტულაციამდე ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე ოტომანთა სარდლობამ სამხრეთ კავკასიაში ჯარის გაყვანა დაიწყო ბრესტ-ლიტოვსკის

³⁶² Fromkin, pp. 400-401;

R. G. Hovannissian, *Armenia on the Road to Independence* (Los Angeles, 1969), p. 238.

ხელშეკრულების საზღვრის ხაზზე და „სამი სანჯაყის“ (ბათუმის, არტანისა და ყარსის ოკრუგების) გასაწმენდადაც კი ემზადებოდა.³⁶³

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხანგრძლივი დებატების შემდეგ ტაუნსენდის წინადადებები უარყვეს, ახლო აღმოსავლეთის საომარ მოქმედებათა ასპარეზზე თურქების სამხედრო დამარცხებების გამო. მიუხედავად ამისა, ადმირალმა კალტორპმა ლონდონიდან მიიღო მითითება, მზად ყოფილიყო თურქებთან „გარკვეულ დათმობებზე წასვლაზე“. „აგამემნონზე“ ბრიტანეთ-თურქეთის მოლაპარაკებების შედეგად რამდენიმე დათმობა მართლაც გაკეთდა. თანაც საქართველოსა და სომხეთის დიდი იმედგაცრუებით ეს დათმობები გაკეთებული იყო ტერიტორიების ხარჯზე, რომლებსაც ქართველებიც, სომხებიც უცილობლად თავისად თვლიდნენ. მოცემული დათმობები აისახა დაზავებაზე კონვენციის მუხ. XI-ში, რომლის მიხედვითაც:

„თურქეთის ჯარებმა უკვე მიიღეს მითითება ამიერკავკასიის ნაწილის გაწმენდაზე, ამასთან [ამიერკავკასიის დანარჩენი ნაწილი გაწმენდას ექვემდებარება, თუ მოკავშირეები ამას მოითხოვენ ადგილზე მდგომარეობის შესწავლის მიხედვით.“³⁶⁴

ქართველებისთვის ზემოთ მოყვანილი ნიშნავდა თურქების ჯარების გასვლას ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან, ისე როგორც მდინარე კამენკადან სამხრეთით ბორჩალოს მაზრის ოკუპირებული ნაწილიდან; მაგრამ ამასთან ბათუმის, ართვინის, არტანისა და ოლთისის ოკრუგები თურქეთის ოკუპაციის ზონად რჩებოდნენ დროის გაურკვეველი პერიოდის განმავლობაში, რომელიც, რამდენიც გნებავთ, ხანგრძლივი შეიძლება ყოფილიყო.³⁶⁵ მუდროსის კონვენცია ასევე გულისხმობდა საქართველოში მდგომარეობის კიდევ ერთ არსებით ცვლილებას,

³⁶³ Авалов, с. 122-123 and 140-141.

Нованниан, pp. 232-238.

³⁶⁴ F. Maurice, *The Armistices of 1918* (London, 1943), p. 86.

Юрий Ключников, Андрей Сабанин, *Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. Ч. II* (Москва, 1926), стр. 188-190.

³⁶⁵ R. G. Hovannisian, *The Republic of Armenia, Vol. I: The First Year, 1918-1919*, (Berkeley, 1971), pp. 56, 199.

კერძოდ კი გერმანული ჯარის ბრიტანულით შეცვლას, რომელიც კონტროლქვეშ იღებდა მთელ სამხრეთ კავკასიას. უკანასკნელი გამოდიოდა მუხ. XV-დან:

„დაინიშნებიან მოკავშირეთა ოფიცრები რკინიგზის ყველა ხაზის სამეთვალყურეოდ, ამიერკავკასიის იმ გზების ნაწილების ჩათვლით, რომლებსაც ახლა თურქები აკონტროლებენ და რომლებიც მოკავშირეთა ხელისუფლებას თავისუფალ და სრულ გამგებლობაში უნდა გადაეცეს მოსახლეობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ამ დადგენილებიდან გამომდის, რომ მოკავშირეებს აქვთ ბათუმის დაკავების უფლება. თურქეთი მოკავშირეების მიერ ბაქოს ოკუპაციის წინააღმდეგ არავითარ ქმედებას არ აპირებს.“³⁶⁶

ზემოთ მოყვანილი მუხლი ასევე ნიშნავდა, რომ უახლოეს მომავალში თურქების ადმინისტრაცია ბათუმში და, შესაძლოა, მთელ აჭარაში (ე. ი. ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში) ბრიტანული სამხედრო მმართველობით შეიცვლებოდა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავდა, რომ დიდი ბრიტანეთი ქართველებს ბათუმის მიერთების ნებართვას მიცემდა, რადგან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სტატუსი გაურკვეველად რჩებოდა და ისინი მუდროსის კონვენციის ტექსტში მოხსენებულიც არ იყვნენ. რასაკვირველია, ბრესტ-ლიტოვსკისა და ბათუმის მოლაპარაკებები ახლა გაუქმდნენ, რაც თეორიულად საქართველოსა და სომხეთს ოტომანთა იმპერიის სასარგებლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის ადრე წართმეულ ტერიტორიებზე პრეტენზიის განცხადების საშუალებას აძლევდა. მაგრამ იმავდროულად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობაც ასევე გაუქმებული აღმოჩნდა.³⁶⁷ ომში გამარჯვებული ანტანტის დიდი სახელმწიფოები თავიდანვე ამ ქვეყნების დროებით ჩამოტეხილ რუსულ ტერიტორიებად ჩათვლისკენ იყვნენ მიდრეკილი. მაგრამ რევოლუციურ რუსეთში და მის გარშემო კრიზისული სიტუაციის შემდგომმა განვითარებამ, რეგიონში ორი დაცემული იმპერიის (რუსეთისა და ოსმალეთის) თავიანთი ამბიციების დაკმაყოფილებისთვის დროებით უუნარობასთან შერწყმით,

³⁶⁶ Maurice, p. 86.

³⁶⁷ F. Kazemzadeh, p. 161.

სამხრეთ კავკასიის ერებს თავისი სახელმწიფოებრიობის შექმნის (ან საქართველოსა და სომხეთის შემთხვევაში – აღდგენის) ისტორიული შანსი მისცა.³⁶⁸ დაზავებაზე მუდროსის კონვენციის ხელმოწერიდან მხოლოდ 16 დღის შემდეგ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მოკავშირეთა სარდლობამ გენერალ უილიამ მონტგომერი ტომსონის (იმ ხანებში ჩრდილოეთ სპარსეთში ბრიტანეთის ძალებს მეთაურობდა) პირით განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და აშშ-ის წარმომადგენლები მზად იყვნენ, მათი დამოუკიდებლობის ფორმალურად ცნობის გარეშე, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დე-ფაქტო არსებულ მთავრობებთან კონტაქტის დასაჭერად.³⁶⁹

აქ უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და კავკასიიდან გერმანიისა და თურქეთის ჯარების ევაკუაციისთანავე დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა თავის თავზე აიღეს გაბატონებული როლი რეგიონში, თავს უფლებას აძლევდნენ, ჩარეულიყვნენ მისი ცხოვრების ყველა სფეროში, ისეთის ჩათვლით, რომლებშიც გერმანელები, მაგალითად, არჩარევას ამჯობინებდნენ. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მთლიანად და კერძოდ შავი ზღვის აუზში ანტანტის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა მოხაზული იყო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების კომპეტენტური წარმომადგენლების მიერ საიდუმლო კონფერენციაზე პარიზში, ოთხმაგი კავშირის დიდი ქვეყნების (გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთისა და თურქეთის) დამარცხებამდე თითქმის ერთი წლით ადრე. კონფერენციის მუშაობა დამთავრდა 1917 წლის 23 დეკემბრის ეგრეთ წოდებული „ინგლის-საფრანგეთის კონვენციის“ ხელმოწერით, რომლის თანახმადაც შავი ზღვის რეგიონი და ყოფილი რუსეთის იმპერიის სამხრეთი ორ „გავლენის ზონად“ იქნა გაყოფილი. ბრიტანეთისა და საფრანგეთის ზონების პირობითი საზღვარი გახდა ბოსფორიდან ქერჩის სრუტემდე, შემდეგ კი უფრო იქით, – აზოვის ზღვის

³⁶⁸ კონცეპტუალური მიდგომისგან დამოკიდებულებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრიობა აღდგენილი იქნა ერთგვარი უცხოური ბატონობის შემდეგ; აზერბაიჯანი კი გარკვეულად ახალი ეროვნული წარმონაქმნი იყო და მისი სახელმწიფო სტატუსი პირველად ფუძნდებოდა.

³⁶⁹ F. Kazemzadeh, p. 164.

T. Swietochowski, *Russian Azerbaijan, 1905-1920: The Shaping of a National Identity in a Muslim Community* (Cambridge, 2004), p. 141.

გავლით დონის შესართავისკენ, მდინარე დონის გაყოლებით ქ. ცარიცინამდე გამავალი პირდაპირი ხაზი (იხ. რუკა 166-ე გვერდზე). ამგვარად, საფრანგეთის პასუხისმგებლობის ქვეშ მოხვდნენ ბესარაბია, ყირიმი, ასევე უკრაინისა და რუსეთის ანტიბოლშევიკური ძალების სადავო სანაპიროს უბანი; ბრიტანეთის პასუხისმგებლობის ზონა კი კაზაკების ოლქებსა და მთელ კავკასიას მოიცავდა.³⁷⁰

ახალი კონფლიქტები პოსტ-მუდროსულ კავკასიაში

თუ ახალი სახელმწიფოების დიპლომატიური ცნობის პრობლემისგან, რომელსაც თან ახლდა მუდროსის დაზავებასთან პირდაპირი კავშირის არმქონე, ან თითქმის არმქონე რიგი სხვა პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემები, აბსტრაჰირებას ვეცდებით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ისტორიულმა მოვლენამ საქართველოსა და მის მეზობლებს შორის რამდენიმე ტერიტორიული კონფლიქტის ნიადაგი მოამზადა. სახელმწიფოს აღმშენებლობის პერიოდს ყოველთვის თან ახლავს ტერიტორიულ და და ურთიერთგამომრიცხავი პრეტენზიები და ეს სრულიად ბუნებრივი პროცესია. მაგრამ 1918-1920 წლებში სამხრეთ კავკასიაში ეთნოსთა შორის და ეროვნებათა შორის კონფლიქტების ინტენსიურობა და სიმწვავე ბევრად იყო დაკავშირებული იმასთან, როგორ და რა სახით ხდებოდა თურქების წასვლა სამხრეთ კავკასიიდან მუდროსის დაზავების მიხედვით და ასევე მასთან, როგორ აკონტროლებდნენ ამ პროცესს ძლევამოსილი მოკავშირეები.

კონფლიქტი ახალციხისა და ბორჯალოს მაზრების გამო

ჯერ კიდევ მუდროსის დაზავებამდე ორი კვირით ადრე, ოთხმაგი კავშირის სახელმწიფოების კრახის ცხადად დადგომის გამო, თურქებმა ბათუმის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ოკუპირებული და ანექსირებული ზოგი ტერიტორიიდან ჯარების თანდათანობით გაყვანა დაიწყეს. იმავდროულად სომხეთის რესპუბლიკის ჯარებმა ოტომანთა სარდლობასთან შეთანხმებული

³⁷⁰ А. Деникин, с. 39.

L. Kopisto, *The British Intervention in South Russia 1918-1920; Academic Dissertation* (Helsinki, 2011), pp. 50-51.

მოქმედებით დაიწყო ერევანის გუბერნიის ტერიტორიის თურქების მიერ დატოვებული ნაწილების დაკავება. 1918 წლის 8 ოქტომბერს სომხური ავანგარდის ნაწილები შევიდნენ მდინარე კამენკადან სამხრეთით ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ზოლში, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ თურქეთის ოკუპაციის ზოლში იყო. ისინი არ გაჩერდნენ ძველ სადემარკაციო ხაზზე, გადაიარეს ის და დაიკავეს სადგური ქობერი, რომელიც მაზრის საქართველოს მიერ კონტროლირებად ნაწილში მდებარეობდა. გერმანულ-ქართული შერეული გარნიზონი იძულებული იყო, სადგური დაეტოვებინა და ტფილისისთვის დახმარება ეთხოვა.³⁷¹ ამ მოხმობაზე ქართულმა სარდლობამ კონფლიქტის ზონაში სანაინთან ორი ჯავშანმატარებელი და 250 კაცის რაზმი გაგზავნა. ამის გამო 20 ოქტომბრის საღამოსთვის სომხების რაზმმა დატოვა ქობერის სადგური, დააყენა საგუშაგოები რკინიგზიდან დასავლეთით და აღმოსავლეთით სიმაღლეებზე. ქართველების ულტიმატუმზე, გადაადგილებულიყვნენ სადემარკაციო ხაზის სამხრეთით სადგურ შალალისკენ, სომხების სარდლობამ უარით უპასუხა. იმ დღის საღამოსვე საქართველოს მთავრობამ პრემიერ-მინისტრ კაჩაზუნის ხელმოწერით მიიღო შიფროგრამა, რომელიც შემდეგ ტექსტს შეიცავდა:

„შიფროგრამა №101. აღსტავიდან. სამთავრობო.

23. 10. 1918. 7 საათი და 55 წუთი.

ტფილისი. მინისტრ-თავმჯდომარე ჟორდანიას,

ასლი სომხეთის რწმუნებულს საქართველოში ჯამალიანს.

დელიჯანის რაზმის მეთაურმა მომახსენა, რომ ქართულმა სარდლობამ მას ულტიმატუმი წაუყენა სადგურ შალალის დაცლის შესახებ. სომხურ მხარეს ჩემს მიერ გაცემული აქვს ბრძანება არ დაცალონ სადგური, ქართველების შეტევაზე გადმოსვლის შემთხვევაში კი წარმართონ თავდაცვითი ბრძოლა. შესაძლო ახალი უბედურებების თავიდან აცილებისათვის, მრავალტანჯული საქართველოსა და სომხეთის სახელით, სიმართლისა და სამართლიანობის სახელით, გთხოვთ თავი შეიკავოთ აგრესიული ქმედებებისგან და შეაჩეროთ ქართული ჯარები არსებულ ხაზზე, ყოველგვარი საკითხები საზღვრების შესახებ კი

³⁷¹ *Из истории армяно-грузинских взаимоотношений*, стр. 14.

გადავწყვიტოთ მოლაპარაკებების გზით. გაგახსენებთ, თქვენივე საჯარო, საზეიმო განცხადებას შეხვედრაზე რამიშვილის, აპარონიანისა და ხატისოვის თანდასწრებით, რომ საქართველო ლორეზე პრეტენზიებს არ აცხადებს და იგი დაკავებული აქვს მხოლოდ დროებით, მესამე მხარის მიერ მისი დაკავების თავიდან ასაცილებლად. ველი თქვენს პასუხს.

*მინისტრი-თავმჯდომარე კაჩაზნუნი*³⁷²

23 ოქტომბერს სომხური ჯარის სამმა ქვეითმა ასეულმა იერიში მიიტანა გერმანელთა საგულშაღოზე სოფელ ქარიჯში და გერმანელები აიძულა, უკან დახევა დაეწყოთ. ქართულმა სარდლობამ სანაინში გერმანელების დასახმარებლად ქვეითი ასეული და ჯავშანმატარებელი გაგზავნა. მეორე დღეს საქართველოს მთავრობამ ბორჩალოში განსაკუთრებული მდგომარეობა გამოაცხადა და მოუსვენარი მაზრის გუბერნატორად გენერალი გიორგი წულუკიძე დანიშნა.

25-27 ოქტომბერს გრძელდება ბრძოლები სოფელ ქარიჯის რაიონში, რომელიც რამდენიმეჯერ გადადის ხელიდან ხელში. საბრძოლო მოქმედებებში ქართული ჯავშანმატარებლის ჩარევა საქართველოს სასარგებლოდ ახდენს გარდატეხას. უკვე 26 ოქტომბერს ერივანიდან საქართველოს მთავრობის სახელზე სომხეთის პრემიერ-მინისტრ ჰოვანეს კაჩაზნუნისგან იგზავნება ტელეგრამა სომხური ნაწილების მიერ წათერისა და ქარინჯის დატოვების შესახებ. ამასთან სომხეთის ჯარის მიერ ამ სოფლების წინა დაკავება გაუგებრობად არის გამოცხადებული. ტელეგრამა ასევე შეიცავს წინადადებას საზღვრის საკითხის გადასაწყვეტად კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამაზე ქართველებსა და სომხებს შორის საბრძოლო მოქმედებები დროებით შეწყდნენ.

ქართველი მკვლევარის არჩილ ჩაჩხიანის აზრით, სომხეთის მთავრობის მხრიდან ოქტომბრის ინცინდენტს მიზნად ჰქონდა ოთხმაგი ბლოკის კაპიტულაციის კარიბჭესთან ანტანტის დიდი სახელმწიფოებისადმი მოკავშირული ერთგულების დემონსტრაცია

³⁷² ჩაჩხიანი, არჩილ; ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918-1919 წლებში (სომხეთ-საქართველოს ომი). დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (თბილისი, 2006), გვ. 85-86.

საქართველოს, რომელიც იმ მომენტში ფორმალურად გერმანიის მოკავშირე იყო, წინააღმდეგ და საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული გერმანული ჯარების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების მიმართვის გზით.³⁷³ თუ წინ წავალთ, აღვნიშნოთ, რომ ამ ომის მეორე ეტაპი, 1918 წლის დეკემბერში, ბაქოში ბრიტანელების შესვლის შემდეგ მაშინვე დაიწყო, რაც შესაძლოა, არაა შემთხვევითი მოვლენა. იმავე დროს პროფესორი რიჩარდ ოვანისიანი ვარაუდობს, რომ ოქტომბრის ინცინდენტი მხოლოდ „საქართველოს ძალების მოსინჯვა“ იყო იმის გარკვევის მიზნით, რამდენად სერიოზულ დაბრკოლებას შეიძლება შეხვდეს სადავო ტერიტორიების სომხეთისთვის ძალით მიერთების მცდელობა.³⁷⁴

აუცილებელია, სომხეთ-საქართველოს კონფლიქტის გაჩაღებაში თურქეთის როლიც აღინიშნოს. ჯერ კიდევ 5 ოქტომბერს, როცა ოტომანთა იმპერია მხოლოდ ემზადებოდა კაპიტულაციისთვის და კავკასიიდან მისი ჯარების ევაკუაცია მხოლოდ იწყებოდა, ერივანში მყოფმა თურქმა გენერალმა ხალილ-ფაშამ მიიწვია რამდენიმე სომეხი ოფიცერი და შესთავაზა მათ არა მხოლოდ ეჩმიაძინის მაზრის (ისტორიული ოლქი ბამბაკი) თურქების მიერ ოკუპირებული ნაწილის, არამედ ლორეს უბანში კამენკას სამხრეთით ბუფერული ზონის დაკავებაც.³⁷⁵ იმავდროულად თურქეთის წარმომადგენელმა საქართველოში აბდულ-ქერიმ-ფაშამ ანალოგიური წინადადებით ქართველებსაც მიმართა.³⁷⁶ ნებისმიერ შემთხვევაში სწორედ 1918 წლის ოქტომბერში ისტორიაში პირველად საქართველოსა და სომხეთს შორის მომავალ სახელმწიფო საზღვარზე საკითხმა საშიში ფორმა მიიღო.

ჯერ კიდევ იმავე წლის ზაფხულში, აღწერილი მოვლენებიდან რამდენიმე კვირით ადრე საქართველოსა და სომხეთის მმართველი წრეების მიერ ორგანიზებულმა რამდენიმე კონსულტაციამ და კონფერენციამ, ასევე ტფილისისა და ერივანის ოფიციალური პრესაში რამდენიმე პუბლიკაციამ ორ ქვეყანას შორის საზღვრის საკითხზე არსებითი აზრთა სხვაობა გამოავლინა. 1918 წლის შემოდგომისთვის სომხეთ-საქართველოს ტერიტორიული დავის ობიექტი ძირითადად გახდა ტფილისის გუბერნიის სამხრეთი

³⁷³ იქვე, გვ. 93.

³⁷⁴ Hovannisian, Vol. I, p. 75.

³⁷⁵ *Op.cit.*, p. 58.

³⁷⁶ R. Hovannisian, *Armenia on the Road to Independence* (Berkley and Los Angeles, 1969), p. 233.

ნაწილი, რომელიც ორი მაზრის, – ახალქალაქისა და ბორჩალოს ტერიტორიებს შეიცავდა.³⁷⁷

თავისი ტერიტორიული ამბიციები რომ გაემართლებინათ, აღწერილი კონფლიქტის მხარეები სხვადასხვა არგუმენტებს ეჭიდებოდნენ. საქართველოს მთავრობა თავის პრეტენზიებს აფუძნებდა სადავო მაზრების ისტორიულ წარსულზე, იმავე დროს სომხების პრეტენზიები ეფუძნებოდა ხალხთა თვითგამორკვევის ახალ პრინციპს, მითითებული მაზრების მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე აქცენტის გაკეთებით. ქვემოთ მოყვანილია როგორც ქართველების, ისე სომხების მიერ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებზე მათი პრეტენზიების დასაბუთებისთვის გამოყენებული არგუმენტების დეტალური ანალიზი.

აღწერილ კონფლიქტზე ქართველების თვალსაზრისი შეიძლება დამყარებულიყო თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ისტორიის ფაქტებზე, იმის გამო, რომ უკიდურეს შემთხვევაში მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში ქართული მოსახლეობა უმნიშვნელოდ მცირე იყო. მიუხედავად ამისა, ბორჩალოს მაზრა მე-16-ე საუკუნიდან ქართლის (მე-18-ე საუკუნეში – ქართლ-კახეთის) სამეფოს საზღვრებში იყო 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ მის ანექსიამდე (იხ. რუკები 17 და 295 გვერდებზე), ახალქალაქის მაზრის ტერიტორია კი ქართული სახელმწიფოების ნაწილი იყო უკიდურეს შემთხვევაში მე-2-ე საუკუნიდან მე-16-ე საუკუნეში ოტომანთა იმპერიის მიერ მის პირველ ანექსიამდე (იხ. რუკები მე-17-ე და 294-295-ე გვერდებზე). ამგვარად, როგორც ქართული ელიტის, ისე პოლიტიკურად აქტიური ქართველი მოსახლეობის თვალსაზრისით საქართველოს რუსეთის იმპერიიდან გამოსვლის კანონიერიც, მორალური უფლებაც ჰქონდა ყველა მიწით, რომლითაც ის მის შემადგენლობაში შევიდა, ასევე იმ ისტორიული ქართული მიწებით, რომლებიც მე-19-ე საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომების მსვლელობაში იქნა დაპყრობილი. ამ მიზეზით სომხეთთან ტერიტორიულ დავაში საქართველოს რესპუბლიკის ყველაზე მინიმალური მოთხოვნები მოიცავდნენ მთელ ტფილისის გუბერნიას

³⁷⁷ ახალქალაქის მაზრას ოტომანთა იმპერიამ ანექსია გაუკეთა 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის მოლაპარაკების საფუძველზე და თურქების ჯარისგან გაწმენდას ექვემდებარებოდა 1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის დაზავების პირობების შესაბამისად.

ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებით, ასევე ყარსის ოლქის ორ (არტაანისა და ოლთისის) ოკრუგს. საქართველოს მთავრობისა და ქართველი ისტორიკოსების აზრით ზემოთ დასახელებული მიწები უდავოდ ქართული იყო, რადგან სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში ისინი შეადგენდნენ ისტორიულ ქართულ პროვინციებს, ჯერ გოგარენს,³⁷⁸ მოგვიანებით კი – თრიალეთს, ჯავახეთსა და ტაშირს (ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები), სამცხეს (არტაანის ოკრუგი) და ტაოს (ოლთისის ოკრუგი). თუმცა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი თავის მოთხოვნებს ავრცელებდა ბევრად უფრო იქით – ელიზავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრასა (ისიც ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო 1801 წლისთვის) და ერივანის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრაზე.³⁷⁹

მაგრამ სომხეთის პოლიტიკური ლიდერებისა და სომხური ინტელექტუალური ელიტის აზრით ზემოთ ჩამოთვლილი მიწები ისტორიული სომხეთის განუყოფელი ნაწილი იყო, იმის გამო, რომ ისინი, ნაწილობრივ ან მთლიანად, ძვ. წ. 189 წლიდან ახ. წ. 115 წლამდე სომხეთს ეკუთვნოდნენ, ასევე მათ სომეხი გუბერნატორები მართავდნენ 1124-1240 წლებში (როცა ისინი თამარის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ). ზემოთ ნათქვამის საფუძველზე სომეხი ნაციონალ-პატრიოტები ამ სადავო ტერიტორიებს განიხილავდნენ როგორც ისტორიულ სომხურ პროვინციებს ჯავახსა და ტაიქს. ისტორიული ფაქტების გარდა სომხების მოთხოვნები ასევე ემყარებოდნენ სოლიდურ ეთნიკურ ფუნდამენტს,³⁸⁰ იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ახალქალაქის მაზრაში სომხები უმრავლესობას შეადგენდნენ (მთელი მოსახლეობის 71%) და უდიდესი ეთნიკური ჯგუფი იყვნენ ბორჩალოს მაზრაში (მთელი მოსახლეობის 32,1%), იმ დროს, როცა ქართველები ახალქალაქის მაზრის მხოლოდ 6,2% და ბორჩალოს მაზრის 3,6% შეადგენდნენ. (იხ. თავი IX და ეთნიკური რუკა 296-ე გვერდზე) თუმცა სომხების ყველაზე რადიკალური მოთხოვნა ორი ზემოთ დასახელებული მაზრებით არ შემოიფარგლებოდა,

³⁷⁸ გოგარენი (სომხ. *გუგარქი*) მოიცავდა ქვემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს.

³⁷⁹ M. Varandian, *Le conflit armeno-georgien et la guerre du Caucase* (Paris, 1919), p. 75.

³⁸⁰ R. G. Hovannisian, *The Republic of Armenia, Vol. I: The First Year, 1918-1919*, (Los Angeles, 1971), pp. 72-74.

ვრცელდებოდა ბევრად შორს ჩრდილო-დასავლეთით, ბათუმის ნავსადგურამდე, იმ თვალსაზრისზე დაფუძნებით, რომლის მიხედვითაც სომხეთი არ შეიძლება მთლიანად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩათვლილიყო, უკიდურეს შემთხვევაში ერთ ზღვაზე გასასვლელის გარეშე. იყო ასევე „დიდი სომხეთის“ ყველაზე ფანტასტიკური გეგმები სამ ზღვაზე გასასვლელით.

ყველა ზემოთ ნათქვამთან ერთად ბორჩალოს მაზრის ზოგიერთ ნაწილზე პრეტენზია ჰქონდა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასაც, რომლის მოთხოვნა ვრცელდებოდა ტფილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრის ნაწილზე, ასევე ზაქათალის ოკრუგზე. აზერბაიჯანელების, ისევე როგორც სომხების, მოთხოვნის საფუძველში ეთნიკური პრინციპი იდო, რადგან ბორჩალოს მაზრაში თათრები (აზერბაიჯანელები) რაოდენობით მეორე ეთნიკური ჯგუფი იყო, შეადგენდნენ მთელი მისი მოსახლეობის 31,6%. თუმცა მოლაპარაკებების სერიის შემდეგ აზერბაიჯანის მთავრობამ უარი თქვა თავის პრეტენზიაზე ბორჩალოს მაზრაზე.³⁸¹

ამასობაში ტფილისის გუბერნიის ორი სამხრეთ მაზრისთვის საქართველოსა და სომხებს შორის კონფლიქტი გადავიდა ორ რესპუბლიკას შორის სრულმასშტაბიან ომში, რომელიც 1918 წლის 5 დეკემბერს დაიწყო და იმავე წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდა. 1918 წლის 31 დეკემბრის – 1919 წლის 1 იანვრის შუალაშობით ქართველებსა და სომხებს შორის ყველა საბრძოლო მოქმედება შეწყდა და დაიწყო საზავო მოლაპარაკება ბრიტანელებისა და ფრანგების პატრონაჟით. მოლაპარაკებები ყარაქლისში დაიწყო. მასში ორივე არმიის სარდლები მონაწილეობდნენ. შემდეგ მოლაპარაკებები ტფილისში გადაიტანეს. 3 იანვარს, როცა საქართველო-სომხეთის მოლაპარაკებები სრული სვლით მიდიოდნენ, ფოთის ნავსადგურში გადმოსხდა დამატებითი ბრიტანული კონტინგენტი დაახლოებით 300 კაცის რაოდენობით, რომლებიც ტფილისისა და ბორჩალოს მაზრის მხარეს გაემართნენ.

1919 წლის 9 იანვარს ტფილისში გაიხსნა ბრიტანეთ-საქართველო-სომხეთის სამხრეთი კონფერენცია, რომელსაც მიზნად ომის ოფიციალური შეწყვეტა და საზავო პირობების შემუშავება ჰქონდა. კონფერენციის თავმჯდომარე იყო ბრიტანელი ვიცე-პოლკოვნიკი რობერტ ნეილ სტიუარტი. კონფერენციამ მუშაობა მეორე დღეს, 10 იანვარს დაიწყო და დაასრულა უკანასკნელ, მე-

³⁸¹ Авалов, стр. 57.

ოთხე სხდომაზე 17 იანვარს, როდესაც ხელი მოაწერეს სამთავრობო მოლაპარაკებას ომის შეწყვეტისა და ლორეს თემში ნეიტრალური ზონის შექმნის შესახებ. ამის გარდა, სომხეთის მთავრობა დათანხმდა პრეტენზიის მოხსნას ახალქალაქის მაზრაზე³⁸², პირობით, რომ მაზრა იქნებოდა მოკავშირეების მეთვალყურეობის ქვეშ და სომხებს ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის გარანტია მიეცემოდათ.³⁸³ ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ საზღვრად გამოცხადდა ხაზი, რომელზედაც საქართველოს ჯარი შეჩერდა დაზავების დადგომის მომენტში, ე. ი. 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათზე.³⁸⁴ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის სამხრეთ საზღვარი 1918 წლის ივლისის დასაწყისში საქართველო-თურქეთის სადემარკაციო ხაზის ზუსტად შესაბამის ხაზზე იქნა გავლებული.³⁸⁵ შემდგომში „ლორეს ნეიტრალურ ზონად“ (რადგანაც მისი საზღვრები თითქმის მთლიანად ემთხვეოდნენ ბორჩალოს მაზრის ლორეს თემის (ვოლოსტის) საზღვრებს) ცნობილი ნეიტრალური ზონა მოიცავდა ალავერდის სპილენძის მადაროებს, ორმოცდასამ სოფელს და რკინიგზის დაახლოებით ორმოც კილომეტრს ექვსი სადგურით.³⁸⁶

ჯერ კიდევ კონფერენციის მუშაობის დროს ბრიტანეთის ჯარმა, წინასწარი მოლაპარაკების შესაბამისად, დაიწყო ლორეს ოლქის დაკავება მისი სპილენძის მადაროებითა და რკინიგზით. 16 იანვარს ტფილისში შტაბითა და დაცვის რაზმით ჩამოვიდა კავკასიაში ბრიტანეთის ჯარების ახალი სარდალი ჯორჯ თ. ფორესტი-უოკერი, მალე კი დამატებითმა ბრიტანულმა სამხედრო კონტინგენტმა მოიყარა თავი დაახლოებით 1000 ოფიცრისა და ჯარისკაცის რაოდენობით. 1919 წლის 27 იანვარს ბრიტანელებმა ლორეს ნეიტრალური ზონა სამ, – უზუნლარის³⁸⁷, ვორონცოვკისა და ალავერდის – რაიონად გაყვეს. თითოეულ რაიონს სათავეში ჩაუყენეს რეზიდენტ-კომისარი ადგილობრივი მოსახლეობიდან. ყველა კომისარი ემორჩილებოდა ანტანტის გენერალურ კომისიონერს (ასე უწოდებდნენ ნეიტრალური ზონის ბრიტანელ

³⁸² Kazemzadeh, p. 181

³⁸³ Hovannisian, Vol. I, p. 120

³⁸⁴ ჩაჩხიანი, გვ. 193.

³⁸⁵ იქვე, გვ. 193.

³⁸⁶ Hovannisian, Vol. I, p. 121.

³⁸⁷ ახლანდელი სოფელი **ოპუნ** სომხეთის რესპუბლიკის ლორეს მარ-ზში.

გუბერნატორს), კომისიონერად დანიშნეს კაპიტანი ა. ს. გ. დუგლასი.³⁸⁸

დასასრულს მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 1919 წლის საზავო მოლაპარაკება პრელიმინარულ ხასიათს ატარებდა. მასში წინასწარ იყო ნათქვამი, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტა გატანილი უნდა იქნეს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელზედაც სხვათა რიცხვში ორ ქვეყანას შორის მომავალი საზღვრის მონახაზის განსაზღვრას ვარაუდობდნენ.³⁸⁹

მსოფლიო ომისა და რუსეთის არეულობისგან გაჩენილ ორ რესპუბლიკას შორის ოთხკვირიანი საომარი კონფლიქტი მათ რამდენიმე ათას სიცოცხლედ დაუჯდათ, მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და სერიოზულად გაართულა დამოკიდებულება ისედაც არცთუ მარტივ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდა სახელმწიფოებს შორის. 1919 წლის 27 იანვარს ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობებით კონფლიქტის არცერთი მხარე არ დარჩა კმაყოფილი. საქართველომ ვერ შეძლო საზღვრის ხაზის შენარჩუნება, რომელსაც სამართლიანად და უდავოდ თვლიდა, და კიდევ დაკარგა ტერიტორიის მცირე უბანი (ნეიტრალური ზონა), რომელსაც კონფლიქტის დაწყებამდე აკონტროლებდა. სომხეთის ტერიტორიული მოგება (მიწის ნამცეცა ზოლი ბორჩალოს მაზრაში) უმნიშვნელო იყო იმ ბონუსთან შედარებით, რომლის მიღებასაც მისი ლიდერები ომის მსვლელობაში იმედოვნებდნენ. ამის გარდა, პრაქტიკულად ყველა თავისი სამხედრო ძალის საქართველოს წინააღმდეგ ომზე გადასროლით სომხებმა დაკარგეს სომხეთის სახელმწიფოსთვის ბევრად უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ტერიტორიის სტაბილურ კონტროლქვეშ აღების შესაძლებლობა ერივანის გუბერნიის სამხრეთში (ნახჭევანი და შარური).³⁹⁰ სამხედროები, როგორც ქართველები, ისე სომხები თვლიდნენ, რომ ომი ფაქტიურად სწორედ მისმა მხარემ მოიგო და ანტანტის წამყვან სახელმწიფოებს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ მათ თავისი ჩარევით „გამარჯვება გამოგლიჯეს მათი ხელებიდან“. ორივე ქვეყნის საზოგადოებებში გაჩნდა და გამყარდა გაუცხოება, გამძვინვარებულობა და გაცოცხლდნენ ძველი ცრურწმენები მეზობელ სალხთან დამოკი-

³⁸⁸ Hovannisian, Vol. I, p. 122.

³⁸⁹ Кадишев, стр. 173.

³⁹⁰ Hovannisian, Vol. I, p. 229-230.

დებულებაში. ომის ერთ-ერთი შედეგი გახდა საქართველოსა და სომხეთს შორის სატრანსპორტო კავშირის დესტაბილიზაცია, რამაც არსებითად გაართულა ისედაც საკმაოდ სავალალო ეკონომიკური მდგომარეობა სომხეთში, რესპუბლიკა გარე სამყაროსგან თითქმის სრულ იზოლაციაში დააყენა.³⁹¹

რეგიონულ დონეზე ზემოთ მითითებული შედეგების გარდა სომხეთ-საქართველოს კონფლიქტმა თან მოიყოლა ორივე ქვეყნისთვის დიდი პრობლემები საერთაშორისო დონეზე. დღეს მოცემული კონფლიქტის სერიოზულად შემსწავლელი ისტორიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა თანმხდება იმაში, რომ 1918 წლის დეკემბრის ომმა უმძიმესი ზიანი მიაყენა ორი ახლახან აღმოცენებული სახელმწიფოს რეპუტაციას და არსებითად შეამცირა მათი შანსები პარიზის სამშვიდობო კონფერენციის ჩარჩოებში წარმატებისთვის, მათ შორის მათი დამოუკიდებლობის ცნობისთვის.³⁹²

აქ თავს ნებას მივცემთ, გამოვთქვათ რამდენიმე ალტერნატიული აზრი. არავითარ შემთხვევაში არ დგას ეჭვქვეშ აქსიომა იმის შესახებ, რომ მშვიდობა ომზე უკეთესია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკა მცირედაც არ განსხვავდებოდა მე-19-ე საუკუნის დასასრულის – მე-20-ე საუკუნის ევროპის ახალი და ძველი ერების პოლიტიკისგან. საკმარისია გავიხსენოთ 1912-13 წლების ბალკანეთის ორ ომს შორის პერიოდში სისხლიანი კონფლიქტები ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის, შემდეგ – ტერიტორიული კონფლიქტები დაშლილი ავსტრია-უნგრეთის ნამსხვრევებისგან აღმოცენებულ სახელმწიფოებს შორის (კონფლიქტები პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის, პოლონეთსა და დასავლეთ უკრაინას შორის, უნგრეთის კონფლიქტი მეზობლებთან საზღვრების მთელ პერიმეტრზე და ა. შ.). ან რით განსხვავდება მათგან ძველი კონფლიქტი გერმანიასა და საფრანგეთს შორის ელზასისა და ლოტარინგიისთვის? ძნელია განსხვავების დანახვა ერთი მხრივ 1918-1920 წლების საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიული მოთხოვნებსა და მეორე მხრივ იმავე პერიოდის ათეულობით „მიწების შემგროვ-

³⁹¹ J.G. Harbord, “American Military Mission to Armenia”, *International Conciliation*, No. 151, June 1920 (New York, 1920), pp.13-54.

³⁹² Kazemzadeh, pp. 182-183.

Hovannisian, Vol. I, p. 93.

ბელი“ სხვა ქვეყნების მოქმედებებს შორის. ამიტომ 20-იანი წლების ევროპელი კრიტიკოსების და ზოგიერთი ისტორიკოსის მხრიდან, რომლებიც მთელ ხალხებს ადანაშაულებენ „მშვიდობიანი ცხოვრების უუნარობაში“ და „რამდენიმე კვ. მილის რამდენიმე სოფლიანი ტერიტორიისთვის ბრძოლაში“, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების კრიტიკის კითხვისას უნებურად თავში მოგივა ისეთი ტერმინი როგორცაა „ორმაგი სტანდარტი“.

1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის შედეგების გამოყვანისას ასევე მნიშვნელოვანია აღნიშვნა, რომ ნებისმიერი სამხედრო შეტაკების მსვლელობაში გარდაუვალი ექსცესების მიუხედავად ამ კონფლიქტს თან არ ახლდა მასობრივი მკვლელობები და ეთნიკური წმენდები, რაც მას ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში მომხდარი სხვა ომებისგან განსახვევებს.

კონფლიქტი „კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რესპუბლიკის“ გამო

ოტომანთა იმპერიის მიერ მუდროსის კონვენციის ხელმოწერა სულაც არ ნიშნავდა, რომ თურქები 1918 წელს სამხრეთ კავკასიაში მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან უბრალოდ წასვლას აპირებდნენ. ოსმალთა სარდლობას ჰქონდა დამატებითი გეგმა, რომელიც თურქეთის შეიარაღებული ძალების გარკვეულ ელემენტებს ომამდელი საზღვრების იქით ჯარების გაყვანის შემდეგაც კი აძლევდა კავკასიაში დარჩენის საშუალებას. შესაბამისად, 1918 წლის 27 ოქტომბერს (იმპერიის კაპიტულაციამდე სამი დღით ადრე), ზემოთ ხსენებული გეგმის შესასრულებლად იზეთ-ფაშამ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის თანახმადაც ათასობით თურქი ოფიცერი და ჯარისკაცი არაოფიციალურად დატოვეს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და დაღესტანში ნახევრად ვირტუალური „მთიელთა რესპუბლიკის“ სამსახურში.³⁹³ ეს გეგმა სავსებით ეფექტური აღმოჩნდა და შესაძლებელი გახადა, 18 თვის განმავლობაში თურქეთის გავლენის სფეროში შენარჩუნებულიყო აზერბაიჯანი და დაღესტნის ნაწილი, ასევე აირიდა სომხეთის რესპუბლიკის რამდენიმე მცდელობა ნახჭევანისა და ყარაბახის კონტროლქვეშ ასაყვანად. თავისთავად იგულისხმება, რომ

³⁹³ Авалов, стр. 122.

R. G. Hovannisian., *The Republic of Armenia, Vol. I: The First Year, 1918-1919*, (Los Angeles, 1971), p. 58.

თურქები კიდევ უფრო ნაკლებად, ვიდრე აზერბაიჯანში გავლენაზე უარის თქმვა, იყვნენ მზად, დაეთმოთ „სამი სანჯაყი“ (ყარსისა და ბათუმის ოლქები) და ახალციხის მაზრა. მაგრამ 1918 წლის 11 ნოემბერს ოტომანთა ჯარების შტაბის უფროსმა ჯევად-ფაშამ რელაცია³⁹⁴ მიიღო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ ვიცე-ადმირალ კალტორპისგან. ეს რელაცია შეიცავდა ანტანტის უმაღლესი საბჭოს უპირობო მოთხოვნას, მთლიანად გაეწმინდა კავკასიის ყველა ოკუპირებული ტერიტორია, ყარსისა და ბათუმის ოლქების ჩათვლით, სადაც მუდროსის დაზავების ხელმოწერის შემდეგ დაახლოებით 50.000-იანი თურქული ჯარი აგრძელებდა ყოფნას.³⁹⁵ ოსმალთა რეაქცია ხაზგასმულად შენელებული იყო, ევაკუაციის გაჯანჯლებისა და დაყოვნების ტაქტიკის გამოყენებით. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ოსმალთა მე-9-ე არმიამ შევეკი-ფაშას სარდლობით მიიღო ყარსში შეჩერების ნებართვა 1919 წლის 25 იანვრამდე, ამასთან სომხეთისთვის ყარსის ოლქის გადაცემა უნდა დაწყებულიყო არა უგვიანეს იმავე წლის 15 იანვრისა.³⁹⁶

თურქებმა ფორმალურად მიიღეს გამარჯვებული მოკავშირეების მოთხოვნები და გარკვეული ზომები მიიღეს, რომ ყარსის ოლქი და ზოგი მომიჯნავე ტერიტორია თავის გავლენის სფეროში დაეკავებინათ იმავე მეთოდით, როგორც ეს აზერბაიჯანსა და დაღესტანში გაკეთდა. ასეულობით თურქი ოფიცერი დარჩა მოხსენებულ ტერიტორიებზე „ინსტრუქტორებად“, მე-9-ე არმიის მთელი ნაწილები კი არც გამოუყვანიათ „სამი სანჯაყიდან“. მათი სამხედრო ფორმა ცოტა შეცვალეს, რომ მათთვის ადგილობრივი მოლაშქრეების სახე მიეცათ, რომლებსაც სომხებისა და ქართველების მიერ ყარსისა და ბათუმის ოლქების დაპყრობა არ უნდა დაეშვათ.³⁹⁷ ოსმალთა მიმავალმა ადმინისტრაციამ ასევე წარმატებით შექმნა რამდენიმე მარიონეტული მთავრობა სამხრეთ კავკასიის ყოფილ რუსულ სამფლობელოებში ამ ტერიტორიების

³⁹⁴ რელაცია (ლათ. *relatio* – გადავცემ) – მოხსენება საომარ მოქმედებებზე, ცალკეულ შემთხვევებზე ომის დროს.

³⁹⁵ Hovannisian, p. 200.

³⁹⁶ *Op.cit.* p. 202.

³⁹⁷ T.Z. Tunaya, *Turkiyede siyasi partiler, 1859-1952* (Istanbul, 1952), pp. 486-487.

თურქეთთან მჭიდრო პოლიტიკური და, შეძლებისდაგვარად, სამხედრო კავშირში შენარჩუნების მცდელობით.

ამგვარი სახის ერთ-ერთი ახალი კვაზი-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო მუდროსის დაზავების შემდეგ ყარსის ოლქში მალე შექმნილი სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა (ყარსის რესპუბლიკა). 1918 წლის 5 ნოემბერს ყარსში ჩამოყალიბებული ფაჰრუდინ პირიოდლუს პროთურქული მთავრობა პრეტენზიას აცხადებდა არა მხოლოდ ყარსის ოლქის ოთხ ოკრუგზე, არამედ ბათუმის ხელშეკრულების პირობებით თურქეთის მიერ ანექსირებულ ყველა ყოფილ რუსულ ტერიტორიაზე, ერევანის გუბერნიის ნახჭევანისა და ალექსანდროპოლის მაზრების ჩათვლით, ტფილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებსა და ბათუმის ოლქზე (ქუთაისის გუბერნიის ბათუმისა და ართვინის ყოფილი ოკრუგები).³⁹⁸


სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის შექმნა აღმაშფოთებელ წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიულ მოთხოვნებთან. საქართველოს მთავრობას პრეტენზია ჰქონდა მთელ ბათუმის ოლქზე (ბათუმისა და ართვინის ოკრუგები), ასევე ყარსის ოლქის არტაანისა და ოლთისის ოკრუგებზე. თავის მხრივ სომხეთის მთავრობა პრეტენზიას აცხადებდა თითქმის მთელ ყარსის ოლქზე, არა მხოლოდ ყარსისა და კაზილმანის ოკრუგების, არამედ მთლიანად ოლთისის ოკრუგისა და არტაანის ოკრუგის დიდი ნაწილის ჩათვლით, ბათუმის სახელმწიფოებრივი მიკუთვნების საკითხის ღიად დატოვებით. საქართველოსა და სომხეთის პრეტენზიები „სამი სანჯაყის“ ერთსა და იმავე ნაწილებზე კიდევ ერთი ტერიტორიული დავის საფუძველს ქმნიდა, მაგრამ 1918 წლის შემოდგომის დასასრულისთვის ამგვარი დავა „არმოკლული დათვის ტყავის გაყოფის“ მცდელობას ჰგავდა, რადგანაც ყარსში მჯდომი სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობა უარყოფდა როგორც ქართველების, ისე სომხების პრეტენზიებს, მოხერხებულად იყენებდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ წამოყენებულ „ერების თვითგამორკვევის“ პრინციპს. თავდაპირველად სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის იდეა კავკასიაში ბრიტანეთის მისიამ გარკვეული კეთილგანწყობით აღიქვა.³⁹⁹ უფრო

³⁹⁸ Hovannisian, pp. 205-206;

Kazemzadeh, p. 199.

³⁹⁹ Kazemzadeh, pp. 199-200.

მეტეც, ბრიტანეთის ჯარი ბლოკავდა ერივანის გუბერნიიდან ყარსში მიმავალ გზას, ხელს უშლიდა დაახლოებით ასი ათასი ლტოლვილის შინ დაბრუნებას.⁴⁰⁰ იმავდროულად ხან ხოისკის აზერბაიჯანული მთავრობა ჯიუტად ცდილობდა დიდი ბრიტანეთის დათანხმებას სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის აზერბაიჯანთან თუნდაც დროებით მიერთებაზე.⁴⁰¹



*„კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რესპუბლიკის“ დროშა
(5. XI.1918 – 10. IV.1919)*

მოკავშირეების დამოკიდებულება პერიოდულს მთავრობისადმი შეიცვალა 1919 წლის თებერვლის დასაწყისში, როცა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის გასამხედროებულმა რაზმებმა სერვერბეგის მეთაურობით თავდასხმა დაიწყეს ბრიტანეთის სამხედრო და სამედიცინო პერსონალზე, ასევე შეიჭრნენ მუდროსის დაზავების შემდეგ ქართველების მმართველობაში მყოფ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში.⁴⁰² სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის ამ აქციებმა აიძულეს გენერალი ტომსონი, ნებართვა მიეცა მოუსვენარი ყარსის ოლქის ქართველებისა და სომხების კონტროლის ქვეშ გადასვლაზე. მოლაპარაკება ამაზე მიღწეული იქნა 1919 წლის 14 მარტს, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებთან ტომსონის შეხვედრის მსვლელობაში.⁴⁰³

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს წარმატებული კონტრშეტევის შემდეგ 1919 წლის აპრილის დასაწყისში იმ დროისთვის ერივანის გუბერნიაში და-

⁴⁰⁰ А. С. Лукомский, “Деникин и Антанта” в кн. *Революция и гражданская война в описаниях белогвардейцев: Деникин-Юденич-Врангель* (Москва, 1927), стр. 92.

⁴⁰¹ Нованнисян, р. 211.

⁴⁰² Нованнисян, pp. 210-211;

Квинитадзе, стр. 84-89.

⁴⁰³ *Op.cit.*, р. 213.

ბანაკებული ბრიტანული ნაწილები ყარსში შევიდნენ.⁴⁰⁴ 10 აპრილს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის წევრები დააპატიმრეს და დეპორტაცია გაუკეთეს, ცხრა დღის შემდეგ კი ქალაქი ყარსი მმართველობაში სომეხ გუბერნატორს გადაეცა.

22 აპრილისთვის ქართულმა ჯარმა გენერალ კვინიტაძის სარდლობით საბოლოოდ გატეხა სერვერბეგის გასამხედროებული ბანდების წინააღმდეგობა ახალციხის მაზრასა და არტაანის ოკრუგში, კონტროლქვეშ აიღო ორივე ეს ტერიტორია (იხ. რუკები 171-172 გვერდებზე).⁴⁰⁵ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკამ თავისი არსებობა შეწყვიტა, ყარსისა და სარიყამიშის ოკრუგებს სომხეთის რესპუბლიკამ გაუკეთა ანექსია, არტაანის ოკრუგი კი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა.⁴⁰⁶ რამდენიმე თვის შემდეგ საქართველომ სომხეთს არტაანის ოკრუგის ნაწილი დაუთმო (ოკამის თემის დაახლოებით ნახევარი და თითქმის მთელი ჩილდირის თემი).⁴⁰⁷ იმავე დროს ბრიტანეთის სარდლობამ არც საქართველოს, არც სომხეთს არ მისცა ყარსის ოლქის ოლთისის ოკრუგის, რომელზედაც ორივე ქვეყანას ჰქონდა პრეტენზია, ისევე როგორც ყარაქურთის თემის, რომელზედაც პრეტენზია ჰქონდა სომხეთს, დაკავების უფლება. შედეგად აღნიშნული ტერიტორიები ადგილობრივი მუსლიმანი მმართველების ხელში დარჩნენ იმ მომენტამდე, ვიდრე ისინი კვლავ თურქეთზე მიერთებული არ აღმოჩნდნენ 1920 წლის სომხეთ-თურქეთის ომის მსვლელობაში.

რაც შეეხება ბათუმის ოლქს, 1918 წლის 15 დეკემბრიდან დაწყებული, ის ბრიტანელი სამხედრო გენერალ-გუბერნატორის ხელისუფლების ქვეშ იყო,⁴⁰⁸ რაც ასევე ნაწილობრივ ვრცელდებოდა ოლთისის ოკრუგზე (ოლურის თემის ნაწილი) და არტაანის ოკრუგის ოკამის თემის ქართველების მიერ დატოვებულ ნაწილზე.⁴⁰⁹ მცირე ბრიტანული გარნიზონი ასევე დატოვებული იყო ყარსში.

⁴⁰⁴ Квинитадзе, стр. 89-124.

⁴⁰⁵ Квинитадзе, стр. 89-136.

А. Деникин, *Т. IV* (Берлин, 1925), стр.147.

⁴⁰⁶ Hovannisian, pp. 220-221.

⁴⁰⁷ Hovannisian, p.221.

⁴⁰⁸ Кадишев, стр. 164.

⁴⁰⁹ Hovannisian, p. 221.



მეჰმედ თალაათ-ფაშა



აჰმედ იზეთ-ფაშა
(ფურგანი)



ჰუსეინ რაუფ-ბეი
(ორბაი)



გენერალ-მაიორი
ჩარლზ ტაუნსენდი



გენერალი ჩარლზ ტაუნსენდი თურქების ტყვეობაში (1918 წ.)



ადმირალი სერ სომერსეტ არტურ კალტორპი



ინგლისის სამხედრო გემი „აგამემნონი“ (1918 წ. ოქტომბერი)




გენერალ-ლეიტენანტი
სერ უილიამ
მონტგომერი თომსონი




გენერალ-მაიორი ჯორჯ
თ. ფორესტიე უოკერი



ბრიტანეთის ჯარი ტფილისში (1919 წ. იანვარი)



- 1 Montenegro (occup.)
 - 2 Albania (occup.)
 - 3 Dodecanese (Ital.)
 - 4 Cyprus (de facto Brit.)
 - 5 Kuwait (Brit. Protectorate)
 - 6 Bahrain (Brit. Protectorate)
 - 7 Armenian Republic
- Ottoman Empire, as of June, 1914



30°

40°

U K R A I N E

Krivoy Rog

Yuzovka (Donetsk)

Taganrog

R O S S I A

Stavropol

Novorossiysk

Ekaterinodar

Novorossiysk

24.11.1918

30.04-30.06.1919

11.05-06.06.1919

08-12.1919

R O M A N I A

Chisinau

1918 to Romania

N. TAVRIA

Maniupol

Genichesk

11.05-06.06.1919

06-29.06.1919

CRIMEA

Kherson

18.12.1918-14.03.1919

01.05-26.03.1920

25.11.1918-15.03.1920

Sevastopol

Feodosia

30.04-24.11.1918

27.12.1918-19.06.1919

27.03-27.06.1920

27.03-27.06.1920

04.1920

Sochi

01-04.1920

Gagra

02-04.1919

Sukhum

Vladikavkaz

B U L G A R I A

Plovdiv

Varna

Burgas

Adrianople (Edirne)

1919 to Greece (Istanbul)

Constantinople

Zonguldak

Eregli

Nicomedia (Iznik)

06.07 - 27.10.1920

Prusa (Bursa)

1919-20 Greek occupation

G R E E C E

Canakkale

1919-20

Georgian occupation

G E O R G I A

Poti

27.12.1918 - 28.08.1919

Tiflis

Armenia

Alaverdi

15.12.1918 - 09.07.1920

17.05.1919 - 09.07.1920

Brit. Adm.

Batum

Armenia

Kars

Erivan

Armenia

Erzurum

Tirebolu

Giresun

Samsun

Sinop

24.11.1918

Sebastea (Sivas)

Erzinjan

A N G O R A (Ankara)

Eskisehir


T U R K E Y


British zone


French zone



ბრიტანეთის სარდლობის სქემა სამხრეთ კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში 1919-1920









GEORGIA AND THE SOUTH-WEST CAUCASIAN REPUBLIC (Feb.-Apr./ 1919)





გენერალი გიორგი კვინიტაძე



„კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი რესპუბლიკის“ მთავრობა
(1918 წ. დეკემბერი)

GEORGIA AFTER THE PARTITION OF THE SOUTH-WEST CAUCASIAN REPUBLIC (April, 1919)



საქართველო და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია: ყრუ კედლის შენგრევა

1918 წლის 3 დეკემბერს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები ლონდონში ჩავიდნენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შესახებ მოლაპარაკებების დაწყების მიზნით. ანალოგიური ამოცანები იდგნენ იმპერიის დაცემის შემდეგ რუსეთიდან ჩამოშორებული რამდენიმე სხვა ქვეყნის დელეგაციების წინ. მათ რიცხვში შედიოდნენ პოლონეთი, ლიტვა, ესტონეთი, ლატვია, უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი. მაგრამ მოკავშირეების დარწმუნება ამ „ახალწარმონაქმნთა“ დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობაში საკმაოდ არამარტივი ამოცანა იყო და, აი, რატომ. 1918 წლის ბოლოს – 1919 წლის დასაწყისში ანტანტის ძირითადი სახელმწიფოების ლიდერები გულწრფელად იყვნენ დარწმუნებული საბჭოებამდელი რუსეთის აღდგენაში, რომელიც საერთო ჯამში დიდი ომის პირველი სამი წლის განმავლობაში მათი უცვლელი მოკავშირე იყო. შესაბამისად ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც დამოუკიდებლობა 1918 წლის ბოლოსთვის გამოაცხადეს, ფინეთისა და პოლონეთის გარდა, მოკავშირეები განიხილავდნენ როგორც ჩამოშორებულ ოლქებს, რომლებიც მომავალ ფედერაციულ რუსულ სახელმწიფოში რეინტეგრაციისთვის უნდა მომზადებულიყვნენ.⁴¹⁰ ასეთ უცნაურ და დიპლომატიურად არახელსაყრელ სასტარტო სიტუაციაში, რაც მოლაპარაკების პროცესის დაწყების წინ ჩამოყალიბდა, უხდებოდათ ახალი სახელმწიფოების წარმომადგენლებს უმძიმესი მუშაობის წარმოება, რაც მათი სტატუსისადმი სტერეოტიპული მიდგომის გადალახვასა და საერთაშორისო აღიარების მიღებაზე იყო მიმართული. საქართველოს, ამასთან ერთად, მოელოდა განსაკუთრებით წინასწარშექმნილი დამოკიდებულების, რაც ახლახან მომხდარი

⁴¹⁰ Авалов, с. 162-163.

მისი „გერმანიასთან თანამშრომლობის“ კავშირით ჩამოყალიბდა, გადალახვა.⁴¹¹

საქართველო განსაზღვრავს თავის ტერიტორიულ მოთხოვნებს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე

მის მიმართ წინასწარშექმნილი დამოკიდებულების მიუხედავად 1919 წლის 14 მარტს ქართულმა დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარადგინა მემორანდუმი, რომელიც საქართველოს ფორმალურ შუამდგომლობას შეიცავდა მისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მიღებისა და მისი ტერიტორიული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ.⁴¹² ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტორებზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა პრეტენზიას აცხადებდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის ოლქის, ზაქათალის, არტაანისა და ოლთისის ოკრუგების მთელ ტერიტორიაზე, ყაზახისა და ელისავეტპოლის მაზრების ნაწილზე მდინარეებს მტკვარსა და იორს შორის, მეზობელი თურქული ვილაიეთების ტრაპიზონისა და ერზურუმის ტერიტორიის ნაწილზე და სოჭის ოკრუგის დიდ ნაწილზე მდინარე მაკოფსემდე (იხ. რუკები 197-198 გვერდებზე).⁴¹³ ამ მემორანდუმის გადაცემისას საქართველოს დელეგაციის წევრებმა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა ხაზი გაუსვეს, რომ ზემოთ მითითებული ტერიტორიული მოთხოვნები არ შეიძლება მაქსიმალურად ჩაითვალოს, მაგრამ საქართველოს მთავრობა მზადაა, არ გადავიდეს ამ ჩარჩოებს იქით, რადგან „რესპუბლიკას (საქართველოს) შეცნობილი აქვს ზოგი ისტორიული ქართული ტერიტორიის სასიცოცხლო მნიშვნელობა მეზობელი სახელმწიფოებისთვის“.⁴¹⁴

⁴¹¹ Авалов, стр. 165, 180-187.

Kazemzadeh, p. 257.

⁴¹² Авалов, стр. 174.

⁴¹³ Hovannisian, p. 287.

Авалов, стр. 254.

А. Ментешашвили, *Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии* (Тбилиси, 1998), стр. 41-45.

⁴¹⁴ Hovannisian, p. 287.

ზემოთხსენებულ მემორანდუმს პარიზის კონფერენციაზე საკმაოდ ცივად შეხვდნენ. საქართველოს სახელმწიფოს „გონივრულ ფარგლებში“ შეტანილი ტერიტორიებისგან ბევრი სხვა მხარეების მოთხოვნის ობიექტი იყო, რომლებიც მათ უდავოდ თავისად თვლიდნენ (იხ. რუკა 205-ე გვერდზე) თუმცა ეს არ იყო დიდი სიურპრიზი ქართველი ლიდერებისთვის, რომლებიც რეალობაში ზოგიერთ შემდგომ დათმობაზე წასვლაზე მზად იყვნენ. ასე მაგალითად, დიდი სახელმწიფოების მიერ მდინარე მაკოფსეზე საქართველოს საზღვრის აღიარებაზე კატეგორიული უარის შემთხვევაში ქართული მხარე მზად იყო, დაკმაყოფილებულიყო საზღვრით მდინარე მზიმთაზე, ყველაზე უარეს შემთხვევაში – მდინარე მეხადირზე (სოჭისა და სოხუმის ოკრუგების საზღვარზე 1883 წლიდან 1903 წლამდე და 1917 წლის შემდეგ). რაც შეეხება თურქულ ვილაიეტებს ტრაპიზონსა და ერზურუმს, საკითხი მათი მომავლის შესახებ ღიად რჩებოდა 1920 წლის ბოლომდე, რადგანაც ეს ტერიტორია სომხეთისა და პონტოელი ბერძნების მხრიდანაც იყო მოთხოვნის ობიექტი. საკითხი ბათუმის სტატუსის შესახებ ასევე ღიად რჩებოდა 1920 წლის ბოლომდე. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს გადაუჭრელი დავა ჰქონდა ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანთან, ანტანტის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის თანახმად კი მსგავსი კონფლიქტი გადაწყვეტას ექვემდებარებოდა მასში ჩაბმული მხარეების (ამ შემთხვევაში – ამიერკავკასიის სამი თვითაღიარებული სახელმწიფოს) შორის მოლაპარაკების გზით, ყოველგვარი არსებითი გარე ჩარევის გარეშე.

საქართველო რუსეთის ნაწილია თუ?..

საკითხი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, რასაკვირველია, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და გადაწყვეტას საჭიროებდა. მაგრამ ახალი დემოკრატიის დიპლომატები მათი ქვეყნის დამოუკიდებლობის თუნდაც დე-ფაქტოდ აღიარების გზაზე კიდევ ერთ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ეს წინააღმდეგობა იყო პარიზის კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენლების

Délégation géorgienne a la Conférence de la paix, Mémoire présenté à la Conférence de la paix (revendications politiques-frontières) suivi de l'acte de l'indépendance de la Géorgie et d'une carte (Paris, 1919).

მოქმედება, რომლებიც რუსეთის სამოქალაქო ომში მონაწილე საკვანძო ანტიბოლშევიკური ძალების სახელით გამოდიოდნენ. ამ ძალების რიცხვში შედიოდნენ ადმირალი კოლჩაკის მთავრობა და გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმია, ასევე ცნობილი როგორც „რუსეთის სამხრეთის შეიარაღებული ძალები“ (რსმ).⁴¹⁵ რუსული ანტიბოლშევიკური ლიდერების სამსახურში იყო რუსეთის ყოფილი იმპერიის ევროპაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის მნიშვნელოვანი ნაწილი.⁴¹⁶ გამოცდილ და ქარიზმატულ რუს დიპლომატებს, როგორებიც საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სერგეი საზონოვი, ექს-პრემიერი თავადი გიორგი ლვოვი, სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე ალექსანდრ გუჩკოვი და საფრანგეთში რუსეთის ელჩი ვასილი მაკლაკოვი იყვნენ, უშუალო კონტაქტები ჰქონდათ მოკავშირე სახელმწიფოთა ბევრ ლიდერთან, რომელთაგან ბევრს კარგად პირადად იცნობდნენ. ამ აზრით მათ არსებითად ჩამორჩებოდნენ საქართველოს წარმომადგენლები, რომლებსაც ადრე დასავლეთში

⁴¹⁵ Kazemzadeh, p. 266. 1919 წ. 8 იანვარს მოხალისეთა არმიის, დონისა და ყუბანის კაზაკების ლაშქრის, ასევე რეგიონში რიგი სხვა ანტიკომუნისტური ფორმირებების ძალები გაერთიანდნენ რუსეთის სამხრეთის შეიარაღებულ ძალებში (რსმ) გენერალ ანტონ დენიკინის სარდლობით.

⁴¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ 1918 წ. 18 ნოემბერსა და 1919 წ. 30 ნოემბერს შორის პერიოდში „რუსეთის უმაღლეს მმართველად“ რუსეთის ანტი-ბოლშევიკური („თეთრი“) მოძრაობის მონაწილეთა უმრავლესობა ადმირალ კოლჩაკს აღიარებდა, ყოფილი რუსეთის იმპერიის დიპლომატიური კორპუსი უფრო ახლოს ანტონ დენიკინის ადმინისტრაციასთან იყო დაკავშირებული. ეს ადვილად აიხსნება გეოგრაფიული ფაქტორით: რუსეთის სამხრეთი, რომელსაც მნიშვნელოვნად დენიკინის ჯარები აკონტროლებდნენ, ბევრად უფრო ახლოს იყო დასავლეთ ევროპასთან, ვიდრე ციმბირი, რომელიც კოლჩაკის საყრდენი იყო. „უმაღლეს მმართველსაც“ ჰყავდა თავისი საგარეო საქმეთა სამსახური, მაგრამ ეს სამსახური რუსეთის ყოფილ დიპლომატიურ სტრუქტურებთან უფრო აქტიურად აშშ-ში, ჩინეთსა და იაპონიაში მუშაობდა. ამავე დროს, გასტონ გაიარის აზრით (*Le Mouvement Panrusse et les Allogenes*, Paris/1919, p. 73) რუსეთის მომავალზე დენიკინისა და კოლჩაკის შეხედულება სრულიად იდენტური იყო, როცა საქმე, კერძოდ, კავკასიის ან ბალტიის ხალხების რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლის უფლებას ეხებოდა.

არ იცნობდნენ, ამასთან არც დიპლომატიური განათლება, არც შესაბამისი გამოცდილება არ ჰქონდათ. რა თქმა უნდა, მოხალისეთა არმიის ემისრებს პარიზსა და ევროპის სხვა დედაქალაქებში რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოების საერთაშორისო აღიარების პროცესის შეჩერება არ შეეძლოთ, მაგრამ სავსებით შეეძლოთ ამ პროცესის შენელებისთვის ხელის შეწყობა. ისეც კი, რომ კონფერენციაზე დაშვებულიც არ იყვნენ,⁴¹⁷ ძველი რუსეთის დიპლომატიის ასებმა⁴¹⁸ შეძლეს, სამხრეთ კავკასიის პრობლემები წარმოედგინათ როგორც ყბადაღებული „რუსული საკითხის“ ნაწილი.⁴¹⁹ მათ ასევე შეძლეს მოკავშირე სახელმწიფოების დარწმუნება, მკვეთრი შეზღუდვა დაესვათ ახალი სახელმწიფოების (მათ შორის აღდგენილებისაც) ტერიტორიულ ამბიციებზე, და აქაც, ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თქმა, რომ ამ ბრძოლაში რუსი ანტიბოლშევიკი დიპლომატები ტანდემში მუშაობდნენ კრემლის „საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან“.⁴²⁰ დღეს სავსებით შესაძლებელია, შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს „რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი“ თავის მოქმედებებს გენერალ დენიკინის დიპლომატებთან ერთად უკეთებდა კოორდინაციას, როცა 1918 წლის 24 დეკემბერს კომისარიატმა დადგენილება მიიღო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არაღიარების

⁴¹⁷ В.Н. Коковцов, *Из моего прошлого: воспоминания 1903-1919 гг., Т. II* (Париж, 1933), стр. 490-492.

S. P. Tillman, *Anglo-American Relations at the Paris Peace Conference of 1919* (Princeton, 1961), p. 136.

⁴¹⁸ ას (ფრ. as – „ტუზ“) – პირველი მის სფეროში; პირველად ეს სიტყვა იხმარეს პირველ მსოფლიო ომში იმ სამხედრო მფრინავებისთვის, რომლებიც მაღალ დონეზე ფლობდნენ პილოტირებისა და საჰაერო ბრძოლის ხელოვნებას.

⁴¹⁹ Z. Авалов, стр. 178 и 191-193.

⁴²⁰ პოლონეთის აღმოსავლეთი, პოლონეთის საქმეთა საკავშირო კომისიის მიერ შემოთავაზებული საზღვარი (ასევე ცნობილია, როგორც „კერზონის ხაზი“), იმის მაგალითად გამოდგება, როგორ ცდილობდნენ ატლანტის ქვეყნების ხელმძღვანელები ისტორიულად ჩამოყალიბებული საზღვრების რუსეთის სასარგებლოდ გადაკეთებას (იქნებოდა ეს ბოლშევიკური თუ ანტიბოლშევიკური რუსეთი), ამასთან ხშირად სადავო ტერიტორიების მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ.

შესახებ.⁴²¹ და ეს მაშინ, როცა ამ დადგენილებამდე 4 თვით ადრე (1918 წ. 27 აგვისტო) საბჭოებმა ხელი მოაწერეს დამატებით შეთანხმებას გერმანიასთან, რომლის მუხ. 13 ადასტურებდა კრემლის თანხმობას გერმანიის მიერ „დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმად“ საქართველოს აღიარებაზე.⁴²² როგორც მოცემული საკითხის ერთ-ერთი მკვლევარი წერდა აღწერილი ამბებიდან სულ ოცდაათი წლის შემდეგ:

*„რუსების, ბოლშევიკები იყვნენ თუ თეთრები, თვალსაზრისით კავკასია მათი საკუთრება იყო, რომელზედაც ადრე თუ გვიან მათ პრეტენზიები უნდა წამოეყენებინათ“.*⁴²³

ზემოთ თქმულის გარდა, დენიკინმა მოახერხა, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მოკავშირე სამხედრო წარმომადგენლების, რომლებთანაც ის პირად კონტაქტებს ინარჩუნებდა, აზრზე გავლენა მოეხდინა მათთვის დამახინჯებული ინფორმაციის წარდგენით საქართველოსთან სადავო ტერიტორიების ისტორიასა და ეთნიკურ შემადგენლობაზე, ასევე ამ ტერიტორიების მოსახლეობის სიმპათიებზე. ეს ინფორმაციული წნეხი შეიცავდა დამოწმებას რაღაც „მოხმობებსა და თხოვნებზე დახმარების შესახებ“, რაც, დენიკინის მიხედვით, მის ადმინისტრაციაში შემოდიოდა სოჭისა და სოხუმის ოკრუგების „მოსახლეობისგან“.⁴²⁴ შედეგად კონფლიქტის ზონაში ზოგიერთი ბრიტანელი ემისარი (მაგალითად, გენერალი ბრიგსი) იქამდე მივიდა, რომ ისეთი სახის მიღება დაიწყო, ვითომ „ვერ ამჩნევს“ რსშმ-ის შეჭრას სოჭის ოკრუგში, რომელიც კონსტანტინოპოლში ბრიტანული სარდლობის ინსტრუქციების შესაბამისად საქართველოს მმართველობაში უნდა დარჩენილიყო.⁴²⁵

მეორე მხრივ, საქართველოს დელეგაციამ რუსეთის საკითხთან მიმართებაში ასევე არაკონსტრუქციული პოზიცია დაიკავა. მთელი

⁴²¹ Ключников, Сабанин, стр. 209-210.

⁴²² Авалов, *Op.cit.*, стр. 111.

Ключников, Сабанин, стр. 165.

⁴²³ Kazemzadeh, p. 239.

⁴²⁴ А. Андерсен, *Абхазия и Сочи: корни конфликта 1918-1921* (Торонто, 2014), стр. 76.

⁴²⁵ А. Деникин, *Очерки русской смуты* (Берлин, 1924), Т. 4, стр.155-156.

Я. Шафир, *Очерки грузинской Жиронды* (Москва, 1925), стр. 108.

1919 წლის განმავლობაში თავადი ზურაბ ავალოვი (რომელიც ალბათ ერთადერთი პროფესიული იურისტი და დიპლომატი იყო მთელ ქართულ დელეგაციაში) ამაოდ არწმუნებდა თავის კოლეგებს, საქმიანი დამოკიდებულება დაემყარებინათ რუსული ანტიბოლშევიკური მოძრაობების წარმომადგენლებთან, რომ რუსეთ-საქართველოს ძირითად წინააღმდეგობათაგან თუნდაც ზოგიერთის გადაწყვეტა ეცადათ. მაგრამ დელეგაციამ, რომელშიც სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) ჩხეიძე და წერეთელი დომინირებდნენ, გადაჭრით უარი თქვა, მიყოლოდა ავალოვის რჩევას, მიიჩნია, რომ „რუსეთის იმპერიალისტების“ მიმართ ასეთი პოზიცია საქართველოს „საერთოევროპულ დემოკრატიასთან“ კონფლიქტში ჩააყენებდა.⁴²⁶

საქართველოსა და რუსეთის ანტიკომუნისტური წარმომადგენლების ურთიერთმტრობამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ცუდი სამსახური გაუწია ორივე მხარის საქმეს და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1920-1921 წლებში საბჭოთა რუსეთის მიერ როგორც რსშმ-ის, ისე საქართველოს რესპუბლიკის განადგურებას.

განსხვავება მოკავშირე სახელმწიფოების მიდგომაში სამხრეთ კავკასიის ახალი სახელმწიფოებისადმი

1919 წელს ძლევამოსილ მოკავშირე დიდ სახელმწიფოებს (ანტანტის წევრ წამყვან ქვეყნებს) არ ჰქონდათ კოორდინირებული საერთო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებისადმი მიდგომაში. ეს ბევრი რამით იმიტომ მოხდა, რომ მათი გეოპოლიტიკური ინტერესები სხვადასხვაგვარი იყო, და შესაბამისად სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა მათი მიდგომები „რუსული საკითხისადმი“, რომელიც მითითებულ პერიოდში მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრობლემების გადაწყვეტასთან.

საფრანგეთი

⁴²⁶ Авалов, стр. 202.

თავდაპირველად საფრანგეთის მთავრობა დისტანციას იჭერდა სამხრეთ კავკასიაში აქტიური მოქმედებისგან, იმიტომ რომ ეს რეგიონი საფრანგეთის გავლენის სფეროში ჩართული არ იყო (იხ. თავი 5). საფრანგეთის პასუხისმგებლობის ქვეშ მოხვდნენ ბესარაბია, ყირიმი, ასევე უკრაინისა და რუსეთის ანტი-ბოლშევიკური ძალების სადავო სანაპიროს უბანი, ამ დროს ბრიტანეთის პასუხისმგებლობის ზონა მოიცავდა მთელ კავკასიას, დენიკინის რსშმ-ის ტერიტორიის, კაზაკების ოლქებისა და სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის ჩათვლით.

ზემოთ ნათქვამზე დაყრდნობით, 1919 წლის დასაწყისში ჟორჟ კლემანსოს საფრანგეთის მთავრობა უმთავრესად საქართველოსთან ეკონომიკური დამოკიდებულებებით იყო დაინტერესებული და რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის სიმწიფეების იგნორირებას ამჯობინებდა.⁴²⁷ უფრო ფართო მასშტაბით საფრანგეთი იმით იყო დაინტერესებული, რომ გერმანიიდან აღმოსავლეთით საიმედო მოკავშირე ჰყოლოდა, მიიჩნევდა, რომ თუ მომავალში ბერლინი 1919 წელს მოკავშირე წამყვანი სახელმწიფოების მიერ თავზე მოხვეულ ვერსალის საზავო ხელშეკრულების პირობების გადახედვას მოინდომებდა, საფრანგეთი ვერ შეძლებდა გერმანიის სამხედრო ზეწოლასთან გამკლავებას ვერც მარტო, ვერც დიდი ბრიტანეთის დახმარებით. ასეთ ჰიპოთეტურ, მაგრამ, როგორც 1940 წლის მოვლენებმა აჩვენეს, სრულიად რეალურ სიტუაციაში საფრანგეთის საუკეთესო შესაძლო მოკავშირე მხოლოდ რუსეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის პოლიტიკურ ელიტას რუკაზე ერთიანი და სტაბილური რუსეთის ნახვა უნდოდა და არანაირი „სეპარატისტული მოძრაობის“ მხარდაჭერა არ სურდა.⁴²⁸ ერთადერთი გამონაკლისი ამ შემთხვევაში იყო პოლონეთი, რომლის მისწრაფებებს საფრანგეთი მხარს უჭერდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოებამდელი ორი რუსული მთავრობა (მეფის – 1914 წელს და რესპუბლიკის – 1917 წელს) პოლონეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დაპირებას იძლეოდა.⁴²⁹ ამ მხარდაჭერის მეორე და, შესაძლოა, ძირითადი

⁴²⁷ Авалов, с. 178-179 и 234-235.

Kazemzadeh, pp. 270-272.

⁴²⁸ Авалов, с. 135.

⁴²⁹ К. Левицкий, *Велики зрив: до історії Української державності від березня до листопада 1918 р. на підставі споминів та документів* (Нью-Йорк, 1968), стр. 52-54.

მიზეზი იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის არაწინასწარგანსაზღვრულობა, იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყანა საბჭოების სტაბილურ კონტროლს დაექვემდებარებოდა. მითითებულ სიტუაციაში ძლიერი პოლონეთი შეიძლება საფრანგეთის ალტერნატიული მოკავშირე (ერთგვარი „ალტერნატიული რუსეთი“) გამხდარიყო გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარზე.⁴³⁰ ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის ორი სხვა რესპუბლიკაც, საფრანგეთისთვის არანაირ ინტერესს არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ფრანგი დიპლომატებისა და პოლიტიკოსების თვალში საქართველოს რეპუტაცია საკმაოდ შელახული იყო იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ 1918 წლის მარტში ხელი მოაწერა ფოთის ხელშეკრულებას გერმანიასთან.

1920 წლის დასაწყისი საფრანგეთ-საქართველოს დამოკიდებულების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით აღინიშნა, მაგრამ 1919 წლის დასაწყისში ის საქართველოსთვის ხელსაყრელობისგან შორს იყო.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკული მიდგომა დამარცხებული ქვეყნების ომამდელი სამფლობელოების ტერიტორიულად გადაკეთების მიმართ განსხვავდებოდა ევროპელი მოკავშირეების მიდგომისგან, რადგან ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მიერ ჩამოყალიბებულ „თვითგამორკვევის“ პრინციპებს ემყარებოდა. ამ პრინციპების შესაბამისად სადავო ტერიტორიების მოსახლეობას თავისი პოლიტიკური მომავლის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება უნდა მიეღო. ეს პრინციპები, ისინი რომ უპირობოდ მიეღო პარიზის კონფერენციას, შეიძლება საქართველოსთვის საკმაოდ საშიში აღმოჩენილიყო, რადგანაც 1919 წლის დასაწყისისთვის ბევრი ქართული ისტორიული მიწა ნაირგვარი უმცირესობებით (სომხებით, აზერბაიჯანელებით, ოსებით და ა. შ.) იყო დასახლებული. მაგრამ ევროპელი მოკავშირეები ყველა ქვეყნისა და ტერიტორიის მიმართ ამ პრინციპების გამოსაყენებლად სრულიად არ

S. McMeekin, *The Russian Origins of the First World War* (London, 2011), pp. 21, 87-90 and 216-217

⁴³⁰ M. MacMillan, *Paris 1919: Six Months that Changed the World* (New York, 2002), pp. 212, 216, 221, and 226.

იყვნენ მზად და კონფერენციაზე გადაწყვეტილებების მიღების მსვლელობაში ხშირად ხდებოდა ამ პრინციპების იგნორირება.

იმავედროულად 1919 წლის ივნისში აშშ-ის მთავრობას არ გამოუმჯღავნებია საქართველოსა და ამიერკავკასიის ორი სხვა რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობის იდეის მხარდაჭერის სურვილი. ამის ნაცვლად კონფერენციაზე ამერიკის წარმომადგენლები მომავალი ფედერაციული რუსეთის შემადგენლობაში ამ ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ავტონომიის იდეას მისდევდნენ. ასეთი მიდგომის მიზეზი იყო ადმირალ კოლჩაკის ანტიბოლშევიკური არმიის დროებითი წარმატებები, რომლებიც საბჭოებამდელი რუსული სახელმწიფოს რესტავრაციის იმედს იძლეოდნენ. ასეთი რესტავრაცია რომ მომხდარიყო, რუსეთი დაიბრუნებდა მოკავშირე დიდი სახელმწიფოს სტატუსს ყველა თავისი ომამდელი სამფლობელოს განუყოფლად შენარჩუნებით.⁴³¹

1919 წ. ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში კოლჩაკის განადგურებამ სამხრეთ კავკასიისა და, მათ შორის, საქართველოსადმი ამერიკის მიდგომის ერთგვარი კორექტირება გამოიწვია. ეს იმაში გამომჯღავნდა, რომ 1919 წ. ზაფხულის ბოლოს გამოცდილმა დიპლომატმა და პრეზიდენტ ვილსონის მრჩეველმა ედუარდ მანდელ ჰაუსმა საქართველოს მხარი ღიად დაუჭირა დენიკინის მოხალისეთა არმიასთან მის კონფლიქტში.⁴³² 1919 წლის შემოდგომით ვუდრო ვილსონის ადმინისტრაციამ საქართველოსა და სომხეთზე აშშ-ის მანდატის გეგმის დამუშავებაც დაიწყო ერთა ლიგის 1919 წლის 28 ოქტომბრის წესდების მუხ. XXII-ის შესაბამისად.⁴³³

მანდატის გეგმის განხილვის მსვლელობაში ქართული დელეგაციისა და სამშვიდობო კონფერენციის წევრებს შორის წარმოიშვა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა უცხო სახელმწიფოს მანდატი დამოუკიდებლობას შეუთავსდეს? და მართლაც,

⁴³¹ Авалов, стр. 193-194.

⁴³² Авалов, стр. 199 и 226.

⁴³³ თუმცა თავდაპირველად ეს გეგმა განსაკუთრებულად სომხეთისთვის იყო ჩაფიქრებული, ის მალე გააფართოვეს, სამანდატო ტერიტორიაში ასევე საქართველოს ჩართვითაც, რაკი ზღვაზე გასასვლელის არმქონე სომხეთის რესპუბლიკაზე სტაბილური კონტროლი შეუძლებელი იყო საქართველოზე კონტროლის დამყარების გარეშე, რადგან მხოლოდ ქართულ ნავსადგურებზე მისადგომს შეეძლო სომხეთისთვის დასავლეთის სამყაროსთან საიმედო კავშირის უზრუნველყოფა.

მანდატების მთელი სისტემა იმისთვის იყო შექმნილი რომ „კოლონიები და ტერიტორიები, რომლებმაც უკანასკნელი ომის შედეგად შეწყვიტეს სახელმწიფოების, რომლებიც მათ ადრე მართავდნენ, სუვერენიტეტის ქვეშ ყოფნა და დასახლებულია თანამედროვე მსოფლიოს რთულ პირობებში დამოუკიდებელი მმართველობისთვის ჯერ კიდევ უუნარო ხალხებით“; ჩაბარდეს „მოწინავე ერებიდან“ ერთ-ერთის დროებით კონტროლს.⁴³⁴ მნელია, არ დაეთანხმო ქართული დელეგაციის მეთაურის ჩხეიძის აზრს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ყოფილი, „თავის მართვისთვის უუნარო“ კოლონიის სტატუსის მიღება დამამცირებელი იქნებოდა. მეორე მხრივ ზურაბ ავალოვი, რომელიც ქართული დელეგაციის წევრი და ამასთან ამერიკის მანდატის აქტიური მომხრე იყო, ასევე მართალი იყო, დელეგაციის წევრებს გერმანიასთან ფოთის მოლაპარაკებას რომ ახსენებდა, რომელიც ფაქტიურად ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიაზე გერმანიის პროტექტორატს ნიშნავდა. ავალოვი ასევე მისი ოპონენტების ყურადღებას იმაზე ამახვილებდა, რომ, ფინეთისგან განსხვავებითაც კი, საქართველოს 1918 წლამდე ას წელზე მეტი არ ჰქონდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის გამოცდილება და თვითკმარი არ იყო ფინანსური და სამხედრო აზრით. უკვე ეს აყენებდა საქართველოს „მოწინავე ერებიდან“ ერთ-ერთისგან დამოკიდებულ მდგომარეობაში.⁴³⁵

შესაძლოა, ავალოვი ასევე მართალი იყო, როცა ვარაუდობდა, რომ ამერიკის ან დასავლეთის სხვა მანდატი რუსეთისგან (საბჭოთა ან არასაბჭოთა) საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტია იქნებოდა, მაგრამ 1920 წლის 29 მაისს აშშ-ის სენატმა უარყო პრეზიდენტ ვილსონის წინადადება სომხეთზე მანდატის დადგენის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ავტომატურად ხურავდა საკითხს საქართველოზე ამერიკის მანდატზეც. მოცემული წიგნის შეზღუდული ჩარჩო საშუალებას არ იძლევა, პრეზიდენტ ვილსონის გეგმის აშშ-ის სენატის მხარდაჭერაზე უარის მიზეზების დეტალურ ანალიზზე შევჩერდეთ. მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო გენერალ-მაიორ ჯეიმს ჰარბორდის – ვილსონის მიერ რეგიონში 1919 წლის 19 აგვისტოს გაგზავნილი აშშ-ის სამხედრო მისიის

⁴³⁴ S. Pedersen, *The Guardians: The League of Nations and the Crisis of Empire* (Oxford, 2015), pp. 408-409

⁴³⁵ Авалов, стр. 215-220.

მეთაურის ანგარიში.⁴³⁶ გენერალ ჰარბორდის მიერ გაკეთებული დასკვნები ძალიან შორს იყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების სარგებლისგან.⁴³⁷ ამის გარდა, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე სომხეთის დელეგაციის გრანდიოზული მოთხოვნებისა და ეთნოსებს შორის კონფლიქტებისგან ნაწილებად გადაქოთებული რეგიონის გამო, ჰარბორდი არა მხოლოდ სომხეთის (როგორც რუსულის, ისე თურქულის), აზერბაიჯანის, საქართველოსა და კილიკიის, არამედ ანატოლიის, კონსტანტინოპოლისა და აღმოსავლეთ თრაკიის ჩათვლით მთელი თურქეთის აშშ-ის სამანდატო ტერიტორიებში ჩართვის რეკომენდაციას იძლეოდა.⁴³⁸ ამ რეკომენდაციამ ამერიკის მთელი სამანდატო გეგმა ძალიან ვეებერთელა და ძალიან ძვირადღირებული გახადა, იმის შემდეგაც კი, როცა პრეზიდენტმა ვილსონმა ის „ინტეგრალურ სომხეთამდე“ (რუსულ და თურქულ) და კონსტანტინოპოლთან ერთად შავი ზღვის სრულტეებამდე შეკვეცა.⁴³⁹ აშშ-ის სენატორთა სკეპტიკური დამოკიდებულების მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ამერიკელი პოლიტიკოსების უმრავლესობის აზრით სომხებისა და ამიერკავკასიის სხვა ქრისტიანების დაცვაზე მორალურად პასუხისმგებელი ძირითადი მოკავშირე სახელმწიფო იყო დიდი ბრიტანეთი. აშშ ისედაც საკმაოდ იყვნენ შებოჭილი ლათინურ ამერიკაში, კარიბის ზღვის აუზსა და ფილიპინებზე „დიდი ძმის“ როლით, რაც ამერიკელ გადასახადების გადამხდელთა მხრებზე კიდევ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის რეგიონის ფინანსური ტვირთის დადებას პრობლემატურს ხდიდა.⁴⁴⁰ და ბოლოს, უკანასკნელი, მაგრამ ამასთან ვილსონის კავკასიური გეგმების ჩავარდნის ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზი ის იყო, რომ რიჩარდ ოვანისიანის აზრით აშშ-ის ბევრი კონგრესმენი უკმაყოფილო იყო იმით, რომ

⁴³⁶ Авалов, стр.228-229.

Kazemzadeh, pp. 260-261.

⁴³⁷ Авалов, стр. 229-230.

J.G. Harbord, *Conditions in the Near East: Report of the American Military Mission to Armenia* (Washington, 1920) p. 14.

⁴³⁸ Авалов, стр. 230-231.

Brown, *Op.cit.*, p. 397.

Harbord, *Op. cit.*, pp. 15-16 and 20-29.

Kazemzadeh, p. 261.

⁴³⁹ *Foreign Relations of the USA, 1919, Vol.V*, p. 622.

⁴⁴⁰ Brown, pp. 397-399.

პრეზიდენტმა მათთან კონსულტაცია არ გაიარა მანამ, სანამ პარიზის კონფერენციაზე მანდატის შესახებ განცხადებას გააკეთებდა.⁴⁴¹

ვილსონის სამანდატო გეგმის ჩავარდნის შემდეგ მთლიანად აშშ-ის ადმინისტრაცია თავისით ჩამოცილდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის იმ დღეებში „აღმოსავლეთის საკითხის“ საერთო სახელით ცნობილ პრობლემებს.

იტალია

აშშ-ის სენატში სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკაზე ამერიკის მანდატის დადგენის შესაძლებლობის განხილვასთან თითქმის ერთდროულად ამგვარი გეგმა 1919 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე განიხილებოდა იტალიის პოლიტიკური და საქმიანი წრეების მიერ. იტალია ანტანტის დიდ სახელმწიფოებს მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შუა ხანებში შეუერთდა და რამდენიმე სერიოზული მარცხი იგემა. ამის შედეგად მან ბევრად ნაკლები ტერიტორიული და სხვა შენაძენი მიიღო, ვიდრე იმედოვნებდა. ვიტორიო ორლანდოს მთავრობა მოკავშირეთა გამარჯვების ნაყოფის განაწილებისას თავს დაჩაგრულად თვლიდა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ექსპანსიის შესაძლებლობის განსახილველად იყო მზად. ზემოთ ნათქვამის შუქზე სამხრეთი კავკასია მისი უმდიდრესი წიაღისეულით იტალიის მთავრობას შეიძლება სავსებით მიმზიდველად მოჩვენებოდა. როგორც საქართველოს მთავრობამ, ისე საქართველოს წარმომადგენლებმა პარიზში ერთდროულად სიამოვნებით მიიღეს იტალიის მიერ ოკუპაციისა და იტალიის მანდატის იდეა მათი ქვეყნიდან ბრიტანეთის ჯარების შესაძლო ევაკუაციის გამო მათი ღრმა შემფოთების ძალით.⁴⁴²

1919 წ. მაისში იტალიის სპეციალური მისია პოლკოვნიკ მელქიადე გაბას მეთაურობით საქართველოსა და აზერბაიჯანს ეწვია ამ ორი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოკვლევისა და მათსა და იტალიას შორის ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობის შესაძლებლობის განხილვის მიზნით. იტალიის მანდატის იდეას პარიზში ასევე აქტიურად ლობირებდნენ სამ-

⁴⁴¹ Hovannisian, Vol.II, p.367.

⁴⁴² Авалов, стр. 221-222.

F.S. Nitti, *L'Europa senza pace* (Firenze, 1921), p. 140.

შვიდობო კონფერენციაზე იტალიის დელეგაციის მეთაურები ჯუზეპე სალვაგო რაჯი და მარკიზი პიეტრო დელა ტორეტა. იტალიაში ამ პროექტს ასევე აქტიურად უჭერდა მხარს გავლენიანი ეროვნული გაზეთი „კორიერე დელა სერა“.⁴⁴³

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებზე იტალიის მანდატის გეგმა სრულიად რეალური ჩანდა 1919 წ. ივნისის ბოლომდე, როცა ორლანდოს კაბინეტი ფრანჩესკო სავერიო ნიტის მთავრობამ შეცვალა. 1919 წ. შემოდგომაზე რომში კონსტანტინე საბახტარაშვილის მეთაურობით გაგზავნილი ქართული მისიის შეუპოვარი შრომის მიუხედავად ნიტიმ უარი თქვა კავკასიის საქმეებში იტალიის ჩარევის იდეაზე. იტალიის ახალი პრემიერი იტალიური ეკონომიკისთვის საქართველოსა და აზერბაიჯანის ბუნებრივი სიმდიდრეების პოტენციურ მნიშვნელობის აღიარებისას დარწმუნებული იყო, რომ მისი ქვეყნის ჯარების მიერ კავკასიის ოკუპაცია რუსეთთან ომით დამთავრდებოდა, მსგავსი პერსპექტივა კი იტალიის ინტერესებს არ პასუხობდა.⁴⁴⁴

თუმცა იტალიის მანდატის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, ამას იტალიასა და საქართველოს შორის ორმხრივი ეკონომიკური დამოკიდებულების განვითარება არ შეუჩერებია. უფრო მეტიც, საქართველომ იტალიის აქტიური მხარდაჭერა მიიღო სამშვიდობო კონფერენციაზე, რომლის მსვლელობაში იტალიელი წარმომადგენლები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ლობირებდნენ, 1919 წლის ზაფხულში კაბინეტის ცვლის შემდეგაც კი.

დიდი ბრიტანეთი

საეჭვოა, გაზვიადება იყოს თქმა, რომ 1919-1920 წლებში ანტანტის ყველა ქვეყანას შორის საქართველოს საკითხში ყველაზე მეტად ჩარეული სწორედ დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა. ასევე გვახსოვდეს, რომ 1917 წ. 23 დეკემბრის „ინგლის-საფრანგეთის

⁴⁴³ Авалов, стр. 222-223.

Hovannisian, Vol.III, p.496.

⁴⁴⁴ Авалов, стр.224.

Foreign Relations of the USA, 1919, Vol.VII, pp. 647-648.

Hovannisian, Vol.III, pp.497-498.

Kazemzadeh, pp. 260 and 271.

Nitti, p. 141.

კონვენციის“ შესაბამისად მთელ კავკასიაზე, რუსეთის სამხრეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, ასევე თურქეთის შავი ზღვის სანაპიროზე პასუხისმგებლობა სწორედ შეერთებულ სამეფოს დაეკისრა.⁴⁴⁵

დროის აღწერილ პერიოდში კოლჩაკისა და დენიკინის ანტიბოლშევიკური არმიების ცენტრალურ რუსეთში საბჭოთა რეჟიმის დამხობისკენ მიმართული ბრძოლის მხარდაჭერისას დიდი ბრიტანეთის მთავრობა და კონსტანტინოპოლში ბრიტანული სარდლობა ასევე მხარს უჭერდნენ სამხრეთ კავკასიის ფაქტიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში კანონიერებისა და წესრიგის დამყარების სტრატეგიის ჩარჩოებში. ამასთან ლონდონშიც, კონსტანტინოპოლშიც მიიჩნევდნენ, რომ ჩამოქცეული იმპერიის არარუსულ რეგიონებში პოლიტიკური სტაბილობის აღდგენა „ადგილობრივი, მათ შორის ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იდეისადმი მტრული ელემენტების დახმარებით“ უნდა მოხდეს.⁴⁴⁶ ამასთან, 1918 წლის ბოლოს – 1919 წლის დასაწყისში მოკავშირე დიდი სახელმწიფოები უცვლელად გადადებდნენ ხოლმე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას. ჯამში მათმა სტრატეგიამ მოკავშირეებში საერთო უკმაყოფილება და იმედგაცრუება გამოიწვია როგორც რუსი იმპერიალისტების, ისე კავკასიელი სეპარატისტების მხრიდან. საქართველოსა და დენიკინის დიპლომატების ყველა ენერგიულ პროტესტზე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერები პასუხობდნენ ერთი და იგივე მანტრით⁴⁴⁷ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის შესახებ, სადაც ახალი სახელმწიფოების ბედის გადაწყვეტა, ასევე ახალი საზღვრების დადგენა იყო ნავარაუდები.

მეორე მხრივ, რსშმ-სა და საქართველოს შორის კონფლიქტის ზონაში ბრიტანელთა ტაქტიკური პოლიტიკა კიდევ უფრო წინააღმდეგობრივად გამოიყურებოდა. ასე, 1919 წლის 24 იანვარსა

⁴⁴⁵ А. Деникин, стр.39;

L. Kopisto, *The British Intervention in South Russia 1918-1920; Academic Dissertation* (Helsinki, 2011), pp. 50-51.

⁴⁴⁶ Kazemzadeh, p.238.

⁴⁴⁷ მანტრა (სანსკ.) – ბგერების, ცალკეული ფონემების, სიტყვების ან სიტყვების ჯგუფის ნაკრები, რომლებსაც მომხმარებელთა აზრით ფსიქოლოგიური და სულიერი ზემოქმედება აქვთ (მთარმ. შენიშვნა).

და 12 ივნისს შორის ბრიტანელი სამხედრო წარმომადგენლები შავი ზღვის რეგიონში სოჭის ოკრუგზე სუვერენიტეტისა და დროებითი სადემარკაციო ხაზის თაობაზე საქართველოს მთავრობასა და დენიკინის ადმინისტრაციას არა უბრალოდ წინააღმდეგობრივ, არამედ ურთიერთგამომრიცხავ ინსტრუქციებს აძლევდნენ. დასაწყისში რსშმ-ის სარდლობამ მიიღო მითითება, არ გადასულიყვნენ ხაზს მდინარე მაკოფსეს გაყოლებით. როცა ამ აკრძალვას დენიკინელებმა იგნორირება გაუკეთეს, ქართულმა მხარემ „მწვანე შუქი“ მიიღო სოჭისკენ გადაადგილებაზე. მაგრამ როგორც კი ქართველებმა კონტრიერიში დაიწყეს და მდინარე მზიმთას მიაღწიეს, მათ მოულოდნელად უკან მდინარე ბზიფის ხაზზე ჯარის დაბრუნება უბრძანეს.⁴⁴⁸ ასეთი არათანმიმდევრულობის მიზეზების ძებნაში მოცემული საკითხის შემსწავლელ ავტორთა უმრავლესობა შემდეგ დასკვნებამდე მიდის:

1. თვით დიდ ბრიტანეთში არ არსებობდა კონსენსუსი წრეებში, რომლებიც შავი ზღვის რეგიონში რუსეთის იმპერიის სამფლობელოების მიმართ ბრიტანეთის პოლიტიკის ძირითადი ვექტორების განმსაზღვრელ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.⁴⁴⁹
2. ადგილებზე ტაქტიკური გადაწყვეტილებების დიდი ნაწილის მიღებაზე დელეგირება კეთდებოდა რეგიონის სხვადასხვა ნაწილებში მივლინებულ სამხედრო წარმომადგენლებზე, ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ ეს ადამიანები ზოგჯერ არ ფლობდნენ საკმაო ცოდნასა და კვალიფიკაციას.⁴⁵⁰

⁴⁴⁸ Деникин, стр. 155-163.

Джугели, стр. 143.

Ментешашвили, стр. 36-45.

⁴⁴⁹ K. Jeffery, *The British Army and the Crisis of Empire 1918-1922* (Manchester, 1984), pp. 135-136, 139.

L. Kopisto, pp. 58-67, 80, 100-105.

J.D. Rose, "Batum as Domino, 1919-1920: The Defence of India in Transcaucasia" in *The International History Review*, Vol. 2, No. 2 (Apr., 1980), pp. 266-287.

⁴⁵⁰ Rose, *Ibid.*

Kopisto, pp.78-79.

1918-20 წლებში რუსეთის სამხრეთსა⁴⁵¹ და სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის ინტერვენციის მსვლელობაში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში სიტუაციისადმი გადაწყვეტილებების მიღების მთელი პროცესი განისაზღვრებოდა სამი სხვადასხვა და ნაწილობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომით დიდი ბრიტანეთის სამი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ლიდერის მხრიდან. ეს ლიდერები იყვნენ უინსტონ ჩერჩილი (შეიარაღების მინისტრი 1919 წლის იანვრიდან 1921 წლის თებერვლის ჩათვლით), ჯორჯ კერზონი (საგარეო საქმეთა მინისტრი 1919 წლის ოქტომბრიდან 1924 წლის იანვრის ჩათვლით) და დევიდ ლოიდ ჯორჯი (პრემიერ მინისტრი 1919 წლის ოქტომბრიდან 1922 წლის ოქტომბრის ჩათვლით). ბრიტანეთის პოლიტიკის ზემოთ დასახელებული ბურჯებიდან არც ერთი არ გამოდიოდა სამხრეთ კავკასიის ახალი რესპუბლიკების მხარდაჭერის წინააღმდეგ. მაგრამ მათი აზრები არსებითად განსხვავდებოდნენ ამ რესპუბლიკებისა და რუსი ანტიბოლშევიკების მხარდაჭერის ხარისხის თაობაზე, ისევე როგორც „საღვთო და განუყოფელი რუსეთის“ ადვოკატების მხრიდან კავკასიის ახალ სახელმწიფოებთან შესაძლებელი დათმობების თაობაზეც.

ჩერჩილი გარკვეულად რუსული ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის ყველაზე მეტად თანმიმდევრული და უკომპრომისო მომხრე იყო. ის იწონებდა და მხარს უჭერდა ციმბირში ადმირალი კოლჩაკისა და რუსეთის სამხრეთში გენერალ დენიკინის ყველა მოქმედებას⁴⁵² და მხოლოდ 1920 წლის 14 ნოემბერს ყირიმში განადგურებული ბარონ ვრანგელის ანტიბოლშევიკური „რუსული

⁴⁵¹ საკმაოდ ბევრი თანამედროვე მკვლევარი (მაგალითად, კოპისტო) ტერმინს „სამხრეთი რუსეთი“ არა მხოლოდ საკუთრივ რუსეთის სამხრეთის, არამედ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი), უკრაინასა და ბესარაბიასთან მიმართებაში ხმარობენ. ჩვენ ვამჯობინებთ, თანამედროვე რეალობის, ისე როგორც აღწერილი პერიოდის რეალობის გათვალისწინებით ამას გავერიდოთ.

⁴⁵² უინსტონ ჩერჩილმა ვრანგელის უპირობო მხარდაჭერა გამოხატა 1920 წლის 20 მარტს დენიკინის თადარიგში გასვლისა და ყირიმში რუსეთის სამხრეთის ანტიბოლშევიკური ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე ბარონ პიოტრ ვრანგელის მოსვლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, არასაბჭოთა რუსეთის რელიქტის აგონიის მოკლე პერიოდი მოცემული კვლევის ჩარჩოებიდან შორს გამოდის.

არმიის“ საბოლოო კრახმა რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის დამხობაზე ჩერჩილის იმედებს ბოლო დაუდო.

იმავე დროს თავისი უკომპრომისო სამხედრო მინისტრისგან განსხვავებით პრემიერი ლოიდ ჯორჯი როგორც რსშმ-ის, ისე რუსეთის სხვა ანტიბოლშევიკური ძალების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას მისდევდა და რუსეთის სამოქალაქო ომში მეტისმეტად ღრმად ჩარევის წინააღმდეგი იყო.⁴⁵³ ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბრის ბოლოს ლოიდ ჯორჯი აშშ პრეზიდენტის ვუდრო ვილსონისა და კანადის პრემიერ-მინისტრის რობერტ ბორდენის ინიციატივის მხარდაჭერით გამოვიდა, – კონსტანტინოპოლთან ახლოს განლაგებულ პრინცის კუნძულებზე ერთობლივ კონფერენციაში მონაწილეობისთვის მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად „სახელმწიფოებრივი ახალწარმონაქმნების“ ჩათვლით რუსეთის ყველა მეომარი მხარის წარმომადგენლები მოეწვიათ.⁴⁵⁴ მაგრამ პრინცის კუნძულებზე კონფერენციის გეგმა ჩავარდა.⁴⁵⁵ მალე ამას მოჰყვა დენიკინის

⁴⁵³ ჩერჩილის მიერ შეთავაზებულ „ანტიბოლშევიკურ ჯვაროსნულ ლაშქრობაში“ დიდი ბრიტანეთის მონაწილეობის მხარდაჭერის ლოიდ ჯორჯის თავდაპირველი სურვილის არქონის ერთ-ერთი მიზეზი იყო 1918 წლის ივნისში გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის მიერ მიღებული აქტი სახალხო წარმომადგენლობაზე. ამ ახალმა კანონმა არსებითი რეფორმა გაუკეთა ბრიტანეთის საარჩევნო სისტემას, მნიშვნელოვნად გაზარდა ელექტორატი ქონებრივი ცენზის თითქმის სრული შეცვლისა და ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭების გზით. შედეგად ხმის უფლება მიიღეს მცირედ უზრუნველყოფილ მოქალაქეთა მასებმა, რომელთაგან ბევრი საბჭოთა რუსეთისადმი გარკვეულ სიმპათიებს განიცდიდა. ჩამოყალიბებულ სიტუაციაში ლოიდ ჯორჯის კაბინეტის მიერ რუსეთში ანტიბოლშევიკური მოძრაობისთვის მხარდაჭერას 1918 წლის დეკემბრის არჩევნებზე ლეიბორისტულ პარტიასთან დაპირისპირებაში შეიძლება მისი და ლიბერალური კოალიციის, რომელსაც ის მეთაურობდა, დაცემა გამოეწვია.

⁴⁵⁴ Avalov, c. 178-182.

Kopisto, pp. 62-65.

⁴⁵⁵ „რუსეთის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში“ ჩაბმულმა არც ერთმა მხარემ, ბოლშევიკებისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით, არ მიიღო დაგეგმილ კონფერენციაზე მიწვევა. ბოლშევიკურმა მთავრობამ, თავის მხრივ, პრინცის კუნძულებზე თავისი დელეგატების გაგ-

ელვისებური ტრიუმფი 1919 წლის ზაფხულსა და ადრე შემოდგომაზე, როცა მას, როგორც ჩანდა, მოსკოვის აღებამდე რამდენიმე ნაბიჯი აკლდა. სწორედ მაშინ დაიწყო ბრიტანეთის პრემიერმა მისი კაბინეტის წევრთა უმრავლესობის სიფრთხილის გაზიარება იმის შესახებ, რომ დენიკინის შესაძლო გამარჯვება რუსეთში სამხედრო დიქტატურის დამყარებასა და კავკასიისა და ბალტიისპირეთის „ლიმიტროფულ“⁴⁵⁶ სახელმწიფოებში“ შემდგომ შეჭრას გამოიწვევდა.⁴⁵⁷ თუმცა ამას არ გამოუწვევია სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყნიდან, ბათუმის ნავსადგურისა და მის გარშემო ტერიტორიის გარდა, ბრიტანეთის ჯარის ევაკუაციის დაწყების შესახებ ლოიდ ჯორჯის მთავრობის კაბინეტის 1919 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების შეჩერება.⁴⁵⁸ წითელი არმიის ძალების მიერ 1919 წლის შემოდგომის ბოლოს რსშმ-ის განადგურებამ და თეთრი მოძრაობის 1920 წლის მარტამდე გაგრძელებულმა მომდევნო აგონიამ კი ლოიდ ჯორჯი და ბრიტანეთის კაბინეტი იმ დასკვნამდე მიიყვანეს, რომ მოკავშირე სახელმწიფოების მიერ არაღიარებული ბოლშევიკები რუსეთის ერთადერთი რეალური მმართველები არიან. აქედან გამომდინარეობდა კრემლთან მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობა,⁴⁵⁹ იმავდროულად „თეთრების“ მხარდაჭერის“ შეწყვეტით.⁴⁶⁰

ლოიდ ჯორჯისა და ჩერჩილისგან განსხვავებით კერზონი საკუთრივ რუსეთში სიტუაციას დიდი ბრიტანეთისთვის პრიორიტეტულად მნიშვნელოვნად არ თვლიდა, თუმცა ბრიტანეთის სამხედრო უწყების მეთაურზე არანაკლებ ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს მისდევდა. ამავე დროს კერზონი კავკასიის „ლიმიტროფული სახელმწიფოების“ მაქსიმალური მხარდაჭერის მომხრე იყო პირდაპირ სამხედრო ყოფნამდეც კი.⁴⁶¹ დიდი

ზავნის მზადყოფნის გამოთქმისას საომარი მოქმედებების შეჩერებაზე უარი განაცხადა.

⁴⁵⁶ ლიმიტროფი (ლათ. limitrophus – სასაზღვრო) – ტერმინი, რომელიც 1917 წ. შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლონაში შემავალ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული სახელმწიფოების ერთობლიობას აღნიშნავს.

⁴⁵⁷ Kopisto, p.104.

⁴⁵⁸ Rose, *Op. Cit.*, p.267.

⁴⁵⁹ დიდი ბრიტანეთის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობა რამდენიმე წლის შემდეგ, 1924 წ. 1 თებერვალს შედგა.

⁴⁶⁰ Kopisto, 104 and 154-156.

⁴⁶¹ Rose, pp. 268 and 272.

ბრიტანეთისთვის სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობის მისეული შეფასება ემთხვეოდა სამხედრო მინისტრის პოსტზე ჩერჩილის წინამორბედის ალფრედ მილნერის შეფასებას, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წ. ნოემბრის დასაწყისში ბრიტანელების მიერ ამ რეგიონის ოკუპაციის მნიშვნელობას დაჟინებით უსვამდა ხაზს.⁴⁶² კერზონის თვალთახედვიდან ბრიტანეთის კოლონიური იმპერიისთვის სამხრეთ კავკასიას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა უპირველეს ყოვლისა მისი გეოგრაფიული მდებარეობის ძალით, რომელიც ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთში რუსული და თურქული შესაძლო ექსპანსიის წინააღმდეგ კავკასიის სამი ახალი სახელმწიფოს (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის) „გადამღობ ზღუდედ“ გამოყენების საშუალებას იძლეოდა,⁴⁶³ იმაზე თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ნავთობის უმდიდრესი საბადოები იყო განლაგებული.⁴⁶⁴ ლორდ კერზონის კავკასიურ დოქტრინას მხარი დაუჭირა არა მხოლოდ ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ალფრედ მილნერმა, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრმა არტურ ბალფურმაც.⁴⁶⁵

ინდოეთის უსაფრთხოებაზე მუქარის გამო კერზონის სიფრთხილე უსაფუძვლო არ იყო. 1919 წელს ბოლშევიკი ლიდერები მიხვდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ, ევროპაში მასობრივი მარქსისტული აჯანყებების იმედი ჰქონოდათ. დასავლეთის მიმართულებით „მსოფლიო რევოლუციის“ გავრცელებაზე იმედების მიღევამ კრემლი იდეოლოგიური და სამხედრო ექსპანსიის შესაძლებლობების ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში ძებნა აიძულა. ამასთან დაკავშირებით რსფსრ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი ლევ ტროცკი (ლეიბა ბრონშტეინი) წერდა:

Hovannisian, *Vol.III*, pp.31 – 32.

⁴⁶² Jeffery, pp.134 and 139.

⁴⁶³ Hovannisian, *Vol.I*, p. 269.

Kopisto, pp. 25, 27 - 28, 59 and 104-105.

⁴⁶⁴ Jeffery, p.134.

⁴⁶⁵ Kopisto, pp. 58-62.

“საერთაშორისო მდგომარეობა, როგორც ჩანს, ისე ეწყობა, რომ პარიზისა და ლონდონისკენ გზა ავღანეთის, პენჯაბისა და ბენგალიის ქალაქებზე გადის“⁴⁶⁶

1919 წლის გაზაფხულზე ტროცკის კოლეგა, საბჭოთა რუსეთის უმაღლესი სამხედრო ინსპექციის მეთაური ნიკოლაი პოდვოისკი ახალი სტრატეგიული ამოცანების დეკლარაციას აკეთებდა:

„დასავლეთში რევოლუცია შენელდა. ჩვენ უნდა ავანთოთ აღმოსავლეთი, დავრაზმოთ თურქეთის, სპარსეთის, ინდოეთის ღარიბები, დავრაზმოთ ავღანეთი“⁴⁶⁷

ზემოთ მოხსენებული ბოლშევიკი ლიდერების მიერ გახშირებულ კრემლის ექსპანსიურ მისწრაფებებს იმ პირობით შეეძლოთ დიდი ბრიტანეთის მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მიღებაზე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შანსების არსებითად ამაღლება, თუ კერზონი რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ყოფნის შენარჩუნებაში კაბინეტის დარწმუნებას მოახერხებდა.⁴⁶⁸ მაგრამ ბაქოს მოულოდნელად სწრაფმა დაცემამ (1920 წ. 27-28 აპრილი) გაარღვია „კერზონის გადამღობი ზღუდე“, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სადავო თითქმის ყველა ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ (1920 წ. 28-31 ივლისი) კი „კორიდორი“ შექმნა ქემალისტურ თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ამან საბჭოთა ექსპანსიის საწინააღმდეგოდ სამხრეთ კავკასიის ბუფერის იდეა ნულამდე დაიყვანა. ბათუმიდან 1920 წლის 9 ივლისს ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარის ევაკუაციამ სულ სამი კვირით ადრე მანამ, სანამ ნახჭევანში წითელი არმიისა და თურქეთის ეროვნული ჯარი შეერთდე-

⁴⁶⁶ Ю. Фельштинский, Архив Троцкого. Коммунистическая оппозиция в СССР 1923-1927 (Москва, 1990), т.1, р.54.

А. Щербаков, Сталин против Троцкого (Москва 2013), с. 206.

⁴⁶⁷ Деникинъ, т. IV, с. 11.

⁴⁶⁸ ბევრი ავტორი ტერმინს „ამიერკავკასია“ კავკასიონის დიდი ქედის სამხრეთით რუსეთის ყოფილი სამფლობელოების აღსანიშნავად იყენებს. ჩვენ ვამჯობინებთ ტერმინს „სამხრეთ კავკასია“, რომელშიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, ასევე ყოფილი შავი ზღვის გუბერნიის სოჭისა და ტუაფსეს ოკრუგებს ვგულისხმობთ.

ბოდენენ,⁴⁶⁹ კერზონის კავკასიური პოლიტიკის ჩავარდნა გამოაჩინა. ამ მომენტიდან სამხრეთ კავკასიის ჯერ კიდევ დამოუკიდებლად დარჩენილი რესპუბლიკები (ახლა უკვე მხოლოდ საქართველო და სომხეთი) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ბედის ანაბარად დატოვეს.⁴⁷⁰

1920 წლის გაზაფხული და ზაფხული აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და, კერძოდ, შავი ზღვის აუზში ბრიტანეთის პოლიტიკისადმი ლოიდ ჯორჯის მიდგომის გამარჯვებით აღინიშნა. ბრიტანეთის პრემიერის მტკიცებით საბჭოების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დაპყრობა სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდა ინდოეთსა და მესოპოტამიაში გაერთიანებული სამეფოს სამფლობელოებისთვის სამოქალაქო ომის შედეგად ბოლშევიკური რუსეთის სისუსტის გამო.⁴⁷¹ მართლაც, 20-იანი წლების დასაწყისში რსფსრ მეტისმეტად იყო სისხლისგან დაცლილი იმისთვის, რომ 1877 წლის რუსეთის იმპერიის საზღვრების ფარგლებს იქით გასვლით თავისი გავლენის სფერო გაეფართოებინა.⁴⁷²

ამასთან გარკვეული საერთო მიზანდასახულობისა და მათი მოქმედების კოორდინაციის არქონისას ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლებს ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე

⁴⁶⁹ ბაქოსა და ყარაბაღში მყოფი თურქული ჯარის ელემენტები 1920 წლის აპრილის ბოლოდან პირდაპირ კონტაქტში იმყოფებოდნენ წითელი არმიის სარდლობასთან.

⁴⁷⁰ მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის მხარდაჭერის შეწყვეტაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს სანრემოს კონფერენციის (1920 წ. 18-26 აპრილი) შემდეგ, სადაც საქართველოსა და სომხეთის დელეგაციებმა ვერც ერთმანეთთან, ვერც დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან, რომელსაც კონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – ლორდი რობერტ ვანსიტარტი წარმომადგენდა, კონსენსუსის მიღწევა ვერ შეძლეს.

⁴⁷¹ Rose, pp. 271-272

⁴⁷² საბჭოებისა და თურქეთის 1922 წლისთვის დადგენილი საზღვარი ემთხვეოდა 1877 წლის საზღვარს, მთა არარატთან ერთად თურქებისთვის დათმობილი სურმალინის მაზრისა და 1921 წლის 18-21 მარტს გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით ქართული ჯარის ნარჩენების მიერ განხორციელებული უკანასკნელი თავგანწირული ოპერაციის შედეგად საბჭოებთან შემომტკიცებული ქალაქ ბათუმისა და ჩრდილო აჭარის გამოკლებით.

კარტ-ბლანში მისცეს. თუ ლონდონში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიმღებ ყველაზე მაღალი დონის პოლიტიკოსებს შორის ზემოთ თქმულ კონსენსუსის არარსებობას გავითვალისწინებთ, ეს არაა გასაკვირი. შედეგად რსშმ-თან მყოფი ბრიტანელი ემისრები – გენერლები პული, ბრიგსი და ჰოლმანი თავისი ახალი იარაღისმიერი მეგობრების გავლენით იყვნენ „უფრო რუსები, ვიდრე თვით რუსები“, როგორც მილნმა დაახასიათა.⁴⁷³ კერძოდ, გენერალი ბრიგსი დენიკინისადმი თავის სიმპათიებში ისე შორს წავიდა, რომ 1919 წლის მაისში საქართველოს მთავრობასთან მისი მოლაპარაკების დასაწყისშივე თავი რსშმ-ის (და არა გაერთიანებული სამეფოს) წარმომადგენლად გამოაცხადა.⁴⁷⁴ მეორე მხრივ, კავკასიონის ქედის სამხრეთით გენერლებმა კორიმ, შატელვორტმა და ტომსონმა აზერბაიჯანისადმი სიმპათიით განწყობილი და სომხეთის მიმართ წინასწარშექმნილი ცუდი აზრის მქონე არაობიექტური არბიტრების რეპუტაცია მიიღეს,⁴⁷⁵ შავი ზღვის რივიერის სადავო უბანზე ბრიტანულ პიკეტებზე პასუხისმგებელი პოლკოვნიკი ფაინსი თითქმის ღიად დადგა ქართულ მხარეზე მოხალისეთა არმიასთან სოჭისთვის კონფლიქტის მსვლელობაში,⁴⁷⁶ ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი კუკ-კოლისი კი დემონსტრაციულად ამჟღავნებდა თავის უუნარობასაც, – დამაჯერებლად ელაპარაკა ამ სტრატეგიულ სანავსადგურო ქალაქში ბრიტანელების ყოფნის პერსპექტივის თაობაზე.⁴⁷⁷ და ბოლოს, შავი ზღვის აუზში ყველა ბრიტანული ძალის მეთაური გენერალი ჯორჯ ფრენსის მილნი კავკასიაში ყოფნისას ამ რეგიონში ინტერვენციის გააფთრებული მოწინააღმდეგე გახდა თავისი იმ შთაბეჭდილების საფუძველზე, რომ კავკასიის ყველა ხალხი „ერთნარად საზიზღარია და... რა თქმა უნდა, ერთი ბრიტანელი ჯარისკაცის სიცოცხლედაც არ ღირს“.⁴⁷⁸ „მე ვერ ვხედავ მიზეზს, ვიფიქრო, – წერდა მილნი, – რომ მსოფლიო ბევრს

⁴⁷³ Деникинъ, с. 162-163.

Користо, р. 135.

⁴⁷⁴ Деникинъ, с.162.

Kazemzadeh, р. 239.

Ментешашвили, стр. 36-41.

⁴⁷⁵ Novannisian, *Op.cit.*, р.153.

⁴⁷⁶ Деникинъ, с. 160.

⁴⁷⁷ Деникинъ, с. 142.

⁴⁷⁸ Jeffery, р. 135.

დაკარგავდა, თუ ამ მხარის ყველა მცხოვრები ერთმანეთს ყელეებს გამოლადრავდა“.⁴⁷⁹

დღესდღეობით საეჭვოა, გაზვიადება იყოს თქმა, რომ ზემოთ აღწერილი ფაქტორები მნიშვნელოვნად ამცირებდნენ შავი ზღვის აუზში ბრიტანეთის პოლიტიკის ეფექტურობას, ასევე ზიანს აყენებდნენ დიდი ბრიტანეთისა და მთლიანობაში მოკავშირე სახელმწიფოების პრესტიჟს. ყველაფერი ეს ასევე ხელს უწყობდა საბჭოების გავლენის ზრდას როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დე-ფაქტო აღიარება

1919 წ. ბოლოს ადმირალ კოლჩაკის რეჟიმის კრახმა და 1920 წ. იანვრის დასაწყისში დენიკინის რსშმ-ის მიერ განცდილმა მძიმე დამარცხებებმა ანტატის ქვეყნების ლიდერების იმედებს რუსეთში მტკიცე არასაბჭოთა მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლაზე დასასრული დაუსვეს. საბჭოების სამხედრო ტრიუმფი და კრემლის პატრონთა ზემოთ ილუსტრირებული აგრესიული რიტორიკა ხელს უწყობდა ლორდი კერზონის მიდგომის დროებით გამარჯვებას ყბადაღებული „რუსული საკითხის“ მიმართ, რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და ინდოეთის მიმართულეებით შესაძლო საბჭოთა ექსპანსიის გზაზე ძლიერი კავკასიური ბარიერის შექმნას გულისხმობდა.⁴⁸⁰ ამის შედეგად, 1920 წ. 12 იანვარს ანტანტის ქვეყნების უმაღლესი საკავშირო საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველომ და აზერბაიჯანმა დე-ფაქტო აღიარება მიიღეს.⁴⁸¹ რამდენიმე დღით გვიან დე-ფაქტო აღიარება მიიღო სომხეთმაც.⁴⁸²

საქართველოს სახელმწიფოს აღიარება დიდი მორალური მნიშვნელობის მოვლენა იყო როგორც საქართველოს მთავრობის, ისე ქართველი ხალხისთვის. ამან ასევე მოკავშირე დიდი სა-

⁴⁷⁹ *Ibid.*

⁴⁸⁰ Авалов, стр.247 и 310;
Hovannisian, *Op.cit.*, pp. 482-486;
Kazemzadeh, pp. 268-269.


⁴⁸¹ Авалов, стр. 241;

Kazemzadeh, p. 269.

⁴⁸² Hovannisian, pp. 511-512.

ხელმწიფოების მხრიდან რესპუბლიკის უფრო მეტ აქტიურ სამხედრო და ფინანსურ მხარდაჭერაზე იმედი გააჩინა. და მართლაც 1920 წ. დასაწყისში დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს შორის ადგილი ჰქონდა თავდაცვის საკითხებზე მოლაპარაკებებს, რომლებზედაც რეგიონში დამატებითი საკავშირო ძალების გაშლის შესაძლებლობებს განიხილავდნენ. მაგრამ რიგი მიზეზების გამო, რომელთაგან ზოგი ქვემოთ იქნება მოხსენებული, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეებში დასავლეთის მოკავშირეების მონაწილეობამ ვერ შეძლო, არსებითად გამოსულიყო სიტყვიერი მხარდაჭერის ჩარჩოებიდან.⁴⁸³

⁴⁸³ Авалов, стр. 244-245;
Hovannisian, pp. 505-509;
Kazemzadeh, p. 273.



ნიკოლოზ (კარლო)
ჩხეიძე



ევგენი გოგოჭორი



ირაკლი (კაკი)
წერეთელი



ზურაბ ავალოვი
(ავალიშვილი)



თავადი გიორგი ლგოვი



ვასილი მაკლაკოვი




ალექსანდრ გუჩკოვი (ცენტრში, სამოქალაქო ტანსაცმელში)
„თეთრი არმიის“ გენერლებსა და ოფიცრებს შორის




პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობა



პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების ამსახველი ამერიკული კარიკატურა



ABKHAZIA 12.1918 - 04.1919




BLACK SEA



ჟორჟ კლემანსო




საფრანგეთის ჯარი ოდესაში (1919)



არტურ ჯეიმს ბალფური



უინსტონ ლეონარდ
ჩერჩილი



დევიდ ლოიდ-ჯორჯი




ჯორჯ ნათანიელ
კერზონი



ბრიტანელი სამხედრო მეზღვაურები ბათუმში (1920)



ბათუმის ბრიტანული ადმინისტრაციის მიერ
გაცემული პასპორტი (1919)



ფელდმარშალი
ჯორჯ ფრენსის მილნი




გენერალი
ჩარლზ ჯეიმს ბრიგსი




გენერალი
ფრედერიკ პული



გენერალი ჯორჯ კორი



თომას ვუდრო ვილსონი



გენერალი ჯეიმს ჰარბორდი




პოლკოვნიკი
ედვარდ მ. ჰაუსი



ადმირალი
ალექსანდრ კოლჩაკი



ვიტორიო ემანუელე
ორლანდო




ჯუზეპე სალვაგო რაჯი



პიეტრო ტომაზი
დელა ტორეტა



პოლკოვნიკი
მელქიადე გაბა




DE FACTO STATES OF THE SOUTH CAUCASUS (May, 1919 - April 1920)

TERRITORY UNDER STABLE CONTROL OF:

- Georgia
- Armenia
- Azerbaijan
- Britain

BORDERS, AS OF 1914:

- National
- Provincial
- County / District



UNSTABLE OR DISPUTED TERRITORY:

- Lore zone (Armeno-Georgian condominium)
- Zakatala distr. claimed by Georgia and Azerbaijan
- Russian Mughan" (integrated into Azerbaijan in August, 1919)
- Mount. Karabakh in control of Armenian National Council
- Sochi district (in control of CLBSC since 9.II.1920)

Armenian territory in control of Muslim rebels

1919 წლის საქართველო- აზერბაიჯანის ხელშეკრულება: ბრძოლა კავკასიაში კოლექტიური უსაფრთხოებისთვის

საქართველოს მთავრობა დაჟინებით ცდილობდა დასავლეთის მოკავშირეებისგან რეალური დახმარების მიღებას, ასევე რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადადგა. ერთი მხრივ, 1919 წლის შუახანებში ამიერკავკასიაში თურქეთისა და საბჭოების შემოჭრის საშიშროება მნიშვნელოვნად შემცირდა: ოტომანური თურქეთი მოკავშირეებს დანებდა, პროთურქული კვაზი-სახელმწიფოებრივი ფორმირებანი, ისეთი როგორც კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი რესპუბლიკა, საქართველომ და სომხეთმა დაიპყრეს, საბჭოთა რეჟიმი ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის სამხრეთის შეიარაღებული ძალებით (რსშმ) იქნა ლიკვიდირებული. მაგრამ სწორედ გენერალ დენიკინის რსშმ გახდა რეალური საფრთხე საქართველოსთვის, ასევე აზერბაიჯანისთვისაც.

რსშმ-ის ექსპანსიის დაწყება საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ

საქართველოს რესპუბლიკასა და რსშმ-ს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ 1918 წ. სექტემბრის ბოლოს ჩაისახა, მაგრამ ოკრუგის სახალხო წარმომადგენელთა კრების 1918 წ. 2 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე საქართველოს შემადგენლობაში შესულ სოჭის ოკრუგში დაწყებულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში მხოლოდ იმავე წლის დეკემბერში გადავიდა.⁴⁸⁴

⁴⁸⁴ Андерсен, стр. 60;

Авалов, стр. 197-198;

Н. Воронович, *Зелёная Книга: История крестьянского движения в Черноморской губернии* (Прага, 1921), с. 23-24.

ამით, როგორც ექსპანსიის საბაზით, ისარგებლა გენერალმა ალექსანდრ ჩერეპოვმა, რომელიც ტუაფსედან სამხრეთით მყოფ მოხალისეთა არმიის მე-2-ე ფეხოსანი დივიზიის ნაწილებს მეთაურობდა. ქართული ნაწილების 9 დეკემბერს დაწყებული გამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ ჩერეპოვის რაზმებმა შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით 45 კილომეტრზე წაიწიეს, 16 დეკემბრისთვის კიდეც სოჭის ოკრუგის ნაწილი დაიკავეს მდინარე ლომდე და იმავე სახელის დასახლებასთან ახლოს გაჩერდნენ.⁴⁸⁵

დენიკინის რსშმ-ის ამ დემარშმა უკიდურესად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია კონსტანტინოპოლში ბრიტანული სარდლობის მხრიდან, რომელმაც დენიკინისგან სოჭის ოკრუგში ექსპანსიაზე უარის თქმა მოითხოვა. ბრიტანელების წინადადებით, რაც კონფლიქტის ორივე მხარეს ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში აცნობეს, სოჭის ოკრუგი სრულ დემილიტარიზაციას ექვემდებარებოდა მასში ქართული სამოქალაქო ადმინისტრაციის შენარჩუნებით მის საბოლოო სტატუსზე პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებამდე.⁴⁸⁶ ბრიტანული გეგმის თანახმად დენიკინის რსშმ-ს მთელი ძალების კონცენტრაცია ცენტრალურ რუსეთში საბჭოთა რეჟიმთან საბრძოლველად უნდა გაეკეთებინათ და თავი შეეკავებინათ ექსპანსიისგან სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში დროებით-სადემარკაციო ხაზიდან, რომელსაც უნდა გაევიდა სოჭის ოკრუგის ჩრდილოეთ საზღვარზე, შემდეგ – კავკასიის მთავარი ქედის გაყოლებით დაღესტნამდე, და კიდევ იქით, – დაღესტნის ოლქის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე.⁴⁸⁷ ამ გეგმამ აღშფოთება და კატეგორიული პროტესტი გამოიწვია დენიკინის მხრიდან, რომელმაც რუსეთის სახელით განაცხადა, რომ სოჭის ოკრუგი მისი ქვეყნის უცილობელი ნაწილია და არანაირი „ახალწარმონაქმნებით“ არ შეიძლება კონტროლირდებოდეს. სადავო ტერიტორიის

Kazemzadeh, p. 234;

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии (Тифлис, 1919), No. 193, стр. 388.

⁴⁸⁵ А. Деникин, *Очерки русской смуты* (Berlin, 1924), т. 4, с. 238.

И. Воронов, “Кавказская миссия Деникина”, *Красноярский рабочий*, 16 августа, 2008 г.

⁴⁸⁶ Деникин, *цит. тр.*, pp.155-156.

Шафир, *цит. тр.*, стр. 108.

⁴⁸⁷ А. Деникин, *Очерки русской смуты* (Минск, 2002), стр. 236-237.

Н. Киреев, *История Турции, XX век* (Москва, 2007), стр. 117.

მოსახლეობის ქართულ ელემენტს კი რუსეთის სამხრეთში თეთრი მოძრაობის ლიდერმა „გადამთიელი“ უწოდა.⁴⁸⁸ რადგანაც 1918 წლის დეკემბერში საქართველოს ყველა შეიარაღებული ძალა პრაქტიკულად სომხეთთან ომში იყო ჩაბმული, დენიკინის ჯარს სავსებით შეეძლო მაშინვე შეტევაზე გადასვლა და არა მხოლოდ სოჭის ოკრუგის, არამედ მთელი აფხაზეთის დაკავება და, შესაძლებელია, უფრო შორს, საქართველოს სიღრმეში წინ წაწევაც. მაგრამ ეს არ გაკეთებულა. პასუხს კითხვაზე, დენიკინელებმა 1918 წლის ბოლოს რატომ „გაუშვეს ხელსაყრელი მომენტი“ საქართველოში შეჭრისთვის, თვითონ გენერალი ა. დენიკინი იძლევა. თავის მემუარებში ის უთითებს გენერალ ჯ. თ. უოკერის ღია მუქარას საქართველოს დასაცავად სამხედრო ძალის გამოყენებაზე. დენიკინის მოწმობით, უოკერმა მას და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. ტიგრანიანს შეატყობინა, რომ მისთვის ცნობილია სომხეთის მთავრობასა და მოხალისეთა არმიის სარდლობას შორის საიდუმლო შეთანხმება საქართველოზე ერთობლივი დარტყმის შესახებ მისი ტერიტორიული დანაწევრების მიზნით. უოკერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ორი მხრიდან შეუტევენ, დიდი ბრიტანეთი ქართულ მხარეზე დადგება და თავის ჯარს მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ და სომხეთის წინააღმდეგ მიმართავს.⁴⁸⁹ თვით დენიკინი კატეგორიულად უარყოფდა სომხებთან ამგვარი შეთანხმების ფაქტის არსებობას, მაგრამ 1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის დასაწყისში სოხუმ-სოჭის უბანზე დენიკინისა და საქართველოს ჯარებს შორის სამხედრო მოქმედებების ზოგიერთი ქვემოთ აღწერილი სპეციფიკური თავისებურება უკიდურეს შემთხვევაში მოხალისეთა არმიისა და სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერებს შორის ერთგვარი საერთო ინტერესების არსებობის ვარაუდის საშუალებას

⁴⁸⁸ ძნელი დასაჯერებელია, რომ გენერალმა დენიკინმა, როგორც განათლებულმა ადამიანმა, არ იცოდა სოჭის ოკრუგის, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ფაქტიურად აღწერილ მოვლენებამდე მხოლოდ 54 წლის წინ შევიდა, ისტორია. მას, საეჭვოა, არ სცოდნოდა შავი ზღვის სანაპიროს ამ უბნის ეთნიკურ წმენდაზე რუსეთთან მიერთებისა და შემდგომი კოლონიზაციის მსვლელობაში, რაც XX საუკუნის დასაწყისისთვის ოლქის პრაქტიკულად მთელ მოსახლეობას „გადამთიელად“ ხდიდა.

⁴⁸⁹ Деникин, *цит.тр.*, стр.155-156.

Hovannisian, *Vol.1*, p. 36.

იძლევა. აქ აუცილებელია აღნიშვნა, რომ თუმცა დიდი ბრიტანეთი არ ფლობდა რამდენადმე მნიშვნელოვან სამხედრო ძალას კავკასიაში და მის გარშემო, მაგრამ მასთან კონფლიქტი ანტანტის მხრიდან რუსეთში ბოლშევიკების რეჟიმის ლიკვიდაციისთვის დენიკინის მოხალისეთა არმიის ბრძოლის ნებისმიერი მხარდაჭერის შეწყვეტას ნიშნავდა, სომხეთისთვის კი – პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანისა და თურქეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების მხარდაჭერაში სრულ უარს. ზემოთ აღნიშნული მიზეზების ძალით ბრიტანულმა ზეწოლამ გარკვეული გავლენა მოახდინა. ამავე დროს დენიკინმა, რაკი 1918 წლის დეკემბერში საქართველოზე პირდაპირი თავდასხმის შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიმართა დიპლომატიურ მეთოდებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელის შეწყობა და ხელი შეუწყვეს მისი მიზნების მიღწევას შავი ზღვის რივიერაში და მის ფარგლებს გარეთაც კი. როგორც წინა თავში იყო მოხსენიებული, ევროპაში დენიკინს შეეძლო ჯერ კიდევ იქ მყოფი ყოფილი რუსეთის იმპერიის გამოცდილი დიპლომატიური კორპუსის იმედი ჰქონოდა. უფრო მეტიც, დენიკინმა მოახერხა, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მოკავშირეების სამხედრო წარმომადგენლებზე, რომლებთანაც მას პირადი კონტაქტები ჰქონდა, გავლენა მოეხდინა მათთვის საქართველოსთან სადავო ტერიტორიების მოსახლეობის ისტორიასა და ეთნიკურ შემადგენლობაზე, ასევე ამ ტერიტორიების მცხოვრებთა განწყობილებაზე დამახინჯებული ინფორმაციის წარდგენით.

მოხალისეთა არმიის მეორე შეტევა სოჭსა და სოხუმზე

იმ დროს, როცა დენიკინის დიპლომატები დასავლეთ ევროპაში მოკავშირე სახელმწიფოების ხელმძღვანელობასა და საზოგადოებრივ აზრთან მუშაობდნენ, მისი საიდუმლო აგენტები სოჭისა და სოხუმის ოკრუგებში ქართული პოზიციების ხაზების იქით აჯანყების ორგანიზებას ცდილობდნენ.⁴⁹⁰ ქართველების ზურგში მოხალისეთა არმიის ოპერაციებს ახორციელებდნენ რეგიონში მოქმედი სომეხი დაშნაკების აგენტურული ბადის აქტიური

⁴⁹⁰ Дзидзария, с. 249-251.

Джугели, с. 78.

მხარდაჭერით.⁴⁹¹ დაშნაკებისა და დენიკინის ემისრები უპირატესად ორი სადავო ოკრუგის სომხურ სოფლებში მუშაობდნენ და დაარწმუნეს ადგილობრივი სომეხი გლეხობის ნაწილი იმაში, რომ მათი მოვალეობა იარაღის აღებაა საქართველოს წინააღმდეგ თავის თანამემამულეთა მხარდაჭერის მიზნით სომხეთის რესპუბლიკაში, რომელიც 1918 წლის დეკემბერში საქართველოსთან ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1919 წლის იანვრისთვის ამ მუშაობამ გარკვეულ შედეგს მიაღწია: ზოგიერთ სომხურ სოფელში, ქალაქების სოჭისა და გაგრის ახლოს შეიარაღებული აჯანყება დაიწყო⁴⁹² და 24 იანვარს დენიკინმა თავის ჯარს შეტევაზე გადასვლის ბრძანება მისცა. წლების შემდეგ თავის მემუარებში დენიკინმა არაორაზნოვნად ახსნა ძირითადი მიზეზი, რომელმაც მას საქართველოსთან კონფლიქტის განახლებაზე გადაწყვეტის მიღებისკენ უბიძგა და შემდეგი დაწერა:

*ჩემი მთავარი მიზანი ამიერკავკასიის განაპირა მხარის რუსეთთან სახელმწიფო კავშირის შენარჩუნება ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაშლის ტერიტორიული შეზღუდვა იყო.*⁴⁹³

ახალი ფრონტის გახსნა დენიკინის ჯარის (რსშმ) ზურგში იმ დროს შედგა, როცა მოხალისეთა არმია და კაზაკების ამბოხებულთა ფორმირებები მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, დონზე და აღმოსავლეთ უკრაინაში და როგორც ადამიანთა რესურსების, ისე საბრძოლო მასალის მწვავე საჭიროებას განიცდიდნენ. ამიტომ დღეს საკმაოდ ძნელია ახსნა, ასეთ რთულ სიტუაციაში რატომ მიიღეს დენიკინმა და მისმა გარემოცვამ კიდევ საქართველოსთანაც საომარი მოქმედებების გახსნის გადაწყვეტილება. ასე თუ ისე, კონფლიქტი შავი ზღვის რივიერას დაუფლებაზე გადაიქცა მცირე ომად, რომელშიც ჩართული იყვნენ მოხალისეთა არმიის რამდენიმე სხვა ნაწილით

⁴⁹¹ Джугели, с. 123-124, 126, 148-150.

Воронович, с. 20 и 31.

⁴⁹² С. Балмасов, "Грузия мечтает отобрать у России Сочи", *Правда*, 28 августа 2008.

Деникинъ, томъ IV, стр. 156.

Novannisian, Vol. I, p.368.

А. Зубов, " Политическое будущее Кавказа: опыт ретроспективно-сравнительного анализа ", *Знамя*, №4, 2000.

⁴⁹³ Деникинъ, с. 136.

გამლიერებული მე-2-ე დივიზიის 3000 ჯარისკაცი და ოფიცერი გენერალ ალექსანდრ ჩერეპოვის სარდლობით⁴⁹⁴ და დაახლოებით 1500 ქართველი მებრძოლი პოლკოვნიკ ალექსანდრე კონიევის მეთაურობით.⁴⁹⁵ 1919 წლის 6 თებერვალს მე-2-ე დივიზიის ნაწილებმა აიღეს სოჭი და კიდევ ორი დღის შემდეგ ადღერში შევიდნენ. კონიევის ჯარი მთლიანად განადგურდა. სოჭის ცოცხლად გადარჩენილ ქართველ დამცველებს ალყა შემოარტყეს და დაატყვევეს მათი მეთაურის ჩათვლით, ამასთან ტყვეების თითქმის ნახევარი ადგილზე დახვრიტეს.⁴⁹⁶ 10 თებერვალს, ქართველების რამდენიმე კონტრიერიშის მარცხის შემდეგ ჩერეპოვის მოხალისე არმიელებმა გაიარეს გაგრა და მდინარე ზიფს უწიეს (იხ. რუკა 198 გვერდზე).⁴⁹⁷

⁴⁹⁴ Деникин, с. 81.

⁴⁹⁵ დენიკინის თანახმად (в *цит. тр.*), 1918 წ. ბოლოს შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დასახლება ლაზარევსკოესა და სოხუმს შორის გაფანტული ქართული ჯარის რიცხვი „სამიდან ოთხ ათასამდე“ იყო. მაგრამ თვით დენიკინის მიერ დასახლება ლაზარევსკოეს ხსენების ფაქტი ამტკიცებს, რომ ავტორს მხედველობაში ჰქონდა ქართული კონტინგენტი, რომელიც მოხალისეთა არმიას სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე უპირისპირდებოდა. როგორც უკვე ზემოთ იყო მოხსენებული, დეკემბრის პირველი დეკადის ბოლოს სომხეთთან კონფლიქტის ესკალაციის გამო შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული ქართული ჯარის დიდმა ნაწილმა სომხეთის ფრონტზე გადადისლოცირების ბრძანება მიიღო, დანარჩენმა მრირეცხოვანმა საფარმა კი ლოოსკენ დაიხია. ე. ი. შეიძლება რაღაც დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ 1918 წლის 16 დეკემბრის შემდეგ და სოჭზე დენიკინის შეტევის დაწყებამდე სოჭის ოკრუგის ქართველი დამცველების რაოდენობა, საეჭვოა, 1500 ჯარისკაცსა და ოფიცერზე მეტი ყოფილიყო. ეს რიცხვი არაპირდაპირ მტკიცდება დენიკინისა და გაიარდის მონაცემთა კომბინირებით: დენიკინის თანახმად სოჭის ოპერაციის შედეგად მისმა ჯარმა ტყვედ აიყვანა 748 ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი, ამავე დროს გაიარდი ამტკიცებს, რომ იმ ოპერაციის მსვლელობაში დენიკინელებმა მთელი ქართული კონტინგენტის, რომელიც სოჭზე ჩერეპოვის შეტევის შეჩერებას ცდილობდა, ნახევარი დაატყვევეს.

⁴⁹⁶ G. Gaillard, *Le mouvement panrusse et les allogènes* (Paris, 1919), p.46.

⁴⁹⁷ Деникин, с.156.

ბრიტანეთის სარდლობის რეაქცია

ბრიტანეთის სარდლობა კონსტანტინოპოლში აღმფოთებული იყო ზემოთ აღწერილი მოვლენებით კავკასიის შავიზღვისპირეთში. განსაკუთრებით მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ 1919 წლის 23 იანვარს (დენიკინის სოჭზე შეტევის დაწყების 24 საათით ადრე) ბრიტანელი გენერალი ჯორჯ თ. ფორესტიე-უოკერი⁴⁹⁸ ტფილისს ეწვია და დაარწმუნა პრემიერ-მინისტრი ნოე ჟორდანიას იმაში, რომ კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის სამხედრო ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას.⁴⁹⁹ 1919 წლის 3 თებერვალს, მაშინვე სოჭზე მოხალისეთა არმიის მე-2-ე დივიზიის შეტევის დაწყების შემდეგ, ეკატერინოდარში ჩამოვიდა გენერალი ჩარლზ ბრიგსი, რომელმაც რსშმ-თან ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლის პოსტზე გენერალი ფრედერიკ პული შეცვალა. მან კონსტანტინოპოლიდან მოიტანა ინსტრუქცია, რომელიც დენიკინს უკრძალავდა შეჭრას სამხრეთ კავკასიის „ახალი წარმონაქმნების“ ტერიტორიაზე ყიზილბურუნ⁵⁰⁰ – ზაქათალა – კავკასიონის დიდი ქედი – ტუაფსეს ხაზის იქით. ამგვარად, რსშმ-ს დაუყოვნებლივ უნდა მოეხდინათ ევაკუაცია სოჭის ოკრუგიდან.⁵⁰¹ ბრიტანეთის სარდლობის გზავნილში რსშმ-ის „ბელადისადმი“⁵⁰² ახსნილი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანთან, რომლებიც, შესაძლოა, რუსეთის ანტიბოლშევიკური ძალების საიმედო ზურგი ყოფილიყვნენ და არა დამატებითი ფრონტი, კონფლიქტებისგან

⁴⁹⁸ აღწერილ დროს გენერალი ფორესტიე-უოკერი ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის მეთაური იყო ჩრდილო კავკასიაში 27-ე ფეხოსანი დივიზიის, ასევე მე-13-ე და 39-ე დივიზიების ელემენტების შემადგენლობაში.

⁴⁹⁹ Kazemzadeh, p.238.

⁵⁰⁰ რკინიგზის სადგური ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრის ყველაზე სამხრეთით, რომელზედაც აღწერილ დროს პრეტენზიას აზერბაიჯანის მთავრობა აცხადებდა. დღეს ამ მაზრის ტერიტორია ისევ აზერბაიჯანის კონტროლს ექვემდებარება.

⁵⁰¹ Деникин, с. 131.

⁵⁰² სამოქალაქო ომის მსვლელობაში რუსეთში როგორც „წითლებმა“, ისე „თეთრებმა“ რატომღაც თავიანთ სამხედრო-პოლიტიკურ ლიდერებს „ბელადები“ უწოდეს, ამ უცნაურმა ტრაიბალისტურმა ტერმინმა 1918 წლიდან 70-იანი წლების დასაწყისამდე იარსება.

თავშეკავების აუცილებლობა. დენიკინს ასევე ატყობინებდნენ, რომ სოჭის ოკრუგიდან ევაკუაციის ზემოთ მოყვანილი მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია დიდი ბრიტანეთის მხრიდან რსშმ-ისთვის ნებისმიერი მხარდაჭერის შეწყვეტა.⁵⁰³ ბალმასოვის თანახმად ბრიტანელები სოჭის ოკრუგში თავისი სამხედრო გემებიდან დენიკინელების პოზიციებზე სროლებითაც იმუქრებოდნენ.⁵⁰⁴ 1919 წლის 15 თებერვალს პრემიერმა ჟორდანამ კონფლიქტის ქართული მხარის სახელით ემოციურ ფორმაში მოითხოვა დიდი ბრიტანეთის დაუყოვნებლივ ჩარევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმუქრებოდა, რომ ყველა დაკარგული ტერიტორიის იარაღის ძალით დასაბრუნებლად ყველა ძალას იხმარს. ამ განცხადების შემდეგ უოკერი დაპირდა აფხაზეთში მშვიდობისა და წესრიგის დასამყარებლად მცირე ბრიტანული კონტინგენტის გაგზავნას, მაგრამ არა რომელიმე დაპირისპირებული მხარის მხარდასაჭერად. ამავე დროს ბრიტანელმა გენერალმა საქართველოს მთავრობა გააფრთხილა იმის შესახებ, რომ არც საქართველო უნდა ეცადოს ძალის საშუალებით კონფლიქტის გადაწყვეტას. უოკერი აფრთხილებდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო დაუყოვნებლივ დაკარგავდა ბრიტანეთის მხარდაჭერას.⁵⁰⁵

გენერალი დენიკინი „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ იდეის დამცველის როლში

თებერვლის შუა რიცხვებში დენიკინმა დეკემბით აცნობა ჯორჯ ფ. მილნს კონსტანტინოპოლში⁵⁰⁶ და ჯორჯ თ ფორესტიე-უოკერს ტფილისში იმის შესახებ, რომ ის იძულებულია, დაძრას თავისი ჯარი სოჭისა და სოხუმის ოკრუგებში მხოლოდ და მხოლოდ გარემოებათა ზეწოლით, რომლებმაც „ქართული უღლისა და ძალადობისგან“ ადგილობრივი რუსი, სომეხი და აფხაზების დაცვა

⁵⁰³ Деникинъ, с. 132-133

⁵⁰⁴ Балмасов С., *цит.тр.*

⁵⁰⁵ Дзидзария, с. 252

Kazemzadeh, p.238

⁵⁰⁶ 1918 წ. სექტემბრიდან 1920 წ. აპრილის ჩათვლით გენერალი სერ ჯორჯ ფრენსის მილნი დიდი ბრიტანეთის ყველა შეიარაღებული ძალების სარდალი იყო შავი ზღვის აუზში, სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის ჩათვლით, მაგრამ მათით არ იზღუდებოდა.

მოითხოვეს. დენიკინის დეპეშები შეიცავდნენ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფალთა ბრალდებასაც ასს-ს⁵⁰⁷ „გარეკვაში“ და „სამხედრო ზეწოლის ქვეშ ახალი არჩევნების ჩატარებაში, რაც მათი (ქართველების) სურვილებზე საბჭოს სრული მორჩილების გარანტიას იძლეოდა“.⁵⁰⁸ სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რსშმ-ის ლიდერის მიერ ხელმოწერილი ეს დოკუმენტები არა მხოლოდ ადასტურებდნენ დენიკინის მზადყოფნას სოჭის ოკრუგის შენარჩუნებაზე, არამედ სოხუმის ოკრუგის ქართველებისგან დაუყოვნებლივ გაწმენდის მოთხოვნასაც შეიცავდნენ. დენიკინის სიტყვებით, ქართველები იმდენად ძულდა მთელ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ რეგიონში მშვიდობისა და წესრიგის არანაირ აღდგენაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მანამ, სანამ უკანასკნელი ქართველი ჯარისკაცი არ დატოვებდა ხსენებულ ოკრუგს.⁵⁰⁹

ზემოთ ხსენებული ტელეგრამების ტექსტი ასევე შეიცავდა რსშმ-სა და საქართველოს შორის კონფლიქტის დარეგულირების გეგმასაც, რომელიც შემდეგ სამ პუნქტამდე დადიოდა:

- *სოხუმის ოკრუგის ნეიტრალურად გამოცხადება;*
- *იქიდან ქართული ჯარისა და ადმინისტრაციის დაუყოვნებლივ გამოყვანა;*
- *წესრიგის დაცვის დაკისრება მათ მიერ თავისუფლად არჩეულ აფხაზ ხელისუფლებსა და აფხაზებისგან ჩამოყალიბებულ სამხედრო რაზმებზე.*⁵¹⁰

არსებითად ეს გეგმა საქართველოს ხარჯზე სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი დე-ფაქტო სახელმწიფოს შექმნას გულისხმობდა.

დენიკინის ზემოთ მოყვანილი პროექტი გადაჭრით უარყვეს როგორც საქართველოს მთავრობამ, ისე ბრიტანეთის სარდლობამ.⁵¹¹ უფრო მეტიც, ბედის ირონიით დენიკინის ტელეგრამებიდან

⁵⁰⁷ აფხაზეთის სახალხო საბჭო (ასს) – ორგანო, რომელმაც თავის თავზე ოლქში წესრიგისა და კანონიერების ელემენტების დაცვის ამოცანა აიღო.

⁵⁰⁸ Kazemzadeh, pp. 237-238.

⁵⁰⁹ *Ibid.*, p. 238

⁵¹⁰ Деникинъ, с.157 и 162

⁵¹¹ Дзидзария, с. 251-252.

Кадишев, с. 168-169.

სულ რაღაც ოთხი კვირის შემდეგ, 1919 წ. 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაადგინა, „საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის საშუალებით დეპეშით ეცნობოს“ ანტანტის სახელმწიფოთა ხელმძღვანელობას აფხაზი ხალხის „მხურვალე პროტესტი“ მოხალისეთა არმიის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილის მიტაცებასთან დაკავშირებით, ასევე თხოვნაა საქართველოს მთავრობის მიმართ, მიიღოს ყველა შესაძლებელი ზომა ზემოთ დასახელებული ტერიტორიის გასათავისუფლებლად აფხაზეთის ისტორიული საზღვრების ფარგლებში მდინარე მზიმთამდე.⁵¹² ამგვარად, ავტონომიური აფხაზეთის დემოკრატიულად არჩეულმა პირველმა წარმომადგენლობითმა ორგანომ ნათლად აჩვენა, რომ არ მიიღებს იძულებით „განთავისუფლების“ ნებისმიერ მცდელობას „რუსეთის შეიარაღებული ძალების“, ეს იქნება პრო- თუ ანტიბოლშევიკური, მხრიდან.

აქ შეიძლება წამოიჭრას კითხვა: „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის აღდგენის ფართოდ ცნობილი მომხრე გენერალი ანტონ დენიკინი 1919 წლის დასაწყისში რატომ გახდა უახლეს ისტორიაში დამოუკიდებელი აფხაზეთის შექმნის პირველი ინიციატორი? როგორც ჩანს, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა რსშმ-ის (1920 წ. იანვრიდან კი – რუსეთის მთელი თეთრი მოძრაობისაც) ლიდერის შეხედულებებში წინააღმდეგობასთან, არამედ საკმაოდ დახვეწილ მაკიაველურ ანგარიშთან და ძველი, შემოწმებული პრინციპის «*divide et impera*» გამოყენებასთან. ცხადია, რომ დიდი სახელმწიფოების მიერ აღიარების შანსის არმქონე, პოლიეთნიკური ერთი ბეწო აფხაზეთი ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად არსებობას და, საქართველოსგან მოწყვეტილს, რსშმ-ის გავლენის სფეროში შესვლისა და შემდგომი შთანთქმის არანაირი ალტერნატივა არ ჰქონდა. ამავე დროს რსშმ-ისთვის, ისევე როგორც კავკასიის ქედის ჩრდილოეთით ნებისმიერი აგრესიული ძალისთვის აფხაზეთი იყო (და არის) „დანარჩენი საქართველოს გასაღები“. აფხაზეთის დაკარგვით საქართველო ავტომატურად კარგავდა ბუნებრივ თავდაცვით საზღვრებს და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოჭრისთვის ადვილად მოწყვლადი ხდებოდა. დენიკინი კი არასდროს არ მალავდა მთელი სამხრეთ კავკასიის დაპყრობის გეგმებს:

⁵¹² Дзидзария, с. 252.

„მთელი ამიერკავკასია 1914 წლის ომის დაწყებამდე საზღვრებში უნდა განიხილებოდეს, როგორც რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი... უნდა მომზადდეს ნიადაგი რუსეთთან ერთ მლიანობაში ამ ოლქების უმტკივნეულოდ გაერთიანებისთვის საერთორუსული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი მმართველობით. <...> ამასთან ერთდროულად, რუსეთის ერთიანსახელმწიფო ხელისუფლების დამყარებამდე დასაშვებია ამ ოლქების ახლახან ჩამოყალიბებული და არსებული დამოუკიდებელი მმართველობა“⁵¹³

ამ კონტექსტში ასევე მართებული იქნებოდა კაზემზადეს გახსენება, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ წერდა:

„რუსების, ბოლშევიკები იყვნენ თუ თეთრები, თვალსაზრისით კავკასია მათი საკუთრება იყო, რომელზედაც ადრე თუ გვიან მათ პრეტენზიები უნდა წამოეყენებინათ“⁵¹⁴ (იხ. ასევე თავი VI).

ამ აზრს ადასტურებენ სხვა დამოწმებებიც. კერძოდ, 1919 წლის 25 იანვარს კონტრადმირალი მაიკლ სეიმური ადმირალ სომერსეტ კალტორპისადმი თავის მოხსენებაში შემდეგს იტყობინებოდა:

„ისინი (მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობა) საქართველოს უყურებენ, როგორც სავარაუდო „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის ნაწილს და სავსებით არ ესმით, რომ მოკავშირეები სრულიად შესაძლებლად აღიარებენ მას (საქართველოს) დამოუკიდებელ რესპუბლიკად“⁵¹⁵

ქართველების კონტრშეტევა გაგრასა და სოჭზე

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იმავე წლის თებერვალში დენიკინელებთან ტაქტიკური სამხედრო მარცხის განცდის მიუხედავად საქართველოს მთავრობა არ აპირებდა გაგრის სექტორსა და სოჭის ოკრუგზე უარის თქმას და ბრიტანეთის სარდლობის

⁵¹³ Деникинъ, с. 139.

⁵¹⁴ Kazemzadeh, p. 238-239

⁵¹⁵ M. Seymour, “Letter of Proceedings to Admiral Calthorpe” in *The Mediterranean Fleet, 1919-1929*, ed. Paul Halpern (London, 2011), p. 22.

წარმომადგენლების გაფრთხილების მიუხედავად დასახელებული ტერიტორიების დაბრუნებას იარაღის ძალით გეგმავდა.

მაგრამ 1919 წლის აპრილის მეორე კვირის შუამდე ამგვარი საბრძოლო ოპერაცია შესაძლებელად არ ჩანდა. სომხეთ-საქართველოს ომის დამთავრებისთანავე საქართველო გაჭიანურებულ კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდა ყარსის ოლქისა და ახალციხის მაზრის ტერიტორიაზე თურქების სარდლობის მიერ კავკასიის ამ ნაწილზე თურქეთის კონტროლის შენარჩუნების მიზნით შექმნილ კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რესპუბლიკასთან. შედეგად ქართული სარდლობა იძულებული გახდა, მის განკარგულებაში მყოფი თითქმის ყველა შეიარაღებული ძალა სამხრეთ-დასავლეთით გადაესროლა, თავისი აფხაზური კონტინგენტის გაძლიერების ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე. 1919 წლის აპრილის დასაწყისისთვის ქართული და ბრიტანული ჯარების საერთო მოქმედების შედეგად კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი რესპუბლიკა ლიკვიდირებული იქნა, მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი კი სომხეთსა და საქართველოს შორის გაიყო. სამხრეთში საბრძოლო მოქმედებების ჩაცხრომის მიხედვით ქართულმა სარდლობამ გამოთავისუფლებული ჯარის გარკვეული რაოდენობისა და ტექნიკური საშუალებების აფხაზეთში გადასროლა დაიწყო.

იმავე დროს დენიკინი იძულებული იყო, არსებითად შეესუსტებინა თავისი ჯარი, რომელსაც შავიზღვისპირეთის სადავო ტერიტორიები ეკავა, იმის გამო, რომ 1919 წლის გაზაფხულზე რსშმ მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ ვოლგისპირა სტეპების, დონისა და უკრაინისთვის, ასევე დაღესტნისა და მთიანი ჩეჩნეთის „მოსახლეობის დაშოშმინების“ დასრულებასაც ცდილობდნენ. ამასთან რსშმ-ის სარდალი დაეყრდნო გენერალ ბრიგის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ქართველები იმ მიზეზით არ დაიწყებდნენ კონტრშეტევას, რაკი მათსა და მოხალისეებს შორის მდინარე ბზიფის გაყოლებით ბრიტანელი სამშვიდობოები იდგნენ. გაგრის უბანზე მართლაც იყო დაბანაკებული დაახლოებით ასი ბრიტანელი ჯარისკაცი პოლკოვნიკ ფაინსის მეთაურობით (იხ. რუკა 197-ე გვერდზე).⁵¹⁶ მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა უჩვენეს, რომ, როგორც დენიკინი წერდა, „ბრიტანული ავტორიტეტი უკვე

⁵¹⁶ Деникинъ, с. 159-160.

Джугели, с. 144.

საკმარისი აღარ იყო არც გაფრთხილებისთვის, არც შეტაკების სალიკვიდაციოდ“.⁵¹⁷

1919 წ. 16 აპრილს ქართულმა ძალებმა, რომლებიც გენერალ იოსებ გედევანიშვილის (გედევანოვის) მეთაურობით რეგულარული არმიისა და ვლადიმერ ჯუღელის მეთაურობით სახალხო გვარდიის საერთო რაოდენობით დაახლოებით 6000 ქვეითისა და მხედრის ქვედანაყოფებს შეიცავდნენ 20 ქვემეხით (ქვეითთა 8 ბატალიონი, მხედრების დივიზიონი და 4 ბატარეა), პონტონებით მდინარე ბზიფი გადალახეს და მოხალისეთა არმიის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ.⁵¹⁸ ოპერაცია ჩატარდა ბრიტანელების პიკეტების შემოვლით, თუმცა მათი მეთაური გაფრთხილებული იყო ქართველების შეტევის დაწყებაზე, ბრიტანელი ჯარისკაცები კი, რომელთა გვერდით ქართული ჯარი მიდიოდა, მას ისე ესალმებოდნენ, როგორც პარტნიორებსა და მოკავშირეებს (ამ საქციელის ანალიზი ქვემოთაა).⁵¹⁹

ქართველების მიერ ბზიფზე გადასვლისგან მოხალისეთა არმიის ძალების განრიდების მიზნით სოჭის ოკრუგში ორგანიზება გაუკეთდა ქართულ სარდლობასთან მთლიანად შეთანხმებულ აჯანყებას. 12-13 აპრილის ღამეს (უპირატესად ეთნიკური ქართველებით დასახლებულ) სოფელ პლასტუნსკოეში დაწყებული აჯანყება რამდენიმე დღის განმავლობაში პლასტუნსკოე – კრასნაია პოლიანა – ადღერის სამკუთხედში მნიშვნელოვან ტერიტორიაზე გავრცელდა.⁵²⁰ მისი ჩახშობის მცდელობამ ათასხუთასამდე დენიკინელი შებოჭა. შედეგად ბზიფიდან შემოტეული გედევანოვისა და ჯუღელის ჯარის მოგერიება შეეძლო მხოლოდ ოფიცერთა პოლკს პოლკოვნიკ უშაკის მეთაურობით, რომლის განკარგულებაში მხოლოდ ერთი საარტილერიო ქვემეხი იყო.⁵²¹

ბზიფზე გადასვლის შემდეგ ქართულმა ჯარმა გაგრაზე შეტევა სამ კოლონად და საკმაოდ ვიწრო ფრონტზე წაიყვანა. მარცხენა

⁵¹⁷ Деникинъ, с. 163.

⁵¹⁸ Н. Воронович, *Потонувший мир* (Москва, 2001), с. 296.

Деникинъ, с. 160.

Дзидзария, с. 253-254.

⁵¹⁹ Джугели, с. 143.

⁵²⁰ Деникинъ, с. 160.

Джугели, с. 141.

⁵²¹ Джугели, с. 145.

Деникинъ, с. 161.

ფლანგი თავად მიხეილ ხიმშიევის მეთაურობით დიდი მთავრის ალექსანდრ მიხაილის ძის აგარაკ „კოლხიდის“ (დღეს გაგრის №2 რუსული სკოლა) მიმართულებით უტევდა. მარჯვენა ფლანგი პოლკოვნიკ კარგარეთელის მეთაურობით უტევდა პრინც ოლდენბურგელის მამულის „ოტრადნოეს“ მიმართულებით. ამის გარდა, მთებზე გადასვლით, მოწინააღმდეგის შორიდან შემოვლით გაიგზავნა სიმონ ხუხუნაშვილის განსაკუთრებული მოიერიშე რაზმი, რომელსაც მიზნად უშაკის პოლკისთვის სოჭისკენ უკან დასახვევი გზის მოჭრა ჰქონდა.⁵²² 17 აპრილს დღის 2 საათზე ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ქართულმა ჯარმა დაიკავა გაგრა, მეორე დილით კი მდინარე მეხადირს უწია. უშაკის ოფიცერთა განადგურებული პოლკის ნარჩენები აჩქარებით იხევდნენ სოჭისკენ, ზურგიდან მოწოლილი თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის ქართული კავალერიისა და სოჭელი აჯანყებულების ფლანგებიდან შემოტევის მოგერიებით. 18-19 აპრილის დამეს უშაკელებმა მოახერხეს მდინარე მზიმთაზე გადასვლა და ხოსტისკენ გაღწევა, უკუაგდეს აჯანყებულების რაზმები, რომლებიც მათთვის ალყის შემორტყმასა და საბოლოო განადგურების დამთავრებას ცდილობდნენ. ამ მომენტისთვის სოჭში მოვიდა რსშმ-ის სარდლობისგან გამოგზავნილი მცირერიცხოვანი მაშველი ჯარი, რომელმაც პლასტუნსკოეში აჯანყების ჩახშობა და შავი ზღვის რივიერაში დენიკინელების პოზიციების რამდენადმე კონსოლიდება შეძლო. 19 აპრილისთვის ქართული ჯარი მდინარე მზიმთას მარცხენა ნაპირზე იდგა, მაგრამ ტფილისიდან ბრძანება მიიღო და მეხადირისკენ დაიწია (იხ. რუკა 197-ე გვერდზე). ამ ოპერაციის მსვლელობაში ქართველებმა 500-ზე მეტი დენიკინელი ჩაიგდეს ტყვედ და ამის გარდა რამდენიმე ოფიცერი უშაკის პოლკიდან ქართველთა მხარეზე ნებაყოფლობით გადავიდა. შემდგომი ორი კვირის განმავლობაში ჯუღელის გვარდიელებმა დაასრულეს რამდენიმე სომხური სოფლის, რომელთა მოსახლეობა რსშმ-ს უჭერდა მხარს, განიარაღებაც,⁵²³ და შავი ზღვის რივიერაში სიტუაცია კიდევ რვა თვით დასტაბილურდა.

ამგვარად, გაგრაში ქართულმა ჯარმა გაანადგურა მოხალისეთა არმიის სუსტი კონტინგენტი და გავიდა მდინარე მზიმთაზე (XVI

⁵²² Дзидзария, с. 253.

Джугели, с. 143.

⁵²³ Джугели, с. 145-151.

Деникинъ, с. 161-162.

საუკუნეში აფხაზეთის ისტორიული საზღვარი, რომელსაც დაჟინებით ითხოვდა ასს). მოწინააღმდეგის ჯარზე რაოდენობრივი უპირატესობის (გაგრის დაცემის შემდეგ დენიკინელების მიერ მიღებული მცირე მაშველი ჯარის ჩათვლითაც კი), ასევე სოჭელი პარტიზანების მხრიდან აქტიური მხარდაჭერის გამოყენებით გედევანოვ-ჯუღელის ჯარს ჰქონდა წარმატების განვითარებისა და სოჭის აღების შესაძლებლობა. მაგრამ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება: გადაეყვანა ჯარი მდინარე მეხადირის ხაზზე და ამით დაკავებული (განთავისუფლებული) ტერიტორიის ნახევარზე მეტზე უარი ეთქვა. სამხედროების თვალსაზრისით ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა დიდი ბრიტანეთის მხრიდან გაძლიერებული ზეწოლა. თუმცა ჯუღელის ვერსიის თანახმად ქართველების კონტრშეტევის წინადადით სწორედ გენერალ ტომსონისგან მიიღეს იმის რწმუნება, რომ ბრიტანეთის მთავრობა საქართველოს მხრიდან ძალის მოქმედების წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ 15 აპრილის შუადღემდე დენიკინელები სოჭის ოკრუგს არ გაწმენდნენ. მაგრამ შედავება მოჰყვა.⁵²⁴ ზემოთ აღწერილი საბრძოლო მოქმედებების შედეგად საქართველოს ჯარი მდინარე მეხადირზე გამაგრდა, ამავე დროს კი რსშმ-მა კვლავ დაიკავეს პოზიციები მდინარე ფსოლზე. მეხადირსა და ფსოლს შორის პატარა ტერიტორია, რომელზედაც ხუთი სოფელი (მეხადირსკოე, მოლდავანსკოე, სალმე, სულევა და ტროიცკოე) მდებარეობდნენ, დე-ფაქტო ნეიტრალური ზონა გახდა, სადაც თავდაპირველად ბრიტანეთის კონტინგენტის განთავსებას ვარაუდობდნენ. მაგრამ ამ ზონის ბრიტანული ოკუპაცია არ შედგა და შედეგად ზემოთ აღნიშნული სოფლების მოსახლეობა დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა, რაც იშვიათად დენიკინელების რაზმების რეიდებით ირღვეოდა.⁵²⁵

სამხრივი პოლიტიკური მანევრები ახალი სადემარკაციო ხაზის გარშემო

1919 წლის აპრილში სოჭსა და გაგრას შორის სანაპიროს გასწვრივ სამხედრო მოქმედების შეწყვეტა შავი ზღვის რივიერას რაიონში რუსეთ-საქართველოს ახალი სადემარკაციო ხაზისთვის

⁵²⁴ Джугели, с. 141.

⁵²⁵ Воронович, *Потонувший мир* (Москва, 2001), с. 298 и 318.

გამლიერებული დიპლომატიური ბრძოლის დაწყებას აღნიშნავდა. ბრიტანეთის წარმომადგენლები, რომელთა მისია იმ მომენტში დენიკინის რსშ-ისთვის ბოლშევიზმის განადგურების საქმეში ყველა საშუალებით ხელი შეწყობაში მდგომარეობდა, ყველა ძალით ცდილობდნენ სოჭისა და გაგრის კონფლიქტის დენიკინელებსა და საქართველოს შორის სრულმასშტაბიან ომში გადასვლის თავიდან აცილებას. თვითონ დენიკინის სიტყვებით, აპრილის ბოლოს მან შავი ზღვის გუბერნიაში დისლოცირებულ ჯარებს სოჭისა და სოხუმის ოკრუგებიდან ქართველების განდევნის ბრძანება მისცა. ამის შესახებ ეცნობა ბრიტანეთის სარდლობას კონსტანტინოპოლში.⁵²⁶

შავი ზღვის რეგიონში საერთო საომარი მდგომარეობის გათვალისწინებით საეჭვოა, რსშ-ის მთავარსარდალს განკარგულებაში საკმარისი რაოდენობის ჯარის ყოლა შეძლებოდა მსგავსი ოპერაციის წარმატებით დამთავრებისთვის. მაგრამ დენიკინის დემონსტრაციულმა საომარმა მზადებამ ბრიტანელები აიძულა, მოლაპარაკებების გზით კონფლიქტის სასწრაფო გადაჭრისთვის ყველა შესაძლო საშუალება მიეღოთ. მილნი დაჟინებით ურჩევდა დენიკინს სადავო ოკრუგებში საომარი მოქმედებების ესკალაციისგან თავის შეკავებას. იმავდროულად გენერალმა უილიამ ჰენრი ბიჩმა, კავკასიაში ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის უფროსმა, 16 მაისს ურთიერთმისაღები კომპრომისის შესაძლებლობის შესწავლის მიზნით ტფილისში მოლაპარაკება გამართა ქართველ პრემიერ ნოე ჟორდანიასთან. ერთი კვირის შემდეგ, 1919 წლის 23 მაისს სიტუაციას სოჭის კონფლიქტის გარშემო, ასევე რსშ-ის კონტროლისა და საქართველოს ზონებს შორის ახალი სადემარკაციო ხაზის დადგენის საკითხსაც, დამატებით განიხილავდნენ სპეციალურ კონფერენციაზე ინგლისელი გენერლების ბიჩისა და ბრიგის, ქართველი გენერლის გედევანოვის და საქართველოს მთავრობის წევრების გეგეჭკორისა (შინაგან საქმეთა მინისტრი) და რამიშვილის (საგარეო საქმეთა მინისტრი) მონაწილეობით. ბრიტანეთის დელეგაციამ გახსნა კონფერენცია და არაორაზნოვნად ჩააქარაგმა, რომ გენერალ მილნის 1919 წლის 3 თებერვლის დირექტივით ადრე დამტკიცებულმა თავდაპირველმა შემოთავაზებამ მდინარე მაკოფსეს გასწვრივ სადემარკაციო ხაზის გავლებასა და სოჭის ოკრუგის ნეიტრალიზაციაზე მთლიანად

⁵²⁶ Деникинъ, с. 162.

დაკარგა ძალა.⁵²⁷ ამასთან გენერალმა ბრიგმა, რომელმაც ქართველების გასაოცრად თავი წარმოადგინა, როგორც რსშმ-ის წარმომადგენელმა, გაიმეორა დენიკინის ძველი პირობები, რომლებშიც სოხუმის ოკრუგის ნეიტრალიზაცია და მთელი ქართული ჯარისა და ადმინისტრაციის ენგურის იქით გაყვანა იყო ჩართული.⁵²⁸ მოცემულ საკითხზე თავის მოკლე გამოსვლაში ბრიგმა ასევე მოიხსენია, რომ რსშმ-ის მთავარსარდლის ეს მოთხოვნა მხოლოდ და მხოლოდ „აფხაზების“ ინტერესების დაცვის სურვილს ეფუძნებოდა. ბრიგის მტკიცებით აფხაზეთის მცხოვრებნი „ქართული მმართველობით უკმაყოფილო“ იყვნენ და მზად იყვნენ „გაეწმინდათ ოკრუგი ქართული ჯარისგან... თუ მათ იარაღს მისცემდნენ“.⁵²⁹ ამგვარი მიდგომა ქართულმა მხარემ აბსოლუტურად მიუღებლად ჩათვალა. მიუხედავად ამისა, შეთანხმების მიღწევის მიზნით მინისტრმა გეგეჭკორმა წამოაყენა სამი პუნქტისგან შედგენილი შემდეგი კონტრწინადადება:

1. ქართული ჯარი რჩება მდინარე მეხადირზე.
2. საქართველო იძლევა რუსული ქონების ხელშეუხებლობის გარანტიას და ანახლებს სავაჭრო ურთიერთობებს მოხალისეთა არმიასთან.
3. საზღვრების საკითხი უნდა დაექვემდებაროს პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებას.⁵³⁰

დენიკინისგან მიღებული ინსტრუქციების მიხედვით ბრიგის მზად იყო ქართველების კონტრწინადადების მეორე პუნქტის მისაღებად. ის ასევე მზად იყო, „დროებით დაეთმო“ საქართველოსთვის სოხუმის ოკრუგის დიდი ნაწილი მდინარე ბზიფის

⁵²⁷ ასეთი ცვლილებების ერთადერთ მიზეზად ალბათ უნდა ჩაითვალოს თებერვლის პირველი დეკადის ბოლოს გენერალ ჩერეპოვის მეორე დივიზიის უეცარი გადასროლის შედეგად მიღწეული და გაგრის ალბით დამთავრებული დროებითი წარმატება.

⁵²⁸ Деникинъ, там же.

Kazemzadeh, p.239.

⁵²⁹ Ментешашвили, с. 37.

ЦГИА Грузии, ф. 1864, оп. I, д. 48, л.36.

⁵³⁰ Kazemzadeh, pp.239 – 240.

Ментешашвили, с. 40.

სამხრეთით,⁵³¹ „იქ და [დანარჩენ] საქართველოში რუსული ქონების ხელშეუხებლობის გარანტიით“. რაც შეეხება მესამე პუნქტს, ბრიგმა გამოთქვა თავისი პირადი აზრი, რომლის მიხედვითაც ეს დავა საერთოდ არ განიხილება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რამდენადაც ის რუსეთის საშინაო საქმეა და, შესაბამისად, „რუსეთის მთავრობის მიერ გადაწყვეტილი“ უნდა იყოს.⁵³² და, ბოლოს, დენიკინის ულტიმატუმური მოთხოვნა ქართველების ბზიფის იქით ევაკუაციის შესახებ დაზავების უცვლელ მინიმალურ პირობად რჩებოდა.⁵³³ ქართველებმა, თავის მხრივ, მტკიცე უარი თქვეს მეხადირსა და ბზიფს შორის ტერიტორიის დატოვებაზე და დაჟინებით მოთხოვნას აგრძელებდნენ მდინარე მეხადირზე დროებითი საზღვრის დადებაზე. ქართულმა მხარემ მიახვედრა, რომ სოჭზე პრეტენზიაზე უარის თქმა იყო მაქსიმალური დათმობა, რომლის გაკეთებაზე ის მზად იყო.⁵³⁴

კონფერენცია ჩავარდნით დამთავრდა და ბრიტანელმა ემისრებმა ტფილისი ისე დატოვეს, რომ ქართულ მხარესთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მაისის ბოლოს გენერალი დენიკინი იძულებული იყო, უარი ეთქვა საქართველოში ახალი შემოჭრის თავის გეგმებზე, სავსებით შეგნებული ჰქონდა, რომ დიდი ბრიტანეთი ძველებურად მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის სუვერენიტეტს. ქართველებმა, თავის მხრივ, რაკი სოჭის დაბრუნება ძალით არ შეეძლოთ, რსშმ-ზე ზეწოლის მოხდენა დენიკინისთვის ბრიტანელების მიერ მიცემული სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალის გადატანის ბლოკირების გზით დაიწყეს.⁵³⁵

⁵³¹ გენერალ დენიკინის ამ „დიდსულოვან ჟესტს“, საეჭვოა, შთაბეჭდილება მოეხდინა საქართველოს მთავრობაზე, მხედველობაში მივიღოთ, რომ ქართული ჯარი მითითებულ ტერიტორიას 1919 წლის თებერვალში ჩერეპოვის თავდაპირველად წარმატებული შეტევის შემდეგაც კი სტაბილურად აკონტროლებდა.

⁵³² აღწერილი კონფერენციის მსვლელობაში ბრიგსი იქამდე მივიდა, რომ ქართველებს ურჩია, „არ ეძებნათ დამოუკიდებლობა“ და გეგმუკორსა და რამიშვილს კიდევ დაემუქრა „არც თუ მშვიდი სიბერით“.

⁵³³ Деникинъ, там же.

Kazemzadeh, p.240.

⁵³⁴ Kazemzadeh, *Ibid.*

⁵³⁵ Kazemzadeh, *Ibid.*

დალესტნის დაპყრობა „რუსეთის სამხრეთის შეიარაღებული ძალების“ მიერ

1919 წ. მარტის ბოლოს რსშმ-ის ნაწილებმა გენერლების დანიილ დრაცენკოსა და ვლადიმირ ლიახოვის მეთაურობით დაარღვიეს ბრიტანეთის სარდლობის დირექტივები და დალესტანში შევიდნენ.⁵³⁶ რამდენიმე კვირის განმავლობაში მათ გაანადგურეს მთიელთა ლაშქარი, რომლებსაც აზერბაიჯანიდან მოხალისეები უჭერდნენ მხარს, და მაისის ბოლოს ეფემერული „მთიელთა რესპუბლიკა“ საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული. დენიკინელების ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა მთელი დალესტანი, სამი სამხრეთი ოკრუგისა (კაითალ-ტაბასარანის, კიურინისა და სამურის) და კასპიის ნავსადგურ დერბენტის ჩათვლით, რომლებზედაც პრეტენზია აზერბაიჯანსაც ჰქონდა.⁵³⁷

რსშმ-ის დალესტნის ოპერაციამ ნეგატიური რეაქცია გამოიწვია უინსტონ ჩერჩილის მხრიდან, რომელსაც იმ დროს დიდი ბრიტანეთის სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა. ჩერჩილმა დენიკინის მიმართ კავკასიაში მისი მოქმედების გამო თავისი შეფიქრანება და უკმაყოფილება გამოხატა გენერალ უილიამ ტომსონის პირით, რომელმაც 1919 წლის 10 ივნისს მოითხოვა რსშმ-ის დაუყოვნებლივ გაყვანა ახალი სადემარკაციო ხაზის იქით, რომელიც ახლა უკვე პორტ-პეტროვსკიდან სამხრეთით 5 მილში (იხ. რუკა 239-ე გვერდზე)⁵³⁸ იწყებოდა. მეორე დღეს გენერალ-მაიორმა ჯორჯ ნორტონ კორიმ, რომელიც 1919 წლის თებერვალში სამხრეთ კავკასიასა და ამიერკასპიაში ბრიტანეთის საექსპედიციო ძალების ახალ სარდლად დანიშნეს, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს ინფორმაცია გადასცა კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის სარდლობის მიერ ცალმხრივად დადგენილი ახალი სადემარკაციო ხაზის შესახებ. ახლა სადემარკაციო ხაზი რსშმ-სა და ამიერკავკასიის ორ რესპუბლიკას შორის უნდა დაწყებულიყო შავი ზღვის სანაპიროდან, გაგრძელებულიყო მდინარე ბოიფის გასწვრივ, შემდეგ გაევიდა კავკასიონის დიდი ქედის გაყოლებით დალესტანამდე, წასულიყო იქით ჩრდილო-

⁵³⁶ А. Деникин, *Очерки русской смуты* (Минск, 2002), с. 227.

⁵³⁷ Деникин, стр. 228-241.

А. Tsutsiev, *Atlas of Ethno-Political History of the Caucasus* (London, 2014), p. 72.

⁵³⁸ Деникин, с. 243.

აღმოსავლეთით დაღესტნის ოლქის დასავლეთ საზღვრის გასწვრივ გროზნოდან ბაქოში მიმავალი რკინიგზის ხაზის გადაკვეთამდე, შემდეგ კი – რკინიგზაზე კასპიის ზღვის სანაპიროზე პორტ-პეტროვსკის სამხრეთით 5 მილში წერტილამდე (იხ. რუკა 239-ე გვერდზე).⁵³⁹ შესაბამისად, ქართულ ჯარს მდინარე მეხადირის გაყოლებით თავისი სათავდაცვო პოზიციების დატოვებისა და ბზიფის იქით გადასვლის ბრძანებას აძლევდნენ. გენერალმა კორიმ ქართველებს გადასცა მკაცრი გაფრთხილება, რომელიც უფრო ულტიმატუმად ჟღერდა:

„ამ პირობების შეუსრულებლობა... გამოიწვევს ბრიტანეთის (საქართველოს მიმართ) კეთილგანწყობის შეწყვეტას და მისი უდიდებულესობის მთავრობისთვის შეუძლებლებელს გახდის დენიკინისთვის წინააღმდეგობის გაწევას მის მიერ ამ ხაზის სამხრეთით წინაწევის შემთხვევაში“.⁵⁴⁰

მაგრამ ბრიტანელები ვერც ამ ახალ სადემარკაციო ხაზზე მისცემდნენ გარანტიას, იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ დენიკინმა ის არამც თუ მიიღო, არამედ თავის ჯარს გენერალ ივან ერდელის სარდლობით უბრძანა, დაღესტნის ტერიტორიის არც ერთი გოჯი არ დაეტოვებინათ და პოზიციები დაეკავებინათ პორტ-პეტროვსკიდან სამხრეთით 115 მილზე და აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან ჩრდილოეთით 125 მილზე ნაკლებ გამავალ მდინარე სამურზე.⁵⁴¹ ამიტომ გასაკვირი არაა, რომ გენერალ კორის გზავნილი შეიცავდა გაცვეთილ მანტრას ახალი სადემარკაციო ხაზის „დროებით ხასიათზე“ და იმის რწმუნებებს, რომ მუდმივი საზღვარი ოდესმე გაურკვეველ მომავალში ყბადაღებულ სამშვიდობო კონფერენციაზე დადგინდება. მართლაც რამდენიმე კვირის შემდეგ მოკავშირეებმა უკვე ოფიციალურად ცნეს რსმდ-სა და აზერბაიჯანს შორის გამიჯვნის უკვე მესამე ხაზი, ახლა უკვე მდინარე სამურის გაყოლებით.⁵⁴²

⁵³⁹ Там же.

⁵⁴⁰ Авалов, с. 198.

Я. Шафир, *Очерки грузинской Жиронды* (Москва, 1925), стр. 124-125.

⁵⁴¹ Деникин, р. 244

⁵⁴² Авалов, с. 200.

Деникин, с. 244-245.

ამგვარად, 1919 წლის ივნისის შუა რიცხვებში რაიმე არგუმენტირებული მიზეზის გარეშე და სრულიად მოულოდნელად ბრიტანეთის სარდლობამ დე-ფაქტო მიიღო დენიკინელების მიერ დაღესტნის დაპყრობა, იმგვარად, როგორც იმავე წლის აპრილში მიიღო მათ მიერ სოჭის ოკრუგისა და სოხუმის ოკრუგის გაგრის თემის (ვოლოსტის) დაპყრობა. ამასობაში გენერალი დენიკინი არ მალავდა კავკასიაში შემდგომი ექსპანსიის თავის გეგმას, რომელიც როგორც მინიმუმს სანავსადგურო ქალაქ ბათუმისა და მთელი აზერბაიჯანის დაპყრობას შეიცავდა.⁵⁴³

საქართველო და აზერბაიჯანი თავდაცვით კავშირს ამყარებენ

ქართულმა მხარემ ამჯობინა, 11 ივნისს გენერალ კორისგან მიღებული ულტიმატუმის იგნორირება გაეკეთებინა. ამის გარდა, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად გარკვეული სათავდაცვო ზომები მიეღო ჩრდილოეთიდან, – დენიკინის რსშმ-ის მხრიდან აშკარა საფრთხესთან დაკავშირებით. რის შედეგადაც 1919 წლის 16 ივნისს ორმა რესპუბლიკამ სამხედრო-სათავდაცვო ხელშეკრულება დადო.⁵⁴⁴

საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულების მუხლი I-ის შესაბამისად, შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ შეთანხმებულ მხარეს გარედან დაესხმოდნენ თავს, მეორე მხარე ვალდებული იყო, მისთვის დახმარება გაეწია მის განკარგულებაში მყოფი „მთელი თავისი შეიარაღებული ძალებითა და საშუალებებით“⁵⁴⁵. იმავე მუხლში ნათქვამი იყო, რომ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ჯერ კიდევ გადაუჭრელი ტერიტორიული დავით გამოწვეულ ნებისმიერ შესაძლო სასაზღვრო კონფლიქტს არ ეძლევა გარედან თავდასხმის კვალიფიკაცია. ეს ირიბად მიუთითებდა ერთადერთ პოტენციურ აგრესორზე, რომელსაც აზერბაიჯანიც და საქართველოც ესაზღვრებოდნენ. ასეთი იყო რუსეთი (იქნებოდა ეს ბოლშევიკური, თუ ანტიბოლშევიკური). მუხლი III ადასტურებდა ხელშეკრულების მკაცრად თავდაცვით ხასიათს. მუხლ V-ში

⁵⁴³ Деникин, *Очерки русской смуты, том IV* (Berlin, 1925), с. 142-146 и 164.

⁵⁴⁴ Авалов, с.199.

Kazemzadeh, p. 246.

⁵⁴⁵ Авалов, с. 209-210

დათქმული იყო მისი მოქმედების სამწლიანი ვადა, მუხლი X კი ითვალისწინებდა სომხეთის უფლებას ხელშეკრულებას მესამე მხარედ მიერთებაზე. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს პრემიერ-მინისტრმა ნოე რამიშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა და გენერლებმა ილია ოდიშელიძემ და ალექსანდრე გედევანიშვილმა (გედევანოვმა). აზერბაიჯანის მხრიდან მას ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა მინისტრმა მამედ ჯაფაროვმა და გენერლებმა სამედბეი მეჰმანდაროვმა (თავდაცვის მინისტრმა) და მაცეი (მამედ) სულკევიჩმა⁵⁴⁶ საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულებას რომ სომხეთი, რომლის მთავრობასაც ეს შესთავაზეს, მიერთებულყო, მაშინ სათავდაცვო ხელშეკრულება თურქეთის წინააღმდეგ მიმართულიც აღმოჩნდებოდა. მაგრამ სომხეთი ხელშეკრულებას არ შეუერთდა. ასეთი გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზი იყო სომხების ხელმძღვანელობისა და საზოგადოების საკმაოდ მიაშიტური, მაგრამ ძლიერი რწმენა სომხეთისადმი „განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში“ მოკავშირე დიდი სახელმწიფოების მხრიდან, რომლებსაც, როგორც ელოდნენ, თურქებთან მათი ყველა პრობლემა უნდა გადაეწყვიტათ. რაც შეეხება სომხეთსა და დენიკინის რსშმ-ს შორის დამოკიდებულებას, ის სრულიად მეგობრული, თუ არ ვიტყვით, მოკავშირული იყო.⁵⁴⁷

ორმხრივი სათავდაცვო ხელშეკრულების ხელმოწერიდან ოთხი დღის შემდეგ აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებმა ერთობლივი ანტიდენიკინური განაცხადი გააკეთეს. 20 ივნისს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაკეთებული ეს განაცხადი შეიცავდა მოსაზღვრე სახელმწიფოების მიმართ რსშმ-ის აგრესიული პოლიტიკის დაგმობასა და სოჭის ოკრუგისა და პორტ-პეტროვსკის სამხრეთით დადესტნის რამდენიმე რაიონის დაუყოვნებელი დეოკუპაციის მოთხოვნას.⁵⁴⁸

⁵⁴⁶ Kazemzadeh, p. 246.

⁵⁴⁷ Деникин, *Очерки русской смуты*, т. IV (Berlin, 1925), с. 172-177.
Hovannisian, *Vol. II*, pp.468-475.

Kazemzadeh, pp. 246-247.

⁵⁴⁸ Авалов, с. 199.

ხელშეკრულების დადების შედეგები

1919 წლის ივნისიდან 1920 წლის აპრილამდე პერიოდი რუსეთის სამხრეთში თეთრი მოძრაობის ისტორიაში მშფოთვარე მოვლენებით აღინიშნა. 1919 წლის ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში რუსეთის ცენტრალური ნაწილის სამხრეთსა და უკრაინაში დენიკინის არმიების ხანმოკლე წარმატებები იმავე წლის შემოდგომის დასასრულს მათმა გამანადგურებელმა მარცხებმა შეცვალეს. ამას მოჰყვა რსშმ-ის აგონია, რომლის კულმინაცია 1920 წლის 26-27 მარტს ნოვოროსიისკიდან რუსეთის ანტიბოლშევიკური ძალების ნარჩენების ევაკუაცია იყო. რუსეთის იმპერიის ამ დრამატული მოვლენების მიმდინარეობაში საქართველოს რესპუბლიკასა და დენიკინის ადმინისტრაციას შორის დამოკიდებულება კონფრონტაციის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდებოდა და შეიძლება განსაზღვრული ყოფილიყო, როგორც „არც ომი, არც ზავი“. რსშმ-ის რუსეთის კონტროლირებად ზონაში ბრიტანული სამხედრო მასალის ტრანზიტის ბლოკადაზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეფერხებაზე დამატებით საქართველოს ხელისუფლებამ ასევე მიიღო რიგი ზომებისა იმისთვის, რომ დენიკინის შეიარაღებულ ძალებში მოხალისეთა აყვანისთვის ხელი შეეშალათ. ამ ზომებში შედიოდა დენიკინის რამდენიმე ემისრის დაპატიმრება, რომლებიც დაუდასტურებელი მონაცემებით საქართველოსა და აზერბაიჯანის ფარგლებში რსშმ-ის შესაძლო შეჭრისთვის ხელშეწყობის აღმოჩენის მიზნით სოხუმსა და ფოთში ყოფილი რუსი ოფიცრების გაერთიანების მცდელობაში იყვნენ გარეული.⁵⁴⁹ თუმცა დაპატიმრებებით ეს ზომები არ შემოსაზღვრულა. ასე, 1919 წლის 24 ივნისს ბრიტანელების მიერ ოკუპირებულ ბათუმში თავის ადიუტანტთან ერთად გასროლით მოკლეს უკრაინელ-რუსი გენერალი აზნაური ალექსანდრ ნათიევი (ნათიშვილი), რომელიც 1918 წ. იანვრიდან „მოხალისეთა არმიის ამიერკავკასიის კორპუსის“ ჩამოყალიბებას ცდილობდა.⁵⁵⁰ გენერალ დენიკინის აზრით ბათუმის ცენტრში დღისით, მზისით მომხდარი ეს მკვლელობა ქართული საიდუმლო სამსახურის ნახელავი იყო.

⁵⁴⁹ Деникинъ, с. 156.

Дзидзария, с. 255-256.

⁵⁵⁰ სინამდვილეში ნათიევმა კორპუსის სრულადაც კი არა, მხოლოდ რა-ოდენობით სულ 340 მეზრძოლის, რომელთა უმრავლესობა ეთნიკური სომხები იყვნენ, ბატალიონის შექმნა შეძლო.

ამავე დროს საქართველოს მთავრობა იმპიციცებოდა, რომ ნათიევის შეიარაღებული ფორმირება საქართველოს დაპყრობის მიზნით იყო შექმნილი.⁵⁵¹

ამის მიუხედავად დენიკინმა ქართველებთან მისი დამოკიდებულების თუნდაც დროებითი ნორმალიზაციის მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. 1919 წლის ივნისის ბოლოდან მან გაყინა ყველა კონტაქტი აფხაზეთში პროთეთრგვარდიულ ჯგუფებთან, რომლებსაც შერვაშიძე და ხასაია მეთაურობდნენ.⁵⁵² იმავე წლის აგვისტოში კი საქართველოს მთავრობასა და რსშ-ის სარდლობას შორის ორმხრივი დამოკიდებულების დარეგულირების არაოფიციალური დავალებით ტფილისში ქართული წარმომოხობის პოპულარული კაზაკი გენერალი ნიკოლაი ბარატოვი გაგზავნეს. ბარატოვის მისიის მოხსენებისას კაზემზადე ამ მისიას შემდეგ დახასიათებას აძლევს:

ბარატოვმა მიიღო სამ ძირითად ჯგუფად გაყოფილი საიდუმლო ინსტრუქციები. პირველი ჯგუფი სამხედრო საკითხებს ეხებოდა. ბარატოვს დაავალეს ზომების მიღება რუსეთის დიდი ხნის წინ დაშლილი კავკასიური არმიის [ყოფილი კავკასიის ფრონტის] მთელი ქონების დენიკინისთვის გადაცემის უზრუნველსაყოფად. მას უნდა შეეთავაზებინა საქართველოში მყოფი ყველა რუსი ოფიცრისთვის მიერთება მოხალისეთა არმიასთან, რომელიც, თავის მხრივ, მათი ოჯახების უზრუნველყოფას კისრულობდა. მეორე ჯგუფს განეკუთვნებოდა პოლიტიკური საკითხები. მას [ბარატოვს] ნაბრძანები ჰქონდა, შეემზადებინა ნიადაგი რუსეთთან ამიერკავკასიის „უმტკივნეულო შემოერთებისთვის“ იმის საფუძველზე, რომ ეს მხარეები [რუსეთის] იმპერიის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ. ბარატოვს ასევე უნდა გაემეორებინა ქართული ჯარის მდინარე ბზივის აქეთ გადმოყვანის მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დათანხმდებოდა, თავი რუსეთის ნაწილად ეცნო, მოხალისეთა არმია მზად იყო, მოეხსნა ყველა საბაჟო ბარიერი, დაერთო თავისუფალი ვაჭრობის ნება და დაემყარებინა მეგობრული დამოკიდებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში საბაჟო ტარიფები ძალაში დარჩება, მაგრამ მოხალისეთა არმია [საქართველოზე] თავდასხმისგან თავის

⁵⁵¹ Деникинъ, с. 145.

⁵⁵² Дзидзария, с. 250-251.

Welt, p. 63.

დაჭერას აღუთქვამს. თუკი საქართველო ყველა ამ მოთხოვნაზე უარის თქმას გადაწყვეტს, მაშინ მას ყველაზე ცუდისთვის მზადება მართებს.

...ბარატოვის მიერ მიღებული ეს ინსტრუქციები იმის დემონსტრაციაა, რომ იმ მომენტში, როგორც ყოველთვის, დენიკინი ველიკორუს ნაციონალისტად რჩებოდა. თითქოს ორმა რევოლუციამ მას გვერდი აუარა. ის აგრძელებდა ცხოვრებას ძველ სამყაროში, სადაც ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები დაქვემდებარებული ხალხები, კავკასიის „დაოკებული“ ტომები იყვნენ. სრულიად ბუნებრივიც იყო, რომ ასეთი ინსტრუქციებით აღჭურვილმა ბარატოვმა საქართველოს სოციალისტურ მთავრობასთან შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლო“.⁵⁵³

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ბზიფზე საზღვრის უარყოფას აგრძელებდა და მაინც, შაფირის მონაცემების თანახმად, ამის მიუხედავად ღიად რჩებოდა დენიკინთან ერთგვარი თანამშრომლობისთვის და მის მიერ განსაზღვრული პირობების დაცვით მზად იყო, თავის თავზე აეღო შემდეგი ვალდებულებები:

„1. საბჭოთა რუსეთთან მის ბრძოლაში მოხალისეთა არმიის ზურგში სიმშვიდის სრული გარანტია (თუ თქვენ ჩვენთან შეთანხმების დამოკიდებულებაში შეხვალთ, თქვენი ზურგისთვის სრულიად მშვიდად შეგიძლიათ იყოთ და შეგიძლიათ ჩვენი ფრონტიდან გაიყვანოთ ყველა, უკანასკნელ ჯარისკაცამდე).

2. ყველაზე ენერგიული ზემოქმედება ჩრდილო კავკასიის მთიელ ხალხზე იმ მიმართებით, რომ ისინი ...მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ არ გამოვიდნენ“.⁵⁵⁴

ჩვენ ხელთ არა გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, აძლევდა თუ არა ბარატოვი ქართულ მხარეს დენიკინის სახელით რაიმე დაპირებას შესაძლო ტერიტორიული დათმობების თაობაზე, მაგრამ შაფირი ამტკიცებდა, რომ სექტემბრის დასაწყისისთვის „ინტერესების შეთანხმება ამ ორ [საქართველოსა და დენიკინის]

⁵⁵³ Kazemzadeh, p. 241.

⁵⁵⁴ Шафир, с. 130.

მხარეს შორის უკვე შესრულდა და ამით [ბარატოვის] მისიამ... უკვე თავის მიზანს მიაღწია“.⁵⁵⁵

თუმცა ბარატოვისა და ქართველებს შორის შემდგომი მოლაპარაკება შეწყდა 1919 წლის 12 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული აქტით, როცა საბჭოების აგენტმა არკადი ელბაქიძემ გრანატა ესროლა ავტომობილს, რომლითაც თბილისის ცენტრში, ვერის დაღმართზე გენერალი ბარატოვი თავის ქართველ კოლეგასთან ილია ოდიშელიძესთან ერთად მიდიოდა.⁵⁵⁶ შედეგად ბარატოვი სერიოზულად დაიჭრა და მისი მისია დენიკინელმა გენერალ-მაიორმა ვასილი ვოსკრესენსკიმ გააგრძელა. შაფირის მტკიცებით, უკანასკნელმა „ისეთი შეუფერებელი ტონით წაიყვანა [მოლაპარაკება], რომ პირველივე სხდომაზე დამოკიდებულება გაუმჯობესების ნაცვლად კიდევ უფრო დაძაბა“.⁵⁵⁷ ამავე დროს ავალოვი არაორაზროვნად უსვამდა ხაზს, რომ კონფლიქტის რუსულ (მოცემულ შემთხვევაში დენიკინის) მხარესთან მიმართებაში არც საქართველოს მთავრობის პოლიტიკა გამოირჩეოდა მოქნილობით. ეს შემადგენლობით უპირატესად სოციალისტური მთავრობა „რეაქციონერებთან“ და „იმპერიალისტებთან“ მოლაპარაკებას თავისთვის მიუღებლად თვლიდა, გონივრულ კომპრომისებს ხშირად კონფრონტაციას ამჯობინებდა. „თეთრ რუსეთთან“ მიმართებაში ოფიციალური ტფილისის დაუთმობლობის კრიტიკისას ავალოვი იგონებს:

„მე კიდევ მიმაჩნდა, რომ უნდა გვესარგებლა პარიზში დენიკინის დელეგაციის ჩამოსვლით და გაგვეჩრია საკითხი საქართველოსა და ჩრდილოეთით მის მეზობელს შორის წმინდად ფაქტიური მეზობლობის დამყარებაზე (ნეიტრალიტეტის პოზიციის შესაბამისად). მაგრამ ქართული დელეგაცია ამ აზრს არ იზიარებდა...“

უკეთესია, ეს ახალა გაკეთდეს, ვამზობდი მე, როცა ადმირალ კოლჩაკის მთავრობა ამორფულია, ვიდრე გვიან, როცა ის გაძლიერდება. თუ კოლჩაკ – დენიკინს მომავალი აქვთ, მაშინ მოლაპარაკებაზე თაოსნობის აღებით ჩვენ მხოლოდ მოვიგებთ; თუ მათ მომავალი არ აქვთ, ჩვენ ნიადაგის ზონდირებით არაფერს არ წავაგებთ. კონფერენციასთან მიმართებაში ჩვენს მდგომარეობას

⁵⁵⁵ Шафир, там же.

⁵⁵⁶ Кадишев, с. 202.

⁵⁵⁷ Шафир, с. 131.

მხოლოდ გავამაგრებთ, რადგან მის მიერვე გამოცხადებულ პრინციპებს მივყვებით...

მაგრამ ამას წერეთელი და სხვები მაინც არ დაეთანხმნენ. წერეთელს მიაჩნდა, რომ „...ასეთი მოქმედებით ჩვენ... ვალიარებდით კოლჩაკს, გავამაგრებდით მას (sic) და ევროპის დემოკრატიის შეფასებას დავცილდებოდით“⁵⁵⁸

გამოცდილ დიპლომატს სრულიად სამართლიანად მიაჩნდა, რომ:

„საქართველოს დამოუკიდებლობა დაცვის მრავალგვარ და მოქნილ ფორმებს მოითხოვდა. ამის ყველაზე ცუდი ხერხი კი იმაში მდგომარეობდა, რომ გავქცეოდით სერიოზულ მოლაპარაკებებს დღეს „თეთრებთან“ (დენიკინელებთან), ხვალ – „წითლებთან“ (ამ შეფერილობის სიძულვილის გამო), არ შეგვძლებოდა შეთვისება „იმპერიალისტებთან“, რომლებსაც რუსეთთან მოლაპარაკების გაადვილება შეეძლოთ, და ამავე დროს სასოება დაგვემყარებინა „საერთოევროპულ დემოკრატიასზე“, ცოტად თუ ბევრად ლეგენდარულზე“⁵⁵⁹

საბოლოო ანგარიშით, რსშმ-თან განუწყვეტელი კონფრონტაცია საქართველოს ხელმძღვანელობის სოციალისტურ რიტორიკასთან შეხამებით ხელს უწყობდა არა მხოლოდ „თეთრ რუსეთთან“ კონფლიქტის გაღრმავებას, არამედ ახალგაზრდა რესპუბლიკისადმი ბრიტანელების სიმპათიის შესუსტებასაც. აქაც მართებულია ავალოვის ციტირება:

„თვით საქართველოში მოასწრეს ინგლისელებთან (მთავარ „იმპერიალისტებთან“) დამოკიდებულების გაფუჭება. ქართველების ფრონტი დენიკინის წინააღმდეგ გაგებული იყო როგორც „სოციალისტური“, საქართველოს მთავრობის მეთაურს კი ვერ გადაეწყვიტა ტფილისში სასახლეზე აფრიალებულ წითელ დროშასთან გამოთხოვება, როგორც ბავშვს არ სურს საყვარელ სათამაშოსთან დაშორება. ყველაფერი ეს არც თუ ხელშემწყობი მაჩვენებელი იყო რომელიმე დიდ სახელმწიფოსთან დაახლოე-

⁵⁵⁸ Авалов, с. 201-202.

⁵⁵⁹ Авалов, с. 202.

ბისტვის!... მოგვიხდა კიდევ პირისგან, რომლის ხელმოწერითაც 1918 წ. დეკემბერში საქართველოსადმი სიმპათიის გამოხატვა მივიღეთ, აღიარება, რომ „სიმპათია იყო“, მაგრამ ახლა ის... „ნაკლებია“.⁵⁶⁰

მაგრამ საეჭვოა, რომ გაზვიადება იყოს თქმა, რომ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის საქმისთვის დენიკინთან კონფრონტაცია უბრალოდ საზიანო იყო, რსშმ-ისა და მთლიანად „რუსეთის თეთრი საქმისთვის“ დამღუპველი იყო საქართველოსთან კონფრონტაცია. კვლავ მივუბრუნდეთ დენიკინის მოგონებებს. „რუსული არეულობის ნარკვევების“ («Очерки русской смуты») V ტომში თეთრი მოძრაობის ლიდერი დაწვრილებით აღწერს 1919 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რსშმ როგორ უკეთებდნენ კონცენტრაციას განკარგულებაში მქონე ყველა რუსურს რუსეთის ყოფილი იმპერიის ევროპული ნაწილის ცენტრისა და სამხრეთ-დასავლეთის დაუფლების სასოწარკვეთილ მცდელობაში.⁵⁶¹ ამასთან მათი მოძრაობის პიკზე რსშმ-ში დიდი გარჯით მობილიზებული 160.000 ჯარისკაცისა და ოფიცრისგან 20.000 (მთელი პირადი შემადგენლობის 13%) საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ შავი ზღვის რივიერას რაიონსა და თერგ-დაღესტნის მხარეში იმყოფებოდა.⁵⁶² ამავე დროს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრაქტიკულად მთელი ჯარი აღწერილ პერიოდში თავმოყრილი იყო ყარაბაღში „რუსული მულანის“ გარშემო, სადაც ამ თვეებში აქტიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდნენ. ამგვარად აზერბაიჯანს თავის ჩრდილო საზღვარზე პრაქტიკულად არავითარი საფარი არ ჰქონდა და არანაირად არ შეეძლო რსშმ-ისთვის საშიშროება ყოფილიყო.⁵⁶³ ზემოთ

⁵⁶⁰ Авалов, с. 220.

⁵⁶¹ ლაპარაკი მოცემულ შემთხვევაში უკრაინაზეა, რომელსაც რუსეთის თეთრი მოძრაობის ლიდერები სამხრეთ-დასავლეთ რუსეთად თვლიდნენ.

⁵⁶² Деникинъ, т. V, с. 118.

⁵⁶³ იხ. ზემოთ „საქართველო და აზერბაიჯანი სათავდაცვო კავშირს ამყარებენ“. ხელშეკრულება ორივე რესპუბლიკას რუსეთის მხრიდან აგრესიის ერთად მოგერიებას ავალდებულებდა (Авалов, с. 209-210). მაგრამ ამ ხელშეკრულებას, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, წმინდად დემონსტრაციული ხასიათი ჰქონდა, რადგან აზერბაიჯანის მხარეს მისი შესრულების ძალა არ აღმოაჩნდა აზერბაიჯანის

თქმულის გამო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნახსენები 20.000 დენიკინელის დიდი ნაწილი სწორედ საქართველოს წინააღმდეგ იყო გამოყვანილი. დენიკინ-საქართველოს სადემარკაციო ხაზის გასწვრივ მოსკოვის მიმართულებით ოპერაციისთვის სასიცოცხლოდ საჭირო რსშმ-ის ათი ათასზე მეტი შემადგენლობის ჯარის დისლოკაცია სავსებით დამაჯერებელი მიზეზებით აიხსნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე იძულებული იყო, თავი შეეკავებინა რსშმ-ის წინააღმდეგ ომის აშკარა გაგრძელებისგან, მან დენიკინელების ზურგზე ზემოქმედების ალტერნატიული მეთოდები გამოიყენა. ეს მეთოდები უპირატესად ინგუშეთში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში მთიელი პარტიზანების, ასევე შავი ზღვის გუბერნიასა და, ყველაზე მეტად, სოჭის ოკრუგში ეგრეთ წოდებული „მწვანე“ პარტიზანების მხარდაჭერაში მდგომარეობდნენ. მხარდაჭერა უპირველესად იარაღით, საბრძოლო მასალით, ფორმის ტანსაცმლითა და ინსტრუქტორი ოფიცრებით დახმარებაში იყო,⁵⁶⁴ მაგრამ ამით არ შემოიფარგლებოდა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დროის ამავე პერიოდში როგორც დენიკინელებმა, ისე ბოლშევიკებმა არაერთხელ სცადეს თავის სასარგებლოდ საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მემამოხეთა მოძრაობის ორგანიზება, მაგრამ ამ მცდელობას პრაქტიკული წარმატება არ ჰქონია.⁵⁶⁵ სოჭის ოკრუგში კი სრულმასშტაბიანი ანტიდენიკინური (და ერთდროულად ანტიბოლშევიკური) ამბოხი გაჩაღდა.

მთავრობის პოლიტიკური ნების არქონისა და მისი არმიის სრული ქმედუუნარობის მიზეზით.

⁵⁶⁴ Деникинъ, т. IV, с. 136, 160 и 163, т. V, с. 244, 248-249.

Дзидзария, с. 276.

Н. Жордания, *Моя жизнь* (Стэнфорд, 1968) с.103-107.

А. Черкасов, А. Мамадалиев, «Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920 гг.): формирование и боевые действия», *История и историки в контексте времени* (Вып.8, 2011), с. 25.

Шафир, с. 133.

Користо, р. 170.

⁵⁶⁵ Дзидзария, с. 276-278.

აზერბაიჯანის ელვისებური დაცემა

1920 წლის მარტის ბოლოს დენიკინის რსშმ-მა რუსეთის სამხრეთში გამანადგურებელი დამარცხება განიცადეს. მათი უკანდახევა ნოვოროსიისკის კატასტროფით⁵⁶⁶ (1920 წ. 17-27 მარტი) დამთავრებულ პანიკურ უკუქცევაში გადაიზარდა, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში ორგანიზებული ანტიბოლშევიკური ბრძოლის დასასრულს მოასწავებდა. ნოვოროსიისკის დაცემის შემდეგ წითელ არმიას მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებთან წინააღმდეგობის უკანასკნელი იზოლირებული კერების ლიკვიდაცია დარჩა. 25 მარტს წითელმა არმიამ დერბენტი აიღო. 5 დღის შემდეგ დაეცა სანავსადგურო ქალაქი პეტროვსკი და 30 მარტისთვის მთელი ქვემო დაღესტანი სოვეტიზებული იყო. საქართველოს საზღვრის ახლოს 24 მარტს წითელმა არმიამ აიღო ვლადიკავკაზი, მეხადირსა და მაკოფსეს შორის შავი ზღვის სანაპირო კი 1920 წლის მასამდე საბჭოების მიერ დაუმორჩილებელი რჩებოდა. 26 თებერვლიდან 30 მარტამდე სოჭის ოკრუგი შავიზღვისპირეთის განთავისუფლების კომიტეტს, რომელსაც საქართველო უჭერდა მხარს, დაქვემდებარებული მწვანე არმიის⁵⁶⁷ მუდმივ კონტროლქვეშ რჩებოდა. აპრილის დასაწყისში ოკრუგი ანდრეი შკუროს მეთაურობით დაიპყრეს რსშმ-ის ნარჩენებმა, რომლებიც წითელ არმიასთან წინააღმდეგობას 1920 წლის 15 მასამდე განაგრძობდნენ.⁵⁶⁸

ამასობაში უკვე 1920 წლის მარტის შუა რიცხვებში საბჭოთა მთავრობამ ყოფილი რუსეთის იმპერიის ამიერკავკასიის სამ-

⁵⁶⁶ ნოვოროსიისკის კატასტროფა – რსშმ-ისა და ნოვოროსიისკიდან ლტოლვილების ევაკუაცია 1920 წ. მარტში, რომლის დროსაც წითელი არმიის მეგრძოლებმა და „მწვანე არმიელებმა“ თეთრი არმიის ათასობით ოფიცერი, ჯარისკაცი, კაზაკი და სამოქალაქო პირი გაჟლიტეს. მოხერხდა დაახლოებით 33.000 ადამიანის გაყვანა.

⁵⁶⁷ „მწვანეარმიელები“ („მწვანე ამბოხებულნი“, „მწვანე პარტიზანები“, „მწვანე მოძრაობა“, „მესამე ძალა“) – არარეგულარული, უპირატესად გლეხებისა და კაზაკების შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც უცხოელ ინტერვენტებს, ბოლშევიკებსა და თეთრგვარდიელებს უპირისპირდებოდნენ სამოქალაქო ომის წლებში. უფრო ფართო აზრით „მწვანეები“ სამოქალაქო ომში „მესამე ძალის“ განსაზღვრაა.

⁵⁶⁸ Андерсен, с. 143-151.

ფლობელოებში ექსპანსიის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.⁵⁶⁹ ექვსი კვირის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში განხორციელება დაიწყო. 1920 წლის 27 აპრილს მე-11-ე წითელი არმიის ნაწილები 30.000 ქვეითისა და მხედრის შემადგენლობით და რუსეთის საიმპერატორო არმიის ყოფილი ოფიცრის მიხაილ ლევანდოვსკის სარდლობით ომის გამოუცხადებლად გადავიდნენ აზერბაიჯანის საზღვარზე. მეორე დღეს აზერბაიჯანის მცირერიცხოვანი, რესპუბლიკის ჩრდილოეთი საზღვრის დამცველი ჯარის უმნიშვნელო წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ წითლების ოთხი ჯავშანმატარებლისგან შემდგარი ავანგარდი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში შევიდა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა და ახალმა ბოლშევიკურმა ადმინისტრაციამ, რომელმაც თავის თავს რევოლუციური კომიტეტი („რევკომი“) უწოდა, „აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ გამოაცხადა.

28 აპრილს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ორი ტელეგრამა გაუგზავნა საბჭოთა რუსეთის უმაღლეს ლიდერს ვლადიმირ ულიანოვ-ლენინს. პირველმა ტელეგრამამ დაადასტურა ბაქოში სახელმწიფო გადატრიალების წარმატება და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობილ მთავრობას „გამცემლური, დანაშაულებრივი [და] კონტრრევოლუციური“ უწოდა, მაშინ როცა მეორე აზერბაიჯანში წითელი არმიის შეჭრის პოსტფაქტუმ გამართლების მცდელობა იყო:

აზერბაიჯანის საბჭოთა დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატისა და აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობის ნებით აიღო რა თავის თავზე ძალაუფლება, აცხადებს ძველ მუსავატურ მმართველებს ხალხის გამცემლებად და დამოუკიდებელი ქვეყნის მტრებად და წყვეტს ყველა დამოუკიდებულებას ანტანტასთან, ასევე საბჭოთა რუსეთის სხვა მტრებთან. რაკი თავისი ძალებით გარე და შიგა კონტრრევოლუციის ბანდების გაერთიანებული ზეწოლის წინააღმდეგობის

⁵⁶⁹ В. Ленин, Полное собрание сочинений (Москва, 1970), Т. 51 (Письма: июль 1919 – ноябрь 1920), с. 163-164.

გაწევის შესაძლებლობა არ აქვს, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის ძმურ კავშირში შესვლას სთავაზობს. ჩვენ გთხოვთ, რეალური დახმარების დაუყოვნებლივ აღმოჩენას აქ წითელი არმიის რაზმების გამოგზავნით.⁵⁷⁰

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, მე-11-ე წითელი არმია უკვე იყო ბაქოში და შემდგომი 4 დღის განმავლობაში მისმა ქვედანაყოფებმა აზერბაიჯანის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიპყრეს. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ასეთი ჩქარი მარცხის მიზეზი შემდგომში მდგომარეობს:

1. აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 20.000 ქვეითი და ცხენოსანი) სომხებთან ბრძოლას აწარმოებდნენ ყარაბაღსა და ზანგეზურში, მაშინ როცა დაღესტანთან საზღვარზე განლაგებული იყო 3000-ზე ნაკლები ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებმაც თავის თავზე მიიღეს მე-11-ე წითელი არმიის მათზე ათჯერ მეტი ნაწილების დარტყმა.⁵⁷¹ ამრიგად, უპირატესად სომხებით დასახლებული სადავო ტერიტორიების მთიან რაიონებში საბრძოლო ოპერაციებზე კონცენტრირებით ეროვნული მთავრობა ბაქოში მთელი აზერბაიჯანის დაკარგვის რისკზე წავიდა.
2. 1920 წლის აპრილში დაწყებული და მე-11-ე არმიის შეჭრის დღეს პროსაბჭოთა გადატრიალებით დამთავრებული გაჭიანურებელი სამთავრობო კრიზისი აზერბაიჯანში.⁵⁷²
3. აზერბაიჯანელი კომუნისტების (ბოლშევიკების) ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომლებიც წითელი არმიის მეხუთე კოლონად გამოდიოდნენ.
4. საბოტაჟი, ორგანიზებული თურქი ოფიცრების მიერ, რომლებიც აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდნენ გენერალ ქაზიმ ყარაბექირ-ფაშასგან (თურქი ნა-

⁵⁷⁰ Нованнисян, p. 183.

Kazemzadeh, p. 284.

⁵⁷¹ Кадишев, с. 249.

Kazemzadeh, p. 284.

⁵⁷² Kazemzadeh, pp. 277-283.

ციონალისტების აღმოსავლეთ ფრონტის სარდლისგან) მიღებული ინსტრუქციებით, რომელსაც მათთვის ნაბრძანები ჰქონდა ისეთი სახმელეთო კორიდორის შექმნის გაადვილება, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შეაერთებდა.⁵⁷³

5. შესაძლო საბოტაჟი აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრ გენერალ სამედ ბეგ მეჰმანდაროვის მხრიდან, რომელმაც თავის დროზე პარლამენტის სესიაზე განაცხადა, რომ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი არმია იმდენად სუსტი და არაპროფესიულია, რომ მხოლოდ ერთი რუსული ბატალიონის დარტყმის გაძლებასაც ვერ შეძლებდა.⁵⁷⁴

დაარღვია თუ არა საქართველომ სათავდაცვო ხელშეკრულება?

განხილული პერიოდის ქართული გაზეთების მონაცემებით აზერბაიჯანის მთავრობამ ივნისის სათავდაცვო ხელშეკრულების დებულებებით შესაბამის დახმარებაზე თხოვნით საქართველოს მთავრობას მიმართა 4 საათზე ნაკლებ დროში იმის შემდეგ, რაც წითელი არმია აზერბაიჯანში შეიჭრა.⁵⁷⁵ საბჭოების შეჭრა დაიწყო 27 აპრილის შუადამისა და ღამის (დილის) პირველ საათს შორის,⁵⁷⁶ იმავე დღის შუადღისას კი დაიწყო აზერბაიჯანის მთავრობის დაშლა, გამოწვეული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის(ბ) ბაქოს ბიუროს მიერ გამოტანილი და პრემიერ-მინისტრისთვის წაყენებული ულტიმატუმით⁵⁷⁷ იმავე 27 აპრილის საღამოს 11 საათზე აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის

⁵⁷³ *Документы внешней политики СССР, Т.2* (Москва, 1958), с. 725.

А.Караев, *Из недавнего прошлого (материалы к истории Азербайджанской коммунистической партии (б))* (Баку, 1926), с. 88.

М. Волконский и В. Муханов, *По следам Азербайджанской Демократической Республики* (Москва, 2007), с. 198.

⁵⁷⁴ Деникин, с. 168.

Novannisian, *Op. cit.*, p. 181.

⁵⁷⁵ М. Бахтадзе, “О военном договоре 1919 года между Грузией и Азербайджаном”, *Право и Политология* (Выпуск 7, 2010), с. 38.

საქართველოს რესპუბლიკა, 29 აპრილი, 1020.

⁵⁷⁶ Г. Мусабеков. *Избранные статьи и речи, Т.1* (Баку, 1960), с. 36.

⁵⁷⁷ Kazemzadeh, p.283.

აგონია დამთავრდა, მისმა პარლამენტმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება – „გადაეცეს ძალაუფლება ბოლშევიკებს და [...] მთავრობა და პარლამენტი დაშლილად ჩაითვალოს“.⁵⁷⁸ ამგვარად, სათავდაცვო ხელშეკრულებით შებოჭილ საქართველოს სულ 19 საათი ჰქონდა, რომ აზერბაიჯანის დასახმარებლად მისულიყო და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები დაეწყო. მაგრამ საქართველოს მთავრობამ თავის არმიას ასეთი ბრძანება არ მისცა. სამი დღის შემდეგ, 1920 წლის 30 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნოე ჟორდანიამ პარლამენტს მოახსენა, რომ ბაქოდან დახმარებაზე მოხმობის მიღების შემდეგ სამი საათის განმავლობაში მისი მთავრობა საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლის აზერბაიჯანის სურვილის არქონის შესახებ დასკვნამდე მივიდა. ჟორდანიას სიტყვებით, ასეთი დასკვნა იმის საფუძველზე გაკეთდა, რომ აზერბაიჯანის დედაქალაქზე წითელი არმიის ელვისებური შეტევა არ შეიძლებოდა წარმატებით დამთავრებულიყო აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მხრიდან რამდენადმე სერიოზული წინააღმდეგობის დროს. ბაქოში საბჭოების შეჭრიდან 22 საათზე ნაკლებ დროში მომხდარ ბოლშევიკურ გადატრიალებასა და მასზე, თუ აზერბაიჯანის რეკომმა მეორე დილასვე როგორ შესთავაზა წითელ არმიას ქვეყნის მთელი ტერიტორიის კონტროლქვეშ აღება, ინფორმაციის მიღების შემდეგ საქართველოს მთავრობა მივიდა დასკვნამდე, რომ საბჭოების მიერ აზერბაიჯანის შთანთქმა აგრესია კი არა, უფრო მეტად ინტერვენცია იყო, რომელსაც აზერბაიჯანელი ხალხი მიესალმა. შედეგად საქართველოს ხელმძღვანელობამ შეუძლებლად მიიჩნია სამხედრო ჩარევა მასში, რაც ისე ჩანდა, როგორც აზერბაიჯანის საშინაო საქმე.⁵⁷⁹

აქ წამოიჭრება კითხვა: 1920 წლის აპრილის ბოლოს დაარღვია თუ არა საქართველომ აზერბაიჯანთან სათავდაცვო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი ვალდებულებები? ამ ისტორიული ეპიზოდის ერთ-ერთი მკვლევარი მიხეილ ბახტაძე ამ შეკითხვაზე დადებით პასუხს იძლევა. ბახტაძის აზრით საქართველომ ამგვარად არ შეასრულა ხელშეკრულების მუხლი I, რომლის თანახმადაც ბაქოდან დახმარების შესახებ თხოვნის მიღებისთანავე ქართული არმია აზერბაიჯანში უნდა წასულიყო, იმ

⁵⁷⁸ Kazemzadeh, p. 284.

⁵⁷⁹ Бахтадзе, с. 38-39.

საქართველოს რესპუბლიკა, 01 მაისი, 1920.

მომენტში აზერბაიჯანში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად.⁵⁸⁰ მაგრამ საბჭოების შეჭრის დასაწყისში აზერბაიჯანში გაბატონებული მდგომარეობის გათვალისწინებით ამ მიდგომას შეიძლება არ დაეთანხმო. 1920 წ. 30 აპრილს საქართველოს პარლამენტში ჟორდანიას გამოსვლაში გადმოცემულ არგუმენტებზე დამატებით ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ ფაქტებს:

- 1920 წ. 28 აპრილს ბაქოში მომხდარი წარმატებული ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ აზერბაიჯანში არსად არ ყოფილა ალტერნატიული მთავრობის შექმნის მცდელობა. პირიქით, აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიაზე ადმინისტრაციამ გადატრიალება მიიღო როგორც ჯეროვანი რამ და ყარაბაღის გენერალ-გუბერნატორმა ხოსროვ-ბეგ სულთანოვმაც (1919 წ. იანვარში გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშნულმა გამოჩენილმა მუსავატისტმა და მდიდარმა მიწათმფლობელმა) კი თავი „წითელი ყარაბაღის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ“ გამოაცხადა.⁵⁸¹
- ასევე არ ყოფილა ჩამოყალიბებული განდევნაში აზერბაიჯანის მთავრობის არანაირი მსგავსება, რადგან 1920 წლის 28 აპრილს ანტიბოლშევიკურად განწყობილი აზერბაიჯანელი მინისტრებისა და პარლამენტარების უმრავლესობა, რომლებიც ბაქოდან ტფილისში მატარებლით გაქცევას ცდილობდნენ, ადრ-ის სამსახურში მყოფმა თურქმა სამხედროებმა დააპატიმრეს და საბჭოების ხელში გადასცეს.⁵⁸²
- 1920 წ. 28 აპრილსა და 5 ივნისს შორის პერიოდში აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ძირითად მასას (ცალკეული, საკმაოდ იშვიათი გამონაკლისის გარდა) საბჭოთა დამპყრობლებთან ბრძოლისთვის მზადყოფნის დე-

⁵⁸⁰ Бахтадзе, с. 39.

⁵⁸¹ Novannisian, p. 183

⁵⁸² *Интернационалисты – трудящиеся зарубежных стран – участники Борьбы за власть советов в Закавказье, Т. 2* (Москва, 1971), с. 223.

Кадишев, с. 256.

Караев, с.122.

М. Катибли, *Чингиз Йылдырым* (Баку, 1964), с. 65.

მონსტრირება არ გაუკეთებია. განჯაში, ყარაბაღსა და ზაქათალაში დისლოცირებული აზერბაიჯანული ჯარების მეთაურთა უმრავლესობამ სხვადასხვა მიზეზის გამო მიიღო ბაქოში ბოლშევიკური გადატრიალება და მათთან დაქვემდებარებულ ჯარისკაცებთან ერთად წითელი არმიის შემადგენლობაში შევიდა.⁵⁸³ იმავე დროს ანტიბოლშევიკურად განწყობილი სარდლები მაცეი (მამედ) სულკევიჩის, მურად გირეი ტლეჰასისა და იბრაჰიმ უსუბოვის ჩათვლით თურქმა ოფიცრებმა დააპატიმრეს და შემდგომ ბოლშევიკებმა დახვრიტეს.⁵⁸⁴

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე იბადება დასკვნა, რომ 1920 წ. 27 აპრილიდან 5 მაისამდე საქართველოს აზერბაიჯანში რეალური მოკავშირეები არ ჰყავდა, 27 აპრილის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ კი 1919 წლის 16 ივნისის საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება ძალადაკარგული გახადა.

იმავე დროს აზერბაიჯანის დაცემამ სასიკვდილო დარტყმა მიაყენა ლორდ კერზონის დოქტრინას „სამხრეთ კავკასიის „გადამლობ ზღუდეზე“ (იხ. თავი 6) და არსებითად შეამცირა მოკავშირე დიდი სახელმწიფოების ისედაც უმნიშვნელო ინტერესი საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერის იდეისადმი..

⁵⁸³ Novannisian, p.186.

⁵⁸⁴ Авалов, с. 285.

Интернационалисты – трудящиеся зарубежных стран – участники Борьбы за власть советов в Закавказьи, Т. 2 (Москва, 1971), с. 222.

Е. Исмаилов, Георгиевские кавалеры-азербайджанцы (Москва, 2005), с. 201.



ქართული ჯარი ტუავსეში (1918)



დენკინის მოხალისეთა არმიის მებრძოლები (1918)



სოხუმის ოკრუგში (1918-1919)




ქართული ჯარი სოჭში (1919 წ. იანვარი)



მოხალისეთა არმიის ალლუმი სოჭში (1919 წ. თებერვალი)



გაგრა (1919)



ქართული ჯარი გაგრაში (1919)




გენერალი ივან ერდელი



გენერალი ვლადიმირ
ლიახოვი



დაღესტნელ მთიელთა რაზმი (1919)



გენერალი ანტონ დენიკინი



თავადი ალექსანდრე
შერვაშიძე



ნოე ჟორდანია მოკავშირეთა სარდლობის
წარმომადგენლებთან თბილისში (1919)



ვლადიმერ (ვალიკო)
ჯუღელი



გენერალი ნიკოლაი
ბარათოვი



გენერალი ალექსანდრ
ნათიევი (ნათიშვილი)




გენერალი ანდრეი შკურო



ნოე რამიშვილი



მამედ ჯაფაროვი



აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტი (1919 წ. ივნისი)



გენერალი ალექსანდრ
გედევანოვი (გედევანიშვილი)



გენერალი სამედ-ბეი
მეჰმანდაროვი



გენერალი მაცეი სულკევიჩი



გენერალი ილია ოდიშელიძე

ABKHAZIA 11.1919 - 05.1920

Transportation

— Railway — Primary road

Guerrilla / partisan operations

28.01.1920
Area of the peasant uprising and the "Green Army" operation

"Green Army" HQ location

CLBSC location

Boundaries

— Russian imperial province or territory including the one changed on 07.12.1917

— Russian imperial county or district

— International, 2013, confirmed by the Soviet-Georgian Treaty of 05.5.1920

— De-facto border of Georgia after 20.4.1919 if different from the above

— Northern and Western limits of the Sochi district under the CLBSC control (01-26.03.1920)

Other military operations

— Concentration of the VA troops, and their defeat in Jan.-Feb. 1920

— VA positions, as of mid-January, 1919

— VA operation 01-03.1919

— Incl. submarine

— Georgian forces' concentration and operation (Feb. 1920)


— Red coup in Tuapse (02.1920)

— "Green Army" positions, as of 26.03.1920


— Kuban Army operation, as of March-May, 1920

— Red Army operation, as of February-May, 1920

— Major skirmish



26.03-15.05.1920





წითელი არმია მარშზე (1920 წ. დასაწყისი)



წითელი არმია ბაქოში (1920 წ. 28 აპრილი)




მიხაილ
ლევანდოვსკი



აზერბაიჯანელი ჯარისკაცები
(1920 წ. დასაწყისი)



ქართული არტილერია აზერბაიჯანის საზღვართან (1920 წ. მაისი)



1920 წ. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება („გეშინოდეთ დანაელების, ძღვენის მომტანების“)

რუსეთისა და ყოფილი სსრკ-ის ქვეყნების, რომლებიც 1917 წლამდე რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ, უახლესმა ისტორიამ ბევრი იცის იმის შესახებ, კრემლის ბატონ-პატრონები რა იოლად მიდიოდნენ სერიოზული და „სწორი“ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებაზე და ხელმოწერის შემდეგ როგორ მალევე თვითონვე უხეშად არღვევდნენ მათ, ხელმძღვანელობდნენ თავიანთი მტაცებლური ინტერესებით.

ამგვარი მანიპულაციების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება რსფსრ-სა და საქართველოს შორის. რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით მას ხელი მოაწერა ლევ კარაზანმა, რომელსაც იმ დროს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის პოსტი ეკავა, და საქართველოს მხრიდან – მოსკოვში საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გრიგოლ ურატაძემ.

გეოპოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში მთლიანად ევროპაში და კერძოდ სამხრეთ კავკასიაში ან უკვე მოხდნენ, ან მოხდენას აგრძელებდნენ საკმაოდ დრამატული მოვლენები. პირველი მსოფლიო ომის ბრძოლები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში სრულიად ახლახან, 2018 წლის ნოემბერში დამთავრდნენ. ამასთან ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში შეწყვეტილი სამხედრო მოქმედებები ჯერ კიდევ მიმდინარეობდნენ კონტინენტის პერიფერიაზე. პარიზში თავის მუშაობას აგრძელებდა სამშვიდობო კონფერენცია, რომლის ჩარჩოებში გამარჯვებული ქვეყნების ლიდერები და დიპლომატები ომისშემდგომი მსოფლიოს

ბედს წყვეტდნენ, მისი პოლიტიკური რუკის გადაკეთებით. კრემლში კი ამ დროს საბჭოთა და საქართველოს ხელშეკრულება მზადდებოდა.

პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვისა და ლატვიის ტერიტორიაზე საბჭოებისა და პოლონეთის გააფთრებული ომი მიმდინარეობდა (სწორედაც მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს პოლონეთ-უკრაინის ჯარებმა წითელი არმია კიევიდან გააგდეს). არანაკლებ გააფთრებული ბრძოლა მიდიოდა თურქეთის დასავლეთში ქემალისტებსა და საბერძნეთის ჯარებს შორის. არასტაბილური იყო მდგომარეობა კავკასიაში. თუმცა მოსკოვში საბჭოებსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებების დაწყებისთვის წითელმა არმიამ მოახერხა რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთში ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის (ეგრეთ წოდებული „თეთრი მოძრაობის“) ჩახშობა, რუსეთის სამოქალაქო ომი სრულ დასრულებამდე ჯერ კიდევ შორს იყო: ყირიმში რჩებოდნენ ანტიბოლშევიკური მთავრობა და ბარონ პიოტრ ვრანგელის რუსული არმია, მთიან დაღესტანში კი პარტიზანული ომი გრძელდებოდა. ამავე დროს აპრილის ბოლოს წითელმა არმიამ დაიპყრო აზერბაიჯანი, აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკას ლიკვიდაცია გაუკეთა და აზერბაიჯანის სსრ გამოაცხადა. 1920 წლის მაისის შუა რიცხვები აღინიშნა წითელ არმიასა ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სომხეთს შორის დუნედ მიმდინარე ომით ყარაბაღზე, ზანგეზურსა და ნახჭევანზე ბატონობისთვის და „კორიდორის“ გაჭრისთვის ქემალისტურ თურქეთში, რომელთანაც კრემლს მოკავშირული დამოკიდებულება აეწყო (უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოებსა და სომხეთს შორის ის გამოუცხადებელი ომი ძალიან ჰგავდა ახლანდელ „ჰიბრიდულ ომს“ უკრაინასა და რფ-ს შორის).⁵⁸⁵ მოუსვენარი იყო გარემოება სომხეთ-თურქეთის „მერყევ და სვრეტებიან“ საზღვარზე. 1920 წ. 2 მაისს მე-11-ე წითელი არმიის ნაწილები ომის გამოცხადების გარეშე შევიდნენ საქართველოს ფარგლებში, მაგრამ ეს შეჭრა

⁵⁸⁵ R.G. Hovannisian, *The Republic of Armenia, Vol. III: From London to Sevres, February – August 1920* (Los Angeles, 1996), pp. 209-253.

F. Kazemzadeh, *The Struggle for Transcaucasia* (New York, 1951), p. 309.

А. Кадишев, *Интервенция и гражданская война в Закавказье* (Москва 1960), с. 280-289

ქართულმა არმიამ გენერალ გიორგი კვინიტაძის სარდლობით წარმატებით მოიგერია.⁵⁸⁶

დიპლომატიურ ველზე საქართველოს წარმომადგენლები მძიმე ბრძოლას ეწეოდნენ დიდი წამყვანი სახელმწიფოების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის სრული აღიარებისთვის (დაწვრილებითი აღწერა მოცემულია VI თავში). რიგ გარემოებათა გამო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ოფიციალური ცნობის საკითხში გადამწყვეტი ხმა რჩებოდა დიდ ბრიტანეთზე, რომლის ინტერესების სფეროში შედიოდა კავკასიის რეგიონი. ჯერ კიდევ 1920 წლის დასაწყისში საქართველოს სავსებით შეეძლო ბრიტანეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა, სანამ გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი ლორდ კერზონისა და მისი “ამიერკავკასიის გადამღობი ზღუდის“, რომელსაც ახლო აღმოსავლეთი და ბრიტანული ინდოეთი საბჭოების შეჭრისგან უნდა დაეცვა, დოქტრინის გავლენაში იყვნენ (დაწვრილებით – VI თავში). მაგრამ აზერბაიჯანის მოულოდნელმა და სწრაფმა დაცემამ (1920 წ. 27 აპრილი – 5 მაისი) გაამყარა პრემიერ-მინისტრ ლოიდ-ჯორჯის სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია, რომელსაც ის „შავი ზღვის პოლიტიკასთან“ მიმართებით მისდევდა. დევიდ ლოიდ-ჯორჯი დარწმუნებული იყო იმაში, რომ საბჭოთა საფრთხე ბრიტანეთის სამფლობელოებისადმი ძლიერ გაზვიადებულია, რუსეთის (ახლა უკვე საბჭოთა) მიერ სამხრეთ კავკასიის განმეორებით დაპყრობას კი დიდი ბრიტანეთის ეროვნული ინტერესებისთვის არავითარი ნეგატიური შედეგი არ მოაქვს.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დიპლომატიის სერიოზული დამარცხება იყო 1920 წ. 19-დან 26 აპრილამდე სანრემოში მიმდინარე კონფერენციის ჩავარდნა, რომლის მსვლელობაში საქართველოსა და სომხეთის დელეგაციებმა ტერიტორიული დავის გადაწყვეტაზე შეთანხმება ვერ შეძლეს⁵⁸⁷ როგორც ერთმანეთს შორის, ისე დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან საგარეო საქმეთა

⁵⁸⁶ Kazemzadeh, p. 296.

⁵⁸⁷ სან-რემოში კონფერენციაზე ქართველებსა და სომხებს შორის ძირითადი კამათი ეხებოდა ართვინისა და ბათუმის ოკრუგებში ჭოროხ-იმერხევის კორიდორის, ასევე ექსტერიტორიული რკინიგზის, რომელიც საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გავლით სომხეთის ბათუმთან შეერთებას შეძლებდა, გეგმებს.

მინისტრის მოადგილის – ლორდ რობერტ ვანსიტარტის სახით. ამ ჩავარდნამ დიდი წამყვანი სახელმწიფოების მთავრობებს საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის აგრესიის წინაშე სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მხარდაჭერის თავის ისედაც ბუნდოვან ყველა დაპირებაზე საბოლოოდ უარის თქმის საბაზი მისცა⁵⁸⁸ ამ მომენტიდან საქართველო და სომხეთი, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული დამოუკიდებლობა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ბედის ანაბარად დატოვეს.

რუსსრ-ის გეგმები სამხრეთ კავკასიის დასაპყრობად

ჯერ კიდევ აზერბაიჯანში შეჭრამდე 2 თვით ადრე კრემლმა შექმნა სპეციალური ოპერატიული ცენტრი სახელწოდებით „კავ-ბიურო“ [რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურო], რომელიც პასუხს აგებდა სამხრეთ კავკასიის ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სამი ქვეყნის დასაპყრობად სამხედრო მომზადებაზე, ასევე ყველა მომიჯნავე პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტაზე. კავბიუროს მეთაურად დაინიშნა გრიგოლ („სერგო“) ორჯონიკიძე, მის მოადგილედ კი – სერგეი კიროვი. კავბიუროს სამხედრო ძალის საფუძველი იყო მე-11-ე წითელი არმია მიხაილ ლევანდოვსკის სარდლობით.⁵⁸⁹ მე-11-ე არმიის დამატებად კავბიუროს განკარგულებაში იყო რამდენიმე სხვა უფრო მცირე არმია, რომლებიც მე-11-ე არმიასთან ერთად გაერთიანებული იყვნენ კავკასიის ფრონტში, რომელსაც თავიდანვე მიხაილ ტუხაჩევსკი (ასევე რუსეთის საიმპერატორო არმიის ყოფილი ოფიცერი) სარდლობდა.

სამხრეთ კავკასიის მთლიანად დაპყრობის საბჭოთა გეგმების რეალიზაცია შეჩერდა 1920 წლის აპრილის ბოლოს, როცა ტუხაჩევსკი პოლონეთის ფრონტზე გადაიყვანეს და კავკასიის ფრონტის სარდლობა მეფის ყოფილ პოლკოვნიკს ვლადიმირ გიტისს გადასცეს. იმავდროულად საბჭოთა სარდლობა იძულებული იყო, ეს ფრონტი შეესუსტებინა კავკასიიდან პოლონეთის მიმართულებით სამი არმიის (მე-8-ე არმია, 1-ლი ცხენოსანი არმია და

⁵⁸⁸ Авалов, с. 270-276

⁵⁸⁹ J. Erickson (Ed.), *The Soviet High Command: A Military-Political History 1918-1941* (London, 2001), p. 122;

С. С. Хромов (Ред.), *Гражданская война и интервенция в СССР* (Москва, 1983), с. 245-246.

თერგის მე-10-ე არმია) გადასროლით.⁵⁹⁰ უკანასკნელმა გადადისლოცირებამ პრინციპულად შეასუსტა საბჭოების შანსი სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს დაუყოვნებლივ დაპყრობაზე და იმავდროულად გაადიდა საქართველოს გადარჩენის შანსი.

მხარეების გეოპოლიტიკური ინტერესები ხელშეკრულების დადების დროს

ყველა ზემოთ მითითებული ფაქტორი დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელობისთვის არსებითად ავიწროებდნენ პოლიტიკური მანევრირების შესაძლებლობებს და ქართველ ლიდერებს კრემლთან კომპრომისის ძებნისკენ უბიძგებდნენ. კრემლი კი, თავის მხრივ, 2-5 მაისს საქართველოს წინააღმდეგ „ბლიცკრიგის“ ჩავარდნისა და პოლონეთის წინააღმდეგ ომში დამარცხების სერიოზული საშიშროების გამო მზად იყო მნიშვნელოვანი დათმობებისთვის სამხრეთ მიმართულებით „მშვიდობიანი სულისმოთქმის“ მისაღებად. ამის გარდა, რსფსრ-ის ხელმძღვანელობას, რომელიც ქემალისტებთან კავშირს უმიზნებდა, ესმოდა, რომ სამხრეთ კავკასიაში მყოფი წითელი არმიის ნაწილები ვერ შეძლებდნენ თურქეთთან სტაბილური „კორიდორის“ გაჭრას ტერიტორიებზე, რომლებზედაც პრეტენზიას აცხადებდა სომხეთი (ყარაბაღი, ზანგეზური და ნახჭევანი), თუ სომხეთს მხარდაჭერას ქართული ჯარი აღმოუჩენდა. მარტოდ კი დასუსტებული სომხეთი თურქეთის, რსფსრ-ისა და საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან ერთდროულ სამხედრო ზეწოლას ვერანაირად ვერ გაუძლებდა. რაკი ეს ესმოდა, საბჭოთა მთავრობა და სამხედრო სარდლობა დაინტერესებული იყვნენ საქართველოს ნეიტრალიზაციაში, თუნდაც გარკვეული დროით.⁵⁹¹

⁵⁹⁰ Хромов, с. 245.

⁵⁹¹ როგორც 1920 წ. გაზაფხულსა და ზაფხულში შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, მოცემულ საკითხზე საბჭოთა მიდგომა მთლიანად გამართლდა: მარტო დარჩენილმა სომხეთმა ვერ გაუძლო ორი მხრიდან სამხედრო ზეწოლას და ივლისის დასაწყისში მე-11-ე არმიის ნაწილებმა დაიკავეს მთელი ყარაბაღი და ზანგეზურის ნაწილი. 1920 წ. 31 ივლისს საბჭოთა და ქემალისტური ჯარები ნახჭევანთან შეერთდნენ და ერთმანეთს ესალმებოდნენ როგორც პარტნიორები და მოკავშირეები.

აქ მართებული იქნებოდა ხაზგასმა, რომ 1920-21 წლებში სამხრეთ კავკასიის ხალხებთან მომხდარი კატასტროფისა და მათ მიერ სუვერენიტეტის დაკარგვის თავიდან აცილება სავსებით შეიძლებოდა, საქართველოსა და სომხეთის ლიდერებს მათი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით სათავდაცვო ალიანსის შექმნა რომ შეძლებოდათ. აგვისტოს შუა რიცხვებში ორივე ქვეყნის მთავრობებმა ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯები გადადგეს,⁵⁹² მნიშვნელოვანწილად ვიცე-პოლკოვნიკ კლოდ სტოქსის (სამხრეთ კავკასიაში ანტანტის ახალი კომისრის) ზეწოლით, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საქართველო-სომხეთის ალიანსს შესწევდათ ძალა, არა მხოლოდ დაეცვათ რეგიონი თურქების ახალი ექსპანსიისგან, არამედ საბჭოებისთვის აზერბაიჯანის დატოვება აეძულებინათ.⁵⁹³ საქართველო-სომხეთის სათავდაცვო ბლოკის შექმნის პერსპექტივა ასევე ძლიერ შემფოთებას იწვევდა არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ ანკარაში თურქი ნაციონალისტების ხელმძღვანელობაშიც.⁵⁹⁴

ამის გარდა, კავკასიაში საბჭოებისა და თურქეთის ექსპანსიის ალაგმვა კიდევ უფრო ადვილი იქნებოდა საქართველოსა და სომხეთის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში შესვლით პოლონეთთან, უკრაინასა და ვრანგელის ანტიბოლშევიკურ რუსულ მთავრობასთან, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ აკონტროლებდა ყირიმს. როგორც პოლონეთის, ისე უკრაინის სამხედრო ხელმძღვანელები დაინტერესებული იყვნენ ასეთ „შემტევ-თავდაცვით“ კავშირში და წინასწარ ერთგვარი ნაბიჯებიც გადადგეს ამ მიმართულებით (დაწვრილებით – მე-11-ე თავში).⁵⁹⁵ მაგრამ ვაი, რომ ამგვარ ალიანსს შედგომა არ ეწერა რიგ საკითხებში კავკასიის ორივე რესპუბლიკის მთავრობების კონსენსუსის მიღწევის უუნარობის გამო, ასევე ტფილისსა და ერევანში საბჭოთა და თურქი დიპლომატების გაწაფული მანევრების წყალობით.

⁵⁹² R.G. Hovannisian. *The Republic of Armenia, Vol. IV: Between Crescent and Sickle: Partition and Sovietization*, (Los Angeles, 1996), p. 98.

⁵⁹³ *Ibid.*, pp. 206-207.

⁵⁹⁴ *Ibid.*, pp.245-246, 249.

⁵⁹⁵ Wojciech Materski, «Polsko-gruziński sojusz wojskowy 1920» in Andrzej Koryn, ed., *Wojna polsko-sowiecka 1920 roku: przebieg walk i tło międzynarodowe: materiały sesji naukowej w Instytucie Historii PAN, 1-2 października 1990* (Warszawa, 1991), pp. 203-209.

რაც შეეხება დემოკრატიული საქართველოს მენშევიკურ ხელმძღვანელობას, მასში ჭარბობდნენ ადამიანები უკიდურესად შეზღუდული (თუ არა ნულის ტოლი) პოლიტიკური გამოცდილებითა და პაციფისტური შეხედულებებით, რომლებსაც სწამდათ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გამყარებული მკაცრი ნეიტრალიტეტი მათ მშვიდობიან გარემოში დამოუკიდებელი და წარმატებული ქართული სახელმწიფოს შენებისა და განმტკიცების საშუალებას მისცემდა. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, ეს მიდგომა მცდარი აღმოჩნდა.

მოსკოვის ხელშეკრულების ძირითადი დებულებები

მოსკოვის ხელშეკრულების I-IV მუხლების (იხ. დანართი) თანახმად საბჭოთა რუსეთი უპირობოდ ცნობდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით უარს ამბობდა როგორც მის საშინაო საქმეებში ჩარევაზე, ისე ყველა პრეტენზიაზე მომდევნო მუხლებით შეთანხმებულ მის ტერიტორიებზე.⁵⁹⁶ მითითებული ხელშეკრულების პირველი ოთხი მუხლის ქვეშ რუსეთის ხელმოწერას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მათ შორის სხვა დიდი სახელმწიფოებისგან საქართველოს დეიურე აღიარების გაადვილებისთვის.

ამავე დროს აღნიშნული ხელშეკრულების მომდევნო მუხლები (V და IX) მთლიანად გადახაზავენ მუხ. II-ს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში საბჭოთა რუსეთის ჩაურევლობაზე. თუ ქართული დელეგაციის წევრებთან მიმართებაში ეროვნული ინტერესების პირდაპირ ღალატში ექვემდებარებოდა უარს ვიტყვით, ნახსენები მუხლების პირობების მიღების ფაქტის ახსნა მხოლოდ მათი უსაზღვრო ადამიანური მიაბიტობით შეიძლება უმნიშვნელო პოლიტიკურ და დიპლომატიურ კულტურასთან ერთად.

მოსკოვის ხელშეკრულების მუხლი V საქართველოს ავალდებულებდა ქართულ ტერიტორიაზე უკანდახეული რუსი თეთრგვარდიელების, კაზაკების, ჩრდილოკავკასიელი სეპარატისტებისა და ანტისაბჭოურად განწყობილი აზერბაიჯანელების (აზერბაიჯანი იმ დროს უკვე სოვეტიზებული იყო) არა მხოლოდ

⁵⁹⁶ A. Beichman, *The Long Pretense: Soviet Treaty Diplomacy from Lenin to Gorbachev* (Somerset, 1991), p. 165.

D. Lang, *A Modern History of Georgia* (London, 1962), p. 226
Мирный договор между Россией и Грузией (Москва, 1920).

განიარაღებს, არამედ ასევე მათ საკონცენტრაციო ბანაკებში ჩასმას საბჭოთა რუსეთისთვის შემდგომ გადასაცემად (საბჭოების მხრიდან აშკარა ცრუ დაპირებებს გადაცემული ლტოლვილების „სიცოცხლის შენარჩუნებაზე“, საეჭვოა, რომ ვინმე მოეტყუებინა). ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ასეთი საკონცენტრაციო ბანაკები კიდევ შეიქმნა და გაივსო. მართალია, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოების ნაწილმა, პირველყოვლისა საქართველოს მმართველი მენშევიკების მიერ საძულველმა სამხედროებმა, ეს პოლიტიკა არ მიიღო. საკონცენტრაციო ბანაკები ზღვის სანაპიროზე (ძირითადად ფოთის გარშემო) იყვნენ განლაგებული, რამაც ბარონ ვრანგელის რამდენიმე საზღვაო ექსპედიციას 1920 წლის აპრილსა და სექტემბერში მათში დატუსაღებული ადამიანების განთავისუფლებისა და მათი ზღვით ყირიმში გაყვანის შესაძლებლობა მისცა. ქართულმა სასაზღვრო დაცვამ და ბანაკების გარნიზონებმა ვრანგელელებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს, მაგრამ თავდასხმის იმიტაციისთვის სთხოვეს რამდენიმე ზალპის გაკეთება, რომლის შედეგადაც ქართველები ვითომდა იძულებული იყვნენ, უკან დაეხიათ.⁵⁹⁷ სინამდვილეში არავითარი ბრძოლები არ ყოფილა და ქართველი სამხედროები კიდევ ეხმარებოდნენ ინტერნირებულებს თეთრგვარდიელების გემებზე ასვლაში.

მუხლი X ავალდებულებდა საქართველოს ბოლშევიკების განთავისუფლებას, რომლებსაც პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი და სასჯელს იხდიდნენ სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულებისთვის, რსფსრ-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ღალატის, ტერორიზმისა და შპიონაჟის ჩათვლით. ეს შეიძლებოდა გონივრულ კომპრომისად გამომდგარიყო, თუ ამასთან განთავისუფლებული ბოლშევიკები საქართველოდან განიდევენბოდნენ, მაგრამ ასეთ მოთხოვნას ხელშეკრულების მუხლი არ შეიცავდა. ბოლშევიკური „მეხუთე კოლონა“ კრემლს, ბუნებრივია, საქართველოს შიგნით ჭირდებოდა და მალე ისიც შექმნეს და გამოიყენეს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციისთვის.

მოსკოვის ხელშეკრულების ზემოთ ნახსენები მუხლების კითხვისას უნებურად ჩნდება კითხვა: რატომ წავიდა საქართველოს მთავრობა ასეთი პირობების მიღებაზე, რაც საქართველოს პრაქტიკულად კრემლის სატელიტის მდგომარეობაში აყენებდა?

⁵⁹⁷ П. Врангель, *Записки* (С.-Петербург, 2015), с. 615-616.

ამის შესახებ შეიძლება ქართველი დიპლომატის ზურაბ ავალოვის აზრი მოვიყვანოთ:

საქართველო ამგვარად თავის თავზე იღებდა ბათუმსა და ბათუმის ოლქში ინგლისის ოკუპაციის შეწყვეტაზე ხელშეწყობის პირდაპირ ვალდებულებას და თავიდანვე უარყოფდა აზრს მისი შეიარაღებული ძალების მოწყობაში ვინმეს დახმარებაზე. ეს მოსკოვის მთავრობის პოლიტიკური გაბატონებისა და გავლენის ღია აღიარება და პრაქტიკულად „ევროპულ ორიენტაციაზე“ უარის თქმა იყო. რით აიხსნება ასეთი მოზრუნება? საქართველოს მთავრობის სოციალისტური გრძნობებით, რომლებიც „დასავლეთ ევროპის დემოკრატიებისა“ და მათი „იმპერიალისტური მთავრობებისკენ“ მიდრეკილებებს ჭარბობდნენ?.. თუ, შესაძლოა, 1920 წ. ზაფხულში პოლონეთის დამარცხების წითელი ჯარების მიერ და შემდეგ ამ უკანასკნელთა „ბურჟუაზიულ ევროპაში“ შესვლის მოლოდინში ადრიდანვე იმზადებდნენ პოლიტიკურ პოზიციას.⁵⁹⁸

ჩვენთვის ძნელია, ავალოვის ბოლო ვარაუდს დავეთანხმოთ, რადგან მოსკოვის მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში წითელი არმიის წინააღმდეგ წარმატებით მებრძოლი პოლონური ჯარები დნებრსა და დასავლეთ დვინაზე გამოვიდნენ, საბჭოებისგან გაწმინდეს ნახევარი უკრაინა და თითქმის მთელი ბელარუსი, რაც პერსპექტივაში საეჭვოა, რომ საბჭოთა კონტრშეტევას და, მითუმეტეს, პოლონეთის დამარცხებასა და ცენტრალურ ევროპაში ბოლშევიზმის შემდგომ ექსპანსიას მოასწავებდა. აი, პირველი ვარაუდი კი სავსებით ლოგიკური ჩანს და შესაძლოა, აქ ნამდვილად იმუშავა პარტიაში მათი ძველი ამხანაგებისადმი მენშევიკების მიდრეკილებამ. მაგრამ შინაგანი მიზეზების, რომლებმაც საქართველოს პოლიტიკური ლიდერები მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე მიიყვანა, დეტალური ანალიზი ამ პუბლიკაციის ჩარჩოებიდან გამოდის და ცალკე კვლევას მოითხოვს.

⁵⁹⁸ Аваловъ, с. 287.

საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები და საზღვრები.
რომლებიც მოსკოვის ხელშეკრულებამ დაადასტურა

მოსკოვის ხელშეკრულების III და IV მუხლები უდავოდ ქართულად მიიჩნევიდნენ მისი ხელმოწერის მომენტში საქართველოს სახელმწიფოს მიერ სტაბილურად კონტროლირებადი ტერიტორიების დიდ ნაწილს, ასევე ზოგიერთ სადავო ტერიტორიას, რომლებზედაც საქართველოს ძალაუფლება არ ვრცელდებოდა, ან მხოლოდ ნაწილობრივ ვრცელდებოდა.

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთ წელზე მეტი ხნით ადრე, 1919 წლის 14 მარტს ქართულმა დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარადგინა მემორანდუმი, რომელიც საქართველოს ფორმალურ შუამდგომლობას შეიცავდა მისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მიღებისა და მისი ტერიტორიული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ.⁵⁹⁹

ზემოთხსენებულ მემორანდუმს პარიზის კონფერენციაზე საკმაოდ ცივად შეხვდნენ (იხ VI თავი). ამ აზრით მოსკოვის ხელშეკრულების მუხ. IV საქართველოსთვის სავსებით მომგებიანი ჩანდა, რადგან უდავოდ ქართულად მიიჩნეოდა „გარდა ამ ხელშეკრულების მუხ. III პარაგრაფ I-ის ძალით საქართველოზე გადასული შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვემომოყვანილი გუბერნიები და ოლქები – თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის, აღნიშნული გუბერნიების შემადგენელი ყველა მაზრებითა და ოკრუგებით, ასევე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები“⁶⁰⁰ (იხ. რუკა 288 გვერდზე). აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ მოსკოვის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით რუსეთმა სხვა ტერიტორიების გარდა საქართველოს შემადგენლობაში ცნო იმ დროს ქართველების მიერ სტაბილურად კონტროლირებადი აფხაზეთი და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთი“. ეს ფაქტი მთლიანად უარყოფს რუსეთის (და სამწუხაროდ, არა მხოლოდ რუსეთის) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამედროვე პროპაგანდისტულ მითს იმის შესახებ, რომ ეს და სხვა ტერიტორიები „საქართველოს თითქოსდა სტალინმა აჩუქა“. შესაძლოა, სწორედ ამიტომ დღეს უკიდურესად ძნელია მოსკოვის ხელშეკრულების სრული რუსული ტექსტის პოვნა როგორც ბიბლიოთეკებში პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე ინტერნეტში.

⁵⁹⁹ Аваловъ, с. 194.

⁶⁰⁰ *Мирный договор между Россией и Грузией* (Москва, 1920).

მუხ. III იძლეოდა საქართველო-რუსეთის საზღვრის, ასევე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ზაქათალის მონაკვეთის დაწვრილებით აღწერას (იხ. რუკა 288 გვერდზე). მართალია, ის ერთგვარ კურიოზს შეიცავდა, რადგან მასში ნათქვამი იყო, რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი გადის „ამ (ზაქათალის) ოკრუგის აღმოსავლეთ საზღვარზე სომხეთის საზღვრამდე“,⁶⁰¹ იმით, რომ სომხეთის საზღვარი არასდროს არ მიახლოებია ზაქათალის ოკრუგს. ეს მუხლივე ამოწმებდა საქართველოს შემადგენლობაში შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგის ნაწილის შესვლას მდინარეებს ფსოუსა და მეხადირს შორის.⁶⁰² (ეს ტერიტორია დღესაც ოფიციალურად საქართველოს შემადგენლობაში შედის როგორც ავტონომიური აფხაზეთის ნაწილი).

ხელშეკრულების პირობებით უდავოდ ქართულად აღიარებული სადავო ტერიტორიები

მოსკოვის ხელშეკრულების III და IV მუხლების შესაბამისად ქართულად აღიარებული ტერიტორია შეიცავდა მეზობელი ქვეყნების: რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიერ სადავოდ გამხდარ რამდენიმე ოლქს, რომელთა მოკლე აღწერა მოყვანილია ქვემოთ.

(ა) აფხაზეთი (სოხუმის ოკრუგი და სოჭის ოკრუგის ნაწილი)

აფხაზეთზე როგორც საქართველოს პროვინციის ან ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოს ისტორიულ საზღვრებზე ლაპარაკისას უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი წყაროების უმეტესობის, სხვადასხვა დროის რუკების ჩათვლით, თანახმად IX საუკუნიდან XV საუკუნემდე პერიოდში შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოების ტერიტორია (აფხაზეთის სამეფო და გაერთიანებული საქართველოს სამეფო) აღწევდა XX საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგში მდებარე მდინარე მაკოფსეს შესართავს, უფრო ადრეულ მოკლე პერიოდებში კი ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენადმე შორსაც კი ვრცელდებოდა. დაახლოებით იქვე გადიოდა უფრო ძველი პროტოქართული

⁶⁰¹ B *ყუმ.მპ.*

⁶⁰² B *ყუმ.მპ.*

სახელმწიფოების – კოლხიდისა და ლაზიკის საზღვრებიც.⁶⁰³ მაგრამ XV საუკუნის ბოლოს მდინარეებს მაკოფსესა და მზიმთას შორის ტერიტორია დაიკარგა, XVIII საუკუნის დასაწყისისთვის კი აფხაზეთის სამთავრომ მდინარეებს მზიმთასა და ბზიფს შორის მიწის ზოლიც დაკარგა.⁶⁰⁴

უკანასკნელი ხუთი საუკუნის ტერიტორიული ცვლილებების შედეგად შეიცვალა მაკოფსესა და ბზიფს შორის ტერიტორიის, რომელიც 1903 წელს სოჭის ოკრუგს შეადგენდა, ეთნიკური სახეც. XIX საუკუნის ბოლოს ადგილობრივი ქართველები ოკრუგის სასოფლო ზონაში უმცირესობა გახდნენ, უმრავლესობად რჩებოდნენ სოჭის ქალაქის ფარგლებში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. სოჭის ოკრუგის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა

მთლიანად სოჭის ოკრუგი		
ეთნიკური კუთვნილება	რაოდენობა	%
ქართველები	836	14.4
რუსები	805	13.8
შაფსულები	731	12.6
სხვები	3,439	59.2
სულ	5,811	100
ქალაქ სოჭის ჩათვლით		
ქართველები	440	95.5
რუსები	11	2.4
სხვები	9	2.1
სულ	460	100

⁶⁰³ R.H. Hewsen, *Armenia: a Historical Atlas* (Chicago, 2001), pp. 31, 33, 36, 96, 97, 111, 113, 125, 130 and 135.

История Грузинской ССР (Москва, 1964) с. 245-251.

R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation* (Indianapolis, 1994), p. 2.

А. Цуциев, *Атлас этнополитической истории Кавказа* (Москва, 2006) с. 245-251.

⁶⁰⁴ Hewsen, pp. 143 and 148.

История Грузинской ССР, с. 253-256.

Цуциев, с. 21-22.

XIX საუკუნის დასაწყისში ახალი მიგრანტების მასიურმა ნაკადმა, რომელიც თადარიგში გასულ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, ასევე სხვა კოლონისტებსაც შეიცავდა, გამოიწვია ოკრუგისა და მისი მთავარი ქალაქის ეთნიკური პალიტრის კიდევ უფრო მეტი ცვლილებები, მათ შორის მასში ქართული მოსახლეობის პროცენტის შემცირებისაც. შესაძლოა, სწორედ ამიტომ 1919-1920 წლებში შავი ზღვის გუბერნიის ხარჯზე ტერიტორიული გაფართოების საკითხში საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის შიგნით ერთიანობა არ იყო.

რაც შეეხება აფხაზეთის (უფრო ზუსტად – სოხუმის ოკრუგის) ძირითად ტერიტორიას, საქართველოს ამ პროვინციას რიგ ისტორიულ თავისებურებათა ძალით განსაზღვრული პოლიეთნიკურობა ყოველთვის ახასიათებდა. აფხაზეთი ოდითგანვე ერთგვარი გადასატვირთავი ცენტრი იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელ სავაჭრო გზაზე. ეს მხარე მიგრანტებს იზიდავდა აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

XIX საუკუნის შუა ხანებში რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის დამორჩილების შედეგი იყო მისი „განქართულების“ და რუსიფიკაციის დაჟინებული მცდელობები. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისისთვის ქართველები ჯერ კიდევ სოხუმის ოკრუგის უმსხვილეს ეთნიკურ ჯგუფად რჩებოდნენ. მათ მოსდევდათ აფსუა (იხ. ცხრილი 2), რუსები და ბერძნები.

ცხრილი 2. სოხუმის ოკრუგის (აფხაზეთი) მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 1917 წლისთვის

ეთნიკური კუთვნილება	რაოდენობა	%
ქართველები (უპირატესად მეგრელები და სვანები)	74,846	42.1
აფსუა (აფხაზები)	28,121	21.4
რუსები და უკრაინელები	20,893	11.7
ბერძნები	20,673	11.7
სომხები	18,212	10.2
სხვები (ესტონელები, გერმანელები და სხვ.)	5,087	2.9
სულ	167,832	100

რაც შეეხება აფსუას ხალხს (რომლებსაც არც თუ სავსებით მართებულად „აფხაზ ხალხსაც“ უწოდებენ), შეიძლება გახსენება, რომ XX საუკუნის დასაწყისში მათი რაოდენობა სოხუმის ოკრუგში 28.000 (მთელი ოლქის 21.4%) ადამიანს არ აჭარბებდა. აფსუათა უმრავლესობა ცხოვრობდა 19 მონოეთნიკურ სოფელში, მათ შორის გუდაუთის უბნის 7 აფსუაენოვან სოფელში, სადაც ისინი უმრავლესობა იყვნენ, კოდორის უბნის 10 სოფელში,⁶⁰⁵ სადაც ისინი მოსახლეობის თითქმის 100%-ს შეადგენდნენ, და სამურზაყანოს უბნის 2 სოფელში, რომლის მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ ქართველები (მეგრელები).

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის წინა ორი წლის განმავლობაში სოხუმისა და სოჭის ოკრუგები სისხლისმღვრელი ომის არენა იყო, ჯერ საქართველოსა და წითელ არმიას შორის, (1918 წ. თებერვლიდან სექტემბრამდე), 1918 წ. დეკემბრიდან 1920 წ. აპრილამდე კი საქართველო სოჭის „მწვანე არმიასთან“ ერთად გენერალ ანტონ დენიკინის ანტიბოლშევიკური თეთრი არმიის წინააღმდეგ იბრძოდა.⁶⁰⁶ უნდა აღინიშნოს, რომ 1920 წლის მაისში მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე როგორც საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა, ისე ანტიბოლშევიკური „თეთრი მოძრაობის“ ლიდერები ბოლომდე ერთსულოვანი იყვნენ საქართველოს შემადგენლობაში სოხუმისა და სოჭის ოკრუგების დანახვის სურვილის უქონლობაში, ამასთან სწორედ ანტონ დენიკინი აღმოჩნდა „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ „მამა“.⁶⁰⁷ ამავე დროს დასახელებული ოკრუგების მოსახლეობის უმრავლესობამ ხელისუფლების დემოკრატიულად არჩეული ორგანოების (აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და სოჭის ოკრუგის სა-ზოგადოებრივი კრების) შუამდგომლობით არაორაზროვნად გამოხატა ადგილობრივი თვითმმართველობის პირობებზე საქართველოს სახელმწიფოსთან მიერთების სურვილი.⁶⁰⁸

⁶⁰⁵ კოდორის უბანი არ უნდა აგვერიოს ამავე სახელწოდების ხეობაში, რომელიც პრაქტიკულად მხოლოდ სვანებით იყო დასახლებული.

⁶⁰⁶ Андерсен, с. 21-151.

⁶⁰⁷ Андерсен, с. 59-88.


Kazemzadeh, pp. 237-239.

Аваловъ, с. 111, 178, 191

Деникин, с.241-242.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии (Тифлис, 1919), № 197, с. 391-414.

⁶⁰⁸ Андерсен, с. 25, 59-60.



1919-1920 წლებში სოჭის ოკრუგში მოქმედი პარტიზანული „მწვანე არმიის“ დროშა

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის საბჭოთა და ქართულ ჯარებს შორის გამმიჯვნილი ხაზი იყო სოჭისა და სოხუმის ოკრუგებს შორის მდინარე მეხადირზე გამავალი საზღვარი, იმ დროს კი სოჭის ოკრუგის მთებში მოქმედებდნენ საქართველოს მიერ მხარდაჭერილი „მწვანე“ პარტიზანები, რომლებსაც ნაწილობრივ საქართველოზე ჰქონდათ ორიენტაცია აღებული. ხელშეკრულების პირობებით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაუთმო სოჭის ოლქის ნაწილი მდინარე ფსოუმდე (ეგრეთ წოდებული პილენკოვოს ვოლოსტი).

(ბ) ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები

საქართველოზე ხელშეკრულებით აღიარებულ ტფილისის გუბერნიაში მდებარეობდა ორი, – ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები, რომლებზედაც საქართველოს გარდა პრეტენზია ჰქონდა სომხეთსაც.

ისტორიული თვალსაზრისით ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ტერიტორიის სახელმწიფოებრივ კუთვნილებაზე თვალყურის მიდევნება უძველესი დროიდან შეიძლება. არქეოლოგიური გათხრები და უძველესი ავტორების (ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, ჰეკათეოს მილეთელის, პტოლომესა და სხვ.) აღწერები გვარწმუნებენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში ძვ. წ. V საუკუნიდან თითქმის მთელი დასახლებული ტერიტორია შედიოდა იბერებისა და მოსხების ადრესახელმწიფოებრივი წარმონაქმნების

Kazemzadeh, p. 234.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии (Тифлис, 1919), № 193, с. 388.

შემადგენლობაში, მათ საფუძველზე სამეფო ივერიის შექმნის (ძვ. წ. IV და III საუკუნეების მიჯნა) შემდეგ კი დიდხანს ამ ადრექართული სახელმწიფოს შემადგენლობაში რჩებოდა. ძვ. წ. II და I საუკუნეებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მომხდარი სერიოზული პოლიტიკური ცვლილებების მსვლელობაში ძველმა ქართულმა სახელმწიფოებმა დიდი ტერიტორიები დაკარგეს და სტრაბონის თანახმად ახლანდელი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩვენთვის საინტერესო ორი მაზრის ჩათვლით, თითქმის სამასი წლით სომხეთის ან სხვადასხვა ისტორიულ მომენტებში სომხეთის ან მისი ნაწილის მაკონტროლებელი უფრო დიდი სახელმწიფოების (რომისა და პართიის) შემადგენლობაში გადავიდა.

ახ. წ. II საუკუნის დასაწყისი ქართული სახელმწიფოების ერთგვარი გაძლიერებითა და სულ მცირე ხუთასი წლით, 656 წ. არაბების მიერ თითქმის მთელი რეგიონის დაპყრობამდე, დაკარგული ტერიტორიების იბერიის შემადგენლობაში დაბრუნებით აღინიშნა. არაბებისა და ბიზანტიის ომების საუკუნისა და არაბული ხალიფატის დასუსტების შემდეგ დაიწყო როგორც საქართველოს, ისე სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერიოდი მცირე გაზნეული სამეფოებისა და სამთავროების სახით.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს X საუკუნის დასასრულს ლორე-ტაშირის სამეფოს აღმოცენება, რომელიც თბილისის ემირატისგან (არაბული ხალიფატის ერთ-ერთი 1122 წლამდე შემორჩენილი ნამსხვრევისგან) ქრისტიანების მიერ ბრძოლით დაბრუნებული და ასევე ტაო-კლარჯეთის სამეფოს, კახეთის სამთავროსა და შირაქის სამთავროს (პირველი ორი სახელმწიფო ქართულია, მესამე – სომხური) ჩამოცილებული ნაწილების ტერიტორიების ბაზაზე ჩამოყალიბდა. სომეხი ისტორიკოსების უმრავლესობას შორის მიღებულია, რომ ლორე-ტაშირი, რომლის საზღვრები მთელ მომავალ ბორჩალოს მაზრას, ასევე მომავალი ალექსანდროპოლისა და ყაზახის მაზრების ნაწილებს მოიცავდა, სომხურ სახელმწიფოდ ჩაითვალოს. ამავე დროს ქართველი და ცოტა ხნის წინ რუსეთის ისტორიკოსები ამ სახელმწიფოს განსაზღვრავდნენ როგორც სომხურ-ქართულს. აქ მართებულია, აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ისტორიის განხილულ პერიოდში ევროპასა და მასთან მიბრუნებულ კავკასიაში არ ნერგავდნენ დღეს ნაციონალიზმად წოდებულ ეთნო-ლინგვისტურ

იდეოლოგიებს. იმ დროში სახელმწიფოები მმართველი სახლისადმი მოსახლეობის უმრავლესობის ერთგულების (ლორე-ტაშირის სამეფოს შემთხვევაში – კვირიკიდებისადმი ერთგულება), რელიგიების ბრძოლის მოწინავე ხაზებზე, რომელთაგან ერთ-ერთი სამხრეთ კავკასიაზე გადიოდა, კი განსაზღვრული სარწმუნოებრივი მოძღვრებისა და წეს-ჩვეულებათა მიმართ თავდადებულობის საფუძველზე ყალიბდებოდნენ. მათეოს ურჰაეცის მატიანისა და არუთინოვა-ფიდანიანის ახლანდელი გამოკვლევების თანახმად ლორე-ტაშირის სამეფო იყო ქალკედონიზმის (ე. ი. მართლმადიდებლობის) ბატონობის ზონა და ქართულ სამოციქულო ეკლესიას ექვემდებარებოდა, ყველა მეზობელი კი, მათ შორის ბიზანტიელებიც, მის მცხოვრებლებს განსაზღვრავდნენ ან როგორც რომეებს⁶⁰⁹ (ბიზანტიელებს), ან როგორც იბირებს (ქართველებს).

ლორე-ტაშირის დაცემას მოყოლილმა ომებმა და არეულობებმა 1124 წ. დასასრულს იმ დროის მთელი ჩრდილოეთ სომხეთი ტბა სევანისა და ყარაბაღის მთებიდან არაქსამდე ქართველი გვირგვინოსნების ძალაუფლების ქვეშ მიიყვანეს. „საქართველოს ოქროს საუკუნეში“, რომელიც XII საუკუნის პირველი ათწლეულებიდან XIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე გაგრძელდა, ორი მომავალი მაზრის ტერიტორია სამხრეთ კავკასიის დიდ ნაწილთან ერთად ცენტრალიზებული ქართული მონარქიის შემადგენლობაში შედიოდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ტაშირის ოლქი, რომელიც მომავალი ბორჩალოს მაზრის დიდ ნაწილს შეიცავდა თრიალეთის (ახლანდელი წალკის მუნიციპალიტეტი) გარეშე, ზაქარიდების (მხარგრძელების) – ქართველი მეფეების შთამომავლობითი მეფისნაცვლების მმართველობის ქვეშ იყო საქართველოს განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფილ ჩრდილოეთ სომხეთში. ჯავახეთის ოლქი (მომავალი ახალქალაქის მაზრა) კი ზაქარიდების დომენში არ შედიოდა და საკუთრივ საქართველოს სამეფო მიწათა რიცხვში რჩებოდა.

შემდგომში, მთლიანად 1801 წ. რუსეთის იმპერიის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) სამეფოს ანექსიამდე მომავალი ბორჩალოს მაზრის ტერიტორიას საქართველოს (ქართლის) ფარგლები არ დაუტოვებია. რაც შეეხება ჯავახეთს, ეს

⁶⁰⁹ ბიზანტიელები თავიანთ ქვეყანას *რომეების იმპერიას* უწოდებდნენ.

ოლქიც ასევე საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა XV საუკუნეში საქართველოს ცენტრალიზებული სამეფოს რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლამდე. ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ჯავახეთი საკმაოდ ძლიერი სამხრეთ ქართული სამთავროს სამცხეს ნაწილი იყო 1590 წ. ოტომანთა იმპერიის მიერ ამ სამთავროს ლიკვიდაციამდე და მთლიანად შთანთქმამდე. თურქეთის შემადგენლობაში არასრული ორას ორმოცი წლის ყოფნის შემდეგ, 1829 წ. ჯავახეთი დაიპყრო, ანექსია გაუკეთა რუსეთის იმპერიამ და ახალციხის ფაშალიეიდან (საფაშოდან)⁶¹⁰ ტფილისის გუბერნიის მაზრად გამოყო.

ზემოთ გადმოცემული ფაქტების საფუძველზე, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც ქართველი ლიდერებისთვის, ისე განათლებული ქართველების დიდი უმრავლესობისთვის, საქართველოს ხელმძღვანელობა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს საქართველოს განუყოფელ და უდავო ნაწილებად თვლიდა.⁶¹¹

სომხური მხარე, თავის მხრივ, ორ სადავო მაზრას, მათი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საფუძველზე, სომხეთის ნაწილად თვლიდა. მართლაც, XX საუკუნის დასაწყისისთვის ამ ორი მაზრის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ეთნიკური სომხები, მათი ქართული მოსახლეობა კი მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდა.

სრულიად რუსეთის 1897 წლის აღწერის შედეგების თანახმად ორი სადავო მაზრის მოსახლეობას ცხრილ 3-ში ასახული ეთნიკური ხასიათი ჰქონდა.

⁶¹⁰ ოსმალეთის იმპერიის პროვინციის ან ოლქის, რომელსაც ფაშას ტიტულის მქონე ნაცვალი მართავდა, არაოფიციალური აღნიშვნა XV საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე.

⁶¹¹ ამ არგუმენტს საეჭვოდ არ თვლიან საკითხის ყველაზე კომპეტენტური მკვლევარები, კერძოდ, პროფესორი რიჩარდ ოვანისიანი. (см. R. Hovannisian, *The Republic of Armenia* (Los Angeles, 1982), Vol. I, p. 72).

ცხრილი 3. ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის განაწილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (წყარო: რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 1897 წ. 9 თებერვლის მდგომარეობით)

ბორჩალოს მაზრა	
ეთნიკური კუთვნილება	% მთელ მოსახლეობასთან მიმართებით
სომხები	32.1
თათრები	31.3
ქართველები	3.6
რუსები	5.6
ბერძნები	16.7
გერმანელები	1.4
სხვები	9.3

ახალქალაქის მაზრა	
ეთნიკური კუთვნილება	% მთელ მოსახლეობასთან მიმართებით
სომხები	71.1
თათრები	10.2
ქართველები	6.2
რუსები	9.4
ბერძნები	0.1
ქურთები	1.1
სხვები	1.9

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან გამომდინარეობს, ბორჩალოს მაზრაში სომხები შეადგენდნენ მოსახლეობის მესამედზე რამდენადმე ნაკლებს, ამავე დროს იყვნენ ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი. მაზრის სამხრეთში, ლორეს უბანში⁶¹² სომხები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ. მხოლოდ უბნის დასავლეთში კომპაქტურად

⁶¹² რუსეთის იმპერიის სამხრეთ კავკასიის სამფლობელოებში მაზრებს ყოფდნენ იმპერიის ევროპული ნაწილის ქვედანაყოფების – თემების (волость) შესაბამის უბნებად.

ცხოვრობდნენ რუსი სექტანტები (მალაკნები), ალავერდის რაიონში კი – ბერძნები.

ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი კი ეთნიკურად უფრო ჭრელი იყო: ზემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფების გარდა იქ ზევრი თათარი, ასევე გერმანელებისა და ქართველების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობდა.

ისტორიულად როგორც ქართველები, ისე სომხები ოდითგანვე ცხოვრობდნენ ბორჩალოს მაზრის ტერიტორიაზე, რასაც არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები მოწმობენ. კერძოდ, მაზრის სამხრეთ ნაწილის, – ისტორიული ლორეს (ლორეს უბანი) არქიტექტურული მემკვიდრეობა როგორც ქართული, ისე სომხური კულტურის ყოფნის კვალს აჩვენებს. ეს პირველ რიგში სომხური მონასტრებია ოძუნში, სანაინში და ახპატში, ასევე ქართული ეკლესიები ახტალასა და აკორიში (ყველა – შუა საუკუნეების ხანის). ამავე დროს ყოფილი მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში კულტურის ძეგლთა ხასიათში ლორესთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერად ჩანს ქართული ელემენტი (მაგალითად, შემონახული ქართული ეკლესიებიდან უძველესი – V საუკუნის ბოლნისის სიონი ავთენტური ეპიგრაფიული წარწერით).

პრაქტიკულად უწყვეტი ომების ოთხმა საუკუნემ, რაც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს შთანთქმას უძღოდა წინ, ქართლ-კახეთის სამეფოს, რომელიც ბორჩალოს, შამშადინსა⁶¹³ და ბამბაკს შეიცავდა (ორი ბოლო ისტორიული ოლქი შემდგომში შესაბამისად ელიზავეტპოლისა და ერევანის გუბერნიების ყაზახისა და ნაწილობრივ ალექსანდროპოლის მაზრებში შევიდნენ), სამხრეთ-დასავლეთ საზღვრისპირის ეთნიკური სურათის ცვლილება გამოიწვია. დიდი მუსლიმანური სახელმწიფოების – ოტომანთა იმპერიისა და ირანის ექსპანსიისა და მომთაბარე ტომების მუდმივი შემოსევების შედეგი გახდა ბორჩალო-ბამბაკის ქრისტიანი (ქართველი და სომეხი) მიწათმოქმედი მოსახლეობის უმრავლესობის გაჟლეტა ან წასვლა. მოოხრებულ ტერიტორიებზე დასახლდნენ თიურქული მომთაბარე ტომები, რომელთა

⁶¹³ შამშადინის რაიონი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სომხეთის სსრ-ისა და სომხეთის შემადგენლობაში, არსებობდა 1937-1995 წლებში. ცენტრი – ქალაქი ბერდი.

შთამომავლები ამ ადგილებში დღესაც ცხოვრობენ.⁶¹⁴ რუსეთთან შეერთების შემდეგ იმპერიის ადმინისტრაცია ემუშებოდა მხარის ნაწილობრივი დეპოპულაციის კომპენსაციას და მასში თავისი ყოფნის გამყარებას, დაასახლა თურქეთიდან ლტოლვილი ქრისტიანებით (სომხებით და უფრო ნაკლებად – ბერძნებით), ასევე კოლონისტებით ცენტრალური რუსეთიდან და გერმანიიდან, რამაც ბორჩალოს მაზრის ეთნიკური პალიტრა კიდევ უფრო გაართულა.

რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, იქ, როგორც ცხრილ 1-დან გამომდინარეობს, XX საუკუნის დასაწყისისთვის სომხები საერთო მოსახლეობის 70%-ზე მეტს შეადგენდნენ. ქართველების პროცენტი თუმცა კი რამდენადმე მეტი იყო, ვიდრე ბორჩალოში, მაგრამ მცირედით აღემატებოდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 6%-ს. მსგავსი ეთნო-ლინგვისტური სურათი ჩამოყალიბდა ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრაში) უფრო მეტად მოკლე პერიოდის განმავლობაში, ვიდრე მეზობელ ბორჩალოში, სახელდობრ კი XIX საუკუნის უკანასკნელი ორი მესამედის განმავლობაში, როცა ეს ტერიტორია თურქეთიდან რუსეთზე გადავიდა. 1827 წელს (რუსეთ-თურქეთის მორიგი ომის დაწყების წინ) ჯავახეთში მცხოვრები ქართველების უმრავლესობა უკვე რამდენიმე თაობაში ოტომანთა იმპერიისადმი ლოიალური მუსლიმანები იყვნენ და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა მისდევდა მართლმადიდებლობას ან კათოლიციზმს. (ქართველები, რომლებმაც უარი თქვეს კათოლიციზმის ან ისლამის მიღებაზე,⁶¹⁵ მასობრივად იქნენ განდევნილი XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში). 1828-29 წლების ომის მსვლელობაში გამუსლიმებული ქართველი ჯავახელები რუსეთის ჯარებს უაღრესად შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ, ომის შედეგად მათმა უმრავლესობამ დატოვა ტრადიციული დასახლების ადგილები და თურქეთში წავიდა. მათი ადგილი დაიკავეს რუსეთის იმპერიის მთავრობის მოწვევით მოსულმა სომეხმა ლტოლვილებმა, უპირატესად თურქეთის ერზურუმის ვილაიეთიდან.

⁶¹⁴ საქართველოს საზღვრისპირის ამ მცხოვრებთა უმრავლესობა თავს აზერბაიჯანელებად, ნაწილი კი თურქმენებად თვლის, თუმცა საბჭოთა პერიოდში ისინი ყველა აზერბაიჯანელებად იყვნენ ჩაწერილი.

⁶¹⁵ ვატიკანსა და ოტომანთა პორტას შორის შეთანხმებით ქართველი კათოლიკეები დევნას ან დისკრიმინაციას არ ექვემდებარებოდნენ.

ახალქალაქის მაზრაში ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებთან სიტუაცია ასევე არსებითად განსხვავდება ბორჩალოსგან. აქ ვხედავთ ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დიდ რაოდენობას, რომელიც ქალაქ სიმაგრე ვარძიას, ზედა თმოგვის ეკლესია სტელას და გამოქვაბულთა კომპლექსს, აზავეთის ეკლესიას (VII ს.), ფოკის სამონასტრო კომპლექსს, კუმურდოს გუმბათოვან ეკლესიას (X ს.) და მრავალ სხვა არქიტექტურულ ძეგლს მოიცავს. იმავე დროს ახალქალაქის მაზრის ტერიტორიაზე სომხური ეკლესიების ასაკის ათვლა XIX საუკუნის შუა ხანებზე ადრე არ იწყება.

ბოლოს, ყველაფერ ზემო ნათქვამს უნდა დავმატოს, რომ პირველი მსოფლიო ომის მსვლელობაში ორივე მაზრაში თურქეთიდან ეთნიკური წმენდისა და დარბევების შემდეგ გადარჩენილი ლტოლვილი სომხების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოვიდა.

საქართველოსა და სომხეთს შორის ორი ზემოთ აღწერილი მაზრის ფლობაზე დავა 1918 წლის ბოლოს სომხეთ-საქართველოს ომად გადაიქცა, რომელიც 1918 წლის 5 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე გრძელდებოდა (იხ. V თავი). ომის დამთავრებისას ტფილისში საქართველოსა და სომხეთს შორის ბრიტანეთის წარმომადგენლის შუამდგომლობით დაიდო 1919 წლის 17 იანვრის ხელშეკრულება ომის შეწყვეტისა და ბორჩალოს მაზრაში ლორეს ნეიტრალური ზონის შექმნის შესახებ (იხ. V თავი, „კონფლიქტი ახალციხისა და ბორჩალოს მაზრების გამო“), სომხეთს რჩებოდა ბორჩალოს მაზრის ლორეს უბნის ტერიტორიის მცირე ნაწილი. ხელშეკრულების პირობებით კონფლიქტის არცერთი მხარე არ დარჩა კმაყოფილი და ის პრელიმინარულ ხასიათს ატარებდა.

მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, 1920 წლის მოსკოვის ხელშეკრულების მუხ. IV ადასტურებდა საქართველოს უფლებას მთელ ბორჩალოს მაზრაზე, ნეიტრალური ზონისა და ტფილისის ხელშეკრულებით სომხეთისკენ დარჩენილი მისი სამხრეთ ნაწილის ჩათვლით.

(გ) ზაქათალის ოკრუგი

ზაქათალის ოკრუგის ტერიტორია, რომელიც ადრე ტფილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა და მოსკოვის ხელშეკრულების მუხლებით საქართველოს განუყოფელ ნაწილად იყო აღიარებული, 1918 წლიდან საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დავის ობიექტი გახდა.

უძველესი დროიდან ეს ტერიტორია ჰერეთის ქართული ტერიტორიის ნაწილი იყო, რომელიც XI საუკუნეში კახეთს შეუერთდა. XII საუკუნის დასაწყისიდან ის გაერთიანებული საქართველოს სამეფოში შევიდა და იქ რჩებოდა 1443 წელს საქართველოს სამ სახელმწიფოდ დაშლამდე. ამ დროიდან ის სულ კახეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო XVII საუკუნემდე, როცა საქართველოში ირანის ექსპანსიის მსვლელობაში აღმოსავლეთ კახეთის მიწები დაღესტნიდან ჩამოსულმა ლეზგებმა, ხუნძებმა (ავარებმა) და წახურებმა დაიკავეს. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში ამ მიწაზე დასახლდნენ დაღესტნიდან ჩამოსულები, ასევე აზერბაიჯანელი თათრები და თურქმენები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ეთნიკური და რელიგიური სახე. მკვიდრი ქართული მოსახლეობის უმრავლესობა გაიჟლიტა, განიდევნა ან ასიმილაცია გაუკეთდა, გადარჩენილი ქართველების ძირითადად მასამ კი ისლამი მიიღო და მათ ინგილოები (თურქულად “ახლად მორჯულებული”) უწოდეს. XVIII საუკუნის დასაწყისისთვის ნაჩვენებ ტერიტორიაზე, რომელიც ნომინალურად ირანის შემადგენლობაში შედიოდა, შეიქმნენ „ჭარ-ბელაქანის თავისუფალი თემები“ და ელისუს სასულთნო. რუსეთის იმპერიის 1801 წელს დაწყებული ექსპანსიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან ირანის განდევნის მსვლელობაში ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს და 1844 წლისთვის ზაქათალის ოკრუგში გაერთიანდნენ.

სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის თანახმად ზაქათალის ოკრუგის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ცხრილი 4. ზაქათალის ოკრუგის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 1897 წლისთვის

ზაქათალის ოკრუგი		
ეთნიკური კუთვნილება	რაოდენობა	%
ქართველები	12 430	14.8
მათ შორის ინგილოები (მუსლიმანები)	8 727	10.4
მათ შორის ქრისტიანი ქართველები	3 703	4.4
თათრები (აზერბაიჯანელები)	28 950	34.4
ხუნძები (ავარები), წახურები და ყუმუხები	40 225	47.8
სომხები	2 100	2.5
რუსები	315	0.4
სხვები და უცნობები	204	0.2
სულ	84 224	100

იმასთან ერთად, რომ ქართველები XX საუკუნის დასაწყისისთვის ზაქათალის ოკრუგის მოსახლეობის 15%-ზე ნაკლებს შეადგენდნენ, არქიტექტურის შემონახული ძეგლები ამ ტერიტორიის ქართულ წარსულს მოწმობენ. მისი აღმოსავლეთ კახური მემკვიდრეობა წარმოდგენილია არიშის (ახლანდელი მთისძირი), მადლის, კატეხის, ფერი-ყალას (თამარის ციხე), ლექეთის (ისტორიული წყაროების „ლექართი“) სიმამრიანი ეკლესიების ნაშთებით. ქართველების ყოფნის კვალი ოკრუგიდან აღმოსავლეთისკენ რამდენადმე იქითაც კი შეიმჩნევა (ყუმის, ელისოს, ქურმუხისა და გიშის ეკლესიები).

1918 წელს, სამხრეთ კავკასიაში ქართული და აზერბაიჯანული სახელმწიფოების შექმნის მსვლელობაში, მათ შორის დაიწყო კონფლიქტი ზაქათალის ოკრუგის დაუფლებისთვის, რომლის მუსლიმანურ მოსახლეობას თავიდანვე უპირატესად აზერბაიჯანზე ჰქონდა აღებული ორიენტაცია. თავის მხრივ, 1918 წლის ივნისში აზერბაიჯანის მთავრობამ ზაქათალის გუბერნიის შექმნა გამოაცხადა. საქართველოს მთავრობამ არ ცნო ეს გადაწყვეტილება და ოკრუგი სადავოდ რჩებოდა ბოლომდე, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამდე 1920 წლის აპრილში,

როცა ოკრუგში პრაქტიკულად ერთდროულად შევიდნენ ქართული და საბჭოთა ჯარები. 1920 წ. 7 მაისს კი მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების III და IV მუხლების თანახმად რსფსრ-მ ზაქათალის ოკრუგი საქართველოს გადასცა და ახალშექმნილი საბჭოთა აზერბაიჯანის მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა.

საქართველოს ფაქტიური, ხელშეკრულების ტექსტში
არმოხსენებული საზღვრები

1920 წ. 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება არ ათანხმებდა საქართველოს ფაქტიურ, კერძოდ, ყარსის ოლქის სომხეთთან სადავო არტაანის ოკრუგში შექმნილ საზღვრებს (იხ. რუკები 1 და 2). ხელშეკრულება ასევე იგნორირებას უკეთებდა საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვარს, რომელიც ხელმოწერის მომენტში ბორჩალოს მაზრაში არ ემთხვეოდა ტფილისის გუბერნიის სამხრეთ საზღვარს (იხ. ზემოთ და თავი V).

მოსკოვის ხელშეკრულების დადების შედეგები

1920 წლის მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერამ ქართულ საზოგადოებაში და საქართველოს პარლამენტშიც კი განხეთქილება გამოიწვია.⁶¹⁶ ამის მიუხედავად მოკლევადიან პერსპექტივაში ამ ხელშეკრულებამ საქართველოს განსაზღვრული სარგებელი მოუტანა, რადგან საქართველო-რუსეთის დამოკიდებულების ფორმალურმა სტაბილიზაციამ და საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების მკაფიო განსაზღვრამ ხელი შეუწყო დიდი წამყვანი სახელმწიფოებისა და რიგი სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე ცნობას, რაც 1921 წლის 27 იანვარს შედგა.⁶¹⁷

გარდა ამისა, მოსკოვის ხელშეკრულების მუხლმა IV, რომელმაც საქართველოს მთელი ტფილისის გუბერნია „მისცა“, ბორჩალოს მაზრაში სომხეთთან სადავო ტერიტორიების ჩათვლით, საქართველოს მთავრობას გარკვეულწილად „ხელი გაუხსნა“ 1920 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში სომხეთ-თურქეთის გაცხარებული ომის დროს. ქემალისტური თურქეთის ჯარების მიერ სრული

⁶¹⁶ Lang, p. 226.

⁶¹⁷ Аваловъ, с. 310.

სამხედრო განადგურებისა და სომხური ტერიტორიების გამალეხული დაპყრობის პირობებში სომხეთის მთავრობამ საქართველოს ჯარს ლორეს ნეიტრალური ზონის დროებით დაკავების ნება მისცა, ამ ტერიტორიის თურქების მიერ ხელში ჩაგდების არდაშვების მიზნით. მაგრამ 16 ნოემბრისთვის ქართულმა ნაწილებმა არა მხოლოდ ნეიტრალური ზონა დაიკავეს, არამედ რამდენადმე წინ წაიწიეს და გავიდნენ ყოფილი ტფილისის გუბერნიის ძველ საზღვართან, რომელიც საქართველოში სამხრეთ კავკასიის ორ ქვეყანას შორის უპირობო და სამართლიან საზღვრად ითვლებოდა⁶¹⁸ და ამავე დროს მოსკოვის ხელშეკრულებით იყო დადასტურებული. ამგვარად, ქართულმა მხარემ კონტროლქვეშ აიღო ბორჩალოს მაზრის ადრე სადავო ნაწილი და მოკლე ვადაში ჩაატარა პლემბისციტი, რომლის შედეგების საფუძველზე საქართველომ ანექსია გაუკეთა ბორჩალოს მაზრის ლორეს მთელ უბანს (ე. ი. ნეიტრალურ ზონასა და 1919 წ. 17 იანვრის ხელშეკრულებით სომხეთისთვის გადაცემულ ზოლს). ასე მოხდა სომხეთ-საქართველოს საზღვრის მორიგი გადაადგილება და მთელი წლის განმავლობაში მისი მოხაზულობა არ შეცვლილა.⁶¹⁹

მოსკოვის ხელშეკრულების საიდუმლო დანართი

1920 წელს გამოქვეყნებულ მუხლებზე დამატებით მოსკოვის ხელშეკრულება შეიცავდა საიდუმლო დანართს, რომელიც ფაქტიურად აუქმებდა მუხ. II-ს, რადგანაც ის კომუნისტურ პარტიას არა მხოლოდ საქართველოში ლეგალიზაციას, არამედ მას ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემის შეცვლაზე მიმართული პროპაგანდის ღიად ჩატარების ოფიციალურ უფლებას აძლევდა. მეორე მხრივ, ეს დანართი არ ავალდებულებდა საბჭოთა რუსეთს მის ტერიტორიაზე რომელიმე არაბოლშევიკური პარტიისთვის ანალოგიური პრივილეგიების მიცემას. დანართმა საქართველო ასევე ბათუმიდან უცხო ქვეყნების ჯარების გაძევებისთვის ყველა შესაძლებელი ზომის მიღებით დაავალდებულა, რის შედეგადაც ქვეყანას მთლიანად ესპობოდა დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერა.⁶²⁰

⁶¹⁸ Hovannisian, p. 287-289.

⁶¹⁹ Кадишев, с. 368.

⁶²⁰ Hovannisian, pp. 204-205.

Kazemzadeh, pp. 299-300.

რუსეთის მხრიდან მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევა და მისი უარი ხელშეკრულებაში დადასტურებულ ტერიტორიულ ვალდებულებებზე

საბჭოებისა და საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადების შემდეგ მალე ბარონი პიოტრ ვრანგელი თავის მემუარებში წერდა: „ყუბანსა და საქართველოსთან, რომლებთანაც მათ ახლახან დადეს შეთანხმებები, დამოკიდებულებაში ბოლშევიკების ქმედების არცთუ დიდხნის მაგალითები თვალნათლივ ადასტურებენ ბოლშევიკების, რომლებიც ყველა იურიდიულ და მორალურ ვალდებულებებს ბურჟუაზიულ ცრურწმენებზე მეტად არ თვლიან, კარგად ცნობილ შეხედულებებს“.⁶²¹ თუმცა უფრო ადრე რუსეთის ბოლშევიკების ლიდერი ვ. ულიანოვ-ლენინი ღიად წერდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან შეთანხმებების შესრულების არააუცილებლობაზე: „გადასახდელის ნაწილს, რასაკვირველია, ჯიბეში ჩავიდებთ, მიუხედავად ამისა სრულებით არ შევწყვეტთ შეუპოვარ ბრძოლას *მთელი* გადასახდელისთვის“.⁶²² წითელი არმიის სარდლობა ლენინის მიზანდასახულობას იმ დროსაც მისდევდა და მაისის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც მაშინვე გააგრძელა საქართველოს ომით დაპყრობის გეგმის დამუშავება.⁶²³

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთმა მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ხელის მოწერიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში გათელა, 1921 წლის თებერვალში საქართველოსთვის ომის გამოუცხადებლად თავდასხმით. ფაქტი კი იმის შესახებ, რომ 7 მაისის ხელშეკრულების მისი ვალდებულებები რუსეთმა უფრო ადრე დაარღვია, მიჩუმათებულია. სულ ერთი კვირის შემდეგ, 1920 წლის 12 მაისს ჯერ კიდევ ბოლშევიკების დედაქალაქში დარჩენილ საქართველოს წარმომადგენლებს თავს მოახვიეს „დამატებითი შეთანხმება“, რომელიც მათ იძულებით მიიღეს. ამ შეთანხმებამ, რომლის ტექსტი ფიქსირებულია ხელშეკრულების დანართ I (B)-ში, ხაზი გადაუსვა 7 მაისის ხელმოწერილი ხელშეკრულების III და IV მუხლებს. ამ ხელშეკრულების ფორმალურად გადახედვა მისი ხელმოწერიდან პრაქტიკულად

⁶²¹ Врангель, с. 587.

⁶²² В. Ленин, *Полное собрание сочинений*, Т.6 (Москва, 1963), с. 318-319.

⁶²³ J. Erickson (Ed.), *The Soviet High Command: A Military-Political History 1918-1941* (London, 2001), p. 123.

მაშინვე ქართველებისთვის ზაქათალის ოკრუგის გადაცემის საწინააღმდეგოდ აზერბაიჯანის სსრ ხელმძღვანელობის პროტესტით იყო გამოწვეული. ამის შედეგად, როგორც ახალი შეთანხმების მუხ. I იუწყებოდა, ზაქათალის ოკრუგი უკვე საქართველოს უდავო ნაწილად კი აღარ იყო აღიარებული, არამედ კვლავ სადავო ტერიტორიად და ახალ მოლაპარაკებებში ვაჭრობის საგნად ხდებოდა:

„საკითხი საქართველოსა და აზერბეიჯანს⁶²⁴ შორის საზღვარზე და ზაქათალის ოკრუგში სადავო ადგილებზე გადასაწყვეტად გადაეცემა შერეულ კომისიას, რომელიც შედგენილი იქნება აზერბეიჯანისა და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლებისგან თანაბარი რაოდენობით, რ.ს.ფ.ს.რ. წარმომადგენლის თავმჯდომარეობით“⁶²⁵

მითითებული შეთანხმების მუხ. II-ის თანახმად საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანს ეკრძალებოდათ ზაქათალის ოკრუგში დამატებითი ჯარის შეყვანა, რაც ამ ტერიტორიას ერთგვარ კონდომინიუმად⁶²⁶ აქცევდა. თავისთავად იგულისხმება, რომ რსფსრ-ის ჯარი არ გამოიყვანეს ზაქათალიდან და იქ 1921 წლის თებერვალში საქართველოზე საბჭოთა რუსეთის თავდასხმამდე დარჩა.

იმის გარდა, რომ კრემლის ბატონ-პატრონებმა საქართველოს ძალით მოახვიეს თავს 12 მაისის „დამატებითი შეთანხმება“, იმავე წლის მაისის ბოლოს ის თვითონვე დაარღვიეს მოსკოვში ლევონ შანტის (სედბოსიანის) მეთაურობით ჩამოსულ სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან მოლაპარაკებისას. მოლაპარაკებების, რომლებშიც რსფსრ მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი და მისი მოადგილე ლევ კარახანი (რომელმაც პირადად მოაწერა

⁶²⁴ ტექსტის ორიგინალში სწორედ «Азербейджан» იყო დაწერილი.

⁶²⁵ *Мирный договор между Россией и Грузией* (Москва, 1920).

⁶²⁶ კონდომინიუმი [ახ. ლათ. Condominium, ლათ. con (cum) – ერთად, dominium – ფლობა, ხელისუფლება] – სახელმწიფო სამართალში თანამფლობელობა, ე. ი. ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლების საერთო განხორციელება. ისტორიულად ადგენდნენ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის ასაცილებლად.

ხელი საბჭოებისა და საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულებას),⁶²⁷ მსვლელობაში სომხეთის დელეგაცია დაარწმუნეს, რომ კრემლს არ სურდა სომხეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარება, და საბჭოების შუამდგომლობაც კი შესთავაზეს თურქეთთან ტერიტორიული დავის გადაწყვეტაში.⁶²⁸ ჩიჩერინი ზანგეზურსა და ნახჭევანში საბჭოთა ჯარის არშესვლის გარანტიას იძლეოდა და მთიანი ყარაბაღის საკითხის პლებისციტის გზით გადაწყვეტას პირდებოდა.⁶²⁹ მაგრამ ყველაზე მეტად სომხეთის დელეგაციაზე შთაბეჭდილება მოახდინა კარახანის მიერ მათ წინ გაშლილმა რუკამ, რომელზედაც დატანილი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ სომხეთისთვის შეთავაზებული დამატებითი ტერიტორიები, კრემლის მეგობარი ქემალისტური თურქეთის სამფლობელოებზე მისი მოთხოვნების ნაწილზე სომხეთის უარის თქმის პირობებით. ეს დამატებითი ტერიტორიები მოიცავდნენ ბორჩალოს მაზრის დიდ ნაწილს, ტფილისის გუბერნიის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს მთლიანად (ამასთან ახალციხის მაზრაზე სომხეთს არასდროს პრეტენზია არ ჰქონია), ასევე აჭარაში (ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში) „ჭოროხ-იმერხევის კორიდორს“ შავი ზღვისკენ, ე. ი. იმავე თვეში და იმავე ადგილზე ხელმოწერილი საბჭოებისა და საქართველოს ხელშეკრულების მუხ. IV-ით უდავოდ ქართულად აღიარებულ ტერიტორიებს! იმის შემდეგ, რაც სომხეთის დელეგაციამ გაოცება გამოხატა მისთვის კარგად ნაცნობ 7 მაისის საბჭოებისა და საქართველოს ხელშეკრულებაზე მითითებით, კარახანმა უპასუხა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი „ჯერ კიდევ ღიად რჩება“.⁶³⁰ ნათქვამს შეიძლება მხოლოდ დავამატოთ, რომ იმავე დროს, როდესაც კრემლში საბჭოებისა და სომხეთის მოლაპარაკებები მიმდინარეობდნენ, წითელი არმია თურქების ჯარებთან ერთად ზანგეზურსა და ნახჭევანში განაგრძობდა სომხების წინააღმდეგ ოპერაციებს, კვალავდა აზერბაიჯანიდან თურქეთში მათთვის აუცილებელ „კორიდორს“. კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ, იმავე წლის ივნისში, მოსკოვში ჩავიდა ქემალისტების დიპლომატიური მისია, რომელთან ერთად ჩიჩერინმა და კარახანმა სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გეგმები

⁶²⁷ Hovannisian, pp. 48-49.

⁶²⁸ Hovannisian, pp. 50-52.

⁶²⁹ *Ibid.*, p. 52.

⁶³⁰ *Ibid.*, p. 53.

განიხილეს.⁶³¹ სულ თვენახევრის შემდეგ კი კრემლის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ურთიერთობის სტილი სომხეთის რესპუბლიკის მიმართ მთლიანად აგრესიული ზეწოლის მხარეს შებრუნდა. კიდევ ოთხნახევარი თვის შემდეგ, 1920 წლის 2 დეკემბერს საბჭოებისა და თურქეთის ერთობლივი სამხედრო ოპერაციების შედეგად სომხეთის დამოუკიდებლობას მთლიანად გაუკეთდა ლიკვიდაცია.

1921 წლის 3 იანვარს რსფსრ-ის ხელმძღვანელობამ კვლავ წამოაყენა საკითხი ბორჩალოს მაზრის ლორეს უზნის შესახებ, საქართველოს მთავრობასა და უკვე სოვეტიზებული სომხეთის სსრ-ის ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკების დაწყებაზე დაჟინებული მოთხოვნით. ეს მოლაპარაკებები წყვეტილად მიმდინარეობდნენ ორი თვის განმავლობაში და საბოლოოდ შეწყდნენ 1921 წლის 11 თებერვალს დაწყებული საბჭოებისა და საქართველოს ომით⁶³² (იმავე წლის 27 იანვარს პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარების სულ მხოლოდ 15 დღის შემდეგ).⁶³³

საბჭოებისა და საქართველოს ომი (1921 წ. თებერვალ-მარტი)

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა საბჭოთა სომხეთსა და საბჭოთა აზერბაიჯანთან (ფორმალურად დამოუკიდებლები, მაგრამ ფაქტიურად რუსეთის პროტექტორატები)⁶³⁴ კავშირში ომი

⁶³¹ Erickson, p. 124.

⁶³² რუსეთ-საქართველოს ომი 1921, აგრეთვე ცნობილი, როგორც წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში, საბჭოებისა და საქართველოს ომი (15 თებერვალი – 17 მარტი, 1921) – საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის სამხედრო კამპანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემითა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით.

⁶³³ A. Andersen and G. Partskhaladze, “La guerre soviéto-géorgienne et la soviétisation de la Géorgie (février-mars 1921)”, Revue Historique des Armees, No. 254 – 1, 2009 (Paris, 2009), pp. 68-70

Аваловъ, с. 311-312.

Kazemzadeh, p. 313

Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation* (Indianapolis, 1994), p. 207.

⁶³⁴ პარტიული დისციპლინის პრინციპის შესაბამისად სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ბოლშევიკური მთავრობები

გააჩაღა საქართველოს წინააღმდეგ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევით. ომი დაიწყო წითელი არმიის ჯარის შეჭრით ბორჩალოს მაზრის ლორეს უბანში, ამ უბნის რამდენიმე სომხურ სოფელში ბოლშევიკების აგენტების მიერ ინიცირებული „სახალხო აჯანყების“ მხარდაჭერის საბაზით.⁶³⁵ 1921 წ. 18 მარტს, ქართული ჯარისა და ლაშქრის გააფთრებული წინააღმდეგობის ოთხი კვირის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი ქვეყანა დაეცა და მორიგ „საბჭოთა რესპუბლიკად“ გადაიქცა. ამასთან ომის დამთავრებისას მაშინვე საქართველოს თურქეთის სასარგებლოდ წაართვეს საკმაოდ დიდი ტერიტორიები, ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილის ჩათვლით, რომელსაც რსფსრ (1920 წლის მოსკოვის ხელშეკრულებით) უდავოდ ქართულად აღიარებდა. 1921 წლის 13 ოქტომბერს ეს ტერიტორიული დათმობები თურქეთის სასარგებლოდ ყარსის ხელშეკრულებით დააფიქსირეს (იხ. თავი 12).

საქართველოს სოვეტიზაციის შემდეგ რამდენიმე ხნის განმავლობაში ლორეს სადავო უბანი მის შემადგენლობაში რჩებოდა. ამის ძირითადი მიზეზი ზოგი მკვლევარის აზრით იყო საბჭოთა ხელისუფლების „ლეგიტიმურობაზე“ მითის შენარჩუნება, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე პროსაბჭოთა „აჯანყება“, რომელიც პირველი რესპუბლიკის დაცემამდე მივიდა, სწორედ ამ უბნის ტერიტორიაზე მოხდა.⁶³⁶

ბოლოსდაბოლოს, 1922 წლის 30 დეკემბერს ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში არსებული ყველა საბჭოთა რესპუბლიკა გაერთიანდა ერთ სახელმწიფოში – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში (სსრკ). სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები შევიდნენ განახლებული იმპერიის შემადგენლობაში, წინასწარ გაერთიანდნენ ამიერკავკასიის ფედერაციაში (ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, ასფსრ, იარსება 1922 წ. 12 მარტიდან 1936 წ. 5 დეკემბრამდე), რომლის ჩარჩოებში, მოსკოვიდან ბოლშევიკების კომპარტიის ცკ-ს მოწერილობის თანახმად, მათ „საბოლოოდ“ უნდა

შეუსიტყვეებლად უნდა დამორჩილებოდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის – რკპ(ბ)-ის დირექტივებს, რომლებიც რკპ(ბ) ცკ-ს კავკასიის ბიუროს გავლით მოსკოვიდან მოვიდნენ.

⁶³⁵ F. Kazemzadeh, pp. 318-319

⁶³⁶ А, Цуциев, *Атлас этно-политической истории Кавказа* (Москва, 2006), с. 60 и 62.


გადაეწყვიტათ სადავო ტერიტორიული საკითხები. ამის საფუძველზე 1921 წლის 6 ნოემბერს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელმაც დაადგინა მათ შორის საზღვრის თანამედროვე ხაზის პრაქტიკულად ზუსტად შესატყვისი საზღვარი. მოცემული ხელშეკრულების პირობებით საბჭოთა სომხეთის შემადგენლობაში კვლავ გადადიოდა ლორეს უბნის თითქმის მთელი ტერიტორია, ყოფილი ნეიტრალური ზონის (კონდომინიუმის) ჩათვლით, ასევე სომხეთისთვის 1919 წლის 17 იანვრის ხელშეკრულებით გადაცემული უბნის ტერიტორია კონდომინიუმის სამხრეთით (იხ. რუკა 304-ე გვერდზე).

1921 წლის 15 ნოემბერს საქართველოს სსრ ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ხელშეკრულება დაედო საბჭოთა აზერბაიჯანის ადმინისტრაციასთან აზერბაიჯანისთვის ზაქათალის ოკრუგისა და ყარაიაზის ველის ქვემო ნაწილის გადაცემაზე.⁶³⁷ ეს შეთანხმება 1922 წლის მარტის დასაწყისში დამტკიცდა სრკპ(ბ) ცკ-ის ამიერკავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით ზაქათალის ოკრუგის ოთხი რაიონის დამკვიდრებაზე აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში, რომლის ტერიტორიის გაფართოება საქართველოსა და სომხეთის ხარჯზე დაკავშირებული იყო მასთან, რომ საბჭოთა მთავრობა აზერბაიჯანს განიხილავდა როგორც პლაცდარმს ბოლშევიკური იდეების ექსპორტისთვის „მუსლიმანურ სამხრეთზე“. ორი შემდგომი წლის განმავლობაში რსფსრ-ის სასარგებლოდ ასევე „კორექცია“ გაუკეთეს საქართველოს სსრ-ის საზღვარსაც თიანეთის მაზრის ფშავ-ხევსურეთის უბანზე (იხ. რუკა 304 გვერდზე).

ასე, 1920 წლის მაისში ხელმოწერილი ხელშეკრულების მიუხედავად მოსკოვმა დაამთავრა საქართველოს სსრ-ის ტერიტორიული ჩამოყალიბება საზღვრებში, რომლებშიც საქართველო 1991 წლის აპრილში თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე მოვიდა და რომლებიც დღეს საერთაშორისოდაა აღიარებული.⁶³⁸

⁶³⁷ С. Рахманзаде, *Из истории азербайджано-грузинских отношений 1920-1921 гг.* (Махачкала, 2009), с. 733-734.

⁶³⁸ 1944-1947 წლებში საქართველოს სსრ ჩრდილოეთი საზღვარი საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა ზოგი ჩრდილოკავკასიელი ხალხის მასობრივი დეპორტაციის დროს, მაგრამ 1955-1957 წლებში სკკპ ცკ-ს პოლიტიბიუროს გადაწყვეტილებით საზღვარი 1943 წლამდე ხაზზე დააბრუნეს.



სანრემო, 1920 წლის პლაკატი



რობერტ ჯილბერტ ვანსირტატი



სანრემოს კონფერენციის დელეგატები (1920 წ. აპრილი)



სერგეი კიროვი და
გრიგოლ ორჯონიკიძე




მიხაილ ტუხაჩევსკი



ბარონი პიოტრ ვრანგელი მისი მთავრობის წევრებთან ყირიმში




ლევ კარახანი




გიორგი ურატაძე






მოსკოვის კრემლი (1920 წ. მაისი)





ETHNIC MAKEUP OF THE DISTRICT OF SUKHUM, AS OF THE EARLY 20th CENTURY







CHRISTOPH CELLARIUS
*Prof. Publ. Ordin. Antiquit.
et Doquent. in Universitat.
Fridericianae Hallensi.*

CHRISTOPHORI CELLARII
HISTORIA
UNIVERSALIS
BREVITER AC PERSPICUE EXPOSITA
IN
ANTIQUAM, ET MEDII AEV
AC NOVAM DIVISA,
CVM
NOTIS PERPETVIS
EDITIO XI.
AD NOSTRA VSQVE TEMPORA
CONTINVATA
ET SVMMARIIS AVCTA





CVM PRIV. S. R. M. POL. ET ELECT. SAX.

ALTENBURGI
SVMTV PAULI EMANVEL RICHTERI.
MDCCLIII.





ქრისტოფ ცელარიუსი (1638-1707)
და იბერიისა და კოლხიდის მისეული რუკა

HISTORY OF THE TWO DISPUTED COUNTIES : CHANGING HANDS BETWEEN ARMENIA AND GEORGIA



- The counties of Akhalkalak and Borchalo disputed between Armenia and Georgia in 1918-1921
- National border, as of 2018
- Georgia or Georgian states
- Armenia or Armenian lands
- Kingdom of Pontus between 101 B.C. and 63 A.D.
- Colchis within the Kingdom of Pontus (101 B.C. - 63 A.D.)

HISTORY OF THE TWO DISPUTED COUNTRIES : CHANGING HANDS BETWEEN ARMENIA AND GEORGIA



The countries of Akhalkalak and Borchalo disputed between Armenia and Georgia in 1918-1921



National border, as of 2018

Georgia or Georgian states

Georgian-Armenian state (the Kingdom of Lore-Tashir)

Armenia or Armenian states

HISTORY OF THE TWO DISPUTED COUNTRIES : CHANGING HANDS BETWEEN ARMENIA AND GEORGIA




The countries of Akhalkalak and Borchalo disputed between Armenia and Georgia in 1918-1921

National border, as of 2018

Georgia or Georgian states

Zakharide domain (Armenian provinces) within the Kingdom of Georgia





ETHNIC MAKEUP OF AKHALKALAKI AND BORCH'ALO C-TIES, EARLY 20th CENTURY



სომხური მონასტერი სანაინში



ქართული ეკლესია აბტალაში




ფრესკა ვარძიის მონასტერში და ეგვტერი ვანის ქვაბებში



ქართული ეკლესია ზედა თმოგვში

ETHNIC MAKEUP OF THE DISTRICT OF ZAKATALA, EARLY 20th CENTURY






წმ გიორგის ეკლესია
ქერმუხში



ეკლესია გიშვი
(ახლა – მუზეუმი)



ინგილო ქალები ზაკათალადან





გიორგი ჩიჩერინი



ლევონ შანტი



ვლადიმირ ულიანოვ-ლენინი მიტინგზე გამოდის
(1920 წ. მაისი)




ვლადიმირ გიტისი



ანატოლი გეკერი



ქემალისტური თურქეთის ლიდერები წითელი არმიის წარმომადგენლებთან (1920)



საქართველო და სევრის ხელშეკრულება

1920 წლის 10 აგვისტოს ქ. სევრში (საფრანგეთი) ხელი მოეწერა „საზავო ხელშეკრულებას“ ერთი მხრივ თოთხმეტ „მოკავშირე და ასოცირებულ ერს“ (სომხეთის ჩათვლით) და მეორე მხრივ თურქეთის სასულთნოს მთავრობას შორის. სევრის ხელშეკრულების მუხ. 89, ნაწ. III, კარი VI-ის თანახმად სომხეთს გადაეცემოდა ზოგიერთი ტერიტორია აღმოსავლეთ თურქეთში, რომლებიც მოიცავდნენ ისტორიულ დასავლეთ სომხურ მიწებს ერზურუმის, ტრაპიზონის, ვანისა და ბითლისის ვილაიეთებში.⁶³⁹ ხელშეკრულება, რომელმაც ოფიციალურად დააკმაყოფილა სომხების მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე „ოტომანთა მემკვიდრეობაზე“ წაყენებული პრეტენზიების დაახლოებით ორმოცი პროცენტი, არ შეიცავდა ახალი საზღვრების ზუსტ აღწერას როგორც სომხეთსა და თურქეთს შორის, ისე სომხეთსა და სხვა ქვეყნებს, საქართველოს ჩათვლით, რომლებსაც ჰქონდათ ან შეიძლება ჰქონოდათ პრეტენზიები სომხეთისთვის გადაცემულ თურქეთის ზოგიერთ ტერიტორიაზე, შორის. ზემოთ მოხსენებული მუხლის შესაბამისად სომხეთ-თურქეთის საზღვრის, რომელიც სომხეთის ტერიტორიული გაფართოების გათვალისწინებით უნდა გაყვანილიყო, საბოლოო განსაზღვრა აშშ-ის პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს უნდა გაეკეთებინა.⁶⁴⁰ რაც შეეხება საზღვრებს საქართველოსა და სომხეთს შორის, იმავე კარის მუხ. 92-ით განზრახული იყო, რომ ეს „განსაზღვრება დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის პირდაპირი შეთანხმების გზით“.⁶⁴¹

⁶³⁹ “Treaty of Peace between the British Empire and Allied Powers (France, Italy, Japan, Armenia, Belgium, Czecho-Slovakia, Greece, the Hedjaz, Poland, Portugal, Roumania and Serb-Croat-Slovene State) and Turkey- Sevres, August 10, 1920” in *British and Foreign State Papers*, CXIII, 1920, ed. Edward Parkes et al. (London, 1923), p. 672.

⁶⁴⁰ *Op.cit.*, p. 672.

⁶⁴¹ *Op.cit.*, p. 673.

სხვა მხარეების პრეტენზიები სომხეთის შესაძლო ტერიტორიულ მონაპოვრებზე

სომხების იმედი გაცრუვდა, – ჰარპუტის (მამურეთ-ულ-აზიზის) ვილაიეთი, რომელიც „თურქული სომხეთის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად ითვლებოდა, სევრის ხელშეკრულების დებულებებიდან გამომდინარე.⁶⁴² მის ნაცვლად სომხეთს აძლევდნენ ფართო გასასვლელს შავ ზღვაზე სანავსადგურო ქალაქ ტრაპიზონით, რომელიც ისტორიულად არასდროს არ შედიოდა სომხური სახელმწიფოების შემადგენლობაში. მაგრამ სომხეთი ტრაპიზონისა და ერზურუმის ვილაიეთების ტერიტორიებზე პრეტენზიის მქონე ერთადერთი ქვეყანა არ ყოფილა. ტრაპიზონისა და მისგან აღმოსავლეთითა და დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროს დართვის იდეას პროტესტით შეხვდნენ პონტოელი ბერძნების მხრიდან, რომლებსაც სწორედ ამ ტერიტორიაზე ჰქონდათ პონტოს ბერძნული სახელმწიფოს შექმნის გეგმა.⁶⁴³ მიუხედავად ამისა, ელეფთერიოს ვენიზელოსის საბერძნეთის მთავრობა მხარს არ უჭერდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მეორე ბერძნული სახელმწიფოს შექმნის იდეას, რადგან ამ გეგმას არარეალურად თვლიდა. ამიტომ ვენიზელოსმა მხარი დაუჭირა სომხეთისთვის შავი ზღვის სანაპიროს, რომელზედაც პრეტენზია ჰქონდათ პონტოელ ბერძნებს, გადაცემის იდეას და გამოთქვა რწმენა, რომ ბერძნებსა და სომხებს აქვთ წარმატებით თანაარსებობის უნარი სომხეთის ახალი სახელმწიფოს ფარგლებში, პონტოელებისთვის კულტურული ავტონომიის მინიჭების პირობებით.⁶⁴⁴

იმავდროულად ტრაპიზონისა და ერზურუმის ვილაიეთების მცირე ნაწილზე პრეტენზია ჰქონდა საქართველოსაც. 1920 წ. 1 მარტს ანტანტის უმაღლესი საბჭოსთვის პირველი რესპუბლიკის დელეგაციის მიერ წარდგენილი მემორანდუმის შემცველ საქართველოს ტერიტორიულ მოთხოვნებში ჩართული იყო პრეტენზია ზოგიერთ ტერიტორიაზე, რომლებიც სომხეთსაც უნდოდა.

⁶⁴² Hewsen, p. 235.

⁶⁴³ Аваловъ, в *цум .mp.*, с. 255.

Can Erimitan, “Hittites, Ottomans and Turks: Ağaoğlu Ahmed Bey and the Kemalist Construction of Turkish Nationhood in Anatolia” in *Anatolian Studies*, Vol. 58 (2008), pp. 150-156.

Hewsen, pp.234-235.

⁶⁴⁴ Hovannisian, Vol. III, p.404.

ეს ტერიტორიები მოიცავდნენ ტრაპიზონის ვილაიეთის ლაზისტანის სანჯაყს, რომელსაც ეკავა პარიადრიის (პონტოს) მთებსა⁶⁴⁵ და რუსეთ-თურქეთის ძველ საზღვარზე ქალაქ ხოფასა და ქალაქ ოფიდან აღმოსავლეთით ჩამდინარე მდინარე კალოპოტამოს⁶⁴⁶ შორის შავი ზღვის სანაპიროს შორის ჩაჭედილი შედარებით მცირე ტერიტორია, ასევე კესკიმისა და თორთუმის⁶⁴⁷ თიშარებს⁶⁴⁸ (რაიონებს) ერზურუმის ვილაიეთის ამავე სახელობის სანჯაყში და ისპირის⁶⁴⁹ თიშარის მცირე ნაწილს იმავე სანჯაყში.⁶⁵⁰

ლაზისტანი (ლაზონა)

ლაზებით, რომლებიც როგორც ლინგვისტურად, ისე ეთნიკურად იმდენად ახლოს არიან ქართველებთან, რომ ისინი ქარ-

⁶⁴⁵ პონტოს მთები (პონტოს ქედი, ჩრდილო ანატოლიის მთები) – მათათა სისტემა თურქეთის ჩრდილოეთში, გადაჭიმულია შავი ზღვის სამხრეთ ნაპირზე, მდინარე ემილ-ირმაქის („მწვანე მდინარე“) შესართავიდან მდინარე ჭოროხის შესართავამდე და იქით ქარჩალის მწვერვალამდე, რომელიც მის აღმოსავლეთ დაბოლოებად შეიძლება ჩაითვალოს. აღმოსავლეთ ნაწილში მას ჭრის ჭოროხი და თავისი ფერდობებითა და კონტრფორსებით ავსებს ართვინის ილის ნაწილს თურქეთში და მთელ აჭარას საქართველოში.

⁶⁴⁶ კალოპოტამო (ბერძნ. – „კარგი კალაპოტი“), ახლანდელი – იდერნე (იმავე მნიშვნელობის თურქული შესატყვისი).

⁶⁴⁷ თორთომი, თორთუმი – პროვინცია ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე.

⁶⁴⁸ თიშარი (timar) – პირობითი მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა შუა საუკუნეების ოსმალეთის იმპერიაში. ეძლეოდათ სახელმწიფო მიწების ფონდიდან სამხედრო სამსახურის აღსრულებისთვის. თიშარის მფლობელი (თიშარიოტი) ვალდებული ოყო თურქეთის არმიის ლაშქრობებში მონაწილეობა მიეღო შეიარაღებული ცხენოსანი მეომრებით. 1839 წ. თიშარის სიტემა გაუქმდა, მისი მფლობელებისგან მითვისებისა და სამხედრო სამსახურზე უარის გამო.

⁶⁴⁹ სპერი – ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. ეს მხარე ბაგრატიონთა საგვარეულოს სამშობლოდ ითვლება.

⁶⁵⁰ Аваловъ, в *цум .тр.*, с. 255-257.

V. Babet, *Les richesses naturelles de la Georgie – Richesses minières* (Paris, 1920), p. 5;

Бадри Гогია, *Абхазия – историческая провинция Грузии* (Paris, 2005), стр. 78-82;

Hovannisian, pp. 30-31.

თველი ხალხის შტოდ შეიძლება ჩაითვალოს, დასახლებული ლაზისტანი (ლაზურ ენაზე ამ მხარეს ლაზონა ეწოდება) პროტოქართული სახელმწიფო კოლხიდას შემადგენლობაში შედიოდა ძვ. წ. XII საუკუნიდან დაწყებული ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებამდე, როცა ის აქემენიდების სპარსეთმა დაიპყრო.⁶⁵¹ ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში სპარსელების მფლობელობას ბოლო მოეღო და ტერიტორია მდინარეებს ჭოროხსა და კალოპოტამოს შორის პროტოქართული სახელმწიფო ეგრისის შემადგენლობაში შევიდა.⁶⁵² ძვ. წ. 83 წ. ეგრისის სახელმწიფოც დაეცა და პონტოს სახელმწიფოს მიუერთდა. ახ. წ. 62 წელს პონტოს სამეფო იარაღით დაიპყრო რომის იმპერიამ. მოხდა მთელი რეგიონის ანექსია და ის რომის დიდი პროვინციის – ბითინიისა და პონტოს ნაწილი გახდა. იმ დროიდან რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ტერიტორია, რომელმაც შემდგომში სახელწოდება „ლაზისტანი“ მიიღო, რომის იმპერიის შემადგენლობაში, 392 წლის შემდეგ კი მისი მემკვიდრის – ბიზანტიის შემადგენლობაში რჩებოდა. ახ. წ. VII საუკუნის შუა ხანებში მომავალმა ლაზისტანმა არაბთა შემოსევა გადაიტანა, XI საუკუნის ბოლოს კი გაერთიანებული საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. 1204 წ. ლაზების ქვეყანა გადაეცა ტრაპიზონის იმპერიას, რომელიც საქართველოს ქვეშევრდომი იყო. XIII საუკუნის ბოლოს ეს ტერიტორია კვლავ საქართველოს შემადგენლობაში შევიდა და მის ნაწილად რჩებოდა 1443 წელს გაერთიანებული საქართველოს სამეფოს დაშლამდე. ამის შემდეგ დროის შედარებით მოკლე შუალედებში ლაზისტანი იმერეთის სამეფოს, გურიის სამთავროსა და სამცხე-საათაბაგოს სამთავროს

⁶⁵¹ W.E.D. Allen *A History of the Georgian People* (London, 1933), pp. 33 and 49;

Hewsen, p. 31;

Alexander Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia* (New York, 2015), pp. 232-233.

Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation* (Indianapolis, 1994), p. 9.

Cyril Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History* (Washington, 1963), pp. 69-84.

⁶⁵² Hewsen, pp. 33, 35 and 73;

Mikaberidze, p. 233;

Donald Rayfield, *Age of Empires: a History of Georgia* (London, 2012), p. 201;

Suny, pp. 2 and 9-10.

ნაწილი იყო XVI საუკუნეში თურქ-ოსმალების მიერ მის დაპყრობამდე (იხ. რუკები 17 და 295 გვერდებზე).⁶⁵³ ლაზების ქვეყნის ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში ჩართვის შედეგი მისი სწრაფი ისლამიზაცია გახდა, ამის შემდეგ ლაზები ლოიალური თურქი ქვეშევრდომები გახდნენ, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს 1914-1917 წლებში ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ რუსეთის იმპერიის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისევე როგორც 1918 წ. – ქართული ნაწილებისა და პონტოელი ბერძნების რაზმების წინააღმდეგ.⁶⁵⁴

კესკიმი-თორთუმი-ისპირი

ისტორიულად კესკიმისა და თორთუმის თიშარების, ასევე ნაწილობრივ ერზურუმის ვილაიეთის ისპირის თიშარის ტერიტორიები შეადგენდნენ ქართულ პროვინციებს ტაოს, პარხალს, თორთომსა და სპერს.⁶⁵⁵ დღეისთვის საქართველოს ისტორიის სფეროში ბევრი სპეციალისტი მიქაბერიძის, რეიფილდისა და სუნის ჩათვლით თანხმდებიან იმაში, რომ დასახელებული ტერიტორია ქართული კულტურისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი იყო, რადგანაც სწორედ იქ ძვ. წ. VII საუკუნეში წარმოიშვა ტაოხების (დიაუხების) ტომის მიერ შექმნილი პირველი პოლიტიკური წარმონაახი, რომელიც შეიძლება ემბრიონულ პროტოქართულად ჩაითვალოს.⁶⁵⁶ ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისიდან ეს რეგიონი პროტოქართული სახელმწიფოს იბერიის (ივერიის) ნაწილი იყო.⁶⁵⁷ ძვ. წ. II საუკუნესა ახ. წ. II საუკუნის დასაწყისს შორის ოთხასწლიანი პერიოდის განმავლობაში ის რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში იბერიასა და სომხეთს შორის, შემდეგ

⁶⁵³ Mikaberidze, p. 467

⁶⁵⁴ Авалов, с. 255.

Зайончковский, *Первая Мировая война* (Санкт-Петербург, 2002), с. 376

⁶⁵⁵ *Атлас Грузинской СССР* (Москва, 1963), с. 249-252;

Hewsen, p. 130.

⁶⁵⁶ Allen, pp. 24, 33 and 58;

Hewsen, pp. 30-31;

Mikaberidze, pp. 262 and 625;

Rayfield, pp. 16-17;

Suny, pp. 6-9.

⁶⁵⁷ *Атлас Грузинской СССР*, с. 244-246;

Hewsen, p.33;

Suny, p. 2.

საუკუნეებში კი ბიზანტიის სპარსეთთან ომის ბრძოლის არენა იყო.⁶⁵⁸ პროვინციებმა ტაომ, პარხალმა და თორთომმა VII საუკუნეში გადაიტანეს არაბების მიერ დაპყრობა და გამაჩანაგებელი არაბ-ბიზანტიის ომები, რომლებიც ამას მოყვნენ, და შექმნეს ტაო-კლარჯეთის სამთავროს საფუძველი, რომლის გარშემო X საუკუნის ბოლოს ერთი გვირგვინის ქვეშ რამდენიმე ქართული სახელმწიფო გაერთიანდა.⁶⁵⁹ 1010 და 1442 წლებს შორის პერიოდში ტაო, პარხალი და თორთომი ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, იმ დროს კი პროვინცია სპერი საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა და დაქუცმაცებულ ნაწილებად რამდენიმე არაქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა (იხ. რუკები 17 და 295 გვერდებზე).⁶⁶⁰ XVI საუკუნის შუა ხანებში ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა და პროვინციები ტაო, პარხალი და თორთომი სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შევიდნენ. 1590 წელს ოტომანთა იმპერიამ სამცხეს მიწების ანექსია მოახდინა და დასახელებულმა პროვინციებმა იქ კესკიმისა და თორთუმის თიმარები შექმნეს (იხ. რუკები 17 და 295 გვერდებზე).⁶⁶¹ პროვინცია სპერი თურქ-ოსმალებმა კიდევ უფრო ადრე, 1451 წლის ბოლოს დაიპყრეს და ის ისპირის თიმარის ნაწილი გახდა. ოსმალთა იმპერიის

⁶⁵⁸ *Атлас Грузинской СССР*, с. 245;
Hewsen, pp. 34-39, 45-50 and 62-104;
Mikaberidze, p. 625;
Suny, pp. 13-27

⁶⁵⁹ Allen, pp. 82-90;
Атлас Грузинской СССР, с. 247 и 249-250;
Hewsen, p. 109;
Mikaberidze, pp. 250 and 625-626;
Rayfield, pp. 70-96;
Suny, pp. 32-34.

⁶⁶⁰ *Атлас Грузинской СССР*, с. 251-255;
Hewsen, pp. 130 and 135;
Mikaberidze, p. 626;
Suny, pp. 34-45.

⁶⁶¹ Allen, pp. 148,
Атлас Грузинской СССР, с. 253-258;
Hewsen, pp. 143, 148;
Mikaberidze, p. 626;
Rayfield, pp. 201-230;
Suny, pp. 45-49.

შემადგენლობაში სამცხეს ჩართვას თან ახლდა ისლამიზაცია და რელიგიურ ნიადაგზე აქტიური მიგრაციის შედეგად მკვიდრი მოსახლეობის ნაწილობრივი ჩანაცვლება. ადგილობრივ მცხოვრებთა 60%-მა, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ, ისლამი მიიღეს, იმ დროს, როცა მუსლიმანად გახდომაზე უარის მიქმელს მიგრაციის (უპირატესად იმერეთში) გარდა სხვა არჩევანი არ ჰქონდა. მალე ქრისტიანი ლტოლვილების მიერ დატოვებულ მიწებზე ოსმალთა კოლონიზატორები, უმეტესწილად თიურქული და ქურთული წარმოშობის მომთაბარეები დასახლდნენ.⁶⁶² მაგრამ დღესაც კი ქრისტიანული ეკლესიებისა და სამონასტრო კომპლექსების, ისეთების როგორცაა ოშკი, ხახული, იშხანი, ოთხთა ეკლესია და სხვები, ამ ტერიტორიების ქართულ წარსულს გვაგონებენ. XIX საუკუნის დასაწყისისთვის ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა თავგამოდებული მუსლიმანი და ლოიალური ოსმალთა ქვეშევრდომი იყო, რომლებიც თავიანთ თავს „კარგ თურქებად“ თვლიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს თავიანთი ქართული ან ნაწილობრივ ქართული წარმოშობა ჯერ კიდევ ახსოვდათ. პირველი მსოფლიო ომის მსვლელობაში კესკიმის, თორთუმისა და ისპირის თიბარების მოსახლეებმა არაორაზროვნად გააკეთეს თავიანთი მტრული განწყობის დემონსტრაცია რუსეთის იმპერიასთან, ასევე ქართველებსა და სომხებთან დამოკიდებულებაში.

ანტანტის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიების მიმართ

იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად დასაბუთებული იყო ისტორიული ან გეოგრაფიული თვალსაზრისით ტრაპიზონისა და ერზურუმის ვილაიეტების ტერიტორიის ნაწილზე საქართველოს პრეტენზია, ის მაინც უკიდურესად სკეპტიკურ რეაქციას იწვევდა ანტანტის ქვეყნების სამხედრო და პოლიტიკური ლიდერების მხრიდან, რომლებიც 1920 წლის ივნისის ბოლომდეც არ იყვნენ მზად, დათანხმებულიყვნენ თუნდაც რუსეთის სამი ყოფილი, ასევე პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქართული დელეგაციის ზემოთ მოხსენებულ მარტის მემორანდუმში მითითებული ოკრუგის – ბათუმის, ართვინისა და არტანის

⁶⁶² Rayfield, pp. 231-232;
Suny, p. 52.

საქართველოსთვის გადაცემას.⁶⁶³ მოკავშირეების ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ბათუმის საქართველოსთან შესაძლო მიერთებაზე გამოთქვა პოლკოვნიკმა პიერ შარდინიმ (კავკასიაში საფრანგეთის სამხედრო მისიის ყოფილმა მეთაურმა), რომელიც მიიჩნევდა, რომ „შემთხვევაში, თუ ქართველებს ბათუმის ანექსიისა და ბათუმ-არტაანის რკინიგზის შტოს კონტროლქვეშ ადების ნებას დართავენ, სომხეთს იქ თითოსაც არ გააყოფინებენ“.⁶⁶⁴ თუმცა 1920 წ. ივლისის დასაწყისში მოკავშირეები მაინც დათანხმდნენ საქართველოსთვის ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გადაცემას. რაც შეეხება ლაზისტანს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერები ერთხმად იზიარებდნენ რობერტ ვანსიტარტის (მაღალი თანამდებობის ბრიტანელი დიპლომატისა და გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის მომავალი მოადგილის) აზრს, რომელიც თვლიდა, რომ სომხეთის მიერ ლაზისტანის მოპოვება მისთვის ღირსეული კომპენსაცია იქნება საქართველოსგან ბათუმის ოკრუგის ანექსიის შემდეგ მის მიერ ბათუმში შავ ზღვაზე გასასვლელის „დაკარგვის“ გამო, ამ დროს კი ლაზები სომხეთის შემადგენლობაში „ეთნიკური უმრავლესობის უფლებების გარანტიით“ უნდა დაკმაყოფილდნენ.⁶⁶⁵ ლაზისტანზე საქართველოს პრეტენზიის წინააღმდეგ მეორე საფუძვლიანი არგუმენტი იყო ის ფაქტი, რომ თვითონ ლაზებს არასდროს არ გამოუთქვამთ ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნის სურვილი.⁶⁶⁶

ამ დავაში საქართველოს კონტრარგუმენტი კი იმაში მდგომარეობდა, რომ თუმცა ლაზისტანისა და კესკიმის, თორთუმისა და ისპირის თიმარების მოსახლეებს არ სურთ თურქეთისგან გამოყოფა, სანამ თურქეთი მყარად აკონტროლებს აღმოსავლეთ ანატოლიას, მათი სურვილი შეიძლება საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალოს, თუ ქართულ სახელმწიფოში მისი შესვლა სომხეთთან მიერთების ერთადერთი ალტერნატივა იქნება.⁶⁶⁷ მაგრამ ამ არგუმენტმა მოკავშირეების ლიდერების მხრიდან გაგება ვერ ჰპოვა, საქართველოს წარმომადგენლებმა კი სამ-

⁶⁶³ Авалов, в *цит. тр.*, с. 253-255;

Hovannisian, pp. 31-33 and 53-55.

⁶⁶⁴ Hovannisian, p. 55.

⁶⁶⁵ *Ibid.*, p. 55

⁶⁶⁶ Авалов, в *цит. тр.*, с. 255.

⁶⁶⁷ Авалов, с. 256.

შვიდობო კონფერენციაზე არამც თუ თურქეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერაში მონაწილეობის მიღებაში მიწვევა არ მიიღეს, არამედ ისინი სევრის კონფერენციაზე მონაწილეობაშიც კი არ დაუშვეს.

სევრის ხელშეკრულების დადების შედეგები

სომხეთს ამასთან არ აღმოაჩნდა მისთვის სევრის ხელშეკრულების პირობებით ოფიციალურად გადაცემული თურქული ტერიტორიების ფაქტიურად გაკონტროლების შესაძლებლობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ თურქეთის მხრიდან სევრის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს უკანასკნელი სულთნის (მეჰმედ VI) მთავრობის, რომელიც ამ მომენტისთვის, გარდა მოკავშირეების მიერ ოკუპირებულ კონსტანტინოპოლში რამდენიმე ადმინისტრაციული შენობისა, რეალურად არანაირ ტერიტორიას არ აკონტროლებდა, წარმომადგენლებმა. ამავე დროს სევრის ხელშეკრულების დებულებები კატეგორიულად უარყვეს თურქმა ნაციონალისტებმა, ასევე დიდმა ეროვნულმა კრებამ და ანკორაში (ანკარაში) ქემალ ათათურქის მიერ ჩამოყალიბებულმა ეროვნულმა მთავრობამ, რომელმაც თავი თურქეთის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად გამოაცხადა. 1920 წლის ბოლოსთვის თურქი ნაციონალისტები – ქემალისტები სტაბილურად აკონტროლებდნენ ანატოლიისა და დასავლეთ სომხეთის დიდ ნაწილს, სევრის ხელშეკრულების პირობებით სომხეთისთვის გადაცემული ტერიტორიების მუსლიმანური მოსახლეობა (თურქები, ქურთები და ლაზები) კი მზად იყო, მასობრივად აელო ხელში იარაღი ნებისმიერი ძალის, რომელიც იმ მიწების კონტროლქვეშ აღებას ეცდებოდა, რომლებსაც ეს ხალხები თავისად თვლიდნენ, წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

სევრის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ შექმნილი არასტაბილური სიტუაცია არ აკმაყოფილებდა არც სომხეთს, არც ქემალისტურ თურქეთს, რის შედეგადაც 1920 წლის სექტემბრის დასაწყისში გაჩაღდა სომხეთ-თურქეთის ომი. ომის პირველი ორი კვირის განმავლობაში სომხურმა შეიარაღებულმა ძალებმა მძიმე დამარცხებები განიცადეს, რამაც სომხეთი დაღუპვის პირას დააყენა. თურქები გამალებით უტევდნენ და სანამ ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში იჯდა და სომხეთის სახელმწიფოს ვირტუალურ რუკას ხაზავდა, მის შემადგენლობაში ერზურუმის, ვანისა და

ტრაპიზონის ჩათვლით, ყარაბეჟირ-ფაშას ჯარებმა წარმატებით დაიკავეს პენაკი⁶⁶⁸ და სარიყამიში, რამდენადმე მოგვიანებით – ყარსი და ალექსანდროპოლი...

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, სომხეთისა და საქართველოს მთავრობებს მათი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაზე მიმართული სამხედრო ალიანსის შექმნაზე მოლაპარაკება რომ შეძლებოდათ. 1920 წ. აგვისტოს შუა რიცხვებში საქართველოს მთავრობამ რამდენიმე დემარში გააკეთა ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანწილად ვიცე-პოლკოვნიკის კლოდ სტოქსის (რომელიც იმ დროს დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური იყო სამხრეთ კავკასიაში) გავლენით. მაგრამ ეს გეგმა არ შედგა (იხ. თავი 8).


სევრის ხელშეკრულების მნიშვნელობა საქართველოსთვის

სევრის ხელშეკრულების დებულებებმა ვერ დააკმაყოფილეს საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები. ეს „წარუმატებლობა“ სასარგებლო გამოდგა, რადგან იმ მომენტისთვის ლაზისტანში და კესკიმის, თორთუმისა და ისპირის თიმარებში ჰიპოთეტური ქართული ექსპანსია პირველ რესპუბლიკას მხოლოდ ახალ პრობლემებს მოუტანდა. აღწერილ პერიოდში საქართველოს უკვე ჰქონდა საკმარისი უსიამოვნებანი ეთნიკურ უმცირესობებთან. კიდევ რამდენიმე ასეულ ათასი მტრულად განწყობილი ქვეშევრდომის შეძენას მხოლოდ შინაგანი დაძაბულობის გაძლიერება და მდგომარეობის ასე თუ ისე სტაბილურობის მოშლა შეეძლო.

ამის მიუხედავად, ავალოვის აზრით, სევრის ხელშეკრულება ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის თუნდაც იმიტომ, რომ მითითებული ხელშეკრულების მუხ. 92-ში საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის მოხსენებული.⁶⁶⁹

⁶⁶⁸ პენაკი (პენეკი, ფანაქი) – სოფელი ერზურუმის ვილაიეთში, სადაც მდებარეობს ისტორიული სამხრეთ საქართველოს, ტაოს ძეგლი – ძეგლი ჭემმარიტის (ანუ ძელი ცხოვლის, იგივე წმ. ჯვრის) სახელობის საკათედრო ტაძარი – ზანა (Penek Kilisesi)


⁶⁶⁹ Авалов, с. 289-290.



ელეფთერიოს
ვენიზელოსი



ბერძნული მონასტერი
სუმელა ტრაპიზონთან



პონტოს ბერძნული სახელმწიფოს გეგმა



იზბანი – XI საუკუნის ქართული მონასტერი
(დაარსებულია VII ს.-ში)



წმ. იოანე განმანათლებლის ქართული ეკლესიის ნანგრევები ოშკში



ხახული – X საუკუნის ქართული მონასტერი (ამჟამად მეჩეთი)




ლაზების ჯგუფი




თურქი დელეგატები ხელს აწერენ სევრის ხელშეკრულებას



სევრის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ



THE SOUTH CAUCASUS AT THE TIME OF SIGNING THE TREATY OF SEVRES (10.VIII.1920)



საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარება (ტრიუმფი პირველი რესპუბლიკის დაცემის წინ)

როგორც უკვე ზემოთ იყო მოხსენებული, 1920 წლის აპრილის ბოლოს სანრემოში საქართველოსა და სომხეთის დიპლომატიურმა ფიასკომ და რამდენიმე დღით გვიან მომხდარმა აზერბაიჯანის დაცემამ სამხრეთ კავკასიის დე-ფაქტო დამოუკიდებელი ქვეყნების სერიოზული მხარდაჭერის იდეისადმი მოკავშირეების ინტერესის თითქმის სრული დაკარგვა გამოიწვია. სომხეთ-თურქეთის ომში (1920 წლის სექტემბერი-ნოემბერი) სომხეთის კატასტროფულმა დამარცხებამ, რამაც ქემალისტური თურქეთის მიერ ომამდელი სომხეთის ნახევრის ანექსია და სომხეთის რესპუბლიკის „ნარჩენების“ სოვეტიზაცია გამოიწვია, საქართველო დატოვა კავკასიაში ერთადერთ დამოუკიდებელ ქვეყნად, რომელიც თურქებსა და საბჭოებს შორის იყო ჩაჭერილი და საერთაშორისო საზოგადოებისთვის მცირე ინტერესს წარმოადგენდა. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უმრავლესობის რეალურ დამოკიდებულებას საქართველოს სახელმწიფოებრიობისადმი დემონსტრაცია გაუკეთდა 1920 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, როცა ერთა ლიგის ასამბლეამ უარყო საქართველოს განცხადება ამ ორგანიზაციაში მიღების შესახებ. ჩატარებული კენჭისყრის მსვლელობაში მხოლოდ 10-მა სახელმწიფომ მისცა ხმა ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას, 32-მა კი ან წინააღმდეგ მისცა ხმა, ან თავი შეიკავა.⁶⁷⁰

მიუხედავად ამისა, ორმოცი დღის შემდეგ საქართველოს დიპლომატიამ შეძლო მნიშვნელოვანი გამარჯვების მიღწევა. 1921 წლის 26 იანვარს მოკავშირეთა კონფერენციამ პარიზში დე-იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.⁶⁷¹ ამით საქართველო ერთ-ერთი გახდა ექვსი ქვეყნიდან, რომლებმაც პირველი მსოფლიო

⁶⁷⁰ Авалов, с. 294-300;

Kazemzadeh, pp. 274-275.

⁶⁷¹ Авалов, с. 309-311;

Kazemzadeh, p. 275.

ომის დასასრულს რუსეთისგან გამოყოფის შემდეგ ასეთი აღიარება მიიღეს.⁶⁷²


დე-იურე აღიარებას დიდი მორალური ეფექტი ჰქონდა ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ თავისი არსებობის ფაქტით აღიარებამ ვერ დაიცვა საქართველო საბჭოებისა და თურქეთის შემოჭრისგან, რაც 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო. ბედის პირქუში ირონიით იმ დღეს, როცა საფრანგეთში საქართველოს პირველი ელჩი აკაკი ჩხენკელი თავისი რწმუნების სიგელებს გადასცემდა პრეზიდენტის სასახლეში პარიზში,⁶⁷³ თვით საქართველოში ბოლომდე მივიდა გააფთრებული ბრძოლა ტფილისისთვის, მრავალგზისი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგესთან მეზრძოლ ქართულ ჯარს კი საქართველოს დედაქალაქის საბჭოების ხელში დატოვებით უკან დახევა ებრძანა.⁶⁷⁴ ომი, რომლის მსვლელობაშიც მხოლოდ საფრანგეთმა აღმოუჩინა საქართველოს ერთგვარი სამხედრო დახმარება, გაგრძელდა 1921 წლის 17 მარტამდე, როცა საბჭოებისა და ქემალისტების მიერ დაპყრობილი ტერიტორიის 90%-ის დაკარგვის შემდეგ საქართველოს ეროვნული მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა ათასობით ჯარისკაცსა და სამოქალაქო ლტოლვილთან ერთად საფრანგეთისა და იტალიის გემებზე ავიდნენ, განდევნილობაში რომ გამგზავრებულიყვნენ. სამი დღის შემდეგ ტფილისში „რევოლუციური კომიტეტის“ დეკრეტით საქართველოს პარლამენტი დაიშალა. ასე რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შეწყდა შემდგომი სამოცდაათი წლით.

⁶⁷² ესტონეთმა და ლატვიამ დე-იურე აღიარება იმავე დღეს მიიღეს, როგორც საქართველომ, ფინეთი და პოლონეთი ოფიციალურად უფრო ადრე აღიარეს, ლიტვის დამოუკიდებლობა დე-იურე აღიარეს რამდენადმე გვიან, 1921 წლის ბოლოს.

⁶⁷³ 1921 წ. 25 თებერვალი.

⁶⁷⁴ Авалов, с. 312;

Kazemzadeh, p. 275.



GEORGIA ON THE DAY OF HER DE-JURE RECOGNITION (January 26, 1921)



საქართველო და პოლონეთი: ალიანსი, რომელიც არ შედგა

წინა თავების შინაარსიდან ვხედავთ, რომ 1918 და 1921 წლებს შორის საქართველოს, ვაი, რომ არ ჰქონდა ალტაცების რაიმე საფუძველი რეალური მოკავშირეების არსებობის გამო, რომლებსაც უნარი ექნებოდათ და მზად იქნებოდნენ დამოუკიდებლობის გამყარებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში მოქმედი დახმარების აღმოსაჩენად. მაგრამ იყო ერთი პოტენციური პარტნიორი – პოლონეთი, რომელიც სავსებით მზად იყო პერსპექტივაში აღდგენილი ქართული სახელმწიფოს ასე თუ ისე საიმედო სამხედრო და პოლიტიკური მოკავშირე გამხდარიყო. საქართველოს რესპუბლიკისადმი პოლონელი ლიდერების სიმპათია, შესაძლოა, იმით იყო ნაკარნახევი, რომ მითითებული პერიოდის განმავლობაში ორივე ერთი იძულებული იყო, ერთობ მსგავსი სტრატეგიული პრობლემები გადაეწყვიტა: საქართველოს სუვერენიტეტს რუსეთისა და თურქეთის მხრიდან ემუქრებოდა საფრთხე, პოლონეთი კი რუსეთსა და გერმანიასთან იმყოფებოდა მწვავე კონფლიქტში.

აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ პოლონელები და ქართველები ერთმანეთთან კავშირს ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ XV საუკუნეში ეძებდნენ, როცა ქართველმა მეფემ კონსტანტინე II რეჩ პოსპოლიტაში ელჩობა გაგზავნა ლიტვის დიდ მთავარ ალექსანდრ I იაგელონთან მოლაპარაკების ჩასატარებლად.⁶⁷⁵ XVII საუკუნის დასასრულს პოლონეთის მეფემ იან III სობესკიმ საქართველოში სპეციალური მისია გაგზავნა ქართული წარმოშობის გამოცდილი პოლონელი დიპლომატის ბოგდან გურჯიციკის მეთაურობით.⁶⁷⁶ მაგრამ პოლონეთსა და საქართველოს შორის დაახლოების პროცესი შეწყდა XVIII საუკუნის დასასრულს – XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ორივე ქვეყანა უფრო ძლიერმა

⁶⁷⁵ Magdalena Włodarczyk, "Stosunki polsko-gruzińskie w latach 1918-1921", *Świat Idei i Polityki*, Vol. 15, 2016, pp. 454-455.

⁶⁷⁶ Włodarczyk, *Op. cit.*, p. 455.

მეზობლებმა გაიყვეს, მათი ტერიტორიების დიდ ნაწილს კი რუსეთის იმპერიამ გაუკეთა ანექსია.

პირველი მსოფლიო ომის ბოლოს პოლონეთ-საქართველოს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში დაიწყო 1918 წლის თებერვალში, როცა საქართველო (იმ მომენტში ნახევრად დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ნაწილი) ოტომანთა არმიის შემოჭრის პირისპირ აღმოჩნდა. დამპყრობლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა ძირითადად ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბებულმა ქართულმა, სომხურმა და პონტოელი ბერძნების ნაწილებმა გაუწიეს. იმავე დროს ამიერკავკასიაში რუსეთის კავკასიის დაშლილი არმიის პოლონელი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისგან პოლკოვნიკ სტანისლავ როსნოვსკის მეთაურობით შეიქმნა მოხალისეთა განსაკუთრებული ნაწილი – ცალკე პოლონური ბრიგადა კავკასიაში (*Polska Oddzielna Brygada na Kaukazie*).



კავკასიაში ცალკე პოლონური ბრიგადის სამკერდე ნიშანი

პირველი მსოფლიო ომის ბოლო თვეების განმავლობაში დასახელებული ბრიგადა ძირითადად ტფილისში – დამოუკიდებელი საქართველოს მომავალ დედაქალაქში კანონიერებისა და წესრიგის დაცვაზე აგებდა პასუხს.⁶⁷⁷ ტფილისში პოლიტიკური არასტაბი-

⁶⁷⁷ Henryk Bagiński, *Wojsko Polskie na Wschodzie: 1914-1920* (Warszawa, 921), pp. 167 and 411-416.

Zofia Lech. "Kaukaska brygada wojsk polskich", *Wojskowy Przegląd Historyczny*. R.33 (VII-IX 1988) Nr 3, pp. 169-175.

Wojciech Materski, "Polsko-gruziński sojusz wojskowy", *Polityka*, Nr. 2, 29.10.2008, p. 69.

Dyboski, R., Halecki, O., Penson, J.H., Reddaway, W.F. *The Cambridge History of Poland, Vol.II* (London, 1951), p. 475.

ლურობისა და ბოლშევიკური გადატრიალების მუქარის გარემოებაში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ადრეულ სტადიაზე დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში პოლონურმა ბრიგადამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

1918 წ. 26 მაისს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ოფიციალურ გამოცხადებასა და ორი დღის შემდეგ ქ. ფოთში გერმანია-საქართველოს ხელშეკრულების დადებას (იხ. თავი 3) გერმანიისგან საქართველოს ოკუპაცია მოჰყვა.⁶⁷⁸ 1918 წ. ივნისში ტფილისში გერმანული სარდლობის ზეწოლით საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, გამოეცა ბრძანება პოლონური ბრიგადის დაშლის შესახებ. მთელი მისი პირადი შემადგენლობა იძულებული იყო, სამხედრო ფორმა სამოქალაქო ტანსაცმლით შეეცვალა და ოდესაში ორგანიზებულად გადადისლოცირება მოეხდინა. ამასთან ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის საბრძოლო იარაღი არ ჩამოურთმევიათ, ტრანსპორტისა და სხვა ფინანსური ხარჯები საქართველოს მთავრობამ თავის თავზე აიღო. მოკლე დროში დასახელებული ბრიგადის თითქმის ყველა ეს მებრძოლი გენერალ ლუციან ჟელიგოვსკის მეთაურობით მსროლელთა მე-4-ე პოლონური დივიზიის რიგებში შევიდა.⁶⁷⁹ დაახლოებით წლინახევრის შემდეგ საქართველოს მთავრობამ უარი თქვა პოლონეთის ლიდერის იუზეფ პილსუდსკის მიერ ცალკე პოლონური ბრიგადის შენახვასა და მის ოდესაში გაგზავნაზე გაღებული დანახარჯებისთვის შეთავაზებული კომპენსაციის მიღებაზე, ამგვარად აჩვენა 1918 წ. დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბებაში პოლონელ სამხედრო მოსამსახურეთა როლის მაღალი შეფასება.⁶⁸⁰

როსნოვსკის ბრიგადის ევაკუაციის შემდეგ პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის განვითარება გრძელდებოდა, თანდათან იღებდა სულ უფრო მეტ ოფიციალურ ხასიათს. 1918 წ. ზაფხულის ბოლოს ვარშავიდან ტფილისში პოლონეთის რეგენტთა

⁶⁷⁸ იმავე წლის მაისის დასაწყისსა და შუა რიცხვებში ოტომანთა იმპერიის მიერ დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიების გამორიცხვით.

⁶⁷⁹ Bagiński, p. 416.

Wojciech Materski, *Georgia rediviva: Republika Gruzjińska w stosunkach międzynarodowych 1918-1921* (Warszawa, 1994), pp. 66-67;

Reddaway, Penson, Halecki, Dyboski, p. 475.

Włodarczyk, p. 463.

⁶⁸⁰ Włodarczyk, p. 463.

საბჭოს წარმომადგენლობა ჩამოვიდა⁶⁸¹ ვაცლავ ოსტროვსკის მეთაურობით, რომელმაც თავის თავზე აიღო კავკასიაში პოლონეთის კონსულის მოვალეობა ტფილისში რეზიდენციით და ბაქოში, ბათუმსა და კიდეც საქართველოს რამდენიმე ქალაქში ვიცე-საკონსულოებით. დასაწყისში ოსტროვსკის მისიის ძირითადი ამოცანა საქართველოში მცხოვრები პოლონელების რეპატრაციის ორგანიზაციასა და პოლონურ არმიაში მოხალისეთა აყვანაზე დადიოდა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ პირველი რესპუბლიკის მთელი მოკლე ისტორიის განმავლობაში ქართულ არმიაში პოლონელებისა და პოლონური წარმოშობის პირთა გარკვეული რაოდენობა მსახურობდა და არმიის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა. პოლონურ ჯარში ასევე მსახურობდა რამდენიმე ქართველი, რომელთა შორის ყველაზე მეტად ცნობილია „მამაცთა ჯვრით“ (*Krzyż Walecznych*) დაჯილდოებული პორუჩიკის ალექსანდრე ტაბიძის სახელი.⁶⁸²

1918 წლის ნოემბერში მეორე რეზ პოსპოლიტას გამოცხადებით სიტუაცია შეიცვალა და ორმხრივმა დამოკიდებულებამ უფრო ოფიციალური ხასიათის შექმნა დაიწყო. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოსტროვსკის უფლებამოსილებების დამტკიცებითა და გაფართოებით სანქცია მისცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორთან მის მოლაპარაკებებს, რომელთა მსვლელობაში ორივე რესპუბლიკის პოლიტიკური თანამშრომლობის პერსპექტივა დაისახა.⁶⁸³ ამ მოლაპარაკების ერთ-ერთი შედეგი იყო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება პოლონეთში გიორგი სიდამონ-ერისთავის მეთაურობით დიპლომატიური მისიის გაგზავნაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ წრეებს პოლონეთთან პარტნიორული დამოკიდებულების მაღალი შეფასების საკმარისზე მეტი საფუძველი ჰქონდათ. რასაკვირველია, პოლონეთი არ იყო ისეთი მძლავრი დიდი სახელმწიფო, როგორც

⁶⁸¹ აღწერილ ისტორიულ მომენტში პოლონეთი ჯერ რესპუბლიკა არ იყო. 1916 წლის 5 ნოემბერს ვარშავაში გერმანულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ გამოაცხადა პოლონეთის სამეფო, რომელმაც ორი წელი იარსება (1918 წლის ნოემბრის დასაწყისამდე) და მას რეგენტთა საბჭო მართავდა.

⁶⁸² Włodarczyk, pp. 463-464

⁶⁸³ W. Materski, "Gruzja i wielkie mocarstwa (1919-1921)", *Studia z Dziejów ZSRR i Europy Środkowej*, Vol. 25 (1990), pp. 76-77.

Włodarczyk, pp. 464-465.

„ძირითადი გამარჯვებული ქვეყნები“ – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი ან აშშ, და ქართველებისთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობანი მას შეუდარებლად ნაკლები ჰქონდა. მაგრამ თუკი საქართველოს წარმომადგენლები „მსოფლიოს ბედის გამგებლებს“ მიმართავდნენ როგორც მთხოვნელები, რომლებსაც „მოწყალედ“ ღებულობდნენ და ამასთან „მათთვის მათი ადგილის მითითება“ არ ავიწყდებოდათ, პოლონეთის მთავრობა ორმხრივი დამოკიდებულების დამყარებასა და განვითარებისას თვითონ ამჟღავნებდა ინიციატივას. გარდა ამისა, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკური ლიდერები თავდაპირველად რომანოვების სახლის ყოფილი სამფლობელოების ტერიტორიული მთლიანობისა და დაუნაწილებლობის მომხრეები იყვნენ, ბოლშევიზმი მოკლე ხნის მოვლენად მიაჩნდათ, მაგრამ როცა იმპერიის მომხდარი დაშლის გამო ამ მიდგომის მცდარობა ცხადი გახდა, დაეშურნენ მერყევი სტატუს-კვოს შენარჩუნებასა და კონფლიქტების, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვდნენ, „გაყინვას“, ყველა ჩარეული მხარის დაუკმაყოფილებლობისა და იმედის გაცრუების გამოწვევით. ახალი სახელმწიფო წარმონაქმნების დე-ფაქტო აღიარების დროსაც კი დასავლეთის მთავრობები ცდილობდნენ, მათთან განევითარებინათ მხოლოდ ეკონომიკური დამოკიდებულება, რომელიც ამასთან შორს იყო თანაბარუფლებიანისგან, რადგან ეს ახალი სახელმწიფოები უპირველესად იაფი ნედლეულის წყაროდ განიხილებოდნენ.⁶⁸⁴ იმავე დროს პოლონეთის ხელმძღვანელობაში პრევალირებდა აზრი, რომლის თანახმად ისეთი სახელმწიფოების, როგორც საქართველოა, დამოუკიდებლობის გამყარება მთლიანად პასუხობს პოლონეთის სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, რასთან დაკავშირებითაც პოლონეთმა ამ ქვეყნებს მაქსიმალური და ყოველმხრივი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს.

აქ ასევე საჭიროა მარშალ იუზეფ პილსუდსკის, რომელსაც 1918 წლის 11 ნოემბრიდან 1922 წლის 9 დეკემბრამდე პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურისა და პოლონეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტი ეკავა, პირადი გეგმის მოხსენიება. ეს გეგმა, ცნობილი, როგორც „ზღვათაშორისი“ (Intermarium), გულისხმობდა სამხედრო და პოლიტიკური ბლოკის შექმნას სახელმწიფოებისგან,

⁶⁸⁴ Wojciech Materski, "Polsko-gruziński sojusz wojskowy", *Polityka*, Nr. 2, 29.10.2008, p. 69;

Włodarczyk, p. 467.

რომელთა ტერიტორია ადრე პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოში შედიოდა (პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, ბელარუსი და ლატვია), მათი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და რუსეთის (როგორც „წითელი“, ისე „თეთრი“) და გერმანიის მხრიდან კოლექტიური აგრესიის ერთობლივი დაპირისპირების მიზნით.⁶⁸⁵ საქართველოს მდგომარეობისა და რუსეთის მხრიდან მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე მუდმივი მუქარის მხედველობაში მიღებით პილსუდსკი გონივრულად მიიჩნევდა თავის გეგმაში მის ჩართვას, სხვა ქვეყნებთან ერთად, რომელთაგან უმეტესობა თავის დროზე მთლიანად ან ნაწილობრივ იყო დაპყრობილი რუსეთის მიერ.⁶⁸⁶ მთელი მისი პრაგმატიზმის მიუხედავად „ზღვათაშორის“ გეგმას გარკვეული უნდობლობით შეხვდნენ ლიტვასა და უკრაინაში, სადაც ნაციონალისტურად განწყობილ საზოგადოებას ეშინოდა, რომ მისი რეალიზაცია მათ პოლონეთისგან მეტისმეტად დიდ დამოკიდებულებაში ჩააყენებდა. მაგრამ საქართველოში ის შიშს არ იწვევდა, რამდენადაც საქართველო საკმაოდ დამორბეული იყო პოლონეთის საზღვრებს და პოლონეთთან ტერიტორიული დავა არ ჰქონდა, ამასთან მწვავედ ჭირდებოდა რეალური და სა-იმედო მოკავშირე რუსეთის წინააღმდეგ და, შესაძლოა, ასევე თურქეთის წინააღმდეგ.

აზრი ანტიბოლშევიკური სამხედრო კავშირის, რომელშიც ჩაერთვებოდნენ პოლონეთი, რუმინეთი, ფინეთი, ასევე ბალტიისა და ამიერკავკასიის ქვეყნები, მიზანშეწონილობაზე 1920 წლის 17 იანვარს გამოითქვა პარიზში საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს (*Conseil Supérieur de la Guerre*) წევრის, მარშალ ფერდინანდ ფომის პირით ანტანტის სახელმწიფოების პრემიერ-მინისტრების სამხედრო ექსპერტებთან ერთობლივ კონფერენციაზე, სადაც საქართველოსა და პოლონეთის წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეული.⁶⁸⁷ ამ განცხადებიდან ორი თვის შემდეგ პოლონეთის

⁶⁸⁵ Jonathan Levy, *The Intermarium: Wilson, Madison, & East Central European Federalism* (Boca Raton, 2007), pp. 166-167;

Matersky, *Op.cit.*

Joshua B. Spero, *Bridging the European divide: middle power politics and regional security dilemmas* (Oxford, 2004), p. 36.

⁶⁸⁶ „ზღვათაშორის“ გეგმას ასევე განზრახული ჰქონდა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ისეთი ქვეყნების როგორცაა ესტონეთი, ფინეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია და, შესაძლოა, აზერბაიჯანისა და სომხეთის ჩართვა.

⁶⁸⁷ Кадишев, с. 227.

მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა საქართველოსთან ასეთი კავშირის შექმნის მიმართულებით. ასე, 1920 წლის 24 მარტს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტანისლავ პატეკმა საქართველოს მთავრობას ტელეგრაფით გაუგზავნა საელჩოების გაცვლისა და უფრო მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის დაწყების წინადადება. მითითებულ წინადადებას საქართველოში ფრიად და ფრიად მოწონებით შეხვდნენ.⁶⁸⁸ ეს სავსებით აიხსნება უადრესად სერიოზული სიტუაციით, რომელშიც იმ მომენტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმყოფებოდა.

მალე ტფილისში ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის სპეციალური მისია მარშალ პილსუდსკის ნდობით აღჭურვილი პირისა და მრჩევლის, დიპლომატისა და მწერლის ტიტუს ფილიპოვიჩის მეთაურობით. ამ ვიზიტის მსვლელობაში მისიის წევრებმა საქართველოს მთავრობასთან ერთად განიხილეს პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობები, ასევე მოხაზეს საქართველოსა და პოლონეთს შორის სათავდაცვო კავშირის ხელშეკრულების ტექსტი. მიაღწიეს ასევე ქართული არმიისთვის შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით დაუყოვნებლივ დახმარებაზე მორიგებას. ტფილისში მოლაპარაკებებს ასევე ესწრებოდა მაშინ ჯერ კიდევ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ფატალი-ხან ხოსკი, რომელმაც ფილიპოვიჩი ბაქოში მიიწვია პოლონეთსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობის განხილვისთვის. ფილიპოვიჩმა მიიღო მიწვევა და აზერბაიჯანში მოკლე ხნით ვიზიტი იმ ვარაუდით დაგეგმა, რომ ტფილისში მისი არყოფნის დროს საქართველო-პოლონეთის ხელშეკრულების ტექსტი მომზადდებოდა ხელმოწერისა და რატიფიკაციისთვის. პოლონეთის დელეგაციის ზოგიერთი წევრიც ფიქრობდა, რომ ხელშეკრულებაზე ხელი არ უნდა მოეწერათ დელეგაციის შემადგენლობაში ატამეს არყოფნის გამო.⁶⁸⁹

⁶⁸⁸ Wojciech Materski, "Polsko-gruziński sojusz wojskowy", *Polityka*, Nr. 2, 29.10.2008, p. 69;

Wojciech Materski, "Gruzja i wielkie mocarstwa (1919-1921)", *Studia z Dziejów ZSRR i Europy Środkowej*, Vol. 25 (1990), pp. 76-78;

Włodarczyk, pp. 466-467.

⁶⁸⁹ Materski, *Op. cit.*;

ეს დაყოვნება საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ფილიპოვიჩის მისიის ბაქოში ჩასვლის რამდენიმე დღის შემდეგ 1918 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის დედაქალაქში მე-11-ე არმიის ნაწილები შევიდნენ და აზერბაიჯანის რესპუბლიკა დაეცა.⁶⁹⁰ როგორც საბჭოთა რუსეთთან ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის წარმომადგენლები, პოლონეთის მისიის წევრები ფილიპოვიჩის ჩათვლით დააპატიმრეს და ბაილოვის ციხეში ჩასვეს. მოგვიანებით აქედან ისინი მოსკოვში გადაიყვანეს, სადაც ЧК-ს სარდაფებში ჰყავდათ საბჭოებისა და პოლონეთის ომის დამთავრებამდე. ყველა ამ მოვლენის შედეგად პოლონეთ-საქართველოს სათავდაცვო ხელშეკრულების ხელმოწერა და რატიფიკაცია გაურკვეველი დროით გადაიდო, ერთ წელზე ნაკლებ დროში, 1921 წლის თებერვალ-მარტში კი საბჭოებისა და საქართველოს ომის მსვლელობაში საქართველო საბჭოთა და თურქულმა ჯარებმა დაიპყრეს. ამჯერად პოლონეთმა საქართველოს უშუალო სამხედრო დახმარება ვერ აღმოუჩინა, მაგრამ ყურადღებით თუ დავაკვირდებით, ფრიად საინტერესოდ წარმოგვიდგება ის ფაქტი, რომ რსფსრ-სა და პოლონეთს შორის რიგის საზავო ხელშეკრულებას მხოლოდ 1921 წლის 18 მარტს, – საქართველოს ოფიციალური კაპიტულაციის 4 დღის შემდეგ და ბათუმიდან საქართველოს მთავრობისა და სამხედრო სარდლობის ევაკუაციის მეორე დღეს მოაწერეს ხელი.

სოვეტიზაციის შემდეგ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ პოლონეთმა თავშესაფარი მისცა მრავალ ქართველ ლტოლვილს, რომლებიც პოლონურმა საზოგადოებამ „მთლიანად და ულაპარაკოდ“ მიიღო.⁶⁹¹ ქართული არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა მთელი რიგი მიიღეს პოლონეთის შეიარაღებულ ძალებში, მათ შორის გენერლები ზაქარია ბაქრაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ივანე ყაზბეგი, ალექსანდრე კონიაშვილი;

Włodarczyk, pp. 467-468.

⁶⁹⁰ Materski, *Op. cit.*;

Włodarczyk, p. 468.

⁶⁹¹ Dmitri Shalikhshvili, "Poland, Part I", *The Sarmatian Review*, January 1995, Volume XV, Number 1.

ვიქტორ ლომიძე (პოლონეთის ეროვნული გვარდიის როტმისტრი), გიორგი მამალაძე, დიმიტრი შალიკაშვილი, ვალერიან თევზაძე.⁶⁹² პოლონეთის ხელისუფლებამ საუკეთესო პირობები შეუქმნა ლტოლვილებს. იუნკრები⁶⁹³ სამხედრო სკოლაში ჩარიცხეს და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოფიცრის წოდებით სხვადასხვა პოლკებში მიავლინეს. ქართველმა მეომრებმა არ მიიღეს პოლონეთის მოქალაქეობა, რადგან სამშობლოში დაბრუნების იმედი ჰქონდათ, პოლონეთის არმიაში კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდნენ; მოქალაქეობის არქონის გამო მაღალ თანამდებობებზე ვერ ნიშნავდნენ, მაგრამ სამხედრო წოდებებს ისევე უმატებდნენ, როგორც თვით პოლონელ ოფიცრებს.

1939 წ. 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად პოლონეთის არმია მალე დამარცხდა. ქართველ ოფიცრებს მობილიზაცია არ შეხებიათ, ისინი საკუთარი ინიციატივით ჩაებნენ ბრძოლაში. პოლონეთის არმიისა და სამხედრო ფლოტის სამსახურში შესულმა თითქმის ყველა ქართველმა ოფიცერმა გამოჩენილი მამაცობისთვის უმაღლესი ჯილდო მიიღო. რამდენიმე, მათ შორის გენერალი ა. ჩხეიძე, მაიორი გ. მამალაძე, კაპიტნები არკადი სხირტლაძე და მიხეილ რუსიაშვილი 1939 წლის შემოდგომაზე საბჭოელების ტყვეობაში აღმოჩნდნენ და თავიანთ პოლონელ ამხანაგებთან ერთად კატინში დახვრიტეს. დახვრეტილებს ტყვია უკნიდან, კეფაში ჰქონდათ მოხვედრილი.

⁶⁹² Andriy Rukkas, « Georgian Servicemen in the Polish Armed Forces (1922-1939)», *The Journal of Slavic Military Studies*, 1556-3006, Volume 14, Issue 3, pp. 93-106;

Shalikhshvili, *Op. cit.*

⁶⁹³ იუნკერი [გერმ. «Junker» შუაზემოგერმანულ *Juncherre*-დან – ბატონიშვილი; გერმანელი (ვიწრო გაგებით – პრუსიელი) მემამულე; საერთო გაგებით – მიწათმფობელთა წოდების წარმომადგენელი] – აქ: რუსეთის იმპერიაში 1864 წლიდან სამხედრო და იუნკერთა სკოლების აღსაზრდელები.



ალექსანდრ იაგელონჩიკი
(ლიტვის დიდი მთავარი
და პოლონეთის მეფე)




კონსტანტინე II
(საქართველოს მეფე)



იან III სობესკი (პოლონეთის მეფე და ლიტვის დიდი მთავარი)
თურქებთან ძღვევამოსილი ბრძოლის დროს ვენასთან (1683)

Georgia and Poland-Lithuania ca. 1490 - 1505





პოლონეთის მარშალი იუზეფ კლემენს პილსუდსკი



მარშალი ფერდინანდ ფოში



სტანისლავ პატეკი



გიორგი სიდამონ-ერისთავი




ტიტუს ფილიპოვიჩი



ქართველი ოფიცრების ჯგუფი პოლონეთის სამსახურში (1921)

Georgia and Poland

31.III.1920 - 01.II.1921



- 1 Crimea controlled by Russian Army of General Wrangel
- 2 Zanghezur controlled by Armenian army of General Nzhdeh
- 3 Part of Daghestan controlled by anti-Soviet rebels

- By 25.V.1920
- By 01.XII.1920
- By 09.VI.1920
- By 10.VIII.1920
- By 12.X.1920

- Poland by 31.III.1920
- Georgia by 31.III.1920
- Soviet Russia by 31.III.1920
- Incl. Terr. Temporary lost to the Russian Army of General Wrangel (VI-X.1920)
- Soviet conquests in the Crimea and Caucasus
- Soviet-Georgian military conflict (01 - 18.V.1920)
- Soviet-Polish frontline



გენერალი ალექსანდრე ჩხვიძე (დახვრიტეს კატინში)



მაიორი გიორგი მამალაძე
(დახვრიტეს კატინში)



კაპიტანი არკადი სხირტლაძე
(დახვრიტეს კატინში)



ლეიტენანტი
ალექსანდრე ტაბიძე



პოლონური სამხედრო
ორდენი „მამაცთა ჯვარი“



ვიცე-პოლკოვნიკი დიმიტრი შალიკაშვილი მეუღლე
მარიასთან (დაბ. გრაფინია რიუდიგერ-ბელიაევა) ერთად

მოსკოვის (16.03.1921) და ყარსის (13.10.1921) ხელშეკრულებები

საბჭოებისა და საქართველოს ომის დაწყება

1921 წლის თებერვალში საქართველოში წითელი არმიის შეჭრა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოებისა და პოლონეთის ფრონტზე ძირითადი საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის (1920 წ. ოქტომბერი), ყირიმში გენერალ პ. ვრანგელის რუსული არმიის განადგურების (1920 წ. 16 ნოემბერი) და დამოუკიდებელი სომხეთის დაცემის (1920 წ. 2 დეკემბერი) შემდეგ.

რუსეთის საიმპერატორო არმიის ყოფილმა ოფიცერმა, PKKA-ს⁶⁹⁴ მე-11-ე არმიის მეთაურის თანამდებობაზე ლევანდოვსკის შემცვლელმა ანატოლი გეკერმა ჯერ კიდევ 1920 წლის 3 დეკემბერს დაიწყო საქართველოზე თავდასხმის დეტალური გეგმის დამუშავება. 18 დეკემბერს, ორჯონიკიძესთან ერთად ამ გეგმის განხილვისას გეკერმა გამოთქვა შიში, რომ მე-11-ე არმიის მე-9-ე და მე-2-ე ცხენოსანთა არმიის ნაწილებით გაძლიერების შემთხვევაშიც საქართველოს წინააღმდეგ ომი ქემალისტური თურქეთის ჯარების მიერ საბჭოების შეტევის მხარდაჭერის გარეშე შეიძლება მარცხიანი აღმოჩნდეს. თუ კავკასიის საბჭოთა ფრონტის საომარ ოპერაციებს თან მოჰყვება თურქეთის ჯარების მოქმედება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებიდან, მაშინ გეკერის მტკიცებით მე-11-ე არმია საქართველოს სრულ ოკუპაციას ექვსი კვირის განმავლობაში შეძლებდა.⁶⁹⁵ 1921 წლის დასაწყისისთვის კავბიუროსა და ქემალისტურ სარდლობას შორის მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის შესაბამისად კრემლი აღიარებდა ახლახან დამთავრებულ სომხეთ-თურქეთის ომში თურქების ტერიტორიულ მონაპოვარს და

⁶⁹⁴ ეგრეთ წოდებული „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის“ («Рабоче-крестьянская Красная Армия») სახელწოდების აბრევიატურა.

⁶⁹⁵ Erickson, p. 123.

ქემალისტებს პირდებოდა დამატებით დათმობებს, ახლა უკვე საქართველოს ხარჯზე.

1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა წითელი არმია მოსკოვიდან მითითებით საქართველოში შეიჭრა. აგრესიის ამ აქტს, რომელიც მიმართული იყო სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ საბჭოებისა და საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევით, მოგვიანებით საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში ინტერპრეტაცია გაუკეთდა როგორც რეაქციას გამოგონილ და საქართველოსთვის მიწერილ მოქმედებებზე, ისეთებზე როგორცაა დაღესტანში ანტისაბჭოთა მოძრაობის პარტიზანული მხარდაჭერა, რეპრესიები ადგილობრივი ბოლშევიკების წინააღმდეგ, საბჭოთა სომხეთის ეკონომიკური ბლოკადა, ასევე როგორც რუსეთის „პასუხს საქართველოს აჯანყებული მშრომელი ხალხისგან მოსულ დახმარების თხოვნაზე“ (საქართველოზე მასირებულ თავდასხმას წინ უძღოდა საბჭოთა რუსეთის მიერ ორგანიზებული „სახალხო აჯანყება“ უპირატესად სომხებით დასახლებულ ბორჩალოს მაზრაში).⁶⁹⁶ ახალი ომისთვის სხვა ანმთები გახდა შეჯახებების სერია ზაქათალის ოკრუგში, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველო და საბჭოთა აზერბაიჯანი.

საბჭოთა წითელი არმია საქართველოს ჯარზე მნიშვნელოვან რიცხოვნობაზე უპირატესობას ფლობდა. 1921 წლის დასაწყისისთვის PKKA-ს კომბინირებული ძალები შეიცავდნენ მე-11-ე და მე-9-ე არმიებს, 98-ე მსროლელთა ბრიგადას, სომხების საბჭოთა ცხენოსან ბრიგადას და ბაქოს წითელ ბრიგადას 40.000 გამოცდილი მებრძოლის (მათ შორის 4.300 ცხენოსნის) საერთო რაოდენობით და შეიარაღებაში ჰქონდათ 196 საარტილერიო ქვემეხი, 1065 ტყვიამფრქვევი, 50 თვითმფრინავი, 7 ჯავშანმატარებელი, 4 ტანკი და თორმეტიოდე ჯავშანავტომობილი. შემოსევის ზემოთ ჩამოთვლილი ძალების საწინააღმდეგოდ საქართველოს შეეძლო გამოეყვანა მხოლოდ რეგულარული არმიის 11.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, სახელდობრ: 1-ლი და მე-2-ე მსროლელი დივიზიები, სამთო არტილერიის დივიზია, სოხუმის 1-ლი სასაზღვრო პოლკი და მე-2-ე სასაზღვრო პოლკი. რეგულარული არმია გაძლიერებული იყო ეროვნული გვარდიის თორმეტიოდე ბატალიონით, მაგრამ

⁶⁹⁶ Arnold Beichman, *Soviet Treaty Diplomacy from Lenin to Gorbachev* (London, 1991), pp. 165-167.

უკანასკნელნი არსებითად მილიციის ტიპის ნაწილები იყვნენ, რომელთა პირად შემადგენლობას არ ჰქონდა საკმარისი სამხედრო მომზადება და არ ჰყავდა კვალიფიციური სამეთაურო შემადგენლობა, არც მაღალი დისციპლინით გამოირჩეოდა. ქართულ სათავდაცვო ძალებს ჰქონდათ 46 საარტილერიო ქვემეხი, რამდენიმე ასეული ტყვიამფრქვევი (ზუსტი რაოდენობა ცნობილი არაა), 4 ჯავშანმატარებელი, რამდენიმე ტანკი და ჯავშანავტომობილი (ზუსტი რაოდენობა ცნობილი არაა). ამის გარდა, ქართულ არმიაში თითქმის არ იყო კავალერია (სულ 400 მხედარი), თუმცა მთიან ადგილზე კავალერია ფრიად სასარგებლო შეიძლება ყოფილიყო. საქართველოს ასევე ჰქონდა, წითელი არმიის განკარგულებაში მყოფთან შედარებით, ბევრად უფრო მაღალი ხარისხით გამორჩეული რამდენიმე უახლესი საბრძოლო თვითმფრინავი, მაგრამ აუცილებელი მაღალხარისხიანი საპოზი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების, რომლების შექმნაზეც საქართველოს მთავრობამ უარი თქვა, ქართველმა მფრინავებმა ვერ შეძლეს თავისი ტექნიკური უპირატესობის სრული რეალიზება.⁶⁹⁷

მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში ქართველების შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი და ტფილისს მიუახლოვდნენ. 18 თებერვლის ადრე დილით კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდალმა ვლადიმირ გიტისმა გასცა ბრძანება, რომელიც ყველა სამხედრო ოპერაციის ფორსირებას და მე-11-ე არმიის მიერ ტფილისის, სურამისა და ბორჯომის დაკავებას, ერთდროულად ჯგუფ „თერგის“ მიერ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით დუშეთის მაზრის დაპყრობას მოითხოვდა. მე-11-ე არმიის ოპერაციებს თან უნდა ხლებოდა საქართველოს საზღვრის „დალუქვა“ დაღესტანთან, სადაც პარტიზანული ომი გრძელდებოდა. იმავდროულად სოჭის ოკრუგში დისლოცირებულ მე-9-ე არმიას ებრძანა აფხაზეთში გაგრისა და სოხუმის დაპყრობა პრობოლშევიკი აფხაზი ამბოხებულების ხელის შეწყობით, ვისი გამოსვლაც ასევე საბჭოთა რუსეთიდან იყო ორგანიზებული.

⁶⁹⁷ Andrew Andersen and George Partskhaladze, "La guerre soviéto-géorgienne et la soviétisation de la Géorgie (février-mars 1921)", *Revue historique des armées*, Issue 254, 2009, pp.67-75;

Квиниатадзе, с. 303.

25 თებერვლის დილით, ტფილისის გარშემო სამი დღის გაფთრებული ბრძოლის შემდეგ, წითელი არმიის გადაულახავი რაოდენობრივი და ტექნიკური უპირატესობის გამო, ქართველმა სარდლობამ დედაქალაქის ევაკუაციის გადაწყვეტილება მიიღო. იმავე დღის ბოლოს მოხერხდა ქართული არმიის ორგანიზებული უკანდახევა დასავლეთით, ასევე მთავრობის სწრაფი ევაკუაცია. ტფილისის დაკარგვის მიუხედავად ქართველებმა შეინარჩუნეს თავისი შეიარაღებული ძალებიც, ადმინისტრაციაც და საბჭოთა ჯარებისთვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევას აგრძელებდნენ შემდგომი სამი კვირის განმავლობაში.

რუსეთ-თურქეთის კონფერენციის გახსნა მოსკოვში

მეორე დღეს, 26 თებერვალს, მოსკოვში საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახკომის გიორგი ჩიჩერინის⁶⁹⁸ თავმჯდომარეობით მოსკოვში გაიხსნა რუსეთ-თურქეთის კონფერენცია, რომელიც ახალი ორმხრივი ხელშეკრულების დებულებების დამუშავებაზე იყო მიმართული.⁶⁹⁹ კონფერენციის დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო ტერიტორიული საკითხი. თავდაპირველად ჩიჩერინი სომხეთში საბჭოთა რუსეთის ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბორის ლეგრანის მხარდაჭერით 1914 წლის რუსეთ-თურქეთის საზღვრის, რომელიც ყარსს, არტანუსა და ბათუმს საბჭოების კონტროლის ქვეშ გადასული საქართველოსა და სომხეთის შემადგენლობაში დატოვებდა, აღდგენის იდეას მისდევდა. ის ეცადა ასევე საბჭოთა სომხეთის შემადგენლობაში ბითლისისა და ვანის ვილაიეთების ჩრდილო ნაწილების ჩართვის შესაძლებლობაზე მსჯელობას, მაგრამ ყველა ეს წინადადება ანგორაში (ანკარაში) ქემალისტურმა მთავრობამ ხისტად და აგრესიულად უარყო.⁷⁰⁰ თურქები დაჟინებით მოითხოვდნენ მათთვის „სამი სანჯაყის“ (ბათუმის, არტანუსისა და ყარსის) ოფიციალურად დაბრუნებას, ასევე ახლახან დამთავრებული სომხეთ-თურქეთის ომის (1920 წ. ოქტომბერ-ნოემბერი) მსვლელობაში ყარაბეჟირ-ფაშას სარდლობით XV

⁶⁹⁸ ჩიჩერინის თანამდებობის ოფიციალური სახელწოდება იყო „რსფსრ-ის სახალხო კომისარი საგარეო საქმეებზე“ («Народный комиссар РСФСР по иностранным делам»).

⁶⁹⁹ *Документы внешней политики СССР, Т. III* (Москва, 1959), с. 683.

⁷⁰⁰ Hovannisian, Op. cit., pp. 400-401.

კორპუსის ძალებით დაპყრობილი სურმალინის მაზრის მათთვის გადაცემას. ანკარამ ასევე წამოაყენა პრეტენზიები ნახჭევანის მაზრასა და შარურ-დარალაგაზის მაზრის ჩრდილო ნაწილზე, რომლებსაც მოლაპარაკებების მომენტში თურქები ნაწილობრივ აკონტროლებდნენ. თურქების ზოგიერთ ამ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს იოსებ სტალინმა, რომელსაც მაშინ ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის («Наркомнац») პოსტი ეკავა,⁷⁰¹ ასევე თურქეთში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, ძველმა ბოლშევიკმა პოლიკარპე მდივანმა.⁷⁰²

მოლაპარაკების დროს, რომელიც თითქმის სამ კვირას გაგრძელდა, კრემლის წარმომადგენლებმა თურქების მოთხოვნების უმეტესობა მიიღეს, მაგრამ კატეგორიულად უარი თქვეს თურქეთთან ბათუმის მიერთების დაშვებაზე. ბოლშევიკებს ჯიუტად არ სურდათ თავისი მოკავშირეების სასარგებლოდ ბათუმის ნავსადგურზე უარის თქმა, რადგან საბჭოთა რუსეთისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო სტაბილური კონტროლი არა მხოლოდ ბაქოს ნავთობის საბადოებზე (რაც მიღწეული იყო აზერბაიჯანის სოვეტიზაციით), არამედ ასევე ბაქოს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასა და საზღვაო ტერმინალთან დამაკავშირებელ მილსადენსა და რკინიგზაზე. ავალოვის აზრით სწორედ ბათუმის ნავსადგურის დაუფლებისკენ მისწრაფება იყო საქართველოში საბჭოების შეჭრის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი:

„არსებობს ვერსია, რომლის სიზუსტის შემოწმება ძნელია, მაგრამ რომელიც აშუქებს [...] იმას [...] რაც მოგვიანებით მოხდა. ლონდონში კრასინის მოლაპარაკების დროს მას აგრძნობინეს, რომ ბაქოს ნავთობს – მათ მიერ დახლზე ამოღებულ მთავარ საქონელს ამიერკავკასიის ნავთობსადენისა და ბათუმის სრული განკარგვის გარეშე ძალიან ეკარგება ფასი. [...] საქონლის „შესწორების“ აუცილებლობაზე დასკვნის გამოტანის გაკეთება ძნელი არ იყო.

⁷⁰¹ რსფსრ-ის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი (ანუ შემოკლებით Наркомнац) იყო რსფსრ-ის სამინისტროს ტიპის ორგანო, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ეთნოსთა შორის კონფლიქტების თავიდან აცილებასა და გადაწყვეტაზე აგებდა პასუხს. შეიქმნა 1917 წ. ნოემბერში და გაუქმდა 1924 წ. აპრილში.

⁷⁰² Hovannisian, pp. 400-402.

E. Оганесян, *Век борьбы* (Мюнхен, 1991), с. 363-365.

დასკვნას გაკეთებაც მოჰყვა, რომლითვისაც არსებობდნენ, რასაკვირველია, სხვა განზრახვებიც, ყველასთვის ცნობილი“⁷⁰³ (იხ. რუკა 354 გვერდზე)

მართალია, ავალოვის ვარაუდის სისწორის შემოწმება ძნელია სპეციალური გამოკვლევის ჩატარების გარეშე, მაგრამ საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და ანტანტის ერთ-ერთ უდიდეს წამყვან სახელმწიფოს შორის პირველი ორმხრივი ხელშეკრულება იყო, ლონდონში ხელი მოაწერეს ლეონიდ კრასინმა და ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრმა სერ რობერტ ჰორნმა 1921 წ. 16 მარტს, სწორედ იმ დღეს, როცა მოსკოვში ხელი მოეწერა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებას, რომლის დებულებებმა საბოლოოდ უზრუნველყვეს საბჭოთა კონტროლი ბათუმზე.

თუ საბჭოებისა და თურქეთის ზემოთ აღწერილი მოლაპარაკებისკენ მოვბრუნდებით, უნდა აღინიშნოს 1921 წ. მოსკოვის კონფერენციასთან დაკავშირებული ერთი საოცარი პარადოქსი: ორი არავისგან აღიარებული და შესაბამისად არალეგიტიმური მთავრობა (საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის)⁷⁰⁴ მოლაპარაკებას აწარმოებდა საზღვარზე თურქეთსა და ორ “მესამე სახელმწიფოს“ (საქართველოსა და სომხეთს) შორის, რომელთაგან უკიდურეს შემთხვევაში ერთ-ერთის დამოუკიდებლობა დე-იურე იყო აღიარებული. მოსკოვის კონფერენციის გახსნის დღეს საქართველოს ლეგიტიმური მთავრობა ჯერ კიდევ აკონტროლებდა ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს, ქართული არმია და ლაშქარი კი ჯერ კიდევ თავგანწირულად იბრძოდნენ და საბჭოების შემოჭრის მოგერიებას ცდილობდნენ. რაც შეეხება სომხეთს, 13 თებერვლიდან დაწყებული თურქებისგან არაოკუპირებული მისი ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ანტისაბჭოთა ამბოხით იყო მოცული და მოსკოვში რუსეთ-თურქეთის კონფერენციის გახსნის მომენტისთვის სომეხი ამბოხებულები თითქმის ყველაფერს, რაც სომხეთ-

⁷⁰³ Авалов, с. 310-311.

⁷⁰⁴ აღწერილ ისტორიულ მომენტში რუსეთის საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა არ არსებობდა, თურქეთის ერთადერთი საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა კი იყო სულთან მეჰმედ VI მთავრობა, რომელიც ანტანტის ჯარების მიერ ოკუპირებულ კონსტანტინოპოლში იყო განლაგებული.

თურქეთის ომის შემდეგ მათი ქვეყნისგან დარჩა, აკონტროლებდნენ.⁷⁰⁵ რასაკვირველია, პროკრემლური მარიონეტული „რევკომები“ ასევე ბატონ-პატრონობდნენ საქართველოსა და სომხეთის ზოგიერთ რეგიონში, მაგრამ ამასთან მოხსენებული „რევკომების“ წარმომადგენლები დაშვებულიც კი არ იყვნენ მონაწილეობაზე კონფერენციაში, სადაც „მათი“ სახელმწიფოების საზღვრების ხელახლა გამოჭრა ხდებოდა.⁷⁰⁶ სანამ საქართველოსა და სომხეთში ჯერ კიდევ თავგანწირულად იბრძოდნენ, მოსკოვში მუშაობას აგრძელებდა რუსეთ-თურქეთის (უფრო ზუსტად საბჭოთა-ქემალისტური) კონფერენცია, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონის ხალხების ბედს წყვეტდა.

თურქეთის ჩარევა საბჭოებისა და საქართველოს ომში

სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა ექსპანსიის შესწავლისას ძნელია, სათანადოდ არ შეაფასო წითელი არმიისადმი ქემალისტური თურქეთის მიერ აღმოჩენილი აქტიური მხარდაჭერა დასავლეთის წინააღმდეგ მათი საერთო ბრძოლის ჩარჩოებში. საბჭოებისა და საქართველოს პირველი ბრძოლების დაწყებიდან ქემალისტური ჯარები მზად იყვნენ, საქართველოში სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შეჭრილიყვნენ და დაეკავებინათ ყველა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთი სადავო ტერიტორია, ართვინის, არტანისა და ბათუმის ოკრუგების ჩათვლით და ამით შემოსაზღვრას არ აპირებდნენ. ამის გარდა, საბჭოებისა და საქართველოს ომის დაწყებისთანავე თურქ ჯაშუშებს წესრიგიანად მიჰქონდათ საბჭოებთან სადაზვერვო ინფორმაცია. ასე, მაგალითად, საბჭოებისა და საქართველოს ომის პირველი დღეებიდან ქართულ გენერალურ შტაბთან იმყოფებოდა ორი თურქი ოფიცერი, რომლებიც წითელი არმიის სარდლობას ტელეგრაფით ანკარადან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციით უზრუნველყოფდნენ.⁷⁰⁷ თავის მხრივ ანტანტის დიდი სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ მიტოვებული საქართველო ტერიტორიული დათმობების შეთავაზების გზით თურქეთის მხრიდან მხარდაჭერის მიღწევას ცდილობდა. ტფილისის გარშემო მძიმე

⁷⁰⁵ Кадишев, с.380-381.

Kazemzadeh, p. 320.

⁷⁰⁶ Hovannisian, pp. 402-403.

⁷⁰⁷ Квинитадзе, с. 277.

ბრძოლებისა და თურქებისგან „ზურგში დარტყმის“ საშიშროების გამო ქართველი დიპლომატები ან საქართველოს მხარეზე ომში თურქეთის ჩაბმის, ან ყველაზე ნაკლებ თურქების ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ ქემალისტების თურქეთისთვის ართვინის ოკრუგისა და არტაანის ოკრუგის ნაწილის დათმობას დათანხმდნენ.⁷⁰⁸ ამ ტერიტორიული დათმობის მიღების შემდეგ თურქეთის ჯარები ქაზიმ ყარაბეკირ-ფაშას სარდლობით გადავიდნენ თურქეთ-საქართველოს საზღვარზე და 23 თებერვლისთვის კონტროლქვეშ აიღეს მათთვის შეთავაზებული ტერიტორიები ქალაქებით არტაანით, არტანუჯით, ართვინითა და ოკამით. ორი დღით გვიან, როცა საბჭოებმა საქართველოს დედაქალაქი დაიპყრეს, თურქებმა გააგრძელეს შეტევა საქართველოს მთავრობის მიერ მათთვის დათმობილი ტერიტორიების ფარგლებს გარეთ და 1828 წლის საზღვრამდე მისვლას აპირებდნენ. 1 მარტისთვის თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ახალციხე და ახალქალაქი, ასევე შევიდნენ ბათუმის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბნებში ისე, რომ იქ მყოფი ქართული ნაწილების მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ ან თითქმის არ შეხვედრიათ. მაგრამ 8 მარტს თურქების ექსპანსიური მარში საბჭოთა რუსეთის მხრიდან ძალოვანმა წინააღმდეგობრივმა მოქმედებამ შეაჩერა. წითლების მე-18-ე ცხენოსანი დივიზიის ნაწილები დიმიტრი ჟლობას მეთაურობით ახალციხეში შევიდნენ და ძალების მცირე დემონსტრაციის შემდეგ თურქებს არტაანის ოკრუგის საზღვრისკენ გაცლა აიძულეს. რაღაც ამგვარი განმეორდა მეორე დღესაც, როცა მე-11-ე არმიის მცირე შენაერთმა მარშით გაიარა ბორჯომიდან ახალქალაქამდე და თურქებს ახალქალაქის მაზრის საზღვრების დატოვება აიძულა.⁷⁰⁹ ამასთან, კადიშევის თანახმად, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორიაზე შესულმა საბჭოთა ჯარმა მიიღო ბრძანება, თავი შეეკავებინათ თურქებთან მიმართებაში ნებისმიერი მტრული მოქმედებისგან და არავითარ შემთხვევაში არ გადასულიყვნენ არტაანისა და ართვინის ოკრუგების ფარგლებში, ამით თურქებისთვის 1878 წელს ოტომანთა იმპერიის მიერ დაკარგული ტერიტორიის ნაწილის დამკვიდრებისა და უკიდურეს შემთხვევაში საქართველოში

⁷⁰⁸ Квинитадзе, с. 277 и 430;

Кадишев, с. 408.

⁷⁰⁹ Кадишев, с. 413.

თურქეთის მინიმალური ტერიტორიული პრეტენზიის დაკმაყოფილების შესაძლებლობა მიეცათ.⁷¹⁰

საბჭოებისა და საქართველოს ომის დამთავრება

ამასობაში 7 მარტს ოთხი დღის ბრძოლების შემდეგ ქართულმა ჯარმა დაკარგა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სურამის უღელტეხილი, რომლის ფლობა დასავლეთ საქართველოში წითელი არმიის შემდგომი გადაადგილების დაბლოკვის საშუალებას იძლეოდა. სურამის დაკარგვამ აფხაზეთსა და რაჭაში წითლების წარმატებულ შეტევასთან ერთად დარჩენილი ქართული ტერიტორიების დაცვა პრაქტიკულად უიმედო გახადა. 8 მარტს აფხაზეთის ქართველ დამცველთა ნარჩენებმა მდინარე ენგურის იქით ქ. ზუგდიდისკენ დაიხიეს, რომელიც 24 საათის შემდეგ ასევე დაიპყრეს საბჭოებმა. იმავდროულად წითლების მამისონის ჯგუფმა, რომელიც ონის მხრიდან უტევდა, გაარღვია ქართველების სუსტი საფარი სოფელ მექვენასთან და ჩრდილო-დასავლეთიდან ალყა შემოარტყა ქუთაისს. 10 მარტს საბჭოთა 98-ე მსროლელთა ბრიგადა, რომელიც სურამის მხრიდან უტევდა, აღმოსავლეთიდან მიუახლოვდა ქუთაისს და ორი საათის ბრძოლის შემდეგ დაიკავა ეს ქალაქი. საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ დატოვა ქუთაისი და ბათუმში გაემართა, ქართულმა ჯარმა კი დაახლოებით 3000 ჯარისკაცისა და ოფიცრის რაოდენობით რამდენიმე ჯავშანმატარებლის დაცვის ქვეშ სამტრედიის მიმართულელებით დაიხია.⁷¹¹

ყველა განცდილი მარცხის მიუხედავად ქართული ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ საბჭოების წინააღმდეგ ომის გაგრძელების ახალი გეგმა დაამუშავა. ამ გეგმის შესაბამისად ბრძოლის უნარშენარჩუნებულ ყველა ქართულ ჯარს რიონის იქით გურიასა და აჭარაში უნდა დაეხია და საბჭოების შეტევა ახალ სათავდაცვო საზღვარზე – ორი დასახელებული პროვინციის დამცველი მთების ქედისა და შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების გაყოლებით შეეჩერებინა. ამ გეგმის ჩავარდნის შემთხვევაშიც კი კვინიტაძეს შესაძლებლად მიაჩნდა ეროვნული მთავრობისა და დარჩენილი ქართული ჯარის დამკვიდრება შესანიშნავად გამაგრებულ ბათუმში, მთელ საქართველოში

⁷¹⁰ Кадишев, с. 408.

⁷¹¹ Кадишев, с.409.

იმავედროული პარტიზანული ომის აქტივიზაციით. პარტიზანული მოძრაობის ძირითად ბაზად დასახული იყო მაღალმთიანი პროვინციების სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთის გამოყენება. ეს გეგმა მთლიანად მოიწონა პოლკოვნიკმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა, რომელმაც შემდგომ პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელობა მიიღო და ცნობილი საველე მეთაური და ეროვნული გმირი გახდა.⁷¹²

სამწუხაროდ ქართველმა სარდლობამ თავისი გეგმების განხორციელება ბათუმსა და სამხრეთ აჭარაში თურქების შემოჭრის მიზეზით ვერ მოასწრო. 11-დან 17 მარტამდე თურქების ჯარები ქაზიმ-ბეის მეთაურობით შევიდნენ ბათუმში, ბათუმის სათავდაცვო სისტემის რამდენიმე ფორტი კონტროლქვეშ აიღეს და შეეცადნენ იმ ფორტების ხელში ჩაგდებას, რომლებსაც ჯერ კიდევ აკონტროლებდა ქართული ჯარი. როგორც შემდგომში თავის მემუარებში აღნიშნავდა გენერალი კვინიტაძე, ბათუმსა და მის შემოგარენში თურქული და ქართული ჯარების ურთიერთობა დემონსტრაციულად მეგობრული განცხადებებისა და იმავედროულად მტრული მოქმედებების შერწყმით ხასიათდებოდა.⁷¹³

უკანასკნელი ბრძოლა ბათუმისთვის

ბათუმის დაკარგვამ, რომელიც უკანასკნელი ქართული სიმაგრე იყო, შემდეგი წინააღმდეგობა უაზრო და შეუძლებელი გახადა. გარდაუვალი სამხედრო დამარცხების წინაშე საქართველოს მთავრობამ ქუთაისში თავისი წარმომადგენლები გაგზავნა საბჭოთა სარდლობასთან ცეცხლის შეწყვეტაზე მოსალაპარაკებლად. წითელი არმიის, რომლის ნაწილები თავის მხრივ არსებითად გამოფიტული და ამასთან მთელ საქართველოში იყვნენ გაფანტული, სარდლობა მოლაპარაკებებზე დათანხმდა. შედეგად 14 მარტს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის პირობითაც საქართველოს მთავრობას რამდენიმე დღე მიეცა ქართული არმიის ნარჩენების დემობილიზაციისა და ბათუმიდან კონსტანტინოპოლში ევაკუაციისთვის.

1921 წ. 17 მარტს საქართველოს მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა ათასობით ჯარისკაცთან, ოფიცერთან და სამოქალაქო ლტოლვილთან ერთად ბათუმის ნავსადგურში მდგარ

⁷¹² Квинитадзе, с. 324.

⁷¹³ Квинитадзе, с. 330-332.

ფრანგულ და იტალიურ გემებზე ავიდნენ, რომ მეორე დღეს ზღვაში გასულიყვნენ. ბათუმში დარჩენილი ქართული ჯარი დაექვემდებარა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობას, რომელსაც მის დემობილიზაციაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა. მეორე დღეს ქაზიმ-ბეიმ, რომლის სარდლობასაც ბათუმსა და მის შემოგარენში თურქების მთელი ჯარი ექვემდებარებოდა, გამოაცხადა, რომ ქალაქი თურქების მმართველობაში გადავიდა, თავი ბათუმის გენერალ-გუბერნატორად დანიშნა და მოითხოვა, რომ ჯერ კიდევ ბათუმში მყოფ ყველა ქართველ სამხედრო მოსამსახურეს დაუყოვნებლივ დაეყარა იარაღი. ამან სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია მაზნიაშვილის მხრიდან, რომელმაც მის დაქვემდებარებულ ჯარს თურქებზე იერიშის მიტანა და მათი ქალაქიდან გაყრა უბრძანა. სამი დღის ბრძოლის შედეგად ქაზიმ-ბეის ასკერები იძულებული გახდნენ, ბათუმიდან და მთელი ჩრდილო აჭარადან უკან დაეხიათ. მეორე დღეს წითელი არმიის ნაწილები დიმიტრი ჟლობას სარდლობით გურიასა და ჩრდილო აჭარაში შევიდნენ და მაზნიაშვილისგან კაპიტულაცია მიიღეს. აჭარაში მყოფი ქართველი სამხედროების მცირე რაოდენობამ უარი თქვა საბჭოებს დანებებაზე და მთებში წავიდა, რომ პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით პარტიზანული მეთოდებით ბრძოლა გაეგრძელებინა. სამი დღით გვიან ტფილისში „რევკომის“ დეკრეტით დაიშალა საქართველოს პარლამენტი.

ხელშეკრულებების ხელმოწერა

1921 წლის 16 მარტს, ერთი დღე-ღამით ადრე, სანამ საქართველოს მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა თავის ქვეყანას დატოვებდა, ბრძოლის უნარიან უკანასკნელ ნაწილებს კი ბათუმში ქაზიმ-ბეის ასკერებზე მიჰქონდათ კონტრიერიში, მოსკოვში დადეს რუსეთ-თურქეთის „ხელშეკრულება მეგობრობასა და ძმობაზე“. რსფსრ-ის მხრიდან ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა (Наркоминдел) ჩიჩერინმა და სრულიად საკავშირო ცაკის წევრმა ჯელალ კორკმასოვმა, თურქეთის მხრიდან – თურქეთის დიდი ეროვნული კრების საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა იუსუფ ქემალ-ბეიმ, რიზა ნურ-ბეიმ და ალი ფუად-ფაშამ. მოსკოვის ხელშეკრულებამ საბოლოოდ გააფორმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გაყოფა და 1920-1921 წლების „კავკასიური“ ომების გეოპოლიტიკური ჯამი გამოიყვანა. ამ ხელშეკრულების

დებულებებმა დაადგინეს სომხეთის საზღვრები, რომელიც სწორედ ამ მომენტში გამოვიდა (თუმცა დროებით) საბჭოების გავლენის სფეროდან ანტიკომუნისტური აჯანყების შედეგად. მოსკოვის ხელშეკრულების დებულებებმა დაადგინეს საქართველოსა და სომხეთის ახალი საზღვრები. ამასთან უნდა აღინიშნოს, სომხეთმა ამ დროს საბჭოების კონტროლს თავი დააღწია, თუმცა ძალიან მოკლე დროის განმავლობაში (იხ. ზემოთ),⁷¹⁴ საქართველოში კი, რომლის დამოუკიდებელი სტატუსი ანტანტის წამყვანმა სახელმწიფოებმა *დე იურე* ახლახანს აღიარეს, კანონიერი „ძველი“ მთავრობა ჯერ კიდევ აკონტროლებდა ქვეყნის ნაწილს. ზედმეტია შეხსენება, რომ ორი დასახელებული ქვეყნის ტერიტორია გაიყვეს, მათი საზღვრები კი მათი წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე ხელახლა გამოჭრეს.

მოსკოვის ხელშეკრულების I მუხლმა განსაზღვრა თურქეთ-სომხეთისა და თურქეთ-საქართველოს საზღვრების მოხაზულობა, თურქეთს დაუტოვეს სომხეთ-თურქეთის არც თუ შორეული ომის, ასევე ხელმოწერის მომენტში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოებისა და თურქების მთლიანად ჯერ არდასრულებული ოპერაციების მსვლელობაში დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილი.⁷¹⁵ ამგვარად, რუსეთის ხელმძღვანელობამ თურქეთს ფაქტიურად 1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობაში მის მიერ რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ დაკარგული თითქმის ყველა ტერიტორიის დაბრუნების საშუალება მისცა, ბათუმის ოკრუგის ჩრდილო ნაწილისა და ყარსის ოლქის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შურაგელის (აღბაბის) პატარა უბნის გარდა. ხელშეკრულებით თურქეთს გადაცემულ ტერიტორიებზე დარჩნენ ქალაქები არტანი, ართვინი, ოლთისი, ოლური (ტაოსკარი), ოკამი, ფოცხოვი, სარიყამიში, კალიზმანი და ყარსი. ამის გარდა თურქეთისკენ გადავიდნენ ყოფილი ერივანის გუბერნიის სურმალინის მაზრა მდინარე არაქსის სამხრეთით ქალაქ ილდირით და

⁷¹⁴ 1921 წ. 16 მარტს სომეხი ანტისაბჭოთა ამბოხებულები „საბჭოთა სომხეთის“ თითქმის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ ყაზახის რაიონის, ნოვოზაიხეთის რაიონის მცირე ნაწილისა და ერივანის სამხრეთით მდებარე სოფელ კამარლუს გამოკლებით. საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა სომხეთში მხოლოდ 28 მარტს დაიწყო და წითელმა არმიამ სომხების ეროვნული ამბოხის ჩახშობა მხოლოდ სამ თვეზე მეტ ხანს ბრძოლების შემდეგ მოახერხა.

⁷¹⁵ Hovannisian, p. 391.

სომხეთის ეროვნული სიმბოლოთი – მთა არარატით. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სურმალინის მაზრა ადრე არასდროს არ შედიოდა თურქეთის შემადგენლობაში, თუ 1724 წლიდან 1735 წლამდე მოკლე პერიოდს არ ჩავთვლით. ამგვარად, მოსკოვის ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად თურქეთი პირველ მსოფლიო ომში ოთხმაგი კავშირის დამარცხებული ქვეყნებიდან ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც მის მიერ წაგებული ომის შედეგებით ტერიტორიული მატება მიიღო (იხ. რუკა 364 გვერდზე).⁷¹⁶

II მუხლი შეიცავდა ფრიად ორაზროვან ფრაზას, რომელიც იუწყებოდა, რომ თურქეთი თანახმაა საქართველოსთვის ნავსადგურსა და ქალაქ ბათუმზე, ასევე ბათუმის ოკრუგის ჩრდილო ნაწილზე სუვერენიტეტის დათმობაზე მითითებული ტერიტორიის მუსლიმანური მოსახლეობისთვის ავტონომიის მინიჭების პირობით. მაგრამ იმ დროისთვის, როცა ხელშეკრულება მზად იყო ხელმოსაწერად, თურქეთი ვერ აკონტროლებდა ვერც ნავსადგურს, ვერც ტერიტორიას მის ჩრდილოეთით. აქედან გამომდინარე მხოლოდ საგონებელში ჩავარდნა შეიძლება, – როგორ შეეძლო თურქეთს საქართველოსთვის იმის „დათმობა“, რასაც არ ფლობდა, საქართველო კი სწორედ რომ ფლობდა. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში II მუხლი ბათუმზე პრეტენზიაზე ქემალისტების უარს შეიცავდა.⁷¹⁷

III მუხლი ადასტურებდა თურქეთის ქემალისტური მთავრობის უარს ყოფილი ერივანის გუბერნიის შარურ-დარალაგაზისა და ნახჭევანის მაზრებზე, მაგრამ პირობით, რომ ნახჭევანის მაზრას, შარურ-დარალაგაზის მაზრის დასავლეთ ნაწილს (რომელიც მეტად თუ ნაკლებად ემთხვეოდა დასახელებული მაზრის ბაშ-ნორაშენის უბანს) და ერევნის მაზრის ტერიტორიის ვიწრო ზოლს სოფელ სადარაქთან ერთად შეედგინა საბჭოთა აზერბაიჯანის პროტექტორატის ქვეშ გადაცემული განსაკუთრებული ავტონომიური ერთეული. ბაქოს დაქვემდებარებული ამ ავტონომიური ერთეულის შექმნა შეუწყნარებელ წინააღმდეგობაში მოდიოდა საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობის (ე. წ. „აზრეკომის“) 1920 წ. 1

⁷¹⁶ *Документы внешней политики СССР, Т. III* (Москва, 1951), с. 597-598; Janne Degras (Ed.), *Soviet Documents on Foreign Policy, Vol. I* (Oxford, 1931), p. 238.

⁷¹⁷ *Документы внешней политики, Op. cit.*, p. 598; Janne Degras (Ed.), *Soviet Documents on Foreign Policy, Vol. I* (Oxford, 1931), pp. 238-239.

დეკემბრის განცხადებასთან, რომლის შესაბამისად საბჭოთა აზერბაიჯანი უარს ამბობდა სადავო ტერიტორიებზე – ყარაბაღზე, ზანგეზურსა და ნახჭევანზე, ახლახან სოვეტიზებული სომხეთის სასარგებლოდ.⁷¹⁸ ამის მიუხედავად საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიიღო თურქების ეს მოთხოვნა, „აზრევკომის“ ზემოთ მოხსენებული განცხადება კი 1921 წ. შუა ხანებში უკან გამოიხმეს.⁷¹⁹ ყოფილი ერივანის გუბერნიის ნაწილისგან გამოჭრილი ახალი ავტონომიის საზღვრები ისე გაიყვანეს, რომ ავტონომიას დამაკავშირებელი „კორიდორის“ როლის შესრულება შეძლებოდა აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის, ამ უკანასკნელის მიერ სურმალინის მაზრის მიღების შემდეგ.⁷²⁰

თითქმის შვიდი თვის შემდეგ, 1921 წლის 13 ოქტომბერს ხელშეკრულებას, რომელიც ძირითადად იმავე დებულებებს შეიცავდა, რასაც მოსკოვის ხელშეკრულება, ხელი მოაწერეს ყარსში.⁷²¹ ამჯერად ხელშეკრულების ქვეშ არა მხოლოდ თურქეთისა და რუსეთის, არამედ ასევე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა ადმინისტრაციების დელეგატების რამდენიმე ხელმოწერაც იყო. ფაქტიურად კი სამხრეთ კავკასიის ახალი „საბჭოთა რესპუბლიკების“ დელეგაციები, რომლებიც ყარსის ხელშეკრულებას აწედნენ ხელს, თეატრის სტატისტების როლს ასრულებდნენ. ეს ფაქტი აირეკლა ხელშეკრულების ხელმოწერამდე წარმოთქმულ ყარაბეჟირ-ფაშას მისასალმებელ სიტყვაში, სადაც მან ისინი განსაზღვრა როგორც საბჭოთა რუსეთის⁷²² „წევრები“.⁷²³

⁷¹⁸ Novannisian, pp. 380-383.

Кадишев, с. 332.

Нагорный Карабах, с. 601-602.

И.В. Сталин, “Да здравствует Советская Армения!” *Правда*, No. 273, 4 декабря 1920 г.

⁷¹⁹ Novannisian, p. 399.

⁷²⁰ *Документы внешней политики, Op. cit.*, pp. 598-599.

Jane Degras (Ed.), *Soviet Documents on Foreign Policy, Vol. I* (Oxford, 1931), p. 239.

⁷²¹ Degras, *Op. cit.*, pp. 263-269.

⁷²² *Документы внешней политики СССР, Т. IV* (Москва, 1951), с. 373-374.

⁷²³ გამოთქმა ერთობ შეუწყობელია, მაგრამ ყარაბეჟირმა სწორედ ეს იხმარა.

საქართველოს მიერ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების ხელმოწერის შედეგად დაიკარგა ორი, – არტანისა⁷²⁴ და ართვინის ოკრუგები, ასევე ბათუმის ოკრუგის სამხრეთი ნაწილი. თვით სანავსადგურო ქალაქი ბათუმი და მისგან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ტერიტორიის მცირე უბნები (რომლებიცგანაც აჭარის ასსრ გამოჭრეს) საქართველოს შემადგენლობაში დარჩნენ, მაგრამ ამასთან თვით საქართველომ დაკარგა სუვერენიტეტი, რადგან საბჭოებისა და საქართველოს ომის დამთავრებისას საბჭოთა რუსეთის სატელიტი გახდა. 1922 წ. 29 დეკემბერს ეგრეთ წოდებულმა „საქართველოს სსრ“-მ ნომინალური დამოუკიდებლობაც კი დაკარგა, ხანგრძლივი 69 წლის განმავლობაში შთაინთქა ახალი იმპერიის მიერ, რომელიც ცნობილი იყო როგორც „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“ და ფაქტიურად არ იყო კავშირი, ისევე როგორც მისი შემადგენელი ელემენტები არ იყვნენ რესპუბლიკები.

რამდენიმე პასუხი „ხრიკულ“ კითხვებზე

რატომ აღმოჩნდნენ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელები ასე დამთმობნი თურქეთის ტერიტორიული მოთხოვნებისადმი?

რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე 1921 წ. მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების დებულებების ანალიზისას ძნელია, არ გაჩნდეს კითხვა: რატომ გამოიჩინეს კრემლის ბატონ-პატრონთ ასეთი დამთმობლობა კავკასიაში თურქეთის ტერიტორიული მოთხოვნებისადმი? როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა ისტორიკოსები ასეთ საქციელს იმით ხსნიან, რომ რუსეთი ფიზიკურად, მატერიალურად და ზნეობრივად იყო გამოფიტული რამდენიმე (პირველი მსოფლიო, მისი მომდევნო სამოქალაქო, ასევე რუსეთის იმპერიის დაშლისას წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებთან) ომით, რაც განუწყვეტლივ თითქმის 7 წელი გრძელდებოდა, ამიტომ არ შეეძლო თავის თავისთვის მორიგი სამხედრო ავანტურის ნება მიეცა. სხვა მიზეზებს შორის, რომლებმაც დასახელებული დოკუმენტების ხელმოწერის წინა მოლაპარაკებების მსვლელობაში ასევე გავლენა მოახდინეს

⁷²⁴ თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, არტანის ოკრუგის მხოლოდ ნაწილი, რომელიც საბჭოებისა და საქართველოს ომის დასაწყისისთვის საქართველოს შემადგენლობაში იყო.

კრემლის პოზიციაზე, შეიძლება მოვიყვანოთ: კრონშტადტის ამბოხი (1921 წ. 1-18 მარტი), გლეხთა აჯანყება ტამბოვის მხარეში (1920 წ. 19 აგვისტო – 1922 წ. 16 ივლისი), სამოქალაქო ომის ჩაუქრობელი კერები ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ჩამოთვლილი მოვლენები უთუოდ ასუსტებდნენ რუსეთის პოტენციალს ქემალისტებთან მოლაპარაკებებზე. მაგრამ ქემალისტებიც ხომ შორს იყვნენ უკეთესი მდგომარეობისგან: 1921 წლის მარტიდან ნოემბრამდე საბერძნეთ-თურქეთის ომის (1919-1922) ყველაზე გაცხარებული პერიოდი უწევდა. ამ თვეებში ანგორის მთავრობის ძირითად ჯარებს ცენტრალურ ანატოლიაში წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ ბერძნების შეტევისთვის, რომელიც საქარიას ბრძოლის⁷²⁵ დამთავრებამდე (1921 წ. 13 სექტემბერი) გაგრძელდა. ამის გარდა ქემალისტებისთვის პრობლემა იყო სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში იტალიელების გაჭიანურებული ოკუპაცია (1921 წ. 5 ივლისამდე), ისევე როგორც ფრანგებისა და სომხების ჯარებთან კილიკიაში დუნედ მიმდინარე ომი (1921 წ. 21 ოქტომბრამდე). ყველაფერი ჩამოთვლილის გამო თურქეთს არანაირად არ შეეძლო თავისთვის კიდევ რუსეთთან საომარ კონფლიქტში შესვლის ნება მიეცა. ამასთან განხილულ ისტორიულ მომენტში ქემალისტური მთავრობა ანგორაში დამოკიდებული იყო

⁷²⁵ საქარიას ბრძოლა – საბერძნეთის არმიის მცირე აზიის ლაშქრობის ანუ თურქეთის დამოუკიდებლობისთვის ომის ერთ-ერთი ძირითადი ბრძოლა (1921 წ. 23 აგვისტო – 13 სექტემბერი) მდინარე საქარიას აღმოსავლეთით ანკარასთან ახლოს (ამჟამად ანკარას რაიონი), დამთავრდა თურქების ჯარის გამარჯვებით მუსტაფა ქემალ-ფაშას (ათათურქის) სარდლობით. თურქებისთვის ეს ბრძოლა ახალი თურქეთის ჩამოყალიბებაში შემობრუნების მომენტია; ბერძნები აღნიშნავენ როგორც ბერძნული არმიის საბრძოლო სულისკვეთების შემწყვეტ შემობრუნების მომენტს და მცირე აზიის კატასტროფის პროლოგს. მცირე აზიის კატასტროფა – ბერძნულ ისტორიოგრაფიაში თანამედროვე ელინიზმის ყველაზე ტრაგიკული მოვლენის დამახასიათებელი ტერმინი: ბერძნების არმიის დანაკარგი (სხვადასხვა წყაროებით 25.000-50.000 მოკლული), სამოქალაქო მოსახლეობის დანაკარგი – 600.000 მოკლული, უძველესი კერებიდან 1.500.000 მკვიდრი მართლმადიდებელი ბერძნის გამოსვლა (განდევნა) მცირე აზიაში ბერძნების სამიათასწლოვანი ისტორიის შეწყვეტა იყო. ინგლისელი ისტორიკოსი რ. გრანტი (R. G. Grant) საქარიას ბრძოლას იმ ბრძოლებს მიაკუთვნებს, რომლებმაც მსოფლიოს ისტორიის მიმდინარეობა შეცვალეს.

კრემლისგან, რომელიც არ ძუნწობდა მნიშვნელოვან ფინანსურ და სამხედრო დახმარებაზე.⁷²⁶

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: ქემალისტები მოსკოვისგან ოქროს, იარაღსა და საბრძოლო მასალებს იღებდნენ და ღიად გამოხატავდნენ კრემლისადმი თავისი უპატივცემლობისა და ზიზღის დემონსტრაციას, მაგალითად, ჩიჩერინისგან მიღებული პროტესტის ნოტების მიუხედავად ამცირებდნენ და დევნიდნენ ეთნიკური რუსებს, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებოდნენ ყარსის ოლქში სომხეთ-თურქეთის ომის შემდეგ.⁷²⁷ მეორე ფრიად საგრძნობი სილა კრემლს გააწნეს 29 იანვარს, როცა ქემალისტებმა ტრაპიზონის რეიდზე მდგომ თურქულ გემზე თურქეთის პროსაბჭოთა კომუნისტური პარტიის მთელი ხელმძღვანელობა გაჟუჟეს.⁷²⁸

ყველა ზემოთ გადმოცემულიდან გამომდინარე, საბჭოთა მმართველების დამთმობლობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ მათი უკიდურესი დაინტერესებით სტრატეგიულ კავშირში ქემალისტებთან, რომელთა დახმარებით მოსკოვს ახლო აღმოსავლეთში და, შესაძლოა, მთელ მუსლიმანურ სამყაროში ევროპის დიდი წამყვანი სახელმწიფოების პოზიციების შერყევის იმედი ჰქონდათ. ეს დაინტერესება საიდუმლო არ იყო თურქებისთვის, რომლებიც კრემლის ბატონ-პატრონებს რუსი ხალხის წარმომადგენლებად ალბათ არც კი თვლიდნენ. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ კრემლის ანგარიში ქემალისტურ თურქეთზე შეცდომა იყო. 1922 წელს, საბერძნეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე თურქებმა ზურგი შეაქციეს რსფსრ-ს, თავისი ნამდვილი დამოკიდებულების მკაფიო დემონსტრაცია კომპარტიის საქმიანობის აკრძალვით გააკეთეს.

რატომ ეცადნენ თურქები ბათუმის დაპყრობას უკვე მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ?

1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარდაუვალად ადრული მეორე კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ

⁷²⁶ Harish Kapur, *Soviet Russia and Asia, 1917-1927* (London, 1966), p. 114.

⁷²⁷ *Документы внешней политики СССР, Т. IV* (Москва, 1951), с. 128-129, 131-132, 169-170 и 177.

⁷²⁸ Gajendra Singh, "Occupation case studies: Algeria and Turkey", *Asia Times*, January 7, 2004

რატომ მისცა ქაზიმ-ბეიმ თავის ჯარს ბათუმისა და მთელი ჩრდილო აჭარის (ბათუმის ოკრუგის ჩრდილოეთ ნაწილის) დაპყრობის ბრძანება ხელშეკრულების, რომლითაც თურქეთი ოკრუგის მხოლოდ სამხრეთ ნაწილს მიიღებდა ქალაქისა და ნავსადგურის გარეშე, ხელმოწერის მეორე დღეს? რა თქმა უნდა, არის იმის ალბათობა, რომ 17 მარტს ქაზიმი ჯერ კიდევ არ ფლობდა ინფორმაციას არც ხელშეკრულების ხელმოწერის ფაქტზე, არც საზღვრის დადგენაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, მსგავსი სიტუაცია იმავე დროს მეზობელ სომხეთშიც გაჩნდა, სადაც ყარაბეგირ-ფაშას XV თურქული კორპუსის ნაწილები განაგრძობდნენ ალექსანდროპოლის მაზრის ოკუპაციას, რომელიც მათ განალიზებული ხელშეკრულების მუხ I მიხედვით უნდა დაეტოვებინათ. ალექსანდროპოლის ოკუპაცია გრძელდებოდა 1921 წ. 22 აპრილამდე და ყარაბეგირმა თავის ასკერებს ყარსის მხარეს არფაჩაიზე დახვევის ბრძანება მხოლოდ მას შემდეგ მისცა, რაც მე-11-ე არმიის სარდლობა სამხედრო ძალის გამოყენებით დაემუქრა.⁷²⁹

ზემოთ თქმული იმის სასარგებლოდ მოწმობს, რომ ქემალისტების დამოკიდებულება საბჭოებთან ხელმოწერილი ხელშეკრულებების მიმართ მცირედით განსხვავდებოდა ასეთი ხელშეკრულებების მიმართ საბჭოების დამოკიდებულებისგან, რაზედაც მთელ VIII თავშია მოთხრობილი. ესე იგი, მოსკოვის ხელშეკრულებით ტერიტორიულ შენაძენს თურქები აღიქვამდნენ როგორც „ავანსს“, რომელიც არანაირად არ გულისხმობდა მათი შემდგომი ექსპანსიის შეწყვეტას. სავსებით შესაძლებელია, რომ ქემალისტურ ხელმძღვანელობას არ სჯეროდა საქართველოსა და სომხეთში საბჭოთა რეჟიმის სტაბილურობა და იმედი ჰქონდა, რომ ორი ზემოთ დასახელებული სახელმწიფოს შესაძლო აღდგენა იქამდე მიიყვანს საქმეს, რომ მოსკოვის ხელშეკრულება ძალას დაკარგავს და ამით მათ ხარჯზე თურქეთის კიდევ მეტი ტერიტორიული გაფართოების შესაძლებლობებს გახსნის.

მეორე მხრივ, საბჭოთა რუსეთის ლიდერები, ისე როგორც მოგვიანებით სსრკ-ისაც (1922 წ. 30 დეკემბრის შემდეგ), ასევე არ აპირებდნენ არც 1914 წლის სახელმწიფო საზღვრის აღდგენაზე, არც მის ფარგლებს გარეთ მიწების შემდგომი გაფართოების

⁷²⁹ Hovannisian, p. 399.

Кадишев, с. 429.

გეგმებზე უარის თქმას. 1945 წელს კრემლმა თურქეთს წაუყენა პრეტენზია, რომელიც არა მხოლოდ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებით ქემალისტებისთვის გადაცემულ მიწებს, არამედ სევრის ხელშეკრულების პირობებით თურქეთისგან მოწყვეტას დაქვემდებარებულ ვილაიეთებს ეხებოდა.⁷³⁰ ეს პრეტენზიები კატეგორიულად უარყო თურქეთის მხარემ, მაგრამ საბჭოებისა და თურქეთის ომისშემდგომი ტერიტორიული დავის ანალიზი მოცემული კვლევის ჩარჩოებს გარეთაა.


⁷³⁰ Jamil Hasanli, *Stalin and the Turkish crisis of the Cold War, 1945-1953* (New York, 2013), pp. 99-104, 125 and 165-175.

Geoffrey Roberts, *Molotov: Stalin's Cold Warrior* (Washington, 2011) pp. 107-108.

Ronald Grigor Suny, *Looking Toward Ararat: Armenia in Modern History* (Bloomington, 1993), pp. 169 and 175-176.



იოსებ სტალინი



დიმიტრი შოლობა



წითელი არმიის ტანკები საქართველოში (1921)





გენერალი გიორგი კვინიტაძე



გენერალი გიორგი
მაზნიაშვილი



ქართული არმია და ეროვნული გვარდია (ტფილისი, 1921 წ.)



საქართველოს და საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა არმიების შეარაღებული ძალების სამხედრო სიმძლავრის შედარება




საქართველოს სსმ-ის მფრინავები (1921)



საქართველოს სსმ-ის თვითმფრინავის მარცხი
თბილისთან ახლოს (1921)

THE SOUTH CAUCASUS: MINING AND MAJOR INDUSTRIES (December/1920 - January/1921)



SOVIET - GEORGIAN WAR AND SOVIETIZATION OF GEORGIA (February-March, 1921)





ქართველი ოფიცრები (1921)



ქართველი იუნკრები წვრთნიდან ბრუნდებიან (1921)



წითელი არმიის სამკერდე
ნიშანი (1921)



ქართული რევკომის
დროშა




წითელი არმია ტფილისში (1921)




მუსტაფა ქემალ
ათათურქი



ქაზიმ ყარაბექირ-ფაშა



თურქების საველე არტილერია (1921)



პოლიკარპე (ბუდუ)
მდივანი




ჯელალ ედ-დინ
კორკმასოვი



მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის წინ (16.03.1921)

THE SOUTH CAUCASUS BY THE TIME OF SIGNING THE TREATY OF MOSCOW (16.III.1921)





ბათუმის უკანასკნელი ქართველი დამცველები (1921 წ. მარტი)




ქართველი პარტიზანები (1921 წ. მარტი)

GEORGIA AND THE TREATY OF MOSCOW (March 16, 1921)

- Territory under control of Soviet Russia, as of March 15, 1921
- Territory under control of the legitimate government of Georgia until March 18, 1921
- Territory ceded to Kemalist Turkey as per the Treaty of Moscow (March 16, 1921)
- Armenian territory that remained under Turkish occupation until April 22, 1921

- National border, as of 1914
- National border, as of 2018
- De-facto national border of Georgia, as of January, 1921





რობერტ ჰორნი





ლეონიდ კრასინი



ქართველი ემიგრანტების პროტესტის მიტინგი საქართველოს სოვეტიზაციის წინააღმდეგ (პარიზი, 1922 წ.)

THE SOUTH CAUCASUS BY THE TIME OF SIGNING THE TREATY OF KARS (13.X.1921)




Деревня Сарп на Черном море гора Кара-Шальварт (5.014) по водоразделу рек по направлению к (Р.П.), к северу от деревни В.Марадиди пересекает Чорох к северу от деревни В.Марадиди и проходит затем севернее к деревне Сабур гора Хедис Ита (7.052), гора Ква-Кибе деревня Кавтерети линия водораздела горы Медзибна гора Герат Кессун (6.468) следуя по линии водораздела горы Корда (7.910) выходит по западной части хребта горы Хребет Шавшетского к прежней административной границе бывшего Артвинского округа проходя по линии водораздела горы Шашнетской, выходит на гору Сары-Чай (Кар-Иссал) (8478) перевал Квиральский, оттуда выходит на прежнюю административную границу бывшего Ардаганского округа у горы Кани Даг оттуда направляясь к северу, доходит до горы Тлил (грмали) (8357) следуя по той же границе Ардаганского округа, выходит к северо-востоку от деревни Баделла, к реке Посхов-Чай, и следует по этой же реке к югу до пункта деревни Чанчак, там оставляет эту реку и идя по линии водораздела выходит на гору Апрельянт-Баши (8.512) проходит по горам Келле-Тапа (8463), Карман-Тапа (9.709) достигает горы Касрис-Сери (9.681) отсюда следует по реке Карзамет-Чай до реки Куры, отсюда идет по тальвегу реки Курш до пункта, что к востоку деревни Картанакев, где отходит от Куры, проходя по линии водораздела горы Кара-Оглы (7.259), оттуда, разделяя на две части озеро Хазапин, выходит к высоте 7.580 (7.560), а оттуда к горе Гек-Даг (9.152) Уч.-Тапалар (9.783), где кончается граница с Грузией начинается граница с Арменией: Тайа-Кала (9.716) вершина 9.065 где покидает прежнюю границу Ардаганского округа и проходит по горе Бол-Ак-Баба (9.973 или 9.963) 8.828 или 8.827 7.602 отсюда по прямой линии к вершине 7.518 проходя на восток от деревни Ибиш, затем к горе Кизильдаш (7.439 или 7.440 или 7.490) деревня Новый Казил-Даш, отсюда следуя по реке, которая протекает через Новый Казил-Даш до его изгиба, расположенного к северо-западу от Карамедеда, следует по линии водораздела и выходит на реку Джамушбу-Чай, расположенную к востоку от деревень: Делавер, Б.Кмлы и Тикнис (через деревни Вартанлы и Баш-Шурагель, следуя по упомянутой

реке, выходит к реке Арид-Чай к северу от Кислалаши Калали оттуда следуя все время по тальвегу Арпа-Чай, выходит к Араксу следуя по тальвегу Аракса до деревни Урмия, где кончается граница с Арменией и начинается граница с Азербейджаном и следует затем по тальвегу Арабса до впадения в него Нижнего-Кара-Су, где кончается граница с Азербейджаном.

N.B. Разумеется, что граница следует по линиям водоразделов вышеуказанных высот.

(М.П.) подп. Асканаз Мравиан,
(М.П.) подп. Киазим Кара Бекир
(М.П.) подп. Погос Макинзиан, (М.П.) подп. Вели Бей
(М.П.) подп. Бебут Шах-тахтинский,
(М.П.) подп. Муштар Бей
(М.П.) подп. Шалва Элиава,
(М.П.) подп. Мемду Шеврет Бей
(М.П.) подп. Александр Сванидзе,
(М.П.) подп. Ганецкий.,

ПРИЛОЖЕНИЕ 2.

Принимая во внимание, что пограничная линия следует по тальвегам рек: Арпа-Чай и Аракса, как это указано в приложении I, Правительство Великого Национального Собрания Турции обязуется отодвинуть лишь линию блокгаузов на расстоянии 8 верст от железной дороги Александрополь-Эривань в настоящем ее начертании в районе Арпа-Чай и на расстояние 4 верст от вышеупомянутой железнодорожной линии в районе Аракса.

Линии, ограничивающие вышеупомянутые районы, указаны ниже для зон Арпа-Чай пункта А и Б 1 и для зоны Аракса в 2.

I. Зона Арпа-Чай

А) К югу востоку от Вартанлы к востоку от Узун-Килисса через гору Бозяр (5.096) 5.0825.047 к востоку от Камир-Банк-Уч-

Тапа (6478 или 5578) к востоку от Арас-Оглу к востоку от Али, достигает Арпа-Чай к западу от Еникей.

Б) Отходит снова от Арпа-Чай к востоку от высоты 5019 идет прямо к высоте 5481 в четырех с половиной верстах к востоку от Кызыл-Кула в двух верстах к востоку от Боджалы - затем река Дигор-Чай следует до этой реки до деревни Дуз-Кечут идет прямо к северу от развалин Карабаг и выходит на Арпа-Чай.

II. Зона Аракса

Прямая линия между Хараба-Алиджан и деревней Сулиман Диза.

В зонах, ограниченных с одной стороны линией железной дороги Александрополь-Эривань и другой линиями, расположенными на расстоянии 8 и 4 верст от вышеуказанной железнодорожной линии. Правительство Великого Национального Собрания Турции обязуется не возводить каких бы то ни было фортификационных укреплений, (эти линии расстояния находятся вне указанных зон) и не содержат в них регулярных войск, однако оно сохраняет право иметь в указанных зонах войска, необходимые для поддержания порядка, безопасности и для административных надобностей.

(М.П.) подп. Асканаз Мравиан,
(М.П.) подп. Киазим Кара Бекир
(М.П.) подп. Погос Макинзиан,
(М.П.) подп. Вели Бей
(М.П.) подп. Бебут Шах-тахтинский,
(М.П.) подп. Муштар Бей
(М.П.) подп. Шалва Элиава,
(М.П.) подп. Мемду Шеврет Бей
(М.П.) подп. Александр Сванидзе,
(М.П.) подп. Ганецкий.

ПРИЛОЖЕНИЕ 3. ТЕРРИТОРИЯ НАХИЧЕВАНИ

Деревня Урмия, отсюда по прямой линии станция Араждаян (оставляя ее Социалистической Советской Респуб-икой Армении), затем по прямой линии к горе Даш-Гурун западной (3142) линия водораздела горы Даш-Гурун восточной (4108) проходит через реку Джагаганам-Дарацци к югу Родней (Булак юг), следует по линии водоразделов горы Багарсик (6607) или 6587 и отсюда следует по административной границе прежнего Эриванского округа и Шарур-Дара-Лажез через высоту 6629 к горе Кемурлу-Даг (6839 или 6930) и отсюда к высотам 3080 Саят-Даг (7868) деревня Курт-Кула, Кьюрт-Кулаг гора Гамесур-Даг (8160 высота 8022 Куки-Даг (10282) и восточная административная граница прежнего Нахичеванского округа.

(М.П.) подп. Асканаз Мравян,
(М.П.) подп. Кязим Кара Бекир
(М.П.) подп. Погос Макинзиан,
(М.П.) подп. Вели Бей
(М.П.) подп. Бебут Шах-тахтинский,
(М.П.) подп. Муштар Бей
(М.П.) подп. Шалва Элиава,
(М.П.) подп. Мемду Шеврет Бей
(М.П.) подп. Александр Сванидзе,
(М.П.) подп. Ганецкий.

Договор ратификован ВЦИК 16 марта 1922 г.

მოკლე ცნობები წიგნში მოხსენებულ პიროვნებათა შესახებ

ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1874-1944, შვარცენფელდი, გერმანია) – ავალიშვილთა თავადური გვარის წარმომადგენელი, გამოჩენილი ქართველი იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, დიპლომატი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1917), მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში, სადაც ასწავლიდა 1918-1921 წლებში. 1993 წ. მაისში მისი ნეშტი თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადმოსვენეს.

უილიამ ედვარდ დევიდ ალენი (William Edward David Allen, 1901-1973) – ბრიტანელი მეცნიერი, პოლიტიკოსი, ბიზნესმენი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ლინგვისტი. ჰქონდა ფაშისტური ტენდენციები, იყო ოსვალდ მოსლის ახლო მეგობარი, თუმცა არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, სტატიებს ანონიმურად წერდა და წიგნი *BUF, Oswald Mosley and British Fascism* (1934) ფსევდონიმით გამოაქვეყნა. მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ბევრს მოგზაურობდა და ფართოდ გამოიკვლია კავკასიისა და ანატოლიის ხალხების ისტორია. როგორც დიპლომატი 1943 წლიდან მუშაობდა ანკარაში საგანგებო მრჩევლად. კავკასიის შესახებ წიგნების (ყველა წიგნი ინგლისურ ენაზე) მისი კოლექცია საუკეთესოა დასავლეთში. ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც სამხრეთ კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიკოსი. 1930 წ. სერ ოლივერ უორდროპთან ერთად დააარსა ქართული ისტორიული საზოგადოება. 1953 წ. პაველ მურატოვთან ერთად გამოაქვეყნა წიგნი „კავკასიის ბრძოლათა ველები“ (Caucasian Battlefields, რუსულ თარგმანში «*Битвы за Кавказ*»). მისი უკანასკნელი წიგნი „რუსეთის ელჩობა საქართველოს მეფეებთან (1589-1605)“ [(Russian Embassies to the Georgian Kings (1589-1605))] ორ ტომად გამოქვეყნდა 1970 წ. არსებობს მონაცემები, რომ რკინის ფარდის პერიოდში რამდენჯერმე გადმოლახა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი საქართველოში. მისი ბიბლიოთეკის ნაწილი,

რომელშიც რამდენიმე ხელნაწერიც არის ქართულ ენაზე, ინდიანას უნივერსიტეტის ლილის ბიბლიოთეკაში ინახება.

მიხაილ ვასილის ძე **ალექსეევი** (1857-1918) – რუსი სამხედრო, დაიბადა ზევადიანი სამსახურის ყოფილი ჯარისკაცის ოჯახში, 1876 წ. დაამთავრა მოსკოვის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. რუსეთ-თურქეთის (1877-1878), და რუსეთ-იაპონიის (1904-1905) ომების მონაწილე, პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის არმიების შტაბის უფროსი, ჩრდილო-დასავლეთ ფრონტის არმიების მთავარსარდალი, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი (1914 წ. 24 სექტემბრიდან), უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსი (1915 წ. აგვისტოდან). თებერვლის რევოლუციის დროს გამოვიდა ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგომის მომხრედ და თავისი მოქმედებებით ხელს უწყობდა იმპერატორის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებას. სამოქალაქო ომის დროს თეთრი მოძრაობის აქტიური მონაწილე, მოხალისეთა არმიის ერთ-ერთი შემქმნელი და უმაღლესი ხელმძღვანელი. მონაწილეობდა მოხალისეთა არმიის პირველ და მეორე ყუბანის ლაშქრობებში. გარდაიცვალა ფილტვების ანთებით, დაასაფლავეს ეკატერინოდარში წმ. ეკატერინეს ეკლესიაში. 1920 წ. დასაწყისში თეთრი ჯარების უკანდახვევისას გენერლის ნეშტი მისი ქვრივის თხოვნით სერბეთში გაიტანეს ნათესავებმა და თანამებრძოლებმა, რომლებსაც ბოლშევიკების მიერ მისი საფლავის შებილწვის ეშინოდათ, და ბელგრადში დაასაფლავეს.

ვიადა არტურის ასული **არუთინოვა-ფიდანია** (დაიბ. 1937 წ.) – სსრკ-ისა და რფ-ის მეცნიერი, ბიზანტინისტი, არმენოლოგი და კავკასიოლოგი.

გიორგი პავლეს ძე **არჯევანიძე** (1863-1940) – სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1916). 1881 წლიდან იყო რუსეთის სამხედრო სამსახურში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში (1905 წ. აგვისტოდან). პირველი მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა არზრუმის ციხე-სიმაგრის გარემოცვა-აღებაში, ხელმძღვანელობდა ბრძოლას კუპდალის გადასასვლელისთვის. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს არმიაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წითელ არმიაში შევიდა. 1921 წ. იყო ქართული წითელი არმიის სარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი,

1922 წ. მაისიდან ასწავლიდა ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, ხოლო 1927 წ. სექტემბრიდან – ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლაში. 1928 წ. იანვრიდან პერსონალური პენსიონერი.

სერგეი სტანისლავის ძე **ბალმასოვი** – კრიზისული საზოგადოების ცენტრის შესწავლის ანალიტიკოსი, ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის ექსპერტი.

ჰაიდარ **ბამატი** (1890-1965, პარიზი) – XX საუკუნის I ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნებით ყუმიხი. დაიბადა რუსეთის იმპერატორის არმიის პორუჩიკის ოჯახში. დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1912 წ. შემოდგომიდან 1917 წ. თებერვლის რევოლუციის დაწყებამდე მსახურობდა ტფილისში. 1916 წ. ბოლოს აირჩიეს ტფილისის მაჰმადიანური საქველმოქმედო კომიტეტის თავმჯდომარედ. მონაწილეობდა ტრაპიზონისა და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციებში, რომელზედაც ის ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის კავკასიურ კონფედერაციად გაერთიანების წინადადებით გამოვიდა. 1921 წ. თებერვალში, საქართველოში წითელი არმიის შეჭრის წინ, ის აზერბაიჯან მთიელთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ეს კომიტეტი აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის კანონიერ მთავრობად აღიარა. ტფილისს მე-11 წითელი არმიის ნაწილებისგან მისი შეიარაღებული ნაწილებიც იცავდნენ. 1921 წლიდან ბამატი ემიგრაციაშია. კითხვაზე, რომელიც ყოველთვის ტანჯავდა, – რატომ არ შედგა მთიელთა რესპუბლიკა, ბამატი შეეცადა პასუხი გაეცა თავის მთავარ წიგნში „ისლამის სახეები“, რომელიც ლოზანაში გამოიცა 1946 წ., ხელახლა გამოიცა ქაიროში 1956 წ. არაბულ ენაზე, პარიზში – 1959 წ. და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. წიგნს ძალიან დიდი წარმატება ჰქონდა. დასაფლავებულია პარიზის ახლოს ბობინის მუსლიმანურ სასაფლაოზე.

ნიკოლაი **ბარათოვი** (1865-1932) – კავალერიის პოპულარული რუსი გენერალი, თერგის კაზაკების ჯარის აზნაურობიდან, წარმომობით ქართველი (ნამდვილი გვარი ბარათაშვილი). 1812 წ. 26 ნოემბრიდან იყო კავკასიის 1-ლი კაზაკთა დივიზიის უფროსი, რომელთან ერთად ჩაება ომში. 1915 წლიდან მეთაურობდა ცალკე

საექსპედიციო კორპუსს სპარსეთში. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რამდენიმე თვეს ინდოეთში ცხოვრობდა, შემდეგ თეთრ მოძრაობას შეუერთდა. 1918 წლიდან რუსეთის სამხრეთის მოხალისეთა არმიისა და შეიარაღებული ძალების გენერლის დენიკინის წარმომადგენელი იყო ამიერკავკასიაში (ტფილისში). 1919 წ. 12 სექტემბერს საბჭოების აგენტმა არკადი ელბაქიძემ გრანატა ესროლა ავტომობილს, რომლითაც ტფილისის ცენტრში, ვერის დადმართზე ბარათოვი თავის ქართველ კოლეგა ილია ოდიშელიძესთან ერთად მიდიოდა. ბარათოვი მძიმედ დაიჭრა (ფეხის ამპუტაცია). ემიგრაციაში საფრანგეთში ცხოვრობდა. დასაფლავებულია სენტ-ჟენევიევ დე ბუას რუსულ სასაფლაოზე.

ზაქარია (შაქრო) **ბაქრაძე** (Zachariasz Bakradze; 1868-1938) – ქართული არმიის, ასევე პოლონური არმიის გენერალი. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც დაიჭრა. პირველი მსოფლიო ომის დროს დაატყვევეს ავსტრიელებმა. 1918 წ. დაბრუნდა. 1919 წ. ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა. მონაწილეობდა 1821 წ. თებერვალსა და მარტში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. პოლონეთში 1922 წ. გადავიდა. ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში. დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი პოლკოვნიკი, 1943 წ. გამართულ თეირანის კონფერენციაზე ინგლისის მხარის ერთ-ერთი წარმომადგენელი მერაბ კვიციანი იგონებდა: „ზაქარია იყო დიმიტრი ბაქრაძის შვილიშვილი... გენერალი ბაქრაძე იყო ყველაზე მეტი ორდენების კავალერი მხოლოდ ქართველებს შორის კი არა, საერთოდ იმათ შორის, ვინც მე შემხვედრია...“

ვასილ დავითის ძე **გაბაშვილი** (რუსიფიცირებული სახელით – Василий Давидович Габаев, 1853-1933) – ქართველი სამხედრო მეთაური რუსეთის იმპერიის და შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1869 წ. 2 დეკემბერს. მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. დააჯილდოვეს წმ. სტანისლავის მე-3-ე ხარისხის ორდენით ხმლებითა და ბანტით. 1878 წ. 15 აგვისტოდან პორუჩიკი, დააჯილდოვეს წმ. ანას მე-3-ე ხარისხის ორდენით, ხმლებითა და ბანტით, 1880 წ. – წმ. ვლადიმირის მე-4-ე ხარისხის ორდენით ხმლებითა და ბანტით, 1883 წ. – წმ. სტანისლავის მე-2-ე

ხარისხის ორდენით. 1908 წ. 19 თებერვლიდან მეთაურობდა კავკასიის გრენადერთა დივიზიის 1-ლ ბრიგადას, 28 ნოემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1911 წ. დააჯილდოვეს წმ. სტანისლავის 1-ლი ხარისხის ორდენით. 1913 წ. მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში. 1914 წ. სექტემბრიდან 1915 წ. ივლისამდე იყო კავკასიის მოტომსროლელთა მე-3-ე ბრიგადის მეთაური. 1915 წ. 17 მაისს დააჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით, 1917 წ. 6 ოქტომბერს – წმ. გიორგის ხმლით. 1916-1917 წლებში იყო ტფილისის სამხედრო კომენდანტი, რის შემდეგაც დაინიშნა ახლადშექმნილი ქართული სამხედრო კორპუსის მეთაურად. შეინარჩუნა უმაღლესი სამხედრო პოსტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში, გავიდა პენსიაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ევგენი პეტრეს ძე **გაგაჭორი** (1881-1954) – მენშევიკი. 1906 წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1903 წ. გაწევრიანდა რსდმპ⁷³⁶-ში. 1907-1912 წლებში იყო III სახელმწიფო სათათბიროს წევრი ქუთაისის გუბერნიიდან, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. იყო ამიერკავკასიის მენშევიკ-ესერთა პირველი მოწვევის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. 1917 წ. 28 ნოემბრიდან იყო ამიერკავკასიის

⁷³⁶ რსდმპ – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (Российская социал-демократическая рабочая партия – РСДРП) – დაარსდა რუსეთის იმპერიაში 1898 წ. მარტში ყრილობაზე მინსკში. 1912 წლიდან რუსეთში მოქმედებდა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი – ბოლშევიკებისა და მენშევიკების – ორგანიზაცია. 1917 წ. გაზაფხულ-ზაფხულში ბოლშევიკებმა საბოლოოდ აიღეს კურსი პროლეტარულ რევოლუციაზე და ჩამოყალიბდნენ ცალკე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიად (ბოლშევიკების) [Российская социал-демократическая рабочая партия (большевиков) – РСДРП(б)], რომელსაც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გადაერქვა სახელი – რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების) [Российская Коммунистическая партия (большевиков) – РКП(б) და, ბოლოს, – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია (სკკპ). 1922 წ. ივლისში რსდმპ-ის ცკ დაარბიეს პოლიციელებმა (ჩეკისტებმა). 1923 წ. ხელისუფლების მიერ დევნილი რსდმპ არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. 1925 წ. ზაფხულში რსდმპ-მ სსრკ-ში ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა, საზღვარგარეთ მოქმედებდა 1960-იანი წლების შუახანებამდე.

კომისარიატის (სეიმი) პირველი თავმჯდომარე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1918 წ. 2 ივნისს დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად, 1919 წ. 12 მარტს დაიკავა ჯერ საგარეო საქმეთა, ხოლო 1921 წ. – იუსტიციის მინისტრის პოსტი. 1921 წ., საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად დატოვა საქართველო. იმ წლიდან თეთრი ემიგრანტი.

ანატოლი ილიას ძე **გვერდი** (1888-1937) – საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, *комкор* (*командир корпуса* – კორპუსის მეთაური). დაიბადა ტფილისში, სამხედრო ექიმის ოჯახში. 1918 წ. გაზაფხულზე წითელი არმიის ნაწილების ერთ-ერთი ორგანიზატორი გახდა. იაროსლავლის აჯანყების (სამოქალაქო ომის ეპიზოდი, თეთრგვარდიელების ანტიბოლშევიკური გამოსვლა 1918 წ. 6-21 ივლისს იაროსლავლში) ჩახშობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1920 წ. აპრილ-აგვისტოში რესპუბლიკის შინაგანი სამსახურის ჯარების (საბჭოთა რუსეთის სპეციალური ფორმირებები, ასრულებდნენ სახელმწიფოს ზურგის დაცვას) შტაბის უფროსი იყო, შემდეგ მე-11-ე არმიის მეთაური გახდა. მონაწილეობდა კრონშტადტის ამბოხების ჩახშობაში. 1929 წლიდან სამხედრო ატაშეა თურქეთში. „ანტისაბჭოთა ტროცკისტული სამხედრო ორგანიზაციის საქმეზე“ მის წინააღმდეგ ჩვენებები მისცეს მ. ტუხაჩევსკიმ, ვ. პრიმაკოვმა და ბ. ფელდმანმა. 1937 წ. 30 მაისს დააპატიმრეს. სასამართლოზე ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა, მიუსაჯეს სიკვდილი და დახვრიტეს იმავე წლის 1 ივლისს. რეაბილიტირებულია 1957 წ.

ვლადიმირ მიხაილის ძე **გიტისი** (1881-1938) – საბჭოთა სამხედრო, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადავიდა. 1918 წ. თებერვალში შევიდა წითელ არმიაში. ფრონტების სარდალი სამოქალაქო ომის დროს, 1920 წ. 15 მაისიდან 1921 წ. 29 მაისამდე სარდლობდა კავკასიის ფრონტს. 1925 წ. შევიდა სკკპ-ში. 1935 წ. *Комкор* (*командир корпуса* – კორპუსის მეთაური) 1938 წ. კონტრრევოციურ სამხედრო ორგანიზაციაში და შპიონაჟში მო-

ნაწილეობის ბრალდებით დახვრეტა მიუსაჯეს დახვრეტილია „კომუნარკაზე“⁷³⁷.

ნაჯმუდინ **გოცოელი** (1859-1925) – 1917-21 წლებში მუსლიმანური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დაღესტანში, ეროვნებით ავარელი, დაიბადა სოფელ გოცოში. ჩრდილო კავკასიისა და დაღესტნის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის სულიერი საბჭოს თავმჯდომარე (მუფტი). აირჩიეს ჩრდილო კავკასიის მთიელთა იმამად. დახვრიტეს დონის როსტოვში ჩრდილო კავკასიის მხარის **ОГПУ**-ს წარმომადგენლობის გადაწყვეტილებით. 12 წლის შემდეგ დახვრიტეს მისი 16 წლის ვაჟი და ორი ქალიშვილი.

ბოგდან **გურჯიცი**, ბოგდან გურჯი (Gurdzicki; „გურჯი“ – ქართველების სახელწოდება თაფურქულ და ირანულ ენებში) – წარმოშობით ქართველი დიპლომატი პოლონეთის სამეფო კარზე მ. თამარაშვილის მოსაზრებით მისი გვარი ალავერდიშვილი ყოფილა. ქართულ, უცხოურ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ბუგდან, ბუღდან, ბუღდან-ბეგის სახელით. ეკუთვნოდა ქართლის აზნაურთა სოციალურ ფენას. XVII საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა და ქართლის მეფის როსტომის ქვეშევრდომი იყო. შესაძლოა, სწორედ მისი საგანგებო დავალებით პოლონეთში მოხვდა, ოცდაათი წლის განმავლობაში იყო პოლონეთის სამი მეფის ელჩი და დიპლომატი; 1676-99 წლებში პოლონეთის მეფის ელჩი და რეზიდენტი იყო ირანის სამეფო კარზე. კავშირი ჰქონდა ქართლის მეფეებთან – ვახტანგ V შაჰნავაზთან და გიორგი XI-სთან. გარდაიცვალა 1700 წ. სპარსეთიდან ვარშავაში მიმავალი მოსკოვში და იქვე დაკრძალული.

ანტონ ივანის ძე **დენიკინი** (1872-1947) – რუსი სარდალი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მემუარისტი, პუბლიცისტი და სამხედრო დოკუმენტალისტი. მამა წარმოშობით სარატოვის გუბერნიის ყმა გლეხებიდან იყო, დედა – ეროვნებით პოლონელი, გადარიბებულ აზნაურთა (შლიახტა) წრიდან. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. რუსული საიმპერატორო არმიის ერთ-

⁷³⁷ დასახვრეტი პოლიგონი – НКВД-ს ობიექტი მოსკოვის ოლქში, ახლა ამავე სახელის მემორიული სასაფლაო

ერთი ყველაზე შედეგიანი გენერალი პირველ მსოფლიო ომში. 1916 წლიდან გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი. 1917 წ. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფრონტების სარდალი. სამოქალაქო ომის წლებში თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი ხელმძღვანელი, მისი ლიდერი რუსეთის სამხრეთში; პირველი მოლაშქრე (первопоходник – 1918 წ. ზამთარსა და გაზაფხულზე ყუბანის პირველი (ყინულოვანი) ლაშქრობის მონაწილეთა სახელწოდება). მოხალისეთა არმიის ერთ-ერთი ძირითადი ორგანიზატორი, შემდეგ კი – სარდალი (1918-1919). რუსეთის სამხრეთის შეიარაღებული ძალების (რსშმ) მთავარ-სარდალი (1919-1920), რუსული არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ადმირალი კოლჩაკის მოადგილე (1919-1920) და მისი ოფიციალური მომავალი შემცვლელი რუსეთის უმაღლესი მმართველის პოსტზე (1919 წ. 22 დეკემბრიდან, უარი თქვა თანამდებობის დაკავებაზე). 1920 წ. აპრილიდან ემიგრანტია. რუსი ემიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური მოღვაწე. მოგონებების – რუსეთში სამოქალაქო ომის შესახებ ფუნდამენტური ისტორიულ-ბიოგრაფიული ნაწარმოების «Очерки русской смуты» (1921-1926), მოგონებების – «Старая армия» (1929-1931), ავტობიოგრაფიული მოთხრობის – «Путь русского офицера» (გამოიცა 1953 წ.) და სხვა ნაწარმოებთა ავტორი. გარდაიცვალა გულის შეტევით მიჩიგანის უნივერსიტეტის საავადმყოფოში, ამერიკის ხელისუფლებმა სამხედრო პატივით დაკრძალეს, როგორც მოკავშირე არმიის მთავარსარდალი. 2005 წ. 3 ოქტომბერს მისი და მისი ცოლის ნეშტები მოსკოვში გადმოასვენეს და დონის მონასტერში დაასაფლავეს.

დანიილ პავლეს ძე **დრაგენკო** (1876-1945) – რუსი მხედარმთავარი, პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების მონაწილე. ომში მონაწილეობდა კავკასიის ფრონტზე. თავი გამოიჩინა ერზურუმის აღების, სადაც წმ. გიორგის ხმლით დააჯილდოვეს, და ტრაპიზონის აღებისას. 1918 წლიდან მოხალისეთა არმიამია. 1919 წ. ბოლოს – 1920 წ. დასაწყისში რსშმ-ის უკან დახევის შემდეგ ჯერ დენიკინის, შემდეგ ვრანგელის წარმომადგენელი იყო ბათუმში. ყირიმიდან ევაკუაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა იუგოსლავიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს რუსი ემიგრანტებისა და ნაცისტური გერმანიის მხარეზე მებრძოლი სსრკ მოქალაქეებისგან შედგენილ რუსულ დამცველ კორპუსში (*Russisches*

Schutzkorps Serbien) შევიდა. ემიგრაციაში შეადგინა „ჩანაწერი“ სარიყამიშის, ევფრატისა და ერზურუმის ოპერაციების მსვლელობაში სადაზვერვო განყოფილების მუშაობისა და ერზინჯანის ოპერაციაში 39-ე დივიზიის მონაწილეობის შესახებ. ხელნაწერი კოლუმბიის უნივერსიტეტის ბახმეტიევის არქივში გენერალ ე. ვ. მასლოვსკის ქაღალდებში ინახება.

დრექსლერი ანტონ (Anton Drexler; 1884-1942) – დამაარსებელი გერმანიის მუშათა პარტიისა, რომელსაც შემდეგ გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის სახელწოდებით პიტლერი ჩაუდგა სათავეში.

ისმაილ **ენვერი** [ენვერ-ფაშა (Enver Paşa), თავდაპირველად ენვერ ბეი, 1881 – 1922 წ. 4 აგვისტო] – ოსმალეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, იმპერიის სამხედრო მინისტრი პირველი მსოფლიო ომის წლებში, პანთიურქიზმის იდეოლოგი და პრაქტიკოსი, ახალგაზრდა თურქების პარტიის „ერთიანობისა და პროგრესის“ ერთ-ერთი ლიდერი, 1915 წ. სომხების გენოციდის მონაწილე და იდეოლოგი, ბასმაჩური (თურქ. „ბასმაჯ“ – თავდასხმა) მოძრაობის (XX საუკუნის I ნახევარში რუსეთის 1917 წ. რევოლუციის შემდეგ აღმოცენებული, შუა აზიის ადგილობრივ მცხოვრებთა სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური პარტიზანული მოძრაობა) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მოკლა იაკობ მელკუმოვმა (აკოფ მელკუმიანმა), რომელიც სპეციალურად ეძებდა მას როგორც გენოციდის ერთ-ერთ მონაწილეს, წითელი არმიის ნაწილებთან ბრძოლაში თანამედროვე ტაჯიკეთის ტერიტორიაზე. ხმლის დარტყმით წაჭრილი ჰქონდა თავი და ტორსის ნაწილი, გვერდით ყურანი ედო. მისი საფლავი, რომელსაც წმინდა შაჰის მავზოლეუმი (მაზორ ჰაზრათი-შოჰ) უწოდეს, მუსლიმანთა პილიგრიმობის ადგილი გახდა. ენვერ-ფაშას ნეშტი 1996 წ. 4 აგვისტოს საზეიმოდ გადაეცა თურქეთის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს.

ივან გიორგის ძე **ერდელი** (1870-1939) – რუსი სარდალი, კავალერიის გენერალი. მისი წინაპრები იყვნენ უნგრელი აზნაურები, რომლებმაც მართლმადიდებლობა მიიღეს. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო და სამოქალაქო ომებში. მოხალისეთა არმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თეთრი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე რუსეთის

სამხრეთში. პირველი მოლაშქრე (первопоходник – 1918 წ. ზამთარსა და გაზაფხულზე ყუბანის პირველი (ყინულოვანი) ლაშქრობის მონაწილეთა სახელწოდება) 1919 წ. იანვარში მიავლინეს ამიერკავკასიაში ინგლისის სარდლობის წარმომადგენლებთან კავშირის დასამყარებლად. 1919 წ. აპრილიდან გენერალი ლიახოვი შეცვალა მთავარსარდლისა და თერგ-დადესტნის მხარის ჯარის სარდლის თანამდებობაზე. 1920 წ. ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. მუშაობდა აკომპანიატორად, შოფრად. დასაფლავებულია სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას რუსულ სასაფლაოზე.

მეჰმედ **ვეჰიბ-ფაშა**, შემდგომ ვეჰიბ კაჩი (Vehip Kaçı; 1877-1940) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალი, ბალკანეთისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე. 1916 წ. მისი არმია რამდენჯერმე დამარცხდა რუსეთის ჯარებთან. 1918 წ. ომიდან რუსეთის გამოსვლის შემდეგ ვეჰიბის არმია შეტევაზე გადავიდა და ყველა დაკარგული ტერიტორია დაიბრუნა.

ევგენი ევგენის ძე **ვიშინსკი (1873-1920)** – გენერალ-ლეიტენანტი, ერივანის მე-13-ე ლეიბ-გვარდიის პოლკის მეთაური. წმ. გიორგის ორდენის კავალერი. სამხედრო აღმოსავლეთმცოდნე, სწავლობდა ამიერკავკასიასა და თურქეთს.

ბარონი პიოტრ ნიკოლაის ძე **ვრანგელი (1878-1928)** – რუსი სარდალი, წარმოშობით ძველი აზნაურული ოჯახიდან, რომელიც თავის წარმომავლობას XIII საუკუნის დასაწყისიდან იღებს (გვარის დევიზი – „გამტეხავ, მაგრამ ვერ მომდრეკ“), მეტსახელად „შავი ბარონი“ თავისი ტრადიციული (1918 წლიდან) ყოველდღიური ფორმის ტანსაცმლის – მასრებიანი შავი კაზაკური ჩოხის გამო; განათლებით ინჟინერი. რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი (1918); სამოქალაქო ომის დროს თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი, რუსული არმიის მთავარსარდალი ყირიმსა და პოლონეთში (1920). პირველ მსოფლიო ომს შეხვდა ცხენოსანთა პოლკის ესკადრონის მეთაურად როტმისტრის წოდებით. დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით, 1915 წ. 10 ივნისს დააჯილდოვეს წმ. გიორგის ხმლით. 1917 წ. ზაფხულში წარმატებულად ჩატარებული ოპერაციისთვის გენერალი ვრანგელი დაჯილდოვდა ჯარისკაცის წმ. გიორგის მე-4-

ე ხარისხის ორდენით დაფნის რტოთი. 1918 წ. აგვისტოში შევიდა მოხალისეთა არმიაში, ამ დროისთვის ჰქონდა გენერალ-მაიორის წოდება. 1920 წ. 4 აპრილს დენიკინმა რსშმ-ის მთავარსარდლის პოსტი ვრანგელს გადასცა და იმავე დღეს ინგლისში გაემგზავრა. იალტაში ჩატარებულ სხდომაზე რუსეთის იმპერიის მმართველმა სენატმა გამოსცა ბრძანება, სადაც განაცხადა, რომ „ახალ სახალხო ბელადს“ ამიერიდან „ეკუთვნის მთელი ძალაუფლება, სამხედრო და სამოქალაქო, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“. 1920 წ. ექვსი თვის განმავლობაში ვრანგელმა, რუსეთის სამხრეთის მმართველმა და რუსული არმიის მთავარსარდალმა, ყირიმში რამდენიმე ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეთა არმია მაშინ ჩაიბარა, როცა თეთრი საქმე უკვე წაგებული იყო მის წინამორბედთა მიერ, ყველა შესაძლებლობით ეცადა სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ სამხედრო წარუმატებლობის გამო იძულებული გახდა, გაეყვანა არმიის ნარჩენები და სამოქალაქო მოსახლეობა, რომლებსაც ბოლშევიკების ძალაუფლების ქვეშ დარჩენა არ სურდათ. ანტანტის სატრანსპორტო და სამხედრო-საზღვაო გემების დაცვით ორგანიზებულად ჩატარდა დაახლოებით 100.000 ადამიანის კონსტანტინოპოლში ევაკუაცია. ბოლშევიკების მიერ ყირიმის დაპყრობის შემდეგ ვრანგელის იქ დარჩენილი ხალხისგან 1920 ნოემბრიდან 1921 მარტამდე ისტორიკოსების შეფასებით დახვრიტეს 60.000-დან 120.000-მდე ადამიანი, ოფიციალური საბჭოთა მონაცემებით – 52.000-დან 56.000-მდე. 1920 წლიდან ვრანგელი ემიგრაციაშია. 1927 წ. სექტემბერში ოჯახთან ერთად ბრიუსელში გადავიდა, მუშაობდა ინჟინრად. უეცრად გარდაიცვალა ჭლექით ანაზღეულად დაავადების შემდეგ. მის ახლობელთა ვარაუდით მოწამლა მისი მოსამსახურის ძმამ, ბოლშევიკების აგენტმა.

მეჰმედ თალათ-ფაშა (Mehmed Talat Paşa, 1874-1921) – ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე. შინაგან საქმეთა მინისტრი (1913-1917), დიდი ვეზირი (1917-1918), ახალგაზრდა თურქების „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. სომეხთა მასობრივი დეპორტაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1919 წ. კონსტანტინოპოლში საგანგებო საველე სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა სასიკვდილო განაჩენი „ოსმალეთის იმპერიაში სომხური მოსახლეობის განადგურებისათვის“. დახვრიტა

სომეხმა სოლომონ ტელირიანმა ბერლინში, ოპერაცია ნემესისის (ითვალისწინებდა სომხეთის გენოციდში დამნაშავეების დასჯას, რომელთა სიაშიც პირველი ადგილი თალაათ-ფაშას ეკავა) ფარგლებში. ბერლინის სასამართლომ ტელირიანს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. ამ პროცესზე ტელირიანის გერმანელმა ადვოკატმა, კერძოდ, თქვა: „თალაათ-ფაშა, ენვერ-ფაშა, ჯემალ-ფაშა და ნიაზიმ-ბეი, რომლებიც თავის თავს „ისლამის დამცველებს“ უწოდებდნენ, სინამდვილეში ათეისტები იყვნენ!“

ვალერიან თევზაძე (1892-1985) – ქართველი ოფიცერი, საქართველოსა და პოლონეთის სამხედრო მოღვაწე. პირველი მსოფლიო ომის დროს კაპიტანი თევზაძე მსახურობდა რუსეთის არმიის კავკასიის მსროლელთა მე-8-ე პოლკში, სადაც ქართველ ჯარისკაცთა შორის წერა-კითხვის გავრცელებას უწყობდა ხელს. 1917 წ. დეკემბერში თბილისში დაბრუნდა და საქართველოს ჯარის შემადგენლობაში შევიდა. 1918-1921 წლებში მონაწილეობდა ოსმალეთთან, სომხეთთან, დენიკინელებთან, მესხეთის აჯანყებულ მაჰმადიანებთან და საბჭოთა რუსეთის ჯარებთან ბრძოლებში. ასრულებდა საიდუმლო სამხედრო მისიებს ოკუპირებულ აჭარასა და სოჭის ოკრუგში. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, ჯერ თურქეთსა და გერმანიაში, შემდეგ კი – პოლონეთში. ჩაირიცხა პოლონეთის არმიაში, როგორც საკონტრაქტო ოფიცერი. 1923-1924 წლებში სწავლობდა პოლონეთის უმაღლეს სამხედრო სკოლაში, სადაც მოიპოვა დიპლომირებული ოფიცრის წოდება. 1928 წ. სწავლობდა სამხედრო გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1933 წ. ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი „კავკასია. გეოგრაფიული აღწერილობა“ (*Kaukaz. Szkic Geograficzno-Opisowy*). 1939 წ. გერმანიის პოლონეთზე თავდასხმის დროს სარდლობდა ვარშავის დაცვის ჩრდილოეთ სექტორს. დაჯილდოვდა პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – *Virtuti Militari*-ის ვერცხლის ჯვრით. Tomasz-ის ფსევდონიმით შეუერთდა პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობას. 1944 წ. დაინიშნა არმია კრაიოვას მე-7-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად. 1988 წ. მაისში პარიზში გამომავალ ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა მის მიერ პოლონურ ენაზე დაწერილი მემუარები სახელწოდებით „განვლილი გზა“, რომელიც ქართულად თარგმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილმა იუნკერმა, პოლონეთის არმიის კიდევ ერთმა ქართველმა ოფიცერმა ნიკოლოზ

მათიკაშვილმა. 1990 წ. ეს მემუარები სათაურით „ქართველი ოფიცრის ჩანაწერები“ ცალკე წიგნად დაიბეჭდა თბილისში. ომის შემდეგ საბჭოთა რეპრესიებისგან თავის დაღწევის მიზნით შეცვლილი სახელითა და გვარით (ვალერი კრჟიჟანოვსკი, Walery Krzyżanowski) ცხოვრობდა და მუშაობდა ძერჟონიუვში (ქვემო სილეზია), სადაც გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად მის საფლავზე მინიშნებულია თევზადის ნამდვილი სახელი და გვარი და აწერია ეპიტაფია: „როგორც ქართველი, ვისურვებდი, რომ საქართველოში ვყოფილიყავი დაკრძალული, მაგრამ ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დავიკრძალე გმირი და კეთილშობილი პოლონელების მიწაზე“. 2009 წ. 18 მარტს ძერჟონიუვში გაიხსნა თევზადისადმი მიძღვნილი ობელისკი.

სერ უილიამ მონტგომერი **თომსონი** (1877-1963) – ბრიტანეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, 1918 წ. სექტემბრიდან 1919 წ. მასამდე სარდლობდა ჯარების ჩრდილო-სპარსულ ჯგუფს, შემდეგ – ამიერკავკასიის ბრიტანულ ძალებს. 1918 წ. 16 ნოემბერს ენზელიში შეხვდა მუსავატის პარტიის წარმომადგენლებს. ის უარყოფდა ინგლისელების მიერ შინაგან საქმეებში ჩარევას: „ხალხების თვითგამორკვევის პრინციპი მიღებულია პარიზის კონფერენციაზე და აზერბაიჯანი ამ პრინციპიდან გამორიცხული არ იქნება“. ბაქოში მოვიდა მეორე დღეს ბრიტანეთის ინდური არმიის დაახლოებით 2000 ჯარისკაცითა და რუსული ჯარის რაზმით ნიკოლაი ბარათოვის მეთაურობით.

გოტჰარდ **იეშკე** (Gotthard Jäschke, 1894-1983) – გერმანელი დიპლომატი და თურქოლოგი. სწავლობდა ფრაიბურგის უნივერსიტეტში ადვოკატურასა და თურქული ენიდან თარგმნას. 1914 წ. ომში გაიწვიეს, რამდენჯერმე მძიმედ დაიჭრა. 1918-1919 წლებში კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოში მუშაობდა, 1926-1927 წლებში ტფილისში გერმანიის გენერალური კონსული, 1927 წლიდან თურქეთში გერმანიის საელჩოში იურისტი იყო. დაწერილი აქვს 50 წიგნი და სტატია თურქეთის ისტორიაზე, მათ შორის პანთიურქიზმის, ნაციონალიზმისა და ომების შესახებ, კავკასიაში საომარი მოქმედებების ჩათვლით.

ნიკოლაი ნიკოლაის ძე **იუდენიჩი** – (1862-1933) – რუსი სამხედრო მოღვაწე, აზნაური მინსკის გუბერნიიდან. რუსეთ-იაპონიის ომში

წარჩინებისთვის დააჯილდოვეს ოქროს ხმლით წარწერით „მამაცობისთვის“ (ოქროს ხმალი „მამაცობისთვის“ – ჯილდოს ხმალი რუსეთის იმპერიაში, 1807-1913 წლებში მიეკუთვნებოდა „წარჩინების სხვა ნიშნებს“, 1913-1917 წლებში გადაარქვეს „გიორგის ხმალი“ და სტატუსით წმინდა გიორგის ორდენს გაუტოლეს); 1905 წ. უბოძეს წმ. ვლადიმირის მე-3-ე ხარისხის ორდენი ხმლებით, 1906 წ. – წმ. სტანისლავის 1-ლი ხარისხის ორდენი ხმლებით. რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გენერალი პირველ მსოფლიო ომში. ომის დაწყებისთანავე კავკასიის არმიის, რომელიც ოსმალთა იმპერიის ჯარებთან იბრძოდა, შტაბის უფროსი. ამ პოსტზე სარიყამიშის ბრძოლაში [1914 წ. 9 (22) დეკემბერი – 1914 წ. 22 დეკემბერი (1915 წ. 4 იანვარი)] მან ბოლომდე გაანადგურა თურქების ჯარი ენვერ-ფაშას სარდლობით. 1915 წ. 24 იანვარს მიანიჭეს ინფანტერიის გენერლის წოდება და დანიშნეს კავკასიის არმიის სარდლად. 1915 წ. ქვედანაყოფები მისი სარდლობით იბრძოდნენ ქ. ვანის რაიონში, 1916 წ. 13-16 თებერვალს მოიგო დიდი ბრძოლა ერზურუმთან, იმავე წლის 15 აპრილს დაიკავა ქ. ტრაპიზონი. ამ ბრძოლისთვის (ჯერ კიდევ მის დამთავრებამდე) დააჯილდოვეს წმ. გიორგის მე-2-ე ხარისხის ორდენით, რომელიც მის შემდეგ არავის აღარ მიუღია. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დანიშნული იყო კავკასიის ფრონტის მთავარსარდლად. თადარიგში გაშვების შემდეგ დატოვა ტფილისი და საცხოვრებლად პეტროგრადში გადავიდა. მისი ცოლის მოგონებით, იუდენიჩი როგორღაც შევიდა ბანკში თავისი დანაზოგიდან რაიმე თანხის ასაღებად, ბანკის მოსამსახურეებმა ის იცნეს და დაუყოვნებლივ მთელი ფულის ხელზე აღება და უძრავი ქონების გაყიდვა ურჩიეს. ცოლ-ქმარმა გაყიდეს სახლი ტფილისში და მიწები კისლოვოდსკში, ამ თანხამ ისინი ერთხანს და შემდეგ ემიგრაციის საწყის პერიოდში უზრუნველყო. ჰელსინგფორსში 1918 წ. შექმნილმა და რუსეთის მთავრობის როლზე პრეტენზიის მქონე „რუსულმა კომიტეტმა“ იუდენიჩი 1919 წ. იანვარში რუსეთის სამხრეთ-დასავლეთში თეთრი მოძრაობის ლიდერად გამოაცხადა. მის მიერ შექმნილ სამხედრო ძალაზე ყველაზე კარგად თვით იუდენიჩმა თქვა: „რუსულ თეთრ გვარდიას ერთი მიზანი აქვს, ბოლშევიკების გაყრა რუსეთიდან. პოლიტიკური პროგრამა გვარდიას არ აქვს. ის არც მონარქიულია და არც რესპუბლიკური... მისი ერთადერთი პროგრამაა – შორს ბოლშევიკები!“ 1920 წ. 22

ინვარს გამოაცხადა გვარდიის დაშლა და ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა საფრანგეთში, დასაფლავებულია ნიცაში.

არნოლდ ბორისის ძე **კადიშევი** – სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი. 1960 წ. Воениздат-მა გამოაქვეყნა მისი წიგნი “Интервенция и гражданская война в Закавказье 1918-1921”, რომელიც მაშინ დახურული იყო და განკუთვნილი იყო მხოლოდ სამხედრო აკადემიების მსმენელთათვის. იმის მიუხედავად, რომ წიგნი გაჟღერებული იყო საბჭოთა იდეოლოგიით, საინტერესოა თუნდაც იმით, რომ ერთადერთი იყო ნაჩვენები პერიოდის საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიის შესახებ.

ფირუზ **კაზემზადე** (1924-2017) – ამერიკელი ისტორიკოსი, იელის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი. ეროვნებით აზერბაიჯანელი. დაიბადა მოსკოვში, სადაც მისი დიპლომატი მამა (რომლის მამა ხანების ჩამომავალი აზერბაიჯანელისა და სომეხი ქალის ვაჟი იყო, დედა კი – ინგლისელი მამისა და რუსი დედის ქალიშვილი) სპარსეთის საელჩოში მუშაობდა. მოსკოვში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ გაემგზავრა აშშ-ში და შევიდა სტენფორდის უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1946 წ., ერთი წლის შემდეგ დაამთავრა მაგისტრატურა ამავე უნივერსიტეტში. 1950 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რუსეთის ისტორიაზე ჰარვარდის უნივერსიტეტში. ავტორია რამდენიმე წიგნისა რუსეთისა და ირანის ისტორიის შესახებ, ასევე მრავალრიცხოვანი სტატიებისა და რეცენზიებისა ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. უცილობელ ავტორიტეტად ითვლება ამიერკავკასიის სამი ქვეყნის 1918-1921 წლების ისტორიის საკითხებში. თავისუფლად ფლობდა სპარსულ, თურქულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს და ფრანგულის გარდა ყველა ენაზე უაქცენტოდ ლაპარაკობდა. იყო ბახაის რწმენის აღმსარებელი.

დრასტამატ მარტიროსის ძე **კანაიანი** (ცნობილია ფსევდონიმით „გენერალი დრო“; 1884-1956) – სომეხი გენერალი, პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. 1903 წ. გახდა პარტია დაშნაკუთიუნის წევრი. 1905 წ. 11 მაისს ააფეთქა ბაქოს გუბერნატორი მიხეილ ნაკაშიძე და მასთან მყოფი გ. თაყაიშვილი, რომლებიც სომხებისა და თათრების (აზერბაიჯანელების) შერიგებას ცდილობდნენ მათ შორის ბაქოში

მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ. პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, თავი გამოიჩინა ვანის ბრძოლაში. 1917 წ. ბოლოს დაინიშნა სომხური კორპუსის კომისრად. 1918 წ. დეკემბერში ხელმძღვანელობდა სომხეთის დამნაკური მთავრობის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ წამოწყებულ ომს. 1920 წ. ნოემბერში დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. 1921 წ. თებერვალში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებაში, რომლის ჩახშობის შემდეგაც ემიგრაციაში წავიდა. მეორე მსოფლიო ომში ხელმძღვანელობდა ნაცისტური გერმანიის სომხურ ლეგიონს, დაკომპლექტებულს საბჭოთა არმიის სომეხი ტყვეებითა და ევროპელი სომხებით. ომის შემდეგ ცხოვრობდა ლიბანში. გარდაიცვალა ბოსტონში (აშშ). 2000 წ. 28 მაისს მისი ნეშტი ქ. აპარანში გმირ მერძოლთა მემორიალის ახლოს გადმოასვენეს.

ლევ მიხაილის ძე **კარახანი**, *ლეონ კარახანიანი* (1889, ტფილისი – 1937) – წარმოშობით სომეხი რუსი რევოლუციონერი და დიპლომატი. დაიბადა ნაფიცი რწმუნებულის ოჯახში ქუთაისის გუბერნიიდან. დაამთავრა ტფილისის რეალური სასწავლებელი. 1904 წლიდან იყო რსდმპ-ის წევრი, მენშევიკი. 1934 წლიდან სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო თურქეთში. 1937 წ. 3 მაისს მოსკოვში გაიწვიეს, დააპატიმრეს და იმავე წლის 20 სექტემბერს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. დახვრიტეს იმავე დღეს. რეაბილიტირებულია 1956 წ.

ჰოვანეს **კაჩაზნუნი** (1868-1938) – „დამნაკვთიუნის“ პარტიის წევრი, 1918-1919 წლებში სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

ალექსანდრ ფიოდორის ძე **კერენსკი** (1881-1970) – რუსი პოლიტიკური მოღვაწე. წინაპრები მამის მხრიდან რუსი სასულიერო პირები იყვნენ, დედა ნ. ადლერი – რუსულ-გერმანული წარმოშობის აზნაური. 1904 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იყო ადვოკატი. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. 1915-1917 წლებში იყო პარამასონური ორგანიზაციის – რუსეთის ხალხთა დიდი აღმოსავლეთის

უმადლესი საბჭოს გენერალური მდივანი, ამ საბჭოში შედიოდნენ ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც იყვნენ ნ. ს. ჩხეიძე, ნ. ვ ნეკრასოვი და სხვ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითი მთავრობის მინისტრი, შემდგომში მინისტრ-თავმჯდომარე. ოქტომბრის გადატრიალების დღეს გაიქცა პეტერბურგიდან ფრონტზე და სათავეში ჩაუდგა კერენსკი-კრასნოვის ამბოხს, რომლის ჩახშობის შემდეგ დონზე გაიქცა. 1918 წ. ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, 1940 წლიდან ცხოვრობდა აშშ-ში. მემუარების, რუსეთის რევოლუციის შესახებ გამოკვლევებისა და დოკუმენტური პუბლიკაციების ავტორი. გარდაიცვალა ნიუ-იორკში. რუსულმა და სერბულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა უარი განაცხადეს მისთვის წესის აგებაზე, რადგან რუსეთში მონარქიის დაცემაში დამნაშავედ თვლიდნენ. გადაასვენეს ლონდონში, დასაფლავებულია სასაფლაოზე, რომელიც არც ერთ კონფესიას არ ეკუთვნის.

გიორგი კვინიტაძე (1874-1970) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი და უკანასკნელი მთავარსარდალი. 1884 წ. უკვე ოფიცერი იყო. 1904 წ. საკუთარი სურვილით მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომში. 1915 წ. დეკემბერში დაინიშნა კავკასიის ახლადშექმნილი მე-4 მსროლელი დივიზიის მეთაურად. არზრუმის ციხის აღებაში აქტიური მონაწილეობისთვის დაჯილდოვდა ოქროს ხმლით წარწერით „მამაცობისთვის“ და წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით. პირველ მსოფლიო ომში წარჩინებისთვის დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის მე-2-ე ხარისხის, წმ. ანას მე-2-ე ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-4-ე ხარისხის ორდენებით. 1917 წ. მაისიდან იყო კავკასიის მე-15-ე ქვეითი პოლკის მეთაური. 1918 წ., როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სამშობლოში დაბრუნდა. 1918-1921 წლებში არაერთხელ დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლად. 1921 წ., ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველო დატოვა. დარჩენილი ცხოვრება გაატარა საფრანგეთში. 1985 წ. პარიზში გამომცემლობა YMCA-PRESS-მა დასტამბა გ. კვინიტაძის მემუარები რუსულ ენაზე („Мои воспоминания в годы независимости Грузии, 1917-1921“). ქართულ ენაზე თბილისში გამოიცა 1998 წ.

ჟორჟ ბენჟამენ კლემანსო (*Georges Benjamin Clemenceau*; 1841-1929) – ფრანგი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ჟურნალისტი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი. საფრანგეთის აკადემიის წევრი (1918; უარი თქვა მიღების ცერემონიაზე). ხისტი ხასიათისა და პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისადმი მიმართ შეურიგებლობის გამო მიიღო მეტსახელი «le Tigre» („ვეფხვი“). მისი ერთ-ერთი ცნობილი ფრაზაა „ჩვენ გვსურს ბოლშევიზმის გარშემო რკინის ფარდა დავდგათ“.

ალექსანდრ ვასილის ძე კოლჩაკი – (1873-1920) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის იმპერიის მსახურეულ აზნაურთა წოდებიდან; სწავლული-ოკეანოგრაფი, პოლარული მკვლევარი (1900-1903), რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, 1905 წ. 12 დეკემბერს „პორტ-არტურთან მტრის წინააღმდეგ თავის გამოჩენისთვის“ ლეიტენანტი კოლჩაკი დააჯილდოვეს გიორგის ხმლით წარწერით „მამაცობისთვის“ (1917 წ. 5 ივნისს ბოლშევიკების მიერ ინსპირირებულ, მთავრობის მიერ არაკონტროლირებად მიტინგზე იარაღის ჩაბარების მოთხოვნაზე «Георгий Победоносец»-ის გემბანზე კოლჩაკმა სიტყვებით – «Японцы, наши враги – и те оставили мне оружие. Не достанется оно и вам!»⁷³⁸ – ხმალი ზღვაში გადააგდო. ადმირალის ამ ქესტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც რუსეთში, ისე მის საზღვრებს გარეთ). ფლოტის უფროსი (1915-1917), ადმირალი (1918). დროებითი მთავრობის დამხობასა და ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების აღებაზე, ბრესტში ლენინის მთავრობის გერმანიის ხელისუფლებთან მოლაპარაკების დაწყებასა და სეპარატულ ზავზე, რომელზე უფრო სამარცხვინო და კაბალური ვერ წარმოედგინა, კოლჩაკმა იაპონიის ნავსადგურ იოკოჰამაში გაიგო; ძალიან განიცდიდა მომხდარსა და რაიმეს შესაცვლელად თავის უღონობას: «Быть русским, быть соотечественником Керенского, Ленина... ведь целый мир смотрит именно так: ведь Иуда Искариот на целые столетия символизировал евреев, а какую коллекцию подобных индивидуумов дала наша демократия, наш «народ-богоносец»»⁷³⁹.

⁷³⁸ „იაპონელებმაც კი, ჩვენმა მტრებმა, დამიტოვეს იარაღი. არც თქვენ შეგხვდებათ!“

⁷³⁹ „იყო რუსი, იყო ლენინის, კერენსკის თანამემამულე... მთელი მსოფლიო ხომ სწორედ ასე გვიყურებს: იუდა ისკარიოტი ხომ მთელი საუკუნეები ებრაელების სიმბოლო იყო, ამგვარი ინდივიდუუმების რა კო-

სამოქალაქო ომის დროს იყო თეთრი მოძრაობის ხელმძღვანელი, რუსეთის უმაღლესი მმართველი და რუსული არმიის უმაღლესი მთავარსარდალი (1918 წ. ნოემბერი – 1920 წ. იანვარი). 1920 წ. იანვარში თეთრი ჯარების უკანდახვევისა და ციმბირიდან უცხოელ ინტერვენტთა ევაკუაციის დროს ირკუტსკში ჩეხოსლოვაკური კორპუსის მეთაურებმა გადასცეს ადგილობრივ ხელისუფლებს ჩეხოსლოვაკური ეშელონებისა და მოკავშირეთა სამხედრო მისიების ვლადივოსტოკისკენ თავისუფლად გადაადგილების სანაცვლოდ. მოკავშირეების მიერ გამცემლობის მთავარი მიზეზი იყო უმაღლესი მმართველის მიერ ჯერ კიდევ ომსკში გაკეთებული განცხადება, რომ ოქროს მარაგი, ისე როგორც ჩეხოსლოვაკების მიერ ძარცვით მოხვეჭილი ფასეულობები რუსეთის ქონებაა და ის საზღვარგარეთ მათ გატანას არ დაუშვებს. დახვრიტეს ირკუტსკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით 1920 წ. 7 თებერვალს.

ალექსანდრე **კონიაშვილი** (კონიევი, 1873-1951) – ქართველი სამხედრო მოღვაწე. რუსეთ–იაპონიის ომის დროს ირიცხებოდა ქვეითი ჯარის ოფიცრად. პირველი მსოფლიო დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, მონაწილეობდა სარიყამიშისა და არზრუმის ოპერაციებში. არზრუმის ციხე-სიმაგრის შტურმით ალებისას დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით. 1918 წლიდან ქართულ შეიარაღებულ ძალებშია. 1919 წ. გახდა გენერალ–მაიორი. 1921 წელს მეთაურობდა სახალხო გვარდიის ბატალიონებს. 1918 წ. ოქტომბრიდან, სოჭის კონფლიქტის დროს დაინიშნა სოჭის ოკრუგისა და შავიზღვისპირეთის გარნიზონის სარდლად. 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში, შემდეგ პოლონეთში. 1923 წლიდან ირიცხებოდა პოლონეთის ეროვნულ არმიაში. იყო პოლონეთის არმიის გენერალი. პოლონეთის არმიაში თითქმის ოცწლიანი მოღვაწეობის მანძილზე დაიმსახურა არაერთი მაღალი ჯილდო. პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ სამხედრო სამსახურიდან გადადგა. ცხოვრობდა ჯერ იტალიაში, 1939 წლიდან კი – არგენტინაში. გარდაიცვალა ბუენოს-აირესში. დაკრძალულია იქვე.

ლექცია მოგვცა ჩვენმა დემოკრატამ, ჩვენმა „ღვთის მატარებელმა ხალხმა“...

ჯელალ კორკმასოვი [(ჯელალედინ კორკმას (ყუმბიხების ენაზე „უმიშარი“), 1877-1937)] – სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, დიპლომატი და პუბლიცისტი. დაღესტნის რესპუბლიკის ფაქტიური დამაარსებელი და მრავალ წელს ხელმძღვანელი. ეროვნებით ყუმბიხი, ძველი აზნაურული გვარის შთამომავალი (მეუღლე ნატალია ფოცხვერია-კორკმასოვა). 1897 წ. შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ წავიდა საფრანგეთში, სადაც სწავლა გააგრძელა სორბონის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ასევე პარიზის სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის უმაღლეს სკოლაში. 1904-1906 წლებში ცხოვრობდა დაღესტანში, 1906 წ. აირჩიეს რუსეთის იმპერიის პირველი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დელეგატად. გამოვიდა დაღესტნის ოლქისთვის სპეციალურად მოფიქრებული ერობის სისტემის წინააღმდეგ. 1906 წ. იენისში დააპატიმრეს და გადასახლეს. 1907 წ. თებერვალში მიიღო გადასახლების ემიგრაციაზე გაცვლის თანხმობა და წავიდა პარიზში, სადაც სწავლა გააგრძელა სორბონში სამართლის ფაკულტეტზე. პარიზში დაუახლოვდა თურქ პოლიტემიგრანტ „ახალგაზრდა თურქებს“ ერთიანობა და პროგრესის პარტიიდან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა რუსეთში. რსდმპ(ზ) წევრი 1917 წლიდან. 1920 წ. აგვისტოდან კორკმასოვი (ამ დროს დაღესტნის მთავრობის მეთაური) ასევე რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (შ. ზ. ელიავას მისია) პირველი მრჩეველია თურქეთში. 1921 წ. 12 თებერვალს დელეგაცია კორკმასოვის მეთაურობით შეხვდა ლენინს, რომელსაც ის ემიგრაციიდან იცნობდა. მონაწილეობდა საბჭოთა მთავრობის სხვადასხვა ორგანოს მუშაობაში (1921 წ. მოლაპარაკებები და 16 მარტს მოსკოვ-თურქეთის ხელშეკრულების ხელმოწერა; 1923 წ. განსაკუთრებულ დავალებათა ელჩის რანგში მოლაპარაკებები იტალიისა და საფრანგეთის მთავრობებთან, და სხვ.) 1922 წლიდან სიკვდილამდე სსრკ-ის ცაკ-ის წევრი იყო. 1931 წ. აირჩიეს სსრკ-ის ცაკ-ის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. რეპრესირებულია 1937 წ. დასაფლავებულია დონის ახალ სასაფლაოზე მოსკოვში. რეაბილიტირებულია 1956 წ.

ლავრ გიორგის ძე კორნილოვი (1870-1918) – რუსი სარდალი, სამხედრო მზვერავი და ატაშე, მოგზაური-მკვლევარი (1898-1904, 1907-1911). რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომის გმირი.

საბრძოლო ნათლობა მიიღო სანდუკის ბრძოლაში (რუსეთ-იაპონიის ომის დიდი ბრძოლა); ხიმტების იერიშით გაარღვია ალყა და მისი უკვე განადგურებულად ჩათვლილი ბრიგადა მასთან მიერთებულ ნაწილებთან ერთად დაჭრილებითა და დროშებით სრული საბრძოლო წესრიგის დაცვით არმიასთან შესაერთებლად გაიყვანა. მისი მოქმედება მრავალი ორდენით, მათ შორის წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის („პირადი მამაცობისა და სწორი მოქმედებისთვის“ მუკდენტან) და წმ. გიორგის ხმლით აღინიშნა. 1907-1911 წლებში სპეციალისტ-აღმოსავლეთმცოდნის რეკლუტაციის მქონე კორნილოვი სამხედრო აგენტი იყო ჩინეთში. ამ პერიოდში მისი როგორც დიპლომატის საქმიანობა დაფასებული იყო არა მხოლოდ სამშობლოში წმ. ანას მე-2-ე ხარისხის ორდენით, არამედ ბრიტანეთის, საფრანგეთის, იაპონიისა და გერმანიის, რომელთა ჯილდოებიც მიიღო რუსმა მზვერავმა, დიპლომატებისგანაც. 1914 წ. 14 აგვისტოს დაინიშნა მეთაურად 48-ე ქვეითი დივიზიისა (მომავალი „ფოლადის“ დივიზიის), რომელიც გალიციასა და კარპატებში იბრძოდა და ყველა ოპერაციაში გამოირჩეოდა. „კორნილოვი ადამიანი კი არა, სტიქიაა“, ამბობდა ტყვედ აყვანილი ავსტრიელი გენერალი რაფტი. ჯარისკაცები პირდაპირ აღმერთებდნენ, მეთაური დიდი ყურადღებით ექცეოდა მათ ყოფას, წოდებით უმცროსებთან დამოკიდებულებას. 1917 წ. 2 მარტს დროებითმა მთავრობამ პეტროგრადის სამხედრო ოკრუგის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა. 5 მარტს ჩავიდა პეტროგრადში, მთავრობის ბრძანებით ცარსკოე სელოში იმპერატრიცასა და მისი ოჯახისთვის დაპატიმრების საცნობლად. ამაზე წავიდა იმიტომ, რომ მათი ხვედრი შეემსუბუქებინა. 19 ივლისს ინფანტერიის გენერალი კორნილოვი უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნეს (1917 წ. ივლისი – აგვისტო). სამოქალაქო ომის წლებში რუსეთის სამხრეთში თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მოხალისეთა არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და უმაღლესი მთავარსარდალი იყო. დაიღუპა ეკატერინოდარზე იერიშის დროს, საიდუმლოდ დაასაფლავეს გერმანულ კოლონია გნადაუში (Gnadau). ბოლშევიკებმა ამოთხარეს ნეშტი და ქალაქში დიდხანს თრევის შემდეგ გაანადგურეს. ბოლშევიკების ბოროტმოქმედებათა გამოძიების განსაკუთრებული კომისიის (შეიქმნა დენიკინის მიერ) დოკუმენტიდან: „გროვადან ცალკეულმა შეგონებებმა, არ შეემფოთებინათ უკვე უვნებლად გამხდარი მკვდარი ადამიანი, არ იმოქმედეს; ბოლშევიკების ბრბოს განწყობა

მძაფრდებოდა... ცხედარს უკანასკნელი პერანგი გააძვრეს... რამდენიმე კაცი ხეზე ავიდა და ცხედრის ატანა დაიწყეს... მაგრამ ბაწარი გაწყდა და ცხედარი ქვაფენილს დაენარცხა... დაიწყეს ყვირილი, რომ ცხედარი ნაფლეთებად უნდა დაეგლიჯათ... ბოლოს გასცეს ცხედრის ქალაქიდან გატანისა და დაწვის ბრძანება... ცხედრის ცნობა უკვე აღარ შეიძლებოდა: ის უკვე ხმლების დარტყმებისგან, მიწაზე თრევით დამახინჯებულ უფორმო მასას წარმოადგენდა... ბოლოს სხეული მიიტანეს ქალაქის საყასბოსთან... დაიწყეს დაწვა ბოლშევიკების ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების თანდასწრებით... ეს სამუშაო ერთ დღეში ვერ დაამთავრეს: მეორე დღეს გააგრძელეს საცოდავი ნეშტის დაწვა; წვავენ და ფეხებით თელავდნენ.“ სხეული ამოთხარეს მე-11-ე წითელი არმიის სარდლის ი. ლ. სოროკინის ბრძანებით. ძალაუფლებისთვის ბრძოლის მსვლელობაში 1918 წ. 30 ოქტომბერს ის თავისი შტაბით დააკავა ტამანის არმიის (წითელი არმიის შენაერთი) კავალერიის პოლკმა, 1 ნოემბერს დახვრიტეს.

ლეონიდ ბორისის ძე **კრასინი** (1870-1926) – რუსი რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილე რუსეთში 1890 წლიდან, სსრკ ცაკ-ის 1-3 მოწვევის წევრი. 1904 წ. ზაფხულში ელექტროსადგურის მოდერნიზაციას ხელმძღვანელობდა რადიკალურად განწყობილი სავა მოროზოვის (რომელიც თვეში 2.000 მანეთს აძლევდა პარტიის საჭიროებისთვის) ფაბრიკაში. იმავდროულად აქტიურად ეწეოდა არალეგალურ საქმიანობას როგორც რსდმპ-ის ერთ-ერთი ლიდერი, რომლის ცკ-ის წევრი იყო 1903 წ. და 1905 წ. 1905 წ. 13 (26) მაისს საფრანგეთის სამხრეთში კანში სასტუმროს ნომერში აღმოაჩინეს გასროლით მოკლული სავა მოროზოვი. რუსული წარმოშობის ამერიკელი ისტორიკოს გ. ფელშტინსკის მკვლელობის ორგანიზაციაში ეჭვი კრასინზე მიაქვს. 1920 წ. დასაწყისში კრასინი დანიშნეს საბჭოთა მთავრობის მიერ დასავლეთში სავაჭრო და პოლიტიკური დამოკიდებულებების აღსადგენად გავზავნილი დელეგაციის თავმჯდომარედ. 1920 წ. მაისში ჩავიდა ლონდონში და მოლაპარაკება დაიწყო ბრიტანეთის მთავრობასთან. იყო ლენინის სხეულის შენახვისა და მავზოლეუმის აღმართვის ინიციატორი. 1923 წ. გახდა სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის პირველი „სახალხო კომისარი“ (მინისტრი). 1924-1926 წლებში იყო რკპ(ბ) ცკ-ის წევრი. გარდაიცვალა ლონდონში, სადაც

სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო. გაუკეთეს კრემაცია და ურნა ნემბით მოთავსებულია მოსკოვში კრემლის კედელთან.

ფრიდრიხ კრეს ფონ **კრესენშტაინი** (Friedrich Siegmund Georg Freiherr Kreß von Kressenstein; 1870-1948) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. პირველი მსოფლიო ომის დროს შედიოდა იმ გერმანელი გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფში, რომლებიც მეთაურები იყვნენ ოტომანთა იმპერიის არმიებში. 1918 წ., იმის შემდეგ, რაც გერმანია-თურქეთის კავშირი დაიშალა, საქართველოში გაგზავნეს; ჩაშალა საქართველოში აფხაზეთის გავლით რუსული არმიის შეჭრა. ომის შემდეგ გერმანიის არმიაში დარჩა და თადარიგში მხოლოდ 1929 წ. გავიდა.

ევგენი ვასილის ძე **ლებედინსკი** (1873 – ?) – გენერალ-მაიორი, წარმოშობით ორლოვის გუბერნიის აზნაურთა ფენიდან, განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში. პირველ მსოფლიო ომს კავკასიის კაზაკთა მე-2-ე დივიზიის შტაბის მეთაურის თანამდებობაზე შეხვდა. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1916 წ. 5 თებერვლის უმაღლესი ბრძანებულებით დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით, იმავე წლის 16 ოქტომბრის უმაღლესი ბრძანებულებით კი გიორგის ხმალი უბოძეს. არმიიდან ფრონტის სარდლის გენერალ პრჟევალსკის წასვლის შემდეგ კავკასიის ფრონტის სარდალი იყო 1917 წ. დეკემბრიდან 1918 წ. მაისამდე. მის შესახებ შემდგომი ცნობების მოპოვება ვერ მოხერხდა.

ბორის ვასილის ძე **ლეგრანი** (1884-1936) – საბჭოთა დიპლომატი, პარტიული მოღვაწე. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში, სწავლობდა პირველ ვაჟთა გიმნაზიაში ტფილისში. ბორისისა და მისი ძმის გიორგის მეგობარი იყო მომავალი პოეტი ნიკოლაი გუმილიოვი, რომელიც 1900-1903 წლებში ტფილისში ცხოვრობდა და ამავე გიმნაზიაში სწავლობდა. 1901 წ. რსდმპ-ის წევრი გახდა. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, შტაბს-კაპიტანი. პეტროგრადში ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების მონაწილე. 1920 წ. თებერვლიდან მუშაობდა რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახკომში. 1920 წ. ნოემბრის ბოლოდან რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელია სომხეთის სსრ-ში, 1921 წ. მარტიდან – ერთდროულად აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ში.

რსფსრ-ის ელჩად საქართველოში ყოფნის დროს მფარველობდა პოეტ ოსიპ მანდელშტამს მისი ტფილისში ყოფნის დროს. აქვე შეატყობინა მას გუმბელიოვის დახვრეტის შესახებ. 1930-1934 წლებში სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორი იყო. ჯიუტად მისდევდა რევოლუციური ხელოვნების პრინციპებს, ცდილობდა, წარსული ხანის ხელოვნების საუცხოო ნაწარმოებები მეფის რეჟიმის მიერ ხალხის ექსპლოატაციის დასამტკიცებლად წარედგინა. ეგრეთ წოდებული მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით 1934 წ. გამოსცა წიგნი „ერმიტაჟის სოციალისტური რეკონსტრუქცია“. დასაფლავებულია ალექსანდრ ნეველის ლავრის კომუნისტურ მოედანზე (კაზაკების სასაფლაოზე).

მიხაილ კარლის ძე **ლევანდოვსკი** (1890-1938) – საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, მე-2-ე რანგის კომანდარმი. დაიბადა ტფილისში, გარუსებული პოლონელი გლეხის ოჯახში. 1918 წ. აგვისტოში ჩაირიცხა წითელ არმიაში, მონაწილეობდა დენიკინის, მამონტოვისა და აჯანყებული დონელი კაზაკების ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში. 1920 წ. მარტიდან მე-11-ე არმიის სარდალია. 1920 წ. აპრილ-მაისში ჩაატარა აზერბაიჯანის დაპყრობის ოპერაცია. 1920 წ. ივნისიდან 1921 წ. მაისამდე მე-9-ე არმიის სარდალია, რომლის სარდლობისას თავი გამოიჩინა საბჭოებისა და საქართველოს ომში. რკპ(ბ) წევრი 1920 წლიდან. სსრკ ცაკ-ის წევრი. საქართველოს კპ ცკ-ის წევრი. 1932-1933 წლებში სტაჟირებას გადიოდა გერმანიის რაიხსვერში. 1938 წ. 3 თებერვალს დააპატიმრეს. თავი დამნაშავედ ცნო ანტისაბჭოთა, ტროცკისტულ და სამხედრო-ფაშისტურ შეთქმულებაში. 29 ივნისს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრიტეს იმავე დღეს მოსკოვში. დასაფლავების ადგილი – კომუნარკა. რეაბილიტირებულია 1956 წ.

ვლადიმირ პლატონის ძე **ლიახოვი** (1869-1920) – ყუბანის ოლქის კაზაკი, მეფის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1917 წ. სარდლობდა კავკასიის პირველი არმიის კორპუსს. შემდეგ თეთრ მოძრაობას მიემხრო. 1919 წ. 10 იანვარს თერგის ალების შემდეგ დაინიშნა თერგ-დაღესტნის მხარის ჯარების მთავარსარდალად. 1919 წ. აპრილის შემდეგ საქმეებს ჩამოცილდა და ბათუმის გარეუბანში დასახლდა. მოკლეს ბოროტმოქმედებმა.

გიორგი ივანეს ძე **მაზნიაშვილი** (რუსულ წყაროებში – Мазнѣев რუსი მამის გვართ, დედა გლურჯიძე ჰყავდა; 1870-1937) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხედარმთავარი, გენერალი. სამხედრო განათლება რუსეთში მიიღო. რუსეთის საიმპერატორო არმიის პოდპოლკოვნიკი. 1904-1905 წლებში მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში, გამოირჩეოდა მხედრული მამაცობით. ჭრილობის შედეგად აღმოჩნდა ლაზარეთში, სადაც მას თვით ნიკოლოზ II-ის ქალიშვილები ემსახურებოდნენ, რაც დიდ პატივად ითვლებოდა რუსეთის იმპერიაში. აქვე ესტუმრა იმპერატორი ნიკოლოზ II, პირადად გადასცა წმ. გიორგის ჯვარი და სასახლეში მიიწვია. პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. დაიჭრა ვარშავასთან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა თურქებს მდ. ჩოლოქთან. 1918 წელს დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად, სადაც ივნისის თვეში რუსეთიდან შემოჭრილ ძალებს წარმატებით ებრძოდა. დაიკავა ქალაქები გაგრა, სოჭი, ტუაფსე. 1918 წ. ოქტომბერში დაინიშნა ტფილისის ოლქის გენერალ-გუბერნატორად, 1918 წ. ნოემბერში საქართველოსომხეთის ომში შულავერის ფრონტის სარდალი იყო „გენერალ დროს“ ჯარის წინააღმდეგ. 1919 წ. აპრილში იყო ახალციხისა და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი. 1921 წ. 21 მარტს თურქების მიერ აჭარის კვლავ დაკავების შემდეგ საქართველოს ბოლშევიკებმა დახმარებისთვის მიმართეს. ორჯონიკიძემ უთხრა: „როგორც მენშევიკების გენერალი, გამოცხადებული ხარ კანონგარეშე და ნებისმიერს შეუძლია დაგხვრიტოს, ამიტომ გადადი ბოლშევიკების მხარეზე“. პასუხი იყო: „მე არ ვარ არც მენშევიკების, არც ბოლშევიკების გენერალი, მე საქართველოს გენერალი ვარ“. 18-19 მარტს გაანთავისუფლა ბათუმი და მთლიანად აჭარა. 1937 წ., რეპრესიების დროს დახვრიტეს მისი ვაჟი ივანე. ძალიან მალე თავად ისიც დახვრიტეს. მისი საფლავი დღემდე უცნობია. მაზნიაშვილი იყო დაუმარცხებელი გენერალი, რომელსაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

1921 წელს კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან მეგრძოლი იუნკერი **გიორგი მამალაძე** საქართველოს ანექსიის შემდეგ სხვა ქართველ იუნკრებთან და სამხედროებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. 1921 წ. ჩავიდა პოლონეთში და ოფიცერთა სკოლის დამ-

თავრების შემდეგ კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიაში, სადაც მაიორის წოდება მიანიჭეს. 1939 წ. სექტემბრის კამპანიაში იბრძოდა გერმანელებისა და საბჭოელების წინააღმდეგ. საბჭოთა ტყვეობაში მოხვედრილი მაიორი გიორგი მამალაძე და კაპიტნები არკადი სხირტლაძე და მიხეილ რუსიაშვილი სტარობელსკის, ოსტანშოვოსა და კოჟელსკის ბანაკების სხვა ტყვეებთან ერთად დახვრიტეს კატინში 1940 წლის გაზაფხულზე.

არამ არუთინის ძე **მანუკიანი** (დაბადებით სარქის ოვანესიანი, ცნობილია ასევე როგორც სერჟ ოვანესიანი, არამ-ფაშა, 1879-1919) – სომეხი რევოლუციონერი, პოლიტიკური, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. ვანის გუბერნატორი და თავდაცვის ხელმძღვანელი, 1918 წ. მაის-ივლისში ხელმძღვანელობდა ახალშექმნილ სომხეთის რესპუბლიკას მისი მთავრობის ტფილისიდან ერივანში ჩასვლამდე.

აბელ (ბალო) გაბრიელის ძე **მაყაშვილი** (1860-1920) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, საქართველოს არმიის გენერალი, თავადი. 1910 წ. მიიღო პოლკოვნიკის წოდება და მეთაურობდა ბაშკადიკლარის 185-ე ქვეითთა პოლკს. 1914 წ. 25 ივნისს დაინიშნა გორის ქვეითთა პოლკის მეთაურად, 1914 წ. 9 ოქტომბრიდან – მე-16-ე (სამეგრელოს) გრენადერთა პოლკის მეთაურად. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში დასავლეთის ფრონტზე. 1915 წლიდან გენერალ-მაიორია. 1916 წ. 13 ნოემბრის ჟურნალ „Искры“-დან (გაზეთ «Русское слово»-ს ყოველკვირეული ილუსტრირებული დამატება. დახურეს მოსკოვის ВРК-ს დადგენილებით 1917 წ.): «Князь Макаев командир одной из доблестных наших дивизий. Князь постоянно живёт в окопах среди своих солдат, разделяя с ними все тяжести окопной жизни... Он известен своей беззаветной храбростью и популярностью среди солдат, которые не называют его иначе, как "наш окопный генерал"».⁷⁴⁰ 1916 წ. 7 დეკემბრიდან კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაურია. 1917 წ. 4 მარტს დააჯილდოვეს წმ. გიორგის

⁷⁴⁰ „თავადი მაკაევი ერთ-ერთი ჩვენი სახელოვანი დივიზიის მეთაურია. თავადი მუდმივად თავის ჯარისკაცებს შორის სანგრებში ცხოვრობს, მათთან იყოფს სანგრების ცხოვრების მთელ სიმძნელს... ის ცნობილია თავისი თავდადებული სიმამაცით და პოპულარობით ჯარისკაცებს შორის, რომლებიც მას სხვაგვარად არ უწოდებენ, როგორც „ჩვენი სანგრების გენერალი“.

ხმლით. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თადარიგში გავიდა. 1918 წლიდან საქართველოს არმიაშია. 1918 წ. ბოლოდან იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონის ქართული გარნიზონის სარდალი. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. იყო ტფილისის გენერალ-გუბერნატორი და სამხედრო კომენდანტი. 1919 წ. დასაწყისიდან ჩამოშორდა აქტიურ სამხედრო სამსახურს. 1919 წ. აგვისტოდან აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით მე-2-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის თანაშემწედ, 1920 წ. მარტში კი – განჯის გამაგრებული რაიონის უფროსად დაინიშნა. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და ხელფეხშეკრული კასპიის ზღვაში დაახრჩვეს.

პოლიკარპე (ბუდუ) **მდივანი** (1877-1937) – ქართველი ბოლშევიკი, რევოლუციონერი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. რსდმპ(ბ) წევრი 1903 წლიდან. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ჩაება სამხედრო საქმიანობაში. 1918 წ. 30 ნოემბრიდან 1919 წ. 13 თებერვლამდე კასპია-კავკასიის ფრონტის მე-11-ე არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი, შემდეგ მე-10-ე არმიის პოლიტიკური განყოფილების უფროსი. 1920-1921 წლებში საქართველოს კპ-ის თავმჯდომარე და რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს წევრი. 1921 წ. 19 თებერვლიდან მასამდე რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთის მთავრობაში. 1921 წ. ივლისიდან 1922 წ. თებერვლამდე საქართველოს რევკომის თავმჯდომარე და ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე. 1922 წ. მარტიდან აპრილამდე საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. ოპოზიციური მოღვაწეობის გამო 1928 წ. გაათავისუფლეს ყველა დაკავებული თანამდებობიდან, გარიცხეს პარტიიდან და გადაასახლეს ციმბირში 3 წლით. 1931 წ. განაცხადა ოპოზიციური მუშაობის შეწყვეტის შესახებ და მოინანია შეცდომები. 1936 წლამდე ეკავა საქართველოს სსრ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. 1936 წ. ისევ დააპატიმრეს „ტროცკისტულ-ჯამუშური ცენტრის“ მუშაობაში მონაწილეობის ბრალდებით. 1937 წ. 9 ივლისს საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. დახვრიტეს მეორე დღესვე.

სამედ-ბეგ სადიყ-ბეგ-ოღლი **მეჰმანდაროვი** (1855-1931) – რუსეთის საიმპერატორო არმიის არტილერიის გენერალი, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო მოღვაწე. წარმოშობით ყარაბაღის ბეგების გვარიდან. 1914 წ. 11 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტი მეჰმანდაროვი კავკასიის მე-2-ე არმიის კორპუსის სარდლად დანიშნეს. 1915 წ. 9 აპრილს დააჯილდოვეს თეთრი არწივის ორდენით ხმლებით, იმავე წლის 15 ოქტომბერს კი – წმ. ალექსანდრ ნეველის ორდენით ხმლებით, მინიჭებული ჰქონდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუმინეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოები. მთელი ომის განმავლობაში მის კორპუსს მოწინააღმდეგისთვის არც ერთი ქვემეხი არ დაუტოვებია. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ მიიწვიეს ქვეყნის მთავრობაში, ეკავა სამხედრო მინისტრის თანამდებობა 1920 წ. 28 აპრილს XI წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის დაკავებამდე. მაისის ბოლოს აზერბაიჯანის ეროვნული არმიის პრაქტიკულად ყველა ოფიცერი დააპატიმრეს, მათ შორის გენერალი მეჰმანდაროვიც. რეპრესიებისგან გადაარჩინა აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ნ. ნარიმანოვმა. როგორც შემდგომში ავიაციის მარშალი ს. ა. კრასოვსკი წერდა, „მეჰმანდაროვი დარჩა და შემდგომში ერთგულად ემსახურა თავის ხალხს, თავისი მდიდარი გამოცდილება და ძალები წითელი არმიის შენებას მოახმარა“. დაასაფლავეს მთის სასაფლაოზე. 1939 წ. სასაფლაოს ადგილზე კიროვის სახელობის პარკი (ახლა შაჰიდების ხეივანი) გააშენეს და მეჰმანდაროვის საფლავი დაიკარგა.

ნიკოლაი მიხაილის ძე **მორელი** – შთამომავლობითი აზნაური, მართლმადიდებელი, წარმოშობით სანკტ-პეტერბურგიდან. 1917 წ. 13 თებერვლიდან კავკასიის მსროლელი 27-ე პოლკის მეთაური. 1918 წ. მაისიდან 1-ლი განსაკუთრებული სომხური ქვეითი ბრიგადის უფროსი. დაჯილდოებულია წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით. რუსეთის სამხრეთში თეთრი მოძრაობის მონაწილე. 1920 წ. ოქტომბრის ბოლოს ტყვედ ჩაიგდეს წითლებმა და ВЧК-ს განსაკუთრებული განყოფილების სამეულის განაჩენით 5 დეკემბერს ჯანკოის რაიონში დახვრიტეს. დროის აღწერილ მომენტში მორელს დაქვემდებარებულ მებრძოლთა დაახლოებით ნახევარი უშუალოდ ემორჩილებოდა მურად სევასტიელის მეტსახელით ცნობილ ვოევოდას (ასევე ცნობილი იყო როგორც მურად

სებასტაცი და მურად ყირიმიანი) და შეუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდა დერსიმ-ზაზას ტომის პარტიზანების წინააღმდეგ ერზინჯანიდან აღმოსავლეთით.

პავლე პავლეს ძე **მურატოვი (1881-1950)** – რუსი მწერალი და ხელოვნებათმცოდნე, მთარგმნელი და გამომცემელი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, დაჯილდოებულია ორდენებით. 1922 წ. საზღვარგარეთ წავიდა მივლინებით და აღარ დაბრუნებულა. 1928-1931 წლებში თანამშრომლობდა მარიო ბროლიოსა და მის გამომცემლობასთან «Valori plastici» რომში. გამოსცა მონოგრაფიები ბიზანტიის ფერწერაში (იტალიურად და ფრანგულად), გოტურ სკულპტურაზე (ფრანგულად) და ფრა ანჯელიკოზე (იტალიურად, ფრანგულად და ინგლისურად). 1939 წ. გაემგზავრა ინგლისში, დაეხმარა თავის მეგობარს – ისტორიკოს უილიამ ალენს უკრაინის ისტორიაზე მონოგრაფიის მომზადებაში. 1944-1946 წლებში წერს რუსეთ-გერმანიის ფრონტზე ომის მსვლელობის შესახებ ისტორიაში პირველ წიგნებს, რომლებიც გამოსცეს როგორც ორი ავტორის – ალენისა და მურატოვის თხზულება. 1953 წ. კემბრიჯში გამოქვეყნდა ალენისა და მურატოვის ფუნდამენტური ნაშრომი კავკასიის ომების ისტორიაში. ავსტრალიელმა მწერალმა კლაივ ჯეიმსმა (Clive James) მურატოვი მოიყვანა როგორც მაგალითი, „როგორ შეიძლება შესანიშნავი ადამიანი აქამდე დავიწყებული იყოს“. წიგნი „იტალიის სახეები“ დაწერილია, მისი აზრით, იტალიაზე მოგზაურის შენიშვნების სახით, როგორც გოეთემ და იაკობ ბურკჰარდტმა შექმნეს, მაგრამ მათ აღემატება.

ფომა ივანის ძე **ნაზარბეკოვი** (თოვმას ოვანესის ძე ნაზარბეკიანი, 1855-1931, დაიბ და გარდ. ტფილისში) – სომეხი სამხედრო მოღვაწე, აზნაურთა ოჯახიდან. 1919 წ. 15 ივლისიდან სომხეთის რესპუბლიკის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1905 წ. თებერვალ-მარტში მუკდენის ბრძოლის (რუსეთ-იაპონიის ომის ყველაზე მასშტაბური, დროში ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა, დამთავრდა იაპონიის გამარჯვებით) გიორგის ოქროს ხმლით დააჯილდოვეს. 1906 წ. თადარიგში გავიდა გენერალ-მაიორის წოდებით, 1914 წ., როცა კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, ამავე წოდებით არმიამი დაბრუნდა. 1915 წ. 15 აპრილს სარდლობდა დილმანის ბრძოლას. 1916 წ. დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით. 1917

წ. 26 დეკემბერს გენერალ პრჟევალსკის ბრძანებით დანიშნეს არმიის ცალკე სომხური კორპუსის მეთაურად. სომხეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ 1918-1920 წლებში – ქვეყნის ჯარების მთავარსარდალი. ვანაძორის ბრძოლაში პირადად მეთაურობდა ჯარს. 1919 წ. მარტიდან – სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, სარდარაპატის ბრძოლის (1918 წ. 21-28 მაისი) გმირი. ხელმძღვანელობდა სომხეთის არმიას სომხეთ-აზერბაიჯანის ომში. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წ. იანვარში დააპატიმრეს და ბაქოში გადაიყვანეს, იმყოფებოდა საკონცენტრაციო ბანაკში რიაზანში, 1921 წ. მაისში ამნისტიით გაათავისუფლეს. ცხოვრობდა დიდ სიდუხჭირეში, მაინც პოულობდა 1914-1918 წლებში კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების შესახებ მემუარების წერის შესაძლებლობას.

ამაზასპ ოგანჯანიანი (1874-1947) – დაიბადა ახალქალაქში აზნაურულ ოჯახში, დაამთავრა ტფილისის გიმნაზია, ექიმი. პარტია „დამნაკუთიუნის“ ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი (1920 წ. მაისი-ნოემბერი), პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილე. ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა საქართველოში, შემდეგ ირანში, მოგვიანებით კი ქაიროში, სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა.

ილია ზურაბის ძე ოდიშელიძე (1965 – 1924 წ. შემდეგ) – რუსული არმიის გენერალ-ლეიტენანტი. („Средних лет полковник Генерального штаба с орденом Георгия 4-й степени за русско-японскую войну – Одишелидзе производил впечатление умного и решительного человека“.⁷⁴¹ – სსრკ მარშლის ბ. მ. შაპოშნიკოვის მოგონებებიდან). 1917 წ. 2 ოქტომბრიდან კავკასიის არმიას მეთაურობდა. 1918 წ. 4 ივნისს ქართული არმიის ინფანტერიის გენერლის წოდებით დელეგაციის წევრი იყო თურქეთთან მოლაპარაკების დროს. 1920 წ. საქართველოს სამხედრო მინისტრის მეორე მოადგილეა. იმავე წლის შემოდგომაზე – ქართული არმიის სარდალი. საქართველოში

⁷⁴¹ „გენერალური შტაბის შუა ხნის პოლკოვნიკი რუსეთ-იაპონიის ომში მიღებული გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით – ოდიშელიძე ჭკვიანი და შეუპოვარი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წ. 17 მარტს ილია ოდიშელიძემაც დატოვა სამშობლო. დარჩა სტამბოლში და სტამბოლშივე გარდაიცვალა, სავარაუდოდ 1925 წელს.

რიჩარდ გეიბლ **ოვანისიანი** (Richard Gable Hovhannisian; დაიბ 1932 წ. კალიფორნიაში სომეხი ლტოლვილების ოჯახში) – ამერიკელი ისტორიკოსი, ლოს-ანჯელესში კალიფორნიის უნივერსიტეტის (UCLA) პროფესორი.

ანდრანიკ თოროსის ძე **ოზანიანი** [ზორავარ (სარდალი) ანდრანიკ, გენერალი ანდრანიკი (რუსეთის იმპერიაში), ანდრანიკ-ფაშა (ოსმალეთის იმპერიაში), 1865-1927] – სომეხთა ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული გმირი. ბრიტანელი ისტორიკოსის მარკ ლევენის თანახმად ერზინჯანის დაზავებისა და აღმოსავლეთ ანატოლიიდან რუსეთის ჯარის გამოსვლის შემდეგ იქ დაიწყო ომი „ყველა ყველას წინააღმდეგ“, რომელშიც 1915 წლის ჟღერტვაში გადარჩენილი სომეხები სისტემატურად იჩენდნენ სისასტიკეს მუსლიმანების მიმართ. ასე, ერზინჯანსა და ერზურუმში, ლევენის მტკიცებით, მასობრივ მკვლელობებში 1918 წ. იანვრის ბოლოდან თებერვლის შუა რიცხვებამდე თითქმის 10.000 ადამიანი გაწყვიტეს. ყარსის ლეგიონში რაზმები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც ანდრანიკი მეთაურობდა, ბრიტანელი კონსულის სიტყვებით, „ერთი მეორის მიყოლებით აოხრებდნენ თათრულ (აზერბაიჯანულ) სოფლებს“. ანდრანიკი დაჯილდოებული იყო უმაღლესი ორდენებით: ბულგარეთის (ორდენი „მამაცობისთვის“), საბერძნეთის, რუსეთის (გიორგის ჯვარი და ხმალი, წმ. სტანისლავისა და ვლადიმირის ორდენები), საფრანგეთის (საპატიო ლეგიონის ორდენი) და წმ. გრიგოლ განმანათლებლის პირველი ხარისხის ორდენით. გარდაიცვალა კალიფორნიაში (აშშ), 1918 წ. იანვარში მისი ნეშტი „პერ-ლაშეზის“ სასაფლაოზე დაასაფლავეს, 2000 წ. კი პატივით გადაასვენეს ერევანში, გმირთა სასაფლაო ერაზლურზე.

ჰუსეინ რაუფ **ორბაი** (Hüseyn Rauf Orbay, 1881-1964) – XX საუკუნის I ნახევრის თურქეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, თურქეთის პრემიერ-მინისტრი (1922-1923). ორბაის მშობლები კავკასიის ომის (1817-1864) ბოლოს მთიანი აფხაზეთიდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულები იყვნენ. მისი მამა მეჰმედ მუზაფერ-ფაშა ადმირალი და ოსმალეთის პარლამენტის წევრი იყო.

მიხეილ **პაპაჯანოვი** (მიქაელ ოვანესის ძე პაპაჯანიანი; 1869-1929) – ერივანის გუბერნიის აზნაურობიდან. ტფილისის პირველი გიმნაზიის კურსდამთავრებული. 1912 წლიდან პარტია დამნაკვეთიუნის წევრი. მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში. საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა ერევანში, ალექსანდროპოლსა და ტფილისში. IV მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბაქოს, ელიზავეტპოლისა და ერივანის გუბერნიებიდან. თებერვლის რევოლუციის აქტიური მონაწილე.

სტანისლავ იან **პატეკი** (1866-1944) – პოლონელი ადვოკატი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე; პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1919-1920). პირველ მსოფლიო ომამდე მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან; მრავალ წელს შედიოდა მასონური ლოჟის „საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთის“ პოლონური განყოფილების, 1920 წლიდან კი „იტალიის დიდი ლოჟის ხელმძღვანელობაში. იმავე წელს გახდა მასონური ლოჟის „საფრანგეთის სლავი მასონების ფედერაციის“ ვიცე-პრეზიდენტი. იყო პოლონეთის დელეგაციის წევრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. პოლონეთში გერმანელების შეჭრის შემდეგ იყო პოლონელი ებრაელების ერთ-ერთი დამცველი. დაიღუპა 1944 წ. აგვისტოს ბოლოს ვარშავის ამბოხის დროს ქალაქის დაბომბვისას. დაჯილდოებული იყო პოლონეთის, იტალიის, იაპონიის, ფრანგული ინდოჩინეთის ორდენებით, წმ. გრიგოლ დიდის დიდი ჯვრის ორდენის კავალერი (ვატიკანი, 1920), საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცერი.

ფრანსუა ჟორჟ **პიკო** (François Georges-Picot; 1870-1951) – ფრანგი დიპლომატი ბეირუთში.

იუზეფ კლემენს **პილსუდსკი** (1865-1935) – პოლონელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლონეთის არმიის დამფუძნებელი, პოლონეთის მარშალი; პოლიტიკური კარიერა დაიწყო როგორც სოციალისტმა, გახდა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი; პირველი მსოფლიო ომის დროს დააარსა პოლონური ლეგიონები, ომის შუა ხანებიდან პოლონეთის პოლიტიკაში დიდი გავლენა მოიპოვა და ევროპის პოლიტიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა და

პოლონეთის აღდგენილი სახელმწიფოს (პოლონეთის რესპუბლიკა, მეორე რეზ პოსპოლიტა, 1918-1939) პირველი მეთაური გახდა (1918-1922). 1926 წ. მაისის გადატრიალების შემდეგ გარდაცვალებამდე სახელმწიფოს ფაქტიური მეთაური იყო. მარშლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რამდენიმე დღით ეროვნული გლოვა გამოცხადდა. მასთან გამოსათხოვრად ჩავიდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, რუმინეთის, სსრკ, გერმანიის (პერმან გერინგის ხელმძღვანელობით) დელეგაციები. მისი სხეული კრაკოვში, ვაველის გორაკზე წმ. სტანისლავისა და ვაცლავის კათედრალური საყდრის კრიპტაში დაკრძალეს, გული – დედის საფლავში ვილნიუსის კათოლიკურ სასაფლაო-ნეკროპოლზე.

დანიელ ბეკ-პირუმიანი (დანიელ ბეკ-პირუმოვი, 1861-1921) – რუსი და სომეხი სამხედრო მეთაური, პოლკოვნიკი. ყარაბაღელი სომეხი ბეგების ჩამომავალი. 1914 წლიდან პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, დასაწყისიდანვე იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, დაიჭრა შრაპნელით მკერდში. 1915 წ. დაჯილდოვდა გიორგის ხმლით „ვაჟკაცობის, თავდადებული მამაცობისა და გონივრული მეთაურობისთვის თურქების თოფების, ტყვიამფრქვევების და მიბჯენით საარტილერიო გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ“, რაც სოფელ აზაფ-ქეისთან 1915 წ. 31 დეკემბრის – 1916 წ. 1 იანვრის დამეს გამოავლინა. 1818 წ. ერივანის გარნიზონის სარდლის სილიკოვის მოადგილე და სურმალინის მაზრის სამხედრო უზნის მეთაური იყო. 1919 წ. იყო ყარსის ოლქის კომენდანტი. 1920 წ. 30 ოქტომბერს თურქებმა დაატყვევეს, განთავისუფლდა 1921 წ. შემოდგომით, მაგრამ იმავე წლის ბოლოს ყარაქლისში (ვანაძორი) ბოლშევიკებმა შეიპყრეს და დახვრიტეს. დასაფლავებულია ეჩმიაძინში.

მიხაილ ალექსეის ძე პრუევალსკი (1859-1934) – რუსი სარდალი, ცნობილი მოგზაურის, გენერალ ნ. მ. პრუევალსკის ბიძაშვილი. 1908 წ. 13 დეკემბერს დანიშნეს ყუბანის პლასტუნის ბრიგადის მეთაურად და ამ ბრიგადასთან ერთად ჩაება პირველ მსოფლიო ომში. კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას ერთდროულად მეთაურობდა კალიზმანის რაზმს, მიენიჭა გიორგის ხმალი. სარიყაშიშის ოპერაციის დროს ქალაქის დაცვის ამოცანა დააკისრეს, ამ ოპერაციის მსვლელობაში ერთ-ერთი უმნიშ-

ენელოგანესი როლი შეასრულა, დააჯილდოვეს წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით. 1915 წ. 3 თებერვალს დანიშნეს თურქესტანის მე-2-ე კორპუსის მეთაურად. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერზერუმის ოპერაციის ჩატარებაში. წარმატებით მონაწილეობდა ერზინჯანის ოპერაციაში, დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-3-ე ხარისხის ორდენით. 1916 წ. 2 ივლისს აიღო ბაიბურთი, აიყვანა 2000 ტყვე და წამოიღო 6 ქვემეხი. 1916 წ. 19 ნოემბერს დააწინაურეს ინფანტერიის გენერლად. 1917 წ. 3 აპრილს დანიშნეს კავკასიის არმიის მეთაურად, 31 მაისიდან დეკემბრამდე კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალი იყო. შევიდა ყუბანის თეთრ არმიაში, 1918 წ. ბოლოს გენერალმა დენიკინმა კავკასიის მოხალისეთა ჯარის სარდალად დანიშნა. 1920 წ. დასაწყისში ნოვოროსიისკიდან ემიგრაციაში წავიდა კუნძულ ლემნოსზე. 1920 წ. დასაწყისში გემ „ხერსონით“ ყირიმში გენერალ ვრანგელის რუსულ არმიაში ჩავიდა. გარდაიცვალა ემიგრაციაში იუგოსლავიაში.

ნიკოლაი ილიას ძე **პოდგოსკი** (1889-1948) – რუსი რევოლუციონერი, ბოლშევიკი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა სოფლის მასწავლებელ-მღვდლის ოჯახში, სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სასულიერო სემინარიაში; 1901 წ. შევიდა რსდმპ-ში. ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი. რსფსრ-ის სამხედრო საქმეთა პირველი სახალხო კომისარი (1917 წ. 23 ნოემბერი – 1918 წ. 13 მარტი). წითელი არმიის სიმბოლოს – წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავის ავტორი და სამოქალაქო ომის ფრონტზე განსაკუთრებით გამოჩენილთათვის ინდივიდუალური ჯილდოს – წითელი დროშის ორდენის შექმნის ინიციატორი. პეტროგრადში 1918 წ. 5 იანვარს ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების მხარდამჭერთა მშვიდობიანი მანიფესტაციის, რომელშიც პეტროგრადის ქარხნების მუშები მონაწილეობდნენ, გარეკვისა და დახვრეტის ორგანიზატორი. 1927 წ. ს. ეიზენშტეინის ცნობილ ფილმში „ოქტომბერი“ თავისი როლი შეასრულა. მისი როგორც ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელის სახე აქტიურად იყო გამოყენებული საბჭოთა კინემატოგრაფში. დასაფლავებულია მოსკოვის ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

ლუციან მეჩისლავ რაფაილ **ჟელიგოვსკი** (1865-1947) – პოლონელი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე, იუზეფ პილსუდსკის

მეგობარი. დაიბადა 1863 წ. აჯანჯების მონაწილის შლიახტურ ოჯახში. 1985 წლიდან მსახურობდა რუსეთის არმიაში. რუსეთ-იაპონიის ომისა და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში პოლონური ეროვნული ნაწილების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ოქტომბრის გადატრიალებამ ბელარუსში მოუსწრო, კიევის გავლით დონზე და კავკასიაში გავიდა და 1918 წ. ყუბანში პოლონური ნაწილების ჩამოყალიბება დაიწყო. 1919 წ. აპრილში ოდესისა და ბესარაბიის გავლით მე-4-ე პოლონური მსროლელთა დივიზიის სათავეში პოლონეთში დაბრუნდა. 1930 წ. გამოცა წიგნი «Wojna w roku 1920. Wspomnienia i rozważania» („ომი 1920 წელს. მოგონებები და აზრები“). 1935 წ. აირჩიეს სეიმში და პოლონეთის პარლამენტის წევრად რჩებოდა 1939 წლამდე. იყო პოლონეთის მთავრობის წევრი განდევნილობაში. გარდაიცვალა ლონდონში, ანდერძის მიხედვით ვარშავაში გადასვენეს და პოვონზკის⁷⁴² სამხედრო სასაფლაოზე დაკრძალეს.

დimitრი პეტრეს ძე **ქლობა** (1887-1938) – საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, სამოქალაქო ომის მონაწილე. დაიბადა კიევი უკრაინელი მოჯამაგირის (სხვა ცნობებით – მუშის) ოჯახში. რსდმ(ბ) წევრი 1917 წლიდან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოსკოვის საბჭოს წევრად აირჩიეს. მეთაურობდა მოსკოვში წითელი არმიის რაზმს ოქტომბრის გადატრიალების დროს, იბრძოდა იუნკრების წინააღმდეგ, რომლებმაც კრემლი დაიკავეს. 1921 წ. მარტში მეთაურობდა კავალერიის მე-18-ე დივიზიას, რომელმაც კოდორის უღელტეხილი გადაიარა და ტფილისში მთავრობა ხელისუფლებას ჩამოაშორა. დააჯილდოვეს წითელი დროშის ორი ორდენით (პირველი – 1-ლი ცხენოსანი კორპუსის ნაწილების კარგი ხელმძღვანელობისა და პირადი მამაცობისთვის, მეორე – საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს საბრძოლო წარჩინებისთვის) და ოქროს რევოლუციური იარაღით. 1937 წ. აპრილში დააპატიმრა НКВД-მ როგორც „ყუბანში ამბოხებულების მთავარი ორგანიზატორი და მეთაური“. 1938 წ. 10 ივნისს კრასნოდარში სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო

⁷⁴² სამხედრო სასაფლაო პოვონზკი ანუ სამხედრო პოვონზკი (*Cmentarz Wojskowy na Powązkach, Powązki Wojskowe*) – ცნობილი სასაფლაო ვარშავის პოვონზკის რაიონში, დაარსდა 1912 წ.

კოლეგიის გამსვლელ სესიაზე მიუსაჯეს დახვრეტა ქონების კონფისკაციით. ის და საქმის სხვა ფიგურანტები იმავე დღეს დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1956 წ.

ნოე ბესარიონის ძე **რამიშვილი** (1881-1930) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1900 წ. ჩაირიცხა იურიევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო გარიცხეს, იქვე გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. პარტიაში განხეთქილების დაწყების შემდეგ მენშევიკებს მიემხრო. მონაწილეობდა მენშევიკებისა და ბოლშევიკების დებატებში ბათუმში, ჭიათურაში, ხიდისთავში. 1907 წ. ლონდონში რსდმპ-ის V ყრილობაზე მონაწილეობდა როგორც თბილისის ორგანიზაციის დელეგატი, აირჩიეს ცკ-ის წევრად მენშევიკებისგან. 1908 წ. რსდმპ ცკ-ის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ლაიპციგიდან ჩავიდა ჟენევაში, სადაც დაუპირისპირდა სტალინს, რასაც ამ ორს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა. 1918 წ. 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის ხელისმოწერის დღეს აირჩიეს ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველ თავმჯდომარედ. 24 ივლისს შეცვალა ნოე ჟორდანიამ, რამიშვილი დარჩა შინაგან საქმეთა, განათლების და სამხედრო მინისტრად. ებრძოდა თბილისის სომხურ ბურჟუაზიას, ჩაახშო 1918 და 1919 წლების ბოლშევიკური რუსეთის მიერ ორგანიზებული გლეხთა გამოსვლები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. დამფუძნებელ კრებას დააშვებინა სიკვდილით დასჯა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. 1924 წ. აგვისტოს აჯანყების აქტიური ორგანიზატორი. პარიზში, იტალიის მოედანზე მოკლა ქართველმა ემიგრანტმა პარმენ ჭანუყვაძემ (მეფის არმიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიცერი, მენშევიკების პარტიის წევრი, 1924 წ. აგვისტოს აჯანყების მონაწილე. ქართველი ემიგრანტები ჭანუყვაძეს საბჭოთა აგენტად მიიჩნევდნენ, თუმცა სასამართლოზე მან განაცხადა, რომ კომუნისტი არ იყო და თავისი მოქმედება რამიშვილისადმი პირადი მტრობით ახსნა. რამდენიმე თვიანი პატიმრობის შემდეგ საფრანგეთის პოლიციამ გაათავისუფლა). საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა საქართველოში დარჩენილი მისი ოჯახი. 1949 წ.

ყაზახეთში გადაასახლეს ნოე რამიშვილის და, 87 წლის მართა რამიშვილი.

მამედ ემინ ახუნდ მოლა ალექფერ-ოღლი **რასულზადე** (Məhəmməd Əmin Axund Hacı Molla Ələkbər oğlu Rəsulzadə; 1884-1955, ანკარა) – აზერბაიჯანელი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და დრამატურგი, 1918 წ. აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. მისი გამონათქვამი «Bir kərə yüksələn bayraq bir daha enməz!» („ერთხელ აღმართული დროშა არასდროს დაემუვება!“) XX საუკუნეში აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობის ლოზუნგი გახდა.

დონალდ რეიფილდი (Donald Rayfield, დაიბ. 1942) – თანამედროვე ბრიტანელი რუსულისა და ქართულის ლიტერატურათმცოდნე, ფლობს ქართულსა და რუსულ ენებს; დედოფალ მერის უნივერსიტეტის პროფესორი. ფილოსოფიის დოქტორი. არის წიგნების ავტორი რუსული და ქართული ლიტერატურების შესახებ. ერთ-ერთი მისი გამორჩეული ნაშრომია წიგნი სტალინსა და მის საიდუმლო პოლიციაზე.

დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **რომანოვი** (უმცროსი, 1856-1929) – ნიკოლოზ I შვილიშვილი, გენერალ-ადიუტანტი (1896), კავალერიის გენერალი (1900). პირველ მსოფლიო ომში და 1917 წ. მარტის პირველ დღეებში რუსეთის იმპერიის ყველა სახმელეთო და საზღვაო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. 1915 წ. 23 აგვისტოდან 1917 წ. მარტამდე იყო მეფისნაცვალის კავკასიაში, კავკასიის არმიის მთავარსარდალი და კავკასიის კაზაკების ჯარის განმკარგულებელი ატამანი. თებერვლის რევოლუციის შესახებ გაიგო 1 (14) მარტს ბათუმში, სადაც შავი ზღვის ფლოტის სარდალ ადმირალ კოლჩაკთან შეხვედრისთვის ჩავიდა. 7 (20) მარტს გამოემგზავრა ტფილისიდან და მოგილიოვის ბანაკში ჩავიდა; დატოვა სამხედრო სამსახური და ყირიმის მამულში გაემგზავრა. იმ დროს ყირიმში მყოფი ფ. ფ. იუსუპოვის მოგონებებით, 1918 წ. მაისში იქ გერმანიის იმპერატორის ადიუტანტი ჩავიდა დავალებით, რომ მოემუხებნა რომანოვებიდან ვინმე, რომელიც რუსეთის ტახტის სანაცვლოდ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას მოაწერდა ხელს. ყველა მათგანმა, ვისაც ადიუტანტმა მიმართა, განრისხებით უარყვეს ეს წინადადება, ნიკოლოზ I

შვილიშვილმა, დიდმა მთავარმა ალექსანდრ მიხაილის ძემ (სანდრომ) კი განაცხადა, «что в семье его не было, нет и не будет предателей».⁷⁴³ 1919 წ. მარტის ბოლოს ყირიმში წითელი ჯარების შესვლის საშიშროების გამო მთავარმა იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნასა და საიმპერატორო სახლის ყირიმში დარჩენილ სხვა წევრებთან ერთად ინგლისურ დრედნოუტ „მალბოროზე“ რუსეთი დატოვა. 1922 წლიდან გარდაცვალებამდე საფრანგეთშია. დაკრძალული იყო კანის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის კრიპტაში. 2015 წ. 27 აპრილს პარიზში, ინვალიდების სახლის ბაზილიკაში, სადაც საფრანგეთის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ცერემონიებს ატარებენ, შედგა დიდ მთავართან გამოთხოვების ცერემონია. საზეიმო პარაკლისის გახსნისას საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ეპისკოპოსმა ლუკ რაველმა ღვთისმსახურებას მოკავშირე სახელმწიფოს ჯარების მთავარ-სარდლის ხსოვნისადმი ხარკი უწოდა. ღვთისმსახურებაზე მღეროდა პარიზის მართლმადიდებელი სემინარიის მოწაფეთა გუნდი. პარაკლისის დამთავრების შემდეგ ფრანგმა რესპუბლიკელმა გვარდიელებმა კუბო დიდი მთავრის ნეშტით ხელით გაატარეს ინვალიდების სახლის საპატიო ეზოზე. ასეთ პატივს მხოლოდ საფრანგეთის მარშლებს მიაგებენ გამოთხოვებისას. 30 აპრილს ნეშტი მოსკოვში, ძმთა სასაფლაოს მაცხოვრის ფერისცვალების ეგვტერში დაკრძალეს. საპატიო ყარაულმა სამჯერ მისცა საპატიო ზალპი.

კონსტანტინე (კოწია) **საბახტარაშვილი** (1884-1938) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

სერგეი დიმიტრის ზე **საზონოვი** (1860-1927, ნიცა) – რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1910-1916 წლებში, აზნაური, მიწათმფლობელი, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თეთრი მოძრაობის აქტიური მონაწილე.

⁷⁴³ „მის ოჯახში არ იყო, არ არის და არ იქნება გამცემი“.

მარკ **საიქსი** (Mark Sykes; 1879-1919) – ბრიტანელი მწერალი, პოლიტიკოსი და დიპლომატი. პალესტინის დროშის ავტორი, გარდაიცვალა ესპანური გრიპით პარიზში.

კონტრადმირალი (მოგვიანებით – ვიცე-ადმირალი) მაიკლ **კულმსეიმური** (1865-1925) – 1920 წ. თავის მამისგან მემკვიდრეობით მიიღო მე-4-ე ბარონეტის ტიტული; გემ „ცენტურიონის“ მეთაური 1916 წ. იუტლანდიის ბრძოლაში; 1916-1918 წლებში სამხედრო-საზღვაო შტაბის მობილიზაციის დირექტორი; 1918 წ. მეთაურობდა ბრიტანეთის ეგეოსის ფლოტილიას; 1919 წ. შავი ზღვის და კასპიის ზღვის ბრიტანეთის ფლოტილიის სარდალი იყო.

გიორგი **სიდამონ-ერისთავი** (1865-?) – იურისტი, 1919 წლის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია, მუშაობდა სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში. 1920 წ. ნოემბერში დამფუძნებელმა კრებამ სენატორის უფლებამოსილება შეუწყვიტა. შემდგომი ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

მოვსეს **სილიკიანი** (მოისეი მიხაილის ძე სილიკოვი, 1862-1937) – სომეხი (წარმოშობით უდი – კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი ავტოქტონი ხალხი, კავკასიის **ალბანელების** შთამომავლები, ქრისტიანები), კადრის სამხედრო და პირველი მსოფლიო ომის ეროვნული გმირი. ბოლშევიკურ გადატრიალებამდე ჰქონდა გენერალ-მაიორის წოდება. 1918 წლიდან სომხური კორპუსის 1-ლი ქვეითი დივიზიის მეთაური. 1918 წ. მაისში სარდარაპატის ბრძოლაში დაამარცხა ერივანზე მოიერიშე თურქული ჯარი. ამ დროს მის ხელქვეით იბრძოდა სსრკ მომავალი მარშალი ბაგრამიანი, რომელიც შემდგომში აღნიშნავდა, რომ სილიკოვი იყო „...ყველაზე ნიჭიერი იმ დროის ყველა სომეხ გენერალს შორის...“ სომხეთში ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1937 წ. რეპრესირებული იყო სარდარაპატის სხვა გმირებთან ერთად, დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1987 წ.

ხოსროვ-ბეგ ფაშა-ბეგ-ოღლი **სულთანოვი** (1879-1947) – აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობის მოღვაწე, ეროვნებით აზერბაიჯანელი ან ქურთი. 1903 წ. დაამთავრა ნოვოროსიისკის უნივერ-

სიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. არჩეული იყო სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქიდან. 1917 წლიდან პარტია „მუსავატის“ წევრი, 1918 წ. პარტია „ითიჰადში“ გადავიდა. 1918 წ. დასაწყისში ამიერკავკასიის სეიმის წევრია, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან – მისი პირველი სამხედრო მინისტრი (1918 წ. მაის-ივნისი), მიწათმოქმედების მინისტრი (1918 წ. ივნის-ივლისი). 1919 წ. 15 იანვარს ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდლობამ დაამტკიცა მისი დანიშვნა ყარაბაღისა და ზანგეზურის გენერალ-გუბერნატორად. აზრეკომის 1920 წ. 22 მაისის გადაწყვეტილებით დააპატიმრეს, მაგრამ თურქეთში გაქცევა მოახერხა. ემალებოდა ბოლშევიკებისგან დევნას, ცხოვრობდა ირანში, საფრანგეთსა და გერმანიაში. გერმანიაში მუშაობდა სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორად, 1941-1945 წლებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აზერბაიჯანელი სამხედრო ტყვეების აზერბაიჯანში დაბრუნებაში. 1946 წ. დაბრუნდა თურქეთში და სიკვდილამდე ტრაპიზონში ცხოვრობდა.

მატვეი (მაცვი) ალექსანდრეს ძე **სულკევიჩი** (1865-1920) – რუსი და აზერბაიჯანელი სამხედრო, ვილნოს გუბერნიის შთამომავლობითი აზნაური, ეროვნებით ბელორუსი (პოლონელ-ლიტველი) თათარი, ყირიმის თათრების სახელმწიფო მოღვაწე. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მიანიჭეს წმ. ანას მე-2-ე ხარისხის ორდენი ხმლებით, წმ. ვლადიმირის მე-4-ე ხარისხის ორდენი ბაფთით, 1907 წ. 2 მაისს – ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისთვის“. 1918 წ. ჩავიდა ყირიმში. 1918 წ. 25 ივნისს გერმანიის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით გენერალ-ლეიტენანტმა სულკევიჩმა ყირიმის სამხარეო ხელისუფლების მთავრობის პრემიერ-მინისტრის, შინაგან და სამხედრო საქმეების მინისტრის პოსტი მიიღო. 1918 წ. დეკემბერში ჩავიდა აზერბაიჯანში, სადაც ის მამედ-ბეგის სახელით გახდა ცნობილი. დანიშნეს აზერბაიჯანის სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსად. 1920 წ. მაისში დააპატიმრა ВЧК-მ. 15 ივნისს დახვრიტეს „კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის“.

რონალდ გრიგორ **სუნი** (*Ronald Grigor Suny*, დაიბ. 1940) – ამერიკელი ისტორიკოსი, მიჩიგანის უნივერსიტეტის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის პროფესორი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის

პოლიტოლოგიის დამსახურებული პროფესორი. «*The Cambridge History of Russia*»-ს მე-3-ე ტომის მთავარი რედაქტორი.

არკადი **სხირტლადე** (Arkadius Schirjtadze, 1902-1940) – დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სხვა ქართველ იუნკრებთან და სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. პოლონეთში ბიდგომჰის სამხედრო სკოლაში ჩაირიცხა და შემდეგ კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიაში. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კაპიტანი სხირტლადე 1939 წ. სექტემბრის კამპანიაში ჩაერთო. პირველ დღეებში დებლინის აეროპორტზე გერმანელთა მიერ განხორციელებული საჰაერო შეტევის დროს დაიჭრა. ჯერ ვარშავაში, შემდეგ კი აღმოსავლეთით გადაიყვანეს. 1939 წ. 17 სექტემბერს პოლონეთს აღმოსავლეთიდან უკვე საბჭოთა კავშირი დაესხა თავს და გერმანელთა ფრონტს გარიდებული დაჭრილი კაპიტანი სხირტლადე ბრესტის მისადგომებთან წითელარმიელებს ჩაუვარდა ტყვედ. თითქმის ერთწლიანი ტყვეობის შემდეგ პოლონეთის არმიის ქართველი მფრინავი არკადი სხირტლადე სტარობელსკის, ოსტაშკოვისა და კოჟელსკის ტყვე ოცი ათასზე მეტ პოლონელ სამხედრო ტყვესთან ერთად კატინში 1940 წ. გაზაფხულზე დახვრიტეს.

მურად გირეი **ტლეჰას** (მურატ-ჩერი საოფიჟის ძე **ტლეხასოვი**, 1873-1920) – რუსეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო მოღვაწე, წარმოშობით ჰატუკაელი (ადიღეელების სუბეთნოსი), გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა პორტ-არტურის დაცვაში. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში დააჯილდოვეს ორდენებითა და წმ. გიორგის ხმლით. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, დაიჭრა 1914 წ. ნოემბერში. 1915 წ. 17 აპრილს პოდპოლკოვნიკი ტლეხასოვი წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. თეთრგვარდიელების მიერ ყუბანისა და ადიღეს დაპყრობის შემდეგ აზერბაიჯანში ჩავიდა და გენერალ პრევევალსკის ბრძანებით კვლავ ჩამოყალიბებულ მუსლიმანურ კორპუსში შევიდა. პოლკოვნიკი ტლეჰასი მე-2-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაურად დაინიშნა. ადრ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მუსლიმანური კორპუსი ცალკე აზერბაიჯანულ კორპუსად გადაკეთდა. 1919 წ. იანვარში ტლეჰასი სამხედრო უწყების საბ-

რძოლო ნაწილების შტატების, მმართველობისა და დაფუძნების შესარჩევი კომისიის საქმიანობაში იღებდა მონაწილეობას, კომისიის მეთაურად სამხედრო მინისტრის მიერ მივლინებული იყო საქართველოში, იქ შეიარაღებისა და სხვა სამხედრო ქონების სხვადასხვა საგნების შესაძენად. 1919 წ. 4 დეკემბერს ბაქოს სამხედრო გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს. 1920 წ. 28 აპრილს დააპატიმრეს თურქმა კომუნისტმა მამედ ტაჰიროვმა და მისმა ორმა ამხანაგმა. დაადანაშაულეს ა. ბაირამოვის (აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, კომუნისტური პარტიის წევრი 1919 წლიდან) მკვლელობაში. სახელმწიფო მზრალდებლად გამოდიოდა ვ. ნანიევილი [რსდპ(ზ) წევრი 1903 წლიდან, დახვრიტეს მოსკოვში 1940 წ.], მკვლელობაში ტლეჰასის მონაწილეობის რაიმე მტკიცებულება ტრიბუნალს არ გააჩნდა. 28 მაისს ტლეჰასს დახვრეტა მიუსაჯეს, განაჩენი სისრულეში მეორე დღეს მოიყვანეს.

ლევ დავითის ძე **ტროცკი** (ლეიბა დავითის ძე ბრონშტეინი, 1879-1940) – XX საუკუნის რევოლუციური მოღვაწე, მდიდარი ებრაელი კოლონისტი მიწათმფლობელ-არენდატორის ვაჟი. ტროცკიზმის – მარქსიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობის იდეოლოგი. მონარქიულ წყობილებაში ორჯერ გადაასახლეს, 1905 წ. ჩამოერთვა ყველა სამოქალაქო უფლება. 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი, წითელი არმიის ერთ-ერთი შემქმნელი; კომინტერნის (III ინტერნაციონალის) ერთ-ერთი დამფუძნებელი და იდეოლოგი. პირველ საბჭოთა მთავრობაში – საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, 1918-1921 წლებში – სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარი და რსფსრ-ის, შემდეგ სსრკ-ის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე. 1923 წლიდან შიგაპარტიული მემარცხენე ოპოზიციის („ახალი კურსი“) ლიდერი. რკპ(ზ) პოლიტბიუროს წევრი 1919-1926 წლებში. 1927 წ. მოხსნეს ყველა პოსტიდან და გადაასახლეს, 1929 წ. განდევნეს სსრკ-ის ფარგლებიდან, 1932 წ ჩამოართვეს საბჭოთა მოქალაქეობა. 1938 წ. – IV ინტერნაციონალის შექმნელი და იდეოლოგი. რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში წიგნების («Наша революция», «Преданная революция»), 1917 წლის რევოლუციის შესახებ კაპიტალური შრომების («История русской революции»), ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების («Литература и революция») და ავტობიოგრაფიის «Моя жизнь» (1930) ავტორი. 1940

წ. 20 აგვისტოს სასიკვდილოდ დაჭრა HKBD-ს აგენტმა რამონ მერკადერმა მეხიკოში, გარდაიცვალა მეორე დღეს. ტროცკი „ძველი რევოლუციონერებიდან ოპოზიციის ლიდერის“ წინასახეა ჯ. ორუელის ორ ნაწარმოებში: „პირუტყვთა ეზო“ (Snowball – ფიფქი) და „1984“ (ემანუელ გოლდსტეინი).

მიხაილ ნიკოლაის ძე **ტუხაჩევსკი (1893-1937)** – საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, სამხედრო თეორეტიკოსი, საბჭოთა კავშირის მარშალი (1935). დაიბადა გადარიბებული შთამომავლობითი აზნაურის ოჯახში. პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, დაიჭრა, გეროიზმისთვის ხუთჯერ იყო დაჯილდოებული სხვადასხვა ხარისხის ორდენებით (5 ორდენი ნახევარი წლის განმავლობაში). 1918 წ. ადრე გაზაფხულზე შევიდა რკპ(ბ)-ში, მარტში – ნებაყოფლობით წითელ არმიაში. კოლჩაკზე გამარჯვებისთვის დაჯილდოვდა საპატიო რევოლუციური იარაღით. 1921 წ. 5 მარტს დანიშნეს კრონშტადტის გარნიზონის აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილი მე-7-ე არმიის სარდლად. 18 მარტისთვის აჯანყება ჩაახშვეს. 1921 წ. რსფსრ მოიცვეს ანტისაბჭოთა აჯანყებებმა, რომელთაგან ევროპულ რუსეთში უდიდესი იყო გლეხთა აჯანყება ტამბოვის გუბერნიაში. ცკ-ს პოლიტბიურომ 1821 წ. მაისის დასაწყისში ტუხაჩევსკი ტამბოვის ოკრუგის ჯარების სარდლად დანიშნა. აჯანყება ძირითადად 1921 წ. ივლისის ბოლოს ჩაახშვეს. უპირატესად გლეხებისგან შედგენილი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლებში ტუხაჩევსკი იყენებდა ქიმიურ იარაღს, არტილერიასა და ავიაციას. ასევე ფართოდ გამოიყენებოდა ისეთი ზომები, როგორც აჯანყებულების ნათესავებისგან მძევლების შეპყრობა და დახვრეტა. ბევრ დროს უთმობდა სამხედრო-სამეცნიერო მუშაობას, მის კალამს ეკუთვნის 120 შრომაზე მეტი სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნების საკითხებზე. დახვრიტეს 1937 წ. „ანტისაბჭოთა ტროცკისტულ სამხედრო ორგანიზაციის საქმეზე“. დაპატიმრებული და მსჯავრდებული იყო მისი ოჯახის თითქმის ყველა წევრი. რეაბილიტირებულია 1957 წ. „*არამც თუ სასტიკი იყო, საერთოდ არ ჰქონდა შებრალების გრძნობა*“ (ინგოლშტადტში გერმანიის ტყვეობაში ტუხაჩევსკისთან მყოფი ფრანგი ოფიცრის რეში რურის შეფასება; იქ გაიცნო შარლ დე გოლიც).

უზუნ-ჰაჯი **სალთელი** (უზუნ-ჰაირ-ჰაჯი-ხანი; „ჰაჯი“ – მექაში მომლოცველობის შემსრულებელს ნიშნავს, სახელს „უზუნ-ჰაირ“ კი წინასწარმეტყველი მუჰამედი ატარებდა; 1848-1920) – დაღესტნის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე, ჩრდილოეთ კავკასიის ემირატის ემირი. ეროვნებით ავარელი.

გრიგოლ (გრიშა) **ურატაძე** (ფრ. ჩაწერით გრეგუარ ურატაძე, 1878-1959) – ქართველი პოლიტიკოსი, დიპლომატი, დამფუძნებელი კრების წევრი, რუსეთში საქართველოს პირველი ელჩი. 1917 წ. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1922 წ. დასაწყისისთვის ემიგრაციაში წავიდა. თავდაპირველად ცხოვრობდა პრელაში, შემდეგ პარიზში. იქ დაწერა რამდენიმე მონოგრაფია და წერილი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ. 1929-1936 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოს“. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

მათეოს ურჰაეცი, *მათე ურჰაელი*, *ედესელი*, – XII საუკუნის I ნახევრის სომეხი ისტორიკოსი. ცხოვრობდა ქ. ედესაში (ახლანდელი ქ ურფა თურქეთში). მის ნაშრომში „ჟამთააღმწერლობა“ გადმოცემულია 952-1136 წლების ისტორიული მოვლენები. ნაშრომი სომხეთის ისტორიის გარდა შეიცავს ცნობებს ახლო აღმოსავლეთსა და, კერძოდ, საქართველოზე; ფართოდაა გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (კერძოდ, ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“).

იბრაჰიმ-აღა მუსა-აღა-ოღლი **უსუბოვი** (1872-1920) – რუსეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო მოღვაწე. საერთო განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში. ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და პოლონურ ენებს. 1904 წ. შტაბს-კაპიტანი უსუბოვი მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. მამაცობისთვის დააჯილდოვეს წმ. ვლადიმირის მე-4-ე ხარისხის ორდენით და წმ სტანისლავის მე-3-ე ხარისხის ორდენით (ხმლებითა და ბაფთით). აქტიურად მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1914 წ. 14 ოქტომბერს ბატალიონმა კაპიტან უსუბოვის მეთაურობით იერიში მიიტანა სიმაღლეებზე სოფელ მიზინეცთან, ავსტრიის ძალებს უკანდახევა აიძულა და სამი დღე უკუაგდებდა ავსტრიელების კონტრშეტევებს. 1915 წ. 1 აგვისტოს მიანიჭის პოლკოვნიკის, 1917 წ.

1 ივლისს გენერალ მაიორის წოდება. 1918 წ. მაისში აზერბაიჯანის დემოკრატიული არმიის სამსახურში შევიდა. 1919 წ. 14 ივლისს მე-2-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად დაინიშნა. დივიზიის შტაბი ბაქოში იმყოფებოდა. ნოემბერში ადრ-ის მთავრობამ იტალიაში მიავლინა, ქვეყნის სამხედრო სამინისტროსთან აზერბაიჯანის არმიისთვის სამხედრო ფორმის ტანსაცმლისა და საჭურვლის მომარაგებაზე მოსალაპარაკებლად. 1920 წ. ივნისის დასაწყისში დააპატიმრეს საკუთარ სახლში, თორმეტ გენერალსა და ოფიცერთან ერთად დახვრიტეს იმავე წლის 16 ივნისს.

ფერდინანდ ფოში (*Ferdinand Foch*, 1851-1929) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე, სამხედრო თეორეტიკოსი, პირველი მსოფლიო ომის დროის ფრანგი სარდალი. არის სამხედრო-თეორიული ნაშრომებისა და მემუარების ავტორი. 1917 წ. 15 მაისიდან 1918 წ. 11 ნოემბრამდე იყო გენერალური შტაბის უფროსი, 1918 წ. 6 აგვისტოდან საფრანგეთის მარშალი, 1918 წ. 26 მარტიდან 11 ნოემბრამდე – მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი საფრანგეთში. 1918 წ. 11 ნოემბერს რკინიგზის თავის ვაგონში კომპიენის ტყე-პარკში ხელი მოაწერა კომპიენის დაზავებას, რომლითაც პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა. უ. ჩერჩილი თავისი „მეორე მსოფლიო ომის“ პირველ ტომში (1948) და ფრანგი პოლიტიკოსი და იურისტი ორ მსოფლიო ომს შორის პოლ რეინო „მემუარებში“ ამტკიცებდნენ, რომ მარშალმა ფოშმა, როცა 1919 წ. ვერსალის საზავო ხელშეკრულების შესახებ გაიგო, განაცხადა: „ეს ზავი არაა, ეს დაზავებაა ოცი წლით“.

მირზა ქუჩუკ-ხან ჯენგელი (1880/1881 – 1921) – სპარსი სამხედრო მოღვაწე, ერთ-ერთი პირველი რევოლუციონერი ირანის ისტორიაში, ჯენგელიელების მოძრაობის დამაარსებელი და ლიდერი. კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკებმა აღმოსავლეთით წინწაწევა გადაწყვიტეს. ადგილობრივ ამბოხებულებთან მოლაპარაკების შემდეგ ირანში 1920 წ. 5 ივნისს ჩამოაყალიბეს გილანის რესპუბლიკა (სპარსეთის საბჭოთა რესპუბლიკა, 1921 წ. ივნისიდან გილანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა), რომელმაც 1921 წ. სექტემბრამდე იარსება. დროებითი რევოლუციური მთავრობის თავჯდომარე გახდა ქუჩუკ-ხანი (1920 წ. ივნისი-ივლისი და 1921 წ. მაისი-სექტემბერი), შექმნის სტადიაში მყოფი არმიის მთავარსარდალი – გენერალ-

მაიორი ვასილი კარგარეთელი. ირანის კომპარტიის გავლენის გაზრდის შიშით ქუჩუკ-ხანმა 1921 წ. 29 სექტემბერს მოახდინა გადატრიალება და თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები გაანადგურა. დაიწყო სამოქალაქო ომი, 2 ნოემბერს რესპუბლიკა მთავრობის ჯარებმა დაიკავეს. ქუჩუკ-ხანი გაიქცა და თალიშის მთებში გაიყინა. მისი თავი საჯაროდ გამოფინეს რეშთში. ირანელი ისტორიკოსები ქუჩუკ-ხანს გამოჩენილ პიროვნებად მიიჩნევენ, ითვლება ირანის გმირად, ჰომეინის წინამორბედად შაჰის რეჟიმისგან ხალხის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. 2012 წ. გილანის ერთ-ერთ ქალაქში მის პატივსაცემად შედგა საზეიმო ცერემონია, რომელსაც პრეზიდენტი აჰმადინეჯადი ესწრებოდა.

ივანე ნიკოლოზის ძე **ყაზბეგი** (1860-1943) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, თავადი. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში. 1916 წ. ებოძა გენერალ-მაიორის წოდება. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ჯერ სტამბოლში, 1922 წ. – პოლონეთში. ქართველ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად შევიდა პოლონეთის ჯარში, სადაც მსახურობდა კონტრაქტით 1931 წ. 31 აგვისტომდე. მიღებული აქვს ორდენები: წმ. ანას III ხარისხის (1901), წმ. ანას II ხარისხის (1902), წმ. ვლადიმირის IV ხარისხის (1914), წმ. ვლადიმირის III ხარისხის მახვილებით (1915), წმ. ვლადიმირის IV ხარისხის მახვილებითა და ბაფთით (1915), წმ. სტანისლავის II ხარისხის მახვილებით (1915), წმ. ანას III ხარისხის მახვილებითა და ბაფთით (1916). გარდაიცვალა ვარშავაში, დაკრძალულია პოვონზკის სამხედრო სასაფლაოზე. საქართველოდან ივანე ყაზბეგი, კირილე ქუთათელაძე და ზაქარია ბაქრაძე სამი სახელმწიფოს გენერალი გახდნენ. სამივე პოლონეთში გარდაიცვალა.

მუსა ქაზიმ **ყარაბეკირი** (Musa Kâzım Karabekir; 1882-1948) – ოსმალეთისა და თურქეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, თურქეთის დიდი ეროვნული კრების სპიკერი. პირველი მსოფლიო ომის ბოლოს არმიათა მე-15-ე კორპუსის სარდალი. მეთაურობდა კავკასიის მე-2-ე კორპუსს და 10 თვე იბრძოდა სომხებისა და რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. 1919 წ. ბოლოს ყარაბეკირის ჯარებმა დაიკავეს ნახჭევანი (სადავო ტერიტორია აზერბაიჯანსა

და სომხეთს შორის). 1920 წ. ხელმძღვანელობდა სამხედრო მოქმედებებს სომხეთის წინააღმდეგ. 1921 წ. მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიების ოკუპაცია. 1999 წ. 16 ოქტომბერს ნახჭევანში აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰ. ალიევის თანდასწრებით გახსნეს ყარაბეჟირ-ფაშას სახელობის მეჩეთი. 2009 წ. აზერბაიჯანელმა რეჟისორმა ტაირ ალიევა გადაიღო ფილმი ყარაბეჟირ-ფაშას ცხოვრებაზე – „აღმოსავლეთის დამპყრობი“; ფილმს სტამბოლში, ერზურუმში, ყარსში და ნახჭევანში იღებდნენ.

დიმიტრი იოსების ძე **შალიკაშვილი** (1896-1947) – ქართველი სამხედრო პირი. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა რუსეთ-გერმანიის ფრონტზე. 1918 წ. სამშობლოში დაბრუნდა. მსახურობდა საქართველოს სამხედრო სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებაში. 1920 წ. დეკემბერში ქართულ დიპლომატიურ მისიასთან ერთად საქართველო-თურქეთის საკითხებზე თურქეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ანკარაში იმყოფებოდა. 1921 წ. თებერვალში ჯერ კიდევ თურქეთში იყო და საქართველოში აღარ დაბრუნდა. 1922 წ. ბოლოს სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად პოლონეთს შეაფარა თავი. იყო სამხედრო მრჩეველი პოლონეთის არმიაში. გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ მსახურობდა ქართულ ლეგიონში (Die Georgische Legion – ვერმახტის შენაერთი 1941-1945 წლებში. შედგებოდა სამხედრო ტყვეებისა და სოვეტიზაციის შემდეგ ევროპაში წასული ემიგრანტების – ქართველების, აფხაზების, ჩერქეზების, ყაბარდოელების, ბალყარელებისა და ყარაჩაეელებისგან), რომელიც შემდეგ SS-ის ჯარში ჩართეს და მოკავშირეებს ჩაუვარდა ტყვედ. მისმა ოჯახმა თავი ბავარიაში მცხოვრებ ნათესავებს შეაფარა. დასავლეთის მიერ საბჭოთა მხარისთვის ყოფილი ტყვეების გადაცემის შემდეგ სსრკ-მა ემიგრანტების გადაცემაც მოითხოვა. ძველი და ახალი ემიგრაცია მასობრივად ტოვებდა ევროპას და ამერიკაში გადადიოდა. 1952 წ. შალიკაშვილებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდნენ. სიცოცხლის ბოლო წლებში დიმიტრი შალიკაშვილმა მოაწესრიგა თავისი ჩანაწერები და მოგონებების ძალიან საინტერესო ორი წიგნი დატოვა. ერთი „ანგორა“, სადაც ანკარაში მოლაპარაკების ამბები აღწერა და 1967 წ. დაიბეჭდა პარიზში, ჟურნალ „კავკასიონში“, და მეორე – „კონსტანტინოპოლი“, რომელშიც მოთხრობილია ქართველ ლტოლვილთა ცხოვრება სტამბოლში 1921-1922 წლებში.

დაკრძალულია ჯორჯის შტატის ქალაქ ატლანტაში. ამერიკელი გენერლების ოთარ იოსებ შალიკაშვილისა და ჯონ მალხაზ შალიკაშვილის (ოთხი ვარსკვლავის მქონე გენერალი, 1936-2011) მამა.

ლევონ **შანტი** (სელბოსიანი, 1869-1951) – სომეხი მწერალი, ნოველისტი და პოლიტიკური მოღვაწე. სწავლობდა ეჩმიადინის სასულიერო აკადემიაში, 1892-1899 წლებში – ლაიპციგის, იენის, მიუნხენის უნივერსიტეტებში, შემდეგ დაბრუნდა სომხეთში. იბეჭდებოდა 1891 წლიდან. შემდეგ დაუახლოვდა პარტია დამნაკცუთიუნს. 1921 წ. ემიგრაციაში წავიდა.

სტეფანე გიორგის ძე **შაუმიანი** (1878, ტფილისი – 1918) – სომეხი რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე. კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ჟურნალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი. 1898 წ. დაამთავრა ტფილისის რეალური სასწავლებელი. 1899 წ. ჩამოაყალიბა სომხეთში პირველი მარქსისტული წრე. რსდმპ-ის წევრია 1900 წლიდან. 1902 წ. სომეხი სოციალ-დემოკრატების კავშირის, რომელიც რსდმპ-ის შემადგენლობაში შევიდა, ორგანიზატორი. 1902 წ. ემიგრაციაში წავიდა გერმანიაში. 1903 წ. ჟენევაში გაიცნო ლენინი. 1905 წ. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. სომხურ ენაზე თარგმნა კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ლენინის რამდენიმე ნაწარმოები. 1912 წ. რსდმპ-ის სრულიად რუსეთის VI (პრადის) კონფერენციაზე დაამტკიცეს ბოლშევიკების პარტიის ცკ-ის წევრობის კანდიდატად. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე, კავკასიის ბოლშევიკების მეთაური. 1917 წ. ოქტომბერში ხელმძღვანელობდა კავკასიის ბოლშევიკების არალეგალურად ჩატარებულ I ყრილობას. 1918 წ. აპრილიდან ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს (სკს) თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისარია. დახვრიტეს ბაქოს 26 კომისართა შემადგენლობაში. 2009 წ. 12 იანვარს დაიწყეს ბაქოს 26 კომისრის ეგსკუმაცია მათი ხელახლა დასაფლავების მიზნით. 26 იანვარს აღმოაჩინეს 26 კომისრის ნეშტი, შაუმიანი და კიდევ ორი ადამიანი ვერ იპოვეს.

შაფირი იაკობ მიხაილის ძე (1886-1938) – ბოლშევიკი „ისტორიკოსი და საზოგადოებათმცოდნე (პოლიტოლოგი)“, წერდა პრო-

პაგანდას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი წიგნები და სტატიები საინტერესო ფაქტოგრაფიულ მასალას შეიცავენ. რკპ(ზ) პარტიის წევრი 1903 წლიდან. იმავე წელს მემარჯვენე ესერებს მიემხრო. 1917 წ. მემარცხენე ესერებთან გადავიდა. 1920 წ. ბოლშევიკებთან დაბრუნდა, იმავე წლიდან მუშაობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, 1925 წლიდან – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში (დაარსდა ВЦИК-ის დეკრეტით 1925 წ.). 1938 წ. 16 მარტს კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს. იმავე წლის 26 აპრილს დახვრეტა მიუსაჯეს. იმავე დღეს დახვრიტეს „კომუნარკაზე“.

იაკუბ **შევკი** სუბაში (Yakup Şevki Subaşı; 1876-1939) – 1917 წლიდან მეთაურობდა ოსმალთა მე-2-ე არმიას. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1918 წ. 2 მარტს დაინიშნა ოსმალთა ახალი მე-9-ე არმიის მეთაურად, რომელიც განკუთვნილი იყო ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში მდინარე არაქსის გაყოლებით ოპერაციების განსახორციელებლად. 1918 წლიდან მეთაურობდა არმიათა ჯგუფ „ყარსს“.

ანდრეი გრიგორის ძე **შკურო** (შკურა, 1887-1947) – რუსი სამხედრო, ყუბანელი კაზაკი, თეთრი არმიის გენერალ-ლეიტენანტი, პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების მონაწილე; წმ. გიორგის ხმლის მფლობელი, წმ ანას და წმ. სტანისლავის ორდენების კავალერი; ინგლისური აბანოს ორდენის რაინდი-კომანდორი (1919). მეორე მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდა ნაცისტურ გერმანიასთან, SS-ის გრუპენფიურერი. სსრკ-ისთვის გადაცემის შემდეგ ჩამოხრჩობით სიკვდილი მიუსაჯეს. განაჩენი ადასრულეს მოსკოვში.

ალექსანდრ **ჩერეპოვი** (1877-1964) – რუსი ოფიცერი, გენერალ მაიორი, მართლმადიდებელი, კურსკის გუბერნიის აზნაურობიდან, პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომის მონაწილე. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ხმლით და წმ. გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენით. 1919 წ. დასაწყისში შავი ზღვის სამხედრო გუბერნატორი გახდა ნოვოროსიისკში. შემდგომში ტუაფსეს რაზმის უფროსი იყო, რომელსაც, დენიკინის სიტყვებით, „ამოცანად ჰქონდა ჩვენი მთავარი ბაზის – ნოვოროსიისკის დაცვა საქართველოს მხრიდან“. 1920 წ. მძიმედ დაიჭრა და სერბიაში

გაგზავნეს, დასახლდა ქალაქ ნოვი-სადში. 1941 წ. თავის ვაჟთან და მოხალისეებთან ერთად რუსი ემიგრანტებისა და ნაცისტური გერმანიის მხარეზე მებრძოლი სსრკ მოქალაქეებისგან შედგენილ რუსულ დამცველ კორპუსში (*Russisches Schutzkorps Serbien*) შევიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრობდა ავსტრიასა და დასავლეთ გერმანიაში (მიუნხენში).

გიორგი (იური) ვასილის ძე **ჩიჩერინი** (1872-1936) – რუსი რევოლუციონერი, საბჭოთა დიპლომატი, რსდმპ-ის წევრი 1905 წლიდან, რსფსრ-ისა და სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (1918-1930), სსრკ ცაკ-ის 1-5 მოწვევის წევრი, სრკპ(ბ) ცკ-ის წევრი (1925-1930). დაიბადა ძველ რუსულ აზნაურულ ოჯახში, ჭაბუკობის დროიდან იყო ერუდიტი, პოლიგლოტი, ჰომოსექსუალი, შესანიშნავად უკრავდა როიალზე და ჰქონდა ფენომენური მეხსიერება; მუსიკათმცოდნე, ავტორია წიგნისა მოცარტზე, იყო ვაგნერის, მოცარტისა და ნიცმეს შემოქმედების ერთ-ერთი გამოჩენილი პროპაგანდისტი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე წავიდა ლონდონში, ომის დროს ემხრობოდა ბოლშევიკების წრეში გავრცელებულ ე. წ. „პორაჟენელობის“⁷⁴⁴ პოზიციას. 1922 წ. აპრილში გენუის კონფერენციაზე, 1923 წ. ლოზანის კონფერენციაზე იყო საბჭოთა დელეგაციის მეთაური. დასაფლავებულია მოსკოვში ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

ქაიხოსრო (ქაქუცა) **ჩოლოყაშვილი** (1888-1930) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, ერთ-ერთი ცნობილი ქართული გვარის – თავად ჩოლოყაშვილების წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული გმირი. 1914 წ., პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ჯარში გაიწვიეს, ხელმძღვანელობდა ესკადრონს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე. მძიმედ დაიჭრა და თავისივე სურვილით კავკასიის ფრონტზე გადაიყვანეს. 1914 წ. დეკემბრის დასაწყისში დანიშნეს კავალერიის ასეულის მეთაურად კავკასიის მე-3-ე მსროლელის დივიზიის შემადგენლობაში, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ვასილ გაბაშვილი სარდლობდა. თავი გამოიჩინა სარიყამიშის ბრძოლაში, მძიმედ დაიჭრა სტრატეგიული სიმაგრის

⁷⁴⁴ поражение, поражение–დან (დამარცხება)– პოლიტიკური განწყობა, შეესაბამება ომში საკუთარი ქვეყნის მთავრობის დამარცხების სურვილს.

„არწივის ბუდის“ დაცვისას. „ჩოლოყაშვილი დაჭრეს, მაგრამ ის ბრძოლას არ წყვეტდა და აიღო ის სტრატეგიული პუნქტი, რომელიც სამხედრო ოპერაციების შემდგომ ბედს განსაზღვრავდა. დაჭრილი ჩოლოყაშვილი ბრძოლის ველს არ ტოვებდა... მესამე დაჭრის შემდეგ ქაიხოსრო ცუდად გახდა, მაშინ იძულებული იყო სამედიცინო დახმარებისთვის მიემართა“, – წერდა ფრანგი პუბლიცისტი რამონ დიუგე წიგნში „რუსეთი და გაწამებული საქართველო“. ამ ბრძოლაში გმირობისთვის ოქროს ხმლით დააჯილდოვეს. მკურნალობის შემდეგ, 1915 წ. ნიკოლაი ბარათოვის მეთაურობით სპარსეთში სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობდა. რაზმმა წარმატებული რეიდი განახორციელა და მესოპოტამიის გავლით ბრიტანეთის არმიას შეუერთდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახდა და მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალიბებაში. 1919 წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახდა. სომხეთ-საქართველოს ომისა და რუსეთ-საქართველოს ომის დროს ქართულ კავალერიას ხელმძღვანელობდა. წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ საქართველოს მთავრობასა და არმიასთან ერთად დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. 1922-1924 წლებში ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. სვიმონიანთ ხევთან, ხევ-გძელასთან მოგებული ბრძოლების მიუხედავად, 1924 წ. ოქტომბრის ბოლოს დარწმუნდა ბრძოლის გაგრძელების ამაოებაში და რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად თურქეთის გავლით საფრანგეთში გადაიხვეწა. მისი სიმამრი ილია მეღვინეთუხუცესი დახვრიტეს, მეუღლე ნინოს ასევე დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ ქალიშვილებთან, 7 წლის თამართან და 3 წლის ქეთევანთან ერთად, გადაასახლეს. ავსტრიის ფრონტზე და სარიყამიშში მიყენებულმა მძიმე ჭრილობებმა თავი იჩინეს და ტუბერკულოზით გარდაიცვალა. დაკრძალეს სენტ-უანის სასაფლაოზე, მოგვიანებით გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. 2005 წ. მისი ნეშტი თბილისში გადაასვენეს და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს.

ალექსანდრე დავითის ძე **ჩხეიძე** (1873-1947) – ქართველი გენერალი. ძველ აზნაურთა წოდებიდან, მართლმადიდებელი. პირველ

მსოფლიო ომში პოლკოვნიკის წოდებით იბრძოდა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე (1914-1917) კავკასიის მე-2-ე კორპუსის ტფილისის მე-15-ე გრენადერთა პოლკის შემადგენლობაში. 1917 წ. ნოემბრიდან მსახურობდა ამიერკავკასიის ფედერაციის არმიის ქართულ კორპუსში. 1919 წ. ახალციხის ფრონტზე იყო ბორჯომის და შემდეგ ახალციხე-აწყურის ხაზის მეთაური. 1921 წ. წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლ ტფილისის სამხედრო სასწავლებლის იუნკრებს მეთაურობდა. 1921 წლიდან ემიგრაციაშია, 1922 წ. გადავიდა პოლონეთში. 1931 წ. 31 აგვისტომდე კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიაში. თადარიგში გასვლის შემდეგ ცხოვრობდა ლვოვში, სადაც 1939 წ. წითელი არმიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის დროს დააპატიმრა НКВД-მ როგორც „ხალხის მტერი“. 1940 წ. გადაიყვანეს კიევის ციხეში და წაუყენეს შემდეგი ბრალდება: „საქართველოს არმიაში სამსახური, წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა, ვარშავის ქართული კომიტეტის წევრობა და პოლონეთის არმიაში სამსახური“. ამავე წლის 16 დეკემბერს გადაიყვანეს მოსკოვში. დახვრიტეს კატიწში.

ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე **ჩხეიძე** (1864-1926) – საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, თავდაზნაურთა წრიდან. 1892 წ. ნ. ჟორდანიასთან, ს. ჯიბლაძესთან და ე. ნინოშვილთან ერთად ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, ე. წ. მესამე დასი, რომელიც შემდგომში რსდმპ-ის შემადგენელი ნაწილი გახდა. ჩხეიძე რსდმპ-ის წევრი გახდა 1898 წლიდან, 1903 წლიდან მიეკუთვნებოდა მის მენშევიკურ ფრთას. 1907-1912 და 1912-1917 წლებში იყო მე-3-ე და მე-4-ე სახელმწიფო სათათბიროების დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან, 1912 წლიდან თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასაც. 1917 წ. თებერვლის რევოლუციიდან ოქტომბრის გადატრიალებამდე პეტერბურგის, ხოლო შემდეგ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარეობდა. ამ პერიოდში საბჭო ამიერკავკასიის დროებითი მმართველი ორგანო იყო. 1918 წ. აპრილში გახდა ახლადარჩეული საკანონმდებლო ორგანოს, ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, ხოლო ამავე წლის 26 მაისიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ეროვნული საბჭოს, ანუ პარლამენტის თავმჯდომარედ დარჩა. 1919-1920 წლებში იმყოფებოდა პარიზის საზავო კონფერენციაზე.

1919 წ. 12 მარტს დაუსწრებლად აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ. 1921 წ. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, სადაც აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა გააგრძელა. 1926 წ. 9 ივნისს თავი მოიკლა.

აკაკი **ჩხენკელი** (1874-1959) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, იურისტი და პუბლიცისტი, მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი რუსეთსა და საქართველოში. 1912 წ. აირჩიეს მეოთხე მოწვევის რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროში ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან. შედიოდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. 1917 წ. დროებითი მთავრობის წარმომადგენელია ამიერკავკასიაში. 1917-1918 წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასკომის, ასევე საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრია. ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა მინისტრი 1917-1918 წლებში. 1918 წ. აპრილში იყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1921 წ. იანვრიდან საქართველოს დესპანია საფრანგეთში. იმავე წლიდან ემიგრაციაშია.

ირაკლი (კაკი) გიორგის ძე **წერეთელი** (1881-1959) – რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკოსი, მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. დაიბადა ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი წერეთლისა და ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დის, ოლიმპიადა ნიკოლაძის ოჯახში. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტური მოძრაობის ლიდერი გახდა, რის გამოც 1901-1903 წლებში ციმბირში გადაასახლეს. გადასახლების შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. 1907 წ. აირჩიეს მე-2-ე მოწვევის დუმის წევრად, სადაც გაწევრიანდა სოციალურ-დემოკრატიულ ფრაქციაში და ასევე გახდა დუმის აგრარული კომიტეტის წევრი. 1917 წ. შევიდა პირველი კოალიციური დროებითი მთავრობის შემადგენლობაში და დაიკავა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პოსტი. ოქტომბრის გადატრიალებას უარყოფითად აფასებდა. დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში, სადაც რესპუბლიკის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. რუსეთის მიერ

საქართველოს ანექსიის შემდეგ ემიგრაციაშია. 1922-1930 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წევრია. 1931 წ. დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ეწეოდა კერძო იურიდიულ პრაქტიკას, ჯერ საფრანგეთში, 1940 წლიდან – აშშ-ში. ქართველი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი იყო მრავალ საერთაშორისო ფორუმზე, იყო II ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. გარდაიცვალა ნიუ-იორკში. 1973 წ. გადაასვენეს ლევილის სასაფლაოზე.

ფატალი-ხან ისკენდერ-ოღლი **ხოსკი** (Fətəlixan İsgəndər oğlu Xoyski, ზოგიერთ დოკუმენტებში ხან ხოსკი, 1875-1920) – რუსეთის იურისტი და აზერბაიჯანელი პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის იმპერიის II მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დელეგატი; სახალხო განათლების მინისტრი ამიერკავკასიის კომისარიატში (1917-1918), ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (1918), აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი (1918-1919), სამხედრო მინისტრი, იუსტიციის მინისტრი (1918) და საგარეო საქმეთა მინისტრი (1918-1920). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადავიდა ტფილისში, სადაც 1920 წ. 19 ივნისს ერივანის (ახლანდელი – თავისუფლების) მოედანზე ზურგში სროლით მოკლეს „დამნაკვთიუნის“ წევრებმა. დასაფლავებულია გამოჩენილ აზერბაიჯანელთა პანთეონში თბილისში მ. ფ. ახუნდოვის საფლავის კვერდით.

მამედ-იუსეფ ჰაჯიბაბა-ოღლი **ჯაფაროვი** (1885-1938) – აზერბაიჯანელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. 1912 წ. წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამხრეთ კავკასიიდან ერთადერთი მუსლიმანი დეპუტატი იყო მეოთხე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში. მოწონებით შეხვდა თებერვლის რევოლუციას. ამიერკავკასიის სეიმში შედიოდა მუსლიმანურ ფრაქციაში. იყო აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის (ადრ) ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი ვაჭრობისა და მრეწველობის და საგარეო საქმეთა მინისტრი. ხელი მოაწერა საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას, ნოტები გაუგზავნა სამხრეთ კავკასიაში დიდი

ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების შტაბებს. მისი მითითებით შეიქმნა კომისია სამხრეთ კავკასიაში ცარიზმის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტების შესაკრებად. ადრ-ის დაცემის შემდეგ ბამბისა და ღვინის ტრესტების იურიდიულ კონსულტაციას ეწეოდა.

ვლადიმერ (ვალიკო) ანთიმოზის ძე **ჯუღელი** (1887-1924) – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, საქართველოს სახალხო გვარდიის სარდალი, „დამკომის“ (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი) წევრი. 1918-21 წლებში მომხდარი თითქმის ყველა ბრძოლის უშუალო მონაწილე. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში იყო, საქართველოში დაბრუნდა 1924 წლის აჯანყების მოსამზადებლად, მაგრამ „ჩეკამ“ დააპატიმრა და იმავე წლის აგვისტოში დახვრიტეს. გამოცემული აქვს საკუთარი მოგონებები – დღიური „მძიმე ჯვარი“ (*Тяжёлый крестъ: записки народоохранителя*, Тифლისь, 1920). სახალხო გვარდიის მეთაურად ყოფნისას აზნაურ ჯუღელს უთუოდ გენერლის თანამდებობა ეკავა. მაგრამ აქ ის ასე არ იწოდება, რადგანაც ქართულ გვარდიაში წოდებები არ ჰქონდათ და ყველა მეთაური არჩეული იყო.

ალი-კლიჩ (მახვილი) **ჰასაევი** (დაახ. 1880-1920) – დაღესტნელი ატლეთი, მოჭიდავე. 1917-1920 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. დახვრიტეს დაღესტნის საოლქო რევტრიბუნალის განაჩენით.

ედუარდ მანდელ **ჰაუსი** (1858-1938) – ამერიკელი პოლიტიკოსი, დიპლომატი, ცნობილია ასევე მეტსახელით „პოლკოვნიკი ჰაუსი“, თუმცა აშშ-ის არმიასთან დამოკიდებულება არ ჰქონია, პოლკოვნიკის წოდება ამ შემთხვევაში შტატის დამსახურებული მოქალაქის საპატიო ტიტულია, რომელიც ამერიკის სამხრეთშია მიღებული და სასამართლოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ენიჭება. ცნობილია პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გაკეთებული მისი გამოთქმა (დღიური, 1918 წ. 19 სექტემბერი): „...დანარჩენი მსოფლიო უფრო მშვიდად იცხოვრებს, თუ უზარმაზარი რუსეთის მაგივრად მსოფლიოში იქნება ოთხი რუსეთი. ერთი – ციმბირი, დანარჩენები კი – ქვეყნის გაყოფილი ევროპული ნაწილი“. მონაწილეობდა ერთა ლიგის შექმნაში.

მამედ-ჰასან ჯაფაროღლი **ჰაჯინსკი** (Məmmədhasən Cəfərqulu oğlu Hacınski; 1875-1931) – აზერბაიჯანელი ინჟინერი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობაში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის (1918), ფინანსთა მინისტრის (1918) და შინაგან საქმეთა მინისტრის (1919-1920) პოსტები. ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აზერბაიჯანის ქალაქების კეთილმოწყობაზე მუშაობდა. 1930 წ. ბერიას ბრძანებით დააპატიმრეს. ციხეში ტუბერკულოზით დაავადდა. გამოძიების დოკუმენტების თანახმად წამება ვერ აიტანა და თავი მოიკლა. სხვა ვერსიით მხეცურად მოკლეს ტფილისის ციხეში. დასაფლავებულია მუსლიმანთა სასაფლაოზე (გამოჩენილ აზერბაიჯანელთა პანთეონში) თბილისში ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე.

რუკების ნუსხა

(ყველა გეოგრაფიული სახელწოდება მოცემულია ფორმაში, რომელიც ოფიციალურად იხმარებოდა 1918-1921 წლებში)

თავი 1

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი (1914 წ. ივნისი)	24
სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციული დაყოფა (1900-1914)	25
საქართველოს სახელმწიფოები რუსეთის შემადგენლობაში შესვლის წინ (1800)	26
ისტორიული ქართული მიწები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (1883-1914)	27
აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი (1916 წ. მაის-ივნისი)	34
ოსმალთა იმპერიის გაყოფის საიქს-პიკო-საზონოვის გეგმა (1916)	36
აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი (1917 წ. სექტემბერი)	37
ყოფილი რუსეთის იმპერიის ცენტრალური, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი სამფლობელოები (1917 წ. 8 ნოემბერი – - 1918 წ. 1 თებერვალი)	42

თავი 2

ოტომანთა ექსპანსია სამხრეთ კავკასიაში (1918 წ. თებერვალი- მარტი)	105
სამხრეთ კავკასია ბრესტის ხელშეკრულების დადების შემდეგ (1918)	111
ოტომანთა ექსპანსია სამხრეთ კავკასიაში (1918 წ. აპრილი-ივნისი)	114

თავი 3

საქართველო ბრესტის ხელშეკრულების დადების შემდეგ (1918 წ. 3 მარტი)	159
--	-----

თავი 4

საქართველო ბათუმის ხელშეკრულების დადების შემდეგ (1918 წ. 4 ივნისი)	177
აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი (1918 წ. ივნისი)	178
სამხრეთ კავკასია ბათუმის ხელშეკრულების დადების შემდეგ (1918 წ. ზაფხული)	179

თავი 5

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი (1918 წ. 30 ოქტომბერი)	206
მოკავშირეთა ძალები შავ ზღვაზე (1918 წ. ნოემბერი – - 1920 წ. ივლისი)	207
სომხეთ-საქართველოს ომი: I ეტაპი (1918 წ. 5-20 დეკემბერი)	209
სომხეთ-საქართველოს ომი: II ეტაპი (1918 წ. 21-31 დეკემბერი)	211
სომხეთ-საქართველოს ომის შედეგები (1918 წ. 6 დეკემბერი – - 1919 წ. 17 იანვარი)	212
საქართველო და კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი რესპუბლიკა (1919 წ. თებერვალ-აპრილი)	213
საქართველო კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რესპუბლიკის გაყოფის შემდეგ (1919 წ. აპრილი)	214

თავი 6

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი: ტერიტორიული მოთხოვნები პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919)	243
აფხაზეთი (1918 წ. დეკემბერი – 1919 წ. აპრილი)	244
ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიები ამიერკავკასიაში (1919-1920)	251
სამხრეთ კავკასიის დე-ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოები (1919 წ. მაისი – 1920 წ. აპრილი)	252

თავი 7

საქართველო, აზერბაიჯანი და რსშმ (1919 წ. აპრილ-ივნისი)	289
აფხაზეთი (1919 წ. ნოემბერი – 1920 წ. მაისი)	299
აზერბაიჯანის დაცემა (1920 წ. 27 აპრილი – 18 მაისი)	302

თავი 8

საქართველო მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (1920 წ. 7 მაისი)	338
საქართველო მოსკოვის ხელშეკრულების 1920 წ. 12 მაისის დანართის შესაბამისად	339
სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (XX ს. დასაწყისი)	340
სოჭის ოკრუგის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (XX ს. დასაწყისი)	341

აფხაზეთის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა (XX ს. დასაწყისი)	341
იბერია და კოლხიდა კრისტოფ ცელარიუსის რუკაზე (XVII ს. ბოლო)	342
ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ისტორია (1)	343
ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ისტორია (2)	344
ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ისტორია (3)	345
ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ეთნიკური შემადგენლობა (XX ს. დასაწყისი)	346
ზაქათალის ოკრუგის ეთნიკური შემადგენლობა (XX ს. დასაწყისი)	349
სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები (1920 წ. მაის-აგვისტოში); საბჭოების ტერიტორიული შეთავაზებები სომხეთს (1920 წ. 12 მაისი)	351
საქართველო: 1921-1922 წლების ტერიტორიული დანაკარგები	354

თავი 9

პონტოს ბერძნული სახელმწიფოს შექმნის გეგმა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი და სევრის ხელშეკრულება (1920 წ. 10 აგვისტო)	365
სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები სევრის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში (1920 წ. 10 აგვისტო)	369
	370

თავი 10

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი (1920 წ. აგვისტო – - 1921 წ. იანვარი)	373
საქართველო მისი დამოუკიდებლობის დე-იურედ ცნობის დღეს (1921 წ. 26 იანვარი)	374

თავი 11

საქართველო და ლიტვა-პოლონეთი 1490-1505 წლებში	385
საქართველო და პოლონეთი (1920 წ. 31 მარტი – - 1921 წ. 1 თებერვალი)	388

თავი 12

სამხრეთ კავკასია: მრეწველობა და სასარგებლო წიაღისეული (1921 წ.)	414
---	-----

საბჭოებისა და საქართველოს ომი და საქართველოს სოვეტიზაცია (1921 წ. თებერვალ-მარტი)	415
სამხრეთ კავკასია მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში (1921 წ. 16 მარტი)	420
საქართველო მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (1921 წ. 16 მარტი)	422
სამხრეთ კავკასია ყარსის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში (1921 წ. 13 ოქტომბერი)	424
საქართველო ყარსის ხელშეკრულების დადების შემდეგ (1921 წ. 13 ოქტომბერი)	425
აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი (1921 წ. ნოემბერი – - 1923 წ. აგვისტო)	426

შეცვლილი გეოგრაფიული სახელწოდებები

წიგნის ტექსტში დასახელებული პუნქტების ყველა სახელწოდება ასახულია 1918-1921 წლებში ოფიციალურად გამოყენებულ ფორმაში (იხ. მარცხენა სვეტი). დასახელებული პუნქტების ახალი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ოფიციალურად შემოტანილი სახელწოდებები მოყვანილია მარჯვენა სვეტში.

ძველი სახელწოდება

აბარანი
ალაშქერთი
ალექსანდროვკა
ამამლუ
ანისი, ანი
ბაშკიჩეთი
ბაშ-ნორაშენი
ბოგდანოვკა (ალთუნყალე)
ბოზიკენტი
ბორჩალო
გაზანფარი
გერგერი
გერუსუ
გიული-ბულადი
დელიჟანი
დიდი ზეივა
ელენოვკა
ელიზაბეთთალი
ელიზავეტპოლი (ელისავეტპოლი)
ეკატერინოდარი
ენზელი
ერივანი

თანამედროვე

სახელწოდება⁷⁴⁵

აპარანი
ელემქირთი
ბოვადორი
სპიტაკი
ოჯახლუ
დმანისი
შარური
ნინოწმინდა
მარდაოვითი
მარნეული
არაგაწი
პუშკინო
გორისი
ბიურაკანი
დილიჟანი
არატაშენი
სევანი
ასურეთი
განჯა, განძა
კრასნოდარი
ბენდერ-ენზელი
ერევანი

⁷⁴⁵ სეპარატულ ან ეთნიკურ უმცირესობათა მიერ ხშირად გამოყენებული ალტერნატიული დასახელებები მოყვანილია ფრჩხილებში.

ვართანლუ
ვლადიყარსი
ვორონცოვკა
ზეითუნი
თემირ-ხან-შურა
თიგნისი
ილიჯა
კალაგერანი
კალოპოტამო
კამენკა
კატარინენფელდი (კამარლო)
კერასუნტი
მამახათუნი
ნიკიტინო
ნიკოლაევკა
ნოვო-ზაიაზეთი (ნორ-ზაიაზეთი)
ნოვო-პოკროვკა
პეტროვსკი (პორტ-პეტროვსკი)
პილენკოვო
პრიშიბი
სარდარაბადი
სულევო
ტრაპიზონი
ტფილისი
უზუნლარი
ულუხანლუ
ქეშიშქენდი
ყარაქილისა, ყარაქიოსე
ყვირილა
Царицын
Царские колодцы, წითელი წყარო
ხანქენდი
ჯალალ-ოდლი
ჰარპუტი (ხარბერდი)

შაუმიანი
კუმბეთლი
ტაშირი
სულეიმანლი
ბუინაკსკი
ქალკანყალე
აზიზიე
ძორაგიული
იდერნე
ძორაგეტი
ბოლნისი
გირესუნი
თერჯანი (Tercan)
ფიოლეტოვო
ამრაკიცი
გავარი
ურასარი
მახაჩყალა
განთიადი (ცანდრიფში)
გიოითეფე
სარდარაპატი, არმავირი
სულევი (ფშოუხუა)
ტრაპიზონი
თბილისი
ოძუნი
მასისი
ელეგნადორი
ადრი (Ağrı)
ზესტაფონი
Сталинград, Волгоград
დედოფლისწყარო
სტეპანაკერტი
სტეფანავანი
ელაზიდი

გამოყენებული ლიტერატურა

საარქივო მასალები

საქართველოს ეროვნული ისტორიული არქივი, ფონდი 1864, ოპ. 2, დოკ. 3.

Фельштинский, Юрий. *Архив Троцкого, Коммунистическая оппозиция в СССР 1923-1927*(Москва, 1990), том. 1.

ავხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი:

ფონდი 51С, დოკ. 41;

ფონდი II-39, ოპ. 1, დოკ. 2;

ფონდი II-39, ოპ. 1, დოკ. 6.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1864, ოპ. 1, დოკ. საქმე 48, გვ. 36-39.

სომხეთის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1, ოპ. 1, დოკ. 209.

ოფიციალური და ნახევრად ოფიციალური პუბლიკაციები

ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთვის, დოკუმენტები და მასალები: 1917-1921 წწ. (თბილისი, 1958)

Babet, V. *Les richesses naturelles de la Georgie – Richesses minières* (Paris, 1920).

Constitution de la République de Géorgie (Paris, 1922).

Délégation géorgienne a la Conférence de la paix, Mémoire présenté à la Conférence de la paix (revendications politiques-frontières) suivi de l'acte de l'indépendance de la Géorgie et d'une carte (Paris, 1919).

«'Демократическое' правительство Грузии и английское командование», *Красный Архив*, №№ 2 (21), 1927; 6 (25), 1927.

Дни господства меньшевиков в Грузии: [Документы и материалы]: Сборник / Сост. Г. Девдариани. – Тифлис: Госиздат Грузии, 1931 (1-я тип. Госиздата). – XVI, 572 с.; 18 см. – Вступ. ст. Мамии Орахелашвили: «Ленин о грузинских меньшевиках» С. V-XVI

Documents presented by the government of the Republic of Georgia to the first Assembly of the League of Nations Relative to the Admission of Georgia to the said League (London, 1920).

Documents relatifs à la question de la Géorgie devant la Société des Nations (Paris, 1925).

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии (Тифлисъ, 1919).

Документы по истории гражданской войны в СССР, том I (Москва, 1940).

Документы по истории гражданской войны в СССР, том II (Москва, 1958).

Документы внешней политики СССР, том III (Москва, 1951).

Документы внешней политики СССР, том IV (Москва, 1951).

Foreign Relations of the USA, 1919, Vol.V.

Foreign Relations of the USA, 1919, Vol.VII.

«Генерал И.З. Одишелидзе о причинах поражения Грузии», *Кавказ*, №№ 7-8 (19-20), июль - август, 1935.

«Горская контрреволюция и интервенты», *Красный Архив*, том 68, I, 1935.

Halpern, Paul (Ed.) *The Mediterranean Fleet, 1919-1929*, (London, 2011).

Harbord, James Guthrie. "American Military Mission to Armenia", *International Conciliation*, No. 151, June 1920 (New York, 1920).

Harbord, James Guthrie. *Conditions in the Near East: Report of the American Military Mission to Armenia* (Washington, 1920).

Интернационалисты трудящиеся зарубежных стран – участники борьбы за власть Советов, том. 2 (Moscow, 1971).

Из истории армяно-грузинских взаимоотношений. 1918 год: пограничный конфликт; переговоры; война; соглашение (Тифлис, 1919).

Караев, Алигейдар. *Из недавнего прошлого (материалы к истории Азербайджанской Коммунистической Партии (б))* (Баку, 1926).

Ключников, Юрий и Сабанин, Андрей. *Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях* (Москва, 1926), том 2.

Ленин, Владимир. *Полное собрание сочинений* (Москва, 1963), том 6.

Ленин, Владимир. *Полное собрание сочинений* (Москва, 1930), том 26.

Ленин, Владимир. *Полное собрание сочинений* (Москва, 1930), том 51 (*Письма: июль 1919 ~ ноябрь 1920*).

Мирный договор между Грузией и Россией (Москва, 1920).

Мусабеков, Газанфар. *Избранные статьи и речи, том 1* (Баку, 1960).

Российская Социалистическая Федеративная Советская Республика и Грузинская Демократическая Республика; их взаимоотношения (Москва, 1922).

Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных РСФСР с иностранными государствами. Выпуск 1. (Петроград, 1922).

Singh, Gajendra. "Occupation case studies: Algeria and Turkey", *Asia Times*, January 7, 2004.

Traité conclu le 7 mai 1920 entre la République Démocratique de Géorgie et la République Socialiste Fédérative Soviétiste russe: et Accord de Transit et de Commerce conclu le 14 novembre 1920 entre la République Democratique de Géorgie d'unepart et la République Socialiste Federative Russe et la République Socialiste Sovietiste d'Azerbaijan d'autre part (Paris, 1922).

“Treaty of Piece between the British Empire and Allied Powers (France, Italy, Japan, Armenia, Belgium, Czecho-Slovakia, Greece, the Hedjaz, Poland, Portugal, Roumania and Serb-Croat-Slovene State) and Turkey-Sevres, August 10, 1920” in *British and Foreign State Papers*, CXIII, 1920, ed. Edward Parkes et al. (London, 1923).

Трапезундская и Батумская мирные конференции: документы и материалы (Тбилиси, 1918)

Троцкий, Лев. *Как вооружалась революция*. 3 тома. (Москва, 1923).

Tsereteli, Iraklii. *Séparation de la Transcaucasie de la Russie et l'Indépendance de la Géorgie* (Paris, 1919).

Varandian, Mikael. *Le conflit armeno-georgien et la guerre du Caucase* (Paris, 1919).

“Внешняя политика контрреволюционных ‘правительств’ в начале 1919 года”, *Красный Архив*, № 6 (37), 1929.

Воронович, Николай. *Зелёная Книга: История крестьянского движения в Черноморской губернии* (Прага, 1921).

Воронцовъ-Дашковъ, Илларионъ. *Всеподданнѣйшая записка по управлению кавказскимъ краемъ генераль-адъютанта графа Воронцова-Дашкова* (Санктъ Петербургъ, 1907).

Воронцовъ-Дашковъ, Илларионъ. *Всеподданнѣйший отчетъ за восемь лѣтъ управлѣнія Кавказомъ* (Санктъ Петербургъ, 1913).

ქურნალები და გაზეთები

Борьба (Тифлиς, 1920 - 1921).

Грузия (Тифлиς, 1918 - 1921).

Кавказское слово (Тифлиς, 1918 - 1919).

საქართველოს რესპუბლიკა (ტფილისი, 1920).

Слово (Тифлиς, 1920 - 1921).

მეზუარები

Добрынин, Василий. *Оборона Мугани 1918-1919: Записки кавказского пограничника* (Париж, 1973).

Иванис, Василь. *Боротьба Кубані за незалежність* (Мюнхен, 1968).

Жордания, Ной. *Моя жизнь* (Станфорд, 1968).

Джугели, Владимирь. *Тяжѣлый крѣсть: записки народогвардей-ца* (Тифлиς, 1920).

Dunsterville, Lionel. *The Adventures of Dunsterforce* (London, 1920).

Коковцов. Владимир. *Из моего прошлого: воспоминания 1903-1919 гг, том II* (Париж, 1933).

Ковтюх, Епифан. *“Железный поток” в военном изложении* (Москва, 1935).

Kress von Kressenstein, Friedrich. *Meine Mission im Kaukasus* (Berlin, 1943).

Квинитадзе Георгий. *Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921 гг.* (Париж, 1985).

Ludendorff, Erich von. *My War Memories 1914-1918*, v. 2 (Uckfield, 2005).

გორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი 1917-1925; გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1990

Шевцов, Иван. *Особое задание* (Москва, 1965).

Уратадзе, Григорий. *Воспоминания грузинского социал-демократа* (Станфорд, 1968).

Воронович, Николай. *Потонувший мир* (Москва, 2001).

Врангель, Пётр. *Записки* (Санкт-Петербург, 2015).

სტატეები

Andersen, Andrew and Partskhaladze, George, “La guerre soviéto-géorgienne et la soviétisation de la Géorgie (février-mars 1921) », in *Revue historique des Armées*, Numéro 254, 1/2009

Балмасов, Сергей. «Грузия мечтает отобрать у России Сочи», *Правда*, Август 28, 2008.

Бахтадзе, Михаил. «О военном договоре 1919 года между Грузией и Азербайджаном», *Право и Политология* (выпуск 7, 2010).

Erimtan, Can. “Hittites, Ottomans and Turks: Ağaoğlu Ahmed Bey and the Kemalist Construction of Turkish Nationhood in Anatolia” in *Anatolian Studies*, Vol. 58 (2008).

Черкасов, Александр и Мамадалиев, Анвар. «Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской губернии (1919-1920 гг.): формирование и боевые действия», *История и историки в контексте времени* (Выпуск 8, 2011).

Фавицкий, Владимир. «Зелёная армия в Черноморье», *Пролетарская Революция*, №№ 8-9 (31-32), 1924.

Gnolidze - Swanson, Manana. "Activity of Russian Orthodox Church among the Muslim Natives of the Caucasus in Imperial Russia", in *Caucasus and Central Asia Newsletter* (UC-Berkley), Issue 4 / Summer, 2003.

Jäschke, Gotthard. "Der Turanismus der Jungtürken. Zur osmanischen Aussenpolitik im Weltkriege," *Die Welt des Islams*, XXIII (bk 1-2, 1941).

Хейфец, Соломон. "Закавказье в первую половину 1918 года и Закавказский Сейм", *Былое*, № 21, 1923.

Kosok, Pshemakho. "Revolution and Sovietization in the North Caucasus", *Caucasian Review*, 1955, No. 1

Кутузов, Борис. «Византийская прелесть как внутренняя причина «реформы» и раскола XVII века» *Россия XXI*, выпуски 11-12, 1995.

Lech, Zofia. "Kaukaska brygada wojsk polskich", *Wojskowy Przegląd Historyczny*. R.33 (VII-IX 1988) Nr 3.

Лукомский, Александр. «Деникин и Антанта», *Революция и гражданская война в описаниях белогвардейцев: Деникин-Юденич-Врангель* (Москва, 1927).

Лурье, Светлана. «Я все равно паду на той... Карабах как Армяно-русский культурный конфликт», *Русский журнал*, 24 августа, 2009

Materski, Wojciech. „Polsko-gruziński sojusz wojskowy 1920“ in Andrzej Koryn, ed., *Wojna polsko-sowiecka 1920 roku: przebieg walk i tło międzynarodowe: materiały sesji naukowej w Instytucie Historii PAN, 1-2 października 1990* (Warszawa, 1991).

Волконский, Михаил и Муханов, Вадим. *По следам Азербайджанской Демократической Республики* (Москва, 2007)

Rose, John. "Batum as Domino, 1919-1920: The Defence of India in Transcaucasia" in *The International History Review*, Vol. 2, No. 2 (Apr., 1980).

Воронов, Иван. «Кавказская миссия Деникина», *Красноярский рабочий*, 16 августа, 2008.

Welt, Cory. “A Missed Opportunity? Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)”, for inclusion in *Democracy and State Building in Georgia, 1918-2010*, ed. Stephen F. Jones (London, forthcoming 2013).

Włodarczyk, Magdalena. "Stosunki polsko-gruzińskie w latach 1918-1921", *Świat Idei i Polityki, Vol. 15, 2016*.

Ястребов, Ярослав. “Помнят Псоу и Бзыбь”, *Красная звезда*, 3 июня, 2005 г.

Winegard, Timothy. “Dunsterforce: A Case Study of Coalition Warfare in the Middle East, 1918- 1919”, *Canadian Army Journal*, Vol.8.3. Fall / 2005.

Зубов, Андрей. “Политическое будущее Кавказа: опыт ретроспективно-сравнительного анализа”, *Знамя*, Nr. 4, 2000 г.

დისერტაციები

Kopisto, Lauri. *The British Intervention in South Russia 1918-1920; Academic Dissertation* (Helsinki, 2011).

ჩაჩხიანი, არჩილ. *ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918-1919 წლებში (სომხეთ-საქართველოს ომი). დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად* (თბილისი, 2006).

წიგნები

Adamov, Eugeny. (Ed.), *Partition of Asian Turkey in Accordance with the Secret Documents of the Former Ministry of Foreign Affairs* (Moscow, 1924).

Allen, William Edward and Muratoff, Paul. *Caucasian Battlefields: A History of the Wars on the Turco-Caucasian Border* (Nashville, 1999).

Анчабадзе, Зураб. *История и культура древней Абхазии* (Москва, 1964).

Анчабадзе, Зураб. *Из истории средневековой Абхазии VI - XVIII вв.* (Сухуми, 1959).

Андерсен, Эндрю. *Абхазия и Сочи: корни конфликта, 1918-1921* (Торонто, 2014).

Asmus, Ronald. *A Little War that Shook the World* (New York, 2010).

Авалов, Зураб. *Независимость Грузии в международной политике, 1918-1921 гг.* (Париж, 1924).

Bagiński, Henryk. *Wojsko Polskie na Wschodzie: 1914-1920* (Warszawa, 1921).

Batsell, Walter Russell. *Soviet Rule in Russia* (New York, 1929).

Beichman, Arnold. *The Long Pretense: Soviet Treaty Diplomacy from Lenin to Gorbachev* (Somerset, 1991).

Brzezinski, Zbigniew. *The Grand Chessboard: American Primacy and Its Geostrategic Imperatives* (New York, 1997).

Charachidze, Georges. *Introduction à l'étude de la féodalité géorgienne* (Paris, 1971).

Charney, Israel. *The Widening Circle of Genocide* (New York, 1994).

Degras, Jane (Ed.), *Soviet Documents on Foreign Policy, Vol. I* (Oxford, 1931).

Деникин, Антон. *Очерки русской смуты*, тт. 3, 4 и 5 (Берлин, 1924).

Дурново, Николай. *Судьбы Грузинской церкви: по вопросу о Грузинской церковной автокефалии* (Москва, 1907).

- Dyboski, R., Halecki, O., Penson, J.H., Reddaway, W.F. *The Cambridge History of Poland, Vol.II* (London, 1951).
- Дзидзария, Георгий. *Очерки истории Абхазии, 1910-1921* (Тбилиси, 1963).
- Erickson John. (Ed.), *The Soviet High Command: A Military-Political History 1918-1941* (London, 2001).
- Erickson, Edward. *Ordered to Die: A History of the Ottoman Army in the First World War* (Westport, 2000).
- Fromkin, David. *A Peace to End All Peace: The Fall of the Ottoman Empire and the Creation of the Modern Middle East* (New York, 2010).
- Gaillard, Gaston. *Le mouvement panrusse et les allogènes* (Paris, 1919).
- Gamakharia, Jemal and Gogia, Badri. *Abkhazia – istoricheskaya oblast Gruzii* (Tbilisi, 1997).
- Gamakharia, Jemal, Beradze, Tamaz and Gvantseladze, Teimuraz, eds. *Essays from the History of Georgia: Abkhazia from Ancient Times till the Present Days* (Tbilisi, 2011).
- Gentizon, Paul. *La résurrection géorgienne* (Paris, 1921).
- Гамахария, Джемал и Гогия, Бадри. *Абхазия – историческая область Грузии* (Тбилиси, 1997).
- Gottlieb, Wolfram Wilhelm. *Studies in Secret Diplomacy during the First World War* (London, 1957).
- Громько, Андрей (Ред.), *История внешней политики СССР 1917-19, Vol. I* (Москва, 1980).
- Гулль, Роман. *Конь рыжий* (Москва, 2007).
- Hippeau, Edmond. *Géorgie-Azerbaïdjan* (Paris, 1920).
- Hovannisian, Richard. *Armenia on the Road to Independence 1918* (Los Angeles, 1969).

Hovannisian, Richard. *The Republic of Armenia: The First Year, 1918-1919* (Los Angeles, 1971).

Hovannisian, Richard. *The Republic of Armenia: From Versailles to London, 1919-1920* (Los Angeles, 1982).

Hovannisian, Richard. *The Republic of Armenia: From London to Sevres, February-August 1920* (Los Angeles, 1996).

Hovannisian, Richard. *The Republic of Armenia: Between Crescent and Sickle: Partition and Sovietization* (Los Angeles, 1996).

Ингороква, Павлѣ. *О границахъ территории Грузіи* (Константинополь, 1918).

Исмаилов, Эльдар. *Георгиевские кавалеры-азербайджанцы* (Москва, 2005).

История Грузинской ССР (Москва, 1964).

Jeffery, Keith. *The British Army and the Crisis of Empire 1918-1922* (Manchester, 1984).

Jones, Stephen. *Georgia: A Political History since Independence* (London, 2012).

Кадишев, Арнольд. *Интервенция и гражданская война в Закавказье* (Москва 1960).

Kapur, Harish. *Soviet Russia and Asia, 1917-1927* (London, 1966).

Катибли, Меджид. *Чингиз Йылдырым* (Баку, 1964).

Kautsky, Karl. *Georgia: A Social-Democratic Peasant Republic* (London, 1921).

Kazemzadeh, Firuz. *The Struggle for Transcaucasia* (New York, 1951).

Kenez, Peter. *Civil War in South Russia, 1919-1920: The Defeat of the Whites* (London, 1977).

Keresselidze, Leo. *La Géorgie et la domination russe* (Soleure-Solothurn, 1917).

Киреев, Николай. *История Турции, XX век* (Москва, 2007).

Хромов, Семен. (Ред.). *Гражданская война и военная интервенция в СССР* (Москва, 1983).

Knight, Amy. *Spies without Cloaks: the KGB Successors* (Princeton, 1996).

Korganoff, Gabriel. *La Participation des Arméniens à la Guerre mondiale sur le Front du Caucase 1914-1918* (Paris, 1927).

Kuhne, Emmanuel. *La Géorgie libre* (Geneva, 1920).

La Chesnais, Pierre. *Les peuples de la Transcaucasie pendant la guerre et devant la paix* (Paris, 1921).

Лакоба, Станислав. *Очерки политической истории Абхазии* (Сухуми, 1990).

Lang, David Marshall. *A Modern History of Georgia* (London, 1962).

Lang, David Marshall. *The Georgians* (London, 1966).

Левицький, Кость, *Велики зрив: до історії Української державності від березня до листопада 1918 р. на підставі споминів та документів* (Нью-Йорк, 1968).

Lohm, Hedvig, Szakonyi, David and Trier, Tom. *Under Siege: Inter-ethnic Relations in Abkhazia* (London, 2010).

Loris-Melikof, Jean. *La revolution russe et les nouvelles Republiques Transcaucasiennes* (Paris, 1920).

Magocsi, Paul Robert. *A History of Ukraine* (Toronto, 1996).

Materski, Wojciech. *Georgia rediviva: Republika Gruzińska w stosunkach międzynarodowych 1918-1921* (Warszawa, 1994).

- Maurice, Frederick. *The Armistices of 1918* (London, 1943).
- McCauley, Martin. *Bandits, Gangsters and The Mafia: Russia, the Baltic States and the CIS since 1992* (London, 2001).
- McMeekin, Sean. *The Russian Origins of the First World War* (London, 2011).
- Ментешашвили, Автандил. *Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии* (Тбилиси, 1998).
- Mikaberidze, Alexander. *Historical Dictionary of Georgia* (New York, 2015).
- Nassibian, Akaby. *Britain and the Armenian Question, 1915-1923* (London, 1984).
- Nicolle, David and Ruggeri, Raffaele. *The Ottoman Army 1914-18* (Oxford, 1994).
- Nitti, Francesco Saverio. *L'Europa senza pace* (Firenze, 1921)
- Е. Оганесян, *Век Борьбы* (Мюнхен, 1991).
- Плотников, Иван. *Александр Васильевич Колчак: жизнь и деятельность* (Ростов-на-Дону, 1998).
- Price, Morgan Philips. *War and Revolution in Asiatic Russia* (London, 1918).
- Рахманзаде, Шамиль. *Из истории азербайджано-грузинских отношений 1920-1921 гг.* (Махачкала, 2009).
- Рейфильд, Дональд. *Грузия: перекресток империй. История длиной в три тысячи лет* (Москва, 2017).
- Geoffrey Roberts, *Molotov: Stalin's Cold Warrior* (Washington, 2011).
- Roxburgh, Angus. *The Strongman: Vladimir Putin and the Struggle for Russia* (London, 2013).

- Саносян, Артюш. *Самооборона в Ахалцыхском и Ахалкалакском уездах в 1918* (Ереван, 1992).
- Щербаков, Алексей. *Сталин против Троцкого* (Москва, 2013).
- Шамбаров, Валерий. *За веру, царя и отечество* (Москва, 2007).
- Шафир, Яков. *Гражданская война в России и меньшевистская Грузия* (Москва, 1921).
- Шафир, Яков. *Очерки грузинской Жиронды* (Москва, 1925).
- Stafford, Ronald Sempill. *The Tragedy of the Assyrians* (Piscataway, 2006).
- Suny, Ronald Grigor. *The Baku Commune 1917-1918* (Princeton, 1972).
- Suny, Ronald Grigor. *The Making of the Georgian Nation* (Indianapolis, 1994).
- Suny, Ronald Grigor (ed.). *Transcaucasia, Nationalism and Social Change: Essays in the History of Armenia, Azerbaijan, and Georgia* (Ann Arbor, 1983).
- Swain, Geoffrey. *Russia's Civil War* (London, 2008).
- Swietochowski, Tadeusz. *Russian Azerbaijan, 1905-1920: The Shaping of a National Identity in a Muslim Community* (Cambridge, 2004).
- Temperley, Harold William (ed.). *A History of the Peace Conference at Paris*, 6 v. (London, 1920-1926).
- Tillman, Seth. *Anglo-American Relations at the Paris Peace Conference of 1919* (Princeton, 1961).
- Toumanoff, Cyril. *Studies in Christian Caucasian History* (Washington, 1963).
- Trietsch, Davis. *Georgien und der Kaukasus* (Berlin, 1918).
- Троцкий, Лев. *Сочинения*, том 12 (Москва, 1925).

Tunaya, Tarik. *Turkiyede siyasi partiler, 1859-1952* (Istanbul, 1952).

Уткин, Анатолий. *Первая мировая война* (Москва, 2000),

Уратадзе, Григорий. *Образование и консолидация Грузинской Демократической Республики* (Мюнхен, 1956).

Wigram, W.A. *Our Smallest Ally* (New York, 1920).

Woytinsky, Wladimir. *La démocratie géorgienne* (Paris, 1921).

Зайончковский, Андрей. *Первая мировая война* (Санкт-Петербург, 2002).

Зырянов, Павел. *Адмирал Колчак, Верховный правитель России* (Москва, 2012).

ისტორიული ატლასები

Hewsen, Robert. *Armenia: a Historical Atlas* (Chicago, 2001).

Джавахишвили, Александр (ред.), *Атлас Грузинской ССР* (Москва, 1964).

Цуциев, Артур. *Атлас этнополитической истории Кавказа* (Москва, 1964).

Tsutsiev, Arthur. *Atlas of Ethno-Political History of the Caucasus* (London, 2014)

Radvanyi, Jean et Beroutchachvili, Nicolas. *Atlas géopolitique du Caucase* (Paris, 2009).



ენდრიუ (ანდრეას) ანდერსენი – კანადელი ისტორიკოსი, ჟურნალისტი და პოლიტოლოგი, ახლა მუშაობს კალგარის უნივერსიტეტის (კანადა) სამხედრო სტრატეგიული კვლევის ცენტრში.

ამ წიგნის ძირითადი მიზანია, გააცნოს როგორც კოლეგა-ისტორიკოსებს, ისე ფართო აუდიტორიას საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სტა-

ტუსა და საზღვრებს არეგულირებდნენ რუსეთის იმპერიის დაცემასა და საბჭოთა კავშირის შექმნას შორის მთელი პერიოდის განმავლობაში. წიგნში ასევე განხილულია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები და კონფლიქტები და ომები, რომლებსაც მითითებულ პერიოდში ადგილი ჰქონდათ როგორც საქართველოში, ისე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ნაწილში. წიგნი ასევე მოიცავს მოკლე ექსკურსებს იმ ტერიტორიების ისტორიასა და ეთნოგრაფიაში, რომლებიც სადავოდ ითვლებოდნენ ზემოხსენებული ხელშეკრულებების მომზადებისა და დადების დროს. ნაწევნები ტერიტორიებიდან ზოგიერთი ახლაც სადავოა.

ეს წიგნი შეიძლება იმ თანამედროვე კონფლიქტების დარეგულირების გასაღებადაც გამოდგეს, რომლებიც საქართველოს და მთლიანად სამხრეთ კავკასიის სტაბილურობას ემუქრებიან.

ISBN 978-9941-485-77-0



9 789941 485770